ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი

გოდერძი ვაჭრიძე

იმერეთის დროებითი მმართველობა

(1810-1840 წლები)

ქუთაისის გ. ტაბიძის სახელობის
საჯარო საზოგადოება „სტამბის“
საგამომცემლო ცენტრი

ქუთაისი

1999

მონოგრაფია ეძღვნება იმერეთის დროებითი მმართველობის ისტორიას (1810-1840 წწ.). ნაჩვენებია რა ადგილი ეკერა მას დასავლეთ საქართველოს მიმართ რუსეთის ცარიზმის დაპყრობით გეგმებში და როგორი თავგანწირვით იბრძოდა იმერეთის მოსახლეობა სამხედრო-საოკუპაციო რეჟიმის წინააღმდეგ დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობის აღსადგენად.

პირველწყაროებისა და არსებული ლიტერატურის საფუძველზე დადგენილია იმერეთის რუსული მმართველობის სტრუქტურა, იმერეთის მმართველთა ნუსხა ბიოგრაფიებით.

რედაქტორი: ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი
ვახტანგ გურული

რ ე ც ე ნ ზ ე ნ ტ ე ბ ი: ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი **დიმიტრი შველიძე**, დოცენტი **გურამ გაბუნია**, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი **დემურ გურეშიძე**.

პირველი გამოცემა

ISBN 99928-10-00-3

გამოიცა ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სარედაქციო-საგამომცემლო საბჭოს დადგენილებით

© გ. ვაჭრიძე, იმერეთის დროებითი მმართველობა (1810-1840 წწ.) CCI

წინასიტყვაობა

1810 წელს ცარიზმმა იმერეთი დაიპყრო და სამეფო გააუქმა. ეს იყო შემდგომი ნაბიჯი იმ აგრესიული პოლიტიკისა, რომელსაც იგი XVIII საუკუნის 80-იანი წლებიდან ატარებდა კავკასიის მიმართ და მიზნად ისახავდა მახლობელი აღმოსავლეთის მასშტაბით რუსეთის გავლენის გასამტკიცებლად, მთელი საქართველოს მოქცევას იმპერიის შემადგენლობაში. ქართულ დამოუკიდებელ სახელმწიფოებრიობას ბოლო საყრდენი გამოეცალა, იმერეთში დამყარდა სამხედრო-საოკუპაციო რეჟიმი — დროებითი მმართველობის სახით (1810-1840 წწ.). უკანასკნელმა გვირგვინოსანმა ბაგრატიონმა—სოლომონ მეორემ, დადიანისა და გურიელისაგან განსხვავებით, თვითმპყრობელობის მონურ სამსახურს, ბრძოლის ველზე დამარცხება და განდევნილობაში სიკვდილი ამჯობინა. კიდევ უფრო გაუარესდა ქართველი ხალხის გამათავისუფლებელი მოძრაობის პირობები. დაირღვა საქართველოს ისტორიული განვითარების ბუნებრივი პროცესი. „ძალით სხვასთან შენათვისები ქვეყანა" (აკაკი) მისთვის უცხო და გაუგებარი მმართველობის ქვეშ აღმოჩნდა.

იმერეთის დროებითი მმართველობა, აღმოსავლეთ საქართველოში მოქმედ ხელისუფლებასთან შედარებით, გარკვეული თავისებურებებით ხასიათდებოდა, რაც გაპირობებული იყო იმ განსხვავებული ვითარებით, რომელშიც იგი შეიქმნა და საქმიანობა უხდებოდა.

აღმოსავლეთ საქართველოში რუსული მმართველობის დამყარებამ, გარეგნულად, მშვიდობიანი ხასიათი მიიღო. გიორგი XII გარდაიცვალა. რუსეთის იმპერატორმა 1801 წლის 12 სექტემბრის მანიფესტით, ქართლ-კახეთის სამეფო გააუქმა. ტახტის მემკვიდრე—დავით გიორგის ძე მეფედ არ დაამტკიცეს და „კალმის ერთი მოსმით" (ივანე ჯავახიშვილი) საქართველოს უზენაესი მთავრობა შექმნეს. ალექსანდრე პირველის ფარისევლური განცხადებით, ეს გაკეთდა თვით ქართველი ხალხის ინტერესების გათვალისწინებით, თითქოს ქვეყანა უფსკრულის პირას იმყოფებოდა და ძლიერ ხელისუფლებას უნდა ეხსნა იგი დაღუპვისაგან. მმართველობის ეს წესი (მთავარმმართველი, ექსპედიციები, მაზრებად დაყოფა კაპიტან-ისპრავნიკებით სათავეში და ა. შ.), რომელიც ქართლ-კახეთში იქნა შემოღებული, წააგავდა რუსეთის შიდა გუბერნიებში არსებულ სისტემას. მართალია, მას სამხედრო-საოკუპაციო ხასიათი

ჰქონდა, მაგრამ სამოქალაქო ნაწილიც საკმაო დოზით იყო წარმოდგენილი.

აღმოსავლეთ საქართველოს რუსული ადმინისტრაცია ერთიან პოლიტიკურ სივრცეში მოქმედებდა, რაც საშუალებას აძლევდა მიღებული გადაწყვეტილებანი სწრაფად და უმტკივნეულოდ შეესრულებინა. ამიტომ მას XIX საუკუნის 40-იან წლებში გატარებულ მართვა-გამგეობის რეფორმამდე, ცვლილებები არ განუცდია.

ახალი მმართველობის წინააღმდეგ ბრძოლა, მართალია, მისი შემოღებიდან სამი თვეც არ იყო გასული, რომ დაიწყო (კახელ თავადთა შეთქმულება 1802 წელს), მაგრამ ფართო ხასიათი მან 1804 წლიდან მიიღო. უკმაყოფილებამ, თავდაპირველად, სოციალურ ნიადაგზე იჩინა თავი და მხოლოდ შემდეგ გადაიზარდა ეროვნულ-გამათავისუფლებელ მოძრაობაში.

განსხვავებული ვითარება იყო პოლიტიკურად დანაწევრებულ დასავლეთ საქართველოში. აქ სამეფოს მოსაშლელად და რუსეთის ბატონობის დასამყარებლად, „გათიშე და იბატონეს" პრინციპი, რაზედაც დიდ იმედებს ამყარებდა ცარიზმი, საკმარისი არ აღმოჩნდა. საჭირო გახდა იარაღის გამოყენება და სისხლიანი ბრძოლების წარმოება. „ჯერ კიდევ ახალგაზრდა და ენერგიული სოლომონ მეორე ტახტიდან ჩამოაგდეს, რასაც საყოველთაო-სახალხო აჯანყება მოჰყვა. დროებითი მმართველობა ამ აჯანყების ჩახშობის შემდეგ შეიქმნა, ამიტომ მან აქ უფრო მკაცრი და აშკარად გამოკვეთილი სამხედრო-საოკუპაციო ხასიათი მიიღო. ეს იმერეთის ყოფილი სამეფოს — იმერეთის ოლქის ადმინისტრაციულ დაყოფაშიც გამოიხატა. იმერეთი, აღმოსავლეთ საქართველოსაგან განსხვავებით, მაზრებად კი არ დაიყო, არამედ ოკრუგებად და ოკრუგის უფროსი — რუსი სამხედრო ოფიცერი, ერთპიროვნული მმართველი იყო.

ხანგრძლივი და რთული იყო, აგრეთვე, რუსული მმართველობის სისტემაში იმერეთის ყოფილი სამეფოს ჩართვის პროცესი. აქაც საჭირო გახდა იარაღის დახმარება. იმერეთის მოსახლეობა, რომელსაც აღმოსავლეთ საქართველოში რუსეთის ბატონობის მაგალითი თვალწინ ჰქონდა, ძნელად თმობდა ეროვნული სახელმწიფოებრიობის საუკუნეებით განმტკიცებულ ტრადიციებს, ვერ ეგუებოდა ახალ მმართველობას და მის წინააღმდეგ იბრძოდა. საქართველოს მთავარმმართველი, გენ. ა. ერმოლოვი აღიარებდა, რომ იმერეთში შექმნილმა მდგომარეობამ, იქ სრული რუსული მმართველობის შემოღების საკითხი ღიად დატოვა, რ ა დ-

გან იძულებული ვიყავით გვეზრუნა მხოლოდ იმაზე, როგორ შეგვენარჩუნებია იმერეთი (ხაზგასმა ჩვენია, გ. ვ.). («Приходилось заботиться... об одном удержании Имеретии за Россией»)[1].

მდგომარეობას ართულებდა ისიც, რომ რუსეთის მთავრობა მომზადებული არ იყო ახლადდაპყრობილ ქვეყანაში თავისი მმართველობის შემოღებისას, სათანადო მოქნილობა გამოეჩინა და ქართველი ხალხის კულტურული თავისებურებებისათვის შესაფერისი ანგარიში გაეწია[2].

დროებითი მმართველობა მთელი დასავლეთ საქართველოს მასშტაბით მოქმედებდა. სამეგრელოს, გურიისა და აფხაზეთის მთავრები იმერეთის მმართველს ემორჩილებოდნენ, თუმცა ისინი, ცარიზმის ეკონომიკური და სამხედრო-სტრატეგიული ინტერესებიდან გამომდინარე, ჯერ კიდევ ინარჩუნებდნენ მოჩვენებით ავტონომიას. ეს „მორჩილება-მოჩვენებითი ავტონომია" სერიოზულ სიძნელეებს ქმნიდა იმერეთის დროებითი მმართველობის საქმიანობაში.

ადგილობრივი პირობებიდან გამომდინარე, დასავლეთ საქართველოში დაგვიანდა ან განსხვავებული სახით გატარდა ზოგიერთი სოციალურ-ეკონომიკური ღონისძიება.

იმერეთის დროებითი მმართველობის არსებობის მთელს მანძილზე, რუსეთს დაძაბული ურთიერთობა ჰქონდა თურქეთთან, რაც გავლენას ახდენდა მხარის სამოქალაქო ცხოვრებაზე. მართალია, იმერეთის მმართველი საქართველოს მთავარმმართველს ემორჩილებოდა, მაგრამ მას არცთუ იშვიათად, საშინაო თუ საგარეო საკითხების გადაჭრა დამოუკიდებლად, ადგილზე შექმნილი კონკრეტული ვითარებიდან გამომდინარე, უხდებოდა. მმართველს, ზოგჯერ თავისი შეხედულებისამებრ, ცვლილებებიც შეჰქონდა მმართველობის სტრუქტურაში. იმერეთის დროებითი მმართველობა ცარიზმის პოლიტიკის უშუალო გამტარებელი იყო დასავლეთ ამიერკავკასიაში.

დროებითი მმართველობის არსებობა იმერეთში, საქართველო-რუსეთის ურთიერთობის, და საერთოდ, რუსეთის კავკასიური პოლიტიკის

---

[1] Акты, Собранные Кавказской Археографической Комиссией, издание архива главного упр. наместника Кавказа, под ред. А. П. Берже т. VI. ч. I,Тиф., 1874, с,, 607-608.

[2] ნ. ბერძენიშვილი, საქართველო XIX საუკუნის პირველ მეოთხედში, საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. II, თბ., 1965, გვ. 262.

ერთი, ჩვენი აზრით, საგულისხმო ფურცელია. პატარა იმერეთისადმი რუსეთის დამოკიდებულებაში, როგორც სარკეში, აისახა ე. წ. განაპირა მხარეებში ცარიზმის დიდმპყრობელური პოლიტიკის ნამდვილი არსი, რომელიც ხასიათდებოდა: ცინიზმით, ორპირობით, ცბიერებითა და ძალადობით. ნათელი გახდა, რომ უზარმაზარ სამხედრო სახელმწიფოს დაპყრობილი ხალხების „პყრობის" უაღრესად დაბალი კულტურა ჰქონდა. დროებითი მმართველობის დამყარებამ და მისი საქმიანობის პირველმა წლებმა იმერეთის მოსახლეობაში დიდი იმედგაცრუება გამოიწვია. ყველაზე ორთოდოქსი რუსოფილებიც კი „უკუდგნენ რუსებისაგან" (ივანე ჯავახიშვილი). მთელს საქართველოში, და მათ შორის იმერეთშიც, ყოველთვის პოპულარული იყო მაჰმადიანური სამყაროს წინააღმდეგ ბრძოლაში, ძლიერ, ერთმორწმუნე რუსეთთან მოკავშირეობის იდეა. რუსეთთან სამხედრო-პოლიტიკური კავშირი საქართველოს სამეფო-სამთავროების საგარეო პოლიტიკის საფუძველთა-საფუძველს წარმოადგენდა. თბილისის ტყვეობიდან თავდაღწეული სოლომონ II 1810 წლის მაისში, იმერეთში დაწყებული აჯანყების მონაწილეებს არწმუნებდა, რომ იგი თავის ქვეყანაში უცხო ჯარების დახმარებით არ შემოვიდოდა. მეფე კარგად იცნობდა საკუთარი ქვეშევრდომების სულისკვეთებას— ქრისტიან რუსებთან ბრძოლაში მაჰმადიანური ძალის გამოყენება მათში მოწონებასა და მხარდაჭერას ვერ ჰპოვებდა. ანტირუსული განწყობილება, რაც ზოგჯერ სერიოზულ სამხედრო კონფრონტაციაში გადაიზრდებოდა ხოლმე, დასავლეთ საქართველოში წარმოიშვა ქართლ-კახეთის სამეფოს ანექსიის შემდეგ და იმერეთის სამეფოს დაპყრობის პროცესში.

იმერეთის სამეფო წარმოადგენდა ძლიერ დასაყრდენს საქართველოში სახელმწიფოებრივი ცხოვრების აღდგენა-შენარჩუნებისათვის ბრძოლაში, იგი უაღრესად აბრკოლებდა ცარიზმის მიზნების განხორციელებას ქვეყანაში[3], ამიტომ მისი დაპყრობის შემდეგ, აქ დამკვიდრებასა და რუსული პოზიციების განმტკიცებას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა. ამ ამოცანის გადაწყვეტაში მთავარი როლი დროებით მმართველობას უნდა შეესრულებინა და მთელი მისი საქმიანობაც აქეთკენ იყო მიმართული. მომზადდა ნიადაგი შერეული, ადგილობრივ-რუსულიდან სრულ რუსულ მმართველობაზე გადასასვლელად. მაგრამ ეს პროცესი გასან-

---

[3] ვ. დ უ მ ბ ა ძ ე, დასავლეთ საქართველო XIX საუკუნის პირველ ნახევარში, თბ., 1957, გვ. 202.

გრძლივდა, რაც, ძირითადად, დასავლეთ საქართველოში რთული პოლიტიკური ვითარებით იყო გამოწვეული.

იმერეთის დროებითი მმართველობა სპეციალური კვლევის საგანი ჯერ არ ყოფილა. XIX საუკუნის პირველი ნახევრის საქართველოს ისტორიის შესახებ არსებულ საერთო ხასიათის ლიტერატურაში იგი წარმოდგენილია მხოლოდ ადმინისტრაციული თვალსაზრისით (დროებითი მმართველობის შემოღების პროექტების მიხედვით, როგორი იყო მართვის ორგანოებისა და მათში დასაქმებული მოხელეების უფლება-მოვალეობანი), ხოლო, რაც შეეხება დროებითი მმართველობის პრაქტიკულ საქმიანობას, იმას, თუ რას აკეთებდა იგი, კონკრეტულად, 1810-1840 წლებში, არავის შეუსწავლია.

ჩვენი ნაშრომის მიზანია იმერეთის დროებითი მმართველობა განიხილოს არა მარტო, როგორც კავკასიაში რუსეთის ცარიზმის ადგილობრივი ხელისუფლების ერთ-ერთი ადმინისტრაციული ფორმა, არამედ მთლიანობაში, მონოგრაფიულად—აჩვენოს, რა ადგილი ეჭირა მის საქმიანობას დასავლეთ საქართველოს, და საერთოდ მახლობელი აღმოსავლეთის მიმართ, რუსეთის ცარიზმის დაპყრობით გეგმებში. შეისწავლოს და შეაფასოს დროებითი მმართველობის მიერ გატარებული ღონისძიებები იმერეთის პოლიტიკურ, სოციალურ-ეკონომიკურ, საეკლესიო და კულტურულ ცხოვრებაში, მისი ურთიერთობა დასავლეთ საქართველოს სამთავროებთან, ახლებურად გაიაზროს რუსული მმართველობის წინააღმდეგ იმერეთის მოსახლეობის ბრძოლის ხასიათი, სოლომონ მეორის როლი XIX საუკუნის პირველ ოცწლეულის პოლიტიკურ მოვლენებში, ობიექტურად დაახასიათოს იმერეთის პოლიტიკური მოღვაწეები, რომლებიც ქართველი ხალხისათვის ამ უაღრესად კრიტიკულ ვითარებაში საქართველოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის დამცველთა, თუ მტრის ბანაკში იმყოფებოდნენ. მათგან გამოჰყოს ის პატრიოტი-მამულიშვილები, რომლებიც იძულებული გახდნენ უხეშ ძალას დამორჩილებოდნენ, რუსეთის მთავრობას შერიგებოდნენ, მაგრამ სამშობლოს სიყვარული არ განელებიათ და მზად იყვნენ, საჭირო შემთხვევაში, მისთვის თავი გაეწირათ. საარქივო მასალებისა და არსებული ლიტერატურის საფუძველზე, წარმოვადგენთ იმერეთის მმართველთა ნუსხას ბიოგრაფებთან ერთად, თვალს გავადევნებთ რუს მოხელეთა საქმიანობას, რათა დავადასტუროთ, რომ მათი ძირითადი ნაწილი სრულიად შეუფერებელი იყო იმ ამოცანის შესასრულებლად, რომელსაც ცარიზმი ისახავდა კავკასიაში (ნ. ბერძენიშვილი).

იმერეთის დროებითი მმართველობის არსებობა XIX საუკუნის პირველი ნახევრის დასავლეთ საქართველოს სინამდვილეში, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ისტორიული მოვლენა იყო. ცნობილია, რომ მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიის დიქტატურის პერიოდში, მკვლევარს ანგარიში უნდა გაეწია წინასწარ შემუშავებული სქემებისათვის და ამის მიხედვით გაეშუქებინა საქართველოს, განსაკუთრებით XIX საუკუნის ისტორიის საკვანძო პრობლემები. ეს გარემოებაც აძლიერებს ინტერესს ამ ეპოქის იმერეთის ისტორიისადმი. საჭირო ხდება ბევრი საკითხი ახლებურად იქნას შეფასებული.

გარდა ამისა, ახალი ქართული სახელმწიფოს მშენებლობის პროცესში, რომელსაც ამჟამად ჩვენი ხალხი ახორციელებს, აუცილებელია ისტორიული გამოცდილების გათვალისწინება. საჭიროა ცოდნა იმისა, კონკრეტულად, რა როლი შეასრულა იმერეთის დროებითი მმართველობის არსებობამ ქართული სახელმწიფოებრიობის ლიკვიდაციის საქმეში, რა ზიანი მიაყენა მან ქართულ ცნობიერებას.

იმერეთის დროებითი მმართველობის (საერთოდ, საქართველოს რუსული მმართველობის) ისტორიის ცოდნა გარკვეულ სამსახურს გაუწევს ახალი ქართული სახელმწიფოს მშენებლობის საქმეს.

ნაშრომი ეყრდნობა საკვლევი თემის შესახებ არსებულ ლიტერატურას, ხოლო მისი წყაროთმცოდნეობითი ბაზაა, როგორც გამოქვეყნებული, ასევე საქართველოს სიძველეთსაცავებში ჩვენს მიერ გამოვლენილი და მეცნიერულ მიმოქცევაში შემოტანილი დოკუმენტური მასალები.

შესავალი

წყაროები და ისტორიოგრაფია

1. წყაროების მიმოხილვა — იმერეთის დროებითი მმართველობის შესახებ გამოქვეყნებული წყაროებიდან, ყველაზე მდიდარი მასალები „კავკასიის არქეოგრაფიული კომისიის აქტებში"—ძირითადად, IV-VIII ტომებშია დაცული.[1] ამ უნიკალურ გამოცემაში თავმოყრილ დიდი რაოდენობის დოკუმენტებიდან, პირველ რიგში, უნდა დავასახელოთ იმერეთში დროებითი მმართველობის შემოღების პროექტები, ის საბუთები, რომლებიც ასახავენ ახალი ხელისუფლების საქმიანობას, მის დამოკიდებულებას დასავლეთ საქართველოს სამთავროებისადმი, პოლიტიკურ და სოციალ-ეკონომიკურ სფეროში გატარებულ ღონისძიებებს, მოსახლეობის ბრძოლას დამოუკიდებელი სამეფოს აღსადგენად და იმპერიის ადგილობრივი ხელისუფლების მიერ მიღებულ კონტრზომებს ახლადდაპყრობილ ქვეყანაში საზოგადოებრივი მოძრაობის ჩასახშობად. „აქტებში" წარმოდგენილი მასალებიდან კარგად ჩანს, რომ იმერეთის დროებითი მმართველობა იყო ის რეალური ძალა, რომელმაც აქ განლაგებული ჯარების გამოყენებით, სისხლში ჩაახშო 1819-1820 წლების სახალხო აჯანყება დასავლეთ საქართველოში, რასაც შედეგად მოჰყვა ცარიზმის პოზიციების შემდგომი განმტკიცება საერთოდ კავკასიის მასშტაბით. ასეთ მოსაზრებას ადასტურებს საქართველოს ცენტრალურ საისტორიო არქივში ამ აჯანყების შესახებ დაცული „საქმის" აღწერა, რომელიც ცნობილმა მკვლევარმა მ. ა. პოლიევკტოვმა გამოაქვეყნა. მასში დასახელებული და ანოტირებულია ის საბუთები, რომლებიც „აქტებში" არ შესულა და

[1] Акты, собранные Кавказской Археографической Комиссией, издание архива главного упр. наместника Кавказа, под ред. А. П. Берже, тт. I-XII, Тиф., 1866-1904. შემდეგში შემოკლებით Акты...

გარკვეული მნიშვნელობა აქვთ იმერეთის დროებითი მმართველობის ისტორიის შესასწავლად[2]. „აქტების“ გამოყენების დროს, ცხადია, უნდა გავითვალისწინოთ, რომ კავკასიის არქეოგრაფიული კომისია მთავრობისა და ოფიციალური ისტორიოგრაფიის დაკვეთას ასრულებდა, რის გამოც, გამოსაცემად დოკუმენტების შერჩევა ტენდენციურად ხდებოდა. მიუხედავად ამისა, ის, რაც დაბეჭდილია, საშუალებას იძლევა დროებითი მმართველობის ხასიათსა და პრაქტიკულ საქმიანობას გავეცნოთ.

საყურადღებოა პროფ. ს. კაკაბაძის პუბლიკაცია, რომელიც იმერეთის სამეფოს გაუქმებასა და დროებითი მმართველობის არსებობის პირველ წლებს ეხება[3]. მასში წარმოდგენილია ამიერკავკასიის მთავარმართველის კანცელარიის ფონდში დაცული 103 დოკუმენტი, რომელთა ქრონოლოგიური ჩარჩოა 1809-1815 წლები.[4] ისინი გვიჩვენებენ როგორ დაიპყრეს რუსეთის ჯარებმა იმერეთი, გააუქმეს სამეფო, რა მეთოდებით იბრძოდა ცარიზმი სოლომონ მეორის წინააღმდეგ, რომელიც ცდილობდა მოკავშირეები მოეძებნა, იმერეთში დაბრუნებულიყო და სამეფო აღედგინა. დოკუმენტებიდან ჩანს მცირერიცხოვანი დაპყრობილი ხალხის ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობით გამოწვეული შიში, რომელსაც, სამხედრო თვალსაზრისით, ძლიერი დამპყრობელი განიცდიდა.

XIX საუკუნის პირველი ნახევრის იმერეთის პოლიტიკური ისტორიის შესახებ, მნიშვნელოვანი ცნობების შემცველია თ. ჟორდანიას ცნობილი „ქრონიკების...“ მესამე წიგნი (თბ., 1967).

იმერეთის დროებითი მმართველობის დასახასიათებლად საინტერესო მონაცემებია დაცული იმ დოკუმენტებში, რომლებიც პროფ. ა. ფირცხალაიშვილმა გამოაქვეყნა თავისი შრომის „Имеретия и Гурия в период 1804-1840 гг.“ დამატების სახით. იმერეთის მმართველის, თავად პ. ეორჩაკოვის რაპორტში კავკასიის ადმინისტრაციისადმი, ნაჩვენებია აქ არსებული მართვის სისტემის ნაკ-

---

[2] М. Полиевктов, Архивное «дело» о восстании в Имеретии, Гурии и Мингрели в 1819-1820 гг., საისტორიო მოამბე, წიგნი II, ტფ., 1924, გვ. 199-220.

[3] ს. კაკაბაძე, იმერეთის სამეფოს გაუქმება (დოკუმენტები), საისტორიო მოამბე, IX, თბ., 1959.

[4] საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ფონდი No. 2 საქმე 197. შემდეგში შემოკლებით — ს ცსსა.

ლოვანებები და ჩამოყალიბებულია კონკრეტული წინადადებანი მათ გამოსასწორებლად. იმერეთის დროებითი მმართველობის დამოკიდებულება დასავლეთ საქართველოს სამთავროებთან, გურიის სამთავროს მაგალითზე, ნაჩვენებია სენატორ პ. კუტაისოვის მოხსენებით ბარათში გენერალ ი. პასკევიჩისადმი (1830 წ.). აგრეთვე, იმერეთის მმართველის, გენ. მაიორ კ. გესსეს მიერ შედგენილ განაწესში — როგორ უნდა მოწყობილიყო გურიის დროებითი მმართველობა.[5]

იმერეთის მმართველობის ვაუმჯობესების საკითხზე თავისი მოსაზრება აქვს გამოთქმული ბატონიშვილ დავით გიორგის ძეს რუსეთის მთავრობისადმი წარდგენილ მოხსენებით ბარათში „О лучшем устройстве Грузии". ბატონიშვილის პროექტი ითვალისწინებდა სამხედრო-საოკუპაციო რეჟიმის შეცვლას სამოქალაქო მმართველობით, რომელსაც სათავეში ბაგრატიონთა სახლის წარმომადგენელი ჩაუდგებოდა.[6]

დასავლეთ საქართველოს სამეფო-სამთავროების რუსეთთან შეერთების შესახებ, დიდი რაოდენობის მასალაა შეკრებილი რუსი ისტორიკოსის პ. ბუტკოვის სამტომიან კრებულში „Материалы для новой истории Кавказа с 1722 по 1803 гг".[7] მართალია, მასში, უშუალოდ იმერეთის დროებითი მმართველობის შესახებ თითქმის არაფერია, მაგრამ, სამაგიეროდ, ბევრი საინტერესო ცნობაა დაცული წინა პერიოდზე და გვეხმარება თვალი გავადევნოთ, როგორ მზადდებოდა ნიადაგი ასეთი მმართველობის დასამყარებლად.

დროებითი მმართველობის ,ისტორიის ცალკეულ საკითხებზე სხვადასხვა სახის ინფორმაციას შეიცავენ საქართველოს რუსული ადმინისტრაციის მოხელეთა, პეტერბურგიდან კონკრეტული დავალებებით გამოგზავნილ ჩინოვნიკთა და კავკასიის დაპყრობაში მონაწილე ოფიცერთა მოგონებები, ჩანაწერები, მათ მიერ ზემდგომ

---

[5] А. Пирцхалашвили, Имеретия и Гурия в период 1804-1840 гг. Приложение, მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, 1942 წ., ნაკვეთი I, თბ., 1942, შემდეგში შემოკლებით მსკი.

[6] Две записки царевича Давида, О лучшем устройстве Грузии, подгатовил к печати И. Ениколопов, მსკი, 1942, ნაკ. I თბ., 1942.

[7] СПБ., 1869.

ინსტანციებში წარდგენილი ანგარიშები და ა. შ. (ა. სოკოლოვი,[8] პ. ლიტვინოვი[9], ენგოლმი[10], ვ. ჩუდინოვი[11], ი. დუბეცკი[12], ა. ერმოლოვი[13] და სხვ.). XIX საუკუნის დამდეგს იმერეთში ჩამოსული ა. სოკოლოვის მისიის მიზანს შეადგენდა, ალექსანდრე პირველის სახელით, სოლომონ მეორესთან მოლაპარაკების გზით, პატიმრობიდან გაეთავისუფლებინა ბატონიშვილი კონსტანტინე დავითის ძე. გარდა ამისა, იგი უნდა გაცნობოდა იმერეთში არსებულ ვითარებას, თავადაზნაურთა განწყობილებასა და დამოკიდებულებას რუსეთისადმი, რაც აისახა კიდეც მისი მოგზაურობის აღწერაში. პ. ლიტვინოვის, ენგოლმისა და სხვათა ჩანაწერები ახასიათებენ იმერეთის, და საერთოდ დასავლეთ საქართველოს სოციალურ-ეკონომიკურ და პოლიტიკურ მდგომარეობას XIX საუკუნის პირველ მეოთხედში. ვ. ჩუდინოვის ნარკვევი მოგვითხრობს იმერეთში 1809-1810 წლებში მიმდინარე ბრძოლების შესახებ, ხოლო იმერთის მმართველის—პ. გორჩაკოვის ადიუტანტი ი. დუბეცკი, რომელიც ხელმძღვანელობდა 1820 წელს რაჭაში მოწყობილ ერთ-ერთ დამსჯელ ოპერაციას, თავის მოგონებებში დეტალურად აღწერდა, თუ როგორი სისასტიკით იქნა ჩახშობილი სახალხო აჯანყება. რაც შეეხება ა. ერმოლოვის „ჩანაწერებს", მასში შეუფარავად ჩანს არა დემოკრატი და დეკაბრისტების იდეებთან ახლო მდგომი პროგრესული პიროვნება, როგორც მას ხატავდნენ და ხატავენ რუსულ ისტორიოგრაფიაში, არამედ ტიპიური, უხეში კოლონიზატორი, რომელიც ცეცხლითა და მახვილით გაუსწორდა 1819-1820 წლებში თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის მებრძოლ დასავლეთ საქართველოს მოსახლეობას. ეს მასალები ადასტურებენ იმას, რომ საქართველოში გამოგზავნილ რუს მოხელეებს არა-

---

[8] А. Соколов, Путешествие мое в Имеретию с линий Кавказской,., М., 1874.

[9] П. Литвинов, Описание Имеретии и Мингрелии, Акты..., т. II, Тиф., 1868.

[10] Энгольм, Краткое обозрение Имеретии, Гурии, Мингрелии и Абхазии, 1817.

[11] В. Чудинов, Имеретинская неурядица в 1809-1810 гг. Кавказский сборник, т. т. 15, 16, Тиф., 1894; 1895.

[12] Записки И. П. Дубецкого,—Русская старина, 1895. апрель ქართული თარგმანი გამოქვეყნებულია ჟურნალ „მოამბეში", 1896, No. 9.

[13] Записки А. П. Ермолова, 1798-1826, м., 1991.

თუ უყვარდათ, არამედ ზოვიერთს სძულდა კიდეც ის ქვეყანა, სადაც „სამოღვაწეოდ“ იყვნენ ჩამოსული, მედიდურად ზემოდან დაჰყურებდნენ მას, არ ცნობდნენ ქართველი ხალხის საკუთარ ინტერესებს და საქართველო რუსეთის სამხედრო-ფეოდალური იმპერიის უსახო ელემენტად მიაჩნდათ.[14]

ქართულენოვანი წყაროებიდან აღსანიშნავია შოთა ბურჯანაძის მიერ მომზადებული ორტომიანი კრებული, რომელშიაც შესული დოკუმენტების ძირითადი ნაწილი XVIII საუკუნის 80-იანი და XIX საუკუნის ათიანი წლების იმერეთის სოციალურ-ეკონომიკურ და პოლიტიკურ ვითარებას ასახავს. აქვეა, შედარებით მცირე რაოდენობით, დროებითი მმართველობის არსებობის წლებში შედგენილი საბუთებიც. ისინი, რომელთა შორის კერძო ხასიათის მიმოწერაცაა, ძირითადში, იმერეთის რუსული ადმინისტრაციისა და თავადაზნაურობის ურთიერთობას ეხებიან.[15]

პროფ. ოლია სოსელიას მიერ გამოცემულ კრებულში „მასალები კლასობრივი ბრძოლის ისტორიისათვის ფეოდალური ხანის დასავლეთ საქართველოში (XVII ს-ის მიწურულიდან XIX ს-ის 40-იან წლებამდე“, თბ., 1960) სხვა საბუთებთან ერთად შეტანილია იმერეთის დროებით მმართველობაში წარდგენილი ის დოკუმენტები, რომლებიც ადასტურებდნენ დასავლეთ საქართველოს მებატონეთა უფლებებს ყმა-გლეხებზე. მათი გაცნობა ნათელყოფს, რომ იმერეთის „მართებლობა“ მოუწყვეტლივ ზრუნავდა, რათა გლეხნი ყოფილიყვნენ „სრულიადსა მორჩილებასა შინა თვისთა მფლობელთასა“, მაგრამ ამასთან ერთად, მებატონეებისაგან მოითხოვდა „უწყალო მოქცევით“, „უზომო... ხარჯის დადებით“ არა იძულებულ ეყოთ გლეხნი „უმორჩილებისადმი“.

ცალკე უნდა გამოვყოთ ქართველი ისტორიკოსის, ჩვენთვის საინტერესო ეპოქის დასავლეთ საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში აქტიური მონაწილის — ნიკო დადიანის თხზულების „ქარ-

---

[14] ნ. ბერძენიშვილი, საქართველო XIX საუკუნის პირველ მეოთხედში, საქართველოს ისტორიის საკითხები, წიგნი II, თბ., 1965.

[15] საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ისტორიული დოკუმენტები და არქივები, II; ისტორიული დოკუმენტები, წიგნი I, იმერეთის სამეფოს პოლიტიკური საბუთები (1789-1810), ტექსტი შენიშვნებითა და საძიებლებით გამოსაცემად მოამზადა შ. ბურჯანაძემ, თბ., 1953.

თველთ ცხოვრების“ მესამე ნაწილი[16] რომელშიაც ავტორი მოგვითხრობს რუსეთის ჯარების მიერ იმერეთის დაპყრობისა და დროებითი მმართველობის საქმიანობის შესახებ. ნ. დადიანის „ქართველთ ცხოვრების“ მესამე ნაწილის სასით, ქართულ ისტორიულ მეცნიერებას შემონახული აქვს ერთადერთი თხრობითი წყარო ლიხთ-იმერეთის პოლიტიკური თავგადასავლის შესახებ 1740-იანი წლებიდან 1823 წლამდე.[17] მისი ავტორი რუსოფილია და სოლომონ მეორის აშკარა მტრების რიგებში იყო. იგი აქტიურად თანამშრომლობდა იმერეთის რამდენიმე მმართველთან (თ. სიმონოვიჩი, ს. მერლინი, ი. ხატუნცოვი, ი. კურნატოვსკი, ი. პუზირევსკი, ი. აფხაზი, პ. ვორწაკოვი) დასავლეთ საქართველოში რუსების ბატონობის განმტკიცების საქმეში. ცარიზმის კოლონიზატორული პოლიტიკის სამსახურში მყოფი ნ. დადიანი ტენდენციურად აფასებს მის მიერ აღწერილ მოვლენებს და ამართლებს ცარისტული რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობას.[18] ამასთან ერთად, უნდა აღინიშნოს ისიც, რომ „ქაროველთ ცხოვრება“ საინტერესო ფაქტობრივი მასალის შემცველი თხზულებაა.

იმერეთის დროებითი მმართველობის შესახებ არსებული მასალების ძირითადი ნაწილი გამოუქვეყნებელია და ინახება, როგორც საქართველოს, ასევე რუსეთის (პეტერბურგის) სიძველეთსაცავებში. მათ შორის, თვით დროებითი მმართველობის ფონდი, რომელიც 1816-1840 წლების საბუთებისაგან შედგება, დაცულია ქუთაისის ცენტრალურ სახელმწიფო არქივში (ფონდი No.175). ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ, სწორედ, ამ ფონდით ვეცნობით დროებითი მმართველობის საქმიანობას და მის წინაშე მდგარ პრაქტიკულ ამოცანებს. საქმე იმაშია, რომ აღნიშნულმა ფონდმა, სხვა მასალებთან ერთად, შემოგვინახა იმერეთის დროებითი მმართველობის 1824-1835 წლებში ჩატარებულ სხდომათა ოქმები, რომელთაც პირველხარისხოვანი მნიშვნელობა აქვთ ჩვენი საკვლევი თემისათვის. ოქმების მიხედვით, შეიძლება შედგენილ

---

[16] ნ. დ ა დ ი ა ნ ი, ქართველთ ცხოვრება, ტექსტი გამოსცა, წინასიტყვაობა, გამოკვლევა, კომენტარები, საძიებლები და ლექსიკონი დაურთო შ. ბ ურ ჯ ა ნ ა ძ ე, თბ., 1962.

[17] შ. ბ ურ ჯ ა ნ ა ძ ე, იქვე, გვ. 39.

[18] „ქართველთ ცხოვრების“ და განსაკუთრებით, მისი მესამე ნაწილის ავკარგიანობა საფუძვლიანადაა გარჩეული შოთა ბურჯანაძის შესავალ წერილში.

იქნას დროებითი მმართველობის მიერ თვრამეტი წლის მანძილზე განხილულ საკითხთა ნუსხა. დროებითი მმართველობის საქმიანობის სურათი, რასაკვირველია, უფრო სრული იქნებოდა, ხელთ რომ გვქონდეს 1810-1823 და 1836-1840 წლების ანალოგიური ოქმები. მაგრამ ჩვენამდე მოღწეული მასალებიდანაც ირკვევა — ცარიზმი ენერგიულად უჭერდა მხარს მეფის მოწინააღმდეგე, მის სამსახურში ადრევე ჩამდგარ თავადაზნაურობის წარმომადგენლებს, რომლებმაც თავიანთი „წვლილი" შეიტანეს „იმერეთის საკითხის" რუსეთის სასარგებლოდ მოგვარებაში. დროებითი მმართველობა უკანვე უბრუნებდა მეფის ორგულ დიდებულებს ყმებსა და მამულებს, რომლებიც მათ ჩამოერთვათ იმერეთის სამეფოს არსებობის უკანასკნელ წლებში და პირიქით, ყოველსაირად ავიწროებდა მეფის მომხრეებს, იარაღით ხელში რომ იბრძოდნენ რუსული ხელისუფლების წინააღმდეგ.

დროებითი მმართველობის ფონდში დაცული მასალებიდან ჩანს, რომ ცარიზმი განსაკუთრებით დაინტერესებული იყო ვამოერკვია იმერეთის ეკონომიკური და მატერიალური შესაძლებლობანი, მოსახლეობის გადახდისუნარიანობა, მაქსიმალურად ვამოეყენებინა მისი საწარმოო ძალები, როგორც მმართველობის ბიუროკრატიული აპარატის შესანახად, ასევე დასავლეთ საქართველოში განლაგებული ჯარების უზრუნველსაყოფად. ჯარების კონტიგენტი კი განუწყვეტლივ იზრდებოდა თურქეთთან დაძაბული ურთიერთობის გამო.

იმერეთის დროებითი მმართველობის ხელმძღვანელობით მუშაობდა გურიის დროებითი მმართველობა, რომლის ფონდიც ქუთაისის ცენტრალურ არქივშია დაცული (ფონდი No. 53). იგი შეიცავს 1830-1840 წლების საბუთებს და უაღრესად საინტერესო ცნობებს არა მარტო იმერეთისა და გურიის დროებით მმართველობათა ურთიერთობის, არამედ გურიის სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური მდგომარეობის დასახასიათებლად. აქაა გურიის დროებითი მმართველობის სხდომათა ოქმები, მიწერ-მოწერა იმერეთის დროებით მმართველობასა და საქართველოს მთავარმართველებთან, დასავლეთ საქართველოში საოკუპაციო რეჟიმის ამსახველი მასალები.

საქართველოს ცენტრალურ სახელმწიფო საისტორიო არქივის ფონდებიდან იმერეთის დროებითი მმართველობის შესახებ, ყვე-

ლაზე მდიდარი მასალებია დაცული „ამიერკავკასიის მთავარმართველის კანცელარიაში“ (ფონდი No. 2). მათი შესწავლის საფუძველზე, შესაძლებელია თვალი გავადევნოთ დროებითი მმართველობის ისტორიას, შექმნის პირველი დღეებიდან მის რეორგანიზაციამდე. ფონდში წარმოდგენილი საბუთები მრავალფეროვანია. ისინი შეიცავენ პირველსარისხოვან მონაცემებს იმერეთის და, საერთოდ, მთელი დასავლეთ საქართველოს, ეკონომიკური განვითარების დონის, სოციალური ურთიერთობების, მოსახლეობის პოლიტიკური განწყობილების, ქვეყნის ეკონომიკური და პოლიტიკური დამორჩილების მიზნით, დროებითი მმართველობის მიერ გატარებული ღონისძიებების და სხვათა შესახებ.

იმერეთის დროებითი მმართველობის ისტორიისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს სენატორების — ევგ. მეჩნიკოვისა და პ. კუტაისოვის ანგარიშს დასავლეთ საქართველოში ჩატარებული რევიზიის შესახებ. ანგარიში ჯერ არ გამოქვეყნებულა და სხვა, მრავალ მასალასთან ერთად, ჩვენს მიერ პირველად იქნება შემოტანილი მეცნიერულ მიმოქცევაში. შეიძლება გადაუჭარბებლად ითქვას, რომ ეს არის ერთადერთი დოკუმენტი, რომელშიც მოცემულია იმერეთის დროებითი მმართველობის, როგორც ცარიზმის ადგილობრივი ადმინისტრაციის ერთ-ერთი ფორმის, ყოველმხრივი დახასიათება რუსი ჩინოვნიკების მიერ. მასში ნაკლებადაა ცნობები იმერეთის სამეურნეო-ეკონომიკური, თუ საზოგადოებრივი ცხოვრების შესახებ, ხოლო რაცაა, ისიც მოხმობილია, მხოლოდ, დროებითი მმართველობის საქმიანობაში არსებულ ნაკლოვანებათა საილუსტრაციოდ.

საქმე (No. 3354), რომელშიც შეჯამებულ-შეფასებულია იმერეთის დროებითი მმართველობის განვლილი მუშაობა, ასეა დასათაურებული — „სენატორების მეჩნიკოვისა და კუტაისოვის ანგარიში იმერეთში მათ მიერ ჩატარებული მმართველობის ხასიათის, დაწესებულებების მუშაობის, შემოსავლების, გასავლებისა და სხვ. რევიზიის შესახებ“. მაგრამ საქმე შეიცავს არა მარტო ანგარიშს, არამედ პეტერბურგსა და თბილისში მის განხილვასთან დაკავშირებულ მასალებსაც. დასახელებული საქმის ძირითადი ნაწილია სენატორების რაპორტი მმართველ სენატისადმი (ასლი). იგი შედგენილია ორივე სენატორის სახელით, თუმცა დასავლეთ

საქართველოში მხოლოდ პ. კუტაისოვი იმყოფებოდა.[19] რაპორტი 160 ხელნაწერ გვერდს შეიცავს, ნაწერია სხვადასხვა ხელით, თხრობა ხან პირველ, ხან მესამე პირშია. ბოლო გვერდზე წარწერაა: „დედანს ხელი მოაწერეს სენატორებმა გრაფმა კუტაისოვმა და მეჩნიკოვმა. 1831 წლის ნოემბერი. სენატორების მიერ იმერეთის დროებითი მმართველობისა და სხვ. რევიზიის შესახებ. პირველი დეპარტამენტით". რაპორტის ტექსტი დაყოფილია 30 პარაგრაფად. ზოგი მათგანი რამდენიმე საკითხს შეიცავს. რაპორტში წარმოდგენილია: იმერეთის დროებით მმართველობაში მომხდარი ცვლილებები, მისი მუშაობის პირობები, შემადგენლობა და საქმისწარმოების წესი, საბაჟო და სახაზინო საქმეები, ოკრუგის უფროსების, პოლიციისა და სამხედრო სასამართლოს ქუთაისის კომისიის მუშაობა, იმერეთის თავადაზნაურობისა და მოსახლეობის მიერ გრაფ პ. კუტაისოვის წინაშე დაყენებული საკითხები, იმერეთის მმართველის, გენ. მაიორ კ. გესსეს დახასიათება.

იმერეთის დროებითი მმართველობის საქმიანობამ ასახვა ჰპოვა ევგ. მეჩნიკოვისა და პ. კუტაისოვის მიერ სენატსა და იმპერატორისადმი გაგზავნილ საერთო რაპორტებშიც ამიერკავკასიის შესახებ.[20]

დროებითი მმართველობის მიერ განვლილი გზის ზოგადი, მაგრამ გაცილებით მოკლე დახასიათებაა მოცემული, აგრეთვე, იმერეთის მმართველის, გენ. მაიორ აკიმ ესპეხო I-ის მოხსენებით ბარათში მთავარმართველ ევ. გოლოვინისადმი (საქმე No. 6225). მრავალმხრივ საინტერესოა დროებით მმართველობაში განხილულ და გადაწყვეტილ საკითხებზე მთავარმართველის კანცელარიაში გაგზავნილი ყოველორკვირეული მემორიები (საქმე No. 255) და სხვ.

იმერეთში რუსული მმართველობის წინააღმდეგ მებრძოლთა მიმართ გატარებული რეპრესიების შესახებ ცნობები დაცულია

---

[19] სენატორები ამიერკავკასიის მმართველობის რევიზიას განახორციელებდნენ. ამის შესახებ იხილეთ ქვემოთ.

[20] ამის შესახებ იხილეთ, М. Полиевктов, Ревизия Закавказского края сенаторами Кутаисовым и Мечниковым и фонд этой ревизии в Историческом Архиве в Ленинграде, თბილისის უნივერსიტეტის შრომები, 1949, ტ. 15, გვ. 81-102.

„საქართველოს სამოქალაქო გუბერნატორის—საქართველოს მმართველის“ ფონდში (No. 16).

XIX საუკუნის 20-30-იან წლებში დროებითი მმართველობის წინაშე მწვავედ იდგა თავადობისა და აზნაურობის ღირსების, აგრეთვე, ქონების ფლობის დამადასტურებელი, ყალბი და ნამდვილი დოკუმენტების გარჩევის საკითხი. ამ თვალსაზრისით, მრავალი საინტერესო მონაცემების შემცველია საქართველოსა და იმერეთის სამეფო დოკუმენტების განმხილველი კომისიის ფონდი (No. 234).

დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე (იმერეთი, გურია, სამეგრელო, აფხაზეთი) საოკუპაციო ჯარების განლაგებისა და მათი გადაადგილების შესახებ, მნიშვნელოვან ინფორმაციას გვაწვდის კავკასიის სამხედრო ოლქის შტაბის სამხედრო-ისტორიული განყოფილების ფონდი (No. 1087), ხოლო „ძველ საბუთთა დედნების კოლექციაში“ (ფონდი No. 1448) არის დროებითი მმართველობის არსებობასთან დაკავშირებული: ეკონომიკური, სოციალური, პოლიტიკური, სტატისტიკური და სხვა ხასიათის მონაცემები.

XIX საუკუნის პირველ მესამედში იმერეთის ეკლესიის მდგომარეობა და მასთან დროებითი მმართველობის დამოკიდებულება შეიძლება წარმოვიდგინოთ: საქართველოს ეგზარქოსის კანცელარიის[21], თბილისისა და საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორების,[22] იმერეთის ეპარქიის კანცელარიის და იმერეთის სინოდალური კანტორის[23] ფონდებში დაცული დოკუმენტების შესწავლის საფუძველზე. ერთი აშკარაა — ცარიზმს იმთავითვე (ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმების შემდეგ) დაგეგმილი ჰქონდა იმერეთისა და მთელი დასავლეთ საქართველოს არა მარტო პოლიტიკური, არამედ საეკლესიო დამოუკიდებლობის ხელყოფაც, მაგრამ სერიოზულ წინააღმდეგობას წააწყდა. იმერეთის ეკლესიის რუსულ ყაიდაზე გარდაქმნა იარაღის დახმარებით მოხდა და მასში დიდი როლი დროებითმა მმართველობამ შეასრულა.

თავისი შედგენილობით მრავალფეროვანია აკად. კ. კეკელიძის სახელობის ქართულ ხელნაწერთა ინსტიტუტის წერეთლების ფონ-

---

21 სცსსა, ფ. No. 488.

22 იქვე, ფ. No. 489.

23 ქუთაისის ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფონდები No. 21 და 26.

დი. მასში რამდენიმე პიროვნებასთან (ზურაბ ქაიხოსროს ძე, გრიგოლ ზურაბის ძე, სიმონ ზურაბის ძე, დიმიტრი გრიგოლის ძე, ნესტორ დიმიტრის ძე და სხვ.) დაკავშირებული, როგორც ოფიციალური, ასევე არაოფიციალური, კერძო ხასიათის მასალაა შეკრებილი. ზურაბ წერეთელი, მისი შვილები და ნათესავები აქტიურად მონაწილეობდნენ იმ პოლიტიკურ ბრძოლებში, რომლებსაც შედეგად მოჰყვა იმერეთის სამეფოს დაპყრობა და რუსული მმართველობის დამყარება. ზურაბ წერეთელთან და მის მახლობლებთან მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდათ მთავარმართებლებს, რუსეთის არმიის ოფიცრებს, სამოქალაქო უწყების ჩინოვნიკებს. ისინი ყოფილ სახლთუხუცესს, გენერალ-მაიორის სამხედრო წოდებით დაჯილდოებულ იმერეთის ვიცე-მმართველს მიმართავდნენ რჩევისათვის, თხოვდნენ დახმარებას მისი სამშობლოს დაპყრობისა და დამორჩილების საქმეში. წერეთლების ფონდიდან კარგად ჩანს ზურაბ წერეთლის პოლიტიკური სახე.

იმერეთის დროებითი მმართველობის შესახებ ცალკეული საბუთები გვხვდება ქუთაისის სახელმწიფო ცენტრალური არქივის შემდეგ ფონდებში: ქუთაისის გუბერნიის დეპუტატთა საკრებულო (ფონდი No. 1), ქუთაისის სამაზრო და საგუბერნიო მმართველობანი (ფ. No. 176 და ფ. No. 8), სასულიერო სასწავლებელი (ფ. No. 7), მიწათმოქმედების საგუბერნიო მმართველობა (ფ. No. 18).

აკად. ნ. ბერძენიშვილის სახელობის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილებაში არის დროებითი მმართველობისა და იმერეთის მოსახლეობის ურთიერთობის ამსახველი დოკუმენტები.

2. ისტორიოგრაფია — იმერეთის დროებით მმართველობაზე, როგორც აღინიშნა, სპეციალური ნაშრომი არ არსებობს. რაც შეეხება საქართველოს, განსაკუთრებით XIX საუკუნის, ისტორიის შესახებ არსებულ საერთო ხასიათის ლიტერატურას, რომელშიაც ჩვენთვის საინტერესო პრობლემის ცალკეული საკითხებია განხილული, მსოფლმხედველობრივი თვალსაზრისით, მრავალგვაროვანია.

ოფიციალურ ისტორიოგრაფიაში, რომელიც დიდმპყრობელურ იდეოლოგიას გამოხატავს (პ. გნილოსაროვი ა. გოლოვინი, მ. გლუ-

შაკოვი, ნ. დუბროვინი, ს. ესაძე, ვ. ივანენკო, ვ. პოტტო და სხვ.[24]). რუსეთის ჯარების მიერ იმერეთის დაპყრობა წარმოდგენილია, როგორც მაჰმადიანური აგრესიისაგან ერთმორწმუნე სუსტი ქვეყნის ხსნა, ხოლო რუსული მმართველობის წინააღმდეგ გაჩაღებული ბრძოლა (მაგალითად, 1819-1820 წწ-ის აჯანყება) ახსნილია აღგილობრივი ხელისუფლებისა და მისი ზოგიერთი მოხელის შეცდომებითა და აჩქარებით, მოსახლეობის ჩამორჩენილობა-უვიცობით და რუსების მიმართ მტრულად განწყობილ პირთა ბოროტი აგიტაციით. ახალი მმართველობის დამყარების „კეთილისმყოფელი" შედეგების ჩვენების მიზნით, იმერეთის სამეფო XVIII-XIX საუკუნეების მიჯნაზე დახატულია, როგორც უკიდურესად ღარიბი, ჩამორჩენილი, უმწეო, სახელმწიფოებრივად სრულიად მოუწესრიგებელ-მოუწყობელი ქვეყანა, რომელიც სულს ღაფავდა და მშვიდობას მოელოდა. სინამდვილეში კი, იმერეთი XIX საუკუნის დამდეგს სრულიად იმ ავადმყოფს არ ჰგავდა, როგორც ქართლ-კახეთი 1801 წელს „რომელსაც ძლივსღა შეუძლია მკურნალს თავისი სისუსტე ამცნოს. იმერეთის სამეფო საკუთარ ფეხზე იდგა და შემდგომი წარმატების პერსპექტივაც ჰქონდა. სოლომონ იმერეთის მეფე მოკავშირეს ეძებდა და არა ხელმწიფეს".[25]

პ. გნილოსაროვი,[26] ა. გოლოვინი,[27] მ. გლუშაკოვი,[28] ნ. დუბრო-

---

[24] ცარიზმის მიერ კავკასიის დაპყრობის ისტორიის რუსული ოფიციალური ისტორიოგრაფიის დახასიათება ვ. პოტტოს შრომების ანალიზის მაგალითზე, მოცემულია ნ. პაპავას საინტერესო ნარკვევში „XIX საუკუნის საქართველოს ისტორიის საკითხები ოფიციალურ რუსულ ისტორიოგრაფიაში (ვ. პოტტო)", საქართველოს მთავარი საარქივო სამმართველოს სამეცნიერო-საინფორმაციო ბიულეტენი, No. 53-54, თბ., 1988, გვ. 79-88.

[25] ნ. ბერძენიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 382.

[26] П. Гнилосаров, О царе Соломоне II и бывшем при нем управлении, «Кавказский календарь» за 1859 г., Тиф., 1858. Очерки из жизни митрополита Давида, «Кавк. календарь» за 1854 г., Тиф., 1853 და სხვ.

[27] А. Головин, Историческое обозрение Грузии, приложение к Кавказскому календарю на 1865 г., Тиф., 1864.

[28] М. Глушаков, Очерки из истории Грузии и присоединение её к Россий, Тиф., 1900

ვინი,[29] ვ. პოტტო[30] და სხვ. თავიანთ ნაშრომებში მოგვითხრობენ რუსეთის მიერ იმერეთის დაპყრობის პოლიტიკურ ისტორიას, ხოლო ვ. ივანენკოს,[31] ს. ესაძის[32] და სხვ. სპეციალური გამოკვლევები ეძღვნება საქართველოში რუსული მმართველობის შემოღებისა და ევოლუციის საკითხებს. მას, დასახელებული ავტორები, განიხილავენ ცარიზმის მიერ ქართველი ხალხისადმი ბოძებულ დიდ სიკეთედ და დაბეჯითებით ჩქმალავენ, რომ რუსული მმართველობა იყო ცარიზმის კოლონიური პოლიტიკის გატარების ერთ-ერთი მძლავრი იარაღი, რომლის მიზანს საქართველოს რუსეთთან სრული შერწყმა, ქართველი ხალხის ასიმილაცია შეადგენდა.

ცალკე უნდა გამოვყოთ ქუთაისის ვიცე-გუბერნატორის—პეტრე დემიანის ძე გნილოსაროვის ნარკვევები იმერეთისა და ქუთაისის შესახებ, რომლებიც 1852-1859 წლებში გამოქვეყნდა „კავკაზსკი კალენდარში".[33] პ. გნილოსაროვის ამ შრომებმა იმთავითვე მიიპყრეს ქართველი საზოგადოებრიობის ყურადღება. გამოქვეყნებისთანავე ჟურნალ „ცისკარში" დაიბეჭდა ნარკვევის „სოლომონ მეორესა და მის დროს არსებულ მართვა-გამგეობაზე" მ. ყიფიანისეული თარგმანი.[34]

ცარიზმი, ემზადებოდა რა იმერეთის სამეფოს დასაპყრობად,

---

[29] Н. Дубровин, История войны и владычества русских на Кавказе, т. IV, СПб., 1887.

[30] В. Потто, Утверждение русского владычества на Кавказе... т. I. Тиф., 1901; т. II, Тиф., 1902.

[31] В. Иваненко, Гражданское управление Закавказьем (Утверждение русского владычества на Кавказе, т. XII, Тиф., 1901); ვ. ივანენკოს შრომის ერთი ნაწილის ქართული თარგმანი სათაურით „რუსეთის დამყარება საქართველოში" დაიბეჭდა 1905 წელს.

[32] С. Эсадзе. Историческая записка об управлении Кавказом, т. I и т. II, Тиф., 1907.

[33] პ. გნილოსაროვი, დასახ. ნაშრ.

[34] პ. გნილოსაროვი, მეფე სოლომონ მეორეზე და მის დროს გამგეობასა ზედა (რუსულითგან თარგმანი მ. ყიფიანისა), „ცისკარი", 1859, No. 12, გვ. 347-354. 1860, No. 1, გვ. 69-113. [აქვე ჩართული ფურცელი გვარტომობის აღწერილობაა იმერეთის მეფის სახლობისა]; ამ თარგმანის ის ნაწილი, რომელიც ეხებოდა იმერეთის სამეფოს მართვა-გამგეობას სოლომონ მეორის დროს, 1900 წელს ხელახლა გამოაქვეყნა ცნობილმა მეცნიერმა ალ. ხახანაშვილმა გაზეთ „კვალში" (No. 24, გვ. 381-386), ხოლო ნაწყვეტები დაიბეჭდა ჟურნალ „მწყემსში", 1900 წ., No. 12, გვ. 9-11.

ინტენსიურად სწავლობდა ქვეყნის მდგომარეობას — მის ბუნებრივ სიმდიდრეებს, საწარმოო ძალებს, ეკონომიკურ შესაძლებლობებს, ვაჭრობა-აღებ-მიცემობისა და საქალაქო ცხოვრების განვითარების დონეს, მართვა-გამგეობის სისტემას, მოსახლეობის ზნე-ჩვეულებებს, პოლიტიკურ ვითარებას, მოსახლეობის განწყობილებას. ამ საქმეში ჩართული იყვნენ ადგილობრივი დიდებულებიც, რომლებიც ცარიზმის მხარეზე დადგნენ სოლომონ მეორის წინააღმდეგ ბრძოლაში. შეკრებილმა მასალამ თავი მოიყარა ჯერ იმერეთის დროებით მმართველობაში, ხოლო შემდეგ იგი გადაეცა ქუთაისის გუბერნიის კანცელარიას. კონკრეტული ფაქტების სიუხვე და სიზუსტე, რითაც ხასიათდება პ. გნილოსაროვის შრომები, მეტყველებს იმაზე, რომ ავტორის განკარგულებაში, სწორედ, ეს მასალა იყო.

იმერეთის დროებითი მმართველობის მოკლე დახასიათება მოცემულია კავკასიის გენერალური შტაბის შტაბს-კაპიტნის ლავრენტიევის მიერ შედგენილ ქუთაისის საგენერალ-გუბერნატორო სტატისტიკურ აღწერასა[35] და კავკასიის არქეოგრაფიული კომისიის მიერ გამოცემული დოკუმენტების საფუძველზე დაწერილ ნარკვევში, რომელიც მოთავსებულია ქუთაისის გუბერნიის შესახებ ცნობების კრებულის მე-6 გამოშვების პირველ ნაწილში.[36]

ოფიციალური ისტორიოგრაფიისაგან პრინციპულად განსხვავდება ივანე ჯავახიშვილის „Политическое и социальное движение в Грузии в XIX в."[37] და პროფ. ნ. დურნოვოს „Судьба Грузинской церкви"[38]. ივ. ჯავახიშვილის შრომაში დასმული და განხილულია XIX საუკუნის საქართველოს პოლიტიკური და სოციალური მოძრაობის ძირითადი საკითხები. მასში 1819-1820

---

[35] Лаврентьев, статистическое описание Кутаисского генерал-губернаторства, СПб., 1858.

[36] История присоединения Имеретии к Российской империи (по документам изданным Кавказской Археографической Комиссией); Сборник сведений о Кутаисской губернии, вып. 6, ч. I, Тиф., 1887.

[37] Прив.-доц. Джавахов, Политическое и социальное движение в Грузии в XIX в., СПб., 1906. Книгоиздательство «Сакартвело».

[38] Н. Дурново, Судьба Грузинской церкви, М., 1907. ამ შრომის ერთი ნაწილის ქართული თარგმანი გამოქვეყნდა ჟურნალ „განთიადში" (1990, No. 10). გამოიცა ცალკე წიგნად, თბ., 1995.

წლების აჯანყება დასავლეთ საქართველოში „საეკლესიო ბუნტად" კი არაა მიჩნეული, არამედ ფართო ხასიათის სახალხო მოძრაობად, რომელიც მიზნად ისახავდა იმერეთის დამოუკიდებელი სამეფოს აღდგენას.

რუსი პროფესორი ნ. დურნოვო თავის წიგნში მეცნიერული კეთილსინდისიერებითა და გასაოცარი ობიექტურობით გვიხატავს საერთოდ ქართული და მათ შორის, დასავლეთ საქართველოს ეკლესიის სავალალო მდგომარეობას რუსული მმართველობის დამყარების შემდეგ. გაბედულად ამხელდა ექზარქატისა და საქართველოში უწმინდესი სინოდის წარმომადგენელთა საქმიანობას, მათ მიერ ქართული ეკლესიის ძარცვის კონკრეტულ ფაქტებს.

საბჭოთა ხელისუფლების არსებობის წლებში, ქართველ მეცნიერთა ძირითადმა ნაწილმა მკაცრი იდეოლოგიური დიქტატურის პირობებშიც შეძლო, არ დაემახინჯებია სინამდვილე და XIX საუკუნის ისტორიული მოვლენებისათვის ობიექტური შეფასება მიეცა. მაგალითად, პროფ. შ. ჩხეტია ნახევარი საუკუნის წინ გამოქვეყნებულ შრომაში „რუსული მმართველობის სისტემა საქართველოში,"[39] იმერეთის დროებით მმართველობას ახასიათებდა, როგორც სამხედრო-საოკუპაციო რეჟიმს. რუსული მმართველობის კოლონიური არსი, იმერეთში გამოგზავნილ რუს მოხელეთა შოვინისტური და დიდმპყრობელური განწყობილება, კონკრეტული ფაქტების ანალიზის საფუძველზე, ნაჩვენებია ე. ორჯონიკიძის საყურადღებო ნარომში „რუსული მმართველობის დამყარება საქართველოში" (თბ., 1992). საინტერესოა, აგრეთვე, ი. სურგულაძისა[40] და შ. ვანიშვილის[41] ნაშრომები. ეს უკანასკნელი, მართალია, ეძღვნება რუსული მმართველობის სისტემას კავკასიაში 1864-1917 წლებში, მაგრამ გვიჩვენებს მის ისტორიულ ფესვებს და დაპყრობით მიზნებს. საქართველოს ისტორიის ნარკვევების მეოთხე ტომში[42] რუსული მმართველობის დამყარებას საერთოდ, დათმობილი აქვს ხუთი გვერდი, იმერეთს კი, ერთი აბზაცი. ამასთან ერ-

---

39 შ. ჩ ხ ე ტ ი ა, რუსული მმართველობის სისტემა საქართველოში... „ენიმ. კის" მოამბე, VIII, თბ., 1940.

40 И. С у р г у л а д з е, История государства и права Грузии, Тб., 1968.

41 შ. ვ ა ნ ი შ ვ ი ლ ი, ამიერკავკასია რუსეთის მმართველობის სისტემაში 1864-1917 წწ., თბ., 1989.

42 საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, თბ., 1973.

თად, უნდა აღინიშნოს ისიც, რომ იმავე ტომში პროფ. მ. დუმბაძე წერდა: „ქართლ-კახეთის სახელმწიფოს გაუქმების შემდეგ, იმერეთის სამეფოს დაპყრობა მეფის რუსეთის მიერ და იქ რუსული მმართველობის დამყარება, აგრეთვე, მორიგი მარცხი იყო ქართული სახელმწიფოებრიობის ისტორიაში. მოისპო ეროვნული სახელმწიფოს ეს უკანასკნელი გადმონაშთი[43], რომელიც ჯერ კიდევ ასულდგმულებდა დამოუკიდებლობის აღდგენისათვის მებრძოლ ძალებს და კვლავ აცოცხლებდა იმედს, რომ თვითმპყრობელური იმპერიის მიერ პატივაყრილი საქართველო თავის ძველ უფლებებს დაიბრუნებდა. 1810 წლის შემდეგ ქართველთა ბრძოლა თვითმყოფობისათვის შედარებით უფრო რთულ ფაზაში შევიდა“.[44] XX საუკუნის 70-იანი წლებისათვის ეს საკმაოდ თამამი ნათქვამი იყო.

XIX საუკუნის საქართველოს ისტორიისადმი მიძღვნილ, თითქმის, ყველა ნაშრომში (ალ. ბენდიანიშვილი[45], შ. ბურჯანაძე,[46] გ. გასვიანი,[47] მ. გონიკიშვილი,[48] დ. გოგოლაძე,[49] ა. კიკვიძე,[50] ნ. მახარაძე.[51] ფ. მახარაძე,[52] გ. ხაჭაპურიძე[53] და სხვ.) ამა თუ იმ

---

[43] რასაკვირველია, შეიძლებოდა უკეთესი ტერმინის შერჩევა. მაგალითად, გადმონაშთი კი არა — ქართული სახელმწიფოებრიობის უკანასკნელი საყრდენი.

[44] საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, თბ., 1973, გვ. 865-866.

[45] ა. ბ ე ნ დ ი ა ნ ი შ ვ ი ლ ი, ეროვნული საკითხი საქართველოში 1801-1921 წწ., თბ., 1980.

[46] შ. ბ ურ ჯ ა ნ ა ძ ე, თავადი ზურაბ წერეთელი, აკად. ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე XX—B., თბ., 1959, გვ. 177-189. მისივე. იმერეთის სამეფოს ურთიერთობა რუსეთთან სოლომონ მეორის დროს (1794-1810 წწ.), მაცნე, ისტორიის... სერია, 1967, No. 3..

[47] გ. გ ა ს ვ ი ა ნ ი, დასავლეთ საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური ვითარება და რუსეთთან შეერთება XVI—XIX სს., თბ., 1988.

[48] მ. გ ო ნ ი კ ი შ ვ ი ლ ი, იმერეთი XVIII-XIX საუკუნეთა მიჯნაზე, თბ., 1979.

[49] დ. გ ო გ ო ლ ა ძ ე, საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარება გვიანფეოდალურ ხანაში (საადგილმამულო ურთიერთობა)—1800-1864 წწ., თბ., 1971.

[50] ა. კ ი კ ვ ი ძ ე, საქართველოს ისტორია 1801-1890 წწ., თბ., 1977.

[51] Н. М а х а р а д з е, Восстание в Имеретии 1819-1820 гг., მსკი, 1942, ნაკ. I, თბ., 1942.

[52] Ф. М а х а р а д з е, Грузия в XIX столетии. Краткий исторический очерк, Тиф., 1933.

[53] გ. ხ ა ჭ ა პ ურ ი ძ ე, საქართველო XIX საუკუნის პირველ ნახევარში შრომები, ტ. II, თბ., 1958.

კუთხით განხილულია რუსეთის ჯარების მიერ იმერეთის დაპყრობისა და რუსული მმართველობის დამყარებასთან დაკავშირებული საკითხები. მათში გამოთქმულია ბევრი ანგარიშგასაწევი მოსაზრება, რომლებიც ჩვენს მიერ გათვალისწინებული, დამოწმებული და მითითებულია. საერთო ხასიათის შრომებიდან მაინც უნდა გამოვყოთ: ა. ფირცხალაიშვილის „Имеретия и Гурия в период 1804-1840 гг."[54], მ. დუმბაძის „დასავლეთ საქართველო XIX საუკუნის პირველ ნახევარში" და ნ. ბერძენიშვილის „საქართველო XIX საუკუნის პირველ მეოთხედში".

ა. ფირცხალაიშვილმა ყურადღება მიაქცია იმას, რომ დასავლეთ საქართველოს სამეფო-სამთავროები რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში შევიდნენ სადღესასწაულო და პირფერული ლამენტაციის გარეშე, რომლითაც ცარიზმი ცდილობდა შეენიღბა ქართლ-კახეთის სამეფოს ანექსია და რაც ასე თვალნათლივ გამოვლინდა ალექსანდრე პირველის 1801 წლის 12 სექტემბრის მანიფესტში. მან შეისწავლა იმერეთის სამეფოსა და გურიის სამთავროს ინკორპორაციის პროცესი და განიხილა იგი მახლობელ აღმოსავლეთში არსებულ საერთაშორისო ვითარებასთან მჭიდრო კავშირში.

მ. დუმბაძის ვრცელ მონოგრაფიაში, საქართველოს ისტორიის ფონზე, გაშუქებულია XIX საუკუნის დასავლეთ საქართველოს ძირითადი სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური მოვლენები, ნაჩვენებია სამეფო-სამთავროებისათვის დამახასიათებელი თავისებურებანი, წარმოჩენილია ნატურალური მეურნეობის დაშლის პროცესი. რაც შეეხება ნ. ბერძენიშვილის შრომას, ავტორი თვლიდა, რომ იგი დაუმთავრებელია და მის მიერ წინასწარ მოხაზული დიდი მონოგრაფიის მხოლოდ „შავია". მაგრამ ამ „დაუმთავრებელმა" შრომამ, რომელშიაც ნ. ბერძენიშვილისათვის დამახასიათებელი მეცნიერული სიღრმითაა დასმული და შეფასებული XIX საუკუნის პირველი მესამედის საქართველოს ისტორიის ძირითადი საკვანძო პრობლემები, უდიდესი დახმარება გაგვიწია. სწორედ, ამ შრომამ განსაზღვრა—XIX საუკუნის პირველი მესა-

---

[54] А. Пирцхалаишвили, Имеретия и Гурия в период 1804-1840 гг., მსკი, 1942, ნაკ. I, თბ., 1942.

მედის იმერეთში მიმდინარე ზოგი ისტორიული პროცესისათვის ნ. ბერძენიშვილის თვალით შეგვეხედა.

მართალია, საისტორიო ლიტერატურაში დამკვიდრებულია აზრი, რომ 1832 წლის შეთქმულებას არავითარი გამოხმაურება არ ჰქონია დასავლეთ საქართველოში და რასაც, თითქოს, ადასტურებს იმერეთის მმართველის, გენ. მაიორ პ. ვაკულსკის 1833 წლის 21 მარტის რაპორტი მთავარმართებელ ბარონ როზენისადმი, გ. გოზალიშვილის მიერ გამოცემულ მასალებზე დაყრდნობით, შევეცდებით ვაჩვენოთ—ლიხსაქეთური საზოგადოებრიობა სამშობლოს გათავისუფლების იდეისადმი გულგრილი არ დარჩენილა.[55]

იმერეთის დროებით მმართველობაზე საუბრისას, საჭიროა განისაზღვროს და შეფასდეს სოლომონ მეორის როლი საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში.

კავკასიაში რუსეთის ცარიზმს შამილის გამოჩენამდე, ყველაზე დიდი გართულებები, ალექსანდრე ბატონიშვილთან ერთად, სოლომონ მეორემ შეუქმნა. იგი არაჩვეულებრივი დაჟინებითა და ენერგიით ცდილობდა თავისი პატარა სამეფოს დამოუკიდებლობის დაცვას, რაც ქართული სახელმწიფოებრიობის გადარჩენისათვის ბრძოლას ნიშნავდა. ეს ძალზე აღიზიანებდა, როგორც სოლომონის თანამედროვე პოლიტიკოსებს, ასევე შოვინისტურად განწყობილ რუს ისტორიკოსებსაც. ამიტომ, ისინი სოლომონ მეორესა და მის მომხრეებს მკვეთრად უარყოფითად ახასიათებდნენ, რაც სავსებით გასაგებია. მაგრამ საქმე ისაა, რომ სოლომონ მეორეზე ქართველ ისტორიკოსთა შორისაც აზრთა სხვადასხვაობაა. მკვლევართა ერთი ნაწილი (შ. ბურჯანაძე, ს. კაკაბაძე, ა. კიკვიძე, გ. ხაჭაპურიძე და სხვ.) თვლის, რომ სოლომონ II პირადი ხელისუფლების შენარჩუნებისათვის იბრძოდა და რუსეთის წინააღმდეგ იგი თურქეთის ძალებს ემყარებოდა. ამრიგად, ი მ ე რ ე თ ი ს მ ე ფ ი ს ბ რ ძ ო ლ ა ი ყ ო რ ე ა ქ ც ი უ ლ ი[56] (ხაზგასმა ჩვენია, გ. ვ.). „1810 წლის აჯანყება იმერეთში, წერდა გ. ხაჭაპურიძე, რომელიც დაიწყო სოლომონ მეორემ და ფეოდალურმა დაჯგუფებამ რუსეთის წინააღმდეგ, სპარსეთსა და თურქეთთან კავშირში და მათი

---

[55] გ. გ ო ზ ა ლ ი შ ვ ი ლ ი, 1832 წლის შეთქმულება, ტ. I, ტფ., 1935; ტ. II, თბ., 1970; ტ. III, თბ., 1976.

[56] ა. კ ი კ ვ ი ძ ე, საქართველოს ისტორია (1801-1890), თბ., 1977, გვ. 71.

დახმარებით, რეაქციული იყო და ძირფესვიანად ეწინააღმდეგებოდა ქართველი ხალხის ინტერესებს."[57] კიდევ უფრო მკაცრია ს. კაკაბაძის შეფასება. მეცნიერის აზრით: „...სოლომონ მეორე და მისი უახლოესი მრჩევლები ანგარიშს არ უწევდნენ ძალთა აშკარა უთანასწორობას, რომ დაქვეითებულ და პატარა იმერეთს არ შეეძლო დიდ რუსეთთან ბრძოლა. ცხადი იყო, რომ მწვავე კონფლიქტის გამოწვევას შეიძლებოდა ჰქონოდა იმერეთისათვის უაღრესად საბედისწერო შედეგები. ასეთ პირობებში სოლომონ მეორის ჯიუტურმა მოქმედებამ მიიღო უპასუხისმგებლო ავანტიურის ხასიათი მთელი თავისი დამღუპველი შედეგებით იმერეთისათვის."[58] (ხაზგასმა ჩვენია, გ. ვ.).

მკვლევართა მეორე ნაწილის (ნ. ბერძენიშვილი, ალ. ბენდიანიშვილი, მ. გონიკიშვილი, მ. დუმბაძე, ე. ორჯონიკიძე, მ. რეხვიაშვილი და სხვ.) აზრით, იმერეთის მეფე დამოუკიდებლობისათვის (და არა ოსმალეთის ინტერესებისათვის) იბრძოდა. მ. დუმბაძე წერდა—„1810 წლის დიდი აჯანყება იმერეთში სოლომონ მეორის ხელმძღვანელობით, ფართო მასობრივ მოძრაობას წარმოადგენდა... კოლონიური ჩაგვრისა და ცარიზმის დამპყრობლური პოლიტიკის წინააღმდეგ ხალხის ბრძოლა მაშინ, მიუხედავად მისი პერსპექტივებისა, გამათავისუფლებელ ხასიათს ატარებდა და სამართლიანი იყო."[59] (ხაზგასმა ჩვენია, გ. ვ.).

ასეთივე მოსაზრება აქვს გამოთქმული საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ერთ-ერთ თვალსაჩინო მოღვაწეს გრ. ლორთქიფანიძეს: „ქართველი ხალხის რუსთაგან განთავისუფლების დროშა ხელში აიღო დასავლეთ საქართველომ სოლომონ მეფის მეთაურობით — წერდა იგი, მაგრამ საქართველოს მხოლოდ ერთი ნაწილი, სახელდობრ დასავლეთი, და ისიც შიგნიდან მოშლილი და გარეშე მტრების გავლენით დაგლეჯილი, უძლური შეიქმნა ამ დიდი საქმის წარმატებით წასაყვანად."[60]

ცნობილი მეცნიერის ალექსანდრე ხახანაშვილის დახასიათებით, სოლომონ მეორე „...გამსჭვალული იყო სიკეთე მოეტანა

---

57 გ. ხაჭაპურიძე, საქართველო XIX საუკუნის პირველ ნახევარში (ისტორიული ნარკვევი), ტ. II, გვ. 56.

58 ხ. კაკაბაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 382.

59 მ. დუმბაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 9-10.

60 გრ. ლორთქიფანიძე, ფიქრები საქართველოზე, თბ., 1995, გვ. 67.

ქვეყნისათვის და სამსახური გაეწია ხალხისათვის. თუმცა რუსული წყაროები სოლომონს ასურათებენ, როგორც სუსტი ხასიათის კაცს, ორგულსა და თავის მრჩეველთა ხელში სათამაშოს, ჩვენ მაინც საბუთი გვაქვს ვიფიქროთ, რომ იგი აღფრთოვანებული იყო საქვეყნო აზრით, გარემოებათა ვითარებას შეძლებისამებრ ებრძოდა, თვალთა საზარისი კარვად უჭრიდა და ძლიერ მოპირდაპირესთან შეტაკების შედეგი ნათლად წარმოდგენილი ჰქონდა. ამით აიხსნება ერთსა და იმავე დროს მისგან რუსებთან კავშირით შეკვრა და ოსმალეთთან მისვლა-მოსვლის გახშირება. ორ ცეცხლს შუა მყოფი მეფე გადაიხრიდა ხან ერთსა და ხან მეორე მხარეს, იმის მიხედვით, თუ საიდან გამოელოდა მეტს სიკეთესა და სარგებლობას. იგი ირყეოდა იმიტომ კი არა, რომ ხასიათის სიმტკიცე აკლდა, არამედ იმ მოსაზრებით, რომ დროთა ვითარების შესაფერს დასკვნას დასდგომოდა.

ნდობა და სიყვარული, რომელიც მოპოვებული ჰქონდა მას ხალხში ამტკიცებს, რომ იგი არ იყო, ჩვეულებრივი ბატონი, კერძო ინტერესით აღსავსე, — მას ხელმძღვანელობდა იმერეთის კეთილ-დღეობა, და თავის ძალ-ღონით, შეგნებით და მოუდრეკელობით ემსახურა მას სიცოცხლის უკანასკნელ დღემდის. დ ე დ ა-ა ზ რ ა დ მ ი ს ი ს მ ო ქ მ ე დ ებ ი ს ა შ ე ი ქ მ ნ ა ს უ რ ვ ი ლ ი დ ა მ ყ ა რ დ ე ს ძ ლ ი ე რ ი შ ე ე რ თ ებ უ ლ ი ს ა მ ე ფ ო დ ა-ს ა ვ ლ ე თ ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ი ს ა დ ა შ ე მ დ ე გ გ ა ნ მ ტ კ ი-ც ებ უ ლ ი ს წ ე ს-წ ყ ო ბ ი ლ ებ ი თ თ ა ვ ი ს ი გ ა ვ ლ ე ნ ა გ ა დ ა ი ტ ა ნ ო ს ა ღ მ ო ს ა ვ ლ ე თ ი ვ ე რ ი ა ზ ე დ ა ც.“[61] (ხაზგასმა ჩვენია, გ. ვ.).

ჩვენი აზრით, სოლომონ I-I რუსეთის ცარიზმის წინააღმდეგ ქართველი ხალხის ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთი პირველი ფუძემდებელი იყო.

XIX საუკუნის პირველი ნახევრის იმერეთში მიმდინარე ძირითადი პოლიტიკური მოვლენები (რუსეთის ჯარების მიერ იმერეთის დაპყრობა, სამეფოს გაუქმება და დროებითი მმართველობის დამყარება, სახალხო აჯანყება სოლომონ მეორის ხელმძღვანელობით) განხილულია ცნობილი ინგლისელი ქართველოლოგის დევიდ

---

[61] ა. ხ ა ხ ა ნ ა შ ვ ი ლ ი, იმერეთის მეფე სოლომონ მეორე, თფ., 1911, გვ. 77-78.

მარშალ ლანგის შრომებში.[62] დ. ლანგი კარგად იცნობდა საქართველოს ისტორიის შესახებ არსებულ წყაროებსა და ლიტერატურას, რაც მას საშუალებას აძლევდა ღრმად ჩაწვდომოდა ისტორიულ ფაქტებს და მათი ანალიზის საფუძველზე, სწორი დასკვნები გაეკეთებია. მკვლევარის სამართლიანი მტკიცებით, რუსეთის ასიმილატორული პოლიტიკა საქართველოს მიმართ, განსაკუთრებით მკაფიოდ აისახა დაპყრობილი ქვეყნის ადმინისტრაციულ მოწყობაში.

რუსული მმართველობა, მისი მოსამსახურე პერსონალის დაბალი კვალიფიკაციისა და მორალურ-ზნეობრივი დეგრადაციის გამო, აუტანელი ხდებოდა ადგილობრივი მოსახლეობისათვის და მას აჯანყებისაკენ უბიძგებდა.

ცნობილი ინგლისელი ისტორიკოსის უ. ალენის წიგნის „ქართველი ხალხის ისტორია"... მე-18 თავი ეძღვნება ქართული სამეფოს დასასრულს, რომელშიაც ავტორი მოგვითხრობს ცარიზმის მიერ იმერეთის დაპყრობისა და რუსული მმართველობის დამყარების შესახებ.[63] იმერეთის დაპყრობა ცალკე თავადაა გამოყოფილი ჯონ ფ. ბედლის შრომაში „რუსეთის მიერ კავკასიის დაპყრობა".[64]

1983 წელს პარიზში გამოვიდა ჩვენი თანამემამულის კალისტრატე სალიას „ქართველი ერის ისტორიის" ინგლისური თარგმანი.[65] მასში დაწვრილებითაა გადმოცემული იმერეთის სამეფოს გა-

---

[62] Lang David Marshall, A modern history of Georgia, London, Weidenfeld and Nicolson, 1962; მისივე, The Last Years of the Georgian monarchy 1658-1832, New-York, Columbia, 1957.

მისივე, A century of Russian Impact on Georgia.—In: Russian and Asia (Essays on the Influence of Russia on the Asian Peopies). Stanford, California, 1972, pp. 219-247.

[63] Allen W. E. D., A history of the Georgian people. From the begining down to the Russian conquest in the nineteenth century, London, 1971. გამოცემულია ორჯერ—1932 და 1971 წ.

[64] Baddeley John. F., The Russian conquest of the Caucasus. With maps, plans, London Longmann, Green and Co., 1908.

[65] Kalistrat Salia, History of the Georgian nation, Paris, 1983. დაიწერა და პირველად დაიბეჭდა ფრანგულ ენაზე 1980 წ. ამ მონუმენტური შრომის გამოცემას დიდი რეზონანსი მოჰყვა. ინგლისურად თარგმნა ცნობილმა ინგლისელმა ქართველოლოგმა ქეთრინ ვიეიენმა.

უქმებისა და რუსული მმართველობის წინააღმდეგ ქართველი ხალხის ბრძოლის ამბები. ავტორი ყურადღებას ამახვილებს იმაზე, რომ აჯანყების შიშით, რუსეთის მთავრობა იძულებული იყო ერთბაშად არ მოესპო ძველი მმართველობა და ახალი ხელისუფლება ადგილობრივი თავისებურებებისათვის შეეხამებია. ქვეთავში „1819-1820 წლების აჯანყება იმერეთსა და გურიაში" ნაჩვენებია, სახალხო მოძრაობის წინააღმდეგ დროებითი მმართველობის მიერ გატარებული ღონისძიებანი.

უცხოეთში დაიწერა და დაიბეჭდა პირველად (პარიზი, ბუენოს-აირესი) 20-იანი წლების ქართული ემიგრაციის თვალსაჩინო წარმომადგენლის—თამარ პაპავას ახლა საკმაოდ გახმაურებული წიგნი „დიდი სახეები პატარა ჩარჩოებში", რომელიც 90-იან წლებში რამდენჯერმე გამოიცა საქართველოში. სამშობლოსაგან შორს მყოფმა ავტორმა შეძლო მდიდარ ფაქტობრივ მასალაზე დაყრდნობით, შეექმნა ცარიზმის წინააღმდეგ, ეროვნული თავისუფლებისათვის თავდადებულ ქალთა მიმზიდველი პორტრეტები. მათ შორის, მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავთ მათ, ვინც დასავლეთ საქართველოში ებრძოდა რუს დამპყრობლებს.

იმერეთის სამეფოს არსებობის უკანასკნელ პერიოდსა და რუსული მმართველობის დამყარებასთან დაკავშირებულ ისტორიულ მოვლენებს ეძღვნება ქართულ პრესაში გამოქვეყნებული რამდენიმე სტატია, უპირატესად, ზეპირსიტყვიერების ნიმუშები. მაგალითად: „მეფის სოლომონის მეორის დრო (მოხუცების ნაამბობი)",[66] იმერეთის მეფის სოლომონის უკანასკნელი დღენი (ჩვენება ათონელი ბერის ილარიონ ქართველისა, რომელიც გარდაიცვალა ათონის მთაზე და ეს ამბავი უამბო სიკვდილის წინ თავის მოძღვარს გაბრიელ ბერს),[67] „იმერეთის უკანასკნელი მეფე სოლომონის ნაკვესი",[68] ილია ჭყონია, „იმერეთის უკანასკნელი მეფე სოლომონ II[69] და სხვ.

რუსეთის ჯარების მიერ იმერეთის სამეფოს დაპყრობითა და სოლომონ მეორის პიროვნებით დაინტერესდა რუსი მწერალი

---

[66] ჟურნალი „კრებული", 1873, No. 3.
[67] ი ქ ვ ე, 1872, No. 10-12; „მწყემსი", 1890, No. 10, 11, 13, 15, 16.
[68] გაზ. „ივერია", 1886, 19. III, No. 62.
[69] ი ქ ვ ე, 1886, 17. I, No. 12.

დანიელ ლუკას ძე მორდოვცევი (1830-1905). მის რომანში „მეფე სამეფოს გარეშე — იმერეთის სამეფოს უკანასკნელი დღეების ისტორიიდან“ („Царь без царства—из истории последних дней царства Имеретинского“) მოგვითხრობდა 1806-1810 წლების მოვლენების შესახებ იმერეთში. რომანი ეყრდნობა ნ. დუბროვინის ცნობილ შრომას „История войны и владычества русских на Кавказе“ (т. V) და მისგან აღებულია არამარტო ისტორიული ფაქტები, არამედ დიდმპყრობლური სულისკვეთებაც.

იმერეთის დროებითი მმართველობის ჩინოვნიკთა გონებრივი თვალსაწიერი და სულისკვეთება, კოლეგიის ასესორის—გერმან შტუბეს მაგალითზე, შესანიშნავადაა წარმოჩენილი ცნობილი მწერლის—სერგო კლდიაშვილის მოთხრობაში „ხაბარდიანი ქალიშვილი.[70] ეს მოთხრობა, რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, ერთადერთი მხატვრული ნაწარმოებია, რომელიც იმერეთის დროებითი მმართველობის თემას ეხება.

---

[70] ს. კ ლ დ ი ა შ ვ ი ლ ი, მოთხრობები, რომანები, თბ., 1985, გვ. 107-129.

თავი პირველი

იმერეთის სამეფო რუსული მმართველობის დამყარების წინ (ზოგადი მიმოხილვა)

1. საზღვრები, ტერიტორია და მოსახლეობა — იმერეთის სამეფოს საბოლოოდ ჩამოყალიბება დასრულდა XV საუკუნის 60-80-იან წლებში, საქართველოს ერთიანი სახელმწიფოს პოლიტიკური დაშლის შედეგად. თავდაპირველად, იგი მთელ დასავლეთ საქართველოს მოიცავდა, მაგრამ შემდეგ მას გამოეყვნენ და დამოუკიდებელ სამთავროებად გაფორმდნენ: სამეგრელოს (ოდიშის), გურიის, აფხაზეთის და სვანეთის სამთავროები. XVIII საუკუნის მეორე ნახევარსა და XIX საუკუნის დასაწყისში, იმერეთის სამეფოს პოლიტიკური საზღვრები ასე გამოიყურებოდა: ჩრდილოეთით — საზღვარი გაჰყვებოდა კავკასიონს (სვანეთი საზღვრებს გარეთ რჩებოდა), დასავლეთით — ცხენისწყლის ხეობას (ლეჩხუმი საზღვარს გარეთ იყო), შემდეგ სასაზღვრო ხაზი გადადიოდა ცხენისწყლის მარჯვენა მხარეს და გადაჰკვეთდა რიონს; სამხრეთით—საზღვარი გასდევდა ჯერ საჯავახოს ქედს, ხოლო შემდეგ ფერსათის ქედს, ვიდრე ვახანამდე, რომელიც იმერეთში იყო მოქცეული, აღმოსავლეთით—იმერეთისა და ქართლის საზღვარს ლიხის ქედი წარმოადგენდა[1].

იმერეთის სამეფოს აღმოსავლეთი საზღვარი (იმერეთ-ქართლის) ხშირ ცვლილებას განიცდიდა, რაზედაც მეტყველებს სტ. ბურნაშოვის მიერ 1783 წელს შედგენილი ერთი რუკა. მასზე დატანილია ის გზები და გადასასვლელები, რომლებზედაც ლაშქრობის დროს ჯარის გატარება იქნებოდა შესაძლებელი. ამ რუკის მიხედვით, ქართლშია სოფლები: ვახანი, ჩრდილი, ნებოძირი და

[1] ს.ცსსა, ფ. 1087, აღწ. 2, საქ. 228; თ. ბერაძე, გ. ცქიტიშვილი, იმერეთის სამეფოს პოლიტიკური საზღვრები, საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული, ტ. IV, თბ., 1971, გვ. 50-51.

წიფა. იმერეთის აღმოსავლეთი საზღვარი (სასაზღვრო ხაზს აწერია: „იმერეთის დროებითი საზღვარი") მთლიანად ლიხის ქედს გაჰყვებოდა ისე, რომ დასახელებული პუნქტები იმერეთში ექცეოდა. ჩანს ეს ტერიტორია სადაო ყოფილა იმერეთისა და ქართლის სამეფოებს შორის[2].

აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ იმერეთ-ქართლის საზღვარი ციხეებით ჩაკეტილი არ ყოფილა. ამ საზღვარზე მნიშვნელოვანი ციხეებია: ადრეფეოდალური ხანის ვახანის და ვეიანფეოდალური ხანის დასაწყისის—სარაგაულის და ჩხერის ციხეები. სხვა ციხეკოშკები ლეკთა შემოსევებს უწევდნენ წინააღმდეგობას. ცვლილებები იმერეთ-ქართლის საზღვარზე, ადგილ-მამულების ცალკეულ ფეოდალთა ხელიდან ხელში გადასვლასთან იყო დაკავშირებული. რაც შეეხება სამხრეთ საზღვარს, რომელიც ფერსათის მთებზე გადადიოდა, აქ თითქმის ყოველი ვადასასვლელი, ოსმალთა და ლეკთა ხშირი შემოსევების საშიშროების გამო, ციხეებით იყო ჩაკეტილი. გვიანფეოდალური ხანის ციხეები იდგა: ვანში, ფარცხნალში, ხონში, კვალითში, სვირში, ბაღდადში და სხვ.

საერთოდ, შეიძლება ითქვას, რომ იმერეთის სამეფოს პოლიტიკურ საზღვრებს XVIII საუკუნის მეორე ნახევარსა და XIX საუკუნის დასაწყისში მნიშვნელოვანი ცვლილებები არ განუცდია.

იმერეთის სამეფოს ტერიტორია 1817 წლის მონაცემებით, 7890 კვადრატულ ვერსს შეადგენდა[3]. მისი ძირითადი ნაწილი მთაგორიანი იყო, დაბლობს მხოლოდ 1/6 ეჭირა. მთებისა და დაბლობების დიდი ნაწილი ხშირი და გაუვალი ტყეებით იყო დაფარული. იმერეთის რთული რელიეფის გამო, კავშირი ცალკეულ მხარეებს შორის ძნელადგასავლელი გზებით, უმეტეს შემთხვევაში, ვიწრო ბილიკებით ხორციელდებოდა.

იმერეთის მოსახლეობა ამ პერიოდში საკმაოდ მიახლოებით შეიძლება განისაზღვროს. 1819 წელს შედგენილი ერთი დოკუმენტის მიხედვით, 1782 წელს იმერეთის სამეფოში 18.980 კომლი ცხოვრობდა. იქვე მითითებულია, რომ ამჟამად (ე. ი. 1819 წელს)

---

[2] თ. ბერაძე, გ. ცქიტიშვილი, იმერეთის სამეფოს პოლიტიკური საზღვრები, გვ. 51.

[3] ეს ცნობა ეკუთვნის რუსეთის საიმპერატორო ამალის კვარტირმეისტერშტაბსკაპიტან ენგოლმს. Энгольм, Краткое обозрение Имеретии, Гурии, Мингрелии и Абхазии, Тиф., 1817; Акты..., т. II, с. 497.

იმერეთის მოსახლეობა 12.730 კომლს შეადგენსო[4]. ამავე წყაროს ემყარება ო. ევეცკი, რომელსაც იგივე ციფრები მოაქვს 1782 და 1817 წლებისათვის.[5] იმერეთის მოსახლეობას ამავე რაოდენობით განსაზღვრავენ ფრანგი ავტორები: ჟაკ გამბა და დიუბუა დე მონპერე.[6]

ს. კაკაბაძის აზრით, XVIII საუკუნის 80-იან წლებში, იმერეთის მოსახლეობის რაოდენობის შესახებ ზემოთ მოტანილი ცნობა სარწმუნოა, რასაც ადასტურებს გერმანელი ავტორის მონაცემებიც. რეინეგსის მიხედვით, მის დროს (ე. ი. 1785 წლის ახლო ხანებში) იმერეთის მოსასლეობა 19-20 ათას კომლს შეადგენდა. ს. კაკაბაძეს, რეინეგსის დასახელებული ორი ციფრიდან, იმერეთის მოსახლეობის რაოდენობის მაჩვენებლად, უფრო სწორი 19 ათასი კომლი მიაჩნდა.[7] მისივე აზრით, 1790-1805 წლებში იმერეთის მოსახლეობა თვალსაჩინოდ არ გაზრდილა. მართალია, ტყვეთა სყიდვა აკრძალული იყო, რამაც კეთილისმყოფელი გავლენა მოახდინა მოსახლეობის ზრდაზე, მაგრამ მასვე დიდი ზიანი მოუტანა დავით გიორგის ძისა და სოლომონ მეორეს შორის ტახტისათვის წარმოებულმა ბრძოლამ (1789-1795 წწ.). რუსეთის მთავრობის წარმომადგენელს იმერეთში ა. სოკოლოვს 1802 წელს თავადებმა განუცხადეს, რომ დავით გიორგის ძე სამჯერ დაესხა თავს იმერეთს ოსმალეთისა და ლეკების ჯარით. ამ თავდასხმების დროს ტყვედ წაასხეს 17 ათასი კაცი, რომლებიც შემდეგ აზიის სხვადასხვა ადგილებში დაყიდესო.[8] ეს ციფრი შეიძლება გადაჭარბებული იყოს,

---

[4] ს. კ ა კ ა ბ ა ძ ე, მასალები იმერეთის სახელმწიფოებრივ მდგომარეობის შესახებ XVII საუკუნეში, საისტორიო მოამბე, წიგნი I, ტფ., 1925, გვ. 193; ვ. ჯაოშვილი, საქართველოს მოსახლეობა XIX ს-ის რეფორმამდელ პერიოდში, მაცნე, ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიის და ხელოვნების ისტორიის სერია, თბ., 1975, No. 4, გვ. 52.

[5] O. E v e c k i i, Статистическое описание Закавказского края, СПб., 1835, с. 157.

[6] ჟაკ გამბა, მოგზაურობა კავკასიაში, ფრანგულიდან თარგმნა, კომენტარები დაურთო მზია მგალობლიშვილმა, თბ., 1987, გვ. 214; დიუბუა..., მოგზაურობა კავკასიის გარშემო, პარიზი, 1839, ტ. VII, გვ. 263-286 (ფრანგულ ენაზე).

[7] ს. კ ა კ ა ბ ა ძ ე, დასახ. ნაშრ., გვ. 194.

[8] A. S o k o l o v, Путешествие мое в Имеретию с линии Кавказской, мое там у царя пребывание, с ним сношение и обратное оттуда путешествие в Грузию, М., 1874, с. 54.

მაგრამ ერთი ცხადია — სოლომონ პირველის გარდაცვალების შემდეგ ატეხილმა შინაომმა გარკვეული ზიანი მიაყენა იმერეთის მოსახლეობის რაოდენობრივ ზრდას.

მხედველობაში უნდა მივიღოთ ისიც, რომ XVIII საუკუნის დასასრულისათვის იმერეთის სამეფოს შემადგენლობაში აღარ შედიოდა ლეჩხუმი (რომელიც სამეგრელოს „თავარს ემორჩილებოდა") და ვახანის მხარე (რომელიც ქართლის მფლობელობაში გადავიდა). ს. კაკაბაძის გამოანგარიშებით, ლეჩხუმში ამ დროს 1.800 კომლი, ხოლო ვახანის მხარეში 1.000 კომლზე მეტი იყო. ასე, რომ XVIII საუკუნის II ნახევრისათვის იმერეთის მოსახლეობა 22 ათასი კომლით შეიძლება განისაზღვროს. დაახლოებით, კომლთა ასეთ რიცხვს ასახელებს ვ. ჯაოშვილი, რომელიც იმერეთის მოსახლეობას ანგარიშობს საქართველოს მოსახლეობასთან შეფარდებით. „ასეთი შეფარდების დროს,—წერს იგი, 1800 წელს, საკუთრივ, იმერეთის მოსახლეობა იქნებოდა 18.4 ათასი კომლი, რაჭასთან ერთად კი, 22,8 ათასი კომლი."[9] მოსახლეობის რაოდენობის ეამოთვლისათვის საჭიროა განისაზღვროს კომლის საშუალო სულადობრივი შემადგენლობა. ამ საკითხზე კი მაშინდელ წყაროებში აზრთა მკვეთრი სხვადასხვაობაა. მათი ურთიერთშეჯერების საფუძველზე, ვ. ჯაოშვილი თვლის, რომ იმერეთის სამეფოში რუსეთთან შეერთების წინ, ერთ კომლზე საშუალოდ ექვსი სული უნდა ვივარაუდოთ. ასეთი გამოანგარიშების შედეგად, იმერეთის სამეფოში XVIII საუკუნის II ნახევარსა და XIX საუკუნის დასაწყისში 159.930 მცხოვრები იყო.

2. სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა—XVIII-XIX საუკუნეების მიჯნაზე ფეოდალური შინაომების შენელებამ, სამეფო ხელისუფლების განმტკიცებამ, თურქთა გამუდმებული თავდასხმების ალაგმვამ და ფეოდალური საზოგადოების საშინელი სოციალური სენის—„ტყვეთა სყიდვის" აკრძალვამ, ხელსაყრელი პირობები შექმნა საწარმოო ძალთა განვითარებისათვის. ქვეყანა, მართალია, ნელა, მაგრამ მაინც, თანდათანობით, ეკონომიკურად ფეხზე დგებოდა. სამეურნეო აღმავლობა, პირველ რიგში, გამოიხატებოდა გა-

[9] ვ. ჯ ა ო შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 53-54.

პარტასებულია დაბა-სოფლების მოშენებით, საძოვრად ქცეული ბაღ-ვენახების აღდგენით, ხელოსნობის, შინამრეწველობისა და ვაჭრობის გამოცოცხლებით.

სოფლის მეურნეობის ძირითად დარგს იმერეთის ბარში ისე, როგორც წინა საუკუნეებში, ახლაც მარცვლეულის წარმოება შეადგენდა. მარცვლეული კულტურებიდან მნიშვნელოვანი ადგილი ღომს ეკავა.[10] ეს კარგად ჩანს გლეხთა საბეგრო ნუსხებიდან. ფეოდალთა სასარგებლოდ ყმა გლეხთა გამოსაღებში პირველი ადგილი ღომს ეკავა.[11]

XVII საუკუნის II ნახევრიდან დასავლეთ საქართველოში სიმინდის კულტურა შემოდის, რამაც მკვეთრად შეამცირა ღომისა და ხორბლეულის ნათესები. მან იმერელი გლეხის მეურნეობაში წამყვანი ადგილი დაიკავა. სიმინდის სწრაფად გავრცელებას ხელი შეუწყო იმანაც, რომ იგი XVIII საუკუნეშივე საექსპორტო საქონლად იქცა. სიმინდი დასავლეთ საქართველოდან დიდი რაოდენობით გაჰქონდათ უცხოეთში, უმთავრესად, თურქეთსა და ევროპაში.

იმერეთში ისე, როგორც მთელ საქართველოში—„ვაზისა და ღვინის კლასიკურ ქვეყანაში", მევენახეობას განსაკუთრებული ადგილი ეკავა. ვენახზე იყო დამოკიდებული, ძირითადად, გლეხის ეკონომიკური კეთილდღეობა. თუ გლეხს ვენახი არ ჰქონდა, იგი ბოგანად ითვლებოდა. ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნში ნათქვამია: „ბოგანო ამას ჰქვიან, რომე ვენახი არა ჰქონდეს... ვენახის მქონე გლეხს ბოგანო არა ჰქვიან, რაგინდ სხვა მამული ნაკლები ჰქონდეს".[12] ვენახი, ვაზის კარგად მოვლა და ძაღალხარისხოვანი ღვინის დაყენება გლეხის არა მარტო ქონებრივი შესაძლებლობის, არამედ ღირსების მაჩვენებელიც იყო. უკვდავი ილიას აზრით, დიდია „ქონებრივი და ზნეობრივი ღირსება ვენახისა". ამით აიხსნება

---

[10] პ. გუგუშვილი, მარცელეულის მეურნეობა საქართველოსა და ამიერკავკასიაში, თბ., 1954, გვ. 4,55; ღომის კულტურას დასავლეთ საქართველოში სპეციალური ნაშრომი მიუძღვნა ჯ. რუხაძემ, იხ. მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, II, თბ., 1960, გვ. 75-91.

[11] ს. კაკაბაძე, დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები, წიგნი II, ტფ., 1921, გვ. 125-138; ს. კაკაბაძე, მასალები დასავლეთ საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური ისტორიისათვის, საისტორიო კრებული, I, ტფ., 1924, გვ. 27.

[12] ვახტანგ VI, სამართლის წიგნი, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა თ. ენუქიძემ, თბ., 1955 გვ., 76-77 (მუხლი მე-100).

ქართველი ხალხის მტრების სიძულვილი ვენახისადმი. ისინი, ისევე დაუნდობლად ებრძოდნენ ბაღ-ვენახებს, როგორც საშობლოს ერთგულ დამცველ ქართველ ვაჟკაცებს.

XVIII საუკუნის II ნახევარში, როდესაც ქვეყნის ეკონომიკური აღორძინება მიმდინარეობდა, განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა აჩეხილი ბაღ-ვენახების ხელახლა მოშენებას. იმერელი გლეხის ფეოდალური ვალდებულებების ერთ-ერთ ძირითად სახედ კვლავ ღვინის გადასახადი რჩებოდა. საბეგრო დავთრებში აღრიცხულ გლეხთა შორის იშვიათია ისეთი გლეხი, რომელსაც ღვინის გამოსაღები არ მართებოდეს. კიდევ უფრო მეტი, ღვინის ბეგარა, თითქმის, ყოველთვის პირველადაა დასახელებული, ხოლო შეწირულების წიგნებში „სახლ-კარის" შემდეგ „ჭურ-მარანია" მითითებული, ასევე „საყანისა" და „სათიბის" წინ „ვენახი". იმერეთში მევენახეობის ფართოდ გავრცელებაზე მიუთითებს ის გარემოებაც, რომ გადარჩენილი ყურძნის ჯიშსახესხვაობათა შორის იმერეთში აღნიშნულია 42 ჯიშზე მეტი.[13]

მემინდვრეობისა და მევენახეობის გვერდით, სოფლის მეურნეობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან დარგს მებაღეობა-მებოსტნეობა წარმოადგენდა. ტექნიკური კულტურებიდან მოჰყავდათ: სელი, კანაფი, ბამბა და სხვ. იმერელ გლეხთა ბეგარაში ხშირადაა დასახელებული „შულო ბამბის ნართი", „სელი სანთლის გულად" და სხვ.[14] საბეგრო ნუსხებში დასახელებულია, აგრეთვე, სელისა და კანაფის ნაწარმი. ცხადია, ყოველივე ამას გლეხი თავის მეურნეობაში მოყვანილი ბამბის, სელის და კანაფისაგან ამზადებდა.

მთიან რაიონებში მეურნეობის ერთ-ერთი წამყვანი დარგი მესაქონლეობა იყო, თუმცა პირუტყვი ბარშიაც ბევრი ჰყავდათ.

იმერელი გლეხის მეურნეობაში მნიშვნელოვან როლს თამაშობდა, აგრეთვე, მეფრინველეობა, მეთევზეობა, მეფუტკრეობა და მონადირეობა. მეფრინველეობიდან, საგადასახადო ნუსხების მიხედ-

---

[13] ი ვ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს ეკონომიკური ისტორია, თხზ. ტ. V, თბ., 1986, გვ. 441-454.

[14] ს. კ ა კ ა ბ ა ძ ე, დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები, წიგნი II, ,.Ჩ. გვ. 22-23 და ა. შ.

ვით, ყველაზე მეტად გავრცელებული ჩანს ქათამი. საკმაოდ დიდი იყო, აგრეთვე, კვერცხის ბეგარა.[15]

ფართოდ იყო გავრცელებული მეფუტკრეობა, განსაკუთრებით, მდ. ხანის ზედა ნაწილში[16] და მეაბრეშუმეობა, რაც გლეხის მეურნეობის ერთ-ერთ წამყვან დარგს წარმოადგენდა. მეაბრეშუმეობა გლეხის ბიუჯეტის, მისი ფულადი შემოსავლის ძირითად წყაროს შეადგენდა.

XVIII საუკუნის II ნახევარში სასოფლო-სამეურნეო ტექნიკაში რაიმე შესამჩნევი ცვლილებები არ მომხდარა. ძირითადად, სახნავ იარაღს პრიმიტიულად მოწყობილი კავი წარმოადგენდა.[17] აღმოსავლური ქართული გუთანი, რომელშიაც რამდენიმე ხარ-კამეჩი იყო შებმული, დასავლეთ საქართველოს პირობებისათვის შეუფერებელი აღმოჩნდა. იმერეთში ახალი გუთნის შემოტანის ცდის მარცხმა დაასაბუთა, რომ კავი სავსებით შეეფერებოდა იმერეთის სამეურნეო პირობებს.[18]

გამოიყენებოდა აგრეთვე, თოხი, ბარი, ცული, წალდი, წერაქვი, ფარცხი, კევრი და სხვ.

ძირითადი გამწევი ძალა ხარი და კამეჩი იყო, ცხენი კი სატრანსპორტო საშუალებას წარმოადგენდა. გიულდენშტედტი წერდა: „სახლის პატრონს ერთი ან ორი ცხენი ჰყავს ხოლმე სასიარულოდ და უღელი რქოსანი სახნავად“.[19]

ტრანსპორტის ძირითადი სახეობა იყო ურემი, რომელშიაც ხარებს ან კამეჩებს აბამდნენ. ურმის რამდენიმე სახე არსებობდა—

---

[15] ნ. ბერძენიშვილის სახ. ქუთაისის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი, ხელნაწერთა განყოფილება, საბ. No. 1695, ს. კაკაბაძე, მასალები საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური ისტორიისათვის, საისტორიო კრებული, I, ტფ., 1924, გვ. 9-20, 27, ს. კაკაბაძე, დასავლეთ საქართველოს საეკლ. საბუთები, წიგნი II, გვ. 133-138.

[16] ა. რობაქიძე, მეფუტკრეობის ისტორიისათვის, თბ., 1960, გვ. 117.

[17] გ. ჩიტაია, რაჭული სახვნელი, ენიმკის მოამბე, I, თბ., 1957, გვ. 247-291. მისივე, მასალები საქართველოს სახვნელი იარაღების ისტორიისათვის, საქ. მუზეუმის მოამბე, V, თბ., 1930, გვ. 269-286 და სხვ.

[18] საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, თბ., 1973, გვ. 571; პ. გუგუშვილი, მიწათმოქმედების გაუმჯობესებული იარაღები საბჭოთამდელ ამიერკავკასიაში, ეკონომიკური ინსტ. შრომები, II, თბ., 1947, გვ. 5.

[19] გიულდენშტედტი, დასახ. ნაშრ., გვ. 157.

ბარის და შედარებით პატარა, რომელიც ტვირთსაზიდად გამოიყენებოდა მთაგორიან ადგილებში, ვიწრო და დაქანებულ გზებზე.

ფეოდალურ ურთიერთობათა ბატონობისათვის დამახასიათებელია შინამრეწველობისა და ხელოსნობის განვითარების გარკვეული ღონე. იმერეთის სამეფოში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა სოფლის მეურნეობის იარაღების დამზადებას (სახნისი, თოხი, ბარი, ცული, ნამგალი). კავის გამოთლა თითქმის ყველა გლეხს შეეძლო, სოლო სახნისი ან წალდი სპეციალისტ-ხელოსანს — მჭედელს უნდა დაემზადებინა. ამიტომ ხელოსნობის ერთ-ერთი გაავრცელებული დარგი მჭედლობა იყო.

დასავლეთ საქართველოში რკინის დამუშავებას მრავალსაუკუნოვანი ტრადიციები ჰქონდა. ეს ტრადიციები თაობიდან თაობაზე გადადიოდა და მას, როგორც შრომისა და ბრძოლის იარაღების დამზადების ერთ-ერთ აუცილებელ პირობას, ყოველთვის დიდი ყურადღება ექცეოდა.

რკინის მოპოვება და დამუშავება, განსაკუთრებით, ფართოდ ყოფილა გავრცელებული ოკრიბაში. ამიტომ ოკრიბელ გლეხებს რკინის გამოსაღები ედოთ. ფინა მხეიძის შეწირულების წიგნში, რომელიც XVIII საუკუნეშია შედგენილი, ნათქვამია: „სამოურავო მოსაკრებელი ემართა ოკრიბას“.[20]

ფართოდ ყოფილა გავრცელებული, აგრეთვე, ხის დამუშავება, მეჭურჭლეობა (თიხის ჭურჭლის დამზადება), წნულის წარმოება (კალათების, გოდრების, ჭილოფის და სხვ.), კირის გამოწვა, რძის გადამუშავება, სანთლის ჩამოქნა და სხვ. მზადდებოდა სოფლის წამალი და საჩახმახე კაჟის ქვა.

იმერეთის სამეფოს შინაწარმოებაში მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა გიშრის წარმოებას, რასაც საფუძვლად ედო ნედლეულის მდიდარი საბადოების არსებობა. ამ მხრივ, აღსანიშნავი იყო ოკრიბის სოფლები: ძიროვანი, გელათი, კურსები, ტყიბული, ცუცხვათი და სხვ. ოკრიბაში სახნავ-სათესი მიწების დიდი სიმცირის გამო, მოსახლეობას მარტო მიწათმოქმედებით არ შეეძლო არსებობა. ამიტომ თავიდანვე გავრცელდა ხელოსნობის სხვადასხვა დარგები — ქვითხუროობა, მელითონეობა, გიშრის წარმოება და ა. შ., რასაც ხელს უწყობდა ბუნებრივი პირობებიც. ოკრიბა — ღარიბი სახნავ-

---

20 ს. კ ა კ ა ბ ა ძ ე, დას. საქ. საეკლ. საბ., წიგ. I, გვ. 100.

სათესი მიწებით, მდიდარი იყო წიაღისეულით. XIX საუკუნის დასაწყისიდან გიშრის წარმოება იმდენად გაფართოვდა, რომ გიშრისაგან დამზადებული ნივთები საექსპორტო საქონლად იქცა.

შინამრეწველობის ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული დარგი საფეიქრო წარმოება იყო. გლეხურ მეურნეობაში მოყვანილი სელის, ბამბისა და აბრეშუმისაგან ამზადებდნენ ქსოვილებს, როგორც პირადი მოხმარებისათვის ასევე გასასყიდადაც. საფეიქრო წარმოებასთან მჭიდროდ იყო დაკავშირებული სამღებრო საქმე. ჩვეულებრივ, ქსოვილისა და ძაფის შეღებვა იმავე გლეხის ოჯახში ხდებოდა, სადაც ისინი მზადდებოდა. მაგრამ არსებობად სპეციალური სამღებროებიც. XVIII საუკუნის II ნახევარსა და XIX საუკუნის დასაწყისში ღებვა და სამღებროთა გამართვა იმერეთის სამეფოში სარფიანი საქმე ჩანს.[21]

შინამრეწველობისა და ხელოსნობის სხვა დარგებიდან საბუთებში დასახელებულია: მკერვალი, ხაბაზი, კუპრიელის მკეთებელი და ა. შ.

შინამრეწველობისა და ხელოსნობის გვერდით, XVIII-XIX საუკუნეთა მიჯნაზე, იმერეთის სამეფოში საქონელწარმოება და საქონელმიმოქცევაც არსებობდა. ვაჭრობისა და გაცვლა-გამოცვლისათვის, ჩვეულებრივ, იმართებოდა ბაზრობები, რომელთაც სხვაგვარად იარმურკობა ან ქალაქობა ეწოდებოდა. საკმაოდ ხალხმრავალი ბაზრობები იმართებოდა პარასკევობით და კვირაობით. გარდა ყოველკვირეულისა, ეწყობოდა სადღესასწაულო ბაზრობები, ე. წ., „იარმუკები", რაც ზოგჯერ ერთ ან ორ კვირასაც ვრძელდებოდა. მათზე თავს იყრიდნენ წვრილი მწარმოებლები და ხელოსნები, რომლებიც თავიანთ ნაწარმს ჰყიდდნენ, უმეტეს შემთხვევაში, კი ცვლიდნენ. გაცვლას ჯერ კიდევ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, ფულის როლი კი შედარებით მცირე იყო.

იმერეთის სამეფოს სავაჭრო პუნქტებს წარმოადგენდნენ: ქუთაისი, ხონი, ჩხარი, შორაპანი, საჩხერე, ტყაჩირი, ბაღდათი, ცუცხვათი და სხვ. მათ შორის, ქუთაისის შემდეგ გამოირჩეოდა ხონი. აქ ყოველკვირეული ბაზრობა პარასკეობით იმართებოდა. ახლომახლო მდებარე სოფლებიდან გლეხებს გასასყიდად შემოჰქონდათ:

---

[21] ნ. ბერძენიშვილი, სამღებროთა შესახებ XVIII ს.-ის საქართველოში, საქართველოს ისტორიის საკითხები, წიგ. IV თბ., 1967, გვ. 309-351.

ღომი, ღვინო, ცვილი, კვერცხი, შემოჰყავდათ პირუტყვი და შინაური ფრინველი. დიდი რაოდენობით შემოდიოდა, აგრეთვე, შინამრეწველობის ნაწარმი. XVIII საუკუნის 70-იან წლებში (1772 წლის აგვისტო) გიულდენშტედტი ხონის ბაზრობას დაესწრო და მისი დაწვრილებითი აღწერა დაგვიტოვა. მას აქ უნახავს სამეგრელოდან, რაჭა-ლეჩხუმიდან და საქართველოს სხვადასხვა მხარეებიდან სავაჭროდ ჩამოსული პირები. ბაზარზე გამოტანილ საქონელს შორის იყი, პირველ რიგში, ასახელებს შინამრეწველობის პროდუქციას, თბილისში დამზადებულ ქსოვილს, ევროპულ მაუდს, ყირიმის მარილს, სალიანის თევზს, სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებს, პირუტყვს. ხონის ბაზარზე ჩამოსულ პირთა სადაურობა ნათლად გვიჩვენებს, როგორ იზრდებოდა პოლიტიკური დაქუცმაცებულობის პირობებშიც ეკონომიკური კავშირურთიერთობა საქართველოს ცალკეულ მხარეებს შორის.

სოლომონ I და მისი მემკვიდრეები საგანგებო ღონისძიებებს ატარებდნენ აღებ-მიცემობისა და ვაჭრობის განვითარებისათვის. გიულდენშტედტი წერდა: „ანტორია (სოფელია ოკრიბაში, გ. ვ.) დასახლებულია ორმოცდაათი ებრაული ოჯახით, რომელიც აქ ერთად გადმოასახლეს რამდენიმე წლის წინათ სხვადასხვა სოფლებიდან, რომლებშიც ისინი გაფანტულად ცხოვრობდნენ ...ანტორიაში ყველა პარასკევს ბაზრობა იცის.“[22] ცხადია, ებრაელების ერთად თავმოყრა მიზნად ისახავდა ვაჭრობისათვის ხელის შეწყობას იმერეთში. ასეთი მაგალითები ერთეული არ ყოფილა.

იმერეთის ადგილობრივი ბაზრების დასახასიათებლად, საინტერესო მასალებს იძლევა სოლომონ მეორის მიერ 1808 წელს გამოშვებული ნიხრი, რომლითაც სამეფო ხელისუფლება ცდილობდა გასასყიდი ფასების რეგლამენტაციას.[23] სოლომონ მეორის სიტყვებით, ეს ნიხრი გამოიცა „მოსახლეობის კეთილდღეობისათვის და ვაჭართა ბოროტმოქმედების ასალაგმავად“. ნიხრში აღნიშნული იყო, რომ ხალხს, განსაკუთრებით, „შეჭირვებულებსა და გლახაკებს“ ხელმისაწვდომ ფასებში საჭირო საგნების შეძენა არ შეეძლოთ. ამიტომ ნიხრი აწესებდა შემზღუდველ ფასებს. ნიხრის დარ-

---

[22] გიულდენშტედტი,... გვ. 135.

[23] მასალები საქართველოს ეკონომიკური ისტორიისათვის, გამოსცა ნ. ბერძენიშვილმა თბ., 1938, გვ. 261-262.

ღვევისათვის დაწესებული იყო ჯარიმა 100 მარჩილის ოდენობით, რაც მაშინ საკმაოდ მოზრდილ თანხას წარმოადგენდა (ერთი ძროსა 12 მარჩილი ფასობდა)[24].

იმერეთს სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობა ჰქონდა საქართველოს სხვა სამეფო-სამთავროებთან. XVIII საუკუნის II ნახევარში იმერეთის სამეფოსა და ქართლს შორის ვაჭრობას ისე ფართო ხასიათი ჰქონდა რომ იმერეთიდან გორში შესასვლელ გზას „იმერეთის ჭიშკარი" ეწოდებოდა[25].

იმერეთის სამეფო ჩაბმული იყო საგარეო ვაჭრობაშიც, რომლის ერთ-ერთ ძირითად ცენტრს ქუთაისი წარმოადგენდა. მასში, იმერეთის სამეფოს რუსეთთან შეერთების წინ, 850-მდე კომლი ცხოვრობდა. უფრო გვიანდელი ცნობით, (1817 წ.) ქალაქში 44 წვრილი სავაჭრო დუქანი არსებობდა, რომლებიც უმთავრესად, ბამბის ფეერადი ქსოვილებით, არაყით და სხვა საქონლით ვაჭრობდნენ.[26]

ქუთაისი თავისი მცირერიცხოვანი და ნახევრად სოფლის მეურნე მოსახლეობით, ჯერ კიდევ ვერ უწყობდა ხელს, საკუთრივ, იმერეთის რაიონებს შორის ეკონომიკური კავშირის განმტკიცებას. მას ნაკლებად შეეძლო მოეზიდა მისგან დაშორებით მდებარე რაიონების სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია. მიუხედავად ამისა, იგი ეკონომიკური კავშირურთიერთობის გაღრმავების მიმართულებით, გარკვეულ როლს ასრულებდა. ქუთაისში ნაპოვნი მონეტათა განძები, რომლებიც შედგება ვენეციური, თურქული და თბილისში მოჭრილი მონეტებისაგან,[27] მიუთითებენ ვაჭრობის განვითარებაზე იმერეთში. XVIII საუკუნის II ნახევრიდან ქუთაისსა და მის მიდამოებში რუსული კაპეიკებიც ჩნდება, რაც რუსეთთან სავაჭრო ურთიერთობის დამადასტურებელი ფაქტია.[28]

ქუთაისი, ძირითადად, ვაჭრობას აწარმოებდა საქართველოს ქალაქებთან და მეზობელ თურქეთთან. ევროპული საქონელი აქ, სწორედ, ამ გზით შემოდიოდა. ყირიმში ფრანგი კონსულის პეისონელის ცნობით, (XVIII ს. შუა ხანები) საფრანგეთში დამზადე-

---

[24] ვ. დუმბაძე, დასავლეთ საქართველო XIX ს.-ის პირველ ნახევარში, თბ., 1957, გვ. 66.

[25] შ. მესხია, საისტორიო ძიებანი, ტ. II, თბ., 1983, გვ. 257.

[26] Акты..., т. VI, ч. I, Тиф., 1874, с. 531.

[27] Е. А. Пахомов, Монетные клады, вып., IV, с. 73.

[28] იქვე, გვ. 32.

ბული დრაფი სტამბოლიდან შავი ზღვით, ხოლო შემდეგ ერზრუმზე გავლით, შემოჰქონდათ „თურქეთის საქართველოში“ (ე. ი. დასავლეთ საქართველოში, გ. ვ.). კონსტანტინოპოლიდან სომეხ და ებრაელ ვაჭრებს პოლონური მაუდი, ვენეციური ქსოვილი და მრავალი სხვა საქონელი ჩამოჰქონდათ.[29] თავის მხრივ, ქუთაისი ამ ვაჭრობაში მონაწილეობდა ნედლეულითა და იმერეთში დამზადებული პროდუქციით. იმერეთიდან გაჰქონდათ აბრეშუმი, ცვილი, ბეწვეული და სხვა. სოლომონ პირველის ელჩი მაქსიმე ქუთაიელი წერდა: „ქუთაისი ქალაქიდამ ვაჭრები დადიან ნავით სამ ციხეში— ბათომს, ფოთს და სოხუმს. გასაყიდათ გააქვთ წმინდა სანთელი, აბრეშუმი, ბამბა, ბეწვი მელისა და კვერნისა, საჭმლის ხორაგი, იქიდამაც წყლით მოაქვთ ოსმალოს სავაჭრო: სხვადასხვა ფერი ფარჩა, მაუდი, ყავა და სხვაცა.“[30]

საყურადღებოა ის ფაქტი, რომ პეისონელი ასაბუთებდა დასავლეთ საქართველოსთან საფრანგეთის სავაჭრო ურთიერთობის სარფიანობას. „ოსმალეთის საქართველოში ვაჭრობის საწარმოებლად, წერდა იგი, საჭიროა დაარსებული იქნას სავაჭრო სახლი და საწყობები ახალციხესა და ქუთაისში, რათა აქედან შესაძლებელი გახდეს შეტანილი საქონლის გავრცელება შიგნით ქვეყანაში და გასატანი საქონლის ყიდვა საზოგადო ბაზრებზე.“[31]

XVIII საუკუნის შუა ხანებში, პეისონელის ცნობით, „დასავლეთ საქართველოში მიმოქცევაში იყო ოსმალეთიდან შემოტანილი ყოველგვარი ფული კონსტანტინოპოლში არსებული კურსით (ვენეციის ცეხინები გადის მხოლოდ ქუთაისში და ახალციხეში და ისიც დიდი გაჭირვებით,—წერდა პეისონელი. მათი ღირებულება იგივეა, რაც კონსტანტინოპოლში.). ზომა-წონის ერთეულები იგივეა, რაც ოსმალეთში.“[32] ქუთაისში XVIII საუკუნის 70-იან წლებში, როგორც გიულდენშტედტი აღნიშნავდა, მიმოქცევაში იყო 17 სახის თურქული მონეტა, ყირიმული ფარი, თბილისური და რუსული მონეტები.

---

[29] ს. კაკაბაძე, საფრანგეთის სავაჭრო კაპიტალი საქართველოს მიმართ XVIII ს-ში, ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, ქუთ., 1940, I, გვ. 115-116.

[30] Грамоты и другие исторические документы относящееся до Грузии, т. IV, вып. I, под ред. А. Цагарели, СПб., 1898, с. 2-3.

[31] ს. კაკაბაძე, საფრანგეთის სავაჭრო კაპიტალი..., გვ. 117.

[32] იქვე.

ხმარებაში არ იყო დასავლურ-ქართული ფული, რადგან დასავლეთ საქართველოს მეფე-მთავრები საკუთარ მონეტას არ ჭრიდნენ, რაც ვაჭრობის განვითარების დაბალი დონის მაჩვენებელია. ვაჭრობაში აქტიურად იყვნენ ჩაბმული სომხები და ებრაელები.

XVIII-XIX საუკუნეთა მიჯნაზე, ისევე, როგორც წინა პერიოდში, იმერეთის მოსახლეობის ძირითად ნაწილს გლეხობა შეადგენდა. კუთვნილების მიხედვით, ისინი იყოფოდნენ: სამეფო, სამონასტრო (საეკლესიო) და საბატონო ყმა-გლეხებად. მებატონეებთან დამოკიდებულების თვალსაზრისით, გლეხობა ორ ძირითად ფენად იყოფოდა: „მსახურებად" და „დაბეგრილ" ანუ „ყმა გლეხებად". არსებობდა, აგრეთვე, „მოჯალაბე," „მინდობილ" და „აზატ" („თარხანი") გლეხთა კატეგორიები. გაბატონებულ ფენას, სამეფო სახლის გარდა, შეადგენდნენ თავადები და აზნაურები. თავადი მეფის ან ბატონიშვილის ყმად ითვლებოდა და სათავადო სახლის—სათავადოების ყოველ ახალ უფროსს, მეფე ამ სათავადოზე მფლობელობის უფლებას საგანგებო დოკუმენტით უახლებდა. XVIII-XIX საუკუნეების მიჯნაზე, იმერეთის სამეფოს ტერიტორიაზე არსებობდა: მხეიძეთა, ჩხეიძეთა, მიქელაძეთა, რაჭის ერისთავთა, იაშვილთა, ლორთქიფანიძეთა, აბაშიძეთა, აგიაშვილთა, ჩიჯავაძეთა, ღოღობერიძეთა, წულუკიძეთა, ნიჟარაძეთა სათავადოები.[33]

თავადის ქვემოთ, წოდებრივ კიბეზე, აზნაური იდგა. აზნაურთა ფენა იყოფოდა—სახელმწიფო, საეკლესიო და სათავადო აზნაურებად. XVIII საუკუნის II ნახევრის იმერეთის სოციალური ცხოვრებისათვის დამახასიათებელია „ფიცის კაცების" ინსტიტუტი, რაც უცნობი იყო საქართველოს სხვა სამეფო-სამთავროებისათვის. „ფიცის კაცები" ტახტის აზნაურები იყვნენ (მესხი, ლორთქიფანიძე, ავალიანი, იაშვილი და სხვები), მაგრამ მათთან ერთად მეფის ერთგულებაზე ფიცს სდებდნენ ამ მხარეში მცხოვრები სახელმწიფო და საბატონო გლეხებიც.

XVIII-XIX საუკუნეების მიჯნაზე, თანმიმდევრულად ხორციელდებოდა ღონისძიებანი, დასავლეთ საქართველოს ეკლესიის ეკო-

---

[33] ო. სოსელია, ნარკვევები ფეოდალური ხანის დასავლეთ საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური ისტორიიდან (სათავადოები), ტ. I, თბ., 1973; ტ. II, თბ., 1981.

ნომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისა და მორალური ავტორიტეტის ამაღლების მიზნით. სოლომონ II ისევე, როგორც მისი წინამორბედი, ეკლესია-მონასტრებს უბრუნებდა თურქთა შემოსევებისა და ფეოდალური შინაომების დროს გაბნეულ ყმებსა და დაკარგულ მამულებს. ათავისუფლებდა მათ ბაჟებისა და მოურავებისაგან, ხოლო საეკლესიო გლესებს — სახელმწიფო (სამეფო) გადასახადებისაგან. მოწესრიგდა საბეგრო ნუსხები, გადახალისდა ეკლესია-მონასტრების ხელმძღვანელობა. ყოველივე ამის შედეგად, ეკლესია გადაიქცა სერიოზულ პოლიტიკურ ძალად, რომელიც აქტიურად მონაწილეობდა სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საკითხების გადაწყვეტაში.

3. სახელმწიფოებრივი წყობილება და კულტურა. XIX საუკუნის დასაწყისში იმერეთის სამეფო გარეგნულად აბსოლუტურ მონარქიას წარმოადგენდა. მის სათავეში იდგა მეფე, რომელიც ფორმალურად შეუზღუდველ ხელისუფლებას ფლობდა. ფაქტობრივად, კი მეფის ძალაუფლება მნიშვნელოვნად იყო დამოკიდებული იმ მსხვილ ფეოდალთა ნება-სურვილზე, რომლებიც გაერთიანებული იყვნენ „სამეფო დარბაზის" სახით და დიდ გავლენას ახდენდნენ სახელმწიფოებრივი პოლიტიკის განსაზღვრაზე. „იმერეთის მეფე და სამეგრელოს მთავარი,—წერდა რუსეთის მთავრობის წარმომადგენელი იმერეთის სამეფო კარზე ლიტვინოვი, დესპოტები არიან თავიანთი ქვეშევრდომების მიმართ. ისინი სასტიკად უსწორებენ ანგარიშს იმ თავადებს, რომლებიც კი მათ „ხელში მოხვდებიან", მაგრამ, სამაგიეროდ, ეშინიათ იმათი, რომლებიც გამაგრდებიან თავიანთ ციხეებში და არ ცნობენ მეფის ხელისუფლებას."[34]

დ ა რ ბ ა ზ ი—მეფე-ფეოდალების საბჭო იურიდიულად სათათბირო ორგანოს წარმოადგენდა. არსებითად, კი იგი იყო მეფეზე მსხვილ ფეოდალთა ზემოქმედების საშუალება, რომელიც მეფის ხელისუფლებას ზღუდავდა.[35]

სამეფო კარზე მეფის შემდეგ, პირველი ადგილი **ს ა ხ ლ თ უ ხ უ ცე ს ს** ეკავა. ეს თანამდებობა ისე, როგორც საქართველოს

---

[34] Акты..., т. II с. 409.

[35] ვ. **დ უ მ ბ ა ძ ე**, დასავლეთ საქართველო XIX ს-ის პირველ ნახევარში, თბ., 1967, გვ. 121.

სხვა სამეფო-სამთავროებში, ახალი არ იყო, მაგრამ XVIII საუკუნის ბოლოს მისი მნიშვნელობა გაზრდილა და სახლთუხუცესი „ყველა სახელმწიფო საქმის გამგებელი გამხდარა.“[36]

სახლთუხუცესის მოვალეობაში შედიოდა სამეფო-სახაზინო შემოსავალ-გასავლის გაანგარიშება. იგი ახდენდა, აგრეთვე, სახელმწიფო გადასახადების—საუდიეროსა და საურის გაწერას. სამეფო-სახაზინო შემოსავალს შეადგენდა: 1. საბაჟოებისა და სამღებროებისაგან შემოსული თანხა. მეფის საბაჟოები და სამღებროები იჯარით ჰქონდათ აღებული ახალციხელ ვაჭრებს. ბაჟი ქუთაისს გარდა, მცირე რაოდენობით იკრიბებოდა ჩხარში და ვარციხეში. ბაჟების გარკვეული ნაწილი საქონლით შემოდიოდა. ამ მუხლიდან მეფის ფულადმა შემოსავალმა 1809 წელს შეადგინა 97 ქესა თურქული ფულით ან დაახლოებით 20 ათასი მანეთი ვერცხლით.[37] 2. საური ანუ ფულადი გადასახადი—ორი მარჩილი კომლიდან (დაახლოებით ერთი მანეთი ვერცხლით). 3. საუდიერო—კომლზე რვა ბათმანი ხორბალი ან 15 ბათმანი ღომი და 120 თუნგი ღვინო. გარდა ამისა, მთელ სოფელს შეაწერდნენ პირუტყვს ისე, რომ ათ კომლზე მოდიოდა ერთი ძროხა, რამდენიმე ცხვარი და ქათამი. სახასო ყმებს ედვათ გადაუწყვეტელი ხარჯი. მათ სახლთუხუცესი შეაწერდა „თავისი შეხედულებით.“ 4. მეფის შემოსავალს შეადგენდა, აგრეთვე, ჯარიმები, რომლებსაც ქურდები იხდიდნენ მოპარული საქონლის ხუთმაგი ფასის ოდენობით. აქედან მხოლოდ $^2/_5$ შედიოდა სახელმწიფო ხაზინაში.[38] 5. უმემკვიდრეოდ დარჩენილი ქონება მეფის საკუთრებაში გადადიოდა.

გარდა ამისაა, რაჭის მთიანი სოფლები—გლოლა, ღები, ჭიორა მეფეს უხდიდნენ—ყოველი კომლი თითო ცხვარს, სოფელი უწეერა—ყოველი კომლი ექვს ბათმან ხორბალს, ხოლო სოფელ უშგულის ყოველი კომლი—სამ ბათმან თოფის წამალს.

---

[36] ნ. შენგელია, სახლთუხუცესის თანამდებობა იმერეთის სამეფოში, ქუთაისის პედინსტიტუტის შრომები, ტ. 1, ქუთ., 1940, გვ. 139, П. Гнилосаров, О царе Соломоне II и бывшем при нем управлений, Кавказский календарь на 1859 г., Тиф., 1858, с. 429.

[37] ბ. გნილოსაროვი, დასახ. ნაშრ., გვ. 429.

[38] Пурцеладзе, Грузинские дворянские грамоты, Тиф., 1881, с. 54.

თავისი შემოსავალი ჰქონდათ დედოფალსა და ბატონიშვილებს, თუმცა იგი მეფის შემოსავალთან შედარებით უმნიშვნელო იყო.

სახლთუხუცესის სამოხელეო სარგოს შეადგენდა სამეფო შემოსავლის 1/10 ნაწილი. გარდა ამისა, მეფის მიერ ნაბოძები გლეხის ყოველ კომლზე—თითო ხარი.[39] სახლთუხუცესს დამატებითი შემოსავალიც ჰქონდა—სხვადასხვა სახის საჩუქრები, ყოველწლიურად ორიდან-სამ ქესამდე. ხშირად, სახლთუხუცესს მისი თანამდებობის შესაფერის ტანსაცმელსაც მიართმევდნენ.

სახლთუხუცესის თანამდებობა მემკვიდრეობითი იყო, მაგრამ იგი მამიდან შვილზე არ გადადიოდა. ეს სახელო მემკვიდრეობით გადადიოდა ერთი გვარის სხვადასხვა წარმომადგენელზე მეფის შერჩევით.

იმერეთის სამეფოს უკანასკნელი სახლთუხუცესი იყო ზურაბ ქაიხოსროს ძე წერეთელი. იგი ამ თანამდებობაზე ჯერ კიდევ სოლომონ პირველის 1778 წლის ერთ-ერთ სიგელში მოიხსენიება.[40] სოლომონ პირველის დროს, სახლთუხუცესის როლი შესუსტდა. პირველ ადგილზე გადაინაცვლა სარდალ-ბოქაულთუხუცესმა. ამ სახელოს მფლობელი ბერი წულუკიძე „კარის გამრიგე“ და „პირველი ვეზირი“ გახდა. სოლომონ მეორის დროს, სახლთუხუცესის თანამდებობა კვლავ დაწინაურდა. „სამეფო კარის გამგებლობა“ და „პირველი ვეზირობა“ კვლავ სახლთუხუცესის ხელშია.

სახლთუხუცესს თავის განკარგულებაში ჰყავდა მოხელეთა მთელი შტატი. ადგილებზე—სამეფო სოფლებსა და ციხე-ქალაქებში მეფის არჩევით, ინიშნებოდნენ მ ო უ რ ა ვ ე ბ ი, ხოლო სათავადოებსა და საეკლესიო მამულებში მათ ნიშნავდნენ თვით თავადები ან ეკლესიის ხელმძღვანელობა.

სოლომონ მეორის დროს, იმერეთი ადმინისტრაციულად ექვსმაზრად (ოკრუგად) იყო დაყოფილი. ესენია: ვაკის, ოკრიბის, საჩხეიძეოს, არგვეთის, რაჭის და ლეჩხუმის მაზრები. მაგრამ, ფაქტობრივად, იმერეთის სამოქალაქო მართვა-გამგეობა თავმოყრილი იყო 26 სამოურავოში: ქუთაისის (მოურავები ინიშნებოდნენ წულუკიძეთა გვარიდან), ჩხერის (მოურავები—წერეთელთა გვარიდან),

---

[39] Акты..., т. IV, с. 256.

[40] რ. ა ბ ე ს ა ძ ე, სამეფო დომენის სამოხელეო აპარატი იმერეთში XVIII ს. ის მეორე ნახევარში, ქუთაისის ისტორიული მუზეუმის მასალები, თბ., 1971, გვ. 45.

ლომსიათხევის (მაჭავარიანები), ხონის (აბულაძეები), საპაიჭაოს (ლორთქიფანიძეები), საჭილაოს (კორძახიები), ფარცხანაყანევის (სიჟარაძეები), ქვიტირის (მდივნები), გეგუთის (იაშვილები), რიონის (მესხები), კვახჭირის (აბაშიძეები), ვარდცისის (წერეთლები), სიმონეთის (კლდიაშვილები), მუხურის (საყვარელიძეები), ხაზანოს (ავალიშვილები), კაცხის (ლოლაძეები), საქარის (აბაშიძეები), კვარას (აბაშიძეები), მინდას (ლეონიძეები), ხიდისკარის (ლეონიძეები), ღების, გლიოლას და ჭიორის (აქ მოურავებად ინიშნებოდნენ ჯაფარიძეები), ჯვარის (აბაშიძეები) და ჭყვიშის (გელოვანები).[41]

მოურავობა საგვარეულო სახელოს წარმოადგენდა. რომელიმე გვარიდან მეფე მოურავად ნიშნავდა ერთს. პ. გნილოსაროვის მიხედვით, ფარცხანაყანევის სამოურავო მეფის სიგელით, სიჟარაძეთა მთელ გვარს ეკუთვნოდა და მეფის მიერ დანიშნული მოურავი შემოსავალს უნაწილებდა სიჟარაძეთა ყველა ოჯახს.

მოურავს ებარა სახასო მიწები, ხოდაბუნები და ზვრები. ის ნაცვალთან, სოფლის მოსამართლეებთან და მამასახლისთან ერთად, სამოურავოს ტერიტორიაზე სახელმწიფო გადასახადს ან საგანგებო გამოსაღებს ანაწილებდა. მოურავს ჰქონდა ადმინისტრაციული, საგამომძიებლო და სასამართლო ფუნქციები. მისი შემოსავალი მრავალფეროვანი იყო. მეფის მიერ წყალობის სახით გაცემული ყმა-მამულიდან, წყალობის მიმღები „სამოურავოს" ისდიდა იმის სასარგებლოდ, ვის სამოურავოშიც ნაწყალობევი შედიოდა. მოურავის მამულს ამუშავებდნენ სამოურავოს გლეხები. გარდა ამისა, მოურავს შეეძლო მეფის სახასო ყმებისაგან ერთი კარგი მოსახლე გლეხი აერჩია და ესარგებლა მისგან ყველაფრით, რაც იმ გლეხს მეფის სამსახურად „ედუა". მოურავს ეკუთვნოდა: „ქვრივის საჩექმო", ომიდან წამოღებული ნადავლის წილი. მოურავი სოფლებში მოგზაურობის დროს, სასმელ-საჭმელით და ოჯახში წასაღები „ძღვენით" უბრუნველყოფილი იყო.

მოურავებს შორის განსაკუთრებული უფლებებით იყო აღჭურვილი ქუთაისის მოურავი, რომელსაც სარდლის წოდებაც ჰქონდა. ქუთაისის მოურავის ხელისუფლება, სარდლის წოდებასთან შეერ-

---

41 პ. გ ნ ი ლ ო ს ა რ ო ვ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 432; ჯ. კოპალიანი, მოურავის სახელო ფეოდალურ საქართველოში, თბ., 1982.

თებული, საკმად ფართო იყო. მის გარეშე მდივანბეგსაც არ შეეძლო საქმე გაერჩია.[42] მოურავის გადაწყვეტილებით უკმაყოფილო პირს მდივანბეგთან შეეძლო ეჩივლა. ქუთაისის მოურავი კი, თვით არჩევდა საქმეს, ღებულობდა გადაწყვეტილებას და სისრულეში მოჰყავდა იგი პირადად ან თანაშემწის დახმარებით.

ქუთაისის მოურავის განკარგულებაში იყვნენ: ქალაქის მამასახლისი და საბაჟოს მოხელე. მის სარგოს შეადგენდა იმ თევზისა და მარილის ნახევარი, რაც მეფეს მიერთმეოდა, სამი ქესა ანუ 600 მანეთი ვერცხლით საბაჟოს შემოსავლიდან. ქალაქში დაკლულ ყოველ პირუტყვზე 16 სტილი (დაახლ. შვიდი გირვანქა) ხორცი, ყოველი საქმის გარჩევისათვის—5 მარჩილი და სხვ. გარდა ამისა, ქუთაისის მოსახლეობას მისთვის სხვადასხვა სახის ძღვენი მიჰქონდა.

„სახლთუხუცესის დასახედნ მოხელეთა" რიგში შედიოდნენ, აგრეთვე: მ ო ლ ა რ ე თ უ ხ უ ც ე ს ი—როგორც სახელწოდებიდან ჩანს, იგი იყო მოლარეთა უფროსი, რომელიც სახელმწიფო შემოსავალ-გასავალს განაგებდა. მის სარგოს შეადგენდა მეფის მიერ საჩუქრად გაცემული ნივთის ღირებულების მეათედი. სოლომონ მეორის მეფობის დროს ეს მაღალი რანგის თანამდებობა გიორგი წერეთელს ეჭირა.[43]

მ ე ღ ვ ი ნ ე თ უ ხ უ ც ე ს ი—განაგებდა ღვინისა და არყის შემოსავალ-გასავალს, მასთან დაკავშირებულ ანგარიშს. მის სარგოს შეადგენდა შემოსული ღვინის მეათედი. სოლომონ მეორის დროს, იმერეთის სამეფოში ორი მეღვინეთუხუცესია: თავადი სიმონ წერეთელი[44] და აზნაური იოსელანი.[45]

მ ე ს ტ უ მ რ ე თ უ ხ უ ც ე ს ი ს ფუნქციას შეადგენდა მეფის მაგიდის მომსახურება და სამეფო სოფლებში „სასტუმრო სამსახურის" შესრულებაზე მეთვალყურეობა. მესტუმრეთუხუცესის პირადი შემოსავალი სხვადასხვაგვარი იყო: მეფის სოფლებში შეგროვებული პირუტყვიდან მას ეძლეოდა ტყავი და ყოველი ძროხიდან ერთი ბათმანი ხორცი, მეფესთან მიტანილი ძღვენის ნაწილი. მასვე უხვად ასაჩუქრებდნენ მეფის სტუმრები. მესტუმრეთუხუცესის ხელ-

---

42 ვ. გ ნ ი ლ ო ს ა რ ო ვ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 432.

43 ს. კ ა კ ა ბ ა ძ ე, დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები. წიგნი II..., გვ. 99, 160.

44 ი ბ ე ვ ე, გვ. 131.

45 ვ. გ ნ ი ლ ო ს ა რ ო ვ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 430.

ქვეითი მოხელე იყო—მ ე ს ტ უ მ რ ე. სოლომონ მეორის დროს, ამ სახელოს ფლობდნენ: მდივნები, იოსელიანები და საყვარელიძეები.

ხ ა ბ ა ზ თ უ ხ უ ც ე ს ი—მისი მოვალეობა იყო სამეფო სოფლებში მარცვლეულის (ხორბალი, ღომი) შეგროვება და მოვლა, რისთვისაც შეგროვებული ხორბლისა და ღომის მეათედი ეძლეოდა. სოლომონ მეორის დროს, ეს სახელო ნიჟარაძეებს ჰქონდათ ნაბოძები.

მ ე ჯ ი ნ ი ბ ე თ უ ხ უ ც ე ს ი—საჯინიბოს უფროსი იყო. მას ევალებოდა სამეფო სახლის ცხენებით უზრუნველყოფა და მათი მოვლა-პატრონობა. ამ საქმეში მას ეხმარებოდნენ მეჯინიბეები. მეჯინიბეთუხუცესის გარეშე არ გაიცემოდა მეფის მიერ საჩუქრად ბოძებული არცერთი ცხენი. მას ეკუთვნოდა ცხენის ღირებულების მეათედი. გარდა ამისა, მეფის ჯოგიდან ყოველწლიურად თითო კვიცი. მასვე ეძლეოდა მეფის გამოცვლილი სანადირო და საომარი ტანსაცმელი. სოლომონ მეორის დროს, მეჯინიბეთუხუცესის თანამდებობა აბაშიძეებს ეკავათ.

ბ ა ზ ი ე რ თ უ ხ უ ც ე ს ი—იოანე ბატონიშვილის განმარტებით, „ბაზიერთუხუცესი ყოველთა მონადირეთა უფროსია და ყოველნი სანადირო ადგილნი და ფრინველნი მის ხელქვეშეთ უნდა იყოს, რომ უიმისოდ ვერავინ ინადირებდეს."[46] მისი ხელქვეითი მოხელენი იყვნეს ბაზიერნი, რომელთაც მეფის ქორ-მიმინოები ებარათ. ბაზიერთუხუცესის ოფიციალურ სარგოს შეადგენდა ნანადირევის მეათედი. გარდა ამისა, მას „სხვა სარგებლობაც ჰქონდა". XVIII საუკუნის ბოლოსა და XIX საუკუნის დასაწყისში, ეს „სახელო" აზნაურ კროჭს ეჭირა.[47]

მ ე ძ ა ღ ლ ე თ უ ხ უ ც ე ს ი—მას მეფის ძაღლები ებარა. სარგოდ ეძლეოდა ძაღლების გამოსაკვებად შეკრებილი საკლავის მეათედი. ეს თანამდებობა აზნაურ ტყავაძეებს ეკავათ.

მ ე ა ბ ჯ რ ე თ უ ხ უ ც ე ს ი—ევალებოდა მეფის აბჯრის მოვლა-პატრონობა. სარგოდ ეძლეოდა მეფის მიერ საჩუქრად გაცემული იარაღის საფასის მეათედი. სოლომონ მეორის დროს, ამ სახელოს ფლობდა ნიკოლოზ წერეთელი.

---

[46] ი ო ა ნ ე ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი, კალმასობა, კ. კეკელიძისა და ალ. ბარამიძის რედაქციით, ტ. I, თბ., 1936, გვ. 215.

[47] პ. გ ნ ი ლ ო ს ა რ ო ფ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 431.

ქ ი ლ ი ფ თ ა რ თ უ ხ უ ც ე ს ი — სალაროს მოხელე უნდა იყოს."

XVIII საუკუნის ბოლოს ეს თანამდებობა წულუკიძეებსა და ნიჟარაძეებს ეკავათ.

ფ ა რ ე შ თ უ ხ უ ც ე ს ი — იგი სასახლის მსახურთა საქმიანობას ვანაგებდა. სოლომონ მეორის დროს, იმერეთის სამეფოში ფარეშთუხუცესია როსტომ ნიჟარაძე.

საპოლიციო-ადმინისტრაციული მოხელეებიდან ერთ-ერთი პირველი ადგილი ბ ო ქ ა უ ლ თ უ ხ უ ც ე ს ს ეჭირა. XVIII-XIX საუკუნეთა მიჯნაზე, ამ თანამდებობაზე წერეთლები იყვნენ. მნიშვნელოვანი იყო, აგრეთვე, ხ ე ვ ი ს თ ა ვ ი ს „სახელო". მის მოვალეობას დამნაშავეთა დევნა-აღმოჩენა შეადგენდა.

სამეფოს ქვეშევრდომთა უმაღლესი მოხელე იყო მეფე. მასთან არსებობდა დ ა რ ბ ა ზ ი, რომელიც დიდი მნიშვნელობის სახელმწიფოებრივ საქმეებს განიხილავდა.[49] ეს იყო უმაღლესი სასამართლო ინსტანცია. 1809 წლის დეკემბერში იმერეთის სამეფო დარბაზის—რჩევის წევრები იყვნენ: მიტროპოლიტები: დოსითეოს ქუთათელი, ეფთვიმე გელათელი, სოფრონიოს ნიკოლოზწმინდელი, მთავარეპისკოპოსი ანტონ ხონელი, სახლთუხუცესი ზურაბ წერეთელი, სარდალი ქაიხოსრო წერეთელი, სარდალი და მოურავი სვიმონ წულუკიძე, სარდალი, ქეშიკთუხუცესი და ციხისთავი—იოანე აგიაშვილი, ქეშიკთუხუცესი—ციხისთავი—სვიმონ აგიაშვილი, ქუთაისის მოურავი—კაცია წულუკიძე, მორდალი-მოურავი—ბეჟან ავალიშვილი, მოურავები: ბერი ლორთქიფანიძე, ოტია ლორთქიფანიძე, ხახუტა აბაშიძე, ქაიხოსრო აბულაძე, ციხისთავი—დავით აგიაშვილი, მოლარეთუხუცესი—გიორგი წერეთელი, მეღვინეთუხუცესი—სვიმონ წერეთელი, მდივანბეგები—ბეჟან წულუკიძე, ვახუშტი ნიჯავაძე, სახლთუხუცესის ძე—სვიმონ წერეთელი, დავით აბაშიძე, დავით წულუკიძე, დავით ერისთავი, ზურაბ მაჩაბელი, გიორგი წერეთელი, ოტია წულუკიძე, სეხნია წულუკიძე, ნიკოლოზ ლორთქიფანიძე, ნიკოლოზ იაშვილი, ვახტანგ მიქელაძე, ქაიხოსრო აბაშიძე და სხვ.[50]

---

48 რ. ა ბ ე ს ა ძ ე, დასახ. ნაშრ., გვ. 53-54.

49 კ. გ რ ი გ ო ლ ი ა, იმერეთის სახელმწიფოებრივი წყობილება XVII ს. შუა. თეზისები, თბ., 1942, გვ. 4.

50 ს. კ ა კ ა ბ ა ძ ე, იმერეთის სამეფოს გაუქმება (დოკუმენტები), საისტორიო მოამბე, ტ. 9, თბ., 1956, გვ. 416-417.

საერთოდ კი, სისხლის სამართლისა და სამოქალაქო საქმეების განსახილველად არსებობდა ე. წ. დ ი ვ ა ნ ი, რომელიც ორი-სამი მდივანბეგისაგან შედგებოდა. სოლომონ მეორის დროს, მდივანბეგები იყვნენ: თავადი წულუკიძე, რომელმაც პ. გნილოსაროვის ცნობით, წერა-კითხვა არ იცოდა და ვახუშტი ჩიჯავაძე—განათლებული, კანონმდებლობის კარგად მცოდნე პიროვნება. მდივანბეგთაგან ერთ-ერთს მ დ ი ვ ა ნ ბ ე გ თ უ ხ უ ც ე ს ა დ ნიშნავდნენ.

მდივანბეგები ხან თავის სოფლებში, ხან კიდევ ქუთაისში ცხოვრობდნენ. სასამართლოს სხდომები ტარდებოდა ან მათ ბინებში, ანდა ღია ცისქვეშ ხეების ჩრდილში. სხდომების ჩატარების დრო განსაზღვრული არ ყოფილა. თუ მდივანბეგები ადგილზე არ იყვნენ, მოხოვნელები მათ რამდენიმე დღე ელოდებოდნენ. მომჩივანი დივანის სასარგებლოდ იხდიდა ბაჟს (1-დან 50 მარჩილამდე საქმის მნიშვნელობისა და მომჩივნის შეძლების მიხედვით).

დივანი მოქმედებდა ტრადიციებით განმტკიცებული ჩვეულებებისა და ვახტანგ VI-ის კანონთა კრებულის საფუძველზე. სამოქალაქო საქმეები წყდებოდა დაფიცებით. მოპასუხე სასამართლოს სხდომაზე იფიცებდა რამდენიმე კაცთან ერთად, რომლებსაც იგი ქირას აძლევდა. საქმის გართულების შემთხვევაში, ბრალდებულის გამოცდა ხდებოდა გახურებული შანთით, ადუღებული წყლით და ა. შ. სასამართლოს გადაწყვეტილება, ქაღალდზე გადატანილი, მომჩივანს იქვე ეძლეოდა.

მძიმე დანაშაულთან დაკავშირებული საქმეების განხილვის დროს, როდესაც საჭირო იყო დამნაშავის მკაცრი დასჯა, დივანში ეპისკოპოსს ან მაღალი თანამდებობის მქონე სამოქალაქო პირს იწვევდნენ. განაჩენს წერდნენ მდივნები, რომლებიც ამისათვის „სამდივნოს“ იღებდნენ. ზოგჯერ ერთი და იგივე გვარის წარმომადგენელი ხანგრძლივად იმყოფებოდა მდივნის თანამდებობაზე. ამის შედეგად წარმოიშვა ქართული გვარები: მდივანი და მდივნიშვილი.

დამნაშავის ძებნა, როგორც აღვნიშნეთ, ხევისთავის ფუნქციას შეადგენდა, ხოლო სასამართლოს გადაწყვეტილება სისრულეში ბ ო ქ ა უ ლ ს მოჰყავდა. პრაქტიკულად, დამნაშავეს სჯიდა მეფის დაცვის ერთ-ერთი წევრი, რომელსაც ამისათვის გახურებული ნაჯახი თან უნდა ჰქონოდა. დასჯა ხდებოდა მეფის სასახლის წინ მდებარე მოედანზე. აქვე იდგა უზარმაზარი სპილენძის ქვაბი,

რომელშიაც დამნაშავეს ჩასვამდნენ, ხოლო შემდეგ კირს აყრიდნენ და წყალს ასხამდნენ. ე. წ. ჯაჭვის ხიდის მახლობლად, აღმართული იყო ოთხი ქვის ბოძი, რომელთა შორის ცეცხლი ისთეზოდა „ტყვის მსყიდველთა", ქურდებისა და სხვა მძიმე დანაშაულის ნამდენთა დასაწვავად. დამნაშავის დასჯის დროს, ბევრი ცნობისმოყვარე იკრიბებოდა.

ყოველი დოკუმენტი—სასამართლოს გადაწყვეტილება, თუ მეფის მიერ გაცემული სიგელი, დადასტურებული უნდა ყოფილიყო ბეჭდის დასმით. ამ საპასუხისმგებლო მოვალეობას ასრულებდა მ ო რ დ ა ლ ი. მის ფუნქციას ბეჭდის დასმა და შენახვა შეადგენდა.

მეფეს ჰყავდა პირადი დაცვა, რომელსაც ქ ე შ ი კ თ უ ხ უ ც ე ს ი ხელმძღვანელობდა. მის მოვალეობას შეადგენდა აგრეთვე, „ბყრობილთა" მცველობა. „ოდეს იქნებოდა დაჭირული და დატყვევებული, ავაზაკნი ანუ ქურდნი და მპარავნი" ქეშიკთუხუცესსა და ქეშიკებს მიებარებოდათ.[51] XVIII საუკუნის II ნახევრიდან, ქეშიკთუხუცესის თანამდებობაზე აგიაშვილებია.

სამხედრო თვალსაზრისით, იმერეთის სამეფო სამ სადროშოდ იყო გაყოფილი.[52] არგვეთი ანუ ზემო მხარე, ვაკე ანუ ქვემო იმერეთი და ოკრიბა-ლეჩხუმი. სადროშოს სათავეში სარდალი იდგა. არგვეთის ანუ ზემო მხარის სარდალი წერეთელი იყო,[53] ვაკის ანუ ქვემო იმერეთის—წულუკიძე,[54] ოკრიბა-ლეჩხუმის—აგიაშვილი.[55] ყოველ სადროშოს თავისი დროშა ჰქონდა. მტრის თავდასხმის დროს, სარდლები მეფესთან ცხადდებოდნენ თავიანთი ლაშქრით, რომელსაც წინ დროშა უძღოდა. ყოველ მოლაშქრეს თან მიჰქონდა სამი დღის საგზალი, ხოლო შემდეგ ლაშქარს კვებავდა ის სოფელი, რომლის ტერიტორიაზეც იყო დაბანაკებული.

იმერეთის სამეფოს ერთ-ერთი ყველაზე საიმედო დამცველი, როგორც სამართლიანად წერდა პ. გნილოსაროვი, უგზოობა და

---

51 ქუთაისის ნ. ბერძენიშვილის სახელობის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი, ხელნაწერთა ფონდი, საბუთი No. 1695.

52 XVIII საუკუნის პირველ ნახევარში იმერეთის სამეფო ოთხ სადროშოდ იყო გაყოფილი, მაგრამ 1769 წელს სოლომონ I-მა რაჭის საერისთავო გააუქმა და ამდენად გაუქმდა რაჭის სადროშოც.

53 ქუთაისის სახელმწიფო მუზეუმი, საბ., No. 109, 833, 994, 1338 და სხვ.

54 ი ქ ვ ე, საბ., No. 944, 1035 და სხვ.

55 ი ქ ვ ე, საბ., No. 989, 990, 991, 996 და სხვ.

ხშირი ტყეები იყო. იმერეთი, რასაკვირველია, ციხეებითაც იყო ვამაგრებული. მათ შორის გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდათ ქუთაისის, შორაპნის, ბაღდათის და ცუცხვათის ციხეებს. მაგრამ იმის გამო, რომ ამ ციხეებში, ხშირად, თურქული გარნიზონი იდგა და იმერეთში მათი ბატონობის ერთ-ერთ სერიოზულ დასაყრდენს წარმოადგენდა, სოლომონ პირველმა იმერეთიდან თურქთა განდევნის შემდეგ, ეს ციხეები დაანგრია.

სოლომონ მეორის დროს, სამეფო ციხეებიდან მნიშვნელოვანი იყო კვარას, მინდას, ვარციხის, ჭყვიშის, მუხურის, ჩხერის, ჭიდროთის და სხვ. ციხეები ჰქონდათ მსხვილ ფეოდალებსაც. მაგალითად, წულუკიძეებს ეკუთვნოდათ ნაგარევისა და ხოტევის, ჩიჯავაძეებს — საპაიჭაოს, წერეთლებს—ონისა და მოდინახეს, აგიაშვილებს—ტყაჩირის, იაშვილებს—სადმელის, ერისთავებს—სვერის, გელოვანებს—ტოლას და სხვა ციხეები. 1809-1810 წლებში, სოლომონ მეორის წინააღმდეგ ბრძოლის დროს, რუსეთის ჯარებმა დაანგრიეს მეფის ერთგულ ფეოდალთა ციხეები (ტყაჩირის, ონის, ხოტევის, სადმელის, ხვანჭკარის, სვირის და სხვ.). დანარჩენები კი თვითონ დაიკავეს.[56]

იმერეთის სამეფოს სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური მდგომარეობის მნიშვნელოვნად გაუმჯობესებას შედეგად მოჰყვა კულტურული ცხოვრების შესამჩნევი დაწინაურება. ხელისუფლება დიდ ყურადღებას აქცევდა სწავლა-განათლების საქმეს. მსხვილ საეკლესიო ცენტრებთან არსებობდა სკოლები და წიგნთსაცავები. საქართველოში კარგად იყო ცნობილი გელათის მონასტერთან არსებული სკოლა, რომელშიაც საფუძვლიან განათლებას იღებდნენ ის ახალგაზრდები, რომლებიც სასულიერო მოღვაწეობისათვის ემზადებოდნენ. სავალდებულო სასწავლო საგანთა შორის, მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა უცხო ენებს. XVIII საუკუნის 80-90-იან წლებში ამ სკოლაში სწავლობდა გიორგი V გურიელის ვაჟი ქაიხოსრო, რომელიც „...მრავალ ენაზე ლაპარაკობდა და დედანში კითხულობდა ლათინ და ბერძენ ავტორებს". უცხო ენების შესწავლისადმი ინტერესი მარტო წმინდა შემეცნებითი მოსაზრებებით არ იყო გამოწვეული. უცხოეთთან დიპლომატიური ურთიერთობა აუცილებელს ხდიდა თურქული, სპარსული, რუსული, ფრანგული

---

[56] ს ც ს ს ა, ფ. 2, აღწ. 1, საქ. 255, ფურ. 1-27.

და სხვა ენების ცოდნას. იმერეთის ელჩები—კვინიხიძეები, ზ. წერეთელი, მაქსიმე აბაშიძე, ბესარიონ გაბაშვილი და სხვები, უცხო ენებს ფლობდნენ. უცხო ენების ცოდნას საჭიროებდნენ სამეფო კარის დიდმოხელეებიცა და ვაჭრებიც. სწორედ, ამ მიზნით, იმერეთში, ვარძიის მონასტერში ადგილობრივ პირს XVIII საუკუნის ბოლოს შეუდგენია ქართულ-თურქული სასწავლო წიგნი.[57]

კარგად ორგანიზებული სკოლა ჰქონდა, აგრეთვე, ხონის წმინდა გიორგის ეკლესიას. ამ სასწავლებლიდან არაერთი მწიგნობარი და სასულიერო მოღვაწე, განსაკუთრებით, ეპისკოპოსები გამოსულა.[58] ამ სკოლის მწიგნობრული საქმიანობა კიდევ უფრო გაცხოველდა XVIII-XIX საუკუნეების მიჯნაზე, მთავარეპისკოპოსს ანტონ ჩიჯავაძის დროს. მისი თანამედროვეა ამ სკოლის ერთ-ერთი მოღვაწე მიტროფანე გრიგოლაშვილი, რომელსაც შეუდგენია სასულიერო-მეთოდური ხასიათის სახელმძღვანელო „სწავლა თუ ვითარ მმართებს მოძღვარსა სწავლება მოწაფისა (კითხვა-მიცემანი) წარმოდგენილი)".[59]

მთელ დასავლეთ საქართველოში მაღალი პრესტიჟით სარგებლობდნენ კაცხის, ჯრუჭის, ნიკორწმინდის და სხვა ეკლესიებთან არსებული სკოლები.

XVIII-XIX საუკუნეთა მიჯნაზე იმერეთის სამეფოს კულტურული ცხოვრების უმნიშვნელოვანეს მოვლენას წარმოადგენდა სტამბის დაარსება და წიგნის ბეჭდვის დაწყება. 1795 წელს ირანელმა დამპყრობლებმა თბილისის დარბევის დროს, ქართული სტამბაც დაანგრიეს. სტამბის მუშაკნი სხვადასხვა მხარეს გაიფანტნენ. წიგნის ბეჭდვის საქმე სერიოზულად შეფერხდა, მაგრამ მალე მდგომარეობა გამოსწორდა. „სამეფოდ იმერეთისა მფარველ იქმნა წიგნთა ბეჭდულისა". ქართული წიგნების ბეჭდვა-გამოცემის ცენტრმა თბილისიდან ქუთაისში გადმოინაცვლა. 1799 წელს იმერეთის მეფის სოლომონ მეორის დავალებით და სახსრებით,

---

57 ს. ჯ ი ქ ი ა, XVIII საუკუნეში შედგენილი ქართულ-თურქული სასწავლო წიგნი, ენათმეცნიერების ინსტიტუტის შრომები, I, თბ., 1954, გვ.192-194.

58 ვ. ბ ე რ ი ძ ე, სვიმონ კუტი-ფირცხალავა (ქვემო იმერეთში წერა-კითხვის გავრცელების ისტორიისათვის), სწავლა-აღზრდის ისტორია საქართველოში, მასალების კრებული, ტფ., 1937, წ. I, გვ. 143-144.

59 ე ვ. ნ ი კ ო ლ ა ძ ე, ქუთაისის მუზეუმის ხელნაწერთა აღწერილობა, ტ. I, თბ., 1953, გვ. 294.

ცნობილმა მესტამბემ გიორგი პაიჭაძემ, ბეჭდვისათვის საჭირო მოწყობილობა მოსკოვიდან ჩამოიტანა და ქუთაისში სტამბა გამარ-თა. 1801 წელს ამ სტამბაში დაიბეჭდა პირველი წიგნი „დავითნი". 1803 წელს სტამბა იმერეთის სახლთუხუცესის ზურაბ წერეთლის ხელში გადავიდა. მდიდარმა ფეოდალმა გამოცდილი მესტამბე რომანოზ ზუბაშვილი-რაზმაძე დაიახლოვა და სტამბის რეკონს-ტრუქცია ჩაატარა. საყურადღებოა ის ფაქტი, რომ რ. ზუბაშვილმა სტამბა მოაწყო სოფელ წესშიც, სადაც მეფის ნაბოძები სახლ-კარი და მამულები ჰქონდა. აქ წიგნებს ბეჭდავდა რომანოზ ზუბაშვილის ვაჟი—დავითი. ქუთაისის სტამბამ სულ 10 წელი იარსება (1800-1810 წწ.). ამ ხნის განმავლობაში ის ერთად-ერთი სტამბა იყო საქართველოში.[60]

წინა პერიოდთან შედარებით, მნიშვნელოვნად გაცხოველდა კა-ლიგრაფიული საქმიანობა. იმერეთის მეფისა და ფეოდალთა სახს-რებით, ზრუნვითა და დაკვეთით, მრავალი ხელნაწერი გადაიწერა, მოიხატა და შეიმკო. იმერეთში წიგნების გადაწერა-შემკობის ძი-რითადი კერები იყო: ქუთაისში, ხონში, კაცხში, ნიკორწმინდაში და სხვ. თავის საუკუნეებრივ ტრადიციას აგრძელებდა გელათის კა-ლიგრაფიული სკოლაც, რომელსაც XVIII საუკუნის 70-იან წლე-ბიდან სათავეში ჩაუდგა აღმოსავლეთ საქართველოდან გადმოსული ზაქარია გაბაშვილი. მასთან ერთად, აქტიურ კალიგრაფიულ საქმი-ანობას ეწეოდნენ მისი შვილები, ბესიკის ძმები: იოსები, იოანე, ნიკოლოზი და ოსე.[61]

ეკლესია-მონასტრებს, მეფე-მთავრებსა და მსხვილ ფეოდალებს თავიანთ სასახლეებში საკუთარი წიგნთსაცავები ჰქონდათ. სამეც-ნიერო ლიტერატურაში კარგადაა ცნობილი გელათის მონასტრის ბიბლიოთეკა, რომელშიც უნიკალური ქართული ხელნაწერები და დაბეჭდილი წიგნები იყო დაცული. მდიდარი წიგნთსაცავები

---

[60] იმერეთში პირველი სტამბის დაარსების შესახებ, იხ. ქრ. შარაშიძე, იმერე-თის სტამბების ისტორიისათვის (1800-1803 წწ.), საქართველოს საჯარო ბიბლი-ოთეკის შრომები, წიგნი მესამე, 1937, გვ. 39-52; პ. ვაჭრიძე, როტაციონის ბრუნვის მანქანა, ქუთაისში წიგნის ბეჭდვის ისტორიიდან (1800-1921 წწ.), ქეთ., 1979.

[61] ნ. მ ა ი ს ო ო ა ძ ე, მწიგნობარ გაბაშვილთა ოჯახი, ქუთაისის პედაგოგი-ური ინსტიტუტის შრომები, ტ. XIV, ქუთ., 1955; მ. ბარათაშვილი, ოსე გაბაშვი-ლის ცხოვრება, ჟურნ. „განთიადი", 1980, No. 4.

ჰქონდათ იმერეთის სამეფოს უკანასკნელ სახლთუხუცესს ზურაბ წერეთელს—საჩხერეში, დავით გიორგის ძის მეუღლეს, დედოფალ ანას—ქუთაისის სასახლეში, აგიაშვილებს—ტყაჩირის სასახლეში, ეპისკოპოსს ანტონ ჩიჯავაძეს—ხონის. წმ. გიორგის ეკლესიაში და სხვ.

XVIII საუკუნის II ნახევარსა და XIX საუკუნის დასაწყისში, შესამჩნევად განვითარდა იმერეთის სამეფოს ლიტერატურული ცხოვრება. 70-იანი წლებიდან მას სათავეში ჩაუდგა ქართლ-კახეთის სამეფოდან ჩამოსული, სახელმოხვეჭილი და ნიჭიერი პოეტი ბესიკი—ბესარიონ ზაქარიას ძე გაბაშვილი (1750-1791 წწ.). იმერეთში იგი ლიტერატურულ საქმიანობასთან ერთად, აქტიურ პოლიტიკურ-დიპლომატიურ და სახელმწიფოებრივ მოღვაწეობას ეწეოდა. იმერეთში, ქუთაისში დაიწერა ბესიკის ბევრი თვალსაჩინო ნაწარმოები: „დედოფალ ანაზედ", „ცრემლთა ისხარნი", „ქება სოლომონ მეფისა", პოემები: „რუხის ბრძოლა", „ასპინძისათვის" და სხვ.[62]

ქუთაისში მოღვაწეობდა ბესიკის უმცროსი თანამედროვე, ნაყოფიერი მწიგნობარი და პოეტი გიორგი ალექსანდრეს ძე ბაგრატიონი (1778-1807 წწ.). იგი სოლომონ I-ის ვაჟის, ალექსანდრეს უკანონო შვილი იყო. მის ლიტერატურულ მემკვიდრეობას შეადგენს პოემა „ხუბმარდიანი", ავტობიოგრაფიული თხზულება „თავგადასავალი" და ლექსები. სპეციალისტთა აზრით, „გარდამავალი ხანის" ქართული ლიტერატურა, თუ ლიტერატურული მოვლენების ქრონოლოგიურ თანმიმდევრობას დავიცავთ, უნდა დავიწყოთ გიორგი ბატონიშვილის შემოქმედებით.[63]

ამ პერიოდში იმერეთში ცხოვრობდა და ინტენსიურად მუშაობდა ლიტერატურის დარგში ელიზბარ გიორგის ძე ერისთავი (1738-1813 წწ.). მას ცოლად ჰყავდა სოლომონ პირველის ქალიშვილი მარიამი.

---

[62] ბ ე ს ი კ ი, თხზულებათა სრული კრებული, ალ. ბარამიძისა და ვ. თოფურიას რედაქციით, თბ., 1962, გვ. 22; ლ. მენაბდე, ძველი მწერლობის კერები, ტ. I, ნაკ. II, თბ., 1962, გვ. 521.

[63] ლ. ქ უ თ ა თ ე ლ ა ძ ე, ბესიკის ზოგიერთი „სადავო" ლექსის ავტორისათვის, „მნათობი", 1958, No. 3, გვ. 113-125; თავგადასავალი იმერთა მეფის სოლომონ დიდის შვილის-შვილის ბატონიშვილის გიორგის, მოამბე, 1900 წ, No. 6; ტ. რუხაძე, ქართული ეპოსი „გარდამავალი ხანის" ლიტერატურაში, თბ., 1939, გვ. 317-318.

XVIII საუკუნის II ნახევარში იმერეთში ნაყოფიერად მოღვაწეობდა ქართული პოლიტიკური აზროვნების თვალსაჩინო წარმომადგენელი—ალექსანდრე ამილახვარი (1750-1802 წწ.). მის შემოქმედებაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს პოლიტიკურ ტრაქტატს „ბრძენი აღმოსავლეთისა". მასში წარმოდგენილია ის სახელმწიფოებრივი წყობილება, რომლის პრაქტიკულად განხორციელებასაც ურჩევს იგი სოლომონ პირველს. ალექსანდრე ამილახვრის ტრაქტატი წარმოადგენს ძვირფას წყაროს თავადური ფენის პოლიტიკური იდეოლოგიის შესასწავლად.[64]

XIX საუკუნის დასაწყისში ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმების შემდეგ, იმერეთის კულტურულ ცხოვრებაში ჩაებნენ აღმოსავლეთ საქართველოდან ლტოლვილი მწიგნობრები: იულონ ბატონიშვილი, იოანე ქართველიშვილი, სოლომონ ლიონიძე და სხვ.

XVIII საუკუნის II ნახევარში იმერეთში ინტენსიურად მიმდინარეობდა სამხედრო-თავდაცვითი და საკულტო ნაგებობათა განახლება-შეკეთება. XVIII საუკუნის ბოლოს რესტავრირებულ იქნა გელათის წმ. ნიკოლოზის ეკლესია, ვარძიის ეკლესია (იმერეთშია), მოიხატა გელათის ღვთისმშობლის ეკლესიის კედლების ნაწილი, იმერეთის სხვა ეკლესიები.

XVIII საუკუნის II ნახევარსა და XIX საუკუნის დასაწყისში, იმერეთის სამეფოში გაჩაღებული კულტურული საქმიანობა საერთოქართული კულტურის განვითარების ინტერესებს ემსახურებოდა.

---

[64] გ. აკოფაშვილი, საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიიდან საქართველოში XVIII ს. ის დასასრულს. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტის შრომები, ტ. I, 1955.

თავი მეორე

იმერეთის დაპყრობა ცარიზმის მიერ და რუსული მმართველობის დამყარება

1. ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმება და დასავლეთ საქართველოში რუსული მმართველობისათვის დიპლომატიური გზით ნიადაგის მომზადება (1802-1808 წწ.)

XVIII-XIX საუკუნეების მიჯნაზე იმერეთის სამეფო სხვა ქართულ სამეფო-სამთავროებთან შედარებით, უკეთეს მდგომარეობაში იმყოფებოდა. აშკარა გახდა ოსმალთა წინააღმდეგ სოლომონ პირველის თავდადებული ბრძოლის შედეგები. ოსმალეთი ამაოდ ცდილობდა გაენაღდებია ქუჩუკ-კაინარჯის ტრაქტატი, რომლითაც რუსეთის მთავრობა დასავლეთ საქართველოზე და კერძოდ, იმერეთის სამეფოზე სულტანის ბატონობას ცნობდა. ამ ბატონობის აღდგენა ოსმალეთმა ვერც ძალით მოახერხა. იმერეთის სამეფო ორმოც წელზე მეტი იყო, სულტანს აღარც ხარკს უხდიდა და ფაქტიურად, მას აღარც კი ემორჩილებოდა. ქვეყანაში ტყვეთა სყიდვა შეწყვეტილიყო და მას ლეკთა თარეშიც იშვიათად აწუხებდა. ამან კეთილისმყოფელი გავლენა მოახდინა ქვეყნის საშეურნეო-ეკონომიკურ განვითარებაზე. იმერეთის სამეფო მოშენდა და XIX ს.ის დასაწყისში იგი ყველა სხვა სამეფო-სამთავროებს შორის უძლიერეს ერთეულს წარმოადგენდა[1].

ამ წარმატებების შენარჩუნებისა და განმტკიცებისათვის, იმერეთის სამეფოს სერიოზული დახმარება სჭირდებოდა. ასეთი დახ-

---

[1] ნ. ბერძენიშვილი, საქართველო XIX საუკუნის I მეოთხედში, საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. II, თბ., 1965, გვ. 279.

მარება შეიძლებოდა ორ ძალას აღმოეჩინა—რუსეთს და ქართლ-კახეთის სამეფოს. რუსეთი, ოსმალეთის რიდით, ოფიციალურ მფარველობაში იმერეთის მიღებას დაჟინებით გაურბოდა. ამიტომ ქართლ-კახეთის სამეფოს ბედს, იმერეთისათვის პირველხარისხოვანი მნიშვნელობა ჰქონდა. სწორედ ქართლ-კახეთი იყო ერთადერთი ქვეყანა, რომელიც იმერეთის სამეფოს ოსმალეთის წინააღმდეგ ბრძოლაში ზურგს უმაგრებდა. მაგრამ 1801 წლის 12 სექტემბრის მანიფესტის საფუძველზე, იგი ანექსირებული იქნა ცარიზმის მიერ. ქართლ-კახეთში მეფის ხელისუფლების გაუქმებით და იქ რუსული მმართველობის დამყარებით, ამიერკავკასიაში პოლიტიკური ვითარება შეიცვალა. საქართველოს ცალკეული სახელმწიფოებრივი ერთეულების ისტორიაში ახალი ხანა დაიწყო. მეფის რუსეთი დაბეჯითებით მკვიდრდებოდა ამიერკავკასიაში და იქ არსებული პოლიტიკური ერთეულების დამოუკიდებლობას სერიოზულ საფრთხეს უქმნიდა.

ასეთ ვითარებაში სოლომონ II ენერგიულად იბრძოდა დასავლეთ საქართველოს გაერთიანებისა და ქართლ-კახეთში ბაგრატიონთა ხელისუფლების აღდგენისათვის. 1802 წლის 4 აგვისტოს სოლომონ II ალექსანდრე პირველს წერდა: „სახლი მეფობისა საქართველოისა სახლი არს ჩემი — რომლისაცა დაფარვით განცემასა მეფისა გიორგისაგან და დამხობასა სამეფოსა სახლისასა და განიწარებულსა მწუხარებასა მათსა შევრაცხ უბედურებად ჩემდა. შეიწყალეთ ყოვლად-უმოწყალესო ხელმწიფეო სახლი მეფისა ირაკლისა, ფამილია და ძენი მისნი... რათა მიიღოს მეფობა იულონ, მემკვიდრემან საქართველოსამან“[2]

სოლომონ მეორის ასეთი ზრუნვა ქართლ-კახეთის სამეფოს აღდგენისათვის სავსებით გასაგები იყო. აღმოსავლეთ საქართველოში მიმდინარე ამბებმა ცხადყვეს, რომ იმერეთის სამეფოს დამოუკიდებელ არსებობას უდიდესი განსაცდელი ელოდა. სოლომონ მეორემ მტკიცედ გადაწყვიტა ბოლომდე ებრძოლა კარსმომდგარი საფრთხის თავიდან ასაცილებლად. იმერეთის სამეფო მისი ხელმძღვანელობით, ქართული სახელმწიფოებრიობის შენარჩუნებისათვის ბრძოლის ძირითად კერად გადაიქცა. აქ ჩამოვიდნენ რუსულ მმართველობას გამოქცეული ბატონიშვილები, ჯერ ფარნაოზი და იულონი, ხოლო შემდეგ ალექსანდრე, ცნობილი სახელმწიფო მოღ-

[2] Акты..., т. I, Тиф., 1866, с. 558.

ვაწე სოლომონ ლიონიძე და სხვები. სოლომონ მეორემ მათთან ერთად, აქტიური საქმიანობა გააჩაღა. იგი ენერგიულად ერეოდ, ქართლ-კახეთის საქმეებში, რუსეთის ცენტრალურ და ადგილობრივ ხელისუფლებასთან, ოსმალეთის სულთანთან, სპარსეთის ყაენთან, ამიერკავკასიის ხანებთან მიწერ-მოწერა ჰქონდა, მაჰმადიანურ ძალებს იწვევდა ბაგრატიონთა სახლის უფლებების აღსადგენად, უფრო დაჟინებით უტევდა ურჩ დადიანს, რომელსაც უკვე რუსეთის მთავრობა აშკარად მფარველობდა. აქვე, ხაზგასმით უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ეს არ იყო იმერეთის საგარეო პოლიტიკის სტრატეგიული ხაზი. როგორც არაერთხელ ითქვა, იმერეთის პოლიტიკური მოღვაწეები ყოველთვის დიდი იმედის თვალით შესცქეროდნენ რუსეთს და მისგან, საუკუნეების მანძილზე, რეალურ დახმარებას ამაოდ მოელოდნენ. მაგრამ 1801 წლის აქტის შემდეგ, აშკარა იყო, რომ მეფის რუსეთი ვერ შეურიგდებოდა დასავლეთ საქართველოში დამოუკიდებელი მეფის ხელისუფლების შენარჩუნებას, მით უფრო, ისეთი მეფისა, რომელიც ქართული სახელმწიფოებრივი ცხოვრების დაცვა-აღდგენისათვის იბრძოდა. ამან განაპირობა მკვეთრი ცვლილებები იმერეთის სამეფოს საგარეოპოლიტიკურ კურსში. თავის მხრივ, მეფის რუსეთი ხელს უწყობდა დასავლეთ საქართველოს პოლიტიკური დაშლილობით დაინტერესებულ ძალებს—ქვეყნის მოღალატე ძალებს, რომლებიც ალექსანდრე პირველს მიმართავდნენ დახმარებისათვის. ეს, განსაკუთრებით, ნათლად გამომჟღავნდა ცარიზმის დამოკიდებულებაში სამეგრელოს სამთავროსადმი. მთავრის თხოვნა მფარველობაში მიღებისა და სოლომონ მეორისაგან დაცვის შესახებ, რუსეთის მთავრობისათვის პირდაპირ მისწრება იყო. ამას არც რუსეთის ოფიციალური ისტორიოგრაფია უარყოფს.[3]

ცარიზმი, ქართლ-კახეთის სამეფოს ანექსიის შემდეგ, საქართველოს დანარჩენ ტერიტორიას და მასზე არსებულ პოლიტიკურ ერთეულებს ისე უყურებდა, როგორც რუსეთის იმპერიის შემადგენელ ნაწილებს. ამის გამო, ადგილობრივი რუსული ხელისუფლება, ცხადია, ცენტრალური მთავრობის ნებართვით და მითითებით, უხეშად ერეოდა მათ საშინაო საქმეებში და ამზადებდა ნიადაგს აქ რუსული მმართველობის დასამყარებლად. ამ მიზნის მისაღწევად,

---

[3] Н. Дубровин, История войны., т. I, с. 104-105.

ხშირად იყენებდა ძლიერი სახელმწიფოს ღირსებისათვის შეუფერებელ საშუალებებს: ორპირობას, ძალადობას, მოქრთამვას და სხვ.

1802 წლის ზაფხულში კავკასიის ხაზზე განლაგებული ჯარების სარდლის მოადგილემ, გენერალმა ლაზარევმა, რომელსაც საქართველოს საქმეების „მოგვარებაში" გარკვეული წვლილი მიუძღოდა, სოლომონ მეორეს წერილი გაუგზავნა, რომელშიაც მისგან მოითხოვდა განმარტებას, რა მიზნით კრებდა იგი ჯარებს. საპასუხო ბარათში სოლომონი აღნიშნავდა, რომ მას კანონიერად უჭირავს წინაპრების მიერ გადმოცემული ტახტი და როგორც მეფეს, აქვს თვითმპყრობელური უფლება, სამეფოში შეკრიბოს ჯარი, როცა ამას საჭიროდ ჩათვლის.[4] 1802 წლის 25 აგვისტოს სოლომონ II საქართველოს მმართველს, გენ. კნორინგს აცნობებდა, რომ ლაზარევის წერილმა მისი გაკვირვება გამოიწვია. მას აინტერესებს, რა მიზნით იკრიბება ჯარი ჩემს სამეფოში. გენერალს უნდა მოეხსენებოდეს, რომ მეფეს უფლება აქვს თავისი სამფლობელოს ფარგლებში განკარგულებები გასცეს პირადი შეხედულებისამებრ[5]

სოლომონ მეორეზე ზემოქმედების მიზნით, ცარიზმმა სცადა გამოეყენებია მისი პოლიტიკური მოწინააღმდეგის—დავით გიორგის ძის ვაჟი—კონსტანტინე ბატონიშვილი. დამარცხებულმა დავით გიორგის ძემ ერთადერთი ვაჟი მძევლად მისცა სოლომონ მეორეს. აღმოსავლეთ საქართველოში რუსული მმართველობის დამყარების შემდეგ, კონსტანტინეს დედა—ქვრივი დედოფალი ანნა მათეს ასული, ქუთაისიდან თბილისში გაიქცა, იქედან კი რუსეთის ადგილობრივი ხელისუფლების მხარდაჭერით, პეტერბურგში წავიდა, ალექსანდრე პირველს წარუდგა და შვილის გათავისუფლების შუამდგომლობა სთხოვა. ცარიზმს შესანიშნავი საშუალება ეძლეოდა იმერეთის საშინაო საქმეებში ჩარეულიყო. 1802 წლის გაზაფხულზე ალექსანდრე პირველმა თავისი საგანგებო მოხელე ა. სოკოლოვი გამოგზავნა სოლომონ მეფესთან მოკითხვის წიგნით და კონსტანტინე ბატონიშვილის გათავისუფლება იშუამდგომლა.[6] საქართველოში იმჟამად არსებული პოლიტიკური ვითარების ანალიზიდან გამომდინარე, სოლომონ მეორის მომხრეებს კონსტანტინეს გათა-

---

[4] Акты..., т. I, с. 573-574.

[5] ი ბ ი ვ ე, გვ. 574.

[6] А. Соколов, Путешествие мое в Имеретию..., М. 1874.

ვისუფლება და რუსეთის მთავრობისათვის მისი გადაცემა, იმერეთის სამეფოს მოშლის დასაწყისად მიაჩნდათ. ამის გამო, რუსეთის ხელმწიფის მოციქული უარით გაისტუმრეს.

სოლომონ მეორეზე ზემოქმედება გრძელდებოდა. დასავლეთ საქართველოს საკითხის საბოლოო მოგვარება, სხვა უამრავი პრობლემების გადაწყვეტასთან ერთად, ახალ მთავარმმართველს პავლე დიმიტრის ძე ციციანოვს (ციციშვილი) დაევალა. იგი აღჭურვეს დიდი უფლებებით—დასახული მიზნის განსახორციელებლად ემოქმედა თავისი შეხედულებისამებრ, ადგილზე შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე. პ. ციციანოვს, პირველ რიგში, კონსტანტინე ბატონიშვილი უნდა დაეხსნა და მიეღწია იმისათვის, რომ სოლომონ მეორეს, მის კარზე შეხიზნული ბატონიშვილები გაეცა.

პ. ციციანოვი ყოველგვარი საშუალებებით ცდილობდა დაეძლია სოლომონ მეორის წინააღმდეგობა. მან მეფეს ჯერ ალექსანდრე პირველის მოკითხვის წიგნი გაუგზავნა, სადაც ხელმწიფე „სიყვარულსა“ და „მშვიდობას“ აუწყებდა მას, შემდეგ ფართო მასშტაბით დაიწყო მოქრთამვა, რის შედეგად იმერეთის სამეფო კარის მოხელეების და მაღალი საეკლესიო თანამდებობის მქონე პირების ერთი ნაწილი გაიერთგულა და თავის სამსახურში ჩაიყენა. ამ საქმეში, მას განსაკუთრებით დიდი სამსახური გაუწია იმერეთის უკანასკნელმა სახლთუხუცესმა. ზურაბ წერეთელი და ამგვარი „სხვა ზურაბ წერეთლები“, ანუ „მოღალატე, მექრთამე თავადები“ (ნ. ბერძენიშვილი) პირადი ეგოისტური მიზნებიდან გამომდინარე, ფულზე და ჩინ-მედლებზე ჰყიდდნენ სამშობლოს, აჩქარებდნენ ქართული სახელმწიფოებრიობის ლიკვიდაციის პროცესს.

1803 წლის აპრილში ქუთაისში ჩამოვიდა პ. ციციანოვის კანცელარიის მმართველი ი. ს. ბრონევსკი, რომელსაც სხვა საკითხებთან ერთად, დავალებული ჰქონდა სოლომონ მეორესაგან კატეგორიულად მოეთხოვა კონსტანტინე ბატონიშვილის გათავისუფლება.[7] ხანგრძლივი მოლაპარაკების შემდეგ, სოლომონ მეორემ რუსეთის ცარიზმის ეს მოთხოვნა შეასრულა. 180[illegible] [illegible]ის 30 მაისს, ცხრა წლის პატიმრობის შემდეგ გათავისუფლებული კონსტანტინე ბატონიშვილი თბილისში ჩაიყვანეს.[8] მას თან ახლდა იმერეთის სა-

---

[7] Акты..., т. II, с. 346.

[8] ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 289.

მეფის „ვიცე-კანცლერი“ სოლომონ ლიონიძე, რომელსაც მეფე განსაკუთრებული რწმუნებით პეტერბურგში აგზავნიდა—მას რუსეთის მფარველობაში იმერეთის სამეფოს მიღება უნდა ეთხოვა. სოლომონ ლიონიძემ თან წაიღო დიდი დიპლომატიური ხელოვნებით შედგენილი დოკუმენტი. მასში აშკარად ჩანდა, რომ იმერეთის მეფის კარზე მთელი სიგრძე-სიგანით იცოდნენ რუსეთის მეფის განზრახვანი ამიერკავკასიაში და ამ ვითარებისათვის თავისი ქვეყნის პოლიტიკური ინტერესების შეგუებას ცდილობდნენ.[9] დოკუმენტში დასაბუთებული იყო, რომ იმერეთის სამეფოს დაცვა-გაძლიერება რუსეთის მთავრობის ინტერესებისათვის დიდად სასარგებლოა, იმერეთის სამეფოს გაძლიერება პირობაა რუსეთის მთავრობის პოლიტიკის წარმატებისათვის არამარტო ამიერკავკასიაში, არამედ თვით ოსმალეთსა და სპარსეთში.

სოლომონ ლიონიძის დიპლომტიური მისია პეტერბურგში, როგორც ეს მოსალოდნელი იყო, მარცხით დამთავრდა. სოლომონ მეფის პიროვნება სრულიად მიუღებელი იყო ცარიზმისათვის, განსაკუთრებით, მას შემდეგ, რაც სამეგრელოს სამთავრო რუსეთის მფარველობაში შევიდა (1803 წლის 4 დეკემბერი). პ. ციციანოვმა რუსეთის მთავრობას აცნობა, რომ სოლომონ II სამეგრელოს მთავარს ავიწროებდა, რუსეთთან მისი მეგობრული ურთიერთობის გამო. მან ნებართვა სთხოვა მთავრობას, კონსტანტინე ბატონიშვილი იმერეთის ტახტის მემკვიდრედ გამოეცხადებიათ და ქვეყანა ძალით დაეჭირათ. პეტერბურგში ციციანოვის რჩევა მიიღეს მცირე კორექტივით. ალექსანდრე I არ იყო თანახმა კონსტანტინე გაემეფებიათ, მაგრამ არა იმიტომ, რომ მან სულ რამდენიმე ხნის წინათ განაცხადა ამას არ გააკეთებდა, არამედ რუსეთის ხელმწიფეს არ სურდა, სოლომონ მეორის ტახტიდან ჩამოგდების შემთხვევაში, ახალი პირი გაემეფებია. პეტერბურგში სოლომონ ლიონიძესთან მოლაპარაკება შეწყვიტეს და იგი საქართველოში გამოისტუმრეს. იმერეთის საკითხის მოგვარება პ. ციციანოვს მიენდო. იგი, პრაქტიკულად, ამ საქმის გადაწყვეტას შეუდგა განჯის სახანოს აღების შემდეგ.

მოვლენათა მსვლელობამ სოლომონ II იძულებული გასადა პ. ციციანოვთან მოლაპარაკება გაემართა. მან 1804 წლის მარტის

---

[9] ნ. ბერძენიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 289-290.

დასაწყისში, ქაიხოსრო წერეთელი და სეხნია წულუკიძე გორში გაგზავნა და ციციანოვს განჯის აღება მიულოცა. ამ ელჩების პირით, სოლომონი რუსეთის ხელმწიფის მფარველობაში შესვლას ითხოვდა, მაგრამ იმ პირობით, რომ მას იმერეთის მეფობა შეუნარჩუნდებოდა და ლეჩხუმი, რომელიც დადიანმა წაართვა, დაუბრუნდებოდა. ეს უკანასკნელი პირობა ციციანოვისათვის მიუღებელი იყო არამარტო იმიტომ, რომ ლეჩხუმი მან უკვე დადიანს აღუთქვა, არამედ, უმთავრესად, იმიტომ, რომ რუსეთის მთავრობა კარგად იყო მოხვედრილი სოლომონ მეორის გამაერთიანებელ ზრახვებს დასავლეთ საქართველოს მიმართ, რაც მას ყოვლად დაუშვებლად მიაჩნდა.[10]

პ. ციციანოვმა სოლომონის ელჩებს თან გააყოლა თავისი რწმუნებული, გრაფი მ. ვორონცოვი (შემდეგში კავკასიის მეფისნაცვალი), რომელსაც მეფისათვის მთავარმართებლის მიერ შედგენილი ტრაქტატის ანუ „სათხოვარი პუნქტების" პროექტი უნდა გადაეცა.[11] სოლომონმა ამ პირობების მიღებაზე უარი განაცხადა. უთანხმოების ძირითადი მიზეზი ლეჩხუმი იყო, რომელსაც მეფე დაჟინებით ითხოვდა.

სოლომონ მეორის წინააღმდეგობის დასაძლევად, ციციანოვმა სხვადასხვა საშუალებებს მიმართა. იგი მეფესთან პირდაპირ შეხვედრას მოითხოვდა. ბოლოს, სოლომონ II იძულებული გახდა, 1804 წლის 16 აპრილს, ციციანოვს შეხვედროდა სოფელ ელაზნაურში. მაგრამ ლეჩხუმის საკითხის გამო, მოლაპარაკება ჩიხში მოექცა. მაშინ პ. ციციანოვის ბრძანებით, რუსეთის ჯარები იმერეთში შემოვიდნენ და რუსეთის მეფის ერთგულებაზე მოსახლეობის დაფიცება დაიწყეს: სოლომონ II იძულებული გახდა მიეღო ციციანოვის წამოყენებული პირობები. 1804 წლის 25 აპრილს მან ხელი მოაწერა ე. წ. ელაზნაურის ტრაქტატს და რუსეთის ხელმწიფის

---

[10] ი ქ ვ ე, გვ. 302.

[11] რუსეთის დიპლომატია „ორიგინალურ" მეთოდს იყენებდა — „სათხოვარი პუნქტების", ე. ი. თხოვნის ტექსტს ცარიზმის ჩინოვნიკები აფენდნენ და მთხოვნელს აიძულებდნენ მასზე ხელი მოეწერა.

ერთგულებაზე დაიფიცა.[12] აქ გადაეცა სოლომონ მეორეს უმაღლესად ბოძებული ალექსანდრე ნეველის ორდენი.[13]

ელაზნაურის ხელშეკრულების მიხედვით, სოლომონ მეორე „რუსეთის ხელმწიფის საუკუნო ქვეშევრდომი ხდებოდა. იმერეთის მეფობა სოლომონს საშვილიშვილოდ უმტკიცდებოდა, ხოლო მის მემკვიდრედ, თუ ვაჟი არ მიეცემოდა, კონსტანტინე ბატონიშვილი იგულისხმებოდა.

იმერეთის მეფე ტახტზე ასვლისას რუსეთის ხელმწიფის სიგელით უნდა დამტკიცებულიყო.

როგორც იმპერატორის ერთგული ქვეშევრდომი, იმერეთის მეფე პირობას სდებდა, რომ ყველაფერში დაემორჩილებოდა ხელმწიფის მიერ დანიშნულ ხელისუფალს—საქართველოს მთავარმართებელს. ქვეყნის ადმინისტრაცია და სამართალი, ძველებურადვე, მეფის ხელთ რჩებოდა, ოღონდ, სისხლის სამართლის საქმეებში მას, ამიერიდან რუსული კანონებით უნდა ეხელმძღვანელა.

იმერეთის სამეფოში, — ამ ქვეყნის „დასაცველად გარეშე და შინაური მტრებისაგან“ და აგრეთვე აქ „მშვიდობიანობის დასამყარებლად“, სამუდამო სამყოფლად უნდა შესულიყო რუსთა ჯარი.“[14]

ელაზნაურის ტრაქტატი სოლომონის მეფობას არარად აქცევდა. ამიერიდან იმერეთის მეფე რუსეთის მთავრობის უბრალო მოხელე ხდებოდა (ნ. ბერძენიშვილი). ამიტომ იყო ასე კმაყოფილი პ. ციციანოვი და ტრაქტატს თავისი მოღვაწეობის დიდ წარმატებად თვლიდა. იმპერატორისადმი გაგზავნილ რაპორტში, იგი საზგასმით აღნიშნავდა—ამიერიდან „იმერეთის სამეფო რუსეთის ერთ-ერთ პროვინციად გადაიქცა.“[15] ცოტა მოგვიანებით (1804 წლის 4 ივლისი), ციციანოვმა იმასაც მიაღწია, რომ სამეგრელოს

---

[12] ელაზნაურის ხელშეკრულების ტექსტი რამდენჯერმეა გამოცემული. ბოლოს დედნების მიხედვით, იგი გამოსცა გ. პაიკაძემ, იხ. იმერეთის სამეფოსა და რუსეთის იმპერიის 1804 წლის შეთანხმება, კრ. ქართული სამეფო-სამთავროების საგარეო პოლიტიკის ისტორიიდან, ტ. II, თბ., 1973, გვ. 189-215.

[13] ეს ორდენი სოლომონ მეორეს გამოეგზავნა 1803 წელს, ბრონევსკის მისიის წარმატებით დასრულებასთან დაკავშირებით. მაგრამ წინდახედულმა პ. ციციანოვმა, იგი ადრესატს გადასცა ელაზნაურის ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ.

[14] ნ. ბერძენიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 303-304; გ. პაიკაძე, დასახ. პუბლიკაცია... გვ. 189-215.

[15] Акты..., т. II, с. 374.

მთავარმა გრიგოლ დადიანმა და სოლომონ მეორემ საჭილაოში ხელი მოაწერეს საერთო ტრაქტატს რუსეთის ქვეშევრდომობაში შესვლის შესახებ.

ასე დასრულდა პირველი სტადია შედარებით ხანგრძლივი გზისა, რომელიც გაიარა იმერეთმა, ვიდრე რუსეთის იმპერიის პროვინციად გადაიქცეოდა.

სოლომონ მეორემ, ყველა საშუალებებით იცავდა რა (საუკუნოვან მტერთან — თურქეთის სულთანთან შეთანხმების ჩათვლით), თავის სამეფოს თავისუფლებას ცარიზმის მოსალოდნელი კოლონიური ჩაგვრისაგან, ამჯერად დროებით თავი დაშარცხებულად სცნო და იარაღი დაჰყარა. მაგრამ, მისი ეხრიდან ეს იყო მხოლოდ შესვენება ძალების მოსაკრებად გადამწყვეტი შეტევის წინ, რომლის წამოწყებასაც აპირებდა, მაგრამ არა მარტო ფეოდალურ წოდებასთან ერთად, არამედ ჩაფიქრებული ჰქონდა ბრძოლა გაეშალა უფრო ღრმად და ფართოდ, ჩაება მასში ხალხი, რომელმაც რუსეთის ქვეშევრდომობაში იმერეთის შესვლის პირველი დღეებიდანვე იწვნია ცარიზმის ჩაგვრის სიმძიმე.[16]

საჭილაოს ტრაქტატის გაფორმებამ დაადასტურა, რომ სამხედრო-სტრატეგიული და ეკონომიკური თვალსაზრისით, რუსეთი ჯერ კიდევ მზად არ იყო იარაღით დაეპყრო მთელი დასავლეთ საქართველო. ამიტომ პ. ციციანოვის თეზას — „გაცილებით სასარგებლოა დავტოვოთ მეფეები მათ მოჩვენებით სამეფოებში (ე. მოჩვენებითი სამეფო ხელისუფლებით)" რუსეთისადმი სრული ქვეშევრდომობის პირობით და ამით იმპერია დავიცვათ ზედმეტი ხარჯებისაგან, რასაც რუსული მმართველობის შემოღება მოითხოვს, საიმპერატორო კარზე სრული გაგებით მოეკიდნენ.[17] კიდევ უფრო მეტი — ციციანოვმა მიიღო შინაგან საქმეთა მინისტრის კოჩუბეის მოწერილობა, რომელშიაც ნათქვამი იყო, რომ ალექსანდრე I-ის აზრით, სასურველია აღმოსავლეთ საქართველოშიც დამყარდეს ისეთივე მმართველობა, როგორიც დასავლეთ საქართველოშია, ე. ი. სამეფო სახლიდან გამოძებნილიყო ვინმე, რომელიც ქართლ-კახეთის მმართველობას სათავეში ჩაუდგებოდა.

---

[16] ა. ფირცხალაიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 42.

[17] Акты..., т. II, с. 467, 472.

მას ექნებოდა მთავრის ან სხვა წოდება. პ. ციციანოვი ამ მოწერილობას არ გამოხმაურებია.

პ. ციციანოვისაგან განსხვავებით, სოლომონ მეორეს არ მიაჩნდა, რომ ელაზნაურის ტრაქტატის შემდეგ, მისი ხელისუფლება მოჩვენებითი და ნომინალური უნდა ყოფილიყო.[18] მაგრამ პეტერბურგის კარი თვლიდა, იმერეთის სამეფო de facto უკვე იმპერიის შემადგენლობაშია და გადადგა კიდეც პრაქტიკული ნაბიჯები აქ რუსული მმართველობის დასამყარებლად. ამაზე ნათლად მეტყველებს ლიტვინოვის მისია დასავლეთ საქართველოში.

1804 წლის 29 მაისს რუსეთის წარმომადგენლად იმერეთში დაინიშნა პეტრე მაქსიმეს ძე ლიტვინოვი (1760-1834 წწ.)[19], რომელიც შტაბის ოფიცრის, ორი უნტერ-ოფიცრის და კავკასიის გრენადერთა პოლკის ოთხმოცი ჯარისკაცის თანხლებით, 1804 წლის 4 ივნისს სოლომონ მეფესთან გამოცხადდა ქუთაისში.[20]

როდესაც პ. ლიტვინოვს იმერეთში აგზავნიდნენ, არც თანამდებობა განუსაზღვრავთ და არც მივლინების ვადა. ოფიციალურად, მას დაევალა მეფისა და დადიანის შერიგება, ნამდვილად კი, ლიტვინოვის მისიას შეადგენდა რუსეთის ჯარის გამრავლება იმერეთის ტერიტორიაზე და პარალელურად, ქვეყნის ადგილმდებარეობის, მოსახლეობისა და გავლენიანი პირების რუსეთისადმი

---

[18] იმერეთის სამეფოს, სამეგრელოსა და გურიის სამთავროების შესვლას რუსეთის ქვეშევრდომობაში ზოგჯერ რუსეთთან მათ შეერთებად მიიჩნევენ, რაც, ჩვენი აზრით, ზუსტი არ არის.

[19] Акты..., т. II, с. 371.

[20] Акты..., т. II, с. 379.

პეტრე მაქსიმეს ძე ლიტვინოვი დაიბადა 1760 წელს. 1803 წელს იგი მივლინებულ იქნა კავკასიაში თავად პ. ციციანოვის განკარგულებაში. საქართველოს მთავარმმართველი პ. ციციანოვი პეტერბურგის სამეფო კარისაგან ითხოვდა, მისთვის გაეგზავნათ უნარიანი და პატიოსანი ჩინოვნიკები. პ. ლიტვინოვის თანამდებობა და საქართველოში ყოფნის ვადა არ განუსაზღვრავთ. იგი უნდა დაბრუნებულიყო პეტერბურგში, სადაც მას ეპირა მრჩევლის თანამდებობა სახელმწიფო ბანკში, მას შემდეგ, რაც საქართველოს მმართველობის საქმეში წესრიგი იქნებოდა დამყარებული. სამეგრელოსა და იმერეთის საქმეების დამთავრების შემდეგ (იგულისხმება მათი რუსეთის ქვეშევრდომობაში შესვლა), პ. ლიტვინოვი დაინიშნა პოდოლსკის სამოქალაქო გუბერნატორის თანამდებობაზე. გარდაიცვალა ვენაში 1834 წ. 27 ნოემბერს.

განწყობილების შესწავლა, საჭირო შემთხვევაში, უკანასკნელთა გადაბირება ცარიზმის მხარეზე, რათა მოემზადებინა ნიადაგი იმერეთში მეფის ხელისუფლების საბოლოო გაუქმებისა და რუსული მმართველობის დამყარებისათვის.[21]

პ. ლიტვინოვი, როგორც უკვე აღინიშნა, ფაროო უფლებებით იყო აღჭურვილი. პ. ციციანოვი მას „ი მ ე რ ე თ ი ს ა დ ა ს ა მ ე გ რ ე ლ ო ს მ მ ა რ თ ვ ე ლ ს“ უწოდებდა[22] და ავალებდა მეფე-მთავარზე გავლენისა და მათი მორჩილების მოპოვებას, რომ „ორივე ამიერიდან თქვენ გისმენდნენო.“

პ. ლიტვინოვი, ფორმალურად, გამოდიოდა რუსეთის მთავრობის რეზიდენტის როლში იმერეთის მეფესთან და სამეგრელოს მთავართან. მის განკარგულებაში მყოფი სამხედრო ძალით, მას უნდა გაეხორციელებინა რუსეთის მთავრობის ხელისუფლება მეფე-მთავარზე.[23] თავის მხრივ, პ. ლიტვინოვი კარგად იყენებდა ამ უფლებებს და იცოდა რა, რუსეთის ხელისუფლების დამოკიდებულება სოლომონ მეორისადმი, უხეშად ეპყრობოდა მას.

ქუთაისში ჩამოსული პ. ლიტვინოვი, პ. ციციანოვის დავალებით, მეფისგან მოითხოვდა პეტერბურგში გაეგზავნა დეპუტაცია იმპერატორის წინაშე „რუსეთის მფარველობაში მიღებისათვის მადლობის გადასაცემად“. პ. ციციანოვის აზრით, პეტერბურგში საზეიმოდ მიღებული და დასაჩუქრებული იმერელი დეპუტატები სამშობლოში დაბრუნების შემდეგ, რუსეთის სამსახურში ჩადგებოდნენ. მეფე კი პეტერბურგში ასეთი დეპუტაციის გაგზავნას არ აპირებდა, რადგან თვლიდა, რომ მას სამადლობელი არაფერი ჰქონდა.

პირველ ხანებში, ვიდრე რუსეთის ჯარები არ მოსულიყო, პ. ლიტვინოვი ქუთაისში ხანგრძლივად ყოფნას ვერ ბედავდა. ფო-

---

[21] პ. ლ ი ტ ვ ი ნ ო ვ მ ა მართლაც შეადგინა იმერეთისა და სამეგრელოს აღწერა (იხ. Акты..., т. II, с. 407-413), რომელშიაც კოლონიზატორი-ჩინოვნიკის სიზუსტით, ნაჩვენებია რა ეკონომიკური სარგებლობის მოტანა შეეძლო იმერეთისა და სამეგრელოს შეერთებას რუსეთთან. ამასთან ერთად, „აღწერის“ ავტორი ამჟღავნებს უაღრესად ქედმაღლურ და დამპყრობლის დამოკიდებულებას ადგილობრივი მოსახლეობისადმი.

[22] ი ბ ე ვ ე, გვ. 502.

[23] მ. დ უ მ ბ ა ძ ე, დასავლეთ საქართველო XIX საუკუნის I ნახევარში, თბ., 1957. გვ. 174.

თის ოპერაციასთან დაკავშირებით კი (პ. ლიტვინოვი ფოთის დაკავებას ცდილობდა), იმერეთსა და სამეგრელოში რუსეთის ჯარების რაოდენობა მნიშვნელოვნად გაიზარდა. ქუთაისის სამეფო კარის მდგომარეობა კიდევ უფრო გართულდა, მაგრამ სოლომონ II ყველა ღონეს ხმარობდა დამოუკიდებლობა შეენარჩუნებია და ცარიზმის შემოტევებისაგან თავი დაეცვა. მას ცხოველი საიდუმლო ურთიერთობა ჰქონდა გაბმული ქართველ ბატონიშვილებთან, ხანებთან, ფაშებთან, სპარსეთის შაჰთან და ოსმალეთის კართან.[24]

ცარიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში სოლომონ მეორემ გარკვეული წარმატება მოიპოვა იმით, რომ 1804 წლის 12 ივნისს ბატონიშვილი კონსტანტინე, როგორც უკვე აღინიშნა, ქართლიდან იმერეთში გამოიქცა. ამით სოლომონმა რუსეთის მთავრობას ხელიდან გაამოსტაცა იმერეთის მეფეზე ზემოქმედების ძლიერი იარაღი, გაიერთგულა კონსტანტინეს მომხრე იმერელი თავადები და ეს ბატონიშვილი რუსეთის მთავრობაზე ზემოქმედების საშუალებად გამოიყენა.[25]

აქტიურად მოქმედებდა პ. ლიტვინოვიც. იგი ენერგიულად ცდილობდა იმერეთში და, კონკრეტულად, ქუთაისში, რუსეთის ჯარების რაოდენობა გაეზარდა. მეფემ რამდენჯერმე სთხოვა პ. ლიტვინოვს ქუთაისში დამატებითი ჯარები არ შემოეყვანა. 1804 წლის ნოემბერში, სოლომონ მეორემ სუჯუნაში მყოფ პ. ლიტვინოვთან სახლთუხუცესი ზურაბ წერეთელი და ვიცეკანცლერი სოლომონ ლიონიძე გააგზავნა თხოვნით — ქუთაისში არ შემოეყვანა რუსეთის ჯარის მთელი ბატალიონი. მეფე მოითხოვდა ქუთაისში დარჩენილიყო მხოლოდ ერთი ასეული, დანარჩენი კი განელაგებიათ ქალაქის გარეთ. „მეფე და დედოფალი ისე შეშფოთებული არიან ჯარების ასეთი რაოდენობით, რომ ემზადებიან ქუთაისი დატოვონო"[26]— წერდა პ. ლიტვინოვი პ. ციციანოვს.

მიუხედავად ამისა, პ. ლიტვინოვი დაბეჯითებით უსაბუთებდა მთავარმმართველს, რომ ქუთაისში აუცილებელია მთელი ბატალიონის ყოფნა. მისი დაჟინებითი მოთხოვნის შედეგად, 1804 წლის ნოემბერში ქუთაისში ბინა დაიდო მუშკეტერთა ბელევსკის პოლკის

---

[24] ნ. ბერძენიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 309.
[25] იქვე, გვ. 310.
[26] Акты.... т. II, с. 416-417.

შეფმა, გენერალმა იონა იონას ძე რიკჰოფმა. ამ პოლკის ერთი ბატალიონი ქუთაისში განალაგეს.[27]

ასეთ ვითარებაში ბატონიშვილები იულონი და ფარნაოზი იძულებული გახდნენ ქუთაისიდან წასულიყვნენ, თუმცა მათი ცოლშვილი კვლავ იმერეთში რჩებოდა. მაგრამ პ. ციციანოვი მაინც ვერ ისვენებდა. მას სურდა, რაც შეიძლება სწრაფად, იმერეთიდან გაეყვანა ბატონიშვილი კონსტანტინე. ამ საკითხზე სოლომონთან ქუთაისში მოსალაპარაკებლად ჩამოვიდნენ პ. ციციანოვის წარმოგზავნილები—მაიორი კოვალიოვი და თავადი ლუარსაბ ორბელიანი. მოლაპარაკება უშედეგოდ დამთავრდა. მეფემ განაცხადა, რომ არ იცის სად იმყოფება ბატონიშვილი.

პ. ლიტვინოვი პირადად, თუ თავისი მრავალრიცხოვანი ქართველი და რუსი ჯაშუშ-მსტოვრების საშუალებით, ფხიზლად დევნებდა თვალყურს სოლომონ მეორის ყოველ ნაბიჯს, საერთოდ, ქუთაისის სამეფო კარის ყველა ღონისძიებას და პ. ციციანოვთან ზედიზედ გზავნიდა დასმენისა და დაბეზღების ბარათებს, რომლებშიაც მეფეს და მის ერთგულ პირებს—სოლომონ ლიონიძეს, სეხნია წულუკიძეს, როსტომ ნიჟარაძეს, და სხვებს, რუსეთის უბიროტეს მტრებად სახავდა. რუსების ერთგულთა შორის, პირველ რიგში, ზურაბ წერეთელი იყო დასახელებული.

1804 წლის 8 დეკემბერს სამეგრელოში მყოფი პ. ლიტვინოვი მთავარსარდალს სწერდა—ცნობა მივიღე მეფემ და დედოფალმა ქუთაისი დატოვეს. ახლა ისინი ვარციხეში ცხოვრობენო.[28]

ქუთაისში დაბრუნებულმა პ. ლიტვინოვმა მეფესთან მოციქულები გაგზავნა. დიდი ყოყმანისა და ლოდინის შემდეგ, სოლომონი ქუთაისში ჩამოვიდა. მეფე დაეთანხმა პ. ლიტვინოვს ქუთაისში ფოსტა დაეარსებინათ. გარდა ამისა, გამოქვეყნდა სოლომონის მიმართვა მოსახლეობისადმი, რუსებზე თავისუფლად გაეყიდათ ჯარისათვის საჭირო სურსათ-სანოვაგე. ამასთან ერთად, მეფემ კატეგორიულად მოითხოვა ქუთაისიდან გაეყვანათ ჯარის ნაწილები, რაც რუსეთისადმი მისი მორჩილების მთავარი პირობა იქნებოდა. ვრცელდებოდა ხმები, და არცთუ უსაფუძვლოდ, რომ ჯარების შემოსვლისთანავე მეფეს დაიჭერენ და რუსეთში გადაასახლე-

---

[27] ი ქ ვ ე, გვ. 418.
[28] ი ქ ვ ე, გვ. 418.

ბენო. სოლომონი მზად იყო სურსათ-სანოვაგით მოემარაგებინა რუსეთის ჯარის ნაწილები, თუ ისინი ქუთაისის გარეთ იქნებოდნენ დაბანაკებული. მან სხვა ნაბიჯებიც გადადგა რუსებთან ურთიერთობის გასაუმჯობესებლად. მაგალითად, 1804 წლის დეკემბერში, მეფის თხოვნით, ქუთაისი დატოვეს ბატონიშვილების—ფარნაოზისა და იულონის ოჯახთა წევრებმა.

1805 წლის 19 თებერვალს, ქუთაისში, იმერეთის მეფეს დიდი ზარ-ზეიმით გადასცეს იმპერატორის წყალობის სიგელი. შეუძლებელია, წარმოიდგინო ამაზე უფრო მზაკვრული და ვერაგული აქტი, რადგან წყალობის სიგელთან ერთად, მიღებული იყო განკარგულება დაეჩქარებინათ იმერეთში მეფის ხელისუფლების გაუქმება. ამას კარგად გრძნობდა სოლომონი და ქუთაისში ხანგრძლივად დარჩენას ვეღარ ბედავდა.

იმერეთში და კერძოდ, ქუთაისში რუსეთის ჯარების რაოდენობა თანდათან მატულობდა. დასავლეთ საქართველოში, ფაქტობრივად, მმართველის უფლებებით აღჭურვილი პ. ლიტვინოვი, გენ. ი. რიკჰოფი და რიგითი ოფიცრებიც კი, მეფეს აგდებულად ეპყრობოდნენ, შეურაცხყოფას აყენებდნენ მას. პ. ლიტვინოვი იმერეთში ისე მოქმედებდა, როგორც სამეფოს სრულუფლებიანი გამგებელი. 1805 წლის 30 აგვისტოს სოლომონ II პ. ციციანოვს სწერდა—„ლიტვინოვი მე, ქრისტიან მეფეს, უკანონოს მეძახის და აცხადებს—იგი (ე. ი. მე) ძველი მეფეა, ახალი მეფე მე ვარო."[29] (ხაზგასმა ჩვენია, გ. ვ.)

პ. ლიტვინოვმა, სოლომონ მეორის გვერდის ავლით, ურთიერთობა დაამყარა ქუთაისელ ვაჭრებთან, აღუთქვა მათ ყოველმხრივი დახმარება რუსეთთან აღებ-მიცემობის გაფართოების საქმეში. ადგილობრივმა ვაჭრებმა პ. ლიტვინოვთან დააყენეს საკითხი, რუსეთის ხელისუფლების დახმარებით, იმპერიის სხვადასხვა ბანკებში ფულის გადაგზავნის შესახებ. ქუთაისელი ვაჭრები რუსეთში გადაგზავნილ თანხებს მიიღებდნენ: ასტრახანში, მოზდოკში, მოსკოვში, პეტერბურგსა და სხვა ქალაქებში.

პ. ლიტვინოვი უხეშად ერეოდა მეფისა და მისი ქვეშევრდომების ურთიერთობაში, ცდილობდა დაემცირებია იგი ადგილობრივი

---

[29] იქვე, გვ. 442.

მოსახლეობის თვალში. თავისი ძალაუფლების საილუსტრაციოდ, თვითნებურად აუქმებდა მეფის მიერ გაცემულ ბრძანებებს, თუ განკარგულებებს. იგი იყო სოლომონის მიერ შერისხულ პირთა პირველი ქომაგი, მასთან პოულობდნენ თავშესაფარს მეფის ორგული პირები. პ. ლიტვინოვის თვითნებური მოქმედების ერთ-ერთი ნათელი გამოხატულება იყო ის, რომ მისი განკარგულებით, ქუთაისში გატეხეს სოლომონის მიერ სამეფო ბეჭდით დალუქული დუქანი და საქონელი დაუბრუნეს მეფის მიერ შერისხულ ვაჭარს. კიდევ უფრო მეტი, ქუთაისში რუსმა სალდათებმა შეიპყრეს, გალახეს, თავი გაუტეხეს და ათრიეს იმერეთის უპირველესი თავადი, მეფის სიძე დავით წულუკიძე. როდესაც მეფემ გათავხედებული სალდათების დასჯა მოითხოვა, უპასუხეს—მართალია, დავით წულუკიძეს არაფერი დაუშავებია, მაგრამ სალდათებს ვერ ეცნოთ, თორემ არ გალასავდნენო.

სოლომონ მეორის დამცირების მიზნით, ქუთაისში მყოფი ჯარების ერთი ნაწილი მოთავსებული იყო სამეფო სასახლეში და როგორც მეფე წერდა: „თვით საწოლსა შინა ჩემსა დაბალთა მოხელეთა უსხდათ ხასები, წართმეული თავადთა ჩემთა მოახლენი“...

ქუთაისში შექმნილ ვითარებას თვით სოლომონი ასე აღწერდა: „...ესოდენთა წელიწადთა დგანან მხედროვანი რუსეთისანი სამეფოსა შინა ჩემსა, ვითარცა სახლსა შინა თვისსა. და იზრდებიან შეშითა სასლითა ჩვენ მიერ მოცემულითა, პრავიანტითა, ცხენითა, ურმითა, სასმელითა და საზრდელითა და წარვლიან დღეთა ზამთრისა და ზაფხულისათა მშვიდობათ, გარნა ნაცვლად მადლობისა გვაგინებენ და შეურაცხჰყოფენ თავადთა და კეთილშობილთა ჩვენთა.“[30]

მეფე პ. ლიტვინოვის თვითნებობასა და რუსეთის ჯარების მეთაურთა უდიერი მოქმედების შესახებ, ხშირად აცნობებდა როგორც ადგილობრივ ხელისუფლებას, ასევე იმპერატორს, მაგრამ უშედეგოდ.

1805 წლის 23 ოქტომბერს პ. ლიტვინოვი პ. ციციანოვს აცნობებდა, რომ სოლომონ მეორემ შეკრიბა თავადები და დარბაზის სხდომამ განიხილა სამეფოს მომავლის საკითხი. სოლომონ ლიონიძე შეკრებილთ უმტკიცებდა, რომ რუსეთი, რომელმაც ყირიმის სახანოს და ქართლ-კახეთის სამეფოს წაართვა დამოუკიდებლობა,

---

30 Акты..., т. IV, с. 214-216.

ამასვე უმზადებდა იმერეთს. მეფემ იმის შიშით, რომ რუსები დაიჭერენ, გარს შემოიკრიბა ლეკ მცველთა ასეული, ქუთაისი დატოვა და თავს აფარებს მთებს ახალციხის საზღვარზე, რომ საჭიროების შემთხვევაში იქ გადავიდეს.[31]

ინტრიგები სოლომონ მეორის წინააღმდეგ გრძელდებოდა. 1806 წლის დასაწყისში, პეტერბურგში ჩავიდა სამეგრელოს დეპუტაცია, რომელმაც დააყენა საკითხი, იმერეთიდან გაეძევებიათ მეფე სოლომონი და კონსტანტინე ბატონიშვილი, როგორც „ფიცის ვამტეხნი და მათთვის ბოძებული უმაღლესი წყალობის უღირსნი". მათ ადგილას დაეყენებიათ მმართველის წოდებით, ქართველი ბატონიშვილი იოანე გიორგის ძე, რომელიც თავისი პირადი ღირსების გამო, იმერეთში სარგებლობდა დიდი ნდობით და გარდა ამისა, თავად ზურაბ წერეთლის ნათესავი იყო.[32] ზურაბ წერეთელი უფრო შორსაც წავიდა—როგორც ცნობილია, 1806 წელს ბაქოში დაიღუპა პ. ციციანოვი. საქართველოს მთავარმმართველად დაინიშნა გენერალ-ანშეფი ივანე ვასილის ძე გუდოვიჩი. სახლთუხუცესი კარგა ხანია იმერეთის ტახტზე ოცნებობდა. მისი აზრით, თუ საქართველოს რუსული მთავრობა ისურვებდა, იმერეთის ტახტზე სოლომონ მეფეს ის ადვილად შეცვლიდა და ახლა, როცა იმერეთის მეფესა და რუსულ მმართველობას შორის ურთიერთობა საბოლოოდ წახდა, პატივმოყვარე თავადმა ფრთხილად აცნობა გუდოვიჩს თავისი განაზრახი. მაგრამ იმერეთში სამეფოს შენარჩუნება რუსულ გეგმებს არ ეთანხმებოდა (ნ. ბერძენიშვილი).

საქართველოს ახალი მთავარმმართველის დანიშვნამ სოლომონ მეორეს გარკვეული იმედები ჩაუსახა. მან გადაწყვიტა მოლაპარაკებოდა ი. გუდოვიჩს, შეადგინა „სათხოვარი პუნქტების" ახალი ვარიანტი, რომელიც პრინციპულად განსხვავდებოდა ელაზნაურის ტრაქტატის პირობებისაგან და 1806 წლის სექტემბერში, როსტომ ნიჟარაძის ხელით, გაუგზავნა მას. სოლომონ II ითხოვდა „ახალი პუნქტების" საფუძველზე, მიეღოთ რუსეთის ხელმწიფის მფარველობაში. ამ დოკუმენტმა რუსეთში დიდი გაკვირვება გამოიწვია, რადგან მიაჩნდათ, რომ იმერეთის სამეფო დიდი ხანია რუსეთის ხელმწიფის ქვეშევრდომობაში იმყოფებოდა. ურთიერთობა უფრო

[31] Акты..., т. II, с. 427, 430, 433.

[32] იქვე, ტ. III, გვ. 175.

დაიძაბა. 1806 წლის შემოდგომაზე რუსეთის ხელისუფლებამ სოლომონ მეორის წინააღმდეგ კიდევ ერთი მტრული აქცია წამოიწყო. რუსების დახმარებით, მუხურის ციხიდან გაიქცა და ქუთაისში გენ. რიკჰოფთან გამოცხადდა სოლომონ I-ის შვილიშვილი, უკანონოდ შობილი გიორგი ალექსანდრეს ძე. მან წერილით მიმართა ახალ მთავარმმართველს ი. გუდოვიჩს—ქუთაისში, გენ. რიკჰოფთან ვიმყოფები და თქვენს წყალობას ველიო.[33]

გენ. რიკჰოფს მითითება მიეცა გიორგი ალექსანდრეს ძე თბილისში გაეგზავნა და მეფე დაემშვიდებია, რადგან ბატონიშვილი უკანონოდ შობილია, ტახტზე პრეტენზიები ვერ ექნებაო. ამასთან ერთად, მთავარმმართველი მეფის ქუთაისში შემოტყუების მიზნით, შესაძლებლად თვლიდა დროებით ჯარები გაეყვანათ ქალაქიდან და განელაგებინა იქვე მახლობლად სამხედრო მზადყოფნაში. გენ. რიკჰოფის აზრით კი, ჯარების ქალაქიდან გაყვანას არავითარი შედეგი არ მოჰყვებოდა, რადგან მეფე ღრმად იყო დარწმუნებული, რომ თუ იგი ქუთაისში დაბრუნდებოდა, მყისვე დაიჭერდნენ.

1807 წლის 16 თებერვალს გენ. რიკჰოფმა ი. გუდოვიჩის უსაიდუმლოესი მოწერილობა მიიღო — მეფე ქუთაისში შემოეტყუებიათ, შეეპყროთ და თბილისში მასთან გაეგზავნათ. სამეფოს გამგებლობა ი. რიკჰოფის მეთაურობით, დაევალებოდა ზურაბ წერეთელს და კიდევ რამდენიმე პირს გენერლის შეხედულებისამებრ.[34] ამ ოპერაციის შესასრულებლად, ი. რიკჰოფს ქუთაისში გამოეგზავნა ეგერთა ბატალიონი და საკმაო რაოდენობით ფული სხვადასხვა საჭიროებისათვის, რომელთა შორის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა მეფის ორგულ პირთა მოსყიდვას.

ი. გუდოვიჩი ჩქარობდა და ნერვიულობდა. 1807 წლის 18 თებერვალს იგი ი. რიკჰოფს აფრთხილებდა ქუთაისი არ მიეტოვებია. მაგრამ აპრილში, გენერალი იძულებული გახდა, ფოთის ოპერაციასთან დაკავშირებით, რამდენიმე ხნით სამეგრელოში წასულიყო. ქუთაისში მის მოვალეობას ასრულებდა მაიორი მოიზა.

როგორც კი გენ. რიკჰოფი ჯარების ნაწილით ქალაქიდან გავიდა, მეფე დაუყოვნებლივ ჩამოვიდა ქუთაისში, დაანგრია ის სახ-

---

[33] ი ქ ვ ე, გვ. 126.
[34] ი ქ ვ ე, გვ. 132.

ლები, რომლებშიაც დაბანაკებული იყვნენ ქალაქიდან დროებით გაყვანილი ჯარის ნაწილები, ხოლო შემდეგ ბაღდათის მიმართულებით გაემგზავრა და ჯარების შეგროვება დაიწყო.

მეფე იმედს არ კარგავდა, იმერელი თავადების შემომტკიცებას ცდილობდა, ფაშებთან თუ ხანებთან მიმოწერას განაგრძობდა, ალექსანდრე ბატონიშვილთან მოციქული დაუდიოდა, თბილისის რუსულ ხელისუფლებას შევიწროება-შეურაცხყოფას აყვედრიდა, მადლობის დეპუტაციას პეტერბურგში არ გზავნიდა, ელაზნაურის ტრაქტატით გათვალისწინებულ ვალდებულებებს არ ასრულებდა და ნორმალური ურთიერთობის აღდგენის პირობად, რუსთა ჯარისაგან ქუთაისის დაცლას მოითხოვდა. ამ მოთხოვნის საპასუხოდ, ი. გუდოვიჩი სოლომონს ცინიკურად წერდა—ჯარების ყოფნა აუცილებელია ქალაქის დასაცავად, ახალციხიდან მოსალოდნელი თავდასხმისაგან და თქვენი პიროვნების უშიშროების უზრუნველსაყოფადო.[35]

1808 წლის 10 თებერვალს ი. გუდოვიჩმა იმპერატორის ახალი საიდუმლო ბრძანება მიიღო: ი მ ე რ ე თ ი ს ს ა მ ე ფ ო გ ა ე უ ქ მ ე ბ ი ა თ, მ ე ფ ე ო ჯ ა ხ ი თ დ ა ტ ა ხ ტ ი ს მ ე მ კ ვ ი დ რ ე, ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი კ ო ნ ს ტ ა ნ ტ ი ნ ე რ უ ს ე თ შ ი გ ა ე ს ა ხ ლ ე ბ ი ა თ. ი მ ე რ ე თ შ ი დ რ ო ე ბ ი თ ი მ მ ა რ თ ვ ე ლ ო ბ ა დ ა მ ყ ა რ დ ე ბ ო დ ა რ უ ს ი ო ფ ი ც რ ი ს ხ ე ლ მ ძ ღ ვ ა ნ ე ლ ო ბ ი თ. ა ხ ა ლ მ მ ა რ თ ვ ე ლ ო ბ ა შ ი პ ი რ ვ ე ლ კ ა ც ა დ მ ო ღ ა ლ ა ტ ე დ ა ო რ პ ი რ ი ზ უ რ ა ბ წ ე რ ე თ ე ლ ი ი ყ ო ნ ა ვ ა რ ა უ დ ე ვ ი. ი მ ე რ ე თ ი ს მ ო ს ა ხ ლ ე ო ბ ა უ ნ დ ა დ ა ე რ წ მ უ ნ ე ბ ი ა თ, რ ო მ მ ი ს ი ი ნ ტ ე რ ე ს ე ბ ი დ ა ც უ ლ ი ი ქ ნ ე ბ ო დ ა.[36] ი. გუდოვიჩმა იმერეთის სამეფოს გაუქმების პროექტის სისრულეში მოყვანა გენ. რიკჰოფს დაავალა, მაგრამ იგი ისე გარდაიცვალა, ეს დავალება ვერ შეასრულა.

---

[35] ი ქ ვ ე, გვ. 160.

[36] ი ქ ვ ე, გვ. 154.

2. რუსეთის ჯარების შემოჭრა იმერეთში. სოლომონ მეორის დატყვევება. იმერეთის სამეფოს გაუქმება

1809 წლის თებერვალში გენ. ი. რიკჰოფის ნაცვლად, დასავლეთ საქართველოში მოქმედ ჯარების სარდლად გენ. დიმიტრი ზაქარიას ძე ორბელიანი დაინიშნა და სოლომონ მეორის საკითხის მოგვარებაც მას მიენდო. დ. ორბელიანს უნდა მოეხერხებინა მეფისა და მისი ოჯახის, პირველ რიგში, ტახტის მემკვიდრის – კონსტანტინე ბატონიშვილის შეპყრობა და თბილისში გაგზავნა. ეს უნდა მომხდარიყო მშვიდობიანი გზით, სისხლისღვრის გარეშე. ახლადდანიშნულ გენერალს მიეცა საჭირო რაოდენობის თანხა იმერელ თავადაზნაურობასა და სამღვდელოებაში. მეფის ორგულ პირთა ძლიერი დასის შესაქმნელად. ამ დასის დახმარებით, მას უნდა დაერწმუნებია იმერეთის მოსახლეობა, კერძოდ, გლეხობა იმაში, რომ მეფის გადაგდებასა და ხელმწიფის ქვეშევრდომობაში შესვლას თან მოჰყვებოდა ბეგარა-ვალდებულებების შემცირება, ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება.

იმერეთის საკითხის სწრაფად გადაჭრას მოითხოვდა ამიერკავკასიაში შექმნილი ვითარებაც. რუსეთ-ირანისა და რუსეთ-თურქეთის გაჭიანურებულ ომებს ბოლო არ უჩანდა. მოსალოდნელი იყო თურქეთის კიდევ უფრო გააქტიურება. ასეთ პირობებში ურჩი ქვეშევრდომის ყოლა—სოლომონ მეორის სახით, ცარიზმისათვის სასურველი არ იყო.

გენ. დ. ორბელიანი იმერეთში ჩამოვიდა. თბილისში მიღებული ინსტრუქციის თანახმად, იგი სახლთუხუცესს ზურაბ წერეთელს უნდა დაკავშირებოდა და მასთან ერთად ემოქმედა. მეფე ვარციხის გამაგრებულ ბანაკში იმყოფებოდა. მან საკმაო დაყოვნებით მიიღო რუსეთის ადგილობრივი ხელისუფლების ახალი ემისარი. სოლომონ მეორემ თავადებისა და უმაღლესი სამღვდელოების წარმომადგენელთა კრება მოიწვია, დ. ორბელიანის მიერ წამოყენებული მოთხოვნების განსახილველად. ამ კრების გადაწყვეტილების თანახმად, მეფემ ქუთაისში გადმოსვლისა და სხვა მოთხოვნების შესრულების პირობად, ლეჩხუმის დაბრუნება და ქუთაისიდან ჯარების გაყვანა კატეგორიულად მოითხოვა. ამასობაში, მთავარმმართველი ი. გუდოვიჩი პეტერბურგში გაიწვიეს და მის ნაცვლად გენ. ალექსანდრე პეტრეს ძე ტორმასოვი დანიშნეს, რომელიც იყო „...კაცი...

მძვინვარე, ამპარტავან და უწყალო".[37] სოლომონ მეორემ მასთან ზურაბ წერეთელი გაგზავნა. მოღალატე თავადმა ა. ტორმასოვს ურჩია, მეფის გვერდის ავლით, უშუალოდ მიემართა იმერეთის მოსახლეობისათვის და ეუწყებია მისთვის ხელმწიფის წინაშე მეფის ურჩობის შესახებ. ასეთი პროკლამაცია მართლაც შეადგინეს და დ. ორბელიანს გამოუგზავნეს ქუთაისში. იმერეთში დაბრუნებულმა ზ. წერეთელმა თან ჩამოიტანა ა. ტორმასოვის წერილი სოლომონ მეორისადმი. ახალი მთავარსარდალი „გულწრფელად" ურჩევდა მეფეს ქუთაისში დაბრუნებულიყო, დიდგვარიანი თავადიშვილები ამანათად თბილისში გაეგზავნა, ხოლო იმპერატორისათვის მადლობის გამოსაცხადებლად დეპუტაცია — პეტერბურგში.

მეფემ ეს მოთხოვნები არ მიიღო. მაშინ დ. ორბელიანმა ა. ტორმასოვის პროკლამაცია გამოაქვეყნა, მაგრამ ამან სრულიად საწინააღმდეგო შედეგი გამოიღო, ვიდრე რუსეთის ხელისუფლება და ზ. წერეთელი მოელოდნენ.

სოლომონ მეორემ და მისმა მომხრეებმა ა. ტორმასოვის პროკლამაცია ჩათვალეს მეფის ტახტიდან ჩამოგდების ცდად. ამის საპასუხოდ, სოლომონმა იმერეთის თავადაზნაურობა და ხალხი შეკრიბა, დაახლოებით 6 ათასი კაცი და კითხვა დაუსვა — სურთ თუ არა იგი თავის მეფედ. შეკრებილებმა მეფის ერთგულებაზე დაიფიცეს. კიდევ უფრო მეტი, სოლომონის ერთგული პირები გურია-სამეგრელოში გადავიდნენ და იქაც მრავალი მომხრე გაიჩინეს.

ა. ტორმასოვმა გადაწყვიტა უკიდურესი ზომებისათვის მიემართა და სამხედრო ძალის გამოყენებით შეეპყრო მეფე. მაგრამ ამ ოპერაციის შესასრულებლად, იმერეთში განლაგებული ჯარების რაოდენობა საკმარისი არ იყო და მთავარსარდალმა იმერეთში ჯარების ახალი ნაწილების შეყვანის ნებართვა ითხოვა. 1809 წლის 24 სექტემბერს ა. ტორმასოვი ჯერ კიდევ ფოთის ალყად მდგომ დ. ორბელიანს აცნობებდა, რომ მან პეტერბურგიდან მიიღო უმაღლესი ნებართვა, იმერეთში დამატებითი ძალების შეყვა-

---

[37] თეიმურაზ ბაგრატიონი, ახალი ისტორია, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და საძიებლები დაურთო ლელა მიქიაშვილმა, თბ., 1983 გვ. 74-75.

ნისა და სოლომონ მეორის ტახტიდან ჩამოგდების შესახებ. „...მე მივიღე იმპერატორის ნებართვა,—წერდა ა. ტორმასოვი, დამატებითი ჯარები შევიყვანო ქვეყანაში, რომელსაც ტყეებსა და ჭაობებს შორის მობინადრე მფლობელი მართავს, ძალით გამოვაძევო იგი აქედან და სამუდამოდ გადავწყვიტო მისი ბედი... თქვენმა თანამშრომელმა (იგულისხმება თავადი ზ. წერეთელი, გ. ვ.) „ცნობილი საქმისაკენ“ უნდა გადმოიბიროს თავისი დისშვილი (გურიის მთავარი მამია გურიელი, გ. ვ.), რაჭის თავადები და გავლენიანი სამღვდელოება, რათა ყველაფერი მზად იყოს იმ დროისათვის, როცა სოლომონ ბრძენის სამეფოში ჩრდილოეთის არწივები მოფრინდებიან“.[38] რამდენი ცინიზმი და ირონიაა ამ სიტყვებში.

გენ. ა. ტორმასოვმა ამ საქმის მოგვარება ზ. წერეთლის რჩევით, პოლკ. თევდორე ფილიპეს ძე სიმონოვიჩს მიანდო. იგი წინასწარ ნავარაუდევი იყო იმერეთის მმართველად. თ. სიმონოვიჩს დ. ორბელიანისათვის ჯარების მიშველების საბაბით, დასავლეთ საქართველოში დამატებითი პოლკი უნდა შეეყვანა. მას თან ახლდა ზურაბ წერეთლის სიძე—დავით თარხნიშვილი. აი, ამ სამ პიროვნებას უნდა დაესრულებია მეფის შეპყრობის საქმე.

1809 წლის ნოემბერში პოლკ. თ. სიმონოვიჩმა თავისი ჯარით იმერეთი გაიარა და ფოთში ჩავიდა. მას ფოთი უკვე აღებული დახვდა.[39] დ. ორბელიანი თბილისში გაიწვიეს და დასავლეთ საქართველოში განლაგებული ჯარების სარდლად თ. სიმონოვიჩი დანიშნეს. ა. ტორმასოვმა მას გამოუგზავნა დაქირავებული აბრაგული რაზმი ყიზიყუმუხელი ხანის ძმისწულის ასლან ბეის მეთაურობით, რათა მას ეს აბრაგები საჭიროების შემთხვევაში, მათი „ცხოვრების ნირისა და ხელობის შესაფერისად“ გამოეყენებია, ანუ იმერეთის სამეფოს საძარცვავად შეესია. ეს შტრიხი ა. ტორმასოვის მორალური სახის წარმოდგენისათვის კომენტარს არ საჭიროებს.[40]

მდგომარეობა უკიდურესად დაიძაბა. სოლომონ II ჯერ-ჯერობით, პოზიციებს არ თმობდა, რუსეთის ქვეშევრდომობისაგან გათავისუფლებისა და მის მფარველობაში მიღები-

---

[38] Акты..., т. IV, с. 207.

[39] ფოთი რუსეთის ჯარებმა 1809 წლის 15 ნოემბერს აიღეს.

[40] Акты..., т. IV с. 209; ე. ორჯონიკიძე, რუსული მმართველობის დამყარება საქართველოში, თბ., 1992, გვ. 66.

სათვის ენერგიულად იბრძოდა. 1809 წლის 23 ნოემბერს იკი ა. ტორმასოვს წერდა: „...აღვასრულებ ნებასა თქვენსა და წარ-მოვგზავნი დეპუტატთა არა თუ სამადლობ-ელად... წართმევისათვის სამფლობელოთა ჩემ-თა, დამდაბლებისათვის მეფობისა, დაქცევისათ-ვის სასახლისა და სხვათა... არამედ ახალი ხელ-შეკრულების დასადებად"[41]. (ხაზგასმა ჩვენია, გ. ვ.).

ა. ტორმასოვმა მოითხოვა სოლომონ მეორის ტახტიდან ჩამოგდებისა და შეპყრობის კონკრეტული სამხედრო გეგმა შეედგინათ. თ. სიმონოვიჩი შეუდგა ამ დავალების შესრულებას, მაგრამ იკი ა. ტორმასოვისაგან განსხვავებით, მალე გაერკვა ადგილობრივ ვითარებაში. მან კარგად დაინახა, რომ იმერელი ხალხი მტკიცედ უჭერდა მხარს თავის მეფეს და არ აპირებდა დამოუკიდებლობის დათმობას. თ. სიმონოვიჩმა მთავარმმართველს აცნობა თავისი აზრი, რომ ადგილობრივი ვითარების გათვალისწინებით, უფრო სასარგებლო იქნება, თუ სამეფოს არსებობას შეურიგდებით, მმართველად სოლომონ მეორეს დავტოვებთ, ოღონდ მაქსიმალურად შევზღუდავთ მის უფლებებსო.[42] შეიძლება ვიფიქროთ, რომ მასზე გარკვეული გავლენა მოახდინა ზ. წერეთელმაც. ეს უკანასკნელი ა. ტორმასოვს წერდა: „თუმცა ძლიერ ჯარს ყველაფერი შეუძლია, მაგრამ აქ ისეთი კლდიანი ადგილებია, რომ მეფე ადვილად დაიმალება... და როცა სხვა გარემოება გაიძულებთ აქედან ჯარი გაიყვანოთ, მაშინ არცერთი იმერელი... არ ესვრის მეფეს, ატყდება აჯანყება... გთხოვთ... რომ საქმე მშვიდობიანად დამთავრდეს, გამოართვათ მეფეს მძევლები და დეპუტატები... ნუ მოსთხოვთ მეფეს ქუთაისში მოსვლას. მე მალაპარაკებს თქვენდამი ერთგულება და სრულებითაც არა მეფისადმი ბედნიერების სურვილი. ნუ მიაქცევთ ყურადღებას მეფის განუსჯელობას, აპატიეთ მას... და ნუ წაართმევთ სამეფოს. ასე უკეთესი იქნება და იმერეთით ჩვენ უფრო მეტად ვისარგებლებთ. (ხაზგასმა ჩვენია,—გ. ვ.).

---

[41] ს. კაკაბაძე, დასახ. პუბლიკაცია, გვ. 411.

[42] იქვე, გვ. 213.

ამით თქვენ ხელში ჩაიგდებთ მეფეს და როგორც უმჯობესია ისე მოიქეცით. ნუ მისცემთ მას უფლებას მემკვიდრე იყოლიოს."[43]

როცა თ. სიმონოვიჩი ურჩევდა ა. ტორმასოვს დროებით გადაედოთ იმერეთის სამეფოს ლიკვიდაციის საკითხი, იგი რუსეთის ცარიზმის თვალსაზრისს გამოხატავდა. „საქმე იმაში იყო, რომ რუსეთის მთავრობა იმერეთში ომს ერიდებოდა და ცდილობდა მეფე ისე ეგდო ხელთ, რომ ამას დიდი სისხლისღვრა არ მოჰყოლოდა. სამართლიანობით მოქადული ხელმწიფისათვის არ იყო სასურველი იარაღის დატრიალება იმ ქვეყანაში, სადაც ხალხს საუკუნეთა მანძილზე რუსეთის ხელმწიფე თავის მფარველად და კეთილისმყოფელად ეგულებოდა. ამიტომ იყო, რომ საქართველოს მთავარმართებელი არაფერს ზოგავდა იმისათვის, რათა იმერეთში რუსხელმწიფის ერთგულები და სოლომონ მეფის ორგულები გაეერავლებინა. საქართველოს რუსულ ხელისუფლებას ევალებოდა სოლომონ მეფის ტახტიდან ჩამოგდება და იმერეთის სამეფოს გაუქმება ისევე, როგორც ქართლ-კახეთში, იმერელი ხალხის სურვილად გამოეტანა."[44]

რაც შეეხება ზ. წერეთლის თვალსაზრისს, მას განსაზღვრავდა პირადი, ვიწროთავადური ინტერესები. დაინახა რა, რომ იმერეთის თავადაზნაურობის უმეტესი ნაწილი მეფის მხარეზე იდგა, ხოლო რუსეთის ჯარი იმერეთში ცოტა იყო, ზ. წერეთელმა განმარტოებულად იგრძნო თავი და შეეშინდა. ამიტომ მან ზომიერი პოზიცია ამოირჩია, მეფისა და რუსეთის სარდლობის მშვიდობიან მორიგებას შეეცადა. ამით იგი ვარაუდობდა აჯანყებისა და ომის თავიდან აშორებას, რასაც შეიძლებოდა მისი მამულის განადგურება მოჰყოლოდა.[45]

1809 წლის 30 დეკემბერს გენ. ა. ტორმასოვს იმერეთის სამეფოს დარბაზის წევრებმაც მიმართეს სოლომონ მეორესთან ახალი ხელშეკრულების დადების თაობაზე. ისინი წერდნენ: „სავსება ყოვლისა იმერეთისა — ყოვლად სამღვდელოთა, თავადთა, აზნაურთა და ერთა, დიდთა და მცირეთა, დიდითა გულსმოდგინებითა ვყოფთ ვედრებასა მაღალაღმატებულებისათა თქვენისადმი.

---

43 იქვე, გვ. 231-232.

44 ნ. ბერძენიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 276.

45 შ. ბურჯანაძე, თავადი ზურაბ წერეთელი, აკად. ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე XX-B, თბ., 1959, გვ. 185.

სჯულისაებრ საღმრთოსა გვიყვარს ყოველთა ერთობით მეფე ჩვენი... ამიტომო ჩვენი თხოვნაა... მ ე ფ ი თ უ რ თ ჩ ვ ე ნ ი დ ა ვ შ თ ე თ უ ც ვ ა ლ ე ბ ე ლ ს ა დ ა შ ე უ რ ყ ე ვ ე ლ ს ა უ ღ ر მ ე ს ს ა ე რ თ გ უ ლ ე ბ ა ს ა (ხაზგასმა ჩვენია, გ. ვ.) შინა იმ-პერატორებისა მათისასა."[46] მაგრამ იმერეთის სამეფოს ბედი პეტერბურგში უკვე გადაწყვეტილი იყო და ა. ტორმასოვს მის შესაცვლელად არც ძალა და არც სურვილი არ გააჩნდა. ი მ ე რ ე თ ი ს ს ა მ ე ფ ო ს გ ა უ ქ მ ე ბ ა მ შ ვ ი დ ო ბ ი ა ნ ი გ ზ ი თ ა რ მ ო ხ ე რ ხ დ ა. ა. ტორმასოვმა თ. სიმონოვიჩისა და ზ. წერეთლის რჩევით, იმერეთში დამატებითი ჯარები შეიყვანა. ზურაბ წერეთელს დაევალა უზრუნველეყო დადიანისა და გურიელის ერთობლივი გამოსვლა მეფის წინააღმდეგ. მან ეს დავალება ჩინებულად შეასრულა. სოლომონ მეორის მომხრე და ქვეშევრდომი მამია გურიელი, მთავრის უფლებების გაფართოების დაპირებით, რუსეთის ხელისუფლების სამსახურში ჩააყენა. სამხედრო სამზადისთან ერთად, ა. ტორმასოვი სოლომონ მეორესთან მოლაპარაკებას აგრძელებდა. 1810 წლის 28 იანვარს მეფესთან დამატებითი მოლაპარაკების მიზნით, იმერეთში გამოიგზავნა მთავარსარდლის კანცელარიის მმართველი პ. მოგილევსკი. ა. ტორმასოვმა მას თან გამოატანა სოლომონ მეორის ახალი ხელშეკრულების პროექტი და ელაზნაურის ტრაქტატის განუხრელად შესრულება მოთხოვა. მთავარმმართველი პირად წერილში სოლომონს ვითომ „გაუტყდა": ბრძანება მაქვს, რომ ხელმწიფეს დაგამორჩილო ან იმერეთიდან გაგაძევოო. თუ გსურს გადარჩე და სამეფო შეინარჩუნო, მძევლები თბილისში უნდა გამოგზავნო, ხოლო მადლობის დეპუტაცია—პეტერბურგსო. ა. ტორმასოვი თავად განსაზღვრავდა დეპუტაციის შემადგენლობას. დეპუტატებად უნდა ყოფილიყვნენ: კონსტანტინე ბატონიშვილი, მალხაზ ანდრონიკაშვილი, სოლომონ ლიონიძე, სესნია წულუკიძე, ქაიხოსრო წერეთელი და როსტომ ნიჟარაძე. დეპუტატებად დასახელებული იყვნენ სოლომონ მეორის მომხრე თავადები. მათი პეტერბურგში გაგზავნა სერიოზულად დაასუსტებდა იმერეთის მეფეს.

---

[46] ქუთაისის სახელმწიფო მუზეუმი, ხელნაწერთა ფონდი, საბ. No. 2205; ს. კაკაბაძე, დასახ. პუბლიკაცია, გვ. 416-417.

სოლომონ მეორემ ა. ტორმასოვის წინადადებანი არ მიიღო. მაშინ, 1810 წლის 10 თებერვლიდან იმერეთის სამეფოზე ყოველი მხრიდან დაიწყო შეტევა. იმერეთის მოსახლეობას უკითხავდნენ ა. ტორმასოვის პროკლამაციას და მოითხოვდნენ ფიცი მიეღო რუსეთის იმპერატორის ერთგულებაზე.

1810 წლის 20 თებერვალს თ. სიმონოვიჩმა ქუთაისის ყველა ეკლესიაში, სათანადო სამხედრო ძალის თანდასწრებით, გამოაქვეყნა ა. ტორმასოვის პროკლამაცია სოლომონ მეორის ტახტიდან ჩამოგდებისა და იმერეთის სამეფოს გაუქმების შესახებ. ქალაქის მოსახლეობა დააფიცეს იმპერატორის ერთგულებაზე. „ფიცითი აღთქმა" ასეთი შინაარსისა იყო: „წინაშე წმიდისა სახარებისა, ვფიცავ ერთგულად ვემსახურო დ, დავემორჩილო ყოველსა შინა უმაღლესსა ნებასა იმპერატორის მიერ დანიშნული ვინც იქნება. არ დავზოგო ცხოვრება თავისი, ვიდრე უკანასკნელ წვეთად სისხლისა. ხელმწიფისაგან მიღებული ყველა განკარგულება მივიღო მორჩილებით, გავუფრთხილდე მამულსა შინა ჩემსა განსვენებას და მყუდროებას, არ ვიქონიო არავითარი მიწერ-მოწერა არც ცხადად არც საიდუმლოდ აღმრეველთადმი..."[47]

21 თებერვალს, იმავე ა. ტორმასოვის სახელით, თ. სიმონოვიჩმა ვრცელი მოწოდებით მიმართა იმერეთის მოსახლეობას. მასში ნათქვამი იყო: გუშინ დღიდან იმერეთის სამეფო გადავიდა რუსეთის უძლეველი და თვითმპყრობელი მონარქის ერთადერთ დ, უშუალო მფლობელობაში. ტრაქტატის დარღვევის, იმპერატორისადმი, ღმერთის წინაშე ცხოველმყოფელ ჯვარზე მთხვევით დადებული ფიცის გატეხისა და რუსეთის ჯარების წინააღმდეგ მიმართული მტრული მოქმედების გამო, იმერეთიდან სამუდამოდ განდევნილია მეფე სოლომონი და მისი შთამომავლობა, ამიერიდან მოსპობილია მისი ძალაუფლება სამღვდელოებასა, თავადაზნაურობასა და ხალხზე. ახლა, იმერეთის საკეთილდღეოდ დაარსდება ხალხის მისწრაფებებსა და წეს-ჩვეულებებთან შეხამებული რუსეთის ლმობიერი დროებითი მთავრობა, რომელიც შედ-

---

[47] სცსსა, ფ. 2, აღწ. 1, საქ. 225, ფურ. 121. Акты..., т. IV с. 254 ს. კაკაბაძე, დასახ. პუბლიკაცია, გვ. 486.

გენილი იქნება იმერეთის თავადაზნაურობის საპატიო წევრთაგან, რუსეთის სამხედრო მოხელის თავმჯდომარეობით. (ხაზგასმა ჩვენია, გ. ვ.). იგი სამართლიანობის დამცველი რუსი მონარქის კეთილმოწყალე გულის კარნახით დაამყარებს ხალხის კეთილდღეობის ინტერესებიდან გამომდინარე წესრიგს...[48]

ამ მოწოდებაში ჩამოყალიბებულია ადგილობრივ მოსახლეობასთან რუსეთის ხელისუფლების ურთიერთობის მთელი პროგრამა, რომელიც მოკლედ ასე შეიძლება ჩამოყალიბდეს: დაინდობენ მხოლოდ მას, ვინც უსიტყვო მორჩილებას გამოაცხადებს, სხვები კი — სასტიკად დაისჯებიან.

21 თებერვალსვე პ. მოგილევსკი მთავარმმართველს აცნობებდა: „1810 წლის 20 თებერვალს ქუთაისის ყველა ეკლესიაში ხალხი შეკრიბეს, წაუკითხეს პროკლამაცია და რუსეთის ერთგულებაზე დააფიცეს, სიწყნარე იყო. წესრიგი არ დარღვეულა. ჯარი გამზადებული გვყავდა."[49]

ამის შემდეგ, 28 მარტამდე სოლომონ მეორის მომხრეები იარაღით ხელში იბრძოდნენ რუსეთის ჯარების წინააღმდეგ. ძალები არათანაბარი იყო. მეფე ხანის ხეობაში გადავიდა, რომ საჭიროების შემთხვევაში, ახალციხისათვის შეეფარებინა თავი. მაგრამ ყოველმხრივ გზამოჭრილი მეფე დათანხმდა ა. ტორმასოვს შეხვედროდა მოსალაპარაკებლად. ზ. წერეთელი და ექვთიმე გენათელი გენ. ა. ტორმასოვის სახელით, დაჟინებით არწმუნებდნენ სოლომონს, რომ მის მეფობას საფრთხე არ მოელოდა.[50] პ. მოგილევსკიმ და თ. სიმონოვიჩმაც რუსეთის ჯარებისა და მეფის ერთგული თავადების თანდასწრებით, ხატსა და ჯვარზე დაიფიცეს, რომ მე-

---

[48] Акты..., т. IV с. 233.

[49] იქვე, გვ. 230.

[50] ექვთიმე გენათელი იმერეთში დიდი გავლენით სარგებლობდა. ეს მღვდელთმთავარი სოლომონ პირველის უერთგულესი თანაშემწე იყო და მისი პოლიტიკური მოღვაწეობის თანაზიარი. ქვეყნის მოშენებაში გენათელს დიდი ღვაწლი მიუძღოდა. ასევე ერთგული იყო ექვთიმე გენათელი სოლომონ მეორისა. ამავე დროს, ეს მოხუცი მოღვაწე გულწრფელი მომხრე იყო რუსეთთან კავშირისა და ურყევად სწამდა, რომ ასეთი კავშირის არსებობა რუსეთის მთავრობასა და იმერეთის მეფეს შორის შეიძლებოდა და საქართველოს მთავარმმართებელი ამ გულუბრყვილო პოლიტიკოსის გამოყენებას სოლომონ მეფის ხელში ჩასაგდებად, ხერხიანად ცდილობდა, ნ. ბერძენიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 383.

ფეს არ შეიპყრობდნენ და მთავარმმართველთან ქართლის საზღვარზე შეხვედრის შემდეგ, უკან გამოისტუმრებდნენ. სოლომონ მეფე 400 კაცისაგან შემდგარი ამალით, ქართლისაკენ წავიდა. როსტომ ნიჟარაძე, მალხაზ ანდრონიკაშვილი და სოლომონ ლიონიძე ახალციხეს „გაიქცნენ". კონსტანტინე ბატონიშვილი თ. სიმონოვიჩს დანებდა.

იმერეთში შექმნილი ვითარება 21 თებერვლიდან 1 აპრილამდე შეიძლება წარმოვიდგინოთ გენ. ა. ტორმასოვისადმი პოლკ. თ. სიმონოვიჩისა და პ. მოვილევსკის მიერ გაგზავნილი რაპორტების მიხედვით.

1810 წლის 4 აპრილი. თ. სიმონოვიჩი ა. ტორმასოვს აცნობებდა, რომ პოლკ. ლისანევიჩისა და მაიორ უშაკოვის პატაკების მიხედვით, მიუდგომელი მუხურისა და საპაიჭაოს ციხეები 1 აპრილს დანებდნენ.

ამით იმერეთის ექსპედიცია კეთილად დასრულდა...[51]

ამ რაპორტებში იმერეთის მოსახლეობის განწყობილება ყალბად იყო წარმოდგენილი. ეს ნათლად დაგვანახა 1810 წლის ივლისსექტემბრის ამბებმა.

გორის ახლოს ა. ტორმასოვი სოლომონ მეორეს შეხვდა. მან არაფითარი ანგარიში არ გაუწია საჯარო ფიცს, მეფე დაატყვევა და თბილისში ჩაიყვანა. ამზადებდნენ მეფის რუსეთში გადასახლებას. აი, რას წერდა მეფის დატყვევების მონაწილე ნიკო დადიანი: „ხოლო რა სცნეს რუსთა ჭეშმარიტებით, რომელ მეფე იმერეთისა არა მოდრკების ერთგულებასა ზედა ხელმწიფე იმპერატორისასა და არა განაგდებს ერთგულებასა პორტის ათამანისასა და არა დააცხრობს წინააღმდეგსა საქციელსა, ამისთვის უბრძანეს მთავარსა სამენგრელოისასა ლეონს გრიგოლის ძესა, რათა შეერთდეს იმერეთის მართებლის სვიმონოვიჩთან და განდევნონ მეფე იმერეთით და დაიპყრას იმერეთი ხელმწიფე იმპერატორმა. შეკრიბა სპანი მენგრელთანი ლეონ დადიანმა, გავედით ცხენის წყალსა და დავებანაკეთ ჯიხაიშს. გავიდა იქ ღენერალ სვიმონოვინი მხედრობითა და შევერთდით. ხოლო მეფე იდგა იმერელ სპითა ვარდცისს. ხოლო ხელმწიფე იმპერატორსა უერთგულეს იმერელთა ამათ: ყოვლად სამღვდელომ გენათელ მიტროპოლიტმა ეფთვიმი, თავადმა სახლთუხუცესმა ზურაბ ქაიხოსროს ძემ წერეთელმა, თავადმა

[51] ს. კაკაბაძე, დასახ. პუბლიკაცია, გვ. 448-489.

ოტიამ და სეხნია წულუკიძემ, და ესენი იყვნენ ჩვენთანა. და სხვათა იმერელთა მოუკლებელი იდგა მეფე ვარდციხეს. აღვმხედრდით და წარველთ მეფეზედ, რათა მივადგეთ გარს, და რა სცნა მეფემან მისვლა ჩვენი, ვერღარა იკადრა პირისპირობა, წარვიდა ახალციხის მთის კალთასა შინა ხანს. და ჩვენ მივედით ვარდციხეს, ვსცანით რა წასვლა მეფისა ხანს, შეუდეგით უკანა მისა და მივედით ბაღდათს და დავსდექით. მცნობი ამისა მეფე იმერეთისა ვერღარად წარვიდა და მოვიდა სვიმონოვისა და ჩვენთანა. და გამოუცხადა სვიმონოვმან, რათა წარვიდეს საქართველოს მთავარმართებლის ტორმასოვისა თანა. დამორჩილდა მეფე და შემდგომად ერთისა კვირისა წარვიდა მეფე რამოდენითა თვისითა თავად-აზნაურთა და მოვიდა ტფილისს ტორმასოვისა თანა. მან გამოუცხადა, რათა წარვიდეს რუსეთად და დააყენეს ყარაულნი, რათა არ ილტოდეს სადამე. და რუსთა დაიპყრეს იმერეთი, ვითარცა საქართველო, წელსა ქრისტესით 1810".[52]

მეფის დატყვევებით უზომოდ კმაყოფილი ა. ტორმასოვი 1810 წლის 13 აპრილს პეტერბურგს აცნობებდა: „გამოვგზავნე მაცნე, რომელსაც მოაქვს ჩემი უქვეშევრდომილესი მოხსენება იმპერატორისადმი იმის შესახებ, რომ უმაღლესი ნება იმერეთის სამეფოს შესახებ შესრულდა. ეს ქვეყანა ყველა თავისი ციხესიმაგრეებით დავიკავთ ერთ თვეში. იმერეთის თავადაზნაურობა, სამღვდელოება და ხალხი, სულ 40 ათას კომლამდე დაფიცებულია ხელმწიფის ერთგულებაზე, ურჩი ვასალი სოლომონ მეფე დატყვევებულია. გილოცავთ ამ დიდ შენაძენს — იმერეთის უშუალოდ იმპერიის შემადგენლობაში შესვლას. (ხაზგასმა ჩვენია, გ. ვ.). ბედნიერად ვთვლი თავს, რომ ღმერთმა მე მარგუნა იმპერატორის ესოდენ რთული დავალების შესრულება".[53]

ტყვეობაში მეფე დიდხანს არ დარჩენილა. 1810 წლის 10-11 მაისს ღამით იგი თბილისიდან გაიქცა. ამან დიდი შთაბეჭდილება მოახდინა რუსეთის მთავრობასა და მის ადგილობრივ ხელისუფლებაზე, თვით იმპერატორზე. გარდა პოლიტიკური მნიშვნელო-

---

[52] ნიკო დადიანი, ქართველთ ცხოვრება, ტექსტი გამოსცა, წინასიტყვაობა. გამოკვლევა კომენტარები, საძიებლები და ლექსიკონი დაურთო შ. ბურჭულაძემ, თბ., 1962, გვ. 201.

[53] Акты..., т. IV с. 245-250.

ბისა, ეს საქციელი ამტკიცებდა „სოლომონის მიერ ორკეც შეურაცხყოფას მონარქისას“ იმით, რომ თბილისში მეფემ თავის ოთახში დატოვა ორდენი ალექსანდრე ნეველისა, უმაღლესად ბოძებული 1803 წელს.[54]

იმპერატორის პირადი განკარგულებით, მკაცრად დასაჯეს ყველა, ვინც მეფის დაცვასთან რაიმე ფორმით იყო დაკავშირებული. მიიღეს სასტიკი ზომები მის შესაპყრობად, მაგრამ უშედეგოდ. სოლომონ II მშვიდობიანად ჩავიდა ახალციხეში.

3. ბრძოლა იმერეთის სამეფოს აღდგენისათვის — ტყვეობიდან მეფის გაქცევა იმერეთში სახალხო აჯანყების სიგნალი გახდა. მოსახლეობამ გასაოცარი ერთგულება გამოიჩინა თავისი მეფისადმი. ნ. ბერძენიშვილი წერდა: „...იმერელი ხალხი... ერთგული იყო საკუთარი მეფისა, რომელიც თავისი ათასწლოვანი პოლიტიკური თვითმყოფობის განსახიერებად მიაჩნდა. იმერელ საზოგადოებას ჯერ კიდევ ღრმად სწამდა, რომ იმერეთის სამეფოსა და რუსეთის სახელმწიფო ინტერესები ერთი-მეორეს არ გამორიცხავდნენ.“[55]

აჯანყების გაღვივებას და გაძლიერებას ხელს უწყობდა სოლომონ მეორის მგზნებარე მოწოდებანი, რომელსაც ახალციხიდან იმერეთში აგზავნიდა. მათ შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია წერილები დოსითეოს ქუთათელისადმი და „ზემოური მხარის“ მოსახლეობისადმი. იგი მათ მოუწოდებდა ებრძოლათ დამოუკიდებლობისა და მეფის შესანარჩუნებლად, მოაგონებდა რა დღეში ჩააგდო ქართლ-კახეთი რუსული მმართველობის დამყარებამ.[56]

სოლომონ მეფე რუსეთის მთავრობის პოლიტიკის წინააღმდეგ, ქართველთა ბრძოლის აუცილებლობას იდეურად ასაბუთებდა. რუსეთის მთავრობის მმართველობის წესი სხვაა, ჩვენი კი სხვაა. მმართველობის რუსული წესი ქართული ფეოდალური საზოგადოებისათვის მიუღებელი იყო, ამიტომ ქართული სოციალ-პოლიტიკური წესის დასაცავად იმერელ საზოგადოებას ხელი უნდა ეა-

---

54 ა. ხ ა ხ ა ნ ა შ ვ ი ლ ი, იმერეთის მეფე სოლომონ მეორე, ტფ., 1911, გვ. 62.

55 ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 384-385.

56 შ. ბ უ რ ჯ ა ნ ა ძ ე, იმერეთის სამეფოს პოლიტიკური საბუთები..., გვ. 91; თ. ყორდანია, ქრონიკები, წიგ. III, თბ., 1967, გვ. 475.

მოეღო. მმართველობის რუსული წესი ამ ქართულ წესს გასაქრობად ემუქრებოდა. სოლომონ მეფე ქართული წესის დაცვის განსაკუთრებული იყო. ამიტომ იმერელ ხალხს სოლომონ მეფის აღდგენისა და რუსული მმართველობის განსადევნად უნდა ებრძოლა.[57]

ამასთან ერთად, მეფემ იცოდა, რომ საკუთარი ძალებით რუსეთის ჯარს ვერ გაუმკლავდებოდა. მაგრამ მას კარგად ესმოდა, აგრეთვე, თუ რა სიძნელეებთან იყო დაკავშირებული ქრისტიანული რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლაში ლეკ-ოსმალთა გამოყენება. მეფეს სამართლიანად ეშინოდა, რომ ასეთი „მოკავშირეების" შემოყვანით და რუსთა წინააღმდეგ დაპირისპირებით, მას შეეძლო იმერეთის საზოგადოების ფართო ფენებში ნდობა და სიყვარული დაეკარგა. ამიტომ, იგი მოხერხებულად ცდილობდა იმერეთის აჯანყება სპარსეთ-ოსმალეთის მიერ რუსეთის საწინააღმდეგოდ წარმოებული პოლიტიკისათვის შეეთანხმებინა, როდესაც ორმხრივ ომში ჩაბმული რუსეთი იძულებული შეიქნებოდა სოლომონ მეორის აღდგენაზე დათანხმებულიყო და მისი სუვერენიტეტი ეღიარებინა (ნ. ბერძენიშვილი).

სოლომონ მეორემ სპეციალური მოწოდებით მიმართა იმერეთის უმაღლეს სამღვდელოებას, ეშუამდგომლა რუსული ხელისუფლების წინაშე მისი ტახტზე აღდგენის შესახებ. მართლაც, რუსეთსა და იმერეთის სამეფოს შორის კავშირის მომხრეებმა: დოსითეოს ქუთათელმა, ეფთვიმე გელათელმა, სოფრონიოს ნიკორწმინდელმა და ანტონ ხონელმა ა. ტორმასოვთან დააყენეს საკითხი ეშუამდგომლა იმპერატორის წინაშე სოლომონის ტახტზე აღდგენის შესახებ, მაგრამ უშედეგოდ.[58]

ა. ტორმასოვის მიერ შუამდგომლობის უარყოფამ კიდევ უფრო განამტკიცა სოლომონის პოზიციები. მთავარმმართველი „ამაოდ გაისარჯა. მის მიერ სოლომონის წინააღმდეგ წამოყენებული ბრალდება არავინ ირწმუნა და არც მუქარას მოუხდენია რუსეთის მთავრობისათვის სასურველი შედეგი. იმერეთის მოსახლეობა სამართლიანი საქმისათვის, სამშობლოს დამოუკიდებლობის აღდგენისათვის საბრძოლველად დაირაზმა".[59]

---

[57] ნ. ბერძენიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 386.

[58] Акты..., т. IV с. 267.

[59] ა. ბენდიანიშვილი, ეროვნული საკითხი საქართველოში 1801-1921, თბ., 1980, გვ. 57.

1810 წლის ივნისის დასაწყისში, სარდალი ქაიხოსრო წერეთელი ახალციხიდან ჩამოვიდა და აჯანყების მოწყობის საქმეს სათავეში ჩაუდგა. სოლომონ მეორის მოწოდებით, ერთ მეშტად შეკრულმა იმერეთის მოსახლეობამ ქუთაისში, ვარციხეში, ჩხარში და სხვა ციხეებში ჩაყენებული რუსული გარნიზონები ალყაში მოიქცია. აჯანყებულებს ქაიხოსრო აბაშიძის მეთაურობით, შეტაკებები ჰქონდათ რუსეთის ჯარის ნაწილებთან ლოსიათხევში, ვაკის ოლქში და სხვაგან. იმერეთსა და თბილისს შორის კავშირი თითქმის გაწყდა. ა. ტორმასოვმა იმერეთში მიმდინარე ამბები ზურაბ წერეთლისგან გაიგო 1810 წლის 17 ივნისს, ხოლო თ. სიმონოვიჩი მას ატყობინებდა, რომ მთელს იმერეთს საყოველთაო აჯანყება მოსდებოდა. ჩვენს მდგომარეობას ისიც ართულებს, სწერდა იგი ა. ტორმასოვს,—რომ ჭეშმარიტად ჩვენი ერთგული არც ერთი თავადი და არც ერთი აზნაური არ არის. სხვებზე რომ არაფერი ვთქვათ, თვით სახლთუხუცესი ზ. წერეთელი, იმის მაგივრად, რომ შექმნას თავის მომხრეთა პარტია და ხალხზე თავისი გავლენის წყალობით, ჩვენ რაიმე სარგებლობა მოგვიტანოს, მიუკერძოებელ მაყურებლის როლში გამოდის და თუ ფარულად არ ეხმარება აჯანყებულებს, ყოველ შემთხვევაში, ჩვენს სასარგებლოდ არაფერს აკეთებსო.[60]

1810 წლის ივნისის ბოლოს, ათასკაციანი რაზმით იმერეთში ჩამოვიდა თვით სოლომონ მეორე. ამის შემდეგ აჯანყებამ ყოვლისმომცველი ხასიათი მიიღო.[61] ამ ამბებით გაოგნებული სიმონოვიჩი აჯანყებას „საყოველთაო რევოლუციას" უწოდებდა და სწუხდა, რომ იმერლები „საყოველთაო რევოლუციის" სულისკვეთებით ისე იყვნენ გაჟღენთილნი, რომ ყოვლად შეუძლებელი იყო რომელიმე მათგანის, რაც გინდა დაპირების ფასად ჩვენს მხარეზე გადმობირებაო.[62]

სოლომონ მეორის იმერეთში გამოჩენამ სერიოზულად შეაშფოთა ა. ტორმასოვი. მან მძიმე მდგომარეობაში ჩავარდნილი თ. სიმონოვიჩის დასახმარებლად, სასწრაფოდ გაგზავნა ორი ბატა-

---

[60] Акты..., т. IV с. 278.

[61] აჯანყების მიმდინარეობა დაწვრილებით აქვთ აღწერილი ვ. ჩუდინოვს, ა. გიზეტტის, დ. მ. ლანგს, უ. ი. ალენს, ჯ. ფ. ბედლის და სხვ.

[62] Акты..., т. IV, с. 323.

ლიოსი გენერალ-მაიორ დიმიტრი ორბელიანის სარდლობით. მასვე მიეცა სპეციალური ბრძანება, როგორ უნდა მოქცეოდა აჯანყებულებს: „იმერეთში შესვლისთანავე,—ბრძანებდა იგი, დაუყოვნებლივ მოთხოვეთ სამეგრელოსა და გურიის მთავრებს გამოიყვანონ ჯარი ჩვენს დასახმარებლად. აჯანყებულების დასასჯელად და სხვების შესაშინებლად, ნება დართეთ მათ და ჩვენ მომხრე იმერლებს, შეესიონ აჯანყებულთა სოფლებს საძარცვავად. ამავე დროს არ დაგავიწყდეთ, პირველ რიგში, მისი იმპერატორობითი უდიდებულესობის ჯარების მომარაგება სურსათით, აჯანყებულებისაგან პირუტყვისა და სხვა სურსათ-სანოვაგის უფასოდ წართმევის გზით. ყოველმხრივ ეცადეთ უდანაშაულონი არ დაზიანდნენ, აჯანყებულების მიმართ კი ნებას გაძლევთ, სამაგალითო სიმკაცრე გამოიყენოთ. არ დაინდოთ არავინ, მიუხედავად მისი წარმოშობისა და მდგომარეობისა. დაჭერილი აჯანყებული, თავადი იქნება იგი თუ აზნაური, ბორკილგაყრილი სასწრაფოდ გამოგზავნეთ თბილისში, ხოლო თუ ამის შესაძლებლობა არ იქნება, ციმბირში გაგზავნამდე საიმედო ციხეში ჩააგდეთ და მკაცრი ზედამხედველობა მიუჩინეთ. რამდენიმე უბრალო წარმოშობის აჯანყებული, თუკი ამას ადგილობრივი ვითარების მიხედვით, საჭიროდ და სასარგებლოდ მიიჩნევთ, სხვების დაშინების მიზნით, შეგიძლიათ ჩამოახრჩოთ. საერთოდ კი, ყველა ცოცხლად დაჭერილ აჯანყებულს მოეპყარით მთელი სიმკაცრით და ბორკილგაყრილი იყოლიეთ.“[63]

ა. ტორმასოვის მორალური სახე კიდევ უფრო ნათლად გამომჟღავნდა სოლომონ მეორესადმი დამოკიდებულების საკითხში. იგი დაჟინებით მოითხოვდა თ. სიმონოვიჩისაგან მკვლელი დაექირავებინა მეფის თავიდან მოსაცილებლად. კონკრეტულად, ეს საქმე მიენდო სოლომონ მეორის პირად მტერს, სოლომონ პირველის სიძეს ელიზბარ ერისთავს, მაგრამ ყოველნაირი ცდა ახლაც და მეფის სამშობლოდან გადახვეწის შემდეგაც, როგორც ამას ქვემოთ დავინახავთ, უშედეგოდ დამთავრდა.

იმერეთის ამბებით შეშფოთებული იყვნენ პეტერბურგშიც. ა. ტორმასოვმა ვერ უზრუნველყო პოლკ. თ. სიმონოვიჩისა და გენ. დ. ორბელიანის შეთანხმებული მოქმედება. ეს უკანასკნელი სერიოზულ წინააღმდეგობას წააწყდა და აჯანყებულებთან შეტაკებებში

---

[63] В. Потто. Утверждение... т. II, с. 121.

დამარცხდა. ვითარება მახლობელ აღმოსავლეთში კიდევ უფრო დაიძაბა. ასეთ დროს, იმერეთში რვა ბატალიონის დაბანდება გენ. დ. ორბელიანის მიერ ყოვლად შეუწყნარებელი იყო. ა. ტორმასოვი უკმაყოფილო დარჩა მის მიერ ჩატარებული სამხედრო ოპერაციებით და ამიტომ, 1810 წლის 16 ივლისს იგი გადააყენა აჯანყებულთა წინააღმდეგ გაგზავნილი ჯარების სარდლის მოვალეობისაგან. მის მაგივრად გენერალ-ლეიტენანტი როზენი დაინიშნა. ამასთან დაკავშირებით თეიმურაზ ბაგრატიონი წერდა: „...მუნ მოვიდა ბარონ როზენი, ღენერალ-ლეიტენანტი, მთავრად დიმიტრისა მხედრობასა ზედან მით დიმიტრი ყაფლანიშვილი, ვინადგან იყო კაცი უმეცარი და მსგავსი პირუტყუათა, და ვერა უძღოდა მხედრობასა მას კარგითა მძღუანველობითა...“[64]

22 ივლისს იმერეთის, გურიის და სამეგრელოს ჯარების სარდლად დანიშნული გენ.-ლეიტენანტი როზენი ჩხერის მახლობლად, გენ. დ. ორბელიანს შეხვდა. ამ უკანასკნელმა ბარონ როზენს გადასცა მოხსენება ავადმყოფობის შესახებ. ჯარების ხელმძღვანელობა გენ. როზენის ხელში გადავიდა. იგიც აჯანყებულთა მედგარ წინააღმდეგობას წააწყდა. იმერლებს გზები ჩაეხერგათ, გადაეთხარათ, ვიწრობებში მეთოფეები ჩაესხათ. წინ ეღობებოდნენ, გვერდებიდან თავს ესხმოდნენ, ზურგიდან სცემდნენ ქუთაისისაკენ მიმავალ ჯარს. ჩხერიდან ქუთაისამდე მანძილის გავლას გენ. როზენი ექვს დღეს მოუნდა. მას ცხარე შეტაკებები ჰქონდა აჯანყებულებთან ჩხერს, ცხრაწყაროს, ყვირილას ფონზე, სიმონეთს

1810 წლის 29 ივლისს როზენმა აჯანყებულებიო გარშემორტყმული ქუთაისი აიღო და თ. სიმონოვიჩს შეუერთდა. ამის შემდეგ აჯანყებულები თავდაცვაზე გადავიდნენ, თუმცა წინააღმდეგობა გრძელდებოდა.

ა. ტორმასოვმა არ იცოდა რა ხდებოდა იმერეთში, რადგან მისი კურიერები აჯანყებულებს ჰყავდათ დატყვევებული ალისა და ვახანის გზაზე. ამით, ერთის მხრივ, მათ გარკვეული სამსახური გაუწიეს მთავარმმართველს, რადგან ზოგ მის ბრძანებას შეიძლებოდა უთანხმოება ჩამოეგდო თ. სიმონოვიჩსა და დ. ორბელიანს შორის. გენ. როზენმა მიიღო ბრძანება სარდლობა კვლავ გენ. დ.

---

[64] თეიმურაზ ბაგრატიონი, ახალი ისტორია..., გვ. 76. თეიმურაზ ბაგრატიონი დიმიტრი ორბელიანს ყაფლანიშვილს უწოდებდა.

ორბელიანისათვის გადაეცა და თვითონ თბილისში დაბრუნებულიყო. თავის მხრივ, დ. ორბელიანს გამოეგზავნა განკარგულება, მიეღო ჯარების უფროსობა, მაგრამ იმერეთის საქმეებში არ ჩარეულიყო. ეს ეცნობა თ. სიმონოვიჩსაც. ამასობაში, პეტერბურგიდან მოვიდა ცნობა, რომ გენ. როზენი გათავისუფლებულია სოლომონ მეორის გაქცევასთან დაკავშირებულ პასუხისმგებლობისაგან. ახლა ტორმასოვმა მას საქმის კეთილად დაბოლოვება მიუღოცა და იმერეთის მმართველად დარჩენა დაავალა. მაგრამ გვიან იყო. გენ. როზენი უკვე თბილისს უახლოვდებოდა. გენ. დ. ორბელიანმა ავადმყოფობის მომიზეზებით, უარი თქვა შეთავაზებულ თანამდებობაზე.

ამის შემდეგ, აჯანყების საბოლოო ლიკვიდაცია დაევალა თ. სიმონოვიჩს, რომელიც 1810 წლის 9 სექტემბერს იმერეთ-ოდიშში განლაგებული ჯარების სარდლად დაინიშნა. აჯანყებულები თავგანწირვით იბრძოდნენ, მაგრამ იმერეთში რუსთა სულ ახალი და ახალი ჯარები მოდიოდნენ. 23 სექტემბერს სოლომონ მეორეს უკანასკნელი შეტაკება ჰქონდა რუსთა მდევარ ჯართან სანისწყლის ხეობაში. 25 სექტემბერს სოლომონ II დარწმუნდა, რომ ბრძოლა წაგებულია, იმერეთი დატოვა და თავის ერთგულ მხლებლებთან ერთად ახალციხეში გადავიდა. აჯანყების ჩახშობის მონაწილე ნიკო დადიანი წერდა: „და იყო მეფე ტფილისსა შინა. მაშინ ღამით გაიპარა თვისის მხლე თავადაზნაურითა და შევიდა ახალციხეს, იშოვა რამდენიმე ლეკთა და ოსმალთა ჯარი და შთამოვიდა იმერეთს და მივიდა მისა ყოველი იმერეთი თვინიერ გენათლისა, ზურაბ წერეთლისა და ოტია და სეხნია წულუკიძისა. და ესენი ერთგულებდა რუსთა. მაშინ იმერეთისა მმართველმან ფედორ ფილიპვიჩმან სიმონოვმან (სიმონოვიჩი, გ. ვ.) მიიწვია თვისის სპითა დადიანი და წარვედით და განვედით იმერეთად. და შემოგვეერთდა ჩვენ რუსთა მხედრობა, და რომელი არა მოვიდოდა ერთგულებასა ზედა ხელმწიფე იმპერატორისასა, ვსწვიდით და ვაოხრებდით, გარნა მრავალი მოვიდენ დამორჩილებად.. (ხაზგასმა ჩვენია, გ. ვ.).

ხოლო რა განგრძელდა ლაშქრობა ჩვენი და ვერა განვდევნეთ მეფე იმერეთით და დაიარებოდა აქეთ-იქით, მაშინ საქართველოს

უპირატეს მართებელმა წარმოავლინა შემწედ ჩვენდა რამოდენიმე მხედრობა და მხედართმძღვანად თავადი დიმიტრი ორბელიანი. და რა სცნა ესე მეფემან, შეუკრა საფრითა გზაჲ ჭიშურისასა და დააყენა მას ზედა სპანი იმერელთანი საკმაო და თავადი სიმონ ბაგიაშვილი. და მოვიდა მუნ თავადი ორბელიანი, დახვდნენ იმერნი და ქმნეს ბრძოლა, გარნა ვერ დაუდგნენ იმერნი, ივლტოდნენ, და მოვიდა კნიაზი ორბელიანი ქუთაისს თვისის რწმუნებულის მხედრობითა. მცნობი ამისი მეფე ულონო იქმნა, სცნა რა, ვერლარა ძალუცს ბრძოლა ჩვენი, წარვიდა კვალად ახალციხეს".[65]

აჯანყება კი ჩააქრეს, მაგრამ იმერეთის მეფე ხელთ ვერ ჩაიგდეს. რუსეთის ხელისუფლება სამართლიანად ფიქრობდა, რომ ეს მომავალში ცარიზმის ბატონობისათვის იმერეთში სერიოზულ გართულებებს შექმნიდა. დასრულდა ქართული დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობის მრავალსაუკუნოვანი ისტორია. დაიწყო იმერეთის, და მთელი დასავლეთ საქართველოს, რუსეთის მმართველობის სისტემაში ჩართვის საკმაოდ რთული და სისხლიანი პროცესი.

4. **დროებითი მმართველობის შემოღების პროექტები** — ცარიზმის საგარეო პოლიტიკის დღის წესრიგში სოლომონ მეორის ტახტიდან ჩამოგდებისა და იმერეთში დროებითი მმართველობის შემოღების საკითხი ჯერ კიდევ 1803 წელს დაისვა, მაგრამ, როგორც ვნახეთ, მისი პრაქტიკული განხორციელება გაჭიანურდა. 1810 წელს რუსეთის ჯარებმა იმერეთი დაიპყრეს და სამეფო გაუქმებულად გამოაცხადეს. მთავარმმართველმა გენ. ა. ტორმასოვმა თ. სიმონოვიჩს დაავალა არა მარტო სოლომონ მეორის შეპყრობა და თბილისში გაგზავნა, არამედ დროებითი რუსული მმართველობის შექმნაც.

ა. ტორმასოვის დირექტივის მიხედვით, თ. სიმონოვიჩს იმერეთის ახალი მმართველობის მოწყობის დროს, აღმოსავლეთ საქართველოს მაგალითი უნდა აეღო. პროფ. ა. ფირცხალაიშვილი თვლიდა, რომ სოლომონ მეორის ჩამოგდებამდე, პეტერბურგის მინისტრთა კაბინეტთან შეთანხმებით, მთავარმმართველის კანცელარი-

---

[65] ნ ი კ ო დ ა დ ი ა ნ ი, დასახ., ნაშრ., გვ. 202.

ამი მომზადდა „დადგენილება იმერეთის ოლქის შინაგანი მმართველობის შექმნის შესახებ“. არსებითად, ეს იყო 1801 წლის 12 სექტემბერს დამტკიცებული „საქართველოს შინაგანი მმართველობის დებულების“ გამარტივებული ვარიანტი.[66]

„დადგენილება“ ითვალისწინებდა იმერეთის ოლქის (ასე ეწოდა იმერეთის სამეფოს სოლომონ მეორის ტახტიდან ჩამოგდების შემდეგ) ექვს—ქუთაისის, ვაკის, რაჭის, საჩხერის, ჩხერის და ბაღდათის ოკრუგად დაყოფას. დეტალურად იყო გათვალისწინებული ოკრუგის უფროსებისა და მათი თანაშემწეების უფლება-მოვალეობანი. ადგილობრივი თავადაზნაურობიდან არჩეული თანაშემწეების ძირითადი მოვალეობა იყო, განემარტათ ოკრუგის უფროსებისათვის იმერეთში არსებული ძველი კანონებისა და ჩვეულებების ხასიათი, რადგან მათ ამის მიხედვით უნდა მიეღოთ გადაწყვეტილებანი საქმეების გარჩევის დროს. თუ ადგილობრივი კანონები საკმარისი არ აღმოჩნდებოდა, ოკრუგის უფროსს შეეძლო რუსული კანონმდებლობა გამოეყენებია. მისი გადაწყვეტილება ძალაში შედიოდა თანაშემწეების თანხმობის გარეშეც.

იმერეთის საოლქო მმართველობა არსდებოდა ქუთაისში. იგი სამი: აღმასრულებელი, სახაზინო და სასამართლო ექსპედიციით იქნებოდა წარმოდგენილი. ყოველ ექსპედიციას სამი თანამშრომელი ეყოლებოდა—ერთი რუსი და ორი თავადაზნაურობიდან არჩეული მრჩეველი. ექსპედიციის თავმჯდომარედ ნავარაუდევი იყო რუსი მოხელე. მმართველი მონაწილეობას მიიღებდა ყველა ექსპედიციის მუშაობაში და შეიტანდა წინადადებებს, რომლებიც სავალდებულო იყო შესასრულებლად.

გარდა ამისა, „დადგენილება“ ითვალისწინებდა ისეთი „უუფლებო და ბუტაფორული“ დაწესებულების შექმნას, როგორიც საერთო კრება იყო.[67] იგი შედგებოდა სამივე ექსპედიციის წევრებისაგან, რომელსაც მმართველი თავმჯდომარეობდა. საერთო კრებას მმართველი იწვევდა. მას შეეძლო, საჭიროების შემთხვევაში, კრების მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად, იმერეთის თავადაზნაურობის ცნობილი წარმომადგენლები მოეწვია.

---

[66] ა. ფირცხალაიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 70.

[67] ნ. მახარაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 26.

მმართველს უფლება ექნებოდა, თავის შეხედულებისამებრ, ცვლილებები შეეტანა საოლქო მმართველობის წესდებაში, მაგრამ ყოველი მათგანი მთავარმმართველს უნდა დაემტკიცებინა.

ოლქს სათავეში ჩაუდგებოდა რუსი სამხედრო მოხელე—მმართველი. იგი შეიძლებოდა სამოქალაქო პირი ყოფილიყო, მაგრამ აუცილებლად გადამდგარი ოფიცერი.[68]

მთავარმმართველის კანცელარიაში შემუშავდა აგრეთვე, დროებითი მმართველობის საზეიმოდ გახსნის განაწესი. ზეიმი ექვს დღეს გაგრძელდებოდა. მკაცრად იყო რეგლამენტირებული ყოველი დღე. იმერეთის მმართველის ზედამხედველობით, აირჩევდნენ დროებითი მმართველობის მოხელეებს (გარდა რუსებისა, რომლებიც ინიშნებოდნენ) და მათ კანდიდატებს.

„განაწესს..." თან ახლდა რუსული კანონმდებლობიდან ამოკრებილი „დარიგებები" ცალკეული ექსპედიციებისა და ოკრუგების უფროსებისათვის, მათი მოვალეობის შესახებ.

„განაწესიდან" ირკვევა, რომ გათვალისწინებული იყო იმერეთის თავადაზნაურობის წინამძღოლისა და დეპუტატების თანამდებობანი, განსაზღვრულია მათი უფლება-მოვალეობანი (ამის შესახებ არაფერია ნათქვამი დროებითი მმართველობის შემოღების სხვა პროექტებში.). მმართველი გამოუცხადებდა იმერეთის თავადაზნაურობას,—ნათქვამია დოკუმენტში, რომ მისი იმპერატორობითი უდიდებულესობის გადაწყვეტილებით, საოლქო მარშლად ინიშნებოდა გენერალ-მაიორი, თავადი ზურაბ წერეთელი, რომელმაც მრავალჯერ დაადასტურა თავისი ერთგულება რუსეთის იმპერიისადმი.[69]

ეს გამონაკლისი დაუშვეს მხოლოდ ზურაბ წერეთლისათვის. იგი თვით იმპერატორმა დანიშნა. გარდა ამისა სახლთუხუცესისათვის გათვალისწინებული იყო პოლკოვნიკის ჩინი. შემდეგ კი მას გენერალ-მაიორობა მისცეს.

სხვა შემთხვევაში, თავადაზნაურობის მარშალი ოლქის „კეთილშობილ წოდებას" უნდა აერჩია. მარშლის მოვალეობას შეადგენდა, თავადაზნაურობაზე ზრუნვა, შუამდგომლობა მათი საჭირბოროტო საკითხების მოსაგვარებლად იმერეთის მმართველთან, კავკასიის

---

[68] Акты..., т. IV, с. 257-258.

[69] იქვე, გვ. 259-260.

მთავარმმართველთან და განსაკუთრებულ შემთხვევაში, დეპუტაციის საშუალებით, იმპერატორთანაც კი.

ოლქის „კეთილშობილი წოდება“ გარდა მარშლისა, ირჩევდა დეპუტატებსაც, რომელთა მოვალეობას შეადგენდა, შუამავლობა თავადაზნაურთა შორის ატეხილ დავაში, მათი შერიგების ცდა. თუ საჭირო იქნებოდა საქმეში უნდა ჩაერიათ მარშალი და მმართველიც.

მარშალს და დეპუტატებს კეთილი რჩევითა და პირადი მაგალითით, ხელი უნდა შეეწყოთ თავადაზნაურთა მეურნეობის განვითარებისათვის, ეზრუნათ მოუსავლიანობის შემთხვევაში, სურსათსანოვაგის სათანადო მარაგის შესაქმნელად, მებატონეები ლმობიერად მოპყრობოდნენ გლეხებს, არ გაედიდებიათ მათთვის ვადასახადები, ყოფილიყვნენ რუსეთის იმპერატორისადმი ერთგულების ფიცის დამცველნი, თვალყური ედევნებიათ იმისათვის, რომ ოკრუგში არ დამალულიყვნენ დამნაშავეები, მათ შესახებ მოეხსენებიათ მმართველისა და ოკრუგის უფროსებისათვის.

იმერეთის დროებით მმართველობასთან გაიხსნებოდა საზოგადოებრივი ზედამხედველობის საგანგიო (Приказ общественного призрения) მარშლისა და ორი დეპუტატის შემადგენლობით. იგი გაღარიბებულ თავადაზნაურობას გაუწევდა დახმარებას.

დროებითი მმართველობა დიდი ზარზეიმით გაიხსნებოდა. მას დაესწრებოდნენ—იმერეთის სამღვდელოება, წარჩინებული თავადაზნაურობა, რუსი ჩინოვნიკები. ზეიმთან დაკავშირებით, იმერეთის ეკლესია-მონასტრებში სადღესასწაულო წირვა-ლოცვა ჩატარდებოდა. თანამდებობაზე არჩეული პირები იმპერატორისადმი ერთგულების ფიცს მიიღებდნენ. დროებითი მმართველობის გახსნას გამოაცხადებდა საქართველოს მთავარმმართველი.

ზეიმისათვის სამზადისი ნაადრევი გამოდგა. პოლიტიკური მოვლენების განვითარებამ იმერეთში, ეს „განაწესი“ ფარატინა ქაღალდად აქცია. ამაოდ დაშვრნენ რუსი ჩინოვნიკები. იმერეთში რუსული მმართველობა ოფიციალურად არც გახსნილა და ამიტომ არც ამ „განაწესის“ გამოყენების საჭიროება დამდგარა.

ი. სიმონოვიჩი, რომელიც შედარებით უკეთ იცნობდა ადგილობრივ ვითარებას, მოსახლეობის განწყობილებას და დამოკიდებულებას იმ ცვლილებებისადმი, რაც მოსალოდნელი იყო ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში მეფის ტასტიდან ჩამოგდებასთან დაკავ-

შირებით, თავდაპირველად, იმერეთში რუსული მმართველობის ერთბაშად შემოღების მომხრე არ იყო. იგი საჭიროდ თვლიდა გაეთვალისწინებიათ ის შედეგები, რაც ანალოგიურ ღონისძიებას მოჰყვა აღმოსავლეთ საქართველოში. თ. სიმონოვიჩი წინადადებას იძლეოდა დაეტოვებიათ იმერეთის ოლქი სამეფოს ყოფილ საზღვრებში და ძირითადად არ შეეცვალათ მმართველობის არსებული სისტემა. იგი მომხრე იყო მდივანბეგებად დარჩენილიყვნენ ზურაბ წერეთელი და ელიზბარ ერისთავი, რომლებიც კარგად იცნობდნენ თავიანთ ქვეყანას და დიდი დახმარება აღმოუჩინეს ცარიზმს მეფის ტახტიდან ჩამოგდებაში. თ. სიმონოვიჩი მოითხოვდა, აგრეთვე, თანამდებობებზე დაეტოვებიათ სოლომონ მეორის დროინდელი სხვა მოხელეებიც, რომლებიც, რასაკვირველია, კეთილად იყვნენ განწყობილი რუსებისადმი. მმართველობის არსებულ შტატს დაემატებოდნენ: რუსი მდივანი, მწერალი და ხუთი თარჯიმანი (რუსულ და თათრულ ენებზე, როგორც ზეპირი, ასევე წერილობითი თარგმნისათვის).[70]

ამ მოსაზრებებიდან გამომდინარე, თ. სიმონოვიჩმა შემოთავაზებული „დადგენილება" ადგილობრივი პირობებისათვის გამოუსადეგრად მიიჩნია და თავად შეუდგა მუშაობას იმერეთის მართვის საფუძვლების შესამუშავებლად. მისთვის ამ საქმეში დიდი დახმარების გაწევა შეეძლო ზურაბ წერეთელს, რომელიც მეფეს ახლდა თბილისში. თ. სიმონოვიჩი ელოდა როდის ჩამოვიღოდა ქუთაისში ყოფილი სახლთუხუცესი, რომ იმერეთში ახალი მმართველობის შემოღების საქმეს შედგომოდა. იგი 1810 წლის 28 მარტს ა. ტორმასოვს წერდა: „...იმერეთის ოლქის დროებითი მთავრობის შედგენას დაუყოვნებლივ შევუდგები, როგორც კი სახლთუხუცესი, თავადი ზ. წერეთელი ჩამოვა."[71]

ზურაბ წერეთელი ფეხს ითრევდა. სოლომონ II თბილისში იმყოფებოდა და მას რუსეთში გაგზავნას უპირებდნენ. იმერეთის ტახტი თავისუფალი იყო, რაშიც ამ მოღალატე თავადს დიდი „ღვაწლი" მიუძღოდა. ასეთ პირობებში ვერცხლის, ძალაუფლების და ჩინ-მედლების მოყვარე ზ. წერეთელს, იმერეთის საოლქო მთავრობაში შეთავაზებული პირველი ადგილი არ აკმაყოფილებდა,

---

[70] ი ქ ვ ე, გვ. 233.
[71] ი ქ ვ ე, გვ. 238.

მაგრამ ამის შესახებ ვერც სმამაღლა ლაპარაკს ბედავდა. დარწმუნდა რა იმაში, რომ იმერეთის ტახტს ხელში ვერ ჩაიგდებდა, იმედგაცრუებული ზ. წერეთელი ცდილობდა, რაც შეიძლება მეტი პატივი და ჯილდო გამოეთხოვა რუსეთის მთავრობისაგან. ცარიზმის ერთგულობრივი ხელისუფლებისადმი გაგზავნილ წერილებსა და მიმართვებში, იგი ყოველთვის ხაზს უსვამდა თავის „დიდ დამსახურებას იმერეთის საქმეების მოგვარებაში" და სათანადო საზღაურს მოითხოვდა.

ზურაბ წერეთელი, რასაკვირველია, მარტო არ იყო. ოქრო-ვერცხლისა და ჩინ-მედლებისათვის ბევრმა უღალატა სინდისსა და სამშობლოს. იმერეთის არქიმანდრიტი ზაქარია იმერეთის ყოფილ დედოფალს ანნას წერდა (1821 წ. 11 სექტემბერი): „...რაც შფოთი, ბუნტი, არეულობა მოხდა, სულ ამისათვის იქნა—ეგების იარანალობის ჩინი ვიშოვოთო. ამისათვის არც სულს, არც ხელმწიფეს და არც ქვეყანას მოერიდნენ".[72]

რუსები თავიანთი მიზნებისათვის ზ. წერეთელს მოხერხებულად იყენებდნენ. ისინი გარეგნულად, ოფიციალურად, დიდი პატივისცემით ეპყრობოდნენ მას. ასე მაგალითად, ა. ტორმასოვი 1810 წლის 12 აპრილს ზურაბ წერეთელს წერდა: „...მე პირადად გთხოვეთ, ჩასულიყავით პოლკ. სიმონოვიჩთან იმერეთში დროებითი მთავრობის შემოღების საკითხზე მოსათათბირებლად. ამ მთავრობაში თქვენი ბრწყინვალება იქნება პირველი კაცი, ძველებურად მართეთ საქმეები, იზრუნეთ ხალხის კეთილდღეობასა და სიმშვიდეზე".[73] იგივე ა. ტორმასოვი ცოტა მოგვიანებით, თ. სიმონოვიჩისადმი გაგზავნილ ბარათში, იმავე ზ. წერეთელს ახასიათებდა, როგორც „ეშმაკ მოხუცს" და „ორპირ კაცს, რომლის ბოლომდე ნდობა არ შეიძლება".[74] ხოლო ვ. პოტტო წერდა: „იგი არანაკლებ ხარბი იყო იმ თავადებთან შედარებით, რომლებიც გარს ერტყნენ სოლომონ მეორეს. ჭკვიანი, ეშმაკი, ფრთხილი ზურაბ წერეთელი თანახმა იყო თავისი სოლომონ მეორის დროინდელი მდგომარეობა გაეცვალა

---

[72] ზაქარია არქიმანდრიტისა და ოსე გაბაშვილის წერილები იმერეთის ყოფილ დედოფალ ანნას მიმართ (1814-1824 წწ.), ს. კაკაბაძის გამოცემა, ხელნაწერის უფლებით, თბ., 1959 გვ. 10-11.

[73] Акты..., т. IV с. 245.

[74] იქვე, გვ. 295.

მხოლოდ იმერეთის ტახტზე და ჩვენ გვემსახურებოდა მანამ, სანამ ამის იმედი ჰქონდა".[75]

თ. სიმონოვიჩმა, ზ. წერეთელთან ერთად და სხვა გავლენიანი თავადების კონსულტაციების გათვალისწინებით, იმერეთის დროებითი მმართველობის თავისი პროექტი შეადგინა და მის განხორციელებას შეუდგა. მან 1810 წლის 30 აპრილს ა. ტორმასოვს წარუდგინა მთავრობაში შეყვანილი თავადაზნაურობის წარმომადგენელთა სია (ხელფასების აღნიშვნით)[76] და ატყობინებდა, რომ მათ 24 აპრილს იმპერატორისადმი ერთგულების ფიცი მიიღეს და საქმის წარმოება დაიწყესო. თ. სიმონოვიჩი ითხოვდა მეფის ამალაში მყოფ ნიკოლოზ ლორთქიფანიძისა და სეხნია წულუკიძის სასწრაფოდ ქუთაისში დაბრუნებას, რადგან ისინი დროებით მმართველობაში იყვნენ დანიშნული.[77]

რაპორტს თან ახლდა „სავარაუდო მოსაზრებანი იმერეთის ოლქის დროებითი მთავრობის შესახებ". ეს დოკუმენტი ორი ნაწილისაგან შედგებოდა. პირველში— აღწერილი იყო იმერეთის სამეფოს მართვა-გამგეობის სისტემა სოლომონ მეორის დროს, ხოლო მეორე—შეიცავდა იმერეთის დროებითი მმართველობის პროექტს.[78]

იმერეთის ოლქი, პროექტის მიხედვით, ოთხ—ქუთაისის, ჩხერის, რაჭისა და ბაღდათის ოკრუგად უნდა გაყოფილიყო.

იმერეთის ოლქის მართვისათვის არსდებოდა დივანი ანუ დროებითი მმართველობა რუსი სამხედრო მოხელის თავმჯდომარეობით. მმართველობაში შევიდოდნენ: სახლთუხუცესი, იმავე დროს დივანის უფროსი, პროკურორი, ოთხი მდივანბეგი, ოთხი მდივანი, ბოქაულთუხუცესი, მეღვინეთუხუცესი, ხაბაზთუხუცესი, ორი ხევისთავი, ერთი რუსი მდივანი, რუსი ხაზინადარი, სამი თარჯიმანი.

ოკრუგის უფროსებად, როგორც წესი, რუსი ოფიცრები დაინიშნებოდნენ. მათ ეყოლებოდათ ადგილობრივი თავადაზნაურობიდან შერჩეული ორ-ორი თანაშემწე, ერთი თარჯიმანი, ორი მწერალი, ერთი ქართული ენის, ხოლო მეორე—რუსულის მცოდნე.

---

[75] В. Потто, Утверждение русского владычества на Кавказе, т. II, Тиф., 1902, с. 51.

[76] ს ა ს ს ა, ფ. 2, აღწ. 1, საქ. 225, ფურ. 28-29.

[77] Акты..., т. IV, с. 255.

[78] ი ქ ვ ე, გვ. 256-257.

სასელმწიფო ციხესიმაგრეებისა და სოფლების მართვა, ძველებურად, მოურავების ვამგებლობაში რჩებოდა.

ქუთაისის ოკრუგის უფროსს სხვებთან შედარებით, მეტი უფლებები ექნებოდა. იგი შეცვლიდა იმერეთის მმართველს, როცა ეს უკანასკნელი ქალაქში არ იქნებოდა.

ყოველ რუს თუ ქართველ მოხელეს, რომლებიც სამსახურებრივი მოვალეობის გამო, მუდმივად ქუთაისში უნდა ყოფილიყვნენ, ჯამაგირი დაენიშნებოდათ ვერცხლის მანეთებში, რაც შეეხება სხვებს (დივანის წევრები, ოკრუგების უფროსების თანაშემწეები და მოურავები), ისინი დარჩებოდნენ ძველი სარგოთი.

მმართველობისა და ოკრუგის მოხელეთა ძირითადი მოვალეობა იქნებოდა გადასახადებისა და სხვა შემოსავლების აკრება, სასამართლოს წარმოება. პროექტით, სიკვდილით დასჯა ან სხეულის ნაწილების მოკვეთა იკრძალებოდა. კაცისმკვლელების, ქურდების, ყაჩაღების, თურქეთში კაცის გაყიდვისა და საერთოდ, „ტყვეთა სყიდვაში“ დამნაშავე პირების საქმეს ს ა მ ხ ე დ რ ო ს ა ს ა მ ა რ თ ლ ო განიხილავდა. სადაო სოფლებისა და ადგილმამულების საკითხებს წარმოდგენილი დოკუმენტების საფუძველზე, თავადებისა და აზნაურებისაგან შემდგარი საგანგებო კრება გადაწყვეტდა და მთავარსარდალი დაამტკიცებდა.

დროებითი მმართველობა ხელუხლებლად დატოვებდა თავადაზნაურთა მამულებს, ხოლო ცარიზმის ერთგულ ფეოდალებს დაუბრუნებდა სოლომონ მეორის მიერ ჩამორთმეულ ქონებას. მემამულეებს აეკრძალებოდათ მიეთვისებიათ თავიანთი ქვეშევრდომების ვენახები, ბაღები და ტყისგან გაწმენდილი სახნავ-სათესი მიწები, გაეყიდათ გლეხთა ოჯახის წევრები ცალ-ცალკე და იმერეთის ფარგლებს გარეთ.

იმერეთში მიწების ნაკლებობის გამო, პროექტი ითვალისწინებდა მეფის სანადირო ნაკრძალებად გამოცხადებული ტყეების ერთი ნაწილის გაჩეხვას და სახნავ-სათესად გამოყენებას.

წარსულში, დასავლეთ საქართველოს სამეფო-სამთავროებს შორის, ხშირად დაძაბული ურთიერთობა იყო, ისინი ერთმანეთს ებრძოდნენ ცალკეული სამფლობელოებისათვის, ამას ემატებოდა „ტყვეთა სყიდვა“, რაც დიდ ზიანს აყენებდა ქვეყანას. ამის აღსაკვეთად და სამთავროებთან ურთიერთობის გაუმჯობესების მიზ-

ნით, დროებით მმართველობაში სამთავროები გამოაგზავნიდნენ ორ-ორ წარმომადგენელს დამსწრის სტატუსით, ერთი სამთავრო მეორეში—თითო დეპუტატს, ხოლო იმერეთის ოლქი თითოეულ სამთავროში — თითო დეპუტატს.

1810 წლის 10 ივნისს ა. ტორმასოვი თ. სიმონოვიჩს წერდა: „სრულიად ვიწოსებ რა თქვენს წინადადებებს იმერეთში დროებითი მმართველობის შემოღების შესახებ, მე მათ, ჩემ აზრთან ერთად, იმპერატორს წარვუდგენ დასამტკიცებლად. მანამდე კი წინადადებას გაძლევთ ...მმართველობა შეუდგეს თავისი მოვალეობის შესრულებას.“[79]

დროებითი მმართველობის ამ პროექტის განხორციელებას ხელი შეუშალა იმან, რომ 1810 წლის 10-11 მაისს, ღამით, მეფე თბილისიდან გაიპარა და 25 სექტემბრამდე, როგორც უკვე ითქვა, სამეფოს აღსადგენად ენერგიულად იბრძოდა.

თ. სიმონოვიჩი 1810 წლის 23 ივნისს ა. ტორმასოვს აცნობებდა: „...დავიწყე ოკრუგის უფროსების დანიშვნა. ორი უკვე გავგზავნე თანამდებობის დასაკავებლად. ქუთაისში—ბელევსკის პოლკის მაიორი ანდრეევსკი და რაჭაში—იმავე პოლკის მაიორი—გედრიმოვიჩი... არ ვიცი თავადებიდან და აზნაურებიდან თანაშემწეებად ვინ დავუნიშნო, რადგან ყველანი აჯანყებულნი არიან... დივანი, რომელმაც მოქმედება დაიწყო ახლა შემცირებულია...“[80]

ასეთ პირობებში, მმართველობის თავდაპირველი პროექტი, ცხადია, გამოუსადეგარი გახდა—წერდა ვ. ივანენკო. არ შეიძლებოდა ოლქის მართვა მინდობოდა იმ თავადებსა და აზნაურებს, რომლებიც თითქმის უკლებლივ ყველა მონაწილეობდნენ აჯანყებაში და აქეთკენ მოუწოდებდნენ თავიანთ ქვეშევრდომებსაც. საჭირო იყო უფრო მყარი, პოლიტიკური ქარიშხლებისადმი რამდენადმე წინააღმდეგობის გაწევის უნარისმქონე დაწესებულებათა შექმნა.[81]

იმერეთში დროებითი მმართველობის შემოღების ახალი პროექტის შედგენაზე მუშაობა დაიწყეს მას შემდეგ, რაც სოლომონ II იძულებული გახდა სამშობლო დაეტოვებია და თურქეთში გ-

---

[79] იქვე, გვ. 285.
[80] იქვე, გვ. 292.
[81] ვ. ივანენკო, დასახ. ნაშრ., გვ. 71.

დასვეწილიყო. ამჯერად თ. სიმონოვიჩი ნაკლებად ეთათბირებოდა ზ. წერეთელს, რომელმაც აშკარად გამოავლინა თავისი ორპირი პუნება. იმერეთის მმართველი ა. ტორმასოვს მიმართავდა მითითებებისათვის.

ა. ტორმასოვის შეხედულებანი ამ საკითხზე ნათლადაა ჩამოყალიბებული, მის მიერ გაკეთებულ შენიშვნებში თავად ზურაბ წერეთლის განმარტებით ბარათზე უკანასკნელი მეფის დროს არსებულ მართვა-გამგეობის შესახებ.

„შენიშვნებში" ა. ტორმასოვი აღნიშნავდა: სასამართლოს შემადგენლობაში უნდა შევიდეს: სასამართლოსა და სასჯელის ექსპედიციის უფროსი—რუსი ჩინოვნიკი და იმერეთის თავადებიდან არჩეული ოთხი მრჩეველი—ორი სამოქალაქო და ორი—სისხლის სამართლის დარგში. სამოქალაქო საქმეები განიხილება ვახტანგ VI-ის კანონების, ხოლო სისხლის სამართლის—რუსული კანონმდებლობის საფუძველზე. განაჩენი სისრულეში არ იქნება მოყვანილი იმერეთის მმართველის მიერ განხილვისა და დამტკიცების გარეშე.

გაუქმდება „საბჭო"—გასამრჯელო მოსამართლეებისათვის. ისინი მიიღებენ ჯამაგირს, ხოლო ბეჯითი და ერთგული მოსამსახურენი—წოდებებითა და ჩინებით დაჯილდოვდებიან.

მრჩევლები უპირატესად შეირჩევიან იმ პირებიდან, რომლებსაც ადრეც ეჭირათ ეს თანამდებობანი, ერთი პირობით—ისინი იმპერატორის ერთგულნი უნდა ყოფილიყვნენ.

ძალაში დარჩებოდა მეფის დროს გაცემული ყველა იჯარა. ადრე არსებული ყველა გადასახადი აიკრიბებოდა უკლებლივ ყველასგან, ხოლო ისინი, ვინც ადრე გათავისუფლებულები იყვნენ—მიიღებდნენ შესაბამის ანაზღაურებას.

მარცვლეულის გადასახადი შეიკრიბება ძველი წესის მიხედვით, ხოლო ღვინის, პირუტყვის, ქათმის ნაცვლად, შემოღებული იქნება ზომიერი ფულადი გადასახადი.

შემოსავალი განაწილდება მარშლისა და სახაზინო ექსპედიციის უფროსის მონაწილეობით. ყველა შემოსავალი ხაზინაში შევა. შინაგანი ბაჟები გაუქმდება და დაარსდება სახაზინო საბაჟო. ყველა თავისუფლად გამოიყენებს თავის ქონებას და მას არავინ არ წაართმევს. თავადებსა და აზნაურებს თავიანთ კუთვნილ გლეხებზე განუსაზღვრელი უფლება ექნებათ.

დაფიცებისათვის არავინ არაფერს არ გადაიხდის და არ დაჯარიმდება, გარდა იმ მოსამართლეებისა, რომლებიც არაკეთილსინდისიერად ასრულებენ თავიანთ მოვალეობას. ჯარიმები მოხმარდება გაჭირვებულებსა და ავადმყოფებს. გაუქმდება: ქეშიკთუხუცესის, ხევისთავების, ფარეშთუხუცესის, ქილიფთართუხუცესის, მეაბჯართუხუცესის, მეჯინიბეთუხუცესის თანამდებობანი. ქეშიკთუხუცესი თუ პატიოსანი და უნარიანი პიროვნებაა, მისი გამოყენება სხვა საქმისათვის შეიძლება. ხევისთავების მოვალეობას შეასრულებს საერობო პოლიცია, რომელსაც ოკრუგის უფროსები და მათი თანაშემწეები დაემორჩილებიან. ქუთაისის მოურავის ნაცვლად, დაწესდება კომენდანტის თანამდებობა, ძველ თანამდებობებზე დარჩებიან სახაზინო სოფლების ის მოურავები, რომლებიც იმპერატორისადმი ერთგულებას გამოიჩენენ. ისინი ძველი პრივილეგიებით ისარგებლებენ. სამეფო ციხეების მოურავები შეიცვლებიან კომენდანტებით.[82]

ამ შენიშვნების გათვალისწინებით და ახალი ვითარების შესაბამისად, თ. სიმონოვიჩმა გადააკეთა თბილისიდან მიღებული „დადგენილება იმერეთის ოლქის შინაგანი მმართველობის შესახებ". შეიცვალა მისი დამოკიდებულება იმერეთში მმართველობის ხასიათისადმი. თ. სიმონოვიჩის აზრით, მას შემდეგ, რაც რუსეთის ჯარებმა ხელმეორედ დაიპყრეს იმერეთი, მოსახლეობამ დაკარგა ყოველგვარი შეწყალების უფლება. ახლა უნდა შემოღებულიყო მმართველობის ისეთი ფორმა, რომელშიაც იმერეთის თავადაზნაურობის წარმომადგენელთა აზრს გადამწყვეტი მნიშვნელობა არ მიენიჭებოდა.[83]

1810 წლის ოქტომბრისათვის, იმერეთში დროებითი მმართველობის შემოღების პროექტის ახალი ვარიანტი მზად უნდა ყოფილიყო, რადგან ა. ტორმასოვი 1811 წლის 8 იანვარს თ. სიმონოვიჩს წერდა: ახალციხის მახლობლად გადმოგეცი ჩემი შენიშვნები იმერეთში დროებითი მმართველობის შემოღებასთან დაკავშირებით და დღემდე არ მიმიღია თქვენი პასუხი.[84] ახალციხის ლაშქრობა კი 1810 წლის ნოემბერში მოეწყო. საქართველოს მთავარმმართვე-

---

[82] Акты, т. IV, с. 376-378.

[83] იქვე, გვ. 324-326.

[84] იქვე, გვ. 345-346.

ლი 1811 წლის 21 იანვარს სახელმწიფო კანცლერს, გრაფ რუმიანცევს მიმართავდა: „...განსახილველად გამოგიგზავნეთ იმერეთში დროებითი მმართველობის შემოღების წესები. პროექტი შედგენილი იყო იმერეთის პირველი დაპყრობისა და მეფის თბილისში გადასასლების დროს. ამიტომ მაშინ ჩვენ ვცდილობდით ახალი მმართველობა შეგვესამებია ახლადდამორჩილებული სალხის ჩვეულებებისათვის, რათა მას ეგრძნო რუსული მმართველობის სიკეთე. მაგრამ თქვენს მიერ ამ პროექტის განხილვამდე, მეფის გაქცევასთან დაკავშირებით, იმერეთში მდგომარეობა მკვეთრად შეიცვალა. იმერეთის ოლქში, სადაც საყოველთაო მღელვარება იყო, მაგრამ ახლა ხელახლა დამორჩილებულია, საჭიროდ და აუცილებლად ვთვლი შემოღებულ იქნას ისეთივე მმართველობა, როგორიც აღმოსავლეთ საქართველოშია“.[85]

ცარიზმის ადგილობრივი ხელისუფლება დაბეჯითებით ცდილობდა დაერწმუნებია იმერეთის მოსახლეობა, რომ უიმედოა მეფობის აღდგენაზე ფიქრი. მაგრამ თურქეთში გაქცეული მეფე ენერგიულად მოქმედებდა, მოსალოდნელი იყო ახალი აჯანყება და ამიტომ ჩქარობდნენ იმერეთში რუსული მმართველობა შემოეღოთ.

როგორი იყო ახალი პროექტი? („დებულება იმერეთის ოლქის დროებითი მმართველობის შესახებ.“) იმერეთის ოლქი ექვს—ქუთაისის, ვაკის, რაჭის, საჩხერის, ჩხერის და ბაღდათის ოკრუგებად იყოფოდა. საოლქო ქალაქად ქუთაისი ცხადდებოდა. ოკრუგების ტერიტორია და მცხოვრებთა რიცხვი თითქმის თანაბარი იყო (თითოეულ ოკრუგში 30 ათასზე მეტი მცხოვრები).

ოლქის სათავეში მმართველი იგულისხმებოდა. ოლქის დროებითი მმართველობა სამი—აღმასრულებელი, სასაზინო და სასამართლო ექსპედიციისაგან შედგებოდა. ექსპედიციების ფუნქციების განსაზღვრაში რაიმე არსებითი ახალი არ ყოფილა.

საოლქო მმართველობაში სამი რუსი მოხელე შევიდოდა (თითო მოხელე ყოველი ექსპედიციისაგან.). მრჩევლებს ეყოლებოდათ ასესორები ადგილობრივი თავადაზნაურობისაგან, თითოეულ ექსპედიციაში ორ-ორი. მათ შორის ერთს მმართველი დანიშნავდა.

---

[85] იქვე, გვ. 347.

ოკრუგის უფროსები შტაბის ოფიცრები უნდა ყოფილიყვნენ. მათ დამხმარედ ეყოლებოდათ ოკრუგის თავადაზნაურობიდან სამი წლით არჩეული ორი წარმომადგენელი („Заседатель"), საქმეთა მმართველი, მწერალი და თარჯიმანი. მიღებული გადაწყვეტილების სისრულეში მოსაყვანად, ოკრუგის უფროსის განკარგულებაში იქნებოდა ასეული, ოფიცრის მეთაურობითა და ოცდაათი კაზაკი.

იმერეთის თავადაზნაურობა სამი წლით აირჩევდა მარშალს და ექვს დეპუტატს (თითო დეპუტატი ყოველი ოკრუგიდან.). როგორც წინა პროექტი, ახალიც ითვალისწინებდა საზოგადოებრივი ზედამხედველობის საგანგიოს დაარსებას. გარდა ამისა, რუსული საოლქო მართვის კანონმდებლობიდან გამომდინარე, პროექტით შემოღებული უნდა ყოფილიყო მთელი რიგი ახალი თანამდებობანი. ოლქს ეყოლებოდა თავისი პროკურორი და მიწისმზომელი ორი თანაშემწით, მიწების გამიჯვნის ხელმძღვანელობისათვის. გარდა ამისა, უნდა დაარსებულიყო საექიმო უპრავა ინსპექტორის, ოპერატორის და მეანის შემადგენლობით, საფოსტო კანტორა. მას საოთავეში ჩაუდგებოდა ფოჩტმაისტერი (ფოსტის უფროსი) და მისი თანაშემწე, რომელიც ამავე დროს, თარჯიმნის როლსაც შეასრულებდა. ახალი პროექტით, იმერეთის ოლქში განსაზღვრული იყო სასაზღვრო-საბაჟო კანტორის დაარსება იმერეთის თავადაზნაურობიდან შერჩეული დირექტორის ხელმძღვანელობით, ხოლო მისი ხელქვეითი იქნებოდნენ: ცოლნერი—რუსი მოხელე და ადგილობრივი თავადაზნაურობიდან არჩეული ორი კომისარი.

ქუთაისის მართვა-გამგეობა განხორციელდებოდა კომენდანტის ხელმძღვანელობით, რომელსაც ეყოლებოდა ორი ქართველი ბოქაული, თარჯიმანი და საქმეთა მმართველი.[86]

1811 წლის 19 აპრილის უქაზით, იმპერატორმა დასახელებული პროექტი დაამტკიცა,[87] მაგრამ მისი ცხოვრებაში გატარება ვერ მოხერხდა. ამას ხელი შეუშალა სხვა მიზეზებთან ერთად, იმანაც, რომ იმერეთს 1811-1812 წლებში თავს დაატყდა სტიქიური უბედურება, წყალდიდობა, მოუსავლიანობა, შიმშილი. სოლომონ მეორის წინააღმდეგ მიმართულმა საომარმა ოპერაციებმა საგრძნობლად დააზიანა ნათესები, ჯარის გამოკვება მოსახლეობას დაევალა. პა-

---

86 ი ქ ვ ე, გვ. 347-348.

87 ს. ე ს ა ძ ე, დასახ. ნაშრ., გვ. 62.

ტარა ქვეყნისათვის არნახული მასშტაბი მიიღო ეპიდემიამ. ამდენ განსაცდელს გამოვლილი განაწამები ხალხი თავზარდაცემული გარბოდა ტყესა და ღრეში, სხვა მხარეებში, სადაც ყოვლისმომცველი სენი არ მძვინვარებდა.

კავკასიის ახალი მთავარმმართველის მარკიზ ფ. პაულუჩის ბრძანებაზე, იმერეთში დროებითი მმართველობის გახსნის შესახებ, თ. სიმონოვიჩი პასუხობდა, რომ ახლანდელ ვითარებაში ეს ფიზიკურად შეუძლებელია. ქუთაისში სახლი არ არის, სადაც ავადმყოფი არ იყოს. ამის გამო, დროებითი მმართველობის შემოღების ვადა უნდა გადაიდოს უფრო შესაფერის შემთხვევამდე. გარდა ამისა, იმერეთის შემოსავალი ახლა ისე მცირეა (თურქეთთან ომმა შეაფერხა ვაჭრობა), რომ იგი ვერ დაფარავს დროებითი მმართველობისათვის გაწეულ ხარჯებსო.[88]

შექმნილი მდგომარეობის შესახებ ფ. პაულუჩმა პოლიციის მინისტრს ბალაშოვს აცნობა. იგი ამის პასუხად 1811 წლის 18 ნოემბერს კავკასიის მთავარმმართველს წერდა: „...თქვენი მიმართვა... იმერეთში რუსული წესების საფუძველზე, საოლქო მმართველობის გახსნის მოუხერხებლობის შესახებ... იმპერატორს მოვახსენე. მან ბრძანა ამ საკითხზე წარმოადგინოთ პირადად თქვენი შესედულებანი, ხოლო მანამდე შეაჩერეთ იმერეთში დროებითი მმართველობის შემოღება“.[89]

იმერეთში შექმნილმა მდგომარეობამ ცარიზმის ადგილობრივი ხელისუფლება დააფიქრა. ისინი ცდილობდნენ დაერწმუნებინათ პეტერბურგი, რომ საჭირო იყო გარკვეული დახმარება, რათა ხალხს ეგრძნო მონარქის ზრუნვა და მისადმი ერთგულების გრძნობით გამსჭვალულიყო. ამ მიმართულებით რაიმე არსებითი არ გაკეთებულა. სამაგიეროდ, ჩქარობდნენ პეტერბურგში გაეგზავნათ იმერეთის თავადაზნაურობის დეპუტაცია, რომელიც ხელმწიფის წინაშე უნდა წარმდგარიყო „უქვეშევრდომილესი გრძნობებისა“ და მადლობის მოსახსენებლად იმ ბედნიერებისათვის, რომელსაც იმერეთი რუსხელმწიფის ქვეშევრდომობით ეღირსა.[90] თ. სიმონოვიჩი 1811 წლის 11 დეკემბერს მარკიზ ფ. პაულუჩს აც-

---

[88] Акты, т. V, с. 92-93.

[89] იქვე, გვ. 96.

[90] ნ. ბერძენიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 424.

ნობებდა, რომ სოფელ გეგუთში მან შეკრიბა სამღვდელოებისა და თავადაზნაურობის წარმომადგენლები, პეტერბურგში გასაგზავნი დეპუტაციის ასარჩევად. დიდი თათბირის შემდეგ, დეპუტაცია განისაზღვრა შემდეგი შემადგენლობით: გელათის მიტროპოლიტი, გენ.-მაიორი, თავადი ზ. წერეთელი, პოლკ. სეხნია წულუკიძე და მაიორი ქაიხოსრო ჩხეიძე.

დროებითი მმართველობის შემოღებამდე, იმერეთს ერთპიროვნულად მართავდა თ. სიმონოვიჩი. მას, რასაკვირველია, სერიოზული დაბრკოლებები ხვდებოდა, რის გამოც ერთგულ და საიმედო დამხმარეს საჭიროებდა. ასეთი როლი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ზ. წერეთელს უნდა შეესრულებინა. მაგრამ ახლაც კი, როცა იმერეთის ტახტზე ოცნებაც არ შეიძლებოდა, სახლთუხუცესი დინჯად მოქმედებდა. იგი ჯერ კიდევ 1811 წლის 2 თებერვალს ა. ტორმასოვს წერდა: „თქვენ მიბრძანებთ ხშირად ვიყო სიმონოვიჩთან აქაურ საქმეებში რჩევისა და დახმარებისათვის." შემდეგ საკმაოდ ვრცლად შეახსენებდა მას თავის დამსახურებას რუსეთის მთავრობის წინაშე იმერეთის დაპყრობის საქმეში. ზურაბ წერეთელი ხელმწიფისაგან ახალ წყალობასა და ჩინ-მედლებს მოელოდა.

იმერეთში დროებითი მმართველობის შემოღების ახალი პროექტიც თ. სიმონოვიჩმა შეადგინა და განსახილველად წარადგინა 1814 წლის 25 თებერვალს. პროექტის სახელწოდებაა—„დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა ს ა ვ ა რ ა უ დ ო ს ა ო ლ ქ ო მ თ ა ვ რ ო ბ ი ს შ ე ქ მ ნ ა მ დ ე ი მ ე რ ე თ ი ს დ რ ო ე ბ ი თ ი მ მ ა რ თ ვ ე ლ ო ბ ი ს შ ე ს ა ხ ებ."[91] პროექტის მიხედვით, იმერეთი ექვსის ნაცვლად ოთხ: ქუთაისის, ვაკის, შორაპნის და რაჭის ოკრუგად იყოფოდა. ოკრუგების შემცირება ახსნილია 1811-1812 წლებში იმერეთში მოსახლეობის მკვეთრი შემცირებით.

საპოლიციო მმართველობისა და ადგილზე სადავო საკითხების გასარჩევად, რომელთა სარჩელი 50 მანეთს არ აღემატებოდა, ყოველ ოკრუგში განწესებული იქნებოდა ერთი რუსი მოხელე, აუცილებლად არმიის შტაბ-ოფიცერთა წრიდან, ოკრუგის უფროსის სახელწოდებით. მათ ეყოლებოდათ ორი თანაშემწე იმერეთის თავადაზნაურობიდან. ოკრუგების რეზიდენციები იქნებოდა: ქუთა-

---

[91] Акты..., т. V, с. 476-477.

ისი, მარანი, შორაპანი, და სხვავა. ყოველ ოკრუგში ჯარისკაცთა ასეული და ოცი კაზაკი უნდა მდგარიყო.

ქ. ქუთაისის მართვა ევალებოდა ოკრუგის უფროსს. მის განკარგულებათა შესასრულებლად და ქალაქის ზედამხედველობაზე დასმარებისათვის ადგილობრივი მოსახლეობიდან ინიშნებოდნენ ნაცვალი და ხელოსანი, რომლებიც ხელფასს მიიღებდნენ ძველებური წესების მიხედვით. იმერეთის მთავრობაში შევიდოდა— მმართველი, ოთხი მდივანბეგი (მრჩეველი), რომლებსაც თავადები აირჩევდნენ და ორი რუსი ასესორი (ერთი სამოქალაქო, მეორე—სასაზინო საქმეებში.). სამოქალაქო და სასაზინო საქმეები გაირჩეოდა ქართული კანონების საფუძველზე, ხოლო სისხლის სამართლის საქმეებს განიხილავდა სამხედრო სასამართლო. მკაცრი განაჩენის გამოტანის დროს, საჭირო იქნებოდა მთავარმმართველის აზრის გათვალისწინება. საქმის წარმოება მაქსიმალურად სწრაფი და ნათელი უნდა ყოფილიყო. ცალკეულ შემთხვევებში, საქმე შეიძლება ზეპირად გარჩეულიყო და გადაწყვეტილებაც იქვე გაეცნოთ მთხოვნელისათვის.

მთავრობის წევრები შეადგენდნენ საერთო კრებას, რომელსაც მმართველი თავმჯდომარეობდა. საერთო კრების მთავარი ფუნქცია უნდა ყოფილიყო აპელაციების განხილვა ათას მანეთამდე, მისი გადაწყვეტილება საბოლოო იყო.

სოფლის მოურავები რჩებოდნენ და ემორჩილებოდნენ ოკრუგის უფროსებს. სოლომონ მეორის დროს არსებული თანამდებობები: სახლთუხუცესი, ქუთაისის მოურავი, ბოქაულთუხუცესი, ხევისთავი და სხვები უქმდებოდა.

1815 წელს იმერეთში ჩამოვიდა კავკასიის ახალი მთავარმმართველი ნიკოლოზ თევდორეს ძე რტიშჩევი, რომელმაც ცოტა მოგვიანებით (1816 წ. 3 სექტემბერი), ახლადდაპყრობილ მხარეში თავისი მოგზაურობის შესახებ ვრცელი მოხსენებითი ბარათი გაუგზავნა იმპერატორს: „მინდოდა მესარგებლა ჩემი იმერეთში ყოფნით და გამეხსნა იქ 1811 წელს დამტკიცებული დებულების მიხედვით, დროებითი მმართველობა. მაგრამ გავითვალისწინე შავი ზღვის რაიონში არსებული დაძაბული პოლიტიკური ვითარება და თავი შევიკავე... რაც შეეხება იმერეთის ახლანდელ მმართველობას, იგი განიხილავს ყველა სადაო საქმეებს ვახტანგის კანონების საფუძველზე, მმართველის უშუალო მონაწილეობით. მმარ-

თველობა მიღებული გადაწყვეტილებებისა და გადაუწყვეტელ საქმეების შესახებ, ყოველ ორ კვირაში რეგულარულად მთავარ-მმართველს უგზავნის მემორიას საქმის მოკლე შინაარსის გადმოცემით.[92]

იმ დროს, როდესაც იმერეთში რუსული მმართველობის შემოღების ნაირნაირ პროექტებს ამუშავებდნენ, პეტერბურგში ქართლ-კახეთის უკანასკნელი მეფის გიორგი XII-ის მემკვიდრემ დავით ბაგრატიონმა, ალექსანდრე I-ს ორი მოხსენებითი ბარათი მიართვა საქართველოს მართვის უკეთ მოწყობის შესახებ (პირველი 1812 წელს, ხოლო მეორე 1817 წ.).[93] მათში განსაკუთრებით საინტერესოა პირველი, რომელიც, ფაქტობრივად, შეიცავდა თხოვნას, აღედგინათ ქართლ-კახეთის სამეფო და სამშობლოში დაებრუნებიათ ქართველი ბატონიშვილები. დავით ბაგრატიონი აღმოსავლეთ საქართველოსთან ერთად, იმერეთის მართვა-გამგეობის ახლებურად მოწყობის საკითხსაც აყენებდა. მისი აზრით, იმერეთი, რომელშიაც მთელი დასავლეთ საქართველოა ნაგულისხმები, სამ ნაწილად უნდა გაყოფილიყო. იმერეთის ზემო ნაწილი (ალბათ, საკუთრივ ყოფილი იმერეთის სამეფოს ტერიტორია) სამართავად გადაცემოდა თავად წერეთელს[94], ქვემო ნაწილი (სამეგრელო) — თავად დადიანს, ხოლო გურია, ე. ი. საპაიჭაო და საჯავახო მათი მიმდებარე სოფლებით—თავად გურიელს. მმართველები იმოქმედებენ ადგილობრივი ზნე-ჩვეულებებისა და წესების გათვალისწინებით, ყველა საკითხს გადაწყვეტდნენ ამ რეგიონებში განლაგებული რუსეთის ჯარების სარდლების უშუალო მონაწილეობით. რაც შეეხება სისხლის სამართლის საქმეებს, იგი განსაჯილველად გადაეცემოდა საქართველოს ქვედა დეპარტამენტს.

საიმპერატორო კარმა დავით ბაგრატიონის პირველი მოხსენებითი ბარათის კომენტირება დაავალა კავკასიიდან ახლადდაბრუნებულ მარკიზ ფ. პაულუჩს, რომელიც შედარებით კარგად იცნობდა იქ არსებულ ვითარებას. მან გულდასმით შეისწავლა დავით ბაგრატიონის წინადადებანი საქართველოს მართვა-გამგეობის

---

92 იქვე, გვ. 490-491.

93 И. К. Ениколопов, Две записки царевича Давида..., მსკი, II, 1942, ნაკ. I, თბ., 1942, გვ. 121-165.

94 უნდა ვივარაუდოთ, რომ დავით ბატონიშვილი გულისხმობდა ზ. წერეთელს.

ახლებურად მოწყობის შესახებ და როგორც მოსალოდნელი იყო, კატეგორიულად უარყო ისინი.

კონკრეტულად, იმერეთის შესახებ მარკიზ პაულუჩის შენიშვნებში ნათქვამი იყო: „იმერეთის მმართველობის უბნებად დაყოფა ძალზე უმნიშვნელო რამაა და ემყარება ბატონიშვილი დავითის... მისწრაფებას საქართველოში სამეფო ხელისუფლება იხილოს აღდგენილი. იმერეთში ახლაც მართავენ თავიანთ სამფლობელოებს დადიანისა და გურიელის სახლები, რომლებიც ნაკლებ პატივს სცემდნენ იმერეთის ყოფილ მეფეს. თვით იმერეთს, ანუ ზემო მხარეს, როგორც მას ბატონიშვილი უწოდებს, მთავარსარდლის ხელისუფლების ქვეშ განაგებს რუსი ჩინოვნიკი, რომლის გულმოდგინებას რუსეთის კეთილდღეობისათვის და კეთილგონიერებას მმართველობაში ვერ შეედრება ვერც ზ. წერეთელი, თუნდაც რუსეთისადმი ერთგული ჩინოვნიკი და საერთოდ, ვერავინ ქართველთაგანი“.[95]

რუსეთის მთავრობამ არა თუ ყურად იღო ბატონიშვილის საგულისხმო მოსაზრებანი, არამედ დაემუქრა პეტერბურგიდან გასახლებით, თუ კიდევ გაბედავდა ამ საკითხზე იმპერატორის შეწუხებას.

---

[95] Две записки..., გვ. 157-158.

თავი მესამე

იმერეთის მმართველობის სტრუქტურა და ხასიათი 1810-1840 წლებში

დროებითი მმართველობის შემოღების ახალი პროექტი, როგორც ითქვა, თ. სიმონოვიჩმა 1814 წლის თებერვალში შეადგინა, მაგრამ ვერც მისი სრულყოფილი განხორციელება მოხერხდა, რასაც სხვა მიზეზებთან ერთად, ხელი შეუშალა იმანაც, რომ „იმერეთის ფეოდალური საზოგადოება შიშითა და სიძულვილით უყურებდა ქართლ-კახეთში შექმნილ სოციალურ-პოლიტიკურ ვითარებას და ძველ ქართულ წყობილებას თავგამოდებით იცავდა. ამავე დროს, პოლიტიკური ვითარების დაჭიმულობა არ ნელდებოდა და სოლომონ მეფეც იმერეთის კარებთან ტრიალებდა. ასეთ პირობებში, საქართველოს რუსული მმართველობა შიშობდა, რომ „რუსობის“ განუხრელად შემოტანა იმერლების ხელახლა აჯანყებას გამოიწვევდა. მ თ ა ვ რ ო ბ ა ი ძ უ ლ ე ბ უ ლ ი გ ა ხ დ ა დ ა ე თ მ ო და ი მ ე რ ე თ შ ი ქ ა რ თ ლ-კ ა ხ ე თ ი ს ა გ ა ნ რ ა მ ო დ ე ნ ი მ ე დ გ ა ნ ს ხ ვ ა ვ ე ბ უ ლ ი მ მ ა რ თ ვ ე ლ ო ბ ა შ ე მ ო ე ღ ო.[1] (ხაზგასმა ჩვენია, გ. ვ.)

კონკრეტულად რაში ვამოიხატა იმერეთის მმართველობის განსხვავებულობა—პირველ რიგში მის სტრუქტურასა და ახლადშექმნილი ოლქის ადმინისტრაციულ მოწყობაში.

1802 წლის 8 მაისს თბილისში „საზეიმოდ“ გახსნილი „საქართველოს მმართველობა“—„მთავარსარდლის“ ანუ „მთავარმმართველის“, „საქართველოს მმართველის“ და „საქართველოს უზენაესი მთავრობისაგან“ შედგებოდა. მთავარსარდლის თანამდებობაზე დანიშნული სამხედრო მოხელე რუსეთის სახელმწიფოს წინაშე, თავდაპირველად, ქართლ-კახეთის, შემდეგ კი მთელი ამი-

---

1. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 423.

ერკავკასიის ყოველგვარ საქმეზე უმაღლესი პასუხისმგებელი პირი იყო. მის თანაშემწედ სამოქალაქო საქმეებში ითვლებოდა „საქართველოს მმართველი“, რომელიც „საქართველოს უზენაეს მთავრობას“ ხელმძღვანელობდა. მმართველობა ოთხ—აღმასრულებელ, სამოქალაქო საქმეების, სისხლის სამართლის საქმეთა და სახაზინო ქონებათა ექსპედიციებად დანაწილდა. (ერთხანს აღმოსავლეთ საქართველოში განლაგებულ რუსეთის ჯარებს ცალკე სარდალი ჰყავდა—გენერალი ლაზარევი.). „საქართველოს მმართველს“ შემდეგში „საქართველოს სამოქალაქო გუბერნატორსაც“ უწოდებდნენ. ამგვარად, აღმოსავლეთ საქართველოში სამოქალაქო და სამხედრო ხელისუფლება იმთავითვე გაიმიჯნა. ამასთან ერთად, რუსეთის მთავრობამ ახალ მმართველობას „საქართველოს მმართველობა“ უწოდა და ამით ფორმალურად უარყო „საგუბერნიო მმართველობის“ სახელწოდება. სინამდვილეში, „საქართველოს მმართველობა“ თავისი შინაარსით დიდად არ განსხვავდებოდა რუსეთის რომელიმე სხვა გუბერნიის მმართველობისაგან.[2]

ი მ ე რ ე თ შ ი კ ი, უ ა ღ რ ე ს ა დ რ თ უ ლ ი ე კ ო ნ ო მ ი კ უ რ ი დ ა პ ო ლ ი ტ ი კ უ რ ი ვ ი თ ა რ ე ბ ი ს გ ა მ ო, ა ხ ა ლ ი მ მ ა რ თ ვ ე ლ ო ბ ა ო ფ ი ც ი ა ლ უ რ ა დ (არათუ საზეიმოდ) არც გ ა ხ ს ნ ი ლ ა. კიდევ უფრო მეტი, ასეთი მმართველობის მოწყობა ძალზე გაძნელდა და გახანგრძლივდა. იმერეთი „იმერეთის ოლქად“ გამოცხადდა და ცარიზმს სწორედ საოლქო მმართველობის შექმნა ჰქონდა ჩაფიქრებული. სახელწოდება „საოლქო მმართველობაც“ რუსეთის შიდა გუბერნიების მმართველობასთან სიახლოვეს გულისხმობდა. მაგრამ, პრაქტიკულად, ასე არ მოხდა. საქმე იმაშია, რომ ისე მოვიდა 1840 წელი—ამიერკავკასიაში ადმინისტრაციული გარდაქმნების წელი, ცარიზმმა იმერეთში საოლქო მმართველობა ვერ შემოიღო და ის საფუძვლები, რომელსაც დაემყარა იმერეთის მართვა 1814-1840 წლებში, ასეა სახელდებული — „დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა, ს ა ვ ა რ ა უ დ ო ს ა ო ლ ქ ო მ თ ა ვ რ ო ბ ი ს შ ე ქ მ ნ ა მ დ ე, ი მ ე რ ე თ ი ს დ რ ო ე ბ ი თ ი მ მ ა რ თ ვ ე ლ ო ბ ი ს შ ე ს ახ ებ“. ეს დროებითი მმართველობა კი ნაკლებად გავდა რუსულ საგუბერნიო მმართველობას

[2] საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, თბ., 1973, გვ. 827.

და იმერეთის სახელმწიფოებრივი წყობილების ბევრ ელემენტს ინარჩუნებდა.

დროებითი მმართველობის სათავეში იდგა „იმერეთის მმართველი“—მხარის სამოქალაქო და სამხედრო ხელისუფალი. სამოქალაქო საქმეებს უშუალოდ განაგებდა „იმერეთის მმართველობა“—უაღრესად შეზღუდული შტატებითა და ფუნქციებით. იმერეთში მმართველობის ექსპედიციებად დანაწილება არ შემოუღიათ.[3]

რაც შეეხება იმერეთის ადმინისტრაციულ მოწყობას, აქ აღმოსავლეთ საქართველოსაგან განსხვავებით, მაზრები და სამაზრო დაწესებულებანი არ შექმნილა. იმერეთი დაიყო ოკრუგებად,[4] რომლებსაც სათავეში უფროსები—რუსი ოფიცრები ედგნენ. ისინი ოკრუგის მასშტაბით, ერთპიროვნული მმართველები იყვნენ.[5]

საინტერესოა, მაინც, ვიცოდეთ როგორი იყო იმერეთის მმართველობა ამ პერიოდში,—წერდა ვ. ივანენკო დაახლოებით ერთი საუკუნის წინ და იქვე დასძენდა — ასეთ კითხვაზე პასუხის გაცემა ძალიან ძნელია.[6] პირველწყაროებსა და არსებულ ლიტერატურაზე დაყრდნობით, შევეცდებით აღვადგინოთ იმერეთის დროებითი მმართველობის სურათი.

1. იმერეთის ადმინისტრაციული დაყოფა 1810-1840 წლებში—თავდაპირველად, (1810 წლის აპრილი) ნავარაუდევი იყო იმერეთის ოთხ—ქუთაისის, ჩხერის, რაჭისა და ბაღდათის ოკრუგებად დაყოფა,[7] მაგრამ შემდეგ (1811 წლის აპრილი), გეოგრაფიული პირობების გათვალისწინებით, იგი ექვს ადმინისტრაციულ-ტერი-

---

[3] ზოგი ავტორი (ს. ესაძე, ა. კიკვიძე და სხვ.) თვლის, რომ იმერეთში მმართველობა სამ ექსპედიციად დაიყო. ასე იყო გათვალისწინებული პროექტებში, რაც ცხოვრებაში არ გატარებულა.

[4] ზოგი ავტორი „ოკრუგის“ ნაცვლად და მისი მნიშვნელობით ხმარობს „ოლქს“, რამდენადაც იმერეთის ყოფილ სამეფოს „იმერეთის ოლქი“ ეარქვა და საკითხი ეხება მის ადმინისტრაციულ დაყოფას, ჩვენი აზრით, ტერმინი ოკრუგი უნდა გამოვიყენოთ.

[5] ოკრუგის უფროსების შესახებ ცალკე გვექნება საუბარი.

[6] В. Иваненко, დასახ. ნაშრ., გვ. 93.

[7] Акты..., т. IV, с. 256-261.

ტორიულ ერთეულად — ქუთაისის, ვაკის, რაჭის, ჩხერის, საჩხერის და ბაღდათის ოკრუგებად დაიყო.

დროებითი მმართველობის შემოღების ახალი დებულებით (1814 წ. თებერვალი), იმერეთი ნაცვლად ექვსისა, კვლავ ოთხ მაგრამ ამჯერად — ქუთაისის, ვაკის, შორაპნისა და რაჭის ოკრუგებად დაყვეს.[8] იმერეთის ძველი (ისტორიული) და ახალი (რუსული) ადმინისტრაციული დაყოფის ურთიერთმიმართება სპეციალურადაა შესწავლილი.[9] ოკრუგების რაოდენობაში მომხდარი ცვლილებების მიზეზად, 1811-1812 წლებში იმერეთს თავსდამტყდარი სტიქიური უბედურების შედეგად, მოსახლეობის მკვეთრი შემცირებაა დასახელებული. იმერეთის ასეთი ადმინისტრაციული დაყოფა, ფაქტობრივად, ძალაში დარჩა 1846 წლამდე — ქუთაისის გუბერნიის შექმნამდე.

ქუთაისის ოკრუგის შემადგენლობაში, ზ. ცინცაძის დაკვირვებით, შევიდა ისტორიულ-გეოგრაფიული პროვინცია ოკრიბა მთლიანად, ყოფილი არგვეთის საერისთავოს მნიშვნელოვანი ნაწილი მდინარე ყვირილამდე და მდ. კაცხურამდე, ქუთაისის შემოგარენი სოფლებითურთ: ქვიტირი, მესხეთი, უკანეთი, გეგუთი, პატრიკეთი, ტყაჩირი, ქუთაისის ოკრუგს შეუერთეს, აგრეთვე, მდ. ყვირილას სამხრეთით მდებარე ყოფილი ბაღდათის ოკრუგის აღმოსავლეთი ნაწილი სოფლებითურთ: კვალითი, სვირი, დიმი, ობჩა, კიკნაველეთი, ზეგანი, ხანი, ფერსათი, ბაღდათი, როკითი და ვარციხე, ე. ი. გვიანი შუა საუკუნეების საჩხეიძეო.

ვაკის ოკრუგმა, ძირითადად, რიონის დასავლეთით მდებარე მიწა-წყალი მოიცვა. მასში შევიდა მაღლაკი, ბაში, საყულია, სამტრედია, ჯიხაიში, სამიქელაო, საჭილაო და სხვა ადგილები მდ. ცხენისწყლის გაღმით, სამეგრელოს სამთავროს საზღვრამდე, ხონი შემოგარენით, მათსოჯი, „ფიცის კაცების“ სოფლები (ქვემო იმერეთის მთაგორიანი ზოლის სოფლები მდ. რიონიდან სამეგრელოს საზღვრამდე), მდ. რიონის მარცხენა სანაპიროზე საჯავახო, საპაიჭაო, საჩინო, დვალიშვილები, საერისთო და სხვა ადგილები

---

[8] სცსსა, ფ. 1087, საქ. 228; Акты..., т. V, с. 476-477.

[9] იხ. ზ. ცინცაძე, იმერეთის გვიანი შუა საუკუნეების და XIX ს. 10-იანი წლების ტერიტორიულ-ადმინისტრაციული დაყოფა, მაცნე, ისტორიის არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია, თბ., 1988, No. 3, გვ. 119-126.

გურიისა და თურქეთის საზღვრებამდე, ე. ი. ყოფილი ბაღდათის ოკრუგის დასავლეთი ნაწილი (საჩინო-სალომინსაძეო).

შორაპნის ანუ „ზემოურის" ოკრუგი სჩხერისა და ჩხერის ოკრუგების გაერთიანების შედეგად შეიქმნა და ყოფილი არგვეთის საერისთავოს აღმოსავლეთი ნაწილი ყვირილას, ძირულას და ჩხერიმელას ხეობები მოიცვა, შემდეგი დასახლებული ადგილებით: კაცხის ნაწილი, მდ. კაცხურას გაღმა მხარეს, ქვაციხე, მღვიმე, წირქვალი, საწერეთლო, ჭალა, კორბოული, ძირიკვანი, ჭალოვანი, ბოსლევი, სვირი შემოგარენით, შროშა, შორაპანი და მდ. ყვირილას მარცხენა სანაპიროზე—სამამუკაშვილო, ჩხერი შემოგარენით, საჩიქოვანო, ბერაძეები, ლოსიათხევი და სხვა ახალციხისა და აღმოსავლეთ საქართველოს საზღვრებამდე.

რაჭის ოკრუგი ისტორიულ-გეოგრაფიულ პროვინციას — რაჭას დაემთხვა. ახალი დებულებით, მასში უნდა შესულიყო, აგრეთვე, კუდაროს ხეობის ოსური სოფლები და თავისუფალი სვანეთის თემის სოფელი უშგული.[10]

ადმინისტრაციული ერთეულების გამსხვილება მოსახლეობის შემცირებასთან ერთად, ფინანსური სიძნელეებითაც იყო გაპირობებული. გარდა ამისა, ადგილობრივი რუსული ხელისუფლება ქვეყნის მართვისათვის საჭირო მომზადებული კადრების სერიოზულ დეფიციტს განიცდიდა.

2. იმერეთის მმართველის თანამდებობა. იმერეთის მმართველები—სამეფოს გაუქმების შემდეგ შექმნილ იმერეთის ოლქს სათავეში ჩაუდგა მმართველი—რუსი სამხედრო მოხელე. ჯერ

---

[10] ზ. ცინცაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 124-126. ავტორი რაჭის ოკრუგიდან გამორიცხავს სოფელ უშგულს, რადგან, მისი აზრით, საეკვოა იმერეთის ოლქის ხელისუფლებას იმ დროისათვის თავისი ძალაუფლება გაევრცელებიოს თავისუფალი სვანეთის რომელიმე სოფელზე. საქმე იმაშია, რომ რაჭის ოკრუგის ტერიტორიის განსაზღვრით განსაკუთრებით იყვნენ დაინტერესებული ზურაბ წერეთელი და მისი ვაჟი გრიგოლი, რადგან ვარაუდობდნენ, რომ იგი მათ უშუალო მმართველობაში გადაეცემოდა. ამ თვალსაზრისით საინტერესოა გრიგოლ ზურაბის ძე წერეთლის მიერ შედგენილი იმერეთის ადმინისტრაციული მოწყობის პროექტი, რომელშიაც ყურადღებაა გამახვილებული რაჭის ოკრუგის საზღვრებზე და მის შემადგენლობაშია შეტანილი არა მარტო უშგული, არამედ ღეჩხუმის სოფელი ჭყეიშიც. 1812-1814 წლებში გრიგოლ წერეთელი რაჭის ოკრუგის უფროსი იყო. იხ. ქართულ ხელნაწერთა ინსტიტუტის გრ. წერეთლის ფონდი, საბ. No. 65, 88; შ. ბერჯანაძე, დასახ. პუბლიკაცია, გვ. 141.

კიდევ პ. ციციანოვი, რომელსაც იმედი ჰქონდა სამეფოს ლიკვიდაცია მშვიდობიანი გზით მოხდებოდა, არ გამორიცხავდა შესაძლებლობას, სოლომონ მეორე დათანხმებულიყო მეფის ტიტული იმერეთის მმართველის თანამდებობაზე გაეცვალა. მაგრამ ეს ვარაუდი არ გამართლდა. სოლომონი, საერთაშორისო სამართლის ნორმებთან სრული შესაბამისობით, ჯერ დიპლომატიური მეთოდებით, ხოლო შემდეგ იარაღით, დაბეჯითებით და ენერგიულად იცავდა მის, როგორც მეფის, უფლებებს. თვით სახლთუხუცესი, მოქნილი, მაგრამ ბეცი პოლიტიკოსი ზურაბ წერეთელი, რომელიც მსარში ედგა რუსებს მეფის წინააღმდეგ ბრძოლაში, ტახტზე ოცნებობდა და იმერეთის მმართველობაში პირველი კაცის როლს არ სჯერდებოდა.

მ მ ა რ თ ვ ე ლ ი ს თ ა ნ ა მ დ ე ბ ო ბ ა გათვალისწინებული იყო 1803-1810 წლებში პეტერბურგიდან მიღებული ინსტრუქციებით თუ მითითებებით, იმერეთში დროებითი მმართველობის შემოღების ყველა პროექტით. „იმერეთში საქართველოსაგან (აღმოსავლეთ საქართველოსაგან, გ. ვ.) დამოუკიდებლად დაწესებულია დროებითი მმართველობა,—წერდა ა. ერმოლოვი. პროვინციებში—სამეგრელო, გურია, აფხაზეთი, მთავრები სარგებლობენ ძველი უფლებებით, მაგრამ ცალკეულ შემთხვევებში ემორჩილებიან მსარის უფროსს, რომელსაც ი მ ე რ ე თ ი ს მ მ ა რ თ ვ ე ლ ი წარმოადგენს. ი მ ე რ ე თ ი ს მ მ ა რ თ ვ ე ლ ე ბ ი კ ი ინიშნებიან კ ო რ პ უ ს შ ი მ ო ს ა მ ს ა ხ ურ ე გ ე ნ ე რ ლ ე ბ ი ს გ ა ნ.[11] (ხაზგასმა ჩვენია, გ. ვ.)

რუსეთის ცარიზმი თვლიდა, რომ იმერეთის დაპყრობით მოელს დასავლეთ საქართველოში გაბატონდა. ამიტომ, მართალია, ჯერ სამთავროები გაუქმებული და იქ რუსული მმართველობა დამყარებული არ იყო, მაგრამ de facto იმერეთის მმართველის იურისდიქცია მაიზეც ვრცელდებოდა. საქართველოს მთავარმმართველი ა. ტორმასოვი 1810 წლის 9 აგვისტოს თ. სიმონოვიჩს აცნობებდა, რომ იგი დანიშნულია „ი მ ე რ ე თ ი ს, ს ა მ ე გ რ ე ლ ო ს, გ უ რ ი ი ს ა დ ა ა ფ ხ ა ზ ე თ ი ს მ მ ა რ თ ვ ე ლ ა დ“.[12] (ხაზგასმა ჩვენია, გ. ვ.)

---

[11] Е р м о л о в А., Записки..., с. 273.

[12] Акты..., т. IV, с. 324.

იმერეთის მმართველი იმავე დროს დასავლეთ საქართველოში განლაგებული ჯარების სარდალი იყო. მას ემორჩილებოდა, აგრეთვე, შავი ზღვის სანაპიროზე მდებარე, რუსეთის განკარგულებაში არსებული ყველა ციხესიმაგრე და ნავსადგური, რაც მისგან პირად ზედამხედველობას მოითხოვდა. გარდა ამისა, იგი ასრულებდა საქართველოს მთავარმმართველის საგანგებო სამხედრო, სამოქალაქო, სასაზღვრო და საიდუმლო დავალებებს. XIX საუკუნის პირველ ნახევარში, თურქეთთან დაძაბული ურთიერთობა და ომები, იმერეთის მმართველის ხელში სამხედრო და სამოქალაქო ხელისუფლების გაერთიანების აუცილებლობას იწვევდა.

საქართველოს მთავარმმართველი, ბარონი როზენი თვლიდა, რომ იმერეთს უნდა ჰყოლოდა თავისი ადგილობრივი, მმართველობისაგან დამოუკიდებელი უფროსი, რომელსაც შეეძლებოდა ამ უკანასკნელის საქმიანობა გაეკონტროლებია. გარდა ამისა, მისი აზრით, მმართველის თანამდებობა აუცილებელი იყო იმიტომაც, რომ ამიერკავკასიის მოსახლეობა, ძველი ჩვეულების მიხედვით, უფრო ხალისით მიმართავდა პიროვნებას, ვიდრე დაწესებულებას.[13]

მმართველი ერთპიროვნულად განაგებდა მისთვის ჩაბარებულ მხარეს და ანგარიშვალდებული იყო, მხოლოდ საქართველოს მთავარმმართველისა და იმპერატორის წინაშე. მას მთავარმმართველი ნიშნავდა და იმპერატორი ამტკიცებდა. ა. ერმოლოვი თავის „ჩანაწერებში" აღნიშნავდა: „1819 წელს, იმერეთში დაწყებულ აჯანყებასთან დაკავშირებით, მე წინადადება მივეცი მმართველს, გენერალ-მაიორ კურნატოვსკის, დაეტოვებია სამსახური და ამასთან ერთად, ბრძანება გავეცი გათავისუფლებული ადგილი დაეკავებია 44-ე ეგერთა პოლკის მეთაურს, პოლკ. პუზირევსკის.

პოლკ. პუზირევსკის მკვლელობის შემდეგ, იმერეთის მმართველად დაუყოვნებლივ განვაწესე 44-ე ეგერთა პოლკის პოლკოვნიკი, თავადი გორჩაკოვი.[14]

---

[13] Акты..., т. VIII, Тиф., 1881, с. 421.

[14] Ермолов А., Записки..., с. 273.

მმართველი, როგორც წესი, გენერალი ან გენერალ-მაიორი უნდა ყოფილიყო. ამ პოსტზე შეიძლებოდა პოლკოვნიკიც დაენიშნათ, მაგრამ შემდეგ მას გენერალ-მაიორის წოდებას მიანიჭებდნენ. პოლკოვნიკები იყვნენ: თ. სიმონოვიჩი, ს. მერლინი, პ. გორჩაკოვი და სხვ. გენერალ-მაიორის წოდება მათ მიიღეს იმერეთის ქმართველის თანამდებობაზე ყოფნის დროს.

იმერეთის ოლქის პირველი მმართველი იყო თ ე დ ო რ ე ფ ი ლ ი პ ე ს ძ ე ს ი მ ო ნ ო ვ ი ჩ ი (1810-1815 წწ.). ვ. პოტტოს მონაცემებით, იგი წარმოშობით ბალკანელი სლავი—სერბი იყო. სამხედრო განათლება ავსტრიაში ჰქონდა მიღებული. 1793 წელს პორუჩიკის ჩინით რუსეთის სამსახურში შევიდა.[15] მისი საკმაოდ წარმატებული სამხედრო კარიერა, კავკასიაში ცარიზმის ექსპანსიის გაფართოებასთან არის დაკავშირებული. XIX საუკუნის დასაწყისიდან, გარდაცვალებამდე (1815 წ.), აქტიურად მონაწილეობდა საქართველოს დაპყრობასა და აქ რუსული მმართველობის დამყარებაში. მას თანამშრომლობა მოუხდა საქართველოს რამდენიმე მთავარმმართველთან: გენ. კ. კნორინგთან და პ. კოვალენსკისთან (1801-1802 წწ.), პ. ციციანოვთან (1802-1806 წწ.), ი. გუდოვიჩთან (1806-1809 წწ.), ა. ტორმასოვთან (1809-1811 წწ.), ფ. პაულუჩთან (1811-1812 წწ.) და ნ. რტიშჩევთან (1812-1816 წწ.).

1801 წლის გაზაფხულზე, კავკასიის გრენადერთა პოლკი, რომელშიაც თ. სიმონოვიჩი პოდპოლკოვნიკის ჩინით მსახურობდა, საქართველოში გამოგზავნეს. ამ დროს ცარიზმი დასავლეთ საქართველოს დასაპყრობად ემზადებოდა. გრენადერთა პოლკიდან ერთი ბატალიონი გამოჰყვეს და თ. სიმონოვიჩის მეთაურობით, იმერეთის საზღვარზე განალაგეს. პოლკი დროგამოშვებით დისლოცირებული იყო სურამსა და გორში. თ. სიმონოვიჩს დაევალა თვალ-ყური ედევნებია სოლომონ მეორის საქმიანობისათვის და შეეპყრო, აღმოსავლეთ საქართველოდან, იქ რუსული მმართველობის დამყარების გამო, იმერეთში გამოქცეული ბატონიშვილები: იულონი და ფარნაოზი. 1802-1804 წლებში თ. სიმონოვიჩი ენერგიულად ებრძოდა ბატონიშვილებს და არ აძლევდა მათ საშუალე-

---

[15] ვ. პ ო ტ ტ ო, დასახ. ნაშრ., გვ. 71; მისივე, „Генерал Симанович წიგნში Кавказская война в отдельных очерках, эпизодах, легендах и биографиях, т. I, вып. III, СПб., 1898, с. 514-527. გაუგებარია რატომ წერდა პოტტო „Симанович", როცა ყველგან იხმარება „Симонович".

ბას დაკავშირებოდნენ ანტირუსულ ძალებს კავკასიაში და მოეწყოთ ამბოხება. 1804 წელს, როდესაც ქართლის მთიანეთში აჯანყება დაიწყო, ბატონიშვილები შეეცადნენ სათავეში ჩადგომოდნენ მას, მაგრამ ამბოხების დამარცხების შემდეგ, ისინი იძულებული იყვნენ იმერეთისაკენ უკუქცეულიყვნენ. 1804 წლის 29 ივნისს ქართლში, ულევის ეწერში მათ თავს დაესხა სურამის ბატალიონი თ. სიმონოვიჩის მეთაურობით. იულონ ბატონიშვილი შეიპყრეს, ფარნაოზი და ლევან იულონის ძე გაიქცნენ.

თ. სიმონოვიჩის ბატალიონი აქტიურად უტევდა, აგრეთვე, თურქეთის საფაშალიკოების სამსახურში მყოფ ლეკებს. 1802 წელს რთული ოპერაციის შედეგად, თ. სიმონოვიჩმა შეძლო ამბოხებული ოსების დამორჩილება. ამ გამარჯვებისათვის მან მიიღო მაღალი ჯილდო — წმინდა ვლადიმირის მე-3 ხარისხის ორდენი, სოლო პ. ციციანოვის მიერ განჯაზე მოწყობილ ლაშქრობაში (1804 წლის იანვარი) მონაწილეობისათვის—წმინდა გიორგის ჯვარი. შემდეგ არპაჩის ბრძოლა და ერევნის სახანოს იერიში, რომლის დროსაც თავში დაიჭრა. თ. სიმონოვიჩი გზადაგზა სხვა დავალებებსაც ასრულებდა. ასე მაგალითად, 1801 წელს მას უნდა გადაეწყვიტა დავა, რომელიც იმერეთის ყოფილი მეფის დავით გიორგის ძის ქვრივს—ანნა მათეს ასულსა და ბატონიშვილ დავით გიორგი XII ძეს შორის წარმოიშვა, ქართლში მამულების განაწილების გამო, გორში ხელმძღვანელობა გაეწია რუსული მმართველობის დამყარებისათვის, ქართლის სოფლებში გამოექვეყნებია ალექსანდრე პირველის 1801 წლის 12 სექტემბრის მანიფესტი და ადგილობრივი მოსახლეობა დაეფიცებია რუსეთის მეფის ერთგულებაზე.[16]

მაგრამ კავკასიაში თ. სიმონოვიჩის სამსახურის ყველაზე მნიშვნელოვან უბანს—„იმერეთის საკითხის" მოგვარებაში მისი აქტიური მონაწილეობა შეადგენდა, რასაც უკვე გავეცანით. მას რენეგატ ზურაბ წერეთელთან ერთად, რუსეთის ჯარების მიერ იმერეთის დაპყრობის დროს, განსაკუთრებული დამსახურებისათვის გენ.-მაიორის წოდება მიანიჭეს. ამასთან დაკავშირებით, ა. ტორმასოვი 1810 წლის 5 მაისს სამხედრო მინისტრ გენ. ბარკლაი დე-

---

[16] თ. სიმონოვიჩზე იხილეთ, Акты..., т. I, с. 244, 246-248, 250-252, 275, 285 და ა. შ.

ტოლისადმი გაგზავნილ წერილში, თ. სიმონოვიჩს ახასიათებდა, როგორც უღირსეულეს ჩინოვნიკს, რომელსაც ეს ჯილდო დამსახურებულად ეკუთვნოდა.[17] 1813 წელს თ. სიმონოვიჩი დაინიშნა საქართველოს სამოქალაქო გუბერნატორად (იგი რჩებოდა იმერეთის მმართველად). ამავე დროს, ჰქონდა სამხედრო გუბერნატორის უფლებებიც. ამ თანამდებობაზე ყოფნის დროს, მან მოსაწილეობა მიიღო ხევსურეთის აჯანყების ჩახშობაში, რისთვისაც წმინდა გიორგის მე-3 ხარისხის ორდენით დააჯილდოვეს და წარადგინეს ვენერალ-ლეიტენანტის წოდებაზე. მაგრამ მან ვეღარ მოასწრო მიეღო იგი, რადგან 1815 წლის 2 ნოემბერს მოულოდნელად გარდაიცვალა.[18]

1813 წლიდან თ. სიმონოვიჩის საქართველოს სამოქალაქო გუბერნატორად დანიშვნის შემდეგ, იმერეთს ფაქტობრივად, მართავდა დასავლეთ საქართველოში განლაგებული რუსეთის ჯარების სარდალი, პოლკ. სტანისლავ დამიანეს ძე მერლინი.[19] 1815 წელს იგი იმერეთის ოლქის მმართველად დაინიშნა.

სტ. დ. მერლინი პოლონელი აზნაური იყო. სამხედრო სამსახური დაიწყო 1798 წელს პრეობრაჟენსკის პოლკში პორუჩიკის ჩინით. 1804 წელს მიიღო პოდპოლკოვნიკობა, ხოლო 1806 წელს— პოლკოვნიკობა. 1810 წელს გადაიყვანეს ბელევსკის მუშკეტერთა პოლკის შეფად. 1816 წელს იმერეთის მმართველის პოსტზე ყოფნის დროს, მიენიჭა გენერალ-მაიორის წოდება. იმავე წელს, დაბრუნდა კავკასია და რუსეთში გადავიდა საცხოვრებლად,[20] სადაც სამხედრო სამსახური გააგრძელა.[21]

1816 წელს იმერეთის მმართველად დაინიშნა გენერალ-მაიორი ივანე დანიელის ძე ხატუნცოვი. იგი რიაზანის გუბერნიის აზნაურთა წრიდან იყო გამოსული. სამხედრო

---

[17] ვ. ჩუდინოვი, დასახ. ნაშრ., გვ. 310.

[18] თ. სიმონოვიჩი დაქორწინებული იყო ქართველი გლეხის ქალზე — ბარბარე გიორგის ასულ დედაბრიშვილზე, სოფელ ხიდისთავიდან. მან ეს ქალი ნახა გორის ბორანზე, როცა იგი თავისი რაზმით მდინარის მეორე ნაპირზე გადადიოდა.

[19] Иващенко В. Н., Гражданское управление Закавказьем (утверждение русского владычества на Кавказе, т. XII, Тиф., 1901, с 93-94.

[20] ნ. დადიანი, დასახ. ნაშრ., გვ. 206.

[21] Акты..., т. VII, с. VI.

სამსახური დაიწყო 1779 წლიდან პრეობრაჟენსკის ლეიბ-გვარდიის პოლკში პოდპრაპორშჩიკად. გენ.-მაიორის წოდება მიიღო 1799 წელს. 1811 წელს იგი განაწესეს ტროიცკის ქვეით პოლკში, ხოლო შემდეგ იმერეთის მმართველად. ამ თანამდებობაზე მან 1818 წლამდე დაჰყო.

ი. სატუნცოვი შეცვალა გენერალ-მაიორმა ივანე დანიელის ძე კურნატოვსკიმ, რომელიც ბელორუსული ულიახტური წრის წარმომადგენელი იყო. სამხედრო სამსახური დაიწყო 1776 წლიდან რიგით ჯარისკაცად. მაშინვე გამოიგზავნა კავკასიაში. 1791 წელს მონაწილეობდა ანაპის ციხის აღებაში. ამის შემდეგ, ი. კურნატოვსკის სამხედრო კარიერა სწრაფად წავიდა წინ. „იმყოფებოდა რა ხანგრძლივი დროის განმავლობაში კავკასიის ხაზზე, ა. ერმოლოვის დახასიათებით, ი. კურნატოვსკი გამოირჩეოდა მამაცობითა და საზრიანობით". ამიტომ მისი წარდგენით, იგი დაინიშნა იმერეთის მმართველად. მაგრამ მალე, 1819 წელს დასავლეთ საქართველოში დაიწყო დიდი მღელვარება და მას გაუძნელდა თავი გაერთვა შექმნილი ვითარებისათვის. ამის გამო, 1820 წელს იგი გაიწვიეს და მის ნაცვლად, იმერეთის მმართველად დანიშნეს 44-ე ეგერთა პოლკის მეთაური, პოლკ. ივანე ონოფრეს ძე პუზირევსკი. მას ა. ერმოლოვი ახასიათებდა, როგორც ენერგიულ და ყოჩაღ ოფიცერს, რომელსაც შესწევდა უნარი ჩაეხშო აჯანყება.[22]

1820 წელს ი. პუზირევსკის მკვლელობის შემდეგ, იმერეთის მმართველად გამოგზავნეს პოლკ. თავადი პეტრე დიმიტრის ძე გორჩაკოვი მე-2 (1820-1825 წწ.). იგი დაიბადა 1785 წელს, სამხედრო სამსახური დაიწყო 1807 წელს იუნკრად, იმავე წელს მიიღო პრაპორშჩიკობა არტილერიის გვარდიულ პოლკში, 1808-1809 წლებში მონაწილეობდა ფინეთის კამპანიაში, 1810-1811 წლებში—რუსეთ-თურქეთის ომში, ნაპოლეონის წინააღმდეგ ბრძოლებში, იყო 1813-1814 წლებში საზღვარგარეთ რუსეთის არმიის ლაშქრობების მონაწილე, შემდეგ გამოიგზავნა კავკასიაში. მას ამ დროს პოლკოვნიკის ჩინი ჰქონდა. იმერეთის მმართველად დაინიშნა მაშინ, როდესაც დასავლეთ საქართველოში სახალხო აჯანყება ბობოქრობდა. განსაკუთრებული სისასტიკით გამოირჩეოდა პ.

---

[22] Ермолов А., Записки..., с. 338.

ეორჩაკოვის ხელმძღვანელობით მოწყობილი ექსპედიცია რაჭაში, ორჯერ ილაშქრა აფხაზეთში. პ. გორჩაკოვს, როგორც იმერეთის მმართველს მაღალ შეფასებას აძლევდა ფრანგი კონსული ჟ. გამბა.[23] ეს გასაგებიცაა. სწორედ, პ. გორჩაკოვის იმერეთის მმართველად ყოფნის დროს, მიიღო მან „ჩალის ფასად" უზარმაზარი მამულები დასავლეთ საქართველოში. პ. გორჩაკოვს აქ მიენიჭა გენერალ-მაიორის წოდება.

პ. ეორჩაკოვი საქართველოს მთავარმმართველის ა. ერმოლოვის ერთ-ერთი უახლოესი თანამშრომელი იყო. 1826 წელს, როცა იგი პეტერბურგში გაიწვიეს, პ. გორჩაკოვმაც დატოვა კავკასია. მისი სამხედრო კარიერა წარმატებით გრძელდებოდა შემდეგაც. 1836 წელს დაინიშნა დასავლეთ ციმბირის გენერალ-გუბერნატორად და ციმბირის განსაკუთრებული კორპუსის მეთაურად. თავი გამოიჩინა ყირიმის ომის დროს (1853-1856 წწ.), გახდა სახელმწიფო საბჭოს წევრი. გარდაიცვალა 1868 წელს.[24]

საინტერესოა პ. დ. გორჩაკოვის დახასიათება, რომელიც მოცემულია ევგ. ტარლეს ფუნდამენტურ შრომაში „ყირიმის ომი". გამოჩენილი რუსი ისტორიკოსი წერდა: „...მენშიკოვის[25] კანცელარიის ყოფილი მმართველის ა. დ. კრილოვის პირად არქივში დაცულია თავად პეტრე გორჩაკოვის შემდეგი დახასიათება: „ძნელი წარმოსადგენია რა დამღუპველი გავლენა ჰქონდა ამ კაცს საომარი კამპანიის მსვლელობაზე. მეორეხარისხოვან პირთა შორის, მან ყველაზე დიდი ზიანი მიაყენა საქმეს და ძნელი ასახსნელია პიროვნებამ ასეთი თვისებებით, როგორ მიაღწია ესოდენ მაღალ წოდებამდე. ჩერჩეტი, მშიშარა, გონებაჩლუნგი, პატივმოყვარე, გულფიცხი და უაღრესად მოუსვენარი—აი მისი უარყოფითი თვისებები". ეს დახასიათება ზუსტი არაა. პეტრე დიმიტრის ძე გორჩაკოვი მშიშარა არ ყოფილა. ეს აშკარა სიცრუეა... მაგრამ საქმე სრულიადაც არაა მშიშრობაში. პეტრე გორჩაკოვი აბსოლუტურად უვარგისი იყო დამოუკიდებელი როლებისათვის... მენშიკოვმა შესანიშნავად იცოდა, რომ პეტრე გორჩაკოვი საპასუხისმგებლო პოსტებისათვის არ ვარგოდა, მაგრამ, ჯერ, ერთი გორჩაკოვისად-

---

[23] ჟ. გ ა მ ბ ა, დასახ. ნაშრ., გვ. 152-154.

[24] Военная Энциклопедия, т. VIII, СПб., 1912.

[25] ა. ს. მ ე ნ შ ი კ ო ვ ი იყო რუსეთის ჯარების მთავარსარდალი ყირიმის ომის დროს.

მი კეთილგანწყობილებას ამჟღავნებდა თვით იმპერატორი ნიკოლოზი, მეორეც, — ის იყო უფროსი ძმა დუნაის არმიის მთავარსარდლის მიხეილ დიმიტრის ძისა, რომელზედაც ძალიან ბევრი რამ იყო დამოკიდებული და რომელიც მენშიკოვს მაშველ ჯარებს უგზავნიდა. და აი, მენშიკოვს არ უყვარდა და არ ენდობოდა პეტრე ეორჩაკოვს, მაგრამ ზემოთ ჩამოთვლილი მიზეზების გამო, ხშირად ეთანხმებოდა მას".[26] ა. მენშიკოვის აზრით, პ. ეორჩაკოვი იყო «Старый суета в кардинальской шапке».[27]

იმერეთის მმართველის პოსტზე გენ. პ. გორჩაკოვის შემდეგ ვ. ი. ბებუთოვი დაინიშნა (1825-1827 წწ.). იგი მმართველის მოვალეობას 1821-1823 წლებშიც ასრულებდა.[28]

თავადი ვასილ იოსების ძე ბებუთოვი—ბებუთაშვილი დაიბადა 1789 (ან 1791) წელს თბილისში. მისი წინაპრები საქართველოს მეფეებთან მეტად დაახლოებული სახელმწიფო და სამხედრო მოღვაწეები იყვნენ. ვასილის მამა—იოსები, ერეკლე მეორისა და მისი ვაჟის — იულონის სამსახურში იყო. მას მიშკარბაშის[29] თანამდებობა ეჭირა. ერეკლე მეორის ერთ-ერთი წერილი იოსებისადმი, რომელიც 1787 წლის 6 ოქტომბრითაა დათარიღებული, ასე იწყება „...ჩვენ მაგიერად ჩვენსა იმედათ მისაჩენელს მიშკარბაშს იოსებს მოკითხვა უამბეთ", ხოლო იულონი იმავე დღეს მას წერდა: „ბატონის შვილის იულონის ჟამ ყოველ სიკეთით სახსოვარო და არიდეს არ დასავიწყარო მიშკარბაშო იოსებ, მრავალი მოკითხვა გეუწყოს."[30]

XIX საუკუნის დასაწყისში იოსებს „ნადვორნი სოვეტნიკის" ტიტული მიენიჭა და მთავარმმართველ პ. დ. ციციანოვთან (ციციშვილთან) მსახურობდა. მისი რჩევით, იოსებმა თავისი ოთხივე ვაჟი სამხედრო სამსახურში შეიყვანა. მათგან ორი, ჯერ კიდევ

---

26 Э. Тарле, Крымская война, т. II, М.-Л., 1950, с. 188-189.

27 ი ქ ვ ე, გვ. 255.

28 ქ ც ს ა, ფ. 21, საქ. 72, ფურ. 9, 10, 87.

29 სამონადირეო უწყების მაღალი მოხელე, მონადირეთუხუცესი XVIII ს-ის მეორე ნახევრის ქართლ-კახეთის სამეფოში.

30 საქართველოს სიძველენი, ტ. III, ე. თაყაიშვილის რედაქტორობით, თბ., 1910, გვ. 24, 26.

ახალგაზრდები, ბრძოლებში დაიღუპნენ, ხოლო ვასილი და დავითი რუსეთის არმიის გამოჩენილი მოღვაწეები გახდნენ.[31]

ვასილ ბებუთოვი ერთი იმ პირველი ქართველთაგანი იყო, რომელთაც სამხედრო განათლება პეტერბურგის კადეტთა კორპუსში მიიღეს.[32] მან 19 წლის ასაკში, 1809 წელს, ხერსონის გრენადერთა პოლკში პრაპორშჩიკის ჩინით, სამხედრო სამსახური დაიწყო. იმავე წელს თბილისში ჩამოვიდა, თანამშრომლობდა საქართველოს მთავარმმართველებთან—ა. ტორმასოვთან და ფ. პაულუჩთან. 1810 წლის შემოდგომაზე თან ახლდა გენ. ა. ტორმასოვს ახალციხეზე მოწყობილ ლაშქრობაში. 1812 წელს, როდესაც მარკიზი ფ. პაულუჩი კავკასიიდან გაიწვიეს, მან ვ. ბებუთოვიც წაიყვანა. 1812 წელს იგი მონაწილეობდა ფრანგების დევნაში.

1816 წელს ვ. ბებუთოვი კვლავ კავკასიაშია საქართველოს მთავარმმართველ, გენერალ ა. ერმოლოვის ადიუტანტად. 1817 წელს იგი თან ახლდა ა. ერმოლოვს სპარსეთში მისი საგანგებო ელჩობის დროს. ახალგაზრდა, ნიჭიერი ოფიცერი მალე დაწინაურდა, 1821 წელს მიენიჭა პოლკოვნიკის წოდება, 1825 წელს დაინიშნა 22-ე ქვეითი დივიზიის მე-3 ბრიგადის მეთაურად და იმერეთის მმართველად. ამ პოსტზე ვ. ბებუთოვი 1827 წლამდე დარჩა. 1828 წელს უკვე გენერალ-მაიორია და საქართველოს მთავარმმართველ, გენ. ი. პასკევიჩთან ერთად, მონაწილეობდა ახალციხის აღებაში, რისთვისაც მიიღო ოქროს ხმალი წარწერით „მამაცობისათვის“ და დაინიშნა ახალციხის ოლქის მმართველად. 1830 წელს გადაიყვანეს ერევნისა და ნახიჩევნის სახანოებისაგან ახლადშექმნილი სომხეთის ოლქის მმართველად.[33] 1843 წელს უკვე გენერალ-ლეიტენანტი, დაღესტანში მოქმედი რუსეთის ჯარების სარდალია.

1847-1853 წწ.-ში მუშაობდა ამიერკავკასიის მხარის სამმართველოს უფროსად და მთავარი სამმართველოს საბჭოს თავმჯდომარედ.

ვ. ბებუთოვმა განსაკუთრებით გამოიჩინა თავი ყირიმის ომის დროს. მისი მეთაურობით, რუსეთის ჯარებმა რამდენიმე ბრწყინ-

---

[31] გ. ა ვ ა ლ ი ა ნ ი, რუსი და ქართველი ხალხების საბრძოლო თანამეგობრობის ისტორიიდან. ქართველი მხედართმთავრები რუსეთის არმიაში, თბ., 1967, გვ. 72.

[32] გაზ. «Кавказ», 1854, 13 янв., No. 7.

[33] Акты..., т. VII, с. V.

ვალე გამარჯვება მოიპოვეს ოსმალებზე, რომელთა შორის გამოირჩეოდა ბაშკადიკლარის ბრძოლა (1853 წ. 19 ნოემბერი). ამ ბრძოლისა და ვ. ბებუთოვის გმირობის შესახებ, მრავალი ნარკვევი, სტატია და ლექსი დაიწერა. ვ. ბებუთოვის სახელი ადმირალ პ. ნახიმოვთან ერთად გახმიანდა. ევგ. ტარლე წერდა: „Нахимов, Бебутов—победы близнецы—восклицал князь П. А. Вяземский.[34]

ყირიმის ომის შემდეგ, მას მიენიჭა კავალერიის გენერლობა და საპატიო წოდება—გენერალ-ადიუტანტობა. სამსახურიდან გადადგა 1857 წელს, გარდაიცვალა 1858 წელს თბილისში. დაკრძალულია იქვე.[35]

პ. გორჩაკოვისა და ვ. ბებუთოვის დროს, იმერეთის მმართველის მოვალეობას რამდენჯერმე (1820-1821 და 1826-1827 წწ.) ასრულებდა ივანე ნიკოლოზის ძე აფხაზი (1784-1831 წწ.). ივანე აფხაზი საინტერესო პიროვნებაა. მიუხედავად იმისა, რომ იგი XIX საუკუნის I ნახევრის თვალსაჩინო მოღვაწეა, მისი ბიოგრაფია ჯერჯერობით სათანადოდ შესწავლილი არ არის.[36]

რუსეთის სამსახურში მყოფი ქართველები, განსაკუთრებით XIX საუკუნეში, როდესაც მათში ჯერ კიდევ მძლავრობდა ეროვნული ცნობიერება, გაორებული, შეიძლება ითქვას, ტრაგიკული პიროვნებები იყვნენ. რუსი გენერლის მუნდირის ქვეშ ძალუმად ძგერდა მათი ქართული გული.

---

[34] ევგ. ტარლე, დასახ. ნაშრ., ტ. I, გვ. 304.

[35] ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. II, თბ., 1977, გვ. 262.

[36] ქართულ ენციკლოპედიაში ივანე აფხაზის შესახებ. მოთავსებულია პროფ. ალ. ბენდიანიშვილის სტატია, რომლის მიხედვით, მისი მამის სახელია კონსტანტინე, ხოლო დაბადების წელი—1785. იხ. ქართ. ენც., ტ. II. თბ., 1977, გვ. 34; სხვა მონაცემებისა და წყაროების მიხედვით, კი ივანე აფხაზის მამის სახელია ნიკოლოზი. იხ. ნ. დადიანი, ქართველთ ცხოვრება, თბ., 1962, გვ. 211; გრ. ორბელიანი, დღიურები (1831-1839), თხზ. სრული კრებული, თბ., 1959, გვ. 171, 521; Военная Энциклопедия. СПб., 1911, т. I; მაქსიმე ბერძნიშვილი, მასალები XIX ს. ის I ნახევრის ქართული საზოგადოებრიობის ისტორიისათვის, ტ. I, თბ., 1980, გვ. 159-161; პლ. იოსელიანი, ცხოვრება გიორგი მეცამეტისა, თბ., 1978, გვ. 80-81.

სხვაობაა დაბადებისა და გარდაცვალების თარიღებშიც. ქართ. ენციკლ. დასახელებულია 1785-1831 წწ., მ. ბერძნიშვილთან—1784-1831, გრ. ორბელიანის თხზ. სრულ კრებულში (შენიშვნები)—1764-1832.

ერთი ასეთი ტრაგიკული პიროვნება იყო ივანე აფხაზი. ივი დაიბადა 1784 თუ 1785 წელს ქართლში. მისი მამა—ნიკოლოზი საკმაოდ კარგი მხატვარი ყოფილა. მას დიპლომატიურ სარბიელზეც უმოღვაწნია.[37]

ივანე აფხაზმა სამსედრო სამსახური დაიწყო 1800 წელს ეგერთა მე-17 პოლკში. იმავე წლის ნოემბერში, იგი მონაწილეობდა ავარიის მფლობელის ომარ-ხანის წინააღმდეგ ბრძოლაში, რომელიც დაღესტნელთა სრული განადგურებით დამთავრდა. 1803 წელს მიიღო პოდპორუჩიკის ჩინი. განსაკუთრებით თავი გამოიჩინა ლენქორანის გარემოცვის დროს 1813 წელს. 1820-1827 წლებში ივანე აფხაზი დასავლეთ საქართველოშია და აქტიურად მონაწილეობდა აქ ცარიზმის დაპყრობითი პოლიტიკის გატარებაში. აქვე დაქორწინდა იგი იმერეთის სარდლის—ქაიხოსრო წერეთლის ქალიშვილზე—სალომეზე. 1820 წლის აპრილში ი. აფხაზი დაინიშნა ეგერთა 44-ე პოლკის სარდლად, რომელსაც მანამდე ი. პუზირევსკი მეთაურობდა. იმერეთში მიიღო მან პოდპოლკოვნიკისა და პოლკოვნიკის წოდებანი. 1820-1821 წლებში იგი რამდენჯერმე ასრულებდა იმერეთის მმართველის მოვალეობას. 1821 წლის 8 იანვარს, მას, როგორც იმერეთის მმართველს, ოფიციალური პროტესტით მიმართა გურიის მთავარმა. გურიელი პროტესტს აცხადებდა იმასთან დაკავშირებით, რომ კავკასიის მთავარმმართველის ა. ერმოლოვის განკარგულებით, აჯანყებაში მონაწილეთა ყმა და მამული მეფის რუსეთის საკუთრებად გამოცხადდა, რაც გურიის სამთავროს ავტონომიური უფლების ხელყოფას წარმოადგენდა.[38]

1826 წლის თებერვალში იმერეთის მმართველმა ვ. ბებუთოვმა თბილისში მივლინებასთან დაკავშირებით, თავისი მოვალეობის შესრულება მიანდო პოლკ. ივანე აფხაზს. იგი ამ პოსტზე ჩანს 1827 წლის იანვარშიც.[39]

---

[37] პ ლ. ი ო ს ე ლ ი ა ნ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 80-81; მ. ბერძნიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 162-163.

[38] ქ. ჩ ხ ა ტ ა რ ა ი შ ვ ი ლ ი, გურიის სამთავროს შეერთება რუსეთთან, თბ., 1985. გვ. 74.

[39] ქ ცს ა, ფ. 21, აღწ. 1, წიგნი I, საქ. 286; იქვე, ფ. 175, საქ. 53, ფურ. 31, 38.

1827 წელს ივანე აფხაზი დაინიშნა აზერბაიჯანის პროვინციების (ყარაბაღი, ნუხა, შირვანი) მმართველად. აქ მან თავი გამოიჩინა, როგორც ნიჭიერმა ადმინისტრატორმა. ამის შემდეგ, იგი ჩრდილოეთ კავკასიაშია. ერთხანს იყო ვლადიკავკაზის კომენდანტი. 1831 წელს პოლონეთში ავჯანყების დროს, გრაფ პასკევიჩის გაწვევით, გაემგზავრა მოქმედ არმიაში და იმავე წლის შემოდგომაზე ქ. ბრესტ-ლიტოვსკში ქოლერისაგან გარდაიცვალა[40]

1827-1831 წლებში იმერეთის მმართველი იყო გენერალ-მაიორი კარლ თედორეს ძე გესსე მე-2. იგი დაიბადა ლიფლანდიის გუბერნიაში. რუსეთის არმიაში სამსახური დაიწყო 1792 წელს იმით, რომ დაინიშნა ვიბორგის გარნიზონში პოდპრაპორშჩიკად. 1804 წელს გადაიყვანეს რიაზანის ქვეითთა პოლკში პრაპორშჩიკად. 1805-1809 წლებში მონაწილეობდა ნაპოლეონის წინააღმდეგ მიმართულ ბრძოლებში პრეისიშ-ეილაუსთან და ფრიდლანდთან. 1808 წელს ფინეთში—სვეაბორგის ალყასა და აღებაში, 1809 წელს—შვეციის კამპანიაში, მიიღო ოქროს ხმალი წარწერით „მამაცობისათვის", იმავე წელს დაინიშნა გენ. კამენსკის ადიუტანტად. 1810 წელს მონაწილეობა მიიღო რუსეთ-თურქეთის ომში, კონკრეტულად, სილისტრიის ბლოკადაში, შუმლასთან ბრძოლაში, რუშჩუკის და ნიკოპოლის აღებაში.

1811 წელს კ. გესსე გადაიყვანეს შლისემბურგის ქვეითთა პოლკში. 1812 წელს ებრძოდა ფრანგებს და მისდია მათ ვილნომდე, 1815 წელს მიიღო პოლკოვნიკობა. 1820 წელს დაინიშნა 38-ე ეგერთა პოლკის მეთაურად. 1826 წელს მიენიჭა გენ.-მაიორის წოდება, 1827 წელს გადაიყვანეს მე-3 ბრიგადის 22-ე ქვეითთა დივიზიის მეთაურად. ეს დივიზია იმერეთში იყო განლაგებული და ამიტომ მას დაევალა იმერეთის ოლქის მართვა.

1828-1829 წლების რუსეთ-თურქეთის ომის დროს, კ. გესსე თავი გამოიჩინა ფოთის, მუხაესტატესა და ციხისძირთან ბრძოლებში.

კ. გესსეს იმერეთის მმართველად ყოფნის დროს, დროებითი მმართველობის საქმიანობის რევიზია ჩაატარა სენატორმა. გრაფმა პ. ი. კუტაისოვმა.[41] იმერეთში არსებული მდგომარეობით უკ-

---

[40] პ. ი ო ს ე ლ ი ა ნ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 81.

[41] ს ცს ს ა, ფ. 2, აღწ. 1, საქ. 3354. დროებითი მმართველობის რევიზიის შესახებ, საუბარი ქვემოთ გვექნება.

მაყოფილო სენატორმა მმართველის გადაყენება მოითხოვა. კ. გესსე მართლაც გადააყენეს, მაგრამ ამით მისი კარიერა არ შეფერხებულა. მას 1835 წელს მიენიჭა გენერალ-ლეიტენანტის წოდება და დაჯილდოვდა წმ. ანნას I ხარისხის ორდენით.[42]

1831-1834 წლებში იმერეთის მმართველი იყო **გენერალ-მაიორი პეტრე პავლეს ძე ვაკულსკი**, აზნაური ლიტვის გუბერნიიდან. იგი აღიზარდა პეტერბურგის მეორე კადეტთა კორპუსში. 1809 წელს მიიღო პრაპორშჩიკობა კრესადერთა არაკჩეევის პოლკში. 1811 წელს პორუჩიკის ჩინით დაინიშნა მარკიზ ფ. პაულუჩის ადიუტანტად და მასთან ერთად ჩამოვიდა საქართველოში. 1812 წელს მონაწილეობდა კახეთის აჯანყების ჩახშობაში, ხოლო შემდეგ, ფრანგი მარშლის—მაკდონალდის ჯარებს ებრძოდა კურლანდიაში. 1813 წელს გადაიყვანეს პრეობრაჟენსკის პოლკში. 1817 წელს კაპიტნის ჩინით, ქ. რიგაში დაინიშნა პლაც-მაიორად. 1819 წელს მიიღო პოლკოვნიკობა, 1830 წელს—გენერალ-მაიორობა და 22-ე ქვეითი დივიზიის მე-3 ბრიგადის მეთაურობა. 1831 წელს კვლავ ჩამოვიდა საქართველოში და იმერეთის მმართველად დაინიშნა.[43]

გენ.-მაიორი პ. ვაკულსკი შეცვალა **გენერალ-მაიორმა დიმიტრი დიმიტრის ძე ახლესტიშევმა** (1834-1837 წწ.). იგი აზნაური იყო მოსკოვის გუბერნიიდან. სამხედრო სამსახური დაიწყო 1812 წელს 39-ე ეგერთა პოლკში იუნკრად, იმავე წელს ბრძოლაში თავის გამოჩენისათვის მიიღო პრაპორშჩიკობა. 1813-1814 წლებში მონაწილეობდა რუსეთის არმიის საზღვარგარეთულ ლაშქრობებში. ლეიპციგის ბრძოლაში მამაცობისათვის მიიღო წმ. ვლადიმირის მე-4 ხარისხის ორდენი. ბრიენ-დე-შატოსთან ტყვედ ჩავარდნა, საიდანაც 1814 წლის აპრილში დაბრუნდა. 1823 წელს მიიღო პოლკოვნიკობა და მოსკოვის პოლკში გადაიყვანეს. 1825 წელს რეველის პოლკი ჩააბარეს, იმავე წელს დაითხოვეს სამსახურიდან. 1827 წლიდან კვლავ სამხედრო სარბიელზეა და მონაწილეობს რუსეთ-თურქეთის 1828-1829 წლების ომში, 1831 წელს პოლონეთის აჯანყების წინააღმდეგ იბრძვის. 1833 წელს მიიღო გენ.-მაიორის წოდება და გაიგზავნა კავკასიის

---

[42] Акты..., т. VII, т. VIII, с. XII.

[43] Акты..., т. VIII, с. 425.

განსაკუთრებული კორპუსის განკარგულებაში. 1833-1834 წლებში თავმჯდომარეობდა სამხედრო სასამართლოს, რომელიც 1832 წლის შეთქმულების მონაწილეთა საქმეს განიხილავდა.[44] 1834 წელს დაინიშნა „იმერეთის, სამეგრელოს, გურიისა და აფხაზეთის მმართველად" და ამ თანამდებობაზე დარჩა 1837 წლის თებერვლამდე.[45]. დასავლეთ საქართველოში ყოფნის დროს, 1834-1835 წლებში ორჯერ მოაწყო სამხედრო ექსპედიცია აფხაზეთში. 1838 წელს დაინიშნა საქართველოს სამოქალაქო გუბერნატორის მოვალეობის შემსრულებლად.[46]

იმერეთის უკანასკნელი მმართველი იყო გენერალ-მაიორი აკიმ მიხეილის ძე ესპეხო-I (1837-1840 წწ.). იგი დაიბადა 1792 წელს ესპანეთის პროვინცია გრენადაში. თავდაპირველად, ესპანეთის სამსახურში იმყოფებოდა, ხოლო 1818 წლის 23 იანვარს შტაბს-კაპიტნის ჩინით, რუსეთში გადავიდა. იგი ჩარიცხეს ინჟინერიის კორპუსში პორუჩიკად და მუშაობდა გენერალ-ლეიტენანტ ბეტანკურთან, რომელიც ნიჟნი ნოვგოროდში იარმარკის მოწყობის სამუშაოებს ხელმძღვანელობდა.

ა. ესპეხოს 1819 წლის 7 აპრილს კაპიტნის, ხოლო 4 დეკემბერს—მაიორის ჩინი უბოძეს. 1820 წლის 14 ოქტომბერს კი გადაიყვანეს საგანგებო დავალებათა მთავარ სამმართველოში. 1823 წლის 28 ივნისს ა. ესპეხოს მიანიჭეს პოდპოლკოვნიკის ჩინი და გაგზავნეს მოქმედ რაზმში სპარსელების წინააღმდეგ, სადაც ასრულებდა ობერ-კვარტირმაისტერის მოვალეობას. მან მონაწილეობა მიიღო კაიგაჩისა და ნაზანის ბრძოლებში, ქალაქების—მარანდისა და თავრიზის აღებაში, რისთვისაც წმ. ანნას მე-2 ხარისხის ორდენით დააჯილდოვეს. საომარი მოქმედების დროს, მის მთავარ მოვალეობას შეადგენდა სამხედრო დანიშნულების გზების გაყვანა და დაცვითი შენობების აგება. ა. ესპეხო მონაწილეობდა საომარ ოპერაციებში რუსეთ-ირანის 1826-1828 და რუსეთ-თურქეთის 1828-1829 წლების ომების დროს. მან თავისი წვლილი შეიტანა თურქმანჩაის ტრაქტატის დადებაში, რისთვისაც სპარსე-

---

[44] დიმიტრი ყიფიანი, მემუარები, თბ., 1900. გვ. 151; ვ. გოზალიშვილი, 1832 წლის შეთქმულება, ტ. I, თბ., 1935, გვ. 121.

[45] სცსსა, ფ, 2, აღწ. 1, საქ. 4577, ფურ. 261.

[46] Акты..., т. VIII, с. 425.

თის ტახტის მემკვიდრემ აბას-მირზამ მას ლომისა და მზის ორდენი უწყალობა. 1833 წლის 10 ოქტომბერს ა. ესპეხო შეყვანილ იქნა თბილისის საგუბერნიო საამშენებლო კომისიაში. 1837 წელს მონაწილეობდა რუსეთის ჯარების მიერ წებელდისა და ადლერის დამორჩილებაში.

1837 წლის 10 მარტს გენ.-მაიორი აკ. ესპეხო-I იმერეთის მმართველად დაინიშნა, იმავე წლის ნოემბერში გადაიყვანეს გენერალურ შტაბში, მმართველის თანამდებობის შენარჩუნებით.[47]

1837 წელს მასთან კანცელარიაში მუშაობდა გამოჩენილი ქართველი საზოგადო მოღვაწე და პუბლიცისტი დიმიტრი ყიფიანი: „...ამ დროს (1837 წ., გ. ვ.) ქუთაისში იყო მმართველად იმერეთისა, სამეგრელოსი, გურიისა, აფხაზეთის და სვანეთისა, გენ. სვ. მიხ. ესპეხო,[48] ჩამომავლობით ესპანელი, რუსულად ძლივს ლაპარაკობდა, მხოლოდ ხელის მოწერა იცოდა და რუსულად ქაღალდის შედგენის საქმეში სრული სიბნელით იყო მოცული.

რუსულ ენაში, როგორც ვთქვით, ძალიან სუსტი იყო, მაგრამ, როგორც ევროპულად განათლებულმა, თავისი სამშობლო ენის გარდა, კარგად იცოდა ფრანგული ენა.[49] ამის გამო, დიმიტრი ყიფიანის ხელში აღმოჩნდა „არა მარტო საქმის წარმოება, არამედ გამგებლობაც,—წერდა არჩილ ჯორჯაძე, რადგან გენ. ესპეხო რაკი დარწმუნდა, რომ ჭკვიანი და მოხერხებული თანამშრომელი ჰყავდა, ანიჭებდა მას მოქმედების სრულ თავისუფლებას".[50]

1840 წლის 10 აპრილის დებულების საფუძველზე გატარებული ადმინისტრაციული რეფორმის შემდეგ, იმერეთის მმართველის თანამდებობა გაუქმდა. გენ. ა. ესპეხო პირველი გენერალური

---

[47] Русский Биографический Словарь, под ред. А. А. Половцова, СПб., 1903, с. 288-289.

[48] დ. ყ ი ფ ი ა ნ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 26. დ. ყიფიანის მიხედვით, ესპეხოს სეიმონი ერქვა. დოკუმენტებში მისი სახელია აკიმი. იხ. ქსცა, ფ. 175, აღწ. 1, საქ. 22. ფურცელ 23; Русский Биографический словарь., СПБ., 1903, с. 288-289; გ. ვაჭრიძე, იმერეთის მმართველი გრენადიდან, გაზ. „ახალი ქუთაისი", 1998. 18.09, No. 75-76, გვ. 6.

[49] დ. ყ ი ფ ი ა ნ ი, დასახ. ნაშრ.

[50] ა რ ჩ ი ლ ჯ ო რ ჯ ა ძ ე, დიმიტრი ყიფიანი, წიგნში—„წერილები", თბ., 1989, გვ. 411-412.

შტაბის დეპარტამენტში ვადაიყვანეს, ხოლო 1847 წელს ქუთაისის გუბერნატორად დანიშნეს. ქუთაისელი მოღვაწის ისააკ პურადაშვილის ცნობით, იგი 1848 წელს ქუთაისში გარდაიცვალა.[51]

1810-1840 წლებში იმერეთის მმართველები იყვნენ:[52]

1810-1815 წლებში — გენ.-მაიორი თედორე ფილიპეს ძე სიმონოვიჩი
1815-1816 წწ. — პოლკ. სტანისლავ დამიანეს ძე მერლინი
1816-1818 წწ. — გენ.-მაიორი ივანე დანიელის ძე სატუნცოვი
1818-1820 წწ. — გენ.-მაიორი ივანე დანიელის ძე კურნატოვსკი
1820 წ. — პოლკ. ივანე ონოფრეს ძე პუზირევსკი
1820-1825 წწ. — გენ.-მაიორი, თავადი პეტრე დიმიტრის ძე გორჩაკოვი-2
1825-1827 წწ. — ინფანტერიის გენერალი ვასილ იოსების ძე ბებუთოვი (ბებუთაშვილი)
1827-1831 წწ. — გენ.-მაიორი კარლ თედორეს ძე გესსე-2
1831-1834 წწ. — გენ.-მაიორი პეტრე პავლეს ძე ვაკულსკი
1834-1837 წწ. — გენ.-მაიორი დიმიტრი დიმიტრის ძე ახლესტიშევი.
1837-1840 წწ. — გენ.-მაიორი აკიმ მიხეილის ძე ესპეხო-1.

იმერეთის მმართველი, როგორც პირველი სამხედრო პირი დასავლეთ საქართველოში, რთული პოლიტიკური და საერთაშორისო ვითარების გამო, ხშირად სამოქალაქო საქმეებისათვის ვერ იცლიდა. საჭირო ხდებოდა დროგამოშვებით მისი შეცვლა. ჩვენს ხელთ არსებული მასალების მიხედვით, იმერეთის მმართველის

---

51 ივანე პურადაშვილი, მოგონებები, ქუთაისის მუზეუმი.... ხელნაწერთა ფონდი, ხელნაწერი No. 595; ისააკ პურადაშვილი, მოგონებები. ჟურნ. „განთიადი", 1997, No. 7-8, გვ. 116.

52 შედგენილია: ს ც ს ს ა, ფ. 2, აღწ. 1, საქ. 255, 3337. 3354. 3357. 3721, 3976, 4205, 4577, 4989; ფ. 488, აღწ. 1, საქ. 357, 2962; ქ ც ს ა, ფ. 175; ფ. 21 და ფ. 26, საქართველოს კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტის წერეთლების ფონდში დაცული ცნობების მიხედვით.

მოვალეობას სხვადასხვა დროს ასრულებდნენ: პოლკ. სტეფანე ვასილის ძე ეიხარევი (1835-1836 წწ.), გენერალ მაიორი ანდრეი გრიგოლის ძე პაცოვსკი (1835-1836)[53], პოლკ. გორაჩკო (1837 წ.), პოლკ. კრაკოვსკი (1839 წ.), პოდპოლკოვნიკი ალექსი მიხეილის ძე ჩერნიკოვი (1839 წ.) და სხვ.

იმერეთის მმართველებიდან ეროვნების მიხედვით: 2—იყო ქართველი (ვ. ბებუთოვი—ბებუთაშვილი, ი. აფხაზი), 3—რუსი (პ. გორჩაკოვი, ი. პუზირევსკი, დ. ახლესტიშევი), 1—ბელორუსი (ი. კურნატოვსკი), 1—პოლონელი (სტ. მერლინი), 1—უკრაინელი (გორაჩკო), 4—ბალტიისპირელი (კ. გესსე, პ. ვაკულსკი, ა. პაცოვსკი, კრაკოვსკი), 1—ესპანელი (აკ. ესპეხო) და სხვ.

იმერეთის მმართველთა ბიოგრაფიებიდან ჩანს, რომ არცერთ მათგანს სამოქალაქო დაწესებულებათა ხელმძღვანელობის არავითარი გამოცდილება არ ჰქონდა, მათი აბსოლუტური უმრავლესობა არ იცნობდა ან ცუდად იცნობდა საქართველოს, ქართველ ხალხს, მის ისტორიას, კულტურას, ზნე-ჩვეულებებსა და ტრადიციებს. ზოგიერთს დასავლეთ საქართველოში, იმერეთში სამსახური ტახტისადმი ერთგულების დასამტკიცებელ უსიამოვალდებულებად მიაჩნდა.

3. იმერეთის მმართველის კანცელარია—იმერეთის რუსულ ადმინისტრაციაში მნიშვნელოვან როლს ასრულებდა მმართველის კანცელარია. ჩვენი აზრით, აქ შემუშავდა დროებითი მმართველობის შემოღების პროექტი, რომლის ავტორი თ. სიმონოვიჩი იყო, განისაზღვრა რუსული ხელისუფლების საშტატო განრიგი (წლიური ხელფასის მითითებით) და დაკომპლექტდა მისი

---

[53] ა. გ. პაცოვსკი აზნაური იყო ვილნოს გუბერნიის ტროიცკის შაზრიდან. აღიზარდა ვილნოს შლიახტურ სამხედრო სასწავლებელში, საიდანაც 1809 წელს ხერსონის გრენადერთა პოლკში განაწესეს. 1823 წელს ასრულებდა თბილისის კომენდანტის მოვალეობა. 1828 წელს პოდპოლკოვნიკის ჩინით, დაინიშნა 44-ე გრენადერთა პოლკის მეთაურად, 1829 წლიდან—პოლკოვნიკია. 1834 წელს დაინიშნა აფხაზეთში მოქმედი ჯარების სარდლად. 1835 წელს მიენიჭა გენერალ-მაიორის წოდება, რამდენჯერმე ასრულებდა იმერეთის მმართველის მოვალეობას. 1837 წელს დაინიშნა ახალციხის მმართველად.

ქართული ნაწილი. ეს საინტერესო დოკუმენტები მთავარმმართველს გაეგზავნა დასამტკიცებლად 1810 წლის 30 აპრილს. იმერეთის ახალი მთავრობის პირველი შემადგენლობა ასე იყო წარმოდგენილი:

1. სახლთუხუცესი და დივანის უფროსი
— პოლკ. ზურაბ წერეთელი 1000 მან. ვერცხლით
2. პროკურორის თანამდებობაზე
— თავადი ელიზბარ ერისთავი 500 მან.

მდივანბეგები		
	თავადები	
3.	ვახუშტი ჩიჯავაძე	400 მან.
4.	ანტონ ერისთავი	400 მან.
5.	ზურაბ მაჩაბელი	400 მან.
6.	სეხნია წულუკიძე	400 მან.

7. დივანის შემადგენლობა
— თავადი დავით წულუკიძე 100 მან.

	აზნაურები	
8.	როსტომ ლორთქიფანიძე	100 მან.
9.	სიმონ ამირეჯიბი	100 მან.
10.	ანანია ჭოღოშვილი	100 მან.

11. ბოქაულთუხუცესი — თავადი
ვახუშტი წერეთელი 400 მან.
12. მეღვინეთუხუცესი — აზნაური
ლევან იოსელიანი 400 მან.
13. ხაბაზთუხუცესი — თავადი
კაცია ნიჟარაძე 400 მან.
14. ხევისთავი — თავადები —
ლევან წულუკიძე 400 მან.
15. ბესო ბარათაშვილი 400 მან.
16. რუსი მდივანი 400 მან.
17. რუსი ხაზინადარის მოვალეობის
შემსრულებელი 300 მან.
18. რუსი მწერლები 100-100 მან.

19. თარჯიმანი ქართული და რუსული
საქმეების სათარგმნად 250 მან.
20. ქართველი თარჯიმანი—აზნაური ივანე მურვანოვი 150 მან.
21. თარჯიმანი, რომელმაც იცის ქართული, თათრული და
არაბული წერა და კითხვა
— აზნაური ანანია ჭოღოშვილი 100 მან.

ოლქის ოკრუგებში

22. I. ქუთაისის ოკრუგის უფროსი 500 მან.
მისი თანაშემწეები } თავადები
23. } ილია ლორთქიფანიძე 500 მან.
24. } ქაიხოსრო აბაშიძე 500 მან.
25. თარჯიმანი 90 მან.
26. ორი მწერალი } ქართველი 90 მან.
27. } რუსი 90 მან.
28. რაჭის ოკრუგის უფროსი 400 მან.
29. მისი თანაშემწეები— } აზნაური მანუჩარ ყიფიანი 400 მან.
30. } თავადი დავით ჯაფარიძე 400 მან.
31. თარჯიმანი 90 მან.
32. მწერალი } ქართველი 90 მან.
33. } რუსი 90 მან.
34. ჩხერის ოკრუგის უფროსი 400 მან.
35. მისი თანაშემწეები — თავადი როსტომ აბაშიძე 400 მან.
36. აზნაური ხოსია კიკნაძე 400 მან.
37. თარჯიმანი 90 მან.
38. ორი მწერალი } ქართველი 90 მან.
39. } რუსი 90 მან.
40. ბაღდათის ოკრუგის უფროსი 400 მან.
41. მისი თანაშემწეები — } თავადი ბეჟან ჩხეიძე 400 მან.
42. } თავადი დიმიტრი ერისთავი 400 მან.
43. თარჯიმანი 90 მან.

44. ორი მწერალი	ქართველი	90 მან.
	რუსი	90 მან.
		სულ: 7810 მან.[54]

იმერეთში დაწყებულმა სახალხო მოძრაობამ, როგორც უკვე აღინიშნა, შეუძლებელი გახადა ამ მთავრობის ჩამოყალიბება, დამთავრებულიყო და ფუნქციონირებას შედგომოდა. ჩანს, თავდაპირველად, გათვალისწინებული იყო მასში იმერეთის თავადაზნაურობის წარმომადგენელთა ფართო მონაწილეობა. მაგრამ შექმნილმა ვითარებამ ცარიზმი აიძულა ფრთხილად ემოქმედა და დროებით მმართველობაში მხოლოდ ყველაზე სანდო და მისადმი ერთგული პირები მოეწვია. ა. ტორმასოვი 1810 წლის 10 ივნისს თ. სიმონოვიჩს წერდა: „...თუ მმართველობაში თანამდებობის დასაკავებლად წარმოდგენილი პირებიდან რომელიმე არასაიმედო აღმოჩნდება, ნებას გაძლევთ შეცვალოთ ისინი, თქვენი შეხედულებისამებრ და ცვლილებები წარმოადგინოთ დასამტკიცებლად".[55]

მმართველის კანცელარიის შესახებ სტ. მერლინი მთავარმმართველისადმი 1816 წელს გაგზავნილ ერთ-ერთ რაპორტში აღნიშნავდა: „...ვიდრე იმერეთში, შესაბამისი კანონების საფუძველზე, მმართველობა გაიხსნებოდეს, მიმოწერა იწარმოებს ჩ ე მ ი კ ა ნ ც ე ლ ა რ ი ი ს საშუალებით. რაც შეეხება მდივანბეგებს, მე მათ ვიწვევ რჩევისათვის ადგილობრივი კანონების, ადათ-წესების, გადასახადების და გლეხთა ვალდებულებების შესახებ ცნობების მისაღებად, მეფის სიგელების გასარჩევად და ა. შ. ყ ვ ე ლ ა ს ა ქ მ ე ს თ ვ ი თ ო ნ გ ა ნ ვ ი ხ ი ლ ა ვ და გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ებ ა ს ა ც თ ვ ი თ ო ნ ვ ე ვ ი ღ ებ ყ ო ვ ე ლ გ ვ ა რ ი ს ხ დ ო მ ებ ი ს გ ა რ ე შ ე რ ო მ ე ლ ი მ ე ს ა გ ა ნ გ ი ო ს ი, მ ა თ ი, ა რ ა რ ს ებ ო ბ ი ს გ ა მ ო.[56] (ხაზგასმა ჩვენია, გ. ვ.).

რადგან იმერეთის მმართველი, როგორც ითქვა, ერთპიროვნულად განაგებდა მხარეს, იგი რუსული კანონების მისედვით, სამოქალაქო და სამხედრო გუბერნატორის მოვალეობებს აერთია-

[54] ს ც ს ს ა, ფ. 2, აღწ. 1, საქ. 255, ფურ. 28-29.

[55] Акты..., т. IV, с. 295.

[56] Акты..., т. IV, с. 487-488.

ნებდა. ოლქის მართვის სამოქალაქო ნაწილში მმართველი აღ-მასრულებელ ხელისუფლებას განახორციელებდა, ხოლო სასა-მართლო დარგში—უმაღლეს ინსტანციას წარმოადგენდა. მასთან შემოდიოდა ყველა საქმე აპელაციისათვის, როგორც იმერეთის, ასევე გურიის დროებითი მმართველობიდან, აგრეთვე, ისეთი საქმეები, რომელთა საბოლოო განხილვა საგუბერნიო დაწესე-ბულებათა—საგუბერნიო მმართველობის ანდა სამოქალაქო გუ-ბერნატორის უფლებამოსილებას შეადგენდა. მმართველს მასალები ეგზავნებოდა ქუთაისის სამხედრო-სასამართლო კომისიიდანაც. ყველაფერი ეს თავს იყრიდა კ ა ნ ც ე ლ ა რ ი ა შ ი. იქ ყოველ-თვის დიდი რაოდენობით იყო დაგროვილი როგორც განხილული და გადაწყვეტილი, ასევე განსახილველი საქმეები. თითოეული მაიორანი სათანადო პასუხსა და რეაგირებას მოითხოვდა. ამას კი, კანცელარიის მუშაკთა გაცილებით მეტი რაოდენობა სჭირდებო-და, ვიდრე მას ჰყავდა. 1810 წელს შედგენილი საშტატო გან-რიგით, მმართველის კანცელარიისათვის გათვალისწინებული იყო—ერთი მდივანი (400 მან. ვერცხლით წლიური ხელფასი), ერთი თარჯიმანი (250 მან. წლიური ხელფასით) და 500 მანეთი—სხვა მუშაკთა ხელფასისა და ხარჯებისათვის.[57] წლების მანძილზე ამ განრიგში რაიმე არსებითი ცვლილებები არ მომხდარა.

მმართველის კანცელარიაში შემოსულ საქმეთა რაოდენობა იზრდებოდა, საქმისწარმოება სულ უფრო რთულდებოდა. აქ იწე-რებოდა სხვადასხვა სახის რაპორტები, ანგარიშები, მოხსენები-თი ბარათები, განკარგულებები, გადაწყვეტილებები შემოსულ საქმეებზე და სხვ. ამ სამუშაოს შესრულებას კანცელარია, შეზ-ღუდული შტატით, უკვე თავს ვეღარ ართმევდა.

დ. ახლესტიშევმა მუშაობის გაუმჯობესების მიზნით, კანცელა-რია ორ ნაწილად გაყო და თითოეულ მათგანს სათავეში ჩაუყენა სტოლნაჩალნიკი. ამისათვის მან ერთი ჩინოვნიკი იმერეთის მმართველობიდან გადმოიყვანა, ხოლო ერთი ოფიცერი—სამხედ-რო ნაწილიდან.[58].

მმართველის კანცელარიაში, ხსევე, როგორც მმართველობა-ში, საქმის განხილვა და გადაწყვეტა ჭიანურდებოდა არა მარტო

---

[57] ს ც ს ს ა. ფ. 2. აღწ. 1, საქ. 255, ფურ. 100.

[58] ი ქ ე ე, საქ. 6225, ფურ. 36-52.

შტატების სიმცირის, არამედ იქ დამკვიდრებული ანგარებისა და მექრთამეობის გამო. მმართველის კანცელარიის მდივანი რადჩენკო თანამდებობის ბოროტად გამოყენებისათვის, სენატორ პ. კუტაისოვის განკარგულებით გადააყენეს და პასუხისგებაში მისცეს. იგი შეცვალა ჯერ კოლეგიის ასესორმა იარცოვმა, ხოლო შემდეგ კოლეგიის ასესორმა ზენიაკოვსკიმ და გუბერნსკი რეგისტრატორმა ტირუტიმ.

20-იან წლებში მმართველის კანცელარიაში მწერლებად მუშაობდნენ: ტიმოფეევი, მილკოვი, პოპოვი, ფედოროვი, ვისაგრადოვი, პანოვი და სხვ.[59]

გენ.-მაიორი აკ. ესპეხოს მდივანი დიმიტრი ყიფიანი ასე აღწერდა მმართველის კანცელარიას: „რუსული უშუალო გამგებლობა შემოღებული იყო: იმერეთში 1810 წელს და გურიაში 1829 წელს. დანარჩენი ნაწილნი კი: სამეგრელო, აფხაზეთი და სვანეთი, რომელთაც საკუთარი მთავრები ჰყავდათ, ექვემდებარებოდნენ რუსული გამგებლობის ზერელედ ზედამხედველობას. მასთან სვანეთი იყოფოდა სამ ნაწილად, რომელთა შორის ერთი ეკუთვნოდა სამეგრელოს მთავარს, მეორე თავად დადეშქელიანს და მესამე კი, ე. წ. თავისუფალი, აღიარებდა ერთადერთ თამარ მეფის უფლებას, რომელიც მეფობდა საქართველოში მეთორმეტე საუკუნის დამლევსა და მეცამეტის დასაწყისში, სრულიად განცალკევებული იყო ძნელად მისავალ მთებთა შორის და არა ჰქონდა არავითარი კავშირი არც დასახელებულ მთავრებთან, არც რუსულ მმართველობასთან.

იმ ნაწილებში, სადაც რუსეთი უშუალოდ განაგებდა, იყო: ა) 4 საოლქო მმართველობა: შორაპნისა, რაჭისა, ქუთაისის და ვაკისა. ბ) იმერეთის ერთი დროებითი მმართველობა ორნაირი ხასიათისა—ფინანსიურისა და სამოქალაქო საქმეების სასამართლოსი.

გურიაში აგრეთვე დროებითი გურიის მართველობა, საადმინისტრაციო და სამოქალაქო სასამართლოს ხასიათით.

სისხლის სამართლის საქმეები ირჩეოდნენ სამხედრო სამსჯავრო კომისიის მიერ, ქუთაისში.

---

[59] ს ც ს ს ა, ფ. 2, აღწ. 1, საქ. 1007, ფურ. 5-6.

ყველა ამ დაწესებულებათა უფროსი იყო მმართველი იმერეთისა და სხვათა თავისი კანცელარიით.

კანცელარიაში იყრიდა თავს საადმინისტრაციო ყველა საქმე და შემდეგ მასვე გადაჰქონდა სარევიზიო და სააპელაციო წესით, როგორც დროებით მმართველობათა სასამართლოს საქმეები, აგრეთვე სამხედრო სამსჯავრო კომისიისა.

ყველა საქმის შესახებ მმართველის აზრსაც კანცელარია ადგენდა. პერსონალი ამ კანცელარიისა იყო შემდეგი: ერთი მაგიდის უფროსი ან საქმის მწარმოებელი სამოქალაქო მოხელეებიდან, სამი გადამწერლით—ადგილობრივი თავადაზნაურობიდან.

ერთი საქმის მწარმოებელი ადგილობრივი სახაზო ბატალიონის ოფიცრებიდან, სამი გადამწერლით—სამხედრო დაბალი მოხელეებიდან, ერთი ჟურნალისტი სამხედრო გადამწერლებიდან თანაშემწით, ერთიც მდივანი.

ძალიან ბევრი საქმე და ძალიან ცოტა გამკეთებელი. წესი ისეთი იყო შემოღებული, რომ ჟურნალისტის შრომა აუტანელი ხდებოდა, ხოლო მდივნის შრომას შეღავათი ეძლეოდა. გასავალი ქაღალდები იწერებოდა ჟურნალში მთლად და ამიტომ მდივანს შეეძლო გავარჯიშებით ნაწილი მათი პირდაპირ თეთრად დაეწერა.

ხოლო ჩვენს შორის (გენ.-მაიორ ესპეხოსა და მის მდივანს დიმიტრი ყიფიანს შორის, გ. ვ.)... ისეთი უსაზღვრო ნდობა ჩამოვარდა, რომ თვითონ მიიჩნია საკმარისად მოხსენებები მოესმინა ხოლმე სულ ზერელედ, ძალიან შემოკლებულნი,—„იმას და იმაზე, ამასა და ამაზე“.

ამით მე დროს ბევრს ვიგებდი, მაგრამ არ შეიძლებოდა კი რომ არ შემემჩნია და არ შემშინებოდა იმ უფლებისა, 22-23-ის წლის ყმაწვილკაცს რომ ხელში ჩამივარდა.

არც ადმინისტრაციულს, არც სასამართლო საქმეებში არავინ არ იყო ხელმძღვანელი, რასაც დავსწერდი წაუშლელი იყო.[60]

მმართველის კანცელარია XIX საუკუნის 40-იან წლებამდე ინარჩუნებდა მუშა-ორგანოს ფუნქციას.

---

[60] დ ი მ ი ტ რ ი ყ ი ფ ი ა ნ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 27-28.

4. „იმერეთის მმართველობა“—იმერეთის მმართველის ხელმძღვანელობით, სამოქალაქო საქმეებს განაგებდა „მ მ ა რ თ ვ ე ლ ო ბ ა“, რომელიც 1816-1840 წლებში ადგილობრივი რუსული ხელისუფლების ერთ-ერთ ძირითად ორგანოს წარმოადგენდა. მას „დროებით მთავრობას“, „დროებით მმართველობას“ და „დივანსაც“[61] უწოდებდნენ. ქართულ ოფიციალურ მიმოწერაში იხმარებოდა—„ჟამიერი მმართველობა“,[62] „ჟამიერი სასამართლო“[63] და „დროებითი სასამართლო.“[64] „მმართველობისადმი“ იმერეთის ეპარქიის კანცელარიის მიმართვებში, რომლებიც, ჩვეულებრივ, ორენოვანი—ქართულ-რუსული იყო, გამოიყენებოდა „იმერეთის დროებითი სასამართლო“ და „Имеретинское Временное Правление“.[65] „მმართველობას“ სხვადასხვა სახელწოდების მიუხედავად, აღნიშნულ პერიოდში არსებითი გარდაქმნა არ განუცდია, თუ მხედველობაში არ მივიღებთ კოსმეტიკური ხასიათის ცვლილებებს, რომლის შესახებ ქვემოთ გვექნება საუბარი.

რადგან იმერეთში ჯერ კიდევ არ არსებობდა მყარ იურიდიულ საწყისებზე დაფუძნებული ადმინისტრაცია, „მმართველობის“ და „იმერეთის მმართველის“ ურთიერთობა, მისი ფუნქციები და უფლებამოსილება იმერეთის ცალკეულ მმართველთა, თუ საქართველოს მთავარმმართველთა შეხედულებებით განისაზღვრებოდა.

პოლკ. სტ. მერლინი, რომელიც 1815 წელს ოფიციალურად შეუდგა იმერეთის მმართველის მოვალეობის შესრულებას, გაკვირვებული იყო იმით, რომ მისი წინამორბედი—გენ.-მაიორი თ. სიმონოვიჩი იმერეთის სამხედრო მმართველობას ოთხიოდე ქართველი მდივანბეგით, რომლებიც მამულების გამო თავადაზნაურობას შორის წარმოშობილ სადავო საკითხებს არჩევდნენ, ხან „იმერეთის დროებით მმართველობას“, ხან კი „იმერეთის დროებით

---

[61] ს ც ს ა, ფ. 2, აღწ. 1, საქ. 255, ფურ. 278-282; საქ. 1007. ხელნაწერთა ინსტიტუტი, ზ. წერეთლის ფონდი, საბ. No. 133; გრ. წერეთლის ფონდი, საბ. No 309.

[62] ქ ც ს ა, ფ. 175, აღწ. 1, საქ. 10, ფურ. 313.

[63] ი ქ ვ ე, ფურ. 192.

[64] ი ქ ვ ე, ფურ. 22, 74.

[65] ი ქ ვ ე, ფურ. 239. „დროებით მმართველობაში“ და „ჟამიერ მმართველობაში“ იგულისხმება არა, საერთოდ, იმერეთის ადმინისტრაცია, არამედ სწორედ „მმართველობა“. ქართული სახელი მისი მთავარი ფუნქციის ზუსტი გამოხატულებაა.

მთავრობას" უწოდებდა, მაშინ, როდესაც აქ არც ერთი და არც მეორე არ არსებობდა.[66]

1816 წელს გენ. ნ. რტიშჩევმა, დანიშნა რა იმერეთის მმართველად გენ.-მაიორი ი. ხატუნცოვი, გაუგზავნა მას შემდეგი მითითებანი: 1. აღმასრულებელი და სახაზინო საკითხები დარჩებოდა მმართველის გამგებლობასა და პასუხისმგებლობაში. 2. სამოქალაქო საქმეები უნდა ეწარმოებია მდივანბეგებისა და რუსი მოხელეებისაგან შემდგარ სასამართლოს. მას ევალებოდა ყოველი საჩივარი საბანადო გადაწყვეტილებით, განსახილველად გადაეცა მმართველისათვის. ეს უკანასკნელი, თუ სასამართლოს გადაწყვეტილებას კანონიერად მიიჩნევდა, მთავარმმართველს წარუდგენდა დასამტკიცებლად.[67] ი. ხატუნცოვის დროს, ფუნქციონირება დაიწყო „იმერეთის მმართველობამ", რომელსაც გენ. ნ. რტიშჩევის მითითებით „დივანი" ეწოდა, რუსი მრჩევლებისა და ქართველი მდივანბეგების მონაწილეობით.[68] დივანში გადამწყვეტი ხმა რუს მრჩევლებს ჰქონდათ. ამის შესახებ ე. წ. „აბაშიძის ქრონიკაში" (ანუ „იმერეთის ქრონიკებში") ნათქვამია: „...1816 წელსა ღენერალ მაიორი ხათუნცოვი იქმნა იმერეთის მმართებლათ, რომელიც ჩამოვიდა მარტის თვეში. ამავე წელს განწესდა იმერეთს ჟამიერი მართებლობა და დაიდგინა რუსეთის სოვეტნიკნი იმერეთის მდივანბეგთა უპირველესად (ხაზგასმა ჩვენია, გ. ვ.) და აღემართა სასამართლოსა შინა ზერწალი, რომელ არს ხელმწიფის სახე".[69]

ამგვარად, 1810-1816 წლებში, სტ. მერლინის მიხედვით, იმერეთს განაგებდა მმართველი, რომელიც დროდადრო ქართველ მდივანბეგებს ეთათბირებოდა, ხოლო 1816 წელს მმართველობა გახდა მუდმივმოქმედი ორგანო, რომელიც რუსი მრჩევლებისა და ქართველი მდივანბეგების მონაწილეობით, სამოქალაქო საქმეებს განიხილავდა. „ქრონიკით" ეს ფაქტი მიჩნეულია იმერეთში დრო-

---

[66] Акты..., т. IV, с. 487-488.

[67] Акты..., т. VI, ч. I, с. 829.

[68] ცსსა, ფ. 2, აღწ. 1, საქ. 3354.

[69] თ. ჟორდანია, ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა, წიგნი მესამე, (1700 წლიდან XIX საუკუნის 60-იან წლებამდე). გამოსაცემად მოამზადეს გივი ჟორდანიამ და შოთა ხანთაძემ, თბ., 1967, გვ. 641.

ებითი მმართველობის გახსნად. ამასთან დაკავშირებით, მმართველობის რეზიდენციაში რუსეთის იმპერატორის პორტრეტიც დაუკიდიათ.[70]

1817 წელს საქართველოს მთავარმმართველის ა. ერმოლოვის მითითებით, ხელისუფლების აღმასრულებელი და სახაზინო ნაწილები დაექვემდებარა მმართველობას და მის სხდომებზე მმართველის დასწრება სავალდებულო გახდა.[71] გენ-მაიორმა ი. კურნატოვსკიმ „დივანს" სახელი შეუცვალა და მას „დროებითი მმართველობა" უწოდა (1817 წ. დეკემბერი). სამოქალაქო საქმეების განხილვის შემდეგ, მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება მმართველთან აღარ შედიოდა დასამტკიცებლად. თუ მოდავე მხარეები დროებითი მმართველობის მიერ გამოტანილ განაჩენს არ დაეთანხმებოდნენ, საქმე პირდაპირ მთავარმმართველს ეგზავნებოდა.

გენ.-მაიორ პ. გორჩაკოვის აზრით, საკითხის გადაწყვეტის ასეთი პროცედურის მოუხერხებლობა იმაში მდგომარეობდა, რომ არ შეიძლებოდა დაშვებული შეცდომის ადგილზე გასწორება, ან კიდევ—მმართველს არ ჰქონდა საშუალება გაეკონტროლებია მმართველობის მიერ მიღებული გადაწყვეტილებანი.

პ. გორჩაკოვი, როდესაც თავისი მოვალეობის შესრულებას იწყებდა (1820 წლის აპრილი), აღნიშნავდა, რომ ამ მხარის მართვის რაიმე მყარი წესები არ არსებობდა. კიდევ უფრო მეტი. ის კერძო განკარგულებანიც კი, რაც ზემოდან მოდიოდა, ყოფილი მმართველების თვითნებობის გამო, შეუსრულებელი რჩებოდა. იგი თვლიდა, რომ იმერეთის მმართველობა, რომელიც მას დახვდა, სხვა არაფერი იყო, თუ არა სამოქალაქო პალატა (Гражданская Палата), რომლის სხდომებსაც, რუსეთის იმპერიის კანონების მიხედვით, მმართველი ვალდებული არ იყო დასწრებოდა. გარდა ამისა, მმართველი, რომელიც ამავე დროს ჯარების სარდალიც იყო, სამოქალაქოს გარდა, ბევრი სამხედრო საქმეც ჰქონდა.

---

[70] გენ.-მაიორი ა. ესპეხო იმერეთის ოლქში არსებული მმართველობის მიმოხილვისას წერდა: „...იმერეთის დროებითი მმართველობა გაიხსნა 1816 წელს ყოფილი დ ი ვ ა ნ ი ს ნაცვლად", სცსსა, ფ. 2, აღწ. 1, საქ. 6225. ფურ. 36-52.

[71] ა. ფ ი რ ცხ ა ლ ა ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 104.

პ. ეორჩაკოვმა 1820 წლის ივნისში ა. ერმოლოვს წარუდგინა მოხსენებითი ბარათი კონკრეტული წინადადებებით, იმერეთის მმართველობის რეორგანიზაციის შესახებ. იგი თვლიდა, რომ იმერეთის დროებითი მმართველობა იყო სასამართლო და სახაზინო პალატათა ერთობლიობა. რუსეთში მოქმედი კანონმდებლობისა და ადგილობრივი პირობების გათვალისწინებით, მისი მუშაობის გასაუმჯობესებლად, იმერეთის მმართველს საჭიროდ მიაჩნდა შემდეგი ღონისძიებების გატარება: 1. საგუბერნიო მართვის დებულების მიხედვით, ერთმანეთისაგან გაემიჯნათ დროებითი მმართველობის ორი—სასამართლო და სახაზინო ნაწილი და უზრუნველეყოთ მათი ცალ-ცალკე ფუნქციონირება. სხდომებს, გარდა საგანგებო შემთხვევებისა, მმართველი არ დაესწრებოდა. 2. მ მ ა რ თ ვ ე ლ ო ბ ა ს უ ნ დ ა ჰ ყ ო ლ ო დ ა თ ა ვ მ ჯ დ ო მ ა რ ე[72] (750 მან. ვერცხლით წლიური ხელფასით). 3. ორი მრჩეველი—რუსი მოხელე (600 მან. ვერცხლით წლიური ხელფასით) და ორი (ნაცვლად ოთხისა) ქართველი მდივანბეგი (300 მან. ვერცხლით წლიური ხელფასით).[73]

მმართველობას სამოქალაქო საქმეების განხილვის დროს, თავისი გადაწყვეტილება მოდავე მხარეებისათვის, კანონით დადგენილი წესის მიხედვით, უნდა გამოეცხადებია და თუ ორივე მხარე თანახმა იქნებოდა, გადაწყვეტილება სისრულეში მოეყვანათ. სხვა შემთხვევაში, განაჩენით უკმაყოფილო მხარე გადაიხდიდა 12 მანეთს (ვერცხლით) და საქმე მმართველობის გადაწყვეტილებასთან ერთად, გადაეგზავნებოდა მმართველს რევიზიისათვის, ხოლო შემდეგ—მთავარმმართველს. მოდავე მხარეებს განაჩენისადმი თავისი დამოკიდებულება წერილობით უნდა გამოეხატა. იმერეთის დროებითი მმართველობის ფონდში ბევრია ასეთი ხასიათის დოკუმენტები: „...სასამართლოსა იმერეთის უამიერის მმართველობისასა განაჩენი მოვისმინეთ, ჩვენ აზნაურთ ბიჭია ღ' ამირან მესხებმა, რომელსაც ყაბული არა გუაქვს, რომლისთვისაც წარმოვადგინეთ დროებით მთავრობაში 12 მანეთი ვერცხლისა

---

[72] ზ. წ ე რ ე თ ე ლ ი, როგორც ჩანს, აღარ თუ ვეღარ ასრულებდა ამ მოვალეობას და რუსეთის მთავრობამ მიზანშეწონილად ჩათვალა იმერეთის მმართველობის თავმჯდომარედ რუსი ჩინოვნიკი დაენიშნა.

[73] ა. ფ ი რ ცხ ა ლ ა ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 105-108.

აპელაციის, რომელსაც ხელს ვაწერთ აზნაური ბიჭია მესხი, აზნაური ამირან მესხი."[74] სხვა დოკუმენტი: „...განაჩენი მოვისმინეთ რომლისაც ყაბული გვაქვს და ხელს ვაწერთ".[75]

დროებითი მმართველობის სახაზინო და სასამართლო ნაწილებად დაყოფა არ განხორციელებულა. პ. გორჩაკოვის სხვა წინადადებანი მიღებულ იქნა.

იმერეთის დროებით მმართველობას, გენ. ა. ერმოლოვის 1822 წლის 13 დეკემბრის მოწერილობით, დაეკისრა საბაჟო საქმეების წარმოებაც. 1823 წელს სახაზინო შემოსავლების ასაკრებად და შესანახად შემოღებული იქნა ხაზინადარის თანამდებობა. მმართველობასა და მმართველს დაევალათ საქართველოს სახაზინო ექსპედიციაში წარედგინათ ყოველთვიური ცნობები ხაზინადარის განკარგულებაში არსებული თანხების შესახებ. დროებითი მმართველობა, რაიმე სერიოზული ცვლილებების გარეშე, ამ სახით დარჩა 1840 წლამდე.

სენატის რევიზიამ, რომელსაც გრაფი პ. კუტაისოვი განახორციელებდა 1830 წელს, გამოავლინა, რომ იმერეთის დროებით მმართველობაში მომხდარი ეს ცვლილებანი იმპერატორის მიერ დამტკიცებული არ ყოფილა. სენატორის აზრით, საქართველოს მთავარმმართველებმა (ფ. პაულუჩი, ნ. რტიშჩევი, ა. ერმოლოვი) გადააჭარბეს თავიანთ უფლებამოსილებას და თვითნებურად მოქმედებდნენ. კიდევ უფრო მეტი—მათი იურისდიქცია დასავლეთ საქართველოს მიმართ საკანონმდებლო წესით არ ყოფილა განსაზღვრული და ამიტომ არ შეეძლოთ იმპერატორის ნების გარეშე, თავიანთი სახელით, მიეცათ კანონები და დაედგინათ მმართველობა იმ ხალხისათვის, რომელსაც სულ რამდენიმე ხნის წინ დამოუკიდებელი სამეფო ჰქონდა.[76]

იმერეთის დროებით მმართველობას XIX საუკუნის 20-იანი წლების პირველ ნახევარში, ასე ახასიათებდა ფრანგი კონსული საქართველოში ჟაკ ფრანსუა გამბა: ქუთაისში ერთდროულად არსებობს სამოქალაქო და სისხლის სამართლის უმაღლესი სასამართლო. იგი შედგება ერთი თავმჯდომარისაგან, ოთხი მოსამართლისა და ერთი სასამართლო მდივნისაგან. თავმჯდომარე და მო-

---

[74] ქ ცსა, ფ. 175, აღწ. 1, საქ. 2, ფურ. 2.
[75] იქვე.
[76] ს ცსსა, ფ. 2, აღწ. 1, საქ. 3354.

სამართლეთაგან ორნი, რუსები არიან. ორი დანარჩენი მოსამართლე კი არჩეულია იმერელ თავადაზნაურთაგან. რუს მოსამართლეებს ევალებათ კარგად იცოდნენ ქართული ენა,[77] რომელზედაც ლაპარაკობდნენ იმერეთში, ხოლო იმერლებს—რუსული.

ასლანდელი თავმჯდომარე ღირსეული კაცია. იგი ამავე დროს საბაჟოს უფროსიცაა და ამ ორივე თანამდებობაზე თავისი სამართლიანობით გამოირჩევა.

თუ საქმე მძიმე დანაშაულს ითვალისწინებს, განაჩენის აღსრულებამდე მას ჯერ იმერეთის გუბერნატორს წარუდგენენ.[78] ხოლო საბოლოო გადაწყვეტილებას მთავარმმართველის აპრობაციის შემდეგ გამოიტანენ ხოლმე. მთავარმმართველს აქვს განაჩენის დამტკიცების, სასჯელის შემსუბუქებისა და პატიების უფლება.

როცა საქმე პოლიტიკურ ან ისეთ დანაშაულს ითვალისწინებს, რომელიც რუსეთის ჯარის ინტერესებს შეეხება, იგი უკვე სამხედრო სასამართლოს ექვემდებარება. დამნაშავეებად აღიარებულ რუსებს წკეპლით ან შოლტით სჯიან, ხოლო ადგილობრივ დამნაშავეებს ზოგჯერ სახრჩობელასაც უსჯიან.

სასამართლოში, ჩვეულებრივ, ვახტანგის სამართლის წიგნს იყენებენ, მაგრამ ახლა მოსამართლეებს საქმის განხილვისას შეუძლიათ რუსული კანონები აირჩიონ, თუკი ამ კანონებს უპირატესობას მიანიჭებენ და საქმისათვის უფრო გამოსადეგად მიიჩნევენ.[79]

იმერეთის მმართველობაში განსახილველად შემოსულ საქმეთა დიდი ნაწილი ეხებოდა ადგილ-მამულების, ყმა-გლეხების და საკუთრების სხვა სახეობის ფლობასთან დაკავშირებულ დავას, რამაც ახალი ხელისუფლების დროს, ლამის საყოველთაო ხასიათი მიიღო: განსაკუთრებით აქტიურობდნენ ისინი, ვინც სოლომონ მეორის მეფობის ბოლო წლებში ყმა-მამული და სახელოები დაკარგეს. მამულების უკანდაბრუნებას მოითხოვდნენ რუსულ ხელისუფლებასთან შემორიგებული ფეოდალებიც. ჩამორთმევა-უკანდაბრუნების პროცესმა ახალი სერიოზული ამოცანა

---

[77] რუს ჩინოვნიკთა აბსოლუტურმა უმრავლესობამ ქართული ენა, ცხადია, არ იცოდა.

[78] ქ. გ ა ბ ა გუბერნატორს უწოდებს იმერეთის მმართველს.

[79] ქ. გ ა ბ ა, მოგზაურობა ამიერკავკასიაში..., გვ. 212-213.

წინაშე დააყენა იმერეთის მმართველობა—უნდა გარკვეულიყო ვის რა ეკუთვნოდა. გარდა ამისა, მის ფუნქციებში შედიოდა ყიდვა-გაყიდვის, წარმოების სხვადასხვა დარგების იჯარით გაცემის იურიდიული აქტების გაფორმება, საბაჟო-საკარანტინო საკითხების მოგვარება, მსესხებელ-გამსესხებელთა ვექსილებით გაფორმებულ ურთიერთობებში ჩარევა, ოკრუგის უფროსების ანგარიშის მოსმენა ადგილებზე არსებული პოლიტიკური და ეკონომიკური მდგომარეობის შესახებ და ა. შ.

თავდაპირველად, იმერეთის თავადაზნაურობიდან არჩეული მმართველობის წევრები ჯამაგირის ნაცვლად, საქმის გარჩევისათვის ძველად არსებულ სარგოს—„საბჭოს" იღებდნენ, რაც ბოროტმოქმედებისა და მექრთამეობისათვის ხელსაყრელ ნიადაგს ქმნიდა. თუმცა ამ სენით ჯამაგირიანი რუსი ჩინოვნიკები გაცილებით ძლიერად იყვნენ დაავადებულნი. 1816 წლის 27 მაისს გენ.-მაიორმა ი. სატუნცოვმა მთავარმმართველის წინაშე დააყენა საკითხი „საბჭოს" გაუქმებისა და მმართველობის ქართველ წევრთა ჯამაგირით უზრუნველყოფის შესახებ.[80] მაგრამ ეს იმერეთის მწირი შემოსავლების გამო, ერთობ ძნელი იყო.

მმართველობა, გენ. ნ. რტიშჩევის მოთხოვნით, ვალდებული იყო ორ კვირაში ერთხელ მთავარმმართველობაში წარედგინა მ ე მ ო რ ი ა განხილული საქმეების შინაარსის მოკლე გადმოცემით.[81] ერთ-ერთი პირველი მემორია დათარიღებულია 1816 წლის 1-15 მაისით და ასეთი სახისაა:

ი მ ე რ ე თ ი ს დ ი ვ ა ნ შ ი 1816 წ ლ ი ს 1-დ ა ნ 15 მ ა ი ს ა მ დ ე გ ა ნ ხ ი ლ უ ლ დ ა გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ს ა ქ მ ე თ ა მ ო კ ლ ე მ ე მ ო რ ი ა. შევსებულია სპეციალური ფორმა, რომელიც ასეთ კითხვებს შეიცავს: 1. როდის იქნა განხილული საქმე ან დოკუმენტი; 2. საქმის ან დოკუმენტის შინაარსი; 3. დივანის გადაწყვეტილება, 4. რომელი საქმე როდის იქნა საბოლოოდ გადაწყვეტილი; 5. როდის წარედგინა მმართველს გადაწყვეტილება და მიწერილობა.

---

[80] Акты..., т. V, с. 490.

[81] ი ქ ვ ე, გვ. 491.

1 მაისი — იმერეთის მმართველის წინადადება, რომელშიც გადმოცემული იყო მთავარსარდლის შენიშვნები იმერეთში დროებითი მართლმსაჯულების წარმოებაზე (მოწერილობა მდივანბეგისა და რუსი მრჩევლისადმი): 1. ყოველგვარი სადავო საქმის განხილვისა და საბოლოო გადაწყვეტის წესი. 2. სასამართლო სხდომებისათვის საჭირო დოკუმენტების (ყოველდღიური ჩანაწერების ჟურნალი და ა. შ.) შემოღება. 3. ყოველ ორ კვირაში მმართველის მიერ, იმერეთის დივანის სახელით, მთავარმმართველთან განხილული და გადაწყვეტილი საქმეების მ ე მ ო რ ი ი ს გაგზავნა.

დ ა ა დ გ ი ნ ე ს: მიუხედავად იმისა, რომ მდივანბეგისა და რუსი მრჩევლის კრებას არა აქვს კანცელარია, არ ჰყავს მდივანი და წერილობითი საქმეების თარჯიმანი, სასამართლოს წარმოების ისეთი წესი, რომელიც შემოთავაზებულია მმართველის მოწერილობაში, აუცილებელია. ამ მოწერილობის შესასრულებლად საჭიროა შემოღებული იქნას, როგორც კრების ჩანაწერების, ასევე შემოსული და გასული ქაღალდების აღრიცხვის ჟურნალები. ამიერიდან, ამ კრებას (собрание) ეწოდოს — ი მ ე რ ე თ ი ს დ ი ვ ა ნ ი.

ეს დადგენილება იმერეთის მმართველს ეცნობა პირველ რიცხვში.

2 მაისი — იმერეთის მმართველის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტები და წინადადებანი: 1. გენერალ-მაიორ, თავად ზურაბ წერეთლისა და ქუთაისში მცხოვრებ ანტონ ფირალოვის შერიგების ხელწერილი (ასლი), რომ ისინი წყვეტენ დავას მამულებზე, რომელიც ეკუთვნის ფირალოვს და უჭირავს ზ. წერეთელს.

დ ა ა დ გ ი ნ ე ს: შერიგების ხელწერილი მმართველის წინადადებასთან ერთად, ჩაიწეროს დივანის ჟურნალში.

2. მთავარმმართველისადმი ხონის არქიეპისკოპოსის ანტონის მიერ გაგზავნილი თხოვნა—წმ. გიორგის მონასტერს დაუბრუნდეს მისი კუთვნილი მიწები, რომლებიც სხვებს აქვს მითვისებული.

დივანს ევალება: გამოიძიოს ამ თხოვნასთან დაკავშირებული გარემოებანი და გადაწყვეტილება აცნობოს იმერეთის მმართველს.

დ ა ა დ გ ი ნ ე ს: მთხოვნელი და მოპასუხეები გამოძახებულ იქ-ნან დივანში მიწების კუთვნილების დამამტკიცებელი საბუთებით. გამოძიება დაიწყოს ამის შემდეგ.

3. მთავარმმართველისადმი ქუთაისელი აზნაურებისა და ვაჭრების მიერ გაგზავნილი თხოვნა — დაუბრუნდეთ მათი კუთვნილი მიწები, რომელიც გელათის მიტროპოლიტის მფლობელობაშია.

დ ა ა დ გ ი ნ ე ს: მოდავე მსარეებმა წარმოადგინონ სადავო მიწების კუთვნილების დამადასტურებელი დოკუმენტები და ამის შემდეგ დაიწყოს საქმის განხილვა.

4. იმერეთის სამეფო სახლის წევრთა სია, წარმოდგენილი მმართველის მიერ დასაზუსტებლად.

დ ა ა დ გ ი ნ ე ს: სამეფო სახლის წევრთა შესახებ შეიკრიბოს ცნობები და წარედგინოს მმართველს.

5. გამოეცხადოს თავადებს აბაშიძეებს, რომ მთავარმმართველისადმი წარდგენილი მათი თხოვნის დაკმაყოფილება არ შეიძლება პოლკ. სტ. მერლინის რაპორტში დასახელებული მიზეზების გამო.

დ ა ა დ გ ი ნ ე ს: დივანში გამოძახებული იქნან აბაშიძეები და გამოეცხადოთ ამის შესახებ. ეცნობოს იმერეთის მმართველს, რომ მისი დავალება შესრულებულია.

6. გამოძიებულ იქნას სოფელ უხუთის მცხოვრებთა თხოვნა, რომ ისინი ხაზინას ეკუთვნიან, მაგრამ მათ უკანონოდ ითვისებს და ავიწროებს თავადი ივანე ერისთავი. გამოძიების შედეგები და აღნიშნული თხოვნა გაეგზავნოს იმერეთის მმართველს.

დ ა ა დ გ ი ნ ე ს: რადგან მთხოვნელები და თავადი ერისთავი ცხოვრობენ ქუთაისის გარეთ, გამოძახებულ იქნან დივანში დამამტკიცებელი დოკუმენტებით და ამის შემდეგ დაიწყოს საქმის გამოძიება.

7. მოწერილობა, რომელსაც თან ახლავს როსტომ ნიჟარაძის ობლის თხოვნა—დაუბრუნდეს მას მამულები, რომლებიც მთავრობის მიერ სხვას აქვს სამართავად ჩაბარებული—განხილულ იქნას და ეცნობოს მმართველს.

დ ა ა დ გ ი ნ ე ს: შეიკრიბოს სარწმუნო ცნობები — ეკუთვნის თუ არა მთხოვნელს მამულები, რომლებზედაც პრეტენზიას აცხადებს, რა მიზეზით ჩამოერთვა და რის საფუძველზე გადაეცა სხვას სამართავად. ყოველივე ამის შესახებ მოხსენდეს იმერეთის მმართველს.

8. აზნაურ ლომინაძეების თხოვნა, გადაცემოდა მათ პოდპოლკოვნიკ ანტონ ერისთავისაგან ნაყიდი ყმები, რომლებიც ყოფილმა პატრონმა უკანვე დაიბრუნა.

დ ა ა დ გ ი ნ ე ს: რადგან მთხოვნელები და თავადი ერისთავი ქუთაისში არ იმყოფებიან, გამოძახებული იქნან დივანში დამამტკიცებელი საბუთებით და ამის შემდეგ დაიწყოს საქმის გამოძიება.

9. მიტროპოლიტ ეფთვიმე გელათელის წერილი ნ. რტიშჩევისადმი. ქუთაისში მცხოვრებ აზნაურ თომა ბაინდუროვთან სოფ. კვახჭირში ეკლესიის სასარგებლოდ მიწაზე დავის შესახებ, რეზოლუციით — თუმცა საქმე ამ სადავო მიწის შესახებ უკვე გადაწყვეტილია მდივანბეგების მიერ რუს მრჩეველთან ერთად, მაგრამ ამჟამად ორივე მხარის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტები ხელახლა იქნას განხილული. თუ არსებითი ახალი არ აღმოჩნდება, გადაწყვეტილება დარჩეს ძალაში. წინააღმდეგ შემთხვევაში, საქმე გადამოწმდეს და გადაწყვეტილება შეტანილ იქნას იმერეთის მმართველთან განსახილველად, ხოლო ამ უკანასკნელმა გაგზავნოს იგი მთავარმმართველთან.

დ ა ა დ გ ი ნ ე ს: მიტროპოლიტ გელათელის მოთხოვნით, დაკითხეს თავადი დ'ვით წულუკიძე. გამოირკვა, რომ სადავო მიწა იმერეთის უკანასკნელმა მეფემ სიგელით უბოძა აზნაურ ბაინდუროვს და ა. შ.[82]

საკითხთა იმ წრეზე, რომელთა განხილვა და გადაწყვეტა მმართველობის კომპეტენციაში შედიოდა, გაცილებით ნათელ წარმოდგენას გვაძლევს 20-30-იანი წლების სხდომათა ოქმები. თითოეული მათგანი 20-30 ხელნაწერი გვერდია და შეიცავს ეკონომიკური, სოციალური, ეთნოგრაფიულ-ყოფითი, პოლიტიკური ხასიათის უაღრესად საინტერესო ცნობებს. გავეცნოთ მმართველობის ორი სხდომის დღის წესრიგს.

1824 წლის 16 იანვარი, ორშაბათი. იმერეთის დროებითი მმართველობის სხდომა, ესწრებოდნენ: ბატონები, მმართველობის წევრები: თ ა ვ მ ჯ დ ო მ ა რ ე—სტატსკი სოვეტნიკი და კავალერი ივანე ანდრიას ძე კრუპიანსკი, მ რ ჩ ე ვ ლ ე ბ ი: კოლეჟსკი სოვეტნიკი — ივანე ვასილის ძე პერეკრესტოვი; ტიტულიარნი სო-

[82] ს ც ს ს ა, ფ. 2, აღწ. 1, საქ. 255, ფურ. 278-282.

ვეტნიკი და კავალერი—ალექსანდრე სტეფანეს ძე პოლეტაევი, მ დ ი ვ ა ნ ბ ე გ ი—იმერეთის თავადი, ტიტულიარნი სოვეტნიკი—დავით ბეჟანის ძე ჩხეიძე.

მოისმინეს:

1. იმერეთის მმართველის, გენერალ-მაიორის და კავალერის, თავად პ. გორჩაკოვის წინადადება, სამეგრელოში მცხოვრებ, დავალიანებაში მყოფ, კათოლიკე აკოფაშვილის მიერ ვალის გადახდის დაჩქარების შესახებ.

2. იმერეთის მმართველის წინადადება, შორაპნის ოკრუგში არსებულ კერძო სამღებროებთან დაკავშირებით.

3. ოკრუგებში გადასახადების აკრების მდგომარეობა.

4. საბაჟოს შესახებ.

5. ვაკის ოკრუგის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის ორლოვის რაპორტი.

6. ქუთაისის კომენდანტის რაპორტი.

7. ქუთაისის ოკრუგის უფროსის რაპორტი.

8. იმერეთის მმართველის სახელზე ყარამან წულუკიძის განცხადება გადასახადისაგან გათავისუფლების შესახებ.

9. იმერეთის მმართველის სახელზე შემოსული განცხადებანი გადასახადებისაგან გათავისუფლების შესახებ.

10. გლეხთა მიერ თავისუფლების ძიების საკითხები.[83]

1835 წლის 29 ივნისის სხდომის ოქმიდან—ესწრებოდნენ: თ ა ვ მ ჯ დ ო მ ა რ ე—ნადვორნი სოვეტნიკი და კავალერი ოსიპ ივანეს ძე ტრემელევი, მ რ ჩ ე ვ ლ ი ს თანამდებობაზე მყოფნი, ტიტულიარნი სოვეტნიკები: სემიონ სემიონის ძე მოჟნევსკი და მიხეილ ოსიპის ძე თუმანოვი (თუმანიშვილი), მ დ ი ვ ა ნ ბ ე გ ე ბ ი—თავადები—ნადვორნი სოვეტნიკი დავით ბეჟანის ძე ჩხეიძე და დავით გიორგის ძე აბაშიძე.

მოისმინეს:

1. ვაკის ოკრუგის უფროსის რაპორტი, აზნაურ რუსუდან ავალიანი — ღოღობერიძის მიერ გოგოს ძიების საქმეზე.

2. ქუთაისის ოკრუგის უფროსის რაპორტი—მოხსენება, სამე-

---

[83] ქ ც ს ა, ფ. 175, აღწ. 1, საქ. 5, ფურ. 1-21.

გრელოში მცხოვრებ, აზნაურ გიორგი ჩიქოვანის მეუღლის მიერ მისი ბიძისაგან ყმებისა და მამულების ძიების საქმეზე.

3. აზნაურ გიორგი ჭელიძის ქალიშვილს ეგზავნება შეტყობინება ჩაიბაროს მმართველობის სხდომის ოქმის ამონაწერი მის მიერ გლეხებისა და მამულების ძიების საკითხთან დაკავშირებით.

4. გლეხების: ლევან, ოტია, გიორგი და ივანე ლორიების ახსნა-განმარტება, მმართველობის სხდომის ოქმიდან ამონაწერთან დაკავშირებით, მათგან აზნაურის მიერ მიწის ძიების საკითხზე.

5. მაიორ, თავად სიმონ ჩხეიძის ახსნა-განმარტება, გლეხების მიერ მისგან მიწების ძიების შესახებ.

6. გლეხების: კიკოლა, სიმონა და გოგია პატარიძეების ახსნა-განმარტება, მათ მიერ გლეხების—ბუბაშვილისა და გვინეტაძისაგან გლეხების ძიებაზე.

7. აზნაურ ლევან მაჭავარიანის თხოვნა, გლეხ სიმონა გეგეშაშვილის საქმეზე (გლეხი ეძიებდა თავის ვაჟს პავლეს, რომელიც სიმონ ჩხეიძემ უკანონოდ გადასცა ლევან მაჭავარიანს) მმართველობამ მიიღოს სამედიატორო გადაწყვეტილება.

8. ბეჟან ავალიშვილის ქვრივის მარიამ მხეიძე-ავალიშვილის თხოვნა, დაუმტკიცდეს მისი ქმრისათვის სოლომონ მეორის მიერ ბოძებული უძრავ-მოძრავი ქონება.

9. ვაკის ოკრუგის უფროსის რაპორტი—მმართველობა დაეხმაროს ქაიხოსრო დავითის ძე ლორთქიფანიძეს დაიბრუნოს ბეჟან გრიგოლის ძე ლორთქიფანიძისათვის ვექსილით სესხად მიცემული 470 მანეთი (ვერცხლით).

10. იმერეთის მმართველის მოვალეობის შემსრულებლის პოლკ. ჟისარევის მოხსენება—რიგითი იაკობ ივანოვი მმართველობაში მუშაობდა დარაჯად. ახლა იგი უნდა დაბრუნდეს ფოთის ბატალიონში და საჭიროა საგზაო ხარჯების განაღდება.

11. საქართველოს უზენაესი მთავრობის აღმასრულებელი ექსპედიციის მოწერილობა, დაჩქარდეს თავად ლევან აბაშიძისათვის მიკუთვნებული გლეხების მასზე გადაცემა.

12. მმართველობის ეკონომის (расходчик) კოლეჟსკი სეკრეტარის კაშჩენკოს რაპორტი, მის მიერ გაწეული საკანცელარიო ხარჯების შესახებ.

13. ხაზინის გამგის—მრჩევლის თანამდებობაზე მყოფ ს. მოჟნევსკის რაპორტი ადგილობრივ საქმეებზე.

14. მისივე რაპორტი საქართველოს სახელმწიფო ხაზინიდან მიღებული მოწერილობების ირგვლივ.

15. ქუთაისის ოკრუგის უფროსის რაპორტი 1834 წლის მოსავლის აღების შედეგებზე.[84]

ყოველ განხილულ საკითხზე ცალ-ცალკეა მიღებული დადგენილება და მათ ხელს აწერს მმართველობის მთელი შემადგენლობა.

მმართველის წინადადებანი მმართველობას წერილობით გადაეცემოდა. თავის მხრივ, მმართველობაც განხილული საქმის შესახებ სხდომის გადაწყვეტილებას ადრესატებს (ოკრუგის უფროსებს, ქუთაისის კომენდანტს, თხოვნით შემოსულ პირებს) წერილობით უგზავნიდა. მმართველობაში მოხვედრილი საქმეების განხილვა და გადაწყვეტა წლობით ჭიანურდებოდა და დაკავშირებული იყო ათასგვარ ბოროტმოქმედებასთან. სამართლის საძებრად გამოსულ იმერელ კაცს წინ ეღობებოდნენ: თარჯიმნები, მდივნები, გადამწერლები, ოკრუგის უფროსები, მმართველობის წევრები—კოლეჟსკი რეგისტრატორები, ნადვორნი, სტატსკი და ტიტულიარნი სოვეტნიკები.

მმართველობის, და საერთოდ ადგილობრივი რუსული ადმინისტრაციის, კადრებით დაკომპლექტების საკითხი, ცარიზმის ერთ-ერთ უპირველეს და უძნელეს ამოცანას წარმოადგენდა. რუსეთის მთავრობას არ ჰყავდა ქვეყნის მართვისათვის მომზადებული ჩინოვნიკები და იძულებული იყო მასში სრულიად შემთხვევითი პირები ჩაება. ამის გამო, დროებითი მმართველობის შემადგენლობა ხშირად იცვლებოდა.

იმერეთის მმართველობის პირველ წევრად—დივანის თავმჯდომარედ, სოლომონ მეორის განდევნის შემდეგ, რუსეთის მთავრობამ, არაერთგზის დაპირების თანახმად, ზ ურ ა ბ წ ე რ ე თ ე ლ ი დანიშნა.[85] ფ ა ქ ტ ო ბ რ ი ვ ა დ, ი გ ი ი მ ე რ ე თ ი ს ვ ი ც ე-მ მ ა რ თ ვ ე ლ ი ი ყ ო.

---

[84] ი ქ ვ ე, საქ. 26, ფურ. 1-14.

[85] ხელნაწერთა ინსტიტუტი, ზ. წერეთლის ფონდი, საბ. Sd. 1593.

1811 წელს ზურაბ ქაიხოსროს ძე წერეთელს (1747-1823 წწ.), რომელსაც რუსმა მწერალმა დ. მორდოვცევმა ი მ ე რ ე თ ი ს მ ე ფ ი ს ტ ო ფ ე ლ ი უ წ ო დ ა, სამაგალითო ერთგულებისათვის გენ.-მაიორის ჩინი „ჯამაგირითა“, „წმინდა ანას ორდენი პირველი კლასისა“, წელიწადში 120 თუმანი „პენსია“ და დამსახურების „მოწმობა“ მისცეს მადლობის გამოცხადებით.

რა „დამსახურებისათვის“ დააჯილდოვეს ასე უხვად იმერეთის ყოფილი სახლთუხუცესი. მის სახელზე გაცემულ „მოწმობაში“ ნათქვამია: 1784-1786 წლებში პეტერბურგში ელჩობის დროს, ზ. წერეთელმა „განაცხადა მრავალნი საქებურნი გამოცდილებანი ჭეშმარიტის ერთგულებისა... რუსეთის ტახტისადმი“. 1804 წელს მან თავისი „მეცადინეობით მოდრიკა მეფე დამტკიცებისა ზედა... ტრაქტატისასა“. ამის შემდეგ „წინათვე ატყობინებდა... გენ.-მაიორ რიკლოფს ყოველთა არაკეთილმწადნელობითთა განზრახულებათა... მეფისათა“;

მისი ჩაგონებით ჩამოშორდა მამია გურიელი შერიფ ფაშას, რომელიც ალყაშემორტყმული ფოთის ციხის თურქთა გარნიზონის საშველად მიდიოდა; როცა სოლომონ მეფე გადააყენეს, მან „არამცირედი ნაწილი იმერეთის ერისა... მოდრიკა რუსეთის მმართველობის მხარეზედ“, შეაკავა თავისი „ხელქვეშეთნი“ აჯანყებისაგან და საკუთარი ლაშქრით იმყოფებოდა რუსეთის მხედრობასთან აჯანყებულთა „პირისპირ“. „იმერეთის ჯარითურთ მონაწილეობას ღებულობდა ახალციხის ლაშქრობაში. ჰყავდა აქ მას, აგრეთვე, საკუთარი... ხარჯით უმეტეს ასისა კაცისა ქვეითი და ცხენოსანი თვისნი ხელქვეშე იმერლები და წარაჩინა თავი თვისი სამაგალითოჲთა ერთგულებითა“.[86]

ცარიზმის მოხელეთა ამ დახასიათებას ჩვენ მხოლოდ ერთ ფაქტს დავუმატებთ და ისიც საკმარისი იქნება, რომ ნათლად წარმოვიდგინოთ ზ. წერეთლის მორალურ-პოლიტიკური სახე. 1810 წლის 17 ივნისს, როცა სოლომონ მეორემ ტყვეობას თავი დააღწია და იმერეთში უკვე აჯანყება დაიწყო, თბილისში მყოფი ზურაბ წერეთელი თავის შვილს გრიგოლს წერდა: „უყარაულოთ ნუ დასდგები. მაგ სასახლეში ძალიან გააფრთხილე ყარა-

---

[86] ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფ. Sd, No. 1593, 1658; ო. სოსელია, დასახ. ნაშრ., გვ. 127.

ული რუსი და დედათქვენი, ყმაწვილები და ჩემი რძალი — დადიანის ქალი ციხეზედ გააგზავნე და იქ დააყენე ზარბაზნები, როგორც გიოსარი ისე. დადიანს ასი კაცი შესთხოვე, იქნებ გამოგიგზავნოს და მანდ სასახლეში დააყენე... ხატზე დაუფიცებელი ვინც იყოს, დააფიცე, და ვინც იუაროს, როგორც შეგეძლოს, ისე აუოხრე სახლი და კარი მაგრუსებით...[87] (ხაზგასმა ჩვენია, გ. ვ.).

იმერეთის მმართველობაში თვალსაჩინო როლს ასრულებდა ელიზბარ გიორგის ძე ერისთავი, პოეტი და პოლიტიკური მოღვაწე. ეკუთვნოდა ერეკლე მეორის მოწინააღმდეგეთა დასს. ამიტომ ქართლიდან გააძევეს და თავშესაფარი იმერეთში, სოლომონ I-ის კარზე ჰპოვა. მას ცოლად ჰყავდა მეფის ქალიშვილი—მარიამი. სოლომონ მეორის გამეფების შემდეგ იმერეთი დატოვა და რუსების სამსახურში ჩადგა. მიიღო პოლკოვნიკობა, აქტიურად ებრძოდა სოლომონ მეორეს. 1810 წლის დასაწყისში, თ. სიმონოვიჩის მოწვევით, იმერეთში დაბრუნდა. მას იმერეთის მთავრობის პირველ შემადგენლობაში პროკურორის მოვალეობა უნდა შეესრულებია, მაგრამ ეს თანამდებობა აღარ შემოუღიათ და ელიზბარ ერისთავი მდივანბეგად აირჩიეს.[88] ა. ტორმასოვს განზრახული ჰქონდა იგი სოლომონ მეორის მკვლელობის საქმის მოსაგვარებლად გამოეყენებია.

ელიზბარ ერისთავი, როგორც პოეტი ბესიკის ლიტერატურული სკოლის წარმომადგენელია. მისი პოეტური მემკვიდრეობა ხელნაწერების სახითაა დაცული.[89]

1810-1811 წლებში მდივანბეგებად არჩეული იყვნენ: თავადები—ვახუშტი ჩიჯავაძე, ანტონ ერისთავი, ზურაბ მაჩაბელი, სეხნია წულუკიძე, ოტია წულუკიძე, დავით მიქელაძე, როსტომ აბაშიძე. დივანის შემადგენლობაში: თავადი დავით წულუკიძე, აზნაურები: როსტომ ლორთქიფანიძე, სიმონ ამირეჯიბი, ანანია ჭოღოშვილი.[90]

---

87 ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფ. Sd, No. 1473.

88 იმერეთის თავადაზნაურობიდან თანამდებობებზე არჩევა რუსეთის სარდლობის ზეწოლის პირობებში ხდებოდა.

89 ტ. რუხაძე, ძველი ქართული ლირიკის ისტორიიდან, თბ., 1954.

90 სცსა, ფ. 2, აღწ. 1, საქ. 255, ფურ. 28-29, 136.

XIX საუკუნის 20-იანი წლებიდან, გენ.-მაიორ პ. გორჩაკოვის მიერ ჩატარებული რეორგანიზაციის შემდეგ, მმართველობის შტატი (საკანცელარიო ჩინოვნიკების გარდა) თავმჯდომარით, ორი რუსი მრჩევლით და ორი ქართველი მდივანბეგით განისაზღვრა. მრჩევლებიდან ერთი სამოქალაქო საქმეებს განაგებდა, ხოლო მეორე—სახაზინოს. 1820 წლის 29 ივნისს პ. გორჩაკოვი საქართველოს მთავარმმართველს თხოვდა—მმართველობის თავმჯდომარედ დაემტკიცებია ნადვორნი სოვეტნიკი კრუპიანსკი; მრჩევლებად—სახაზინო ნაწილში—ნადვორნი სოვეტნიკი პერეკრესტოვი, ხოლო სამოქალაქო ნაწილში—სტაროსვეტსკი.[91]

1824 წელს იმერეთის მმართველობის შემადგენლობაში შედიოდნენ: თავმჯდომარე—სტატსკი სოვეტნიკი და კავალერი ივანე ანდრიას ძე კრუპიანსკი; მრჩევლები: კოლეჟსკი სოვეტნიკი—ივანე ვასილის ძე პერეკრესტოვი, ტიტულიარნი სოვეტნიკი და კავალერი ალექსანდრე სტეფანეს ძე პოლეტაევი; მდივანბეგი—იმერელი თავადი, ტიტულიარნი სოვეტნიკი დავით ბეჟანის ძე ჩხეიძე.[92]

1835 წელს—თავმჯდომარე: ნადვორნი სოვეტნიკი—ოსიპ ივანეს ძე ტრემელევი, მრჩევლები: სემიონ სემიონის ძე მოჟნევსკი, ტიტულიარნი სოვეტნიკი მიხეილ ოსიპის ძე თუმანოვი (თუმანიშვილი); მდივანბეგები: ნადვორნი სოვეტნიკი დავით ბეჟანის ძე ჩხეიძე, დავით გიორგის ძე აბაშიძე.[93]

იმერეთის მმართველობის პირველი მდივანი იყო მურავიოვი, ხოლო პირველი თარჯიმანი—თავადი მიქაძე-ფალავანდოვი (ფალავანდიშვილი), რომლებიც ა. ტორმასოვმა გამოუგზავნა თ. სიმონოვიჩს.[94]

სხვადასხვა დროს მმართველობის თანამშრომლები იყვნენ: სტატსკი სოვეტნიკი გავრილენკო (თავმჯდომარე 30-იანი წლების პირველ ნახევარში),[95] თარჯიმანი—ტიტულიარნი სოვეტნიკი

---

[91] ი ჭ ვ ე, საქ. 1007, ფურ. 2.
[92] ქ ც ს ა, ფ. 175, საქ. 5, ფურ. 1-21.
[93] ი ჭ ვ ე, საქ. 26, ფურ. 37-51.
[94] Акты..., т. IV, с. 326.
[95] ს ც ს ს ა, ფ. 2, აღწ. 1, საქ. 3721, ფურ. 40.

მარჯანოვი (მარჯანიშვილი),[96] კალისტრატე წერეთელი, მერაბ ირემაძე, კანცელარისტები—კოლეჟსკი სეკრეტარი კაშჩენკო (მმართველობის არქივარიუსი), თავადი ლევან ლორთქიფანიძე, ჩუვილდევი, საღინაძე, უხოვი, ნადვორნი სოვეტნიკი ბრიზგალოვი, კოლეჟსკი ასესორი ლოზინსკი, ბეჟან ჩხეიძე, იაკობ პავლენკო და სხვ.

იმერეთის მმართველობა, ისე როგორც მთელი რუსული ადმინისტრაცია, ბოროტმოქმედებისა და მექრთამეობის კერას წარმოადგენდა, რაზედაც ქვემოთ გვექნება საუბარი.

5. ქუთაისში არსებული სამხედრო-სასამართლო კომისია (Комиссия военного суда в г. Кутаисе учрежденная)

ქუთაისში დისლოცირებულ რუსულ პოლკთან, XIX საუკუნის ათიანი წლების დასაწყისიდან არსებობდა სამხედრო სასამართლო კომისია (Военно-судная комиссия—მას ასეც უწოდებდნენ), რომელიც სისხლის სამართლის დანაშაულის საქმეებს განიხილავდა რუსული კანონმდებლობის გამოყენებით. იგი, თავდაპირველად, მხოლოდ სამხედრო დამნაშავეებს ასამართლებდა. სამოქალაქო პირთა სისხლის სამართლის დანაშაულის საქმეები, რადგან იმერეთში სისხლის სამართლის პალატა არ არსებობდა, მმართველ სენატს გადაეცემოდა და, ცხადია, განაჩენიც რუსული კანონმდებლობით გამოჰქონდათ.

საქართველოს მთავარმმართველის გენ. ი. პასკევიჩის მითითებით, იმერეთის მმართველმა გენ.-მაიორმა კ. გესსემ, მინისტრთა კომიტეტის წინაშე დააყენა საკითხი ამიერკავკასიის მართვა-გამგეობის გარდაქმნასა და ადგილებზე სამხედრო სასამართლოს შექმნამდე, სამოქალაქო პირთა სისხლის სამართლის დანაშაული განეხილა ქუთაისში არსებულ სამხედრო-სასამართლო კომისიას, ხოლო მმართველ სენატს გადაცემოდა თავადაზნაურთა მიერ ჩა-

---

[96] იმერეთის თავადები მოწმობას აძლევენ ქუთაისის მცხოვრებ, აზნაურს, კოლეჟსკი ასესორს მარჯანოვს, რომ იგი 1812-1816 წწ. მუშაობდა თარჯიმნად ოკრუგის უფროსთან, ხოლო ამის შემდეგ იმერეთის დროებით მმართველობაში იმავე თანამდებობაზე. მოწმობა გაცემულია 1819 წელს. სცსსა, ფ. 1448 აღწ., 1, საქ. 7140, ფურ. 13.

დენილი ასეთი დანაშაულის საქმეები. 1829 წლის 26 თებერვალს იმპერატორმა ეს წარდგინება დაამტკიცა.[97] მაგრამ ამ საკითხთან დაკავშირებული მასალებიდან ირკვევა—ეს ნებართვა უკვე არსებული მდგომარეობის იურდიულად აღიარება იყო მხოლოდ, რადგან სამხედრო სასამართლოს ქუთაისის კომისიამ სამოქალაქო პირთა სისხლის სამართლის საქმეების წარმოება ათეული წლის წინათ დაიწყო.

სისხლის სამართლის დანაშაულად მიჩნეული იყო: მკვლელობა, „ტყვეთა სყიდვაში" მონაწილეობა, ღალატი, ყაჩაღობა, ქურდობა და ა. შ. ასეთ დამნაშავეებს ქუთაისის სამხედრო-სასამართლო კომისიაში აგზავნიდნენ არა მარტო იმერეთიდან, არამედ დასავლეთ საქართველოს სამთავროებიდანაც. „კომისიას" საქმის განხილვის შემდეგ საბოლოო განაჩენი არ გამოჰქონდა. მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება სასჯელის ზომის შესახებ, საქმესთან ერთად, წარედგინებოდა იმერეთის მმართველს, ხოლო ეს უკანასკნელი ყოველივე ამას, თავისი მოსაზრების თანდართვით, საქართველოს მთავარმმართველთან აგზავნიდა საბოლოო სანქციისათვის.

სამხედრო-სასამართლო კომისიას ქუთაისში—ასეთი მკაცრი და სმამაღალი სახელწოდების მიუხედავად, მუშაობის ელემენტარული პირობები არ ჰქონდა. საქმეებს, ფაქტობრივად, აწარმოებდა ერთი ა უ დ ი ტ ო რ ი, რომელსაც დამხმარედ ასევე ერთი მწერალი და ერთი ასესორი ჰყავდა. ამის გამო, „კომისიაში" საქმეების განხილვა ჭიანურდებოდა, რაც პატიმართა სამართლიან გულისწყრომას იწვევდა. გარდა ამისა, აუდიტორი, მწერალი თუ ასესორი ხშირად ხელმრუდე, ლოთი და უზნეო პირები იყვნენ. ადგილობრივ ხელისუფლებას მათი შეცვლის სურვილიც რომ ჰქონოდა, უმეტეს შემთხვევაში, ამას ვერც მოახერხებდა მომზადებული და ღირსეული კადრების დეფიციტის გამო.

სამხედრო-სასამართლო კომისია ქუთაისში, იმერეთის მართვის სტრუქტურაში ერთი რგოლი იყო, რომელიც მხარის შემდგომი ათვისებისა და კოლონიზაციის მიზნებს ემსახურებოდა.

---

[97] ს ც ს ს ა, ფ. 2, აღწ. 1, საქ. 3354, ფურ. 43-46.

6. ოკრუგის მართვა — იმერეთის მართვის სტრუქტურაში ძირითად ადმინისტრაციულ ერთეულს ოკრუგი წარმოადგენდა. ტერიტორიულად და მოსახლეობის რაოდენობის მხრივ (დაახლოებით 30 ათასი მცხოვრები თითოეულში), ისინი ერთმანეთისაგან დიდად არ განსხვავდებოდნენ. ოკრუგის სათავეში, როგორც არაერთხელ ითქვა, იდგა უფროსი (წლიური ჯამაგირი 400 მან. ვერცხლით.),[98] რომელსაც ჰყავდა თავადაზნაურობიდან არჩეული ორი თანაშემწე (თითოეულის წლიური ხელფასი 200 მან. ვერცხლით), აგრეთვე—საქმის მწარმოებელი (ხელფასი—148 მან. 50 კაპ.), ოთხი მწერალი (ხელფასი—100 მან. თითოეულს), ოთხი თარჯიმანი (ხელფასი—120 მან. თითოეულს). ოკრუგის უფროსს საკანცელარიო ხარჯებისათვის წლიურად 120 მანეთი ეძლეოდა. XIX საუკუნის 30-იანი წლების დასაწყისში, ოთხივე ოკრუგის მართვაზე წლიურად 4.792 ვერცხლის მანეთი იხარჯებოდა.[99]

ოკრუგის უფროსის თანაშემწეებს ყოველწლიურად ირჩევდნენ. მათ, იმერეთის მმართველის წარდგენით, მთავარმმართველი ამტკიცებდა.

ოკრუგის უფროსის განკარგულებაში იყო ერთი ასეული ოფიცრის მეთაურობით და 30 ცხენოსანი კაზაკი.

ოკრუგის მართვის აპარატი საერობო პოლიციის (Земская полиция) ფუნქციებს ასრულებდა—თვალყურს ადევნებდა მოსახლეობის კეთილსაიმედობას და პოლიტიკურ განწყობილებას, თავისი ხელისუფლების ფარგლებში იბრძოდა ძალადობის, ყაჩაღობისა და ქურდობის წინააღმდეგ, ხელმძღვანელობდა ბეგარავალდებულებათა დროულად შესრულებისა და გადასახადების აკრების საქმეს, მოსახლეობაში და პირუტყვთა შორის ეპიდემიის გავრცელების შემთხვევაში, ასორციელებდა პირველ გადაუდებელ ღონისძიებებს, ოკრუგის მასშტაბით ზრუნავდა გზებია, ხიდების და სატრანსპორტო საშუალებების მოწესრიგებაზე, გამოიძიებდა და განიხილავდა უმნიშვნელო საქმეებს, რომელთა სარჩელი 50 მანეთს არ აღემატებოდა.[100]

---

[98] ქუთაისის ოკრუგის უფროსის წლიური ჯამაგირი იყო 500 მან. ვერცხლით.

[99] სცსსა, ფ. 2, აღწ. 1, საქ. 3354, ფურ. 39-42.

[100] Акты..., т. IV, с. 258.

ოკრუგის უფროსები, როგორც წესი, შტაბს და ობერ-ოფიცერთა რიგებიდან ინიშნებოდნენ. რუსული ხელისუფლების არსებობის პირველ წლებში, მათთვის ეს თანამდებობა შეთავსებითი იყო, არც ხელფასს იღებდნენ და ამიტომ მის შესრულებას ზერელედ, გულგრილად ეკიდებოდნენ. გენ.-მაიორი თ. სიმონოვიჩი ჯერ კიდევ 1814 წლის თებერვალში მთავარმმართველს თხოვდა შეერჩია და იმერეთში გამოეგზავნა ოთხი კეთილსაიმედო ოფიცერი, რომელთათვის ოკრუგის უფროსობა ერთადერთი თანამდებობა იქნებოდა და ამისათვის შესაფერის ჯამაგირსაც მიიღებდნენ.[101] შემდეგში ეს მდგომარეობა ერთგვარად გამოსწორდა, მაგრამ არა არსებითად. 1830 წელს იმერეთის დროებითი მმართველობის რევიზიის ანგარიშში გრაფი პ. კუტაისოვი აღნიშნავდა, რომ ოკრუგის უფროსთა უმრავლესობას რეგიონის მართვისათვის საჭირო ცოდნა, გამოცდილება და უნარი არ გააჩნდა, მაშინ, როდესაც მათი ხელისუფლება საკმაოდ დიდი იყო—ოკრუგის უფროსი თავის თავში აერთიანებდა: გამომძიებელს, მოსამართლესა და აღმასრულებელს. თანაშემწეები თითქმის არავითარ მონაწილეობას არ იღებდნენ ოკრუგის მართვაში. მათ ზოგჯერ მიმართავდნენ იმ შემთხვევაში, როცა ადგილობრივ რაიმე ჩვეულებასთან დაკავშირებით, ახსნა-განმარტება იყო საჭირო. გრაფი პ. კუტაისოვი გაოცებით წერდა, რომ ოკრუგის მართვასთან დაკავშირებულ მასალებში, მან ვერაფერი ვერ აღმოაჩინა იმის დამადასტურებელი, რომ თანაშემწეები, საერთოდ, რაიმე ფუნქციას თუ ასრულებდნენ. ასე რომ, უფროსი ერთპიროვნულად წყვეტდა ყველა საკითხს და მისთვის ჩაბარებული ოკრუგის თვითმპყრობელი მმართველი იყო. მიუხედავად ამისა, მათი უმრავლესობა უპასუხისმგებლოდ ეკიდებოდა დაკისრებული მოვალეობის შესრულებას. მათ საქმიანობაზე, განსაკუთრებით პირველ ხანებში, თითქმის არავითარი კონტროლი არ არსებობდა. და, თუ ოკრუგის უფროსის თვითნებობა ყოველგვარ საზღვარს გადავიდოდა, დასჯიდნენ იმით, რომ უკანვე დააბრუნებდნენ პოლკში ძველ თანამდებობაზე, ხოლო მის მაგივრად, იმავე პოლკიდან წამოიყ-

[101] იქვე, ტ. V, გვ. 474.

ვანდნენ სხვას, რათა მას, პ. კუტაისოვის სიტყვებით, ახალი უმსგავსობანი ჩაედინა.

30-იანი წლებიდან ოკრუგის უფროსები ვალდებული იყვნენ მმართველობაში წარედგინათ ყოველთვიური და ყოველწლიური დაწვრილებითი ანგარიში ჩატარებული მუშაობისა და ადგილზე არსებული მდგომარეობის შესახებ.

ქუთაისის ოკრუგის პირველი უფროსი იყო ბელევსკის პოლკის მაიორი მარტინ ვასილის ძე ანდრეევსკი მე-5. იგი დაინიშნა იმერეთში სახალხო აჯანყების ბობოქარ დღეებში—1810 წლის ივნისში და ამ თანამდებობაზე 20-იანი წლების მეორე ნახევრამდე დარჩა. მ. ვ. ანდრეევსკი მეგზურობას უწევდა ჟ. გამბას ქუთაისისა და შორაპნის ოკრუგების დათვალიერების დროს. ჟ. გამბა წერდა: „...თან გვახლდა მაიორი მარტინ ვასილიჩი, რომელიც თვრამეტი წლის განმავლობაში ქალაქ ქუთაისსა და ქუთაისის მაზრას განაგებდა.[102] მიუხედავად იმისა, რომ ეს ოფიცერი აზნაური იყო, თავისი სამხედრო კარიერა მას რიგით ჯარისკაცად დაუწყია ეკატერინე დედოფლის მეფობის ხანაში. იგი გზაში ხშირად გვართობდა ლაშქრობების დროს საკუთარ თავგადასავალთა თხრობით... რუსეთის მთავრობამ სწორედ მაიორ ვასილიჩს მიანდო სამეგრელოს იმ უფლისწულის აღზრდა, რომელიც ამჟამად მთავრობს; ამ დროიდან მოკიდებული აღმზრდელსა და მოწაფეს სიყვარული აკავშირებთ... მოხუცი მაიორი დღესდღეობით სამსახურიდან გადამდგარია და სარგებლობს მთავარ დადიანის მიერ შემოთავაზებული მასპინძლობით“.[103]

მ. ვ. ანდრეევსკი მე-5 იმერეთის მმართველობის ჩინოვნიკთა შორის ერთ-ერთი პირველი იყო, რომელიც ხანგრძლივად ემსახურა ცარიზმის კოლონიზატორულ პოლიტიკას დასავლეთ საქართველოში. 1824 წელს იგი კვლავ ქუთაისის ოკრუგის უფროსის პოსტზეა პოდპოლკოვნიკისა და კავალერის ჩინით.[104]

მ. ვ. ანდრეევსკის მემკვიდრეები იყვნენ: სპესივცევი (1830

---

[102] ჟ. გ ა მ ბ ა ოკრუგის ნაცვლად, მაზრას ხმარობს.
[103] ჟ. გ ა მ ბ ა, დასახ. ნაშრ., გვ. 167.
[104] ქ ც ს ა, ფ. 21, საქ. 72, ფურ. 1, 2, 93-108. 113, 121, 596, 607.

წლამდე),[105] ოსტოლოპოვი (30-იანი წლების პირველ ნახევარში),[106] კოლეუსკი სეკრეტარი ქორქიევი (ქორქაშვილი).[107]

1810 წლის ივნისში, რაჭის ოკრუგის უფროსად გაიგზავნა ბელევსკის პოლკის მაიორი გედრიმოვიჩი.[108] 1811 წლის 3 მარტს იმერეთის მმართველის გენ.-მაიორი თ. სიმონოვიჩის წარდგენით, ამ თანამდებობაზე მთავარმმართველმა ა. ტორმასოვმა ანტონ ერისთავი დანიშნა. მან განსაკუთრებით „გამოიჩინა" თავი რუსებისადმი ერთგულებით 1810 წელს სოლომონ მეორის წინააღმდეგ ბრძოლის დროს.[109]

რაჭისადმი განსაკუთრებულ დაინტერესებას იჩენდნენ ყოფილი სახლთუხუცესი და მისი ვაჟი გრიგოლ წერეთელი. როგორც ირკვევა, მამა-შვილს მოუხერხებიათ და 1812-1814 წლებში რაჭის ოკრუგის უფროსის თანამდებობაზე გრიგოლ წერეთელი დაუნიშნავთ. მაგრამ 1814 წლის აგვისტოში გენ.-მაიორმა თ. სიმონოვიჩმა გრ. წერეთელი გადააყენა და მის ნაცვლად ეგერთა პოლკის შტაბს-კაპიტანი ლინევსკი დანიშნა. ამასთან დაკავშირებით, თ. სიმონოვიჩი გრ. წერეთელს წერდა: „...მოწყალეო ხელმწიფეო ჩემო, თავადო გრიგოლ ზურაბის ძევ! ჟამსა ქუეყნისა ამის ჩემგან დახედვისასა, სხუათა შორის, მიხვდერა საქმეთაცა რაჭის მაზრისათა, რომელ მუნ თქუენს ბრწყინვალებას როსსიულისა ენისა და წერილისა უმეცრებისა გამო, არა ერთგზის დაგიშთენიათ აქაურის მმართველობის წინადადებანი თვინიერ აღსრულებისა და მისგან წარმომდგარნიცა სხვა და სხვანი უწესოებანი,—მე ვალისამებრ ჩემისა, საჭიროდ ვრაცხე ხსენებული! რაჭის მაზრისა აწ რწმუნებაჲ დრომდე მეათხუთმეტე იეგირის პოლკის შტაბსკაპიტნის ლინევსკისადმი, რომლისათვის მიბრძანებიაცა როტით წასვლაჲ მუნდა აღსრულება მუნებურის ოკრუჟნის ნაჩალნიკის თანამდებობისა. რომლის გამო მე თქუენ, მოწყალეო ხელმწიფეო ჩემო, გთხოვ, რათა, შემდგომად მიღებისა ამის, ყოველი რაჭის მაზრის ოკრუჟნის ნაჩალნიკის თანამდებო-

---

105 ს ც ს ს ა, ფ. 2, აღწ. 1, საქ. 6225, ფურ. 36-52.

106 ი ქ ვ ე.

107 ი ქ ვ ე, საქ. 4577, ფურ. 7; ქცსა, ფ. 175, საქ. 26, ფურ. 27-51.

108 Акты..., т. IV, с. 292.

109 ი ქ ვ ე, გვ. 91.

ბისადმი შესახვედრი საქმე მიაბაროთ ხსენებულს შტაბსკაპიტანს ლინევსკის..." ამასთან ერთად, თ. სიმონოვიჩი მადლობას უსდიდა გრ. წერეთელს ორი წლის განმავლობაში რაჭის ოკრუგის უფროსის თანამდებობაზე ყოფნის გამო.[110] კაპიტან ლინევსკის შემდეგ, რაჭის ოკრუგის უფროსის თანამდებობაზე იმყოფებოდნენ: მაიორი ცაცკა, ოსტროუხოვი, კოვალიოვი, სოკოლოვი და სხვ.

ვაკის ოკრუგის უფროსები იყვნენ: მაიორი ორლოვი,[111] კოლეჯსკი ასესორი მედვედევი,[112] მოკრიცკი[113] და სხვ. შორაპნის ოკრუგის უფროსები—შტაბს-კაპიტანი შკლიარევსკი,[114] ლუნდიშევი, ილინი[115] და სხვ.

7. მოურავობის ინსტიტუტი და დროებითი მმართველობა — იმერეთში რუსული მმართველობის ერთ-ერთ თავისებურებად შეადგენდა ისიც, რომ მის გვერდით სამოურავოები 1840 წლამდე არსებობდა.

მოურავობა ფეოდალურ საქართველოში მასობრივი თანამდებობა იყო. მოურავი მხარესაც ჰყავდა, ქალაქსაც და სოფელსაც. XIX საუკუნის დასაწყისისათვის, მარტო იმერეთის სამეფო სოფლების მოურავთა რაოდენობა 40-მდე აღწევდა.[116] შემოსახულია მათი სახელობითი სია და მაშასადამე, საშუალება გვაქვს ვიცოდეთ სამი ათეული წლის მანძილზე, რუსული ადმინისტრაციის არსებობის პირობებში, მოურავის თანამდებობაზე ყოფნით, ვინ მონაწილეობდა იმერეთის მართვაში.

1810 წლის მონაცემებით, იმერეთის სამეფო სოფლების მოურავები იყვნენ:[117]

1. ჩხერის ციხისა და მისი შემოგარენის	თავადები ზურაბ და როსტომ წერეთლები
2. ლოსიათხევის	აზნაური სიმონ მაჭავარიანი

[110] შ. ბურჯანაძე, დასახ. პუბლიკაცია, გვ. 140-141.
[111] ქცსა, ფ. 175, საქ. 5, ფურ. 1-21.
[112] იქვე, საქ. 20, ფურ. 95-96.
[113] იქვე, საქ. 26, ფურ. 15-16.
[114] იქვე, საქ. 21, ფურ. 173.
[115] სცსსა, ფ. 2, აღწ. 1, საქ. 4985, ფურ. 28.
[116] Акты..., т. IV, с. 258-259.
[117] იქვე.

3. სვირის	აზნაური ფირან გუმცაძე
4. ობჩის	
5. ზეგანის ხეობის, კიკნაველეთის 6. ხანის ხეობის, სოფ. ხანის, ზეკარის, დიმის	აზნაურები ქაიხოსრო და გოგია აბულაძეები
7. ვარცისის	აზნაური ბერი უგრესელიძე
8. საჩინოსა და დისაშსოს თემის	აზნაური ოტია ლორთქიფანიძე
9. შუამთის, საპაიჭაოს ციხის შემოგარენით, ჭყვიშის	თავადი ვახუშტი ჩიჯავაიძე
10. საჯავახოს	თავადი ნიკოლოზ ლორთქიფანიძე
11. საჭილაოს	აზნაური ზაალ და გრიგოლ კორძაიები
12. ფარცხანაყანევის	ნიჟარაძეები
13. ქვიტირისა და მესხეთის	აზნაური ბუჭუა მდივანი
14. გეგუთის	თავადები იასე და ლევან იაშვილები
15. ჯიხაიშის	სახლთუხუცესის ზურაბ წერეთლის გამგებლობაშია
16. ფიცის კაცების თემი	თავად ნიკოლოზ ლორთქიფანიძის გამგებლობაშია
17. კვასჭირის	აზნაური სესია აბაშიძე
18. აჯამეთის	აზნაური კლდიაშვილი
19. მუხურის ციხის სოფლიოურთ	აზნაური ხუცია საყვარელიძე
20. ოკრიბის	აზნაურები ქუჩუ და გარსევან ყიფიანები
21. ოჯოლის	თავადი გიორგი წულუკიძე
22. ჩხარის	აზნაურები ნიკოლოზ და გოგისა იშხნელები
23. კაცხისა და ქვაციხის	აზნაური პაატა ლოლაძე
24. თუზის, ვარდიგორის, წირქვალის და სრეითის	აზნაურები პაატა და ვასუშტი ლოლაძეები

25. საწერეთლოს და სოფ. ჭალის	თავადი ზ. წერეთელი
26. საქარისა და ჭალატყის	- თავადი ქაიხოსრო აბაშიძე
27. ქორეთის	ადგილობრივი აზნაურები
28. ღების	აზნაური ოტია ჯაფარიძე
29. ჭიორას	აზნაური ბეჟან ჯაფარიძე
30. გლოლას, უწერის, გომის, ნაკიეთის, ძეგლევის, ლაგუამთის, საკაოს	აზნაური ოტია ჯაფარიძე
31. ცისის, მინდას, ლიხეთის, ურავის და ამბარის	აზნაური ამაღლობელი
32. კრიხის, კვარასციხის და სხვავას	აზნაური სიმონ ბაქრაძე
33. ხვანჭკარის	ადგილობრივი აზნაურები
34. ჭყვიშის ციხე შემოგარენით	თავადი გიორგი გელოვანი
35. საზანოს	თავადი ბეჟან ავალიშვილი

მოურავობა სამემკვიდრეო თანამდებობა იყო და მოურავები ყველა თავადაზნაურობიდან გამოდიოდნენ. წვრილ და მცირეყმიან ქართველი თავადაზნაურობისათვის მოურავობა მატერიალური არსებობის უმთავრეს წყაროს წარმოადგენდა. მაგრამ იგივე იყო, ამავე დროს, მისი სოციალური გავლენის არანაკლებმნიშვნელოვანი წყაროც.[118]

რადგან მოურავობა „ქართული ადმინისტრაციული წყობილების" დედაბოძს წარმოადგენდა" (ნ. ბერძენიშვილი), რუსული მმართველობა, ცხადია, მას ვერ იგუებდა. რუსული სამაზრო ხელისუფლება და ქართული მოურავობა ერთიმეორეს გამორიცხავდა—ან ერთი უნდა ყოფილიყო ან მეორე.[119] მაგრამ იმის გამო, რომ ქართველი თავადაზნაურობა თავგამოდებით იბრძოდა მოურავობის შესანარჩუნებლად, რუსეთის მთავრობამ ერთბაშად მისი ლიკვიდაცია ვერ მოახერხა და თანდათანობით გაუქმების გზას დაადგა. ეს პროცესი

---

[118] ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 432.

[119] დ. გ ო გ ო ლ ა ძ ე, საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარება გვიანფეოდალურ ხანაში (საადგილმამულო ურთიერთობა) 1800-1864 წწ., თბ., 1971, გვ. 82.

დაიწყო პ. ციციანოვმა და დაამთავრა XIX საუკუნის 20-იან წლებში ა. ერმოლოვმა.[120]

იმერეთსა და გურიაში მოურავობა 1840 წლამდე შემორჩა. გაუქმდა მხოლოდ ქუთაისის მოურავის თანამდებობა (1810 წ.), რომელიც კომენდანტმა შეცვალა. საქმე იმაშია, რომ სამაზრო მმართველობის არ არსებობის პირობებში, სოფლების მართვა-გამგეობა, ძველებურად ფეოდალებისა და მოურავების ხელში დარჩა. მათზე ზედამხედველობას ოკრუგის უფროსი განასორციელებდა. ეს არ ნიშნავდა იმას, რომ იმერეთის რუსული ხელისუფლება მოურავობის ინსტიტუტის ხელუხლებლად დატოვებას აპირებდა. რუსეთის მთავრობა ფრთხილად მოქმედებდა. მას ეშინოდა მოურავობის გადავარდნით, ახალი პოლიტიკური გართულებანი არ გამოეწვია დასავლეთ საქართველოში, სადაც ვითარება ისედაც არასტაბილური იყო. საყურადღებოა ის ფაქტი, რომ თავდაპირველად, საეკლესიო სოფლების მოურავების გაუქმების საკითხი დაისვა. 1821 წელს არქიმანდრიტი ნიკოლოზი საქართველო-იმერეთის სინოდალურ კანტორას აცნობებდა, რომ საეკლესიო სოფლების მოურავები არა მარტო საეკლესიო შემოსავლებიდან სარგოს იღებდნენ, არამედ გლეხებს ავიწროებდნენ ხშირი სტუმრიანობითა და სხვადასხვა სახის მოთხოვნებით. აქედან გამომდინარე, იგი აყენებდა მოურავობის გაუქმების საკითხს. არქიმანდრიტის აზრით, ასეთ შემთხვევაში, გადასახადების აკრება ეკლესიის მსახურებს დაევალებოდათ. სინოდალურმა კანტორამ ეს წინადადება ყურადღებით განიხილა და შესაბამისი დადგენილება მიიღო. მაგრამ ა. ერმოლოვმა, რომელიც პირადად კატეგორიულად წინააღმდეგი იყო მოურავობის შენარჩუნებისა, სიფრთხილე გამოიჩინა და ამ დადგენილების განხორციელებას სანქცია არ მისცა. ის-ის იყო სისხლში ჩაახშვეს სახალხო აჯანყება (1820 წ.) და ასეთ გარდაქმნას შეიძლებოდა ახალი მღელვარება გამოეწვია. მაგრამ არქიმანდრიტი ნიკოლოზი ამაოდ არ დამშვრალა. იმერეთის არქიეპისკოპოს სოფრონიოსს მიეცა მითითება — არ გაეუქმებია საეკლესიო სოფლებში მოურავობა, ყველაფერი დარჩენილიყო ძველე-

---

120 მოურავობის ინსტიტუტის შესახებ, იხ. ჯ. კოპალიანი, მოურავის სახელო ფეოდალურ საქართველოში, თბ., 1982.

ბურად, მაგრამ მკაცრი კონტროლი დაეწესებიათ მოურავთა საქმიანობაზე და რაც მთავარია, გარდაცვლილი მოურავის ნაცვლად ახალი არ დაენიშნათ. ეს, ფაქტობრივად, იმერეთში მოურავობის გაუქმების მაუწყებელი იყო.[121]

მოურავების მიერ გლეხთა შევიწროების ფაქტები გამოვლინდა სენატორ პ. კუტაისოვის იმერეთში ყოფნის დროს. განსაკუთრებით ბევრი იყო საეკლესიო გლეხთა საჩივარი. ამასთან დაკავშირებით, გელათის მონასტრის არქიმანდრიტი ნიკოლოზი და ჭელიშის მონასტრის არქიმანდრიტი სიმონი იმერეთის არქიეპისკოპოსს მოახსენებდნენ, რომ „...საჩივრები ეხება არა საეკლესიო სამღვდელო პირებს, არამედ მ ო ურ ა ვ ე ბ ს. ამისათვის თუ წოდება გამგებლობისა გვაქვს ჩვენ, არამედ მოქმედება გამგებლისა აქვთ მოურავებს 1820 წლიდამ"...[122] 1836 წელს იმერეთის სინოდალურმა კანტორამ კვლავ დააყენა საკითხი, გაეუქმებიათ სოფლის მოურავების თანამდებობა.[123] მაგრამ ამ მიმართულებით, მაშინ რაიმე არსებითი არ გაკეთებულა.

იმერეთში მოურავობის ინსტიტუტის გაუქმება დაკავშირებულია გენ.-მაიორ ა. ესპეხოს სახელთან. მან 1839 წლის 18 ივლისს მითითება მისცა ოკრუგის უფროსებსა და გურიის დროებით მმართველობას—ამიერიდან არავინ არ დაეშვათ მოურავის თანამდებობის დასაკავებლად, ყოველ სოფელში მოსახლეობას აერჩია ნაცვალი, რომელიც საზოგადოებრივ და სახაზინო დავალებებს შეასრულებდა.[124] ოკრუგის უფროსებს დაევალათ მოურავების მუშაობა შეემოწმებიათ და ნაკლოვანებათა გამოვლენის შემთხვევაში, დაეყენებიათ მათი გადაყენების საკითხი. ეს იყო იმერეთში მოურავობის გაუქმების ერთ-ერთი მეთოდი, რომელიც სავსებით მოიწონა საქართველოს მთავარმმართველმ., გენ.-ლეიტენანტმა ევგ. გოლოვინმა.[125]

სუსტი მუშაობის საბაბით, თანამდებობიდან გაათავისუფლეს ოზურგეთის მოურავი, თავადი გიორგი როსტომის ძე ნაკაშიძე,[126]

---

121 Акты..., т. VI, ч. 1, с. 440-441; დ. გოგოლაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 86.
122 ქ ც ს ა, ფ. 21, საქ. 699, ფურ. 2.
123 ი ქ ვ ე, საქ. 1343, ფურ. 1-4.
124 ს ც ს ს ა, ფ. 2, აღწ. 1, საქ. 6085, ფურ. 1-2.
125 ი ქ ვ ე, ფურ. 4.
126 ქ ც ს ა, ფ. 175, საქ. 45, ფურ. 1.

ტეგუთის მოურავი, თავადი ქაიხოსრო იაშვილი[127] და სხვები. 1840 წლის 16 იანვარს გ. ნაკაშიძემ თხოვნით მიმართა იმერეთის მმართველს. მასში ნათქვამია: ჩემი წინაპრები, გურიის სამთავროს არსებობის დროს, ოზურგეთის მოურავები იყვნენ. რუსულმა მმართველობამ ეს თანამდებობა მე გადმომცა და აქამდე კეთილსინდისიერად ვმუშაობდი. ახლა გამათავისუფლეს, თითქოს, სხვადასხვა დარღვევების გამო. ითხოვდა აღდგენას. ანალოგიური თხოვნით მიმართა მმართველს ქაიხოსრო იაშვილმა, მაგრამ უშედეგოდ.

ქუთაისის ოკრუგის უფროსი ქორქიევი (ქორქაშვილი) გენ.-მაიორ ა. ესპეხოსადმი 1839 წლის 7 სექტემბერს გაგზავნილ რაპორტში წერდა: „მოურავის მოვალეობისაგან გავათავისუფლე ქაიხოსრო იაშვილი და მის ადგილზე ნაცვლად დავნიშნე, ჩემს მიერ არჩეული, წერა-კითხვის მცოდნე, სოფრომ კაპეტივაძე". ოკრუგის უფროსი ა. ესპეხოს თხოვდა მითითებას, როგორ მოქცეულიყო მომავალში — თვითონვე შეერჩია ნაცვალი, თუ ეს საქმე საზოგადოებისათვის მიენდო. ქორქაშვილის აზრით, მოურავობის გაუქმებით, მთავრობა ბოროტების აღმოფხვრას ცდილობდა, ხოლო თუ ნაცვალს მოსახლეობა აირჩევდა, შეიძლებოდა იგი უღირსი გამომდგარიყო. ამის საპასუხოდ ა. ესპეხო წერდა: ნაცვალს მე ვამტკიცებ თქვენი წარმოდგენის საფუძველზე. ნაცვალი აირჩიოს მოსახლეობამ, მაგრამ თუ იგი, თქვენი აზრით, ღირსეული არ იქნება, ნუ წარმომიდგენთ დასამტკიცებლად და საზოგადოებას წინადადება მიეცით აირჩიოს ახალი.[128]

იმერეთის მმართველს ამ მიმართულებით დიდი მუშაობის ჩატარება აღარ დაჭირვებია, რადგან 1840-1846 წლებში ამიერკავკასიის მასშტაბით გატარებულმა ადმინისტრაციულმა რეფორმამ, მოურავობის ინსტიტუტი ისტორიის საკუთრება გახადა.

მოურავობის გაუქმებით, ცარიზმმა ქართველ თავადაზნაურობას ხელისუფლებაში მონაწილეობის საშუალება და შემოსავლის მნიშვნელოვანი წყარო მოუსპო.[129] დაჩქარდა სრული რუსული მმართველობის შემოღების საქმე.

---

[127] ი ქ ე ე, საქ. 41, ფურ. 1-16.

[128] ი ქ ვ ე.

[129] დ. გ ო გ ო ლ ა ძ ე, დასახ. ნაშრ., გვ. 86.

8. ქუთაისის კომენდანტი — იმერეთში, რუსული მმართველობის დამყარების პროცესში, ერთ-ერთ პირველ ნაბიჯს, მეფის ტახტიდან ჩამოგდების შემდეგ, ქუთაისის მოურავის თანამდებობის გაუქმება წარმოადგენდა. 1810 წლის 28 მარტს თ. სიმონოვიჩი გენ. ა. ტორმასოვს მოახსენებდა, რომ ქალაქში წესრიგის დაცვის მიზნით, კომენდანტის მოვალეობის შესრულება მასთან პოლკში მყოფ, მაიორ პანკრატიევს დაავალა.

ქუთაისის მოურავობა უაღრესად პრესტიჟული სახელო იყო და XIX საუკუნის დასაწყისში მას სამეფო კარზე დიდი გავლენის მქონე თავადები — კაცია, სიმონ და დავით წულუკიძეები ფლობდნენ.[130] ქუთაისის მართვა-გამგეობას რუსეთის მთავრობა, ცხადია, მათ ხელში ვერ დატოვებდა. ამიტომ ქალაქის კომენდანტის თანამდებობის შემოღების საკითხი, სამეფოს გაუქმების პირველ დღეებშივე დადგა.

იმერეთში არსებული მმართველობის დახასიათებისას, თ. სიმონოვიჩი 1812 წლის 7 ივნისს წერდა: ქუთაისში პოლიციის ხელმძღვანელობისა და წესრიგის დასაცავად დანიშნულია კომენდანტი. ამჟამად ამ მოვალეობას ბელევსკის პოლკის კაპიტანი ასრულებსო.[131]

იმერეთში დროებითი მმართველობის შემოღების იმ პროექტში, რომელიც 1814 წლის 25 თებერვლითაა დათარიღებული, ნათქვამია: „...ქ უ თ ა ი ს შ ი ს ა გ ა ნ გ ე ბ ო კ ო მ ე ნ დ ა ნ ტ ი ს ა ჭ ი რ ო ა რ ა რ ი ს, რადგან იქ ჯარები მუდმივად უნდა იყვნენ განლაგებული და მათი უფროსი აგებს პასუხს ქალაქის უშიშროებასა და სამხედრო წესრიგის დაცვაზე. ქალაქის მართვა დაევალოს ქუთაისის ოკრუგის უფროსს იმავე დებულების გამოყენებით, რომლითაც განსაზღვრულია ოკრუგის უფროსის უფლებამოვალეობანი“. (ხაზგასმა ჩვენია, გ. ვ.).

ეს პროექტი არ განხორციელებულა და თ. სიმონოვიჩის მიერ შემოღებული ქ უ თ ა ი ს ი ს კ ო მ ე ნ დ ა ნ ტ ი ს თ ა ნ ა მ დ ე ბ ო ბ ა ძ ა ლ ა შ ი დ ა რ ჩ ა 1840 წ ლ ა მ დ ე.

ჩვენს ხელთ არსებული მასალების მიხედვით, ქუთაისის კომენდანტის პოსტზე განსაკუთრებით დიდხანს იმყოფებოდა მა-

---

130 Акты..., т. IV, с. 258.

131 Акты..., т. V, с. 400.

იორი ნოსკოვი (XIX საუკუნის 20-იანი წლების დასაწყისიდან 30-იანი წლების დასაწყისამდე.). იგი, როგორც ქალაქის კომენდანტი, 1823 წლის 12 ნოემბერს ქუთაისის ოკრუგის უფროსს, პოდპოლკოვნიკ და კავალერ მ. ვ. ანდრეევსკი მე-5-ს აცნობებდა, რომ ახალციხეში მცხოვრებმა ივანე ბუბაშვილმა რუსეთის ქვეშევრდომობა მიიღო, სურს დაქორწინდეს ქვიტირში მცხოვრებ რუსუდან ავალიანზე და საჭიროა თქვენი ნებართვა, რომ მღვდელმა მათ ჯვარი დაწეროსო.[132]

კომენდანტი ნოსკოვი ხელმძღვანელობდა ახალციხელი კათოლიკე სტეფანე ფეიქრიშვილისა (1835 წლის ივლისი)[133] და გორიდან იმერეთში დაბრუნებული მამუკა ნიკოლაძის (1835 წ. აგვისტო)[134] ქუთაისის მოქალაქეთა რიგებში ჩარიცხვის საკმაოდ რთულ პროცედურას.

იმერეთის დროებითი მმართველობის ფონდში დაცულია ქუთაისის კომენდანტის ანგარიში 1837 წლისათვის, შედგენილი მაიორ ნოსკოვის მიერ.[135]

ჩვენი აზრით, ეს არის რუსული მმართველობის არსებობის პერიოდში, ქუთაისის ერთ-ერთი პირველი სრული აღწერა, რომელიც შეიცავს მონაცემებს: ქალაქში არსებული ნაგებობების, მოსახლეობის რაოდენობის, მისი წოდებრივი, სოციალური და ეროვნული შემადგენლობის, საგანგებო შემთხვევების, სარეალიზაციოდ შემოტანილი საქონლის სახეობათა და ფასების, ვაჭრობის, ხელოსნობის, ფულის კურსის, შემოსავალ-გასავლის, მომხდარ დანაშაულობათა, მოსამსახურე პერსონალის შესახებ და სხვ.

1839-1840 წლებში ქუთაისის კომენდანტის პოსტზე იმყოფებოდა პოდპოლკოვნიკი ალექსი მიხეილის ძე ჩერნიკოვი.[136] იგი რამდენჯერმე ასრულებდა იმერეთის მმართველის მოვალეობასაც.

---

132 ქ ცს ა, ფ. 21, საქ. 72, ფურ. 415.

133 ი ქ ვ ე, ფ. 175, საქ. 26, ფურ. 301-302.

134 ი ქ ვ ე, ფურ. 473-474.

135 ი ქ ვ ე, საქ. 34, ფურ. 18-36.

136 ი ქ ვ ე, საქ. 46, ფურ. 1; სცსსა, ფ. 2, აღწ. 1, საქ. 6502, ფურ. 8-11.

კომენდანტს, ისე, როგორც ოკრუგის უფროსს, დამხმარეულ ჰყავდა თანაშემწეები ადგილობრივი თავადაზნაურობიდან არჩეული: ნაცვალი და ხელოსანი.

ქალაქის მართვა კომენდანტის საშუალებით, ერთხელ კიდევ ადასტურებს იმერეთის დროებითი მმართველობის საერეკრო-საოკუპაციო ხასიათს.

9. იმერეთის დროებითი მმართველობის ხასიათი—კავკასიაში მოსამსახურე ცარიზმის მოხელეთა ერთი ნაწილი თვლიდა, რომ მხარის მმართველობის მოწყობის დროს, იმპერიის ინტერესებიდან გამომდინარე, სასარგებლო და საჭირო იყო ადგილობრივ თავისებურებათა გათვალისწინება. მარკიზი პაულუჩი 1811 წლის 14 ოქტომბერს პოლიციის მინისტრთან გაგზავნილ რაპორტში აღნიშნავდა: იმერეთში, იქ არსებული ვითარების გათვალისწინებით, რუსეთის კანონმდებლობის საფუძველზე, მთავრობის შექმნა იმპერიის ინტერესებისათვის სასარგებლო არ იქნება, რადგან: 1. მისი შენახვა გაცილებით მეტი დაჯდება, ვიდრე იმერეთის შემოსავლებია და მდგომარეობა კი ათეული წლების მანძილზე არ გაუმჯობესდება; 2. სავსებით განსხვავებულია მოსახლეობის ადათ-წესები. იგი მიჩვეულია სწრაფ, ზეპირ სამართალწარმოებას და საჭიროა გარკვეული დრო ევროპულ გაჭიანურებულ სასამართლო პროცესებთან შესაგუებლად; 3. იმერეთის ადგილმდებარეობა ისეთია, რომ ძნელია მისი ადმინისტრაციული მოწყობა; 4. მეფე იმერეთის საზღვრებთან ახლოს იმყოფება, რაც მშვიდობის დამყარებას სერიოზულ დაბრკოლებას უქმნის.[137] იგივე ფ. პაულუჩი ცოტა მოგვიანებით (1812 წლის 20 მარტი) გენ. ნ. რტიშჩევს წერდა: რუსეთის იმპერია არის მრავალი ქვეყნისაგან შედგენილი მოზაიკა. ამ ქვეყნებს კი საერთო არაფერი აქვთ გარდა ხელმწიფისა. ისინი სრულიად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან: კლიმატით, მოსახლეობის ცხოვრების წესითა და ადათ-

[137] Акты..., т. V, с. 92. მარკიზი ფ. პაულუჩის შესახებ თეიმურაზ ბაგრატიონი წერდა: „მარკიზი პავლუჩი ელამი რაგვარადაც თვალითა, ეგრეთვე სულითა და მოქმედებითა. ვინადგან აქუნდა მას სული იტალიური, რამეთუ კაცი ეს იყო აღგებული ბოროტად ბუნებისაგან...,“, ახალი ისტორია..., გვ. 78-79.

ჩვევებით. ამის გამო, მთელს იმპერიაში, განსაკუთრებით მის აზიურ სამფლობელოებში, ერთგვაროვნება არ შეიძლება იყოს. პირიქით, მმართველობა უნდა შევუხამოთ ადგილობრივ პირობებს და შევეცადოთ ეროვნული ხასიათის გათვალისწინებით, მივაღწიოთ მიზანს, რომლის არსი სამართლიანობის, შინაგანი და საგარეო მშვიდობის უზრუნველყოფაში მდგომარეობს.[138]

იმერეთში არსებულმა ვითარებამ აუცილებლობის წინაშე დამაყენა—სიმშვიდის დამყარებამდე მოვითმინო იქ დროებითი მმართველობის არსებობა, შემოვიფარგლო ცნობების შეგროვებით იმერეთის მოსახლეობის რაოდენობისა და სახელმწიფო ხაზინისათვის მოსალოდნელი შემოსავლების წყაროების შესახებ. ჯერ კიდევ არ შემიძლია განვსაზღვრო—წერდა ა. ერმოლოვი, მმართველობის რომელი ფორმაა უფრო მოხერხებული იმერეთისათვის და ამიტომ იძულებული ვარ დავტოვო, რომელიც არსებობს მანამდე, ვიდრე პირადად არ გავეცნობი ამ მხარეს.[139] (ხაზგასმა ჩვენია, გ. ვ.).

ბარონი როზენი იმერეთის დროებით მმართველობას ასე ახასიათებდა: ამჟამად (XIX საუკუნის 30-იანი წლები, გ. ვ.) იმერეთის ოლქში არ არის არც საერობო ან სამაზრო სასამართლო, არც პალატა და საგუბერნიო მმართველობა. ფუნქციონირებს მხოლოდ ერთი—დროებითი მმართველობა, რომელიც მოსახლეობის მცირერიცხოვნების გამო, ყველა სამოქალაქო საქმის გადასაწყვეტად სრულიად საკმარისია... იმერეთის მართვის არსებული სისტემა, ჩემი შეხედულებითა და ღრმა რწმენით,—ხაზგასმით აღნიშნავდა როზენი, უაღრესად სასარგებლო და მოხერხებულია მანამ, სანამ კავკასიაში არ გატარდება მმართველობის რადიკალური რეფორმები. 1811 წლიდან ა. ტორმასოვის, ფ. პაულუჩისა და ნ. რტიშჩევის დროს განხორციელებულმა უმნიშვნელო ცვლილებებმა დაადასტურეს, რომ მმართველობის ის ფორმა, რაც ახლა არსებობს იმერეთში ყველაზე უკეთესი და სასარ-

---

[138] Акты..., т. V, с. 53-54.

[139] Акты..., т. VI, ч. I, с. 607-608.

ებლოა, როგორც მხარისათვის, ასევე იმპერიისათვის[140] (ხაზგასმა ჩვენია, გ. ვ.).

ოცდაათი წელი ელოდა ცარიზმი მტკიცე პოლიტიკურ სტაბილიზაციას იმერეთში, სრული რუსული მმართველობის შემოსაღებად.

ოცდაათი წლის განმავლობაში, უთანასწორო ბრძოლაში ჩაბმული, პატარა იმერეთის მოსახლეობა თავისი გმირული წინააღმდეგობით, ცარიზმს ამის საშუალებას არ აძლევდა.

რუსეთის მთავრობაც ახალი გართულებების შიშით, თავს არიდებდა ძირეულ გარდაქმნებს და ცალკეული, წვრილმანი ცვლილებებით კმაყოფილდებოდა: შესწორებები შეჰქონდა მმართველობის დებულებაში, ზრდიდა რუს ჩინოვნიკთა რიცხვს, ცდილობდა იმერეთის ფინანსური და სამეურნეო საქმეები ფინანსთა სამინისტროს ზედამხედველობისათვის დაექვემდებარებინა, იმერეთის მმართველების მიერ გამოტანილ გადაწყვეტილებებზე საჩივართა კასაცია საქართველოს მთავარმმართველის ნაცვლად, სენატისათვის გადაეცა და ა. შ. მაგრამ ყველაფერი ეს იყო, რბილად რომ ვთქვათ, უვარგისი საკერებელი ძველ ტანსაცმელზე, რომელიც ოდნავადაც კი არ უწყობდა ხელს საერთო ვითარების გაუმჯობესებას.[141]

რუსეთის მთავრობასთან ერთად, ქართველი ხალხის ეკონომიკურ ძარცვაში აქტიურად ჩართულ ფრანგ კონსულ ჟ. გამბას აზრით კი—რუსული მმართველობის დამყარებით „ამ მხარისათვის ისეთი სიმშვიდისა და შვების აისი ამობრწყინდა, როგორსაც იგი არასოდეს არ ყოფილა ჩვეული".[142] ხოლო 1837 წელს თბილისიდან პეტერბურგში დაბრუნებული ნიკოლოზ პირველი წერდა: „არ შეიძლება არ გაოცდე იმით, რომ ხალხი მონარქისადმი ერთგულების გრძნობას ატარებს მაშინ, როცა არსებობს მმართველობის საძაგელი წესი (ხაზგასმა ჩვენია, გ. ვ.), რომელიც ჩემდა სამარცხვინოდ, დიდი ხანია ტვირთად აწევს ამ მხარეს."[143]

---

[140] Акты..., т. VIII, с. 431.

[141] ა. ფირცხალაიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 82.

[142] ჟ. გაშბა, დასახ. ნაშრ., გვ. 208.

[143] პროფ. მ. პოლევექტოვი, 1832 წლის შეთქმულების შესახებ. გაზ. „კომუნისტი", 1927 წ. 20 თებერვალი; ა. კიკვიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 164.

რუსული მმართველობა იმერეთში XIX საუკუნის 40-იან წლებამდე, ისე როგორც მთელს ამიერკავკასიაში, შერეულ, გარდამავალ და დროებით ხასიათს ატარებდა. შერეული იყო იმ აზრით, რომ რუსულ და ადგილობრივი მმართველობის ელემენტებს შეიცავდა, გარდამავალი იმიტომ, რომ ცარიზმს ეს „დათმობაც" (ადგილობრივი ელემენტების გამოყენება მმართველობაში) დროებით მოვლენად მიაჩნდა, რადგან მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი საქართველოსა და ამიერკავკასიის სრული ასიმილაცია.

რაც შეეხება მმართველობის შინაარსს, პირველ ხანებში, ის ამ მხრივაც შერეული იყო, რადგან ერთდროულად ატარებდა სამხედრო-საოკუპაციო და სამოქალაქო მმართველობის ხასიათს და მათ თავისებურ ნაზავს წარმოადგენდა.[144]

ცარიზმი იმერეთში, და საერთოდ მახლობელ აღმოსავლეთში, გართულებული პოლიტიკური მდგომარეობის გამო, სოლომონ მეორის დროს არსებულ მართვა-გამგეობის ძირითად ელემენტებს იყენებდა. იყო გაუთავებელი ბიუროკრატიული მიწერ-მოწერა ქუთაისსა და თბილისს, თბილისსა და პეტერბურგს შორის. გაუთავებლად მსჯელობდნენ მმართველობის მოხელეთა უფლება-მოვალეობასა და შემადგენლობის შესახებ, სასამართლო და აღმასრულებელი ხელისუფლების ურთიერთდამოკიდებულებისა და სხვა საკითხებზე. საბოლოო ანგარიშში კი, სოლომონ მეორის დროინდელი მმართველობა, არსებითად, არ გაუქმებულა. ძველისაგან ახლა იგი, უმთავრესად, იმით განსხვავდებოდა, რომ მის სათავეში რუსი სამხედრო მოხელეები იყვნენ და იქ განლაგებულ სამხედრო ნაწილებს ეყრდნობოდნენ.[145]

რუსულ მმართველობას საქართველოში XIX საუკუნის პირველ ნახევარში, პროფ. შ. ჩხეტიას აზრით, არსებითად, სამხედრო ხასიათი ჰქონდა და ადმინისტრაციის თითქმის მთელი აპარატი გასამხედროებული იყო. ამავე დროს დაიწყო პრივილეგირებული წოდებიდან გამოსული ადგილობრივი ელემენტების ჩაბმა ქვეყნის მართვა-გამგეობაში იმ მიზნით, რომ რუსების ბატონობას გარკვეული საყრდენი შექმნოდა. მაგრამ ადგილობრი-

---

[144] ფ. ლომაშვილი, საქართველოს ისტორია (1801-1918 წწ.), თბ., 1992, გვ. 22.

[145] ვ. გონიკიშვილი, იმერეთი XVIII-XIX სს. მიჯნაზე, თბ., 1979, გვ. 205.

ვი ელემენტების როლი ძალზე მცირე იყო და მათ მმართველობის სისტემაზე რაიმე მნიშვნელოვანი გავლენის მოხდენა არ შეეძლო. ამიტომ ამ პერიოდს შეიძლება ეწოდოს სამხედრო დიქტატურის ხანა, რაც 1840 წლამდე გაგრძელდა.[146] (ხაზგასმა ჩვენია, გ. ვ.).

1841 წლის იანვრიდან მთელ ამიერკავკასიაში დამყარდა ახალი სამოქალაქო მმართველობა. ამიერკავკასიასა და ჩრდილოაღმოსავლეთ კავკასიისაგან შედგა ერთი—საქართველო-იმერეთის გუბერნია და ერთი—კასპიის ოლქი. იმერეთის ყოფილი სამეფოს ტერიტორია საქართველო-იმერეთის გუბერნიის ქუთაისის მაზრის შემადგენლობაში შევიდა. მაგრამ მმართველობის ამ სისტემამ მხოლოდ რამდენიმე წელი იარსება—1846 წლის დეკემბერში კვლავ ჩატარდა ადმინისტრაციული რეფორმა. კავკასია ხუთ გუბერნიად გაიყო. შეიქმნა ქუთაისის გუბერნია და იმერეთის ყოფილი სამეფოს ტერიტორია, ცხადია, მის ფარგლებში მოექცა. საგუბერნიო ქალაქად ქუთაისი გამოცხადდა.

---

[146] შ. ჩხეტია, დასახ. ნაშრ., გვ. 25.

თავი მეოთხე

დროებითი მმართველობის საქმიანობა 1810-1840 წლებში

1. ღონისძიებანი პოლიტიკური სტაბილიზაციისა და რუსული ხელისუფლების განმტკიცების მისაღწევად

ა). საერთო პოლიტიკური ვითარება XIX საუკუნის ათიანი წლების იმერეთში

> Что народ Имеретинский к нам не предан—сие известно.
> Имеретины не желают никак быть в нашем подданстве.
>
> Ген.-м. ф. Симоновичъ

თ. ფ. სიმონოვიჩის ასეთი დასკვნები ემყარებოდა XIX საუკუნის ათიანი წლების იმერეთში არსებული პოლიტიკური ვითარების საღ ანალიზს. მეფის ტახტიდან ჩამოგდების შემდეგ დაიწყო რუსეთის ხელმწიფის ერთგულებაზე იმერეთის მოსახლეობის დაფიცება. თ. სიმონოვიჩზე უკეთესად ვინ იცოდა, რომ ეს იყო იძულებითი აქტი, რომელიც მისი სარდლობის ქვეშ მყოფი სამხედრო ძალის გამოყენებით ხორციელდებოდა. ამიტომ ეს ფიცი მტკიცე არ იყო და არც შეიძლებოდა ყოფილიყო. რუსული მმართველობის დამყარების წინააღმდეგ მიმართულ საერთოსახალხო აჯანყების ჩახშობის შემდეგაც კი, საზოგადოების დიდ ნაწილს (მათ შორის სოლომონ მეორის თავგამოდებულ მოწინააღმდეგეებსაც) კვლავ შერჩათ სამეფო ხელისუფლების გადარჩენის იმედი.[1] ზოგი, პოლიტიკურად ასლომხედველი და ამის გამო საქ-

[1] ა. ბ ე ნ დ ი ა ნ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 62.

მის არსში ჩაუხედავი ფიქრობდა, რომ ცარიზმი პიროვნულად სოლომონ მეორეს ებრძოდა, რადგან არ მოსწონდა როგორც მეფე. თუ რუსეთის ხელმწიფეს არ სურს სოლომონ II,—იყოს ბატონიშვილი კონსტანტინე, ოღონდ იმერეთს ჰქონდეს დამოუკიდებლობა და ავტონომიური უფლებები—გულუბრყვილოდ ფიქრობდნენ სამშობლოს დამოუკიდებლობის შენარჩუნებაზე მეოცნებე და მებრძოლი იმერელი მამულიშვილები. იმერეთის მმართველის თ. სიმონოვიჩის რაპორტის საფუძველზე, ა. ტორმასოვი 1811 წლის 8 იანვარს უმაღლეს მთავრობას მოასსენებდა: იმერეთში ორი პარტია არსებობს. ერთი სოლომონ მეორეს უჭერს მხარს, მეორე—კონსტანტინეს და ორივე მათგანი თავის კანდიდატის მეფობაზე ფიქრობს. იმერეთის მოსახლეობაში საბოლოოდ რომ აღმოფხვრათ სამეფოს აღდგენის იმედი და მოლოდინი, ჩემი აზრით, სასარგებლო იქნება იმპერატორის მანიფესტის გამოცემა იმერეთის რუსეთთან შეერთების და რუსული მმართველობის დამყარების შესახებ.[2] (ხაზგასმა ჩვენია, გ. ვ.).

იმპერატორის სპეციალური მანიფესტი არ გამოქვეყნებულა, მაგრამ ხელისუფლება ყოველსაირად ცდილობდა მოსახლეობაში ჩაენერგა რწმენა იმისა, რომ იმერეთის სამეფო სამუდამოდ გაუქმდა და რუსეთის იმპერიის ერთ-ერთ პროვინციად იქცა.

აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ სოლომონ მეორისა და ბატონიშვილ კონსტანტინეს კანდიდატურები ერთმანეთს მკვეთრად არ დაპირისპირებიან. ჩვენს ხელთ არსებული მასალებიდან არსად არ ჩანს, რომ პრაქტიკულად, თითქოს, ასე იდგა საკითხი—ან სოლომონი ან ბატონიშვილი კონსტანტინე. მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა სოლომონ მეორეს უჭერდა მხარს. მაგრამ თუ იგი არ იქნებოდა მეფედ, მაშინ, როგორც აქვე ვთქვით, სამეფოს შესანარჩუნებლად აქტიურად გამოვიდოდა ბატონიშვილ კონსტანტინეს მხარეზე. თ. სიმონოვიჩი და ა. ტორმასოვი განგებ აზვიადებდნენ ბატონიშვილ კონსტანტინეს კანდიდატურის გავლენას, რომ ამით სოლომონ მეორისათვის ზიანი მიეყენებიათ.

---

[2] Акты..., т. IV, с. 345.

რუსული მმართველობა ყველასათვის მიუღებელი აღმოჩნდა. თავადაზნაურობამ დაკარგა თავისი პრივილეგიების მნიშვნელოვანი ნაწილი, ეკლესიამ დამოუკიდებლობა, გაიზარდა გლეხთა ბეგარა-ვალდებულებანი და გადასახადები. პირველ ხანებში უკმაყოფილება სხვადასხვა ფორმით მჟღავნდებოდა. თავადაზნაურობა ცენტრალურ ხელისუფლებასთან ჩიოდა ადგილობრივ მმართველობაზე, ეკლესიის პროტესტის ერთ-ერთ სახედ იქცა წირვა-ლოცვის დროს რუსეთის ხელმწიფის და სინოდის მოუხსენებლობა. უფრო აქტიურად მოქმედებდა კათოლიკური ეკლესია. 1821 წლის 8 ოქტომბერს იმერეთის მმართველმა, თავადმა პ. გორჩაკოვმა საქართველოს მთავრობის წინაშე აღძრა საქმე ქუთაისის კათოლიკური ეკლესიის წინამძღვრის პატრ იოსების წინააღმდეგ. პ. გორჩაკოვი თავის დასმენაში წერდა: 1819 წელს ქუთაისში ყოფნის დროს, გენ. სისოევმა მოსახლეობისაგან მოითხოვა ქალაქის მახლობლად სიმაგრის აგების მიზნით, მუშახელი. მოსახლეობამ ეს თხოვნა არ შეასრულა, ამიტომ მათ სახლებში ჩაყენებულ იქნა კაზაკთა რაზმები. აზნაურ ასათიანის მეუღლემ, ნადვორნი სოვეტნიკის პერეკრესტოვის სახლში უკმაყოფილება გამოთქვა ამის გამო და დაადანაშაულა ქუთაისის მოქალაქეები, რომლებმაც გენერლის მოთხოვნა არ შეასრულეს. ეს გაიგო პატრმა იოსებმა, გამოიძახა ასათიანი, სასტიკად გალანძღა და სცემა. როცა ასათიანმა ამის შესახებ განაცხადა პერეკრესტოვის სახლში, იოსებმა იგი ოთხი თვით განკვეთა ეკლესიიდან. პატრი იოსები, წერდა პ. გორჩაკოვი, მოქალაქეებს განაწყობს რუსული ხელისუფლების წინააღმდეგ. დამნაშავე დაუსჯელი დარჩა იმის გამო, რომ ეს მოხდა გენ.-მაიორ კურნატოვსკის დროს. სინანულს გამოვთქვამ, რომ მაშინ ბორკილდადებული პატრი თბილისში არ გააგზავნეს. პ. გორჩაკოვი ითხოვდა პატრის თბილისში გასახლებასა და იქ გასამართლებას.[3]

გლეხობა უკმაყოფილებას გამოხატავდა იმით, რომ თავს არიდებდა ბეგარა-ვალდებულებების შესრულებას. 1819-1820 წლებში ეს უკმაყოფილება გადაიზარდა საერთო-სახალხო აჯანყებაში, რომელმაც მთელი დასავლეთ საქართველო მოიცვა.

---

[3] ქ ცსა, ფ. 175, საქ. 3, ფურ. 7-8.

ბ) დროებითი მმართველობა და იმერეთის სამეფო სახლი. ბრძოლა განდევნილობაში მყოფ სოლომონ მეორის წინააღმდეგ

> Имеретины, пока царь жив и близко к ним находится от него скоро не отстанутъ.
>
> **ген. м. Ф. Симонович**

1810 წლის ივნის-ოქტომბრის აჯანყება სისხლში ჩაახშეს. რუსთა ჯარებმა გაიმარჯვეს. დროებითი მმართველობის შემოღებაც გამოაცხადეს, მაგრამ მიზანი სრულყოფილად მიღწეული მაინც არ იყო—სოლომონ II ვერც მოკლეს და ვერც დაატყვევეს. იგი მტერს გაუსხლტა, იმერეთის საზღვრები დატოვა და ახალციხეში გადავიდა. ქვეყნის დამოუკიდებლობისათვის მებრძოლ მეფეს ოან გაჰყვნენ სამშობლოსა და მისი ერთგული თავადები: ქაიხოსრო, როსტომ, ბერი, სვიმონ ზურაბის ძე, სვიმონ გიორგის ძე წერეთლები,[4] დავით და გრიგოლ ერისთავები, ქაიხოსრო და სვიმონ აგიაშვილები,[5] როსტომ, პაატა, კონსტანტინე ნიჟარაძეები,[6] დავით აბაშიძე, ზაალ მიქელაძე, მღვდელი ნიკოლოზ დევდარიანი, კარის მოძღვარი იესე ყანჩაველი და სხვ—სულ 17 თავადი, რვა აზნაური ოჯახებით და 150 გლეხი.[7]

იმერეთში პოლიტიკური სტაბილიზაციის მისაღწევად, დროებითი მმართველობის ერთ-ერთ უპირველეს ამოცანას შეადგენდა, დაეჩქარებია სამეფო სახლის წევრების, პირველ რიგში, დედოფალ მარიამის გასახლება იმერეთიდან და რადაც არ უნდა დაჯდომოდათ, სისრულეში მოეყვანათ დიდი ხნის განზრახვა—მოეკლათ ან, უკეთეს შემთხვევაში, შემოერიგებიათ სოლომონ მეორე.

ა. ტორმასოვი, როგორც უკვე ვთქვით, კარგა ხანია დაბეჯითებით ცდილობდა მკვლელის დახმარებით თავიდან მოეცილებინა იმერეთის მეფე, მაგრამ ამაოდ. თურქეთში გაქცეული სოლომონ II სერიოზულ გართულებებს უქადდა რუსულ მმართველობას საქართველოში. თ. სიმონოვიჩი გულდაწყვეტილი იყო იმიხ გამო, რომ ბოლომდე და პირნათლად ვერ შეასრულა ა. ტორმასოვის

---

[4] ო. სოსელია, დასახ. ნაშრ., ტ. II, გვ. 129.

[5] იქვე, ტ. I, გვ. 236.

[6] იქვე, ტ. II, გვ. 160.

[7] ვ. ჩუდინოვი, დასახ. ნაშრ., გვ. 273.

დავალება. იგი თავის უფროსს წერდა: ცდა არ დაგვიკლია, შიმშილითა და ლაშქრობით განაწამები ჯარისკაცები ჩონჩხებს დაემსგავსნენ, მაგრამ მთავარი ამოცანა მაინც ვერ შევასრულეთ... სოლომონის ადგილსამყოფელის გაგებას ორ-სამ დღეს ვუნდებოდით, არც გამბედავი პირი აღმოჩნდა მისი მოკვლა რომ ეკისრა. საყოველთაო რევოლუციის პირობებში, არავინ არ დახარბდა იმ სარგებელს, რასაც ჩვენი მხარდაჭერით მიიღებდა... ახალი აჯანყება თავიდან რომ ავიცილოთ, ამ ზამთარს თავადაზნაურთა ყველა ოჯახიდან მძევლები უნდა ავიყვანოთ.[8]

რაც შეეხება იმერეთის სამეფო სახლს, მისი შემადგენლობა რუსული მმართველობის დამყარების წინ, დაახლოებით ასეთი იყო: I. სოლომონ პირველის მემკვიდრეები—მისი მესამე მეუღლე—ღრმად მოხუცებული გულქან წულუკიძე (ბერი წულუკიძის და); ბატონიშვილ ალექსანდრეს (გარდაიცვალა 1780 წელს) მარიამ ჟღენტის ქალისაგან ჰყავდა უკანონო შვილი—გიორგი (1778-1807 წწ.), რომელიც დაქორწინებული იყო გურიის ერისთავის როსტომის ასულ—დარეჯანზე. მათი შვილები: ალექსანდრე და დიმიტრი სოლომონ მეორემ დააპატიმრა. როცა მეფემ ქუთაისი დატოვა, დედამ თავისი უფროსი ვაჟი—14 წლის ალექსანდრე, 1810 წელს თ. სიმონოვიჩს მიუყვანა სოლომონ მეორის წინააღმდეგ ბრძოლებში მონაწილეობის მისაღებად.

ქალიშვილები—დარეჯანი—ქაიხოსრო აბაშიძის მეუღლე. 1810 წლის აჯანყების დროს დაიღუპნენ ქაიხოსრო და მისი შვილები: ხახული და სვიმონი, გადარჩა ივანე.

მარიამი—ელიზბარ ერისთავის მეუღლე. მათი შვილები იყვნენ: იოანე, ზურაბი და დიმიტრი.

ძმისშვილი—დავით ბაგრატის ძე, რომელსაც რატომღაც გონებასუსტად თვლიდნენ, მუდმივად ცხოვრობდა არგვეთსა და ღვანკითში. ამ დავითიდან მომდინარეობს—ბაგრატიონ-დავითაშვილები (დავიდოვები). დაქორწინებული იყო ვახტანგ ერისთავის ასულ დარეჯანზე. მათი შვილები—ვაჟები: ბერი (ბერიკა), თეიმურაზი და ნიკოლოზი; ქალები—მარიამი, მზეხათუნი და კატერინა.

II. დავით გიორგის ძის (1784-1789/90) მემკვიდრეები: მეუღლე—ანა მათეს ასული ორბელიანი—ყაფლანიშვილი; ვაჟი—კონსტანტინე (იმერეთში მას ჰყავდა მეუღლე—ანასტასია

[8] Акты..., т. IV, с. 322-323.

აბაშიძე, რომელიც პეტერბურგში გადასახლების დროს, თან არ წაიყვანა); ქალიშვილები—მზეხათუნ (ელისაბედ)—სვიმონ ზურაბის ძე წერეთლის მეუღლე; ანასტასია—დავით სვიმონის ძე აგიაშვილის მეუღლე; თამარი—გურიის ერისთავის სიმონის მეუღლე.

უკანონო შვილები: როსტომი—მეუღლე ელისაბედ მხეიძე (მათი შვილები—ვაჟები: ვახტანგი, სიმონი და ტარიელი; ქალიშვილები—მზეხათუნი, ირინე, პახუა). ქალიშვილი—ატატო. როსტომი საქართველოში ყოფნის დროს, მისი ნახევარძმის კონსტანტინეს მამულებს განაგებდა.

III. სოლომონ მეორის მემკვიდრეები: მეუღლე—კაცია დადიანის ასული მარიამი (გრიგოლ დადიანის დ.). დები: მარიამი—მალხაზ ანდრონიკაშვილის მეუღლე და ბარბალე—დავით წულუკიძის მეუღლე. სოლომონ მეორეს შვილი არ ჰყავდა.[9]

დროებითი მმართველობა დაინტერესებული იყო ცოდნოდა იმერეთის ბაგრატიონთა სრული შემადგენლობა. მან 1816 წლის მაისში დივანს დასაზუსტებლად წარუდგინა სამეფო სახლის წევრთა სია.[10]

ცარიზმს ბაგრატიონების სამეფო სახლთან ურთიერთობის გარკვეული გამოცდილება ჰქონდა. იგი 1803 წლიდან დაწყებული თანმიმდევრულად ატარებდა აღმოსავლეთ საქართველოდან ქართლ-კახეთის ყოფილი სამეფო სახლის წევრების რუსეთში გადასახლების პოლიტიკას[11] ამ პოლიტიკის შემუშავებასა და განხორციელებაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა პ. ციციანოვმა, რომელიც კატეგორიულად მოითხოვდა საქართველოში არ დაეტოვებიათ არც ერთი ბაგრატიონი. როცა 1804 წლის ივნისში, მას ხელში ჩაუვარდა ბატონიშვილი იულონი, ერთ-ერთი უპირველესი და რეალური პრეტენდენტი ქართლ-კახეთის სამეფო ტახტზე, იმპერატორს გახარებული წერდა—ამას მე ვთვლი ძლიერ ციხე-სიმაგრის აღებაზე უფრო მნიშვნელოვან მოვლენად, რადგან სანამ

---

[9] ეს დაახლოებითი სია შედგენილია ნ. დადიანის, პ. გნილოსაროვის. ს. კაკაბაძის, ო. სოსელიას, მ. ბერძნიშვილის, პ. იუდინის, ნ. ბაგრატიონის და სხვ. ნაშრომების მიხედვით.

[10] ს ც ს ს ა, ფ. 2, აღწ. 1, საქ. 255, ფურ. 278-282.

[11] ამის შესახებ იხ. მ. გონიკიშვილი, ბაგრატიონთა დასახლება და მოღვაწეობა რუსეთში, თბ., 1986.

ასპიტთა ეს მოდგმა იქნება საქართველოში, მანამდე ქვეყანა ვერ დამშვიდდება ერის მათდამი (ე. ი. ბაგრატიონებისადმი) ბრიყვული ერთგულების გამო.

რუსეთის ხელისუფლებამ სამეფო სახლის წევრების იმერეთიდან გასახლების თადარიგი ადრიდანვე დაიჭირა. ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც სოლომონ II ტყვეობაში იმყოფებოდა, ა. ტორმასოვმა თბილისში გაიწვია ბატონიშვილი კონსტანტინე და თ. სიმონოვიჩს უბრძანა თბილისში ჩაეყვანა, აგრეთვე, გარდაცვლილი ბატონიშვილის—გიორგი ალექსანდრეს ძის ქვრივი—დედოფალი დარეჯანი შვილებითურთ.[12] რაც შეეხება მეფის მეუღლეს—დედოფალ მარიამს, მას ა. ტორმასოვი აცნობებდა, რომ სოლომონ მეორის თხოვნით, საცხოვრებლად დარჩებოდა იმერეთში, სოფელ საზანოში. მეფე ჯერჯერობით თბილისში უნდა იყოს, ვიდრე მიღებული არ იქნება ხელმწიფის ბრძანება მისი შემდგომი ბედის შესახებ. ა. ტორმასოვი თვლიდა, რომ მარიამს გააგზავნიდნენ იქ, სადაც სოლომონ მეორის საცხოვრებელი ადგილი იქნებოდა განსაზღვრული. მთავარმმართველის აზრით, იმერეთის ექს-მეფე რუსეთის რომელიმე გუბერნიის სოფელში უნდა გადაესახლებინათ.

დამოკიდებულება მარიამისადმი, და საერთოდ, სამეფო ოჯახის სხვა წევრებისადმი მკვეთრად შეიცვალა მას შემდეგ, რაც სოლომონი თბილისიდან გაიქცა და იმერეთში აჯანყება დაიწყო. ეს ა. ტორმასოვის სერიოზული მარცხი იყო. ამიტომ იგი შეეცადა მდგომარეობა გამოესწორებია. მომხდარით თავზარდაცემული მთავარმმართველი თ. სიმონოვიჩს წერდა: „...წინადადებას გაძლევთ ახლავე გადაიყვანოთ და ფოთის ციხეში მოათავსოთ სათანადო მეთვალყურეობის ქვეშ: დედოფალი მარიამი,[13] დაი მისი მაია, მეუღლე მიქელაძისა, დაი სოლომონ მეფისა მარიამი, მეუღლე მალხაზ ანდრონიკაშვილისა, მთელი მათი ოჯახების შემადგენლობით, რადგან დღეიდან მათი იმერეთში დატოვება სახიფათოა, მაგრამ ყველაფერი ეს ისე სწრაფად და მოხერ-

---

[12] დედოფალი დარეჯანი ეპისკოპოს ეფთვიმე გელათელის ძმისწული იყო, ო. სოსელია, დასახ. ნაშრ., ტ. III, გვ. 45-46.

[13] დედოფალი მარიამი საზანოში იმყოფებოდა.

ხებით უნდა მოხდეს, ხალხში რაიმე მღელვარება არ გამოიწვიოს. ამასთან ერთად, მათი ქონება აღწერეთ და ხაზინას გადაეცით".[14]

დედოფლის ძალით გადაყვანა ფოთის ციხეში და თან მამულების ჩამორთმევა, თ. სიმონოვიჩის აზრით, იმერეთის მოსახლეობაზე მძიმე შთაბეჭდილებას მოახდენდა. ამიტომ, მღელვარების თავიდან ასაცილებლად, უმჯობესია, დედოფალი ქუთაისში გადმოვიყვანოთ და აქ ჩემი მეთვალყურეობის ქვეშ ვიყოლიოთ,— ურჩევდა თ. სიმონოვიჩი მთავარმმართველს. იმერეთის მეპატიოსანს სურდა ქუთაისში გადმოეყვანა, აგრეთვე, დედოფალ მარიამის და—მაია.

დედოფალი მარიამი არ დაეთანხმა თ. სიმონოვიჩის წინადადებას და საზანოში დარჩა, რადგან დარწმუნებული იყო, რომ ქუთაისში მასაც დაატყვევებდნენ. აჯანყების დამარცხების შემდეგ, როცა სოლომონი იძულებული გახდა იმერეთი დაეტოვებია, დედოფალი მარიამი და მისი და მაია სამეგრელოში ლევან დადიანთან გადავიდნენ.

თ. სიმონოვიჩს დაევალა მარიამ დედოფლის თბილისში ჩაყვანა, მაგრამ ეს საკმაოდ რთული აღმოჩნდა, რადგან ლევან დადიანი[15] და მისი დედა ნინო კატეგორიულად წინააღმდეგი იყვნენ რუსეთის მთავრობისათვის გადაეცათ საპატიო სტუმრები. ა. ტორმასოვმა გადაწყვიტა ძალა გამოეყენებია. თ. სიმონოვიჩმა 1810 წლის 15 ოქტომბერს ა. ტორმასოვისაგან შემდეგი მოწერილობა მიიღო: გიგზავნი წერილების ასლებს სამეგრელოს მთავრის, იმერეთის დედოფალ მარიამ კაციას ასულ და მეფის დის ანდრონიკოვის მეუღლისადმი. ეს საქმე ან შენ მოაგვარე სასწრაფოდ. ხოლო თუ შენ სალაშქროდ წახვალ,[16] დაავალე პოლკოვნიკ მერლინს მკაცრი გაფრთხილებით, რომ დავალება უსიტყვოდ უნდა შესრულდეს. სამეგრელოში პროვიანტის, მარილის ან სხვა საჭიროების საბჯენით, გავზავნოს ასეული ზარბაზნით, საიმედო კაპიტნის მეთაურობით. სამეგრელოში გამგზავრების მიზანი მარტო მას ეცოდინება და ღრმა საიდუმლოდ უნდა შეინახოს. კაპიტანმა ასეული

---

14 Акты..., т. IV, с. 265-267.

15 ლევან დადიანს ცოლად ჰყავდა ზურაბ წერეთლის ასული—მართა.

16 ა. ტორმასოვი ახალციხეზე სალაშქროდ ემზადებოდა.

მოშორებით უნდა დატოვოს და სამეგრელოს დედოფალს გადასცეს ჩემი წერილი; ასევე პირადად გადასცეს წერილი დედოფალ მარიამს და ეანუცხადოს მას—იგი გამოგზავნილია დედოფალი მარიამი ჩააცილოს თბილისამდე და თავაზიანად თხოვს გამგზავრება არ გადადოს. მაგრამ, თუ დედოფალი რაიმე საბაბით უარს იტყვის გამგზავრებაზე, მაშინ მას ეცნობოს, რომ იძულებული იქნებიან ძალა გამოიყენონ. ეს უნდა გაკეთდეს ძალიან ფრთხილად. ერთი სიტყვით, იმოქმედეთ ისე, როგორც ამას საჭიროდ ჩათვლით.

რაც შეეხება ანდრონიკოვის მეუღლეს, მას ჩემი წერილი გადაეცით მაშინ, როცა იმერეთში[17] ჩამოვა, ყოველგვარი მორიდების გარეშე შეიპყარით და გამოგზავნეთ თბილისში.

ქვრივი დედოფალი დარეჯანი (სოლომონ I-ის ასული, გ. ვ.), რომელიც აჯანყების ხელისშემწყობი იყო, ასევე გამოგზავნეთ თბილისში. ბაგრატ ალექსანდრეს ძის შვილი—ბატონიშვილი დავითი, რომელიც არგვეთაში ცხოვრობს, მართალია, თქვენი აღწერილობის მიხედვით გონებასუსტია და ხალხში არავითარი გავლენა არა აქვს, მაგრამ იმის გამო, რომ იმერეთის ხალხი კიდევ უფრო გონებასუსტია და შეიძლება იგი გამოიყენონ, მშვიდობიანობის შენარჩუნების მიზნით, ეს ბატონიშვილიც გამოგზავნილ უნდა იქნას თბილისში.

ბატონიშვილი ელისაბედი—მეუღლე სახლთუხუცესის, თავად ზ. წერეთლის ვაჟის სიმონის, რომელიც ახლა მეფესთან იმყოფება, რადგან მამამთილთან ცხოვრობს, დატოვეთ მასთან; მხოლოდ ერთი პირობით—ქმართან და სხვა დამნაშავეებთან არავითარი ურთიერთობა არ ექნება. ამაზე პასუხისმგებლობა ზ. წერეთელს უნდა დაეკისროს. ხოლო თუ იგი ასეთ პირობას არ მოგ-

---

[17] მარიამი თავისი ქალ-ვაჟით — ივანეთი და ნინოთი თან გაჰყვა ძმასა და ქმარს ახალციხეში. ა. ტორმასოვმა სცადა მალხაზ ანდრონიკაშვილის გადაბირება, მაგრამ იცოდა რომ მასთან ძნელი სალაპარაკო იყო, ამიტომ მის მეუღლეს მარიამს მიმართა და აღუთქვა, რომ თუ ის ინებებდა იმერეთში დაბრუნებას თავისი შვილებით, მამულებს უკლებლივ დაუბრუნებდნენ და არ მოაკლდებოდა მაღალი მფარველობა, რაც შეეფერებოდა მათ მეფურ შთამომავლობას. მარიამი, ჩანს ძმისა და ქმრის რჩევით, ენდო ა. ტორმასოვის დაპირებას და ქუთაისში დაბრუნდა. მაგრამ ამ უკანასკნელმა, ცხადია, თავისი დაპირება არ შეასრულა.

ცემთ, მაშინ ელისაბედიც თბილისში გამოგზავნეთ. ასევე მოექეცით ანასტასიას, რომელიც თავად აგიაშვილის მეუღლეა და დედოფალ მარიამის დის—მიქელაძის მეუღლის მიმართ, აიღეთ ასეთივე პირობა მათი მეუღლეებისაგან, ხოლო თუ რაიმე საეჭვო იქნება, მათი ქმრებით გამოგზავნეთ თბილისში. ბატონიშვილი გიორგის ვაჟი ალექსანდრე კი დაარწმუნეთ, რომ მის შესახებ მოვახსენებ იმპერატორს და ვთხოვ მის დაჯილდოებას. ამასთან ერთად, წაიყვანეთ იგი ლაშქრობაში და გყავდეთ თქვენი მკაცრი ზედამხედველობის ქვეშ. ხოლო მის დედას თხოვეთ ჩამოვიდეს თბილისში, სადაც მისი შვილები მიიღებენ სათანადო განათლებას და იმპერატორის სამსახურისათვის მოემზადებიან."[18] (ხაზგასმა ჩვენია, გ. ვ.).

ა. ტორმასოვი სამეგრელოს დედოფალ ნინოს წერდა: „შევიტყვე რომ იმერეთის დედოფალი მარიამი თქვენთან იმყოფება და ვიცი რა თქვენი ერთგულება ხელმწიფისადმი, მჯერა რომ ეს ჩაიდინეთ: ნათესავისადმი სტუმართმოყვარეობით და სურვილით მოგესპოთ მისთვის შესაძლებლობა გარეულიყო მისი ქმრის ღალატში. რადგან მისთვის კეთილი გსურთ, გთხოვთ, ურჩიოთ დაადგეს მისთვის ერთადერთ საბედნიერო გზას—ასევე თავისი ნებით გამოსწიოს ჩემთან, სადაც დედოფლურ პატივში ვიყოლიებ, ვიდრე ხელმწიფის შესაფერის წყალობას მიიღებდეს; ვაცხადებ, რომ მას არაფერი შეხვდება, ყოველგვარ მფარველობასა და პატივს, რაც მის ხარისხს შეშვენის, არ მოვაკლებ. ყოველი განდგომა და წინააღმდეგობა მას მხოლოდ ზიანს მოუტანს, რადგან იძულებული ვიქნები ძალით გამოვიყვანოთ და არ მინდა თქვენს ოჯახს ასეთი უსიამოვნება მივაყენო. დიდად შეუფერებელი რამ იქნება ეს თქვენთვის. ამასთან გაუწყებთ, რომ ხელმწიფის ბრძანება მაქვს ძალა გამოვიყენო, თუ ნებაყოფლობით თბილისში ჩამოსვლაზე არ დათანხმდება."[19] ანალოგიური წერილი მიიღო თვით დედოფალმა მარიამმაც. მან ეტყობა ამკობინა საყვარელი რძლისა და მთავრის ოჯახისათვის ამგვარი უსიამოვნება და ხიფათი აეცდინა, მასპინძლები უხერხულობისაგან ეხსნა. დედოფალი ა. ტორმასოვის ნებას დაჰყვა, ენდო სიმონო-

---

[18] Акты..., т. IV, с. 335-336.

[19] ი ქ ვ ე, გვ. 333-334.

ვიჩის პატიოსან სიტყვას, რომ ღირსეულად მოეპყრობოდნენ, გამოეთხოვა საყვარელ ოდიშს, მასპინძლებს და გასწია თბილისისაკენ.[20]

ა. ტორმასოვი 1810 წლის 2 ნოემბერს საქართველოს მმართველს გენ.-მაიორს და კავალერს ახვერდოვს ატყობინებდა — ბივაღე იმერეთის ოლქის მმართველის თ. სიმონოვიჩის რაპორტი, რომ მალე საიმედო დაცვის ქვეშ თბილისში გამოგზავნიან იმერეთის ყოფილი მეფის მეუღლეს მარიამს, კნეინა ანდრონიკოვას, დედოფალ დარეჯანს, ბატონიშვილებს—ალექსანდრესა და დიმიტრის. ამასთან დაკავშირებით, წინადადებას გაძლევთ მოამზადოთ მათთვის თბილისში დროებითი შესაფერისი საცხოვრებელი ბინა. ამასთან ერთად, მათზე უნდა დააწესოთ გაძლიერებული პოლიტიკური ზედამხედველობა, განსაკუთრებით დედოფალ დარეჯანზე, რომელიც მონაწილეობდა იმერეთის აჯანყებაში. დედოფალ მარიამს ხარჯებისათვის თვეში გამოეყოფა 100 მან. ვერცხლით, ხოლო დარეჯანს 50 მან. ვერცხლით.[21]

როგორი შიში, სიმხდალე, ორპირობა და ამასთანავე გაბოროტება იგრძნობა ამ დოკუმენტებში, რომლის ავტორია რუსეთის შეიარაღებული ძალების ერთ-ერთი თვალსაჩინო მოღვაწე, ბოროდინოს, და საერთოდ 1812 წლის ომის გმირი, გენერალი ა. ტორმასოვი.

მარიამ დედოფლისა და სამეფო სახლის სხვა წევრების თბილისში ვაგზავნის ოპერაციას იმერეთის მმართველი თ. სიმონოვიჩი ხელმძღვანელობდა. 1810 წლის ნოემბრის შუა რიცხვებში, გაძლიერებული „კონვოის“ თანხლებით, ქუთაისიდან თბილისში ჩაიყვანეს დედოფალი მარიამი, მეფის და მარიამი ქალ-ვაჟით, სოლომონ პირველის ქალიშვილი—დარეჯანი და სხვ. თავიანთი ამალით, სულ 79 კაცი. 17 ნოემბერს ახვერდოვი ა. ტორმასოვს მოახსენებდა—იმერეთიდან ჩამოსულები ბექთარბეგოვის სახლში დაბინავდნენო.[22]

ასე დაიწყო იმერეთის სამეფო სახლის წევრთა გადასახლება რუსეთში, რაც XIX საუკუნის 20-იანი წლების პირველ ნახევრამდე გაგრძელდა.

---

[20] თ. პ ა პ ა ვ ა, იმერეთის უკანასკნელი დედოფალი მარიამი, წიგნში, „დიდი სახეები პატარა ჩარჩოებში, თბ., 1990, გვ. 304.

[21] ს ც ს ს ა, ფ. 16, აღწ. 1, საქ. 844, ფურ. 1.

[22] Акты..., т. IV, с. 339-340.

ახალციხეში მყოფმა სოლომონ მეორემ ბერძენი არქიმანდრიტი ბენედიქტე მოციქულად გაუგზავნა ა. ტორმასოვს და დედოფალი მარიამის მასთან გაშვება სთხოვა, მაგრამ უშედეგოდ. კიდევ უფრო მეტი—დედოფალი მარიამი და სოლომონ მეორის და მარიამი, როგორც იმერეთის აჯანყების ერთ-ერთი აქტიური სულისშემწყობნი და მონაწილენი, დეკემბერში, ზამთრის უმკაცრეს პირობებში, თბილისიდან ეორონეჟში გაგზავნეს დროებით საცხოვრებლად. რაც შეეხება ბატონიშვილ დარეჯანს, მსედველობაში მიიღეს მისი მოხუცებულობა და ზამთარში ძნელი მგზავრობა გადაუდვეს. ახალი გადაწყვეტილების მიღებამდე იგი თბილისში დატოვეს. 1810 წლის მეორე ნახევრიდან, პეტერბურგში იმყოფებოდნენ დავით გიორგის ძის ქვრივი—დედოფალი ანა მათეს ასული და ბატონიშვილი კონსტანტინე. 1811 წელს პეტერბურგში გაგზავნეს ბატონიშვილ გიორგი ალექსანდრეს ძის ქვრივი—დარეჯანი შვილებთან—ალექსანდრესა და დიმიტრისთან ერთად.[23]

დროებით მმართველობას, და საერთოდ საქართველოს რუსულ ადმინისტრაციას, გაცილებით უფრო ძნელი და რთული ამოცანა ჰქონდათ გადასაწყვეტი—ეს იყო სოლომონ მეორის პრობლემა. ა. ტორმასოვის ტყვეობას თავდაღწეული მეფე თბილისიდან ახალციხეში ჩავიდა. მიმდინარეობდა რუსეთ-თურქეთის ომი. თურქეთის მთავრობას შესაძლებლობა ეძლეოდა იგი თავისი ინტერესებისათვის გამოეყენებია. სულთან მაჰმუდ მეორის განკარგულებით, იმერეთის მეფეს ახალციხეში სადღესასწაულო შეხვედრა მოუწყვეს—მთელი ქალაქი ჩირაღდნებით გაანათეს. ახალციხის ფაშას სახელმწიფო ხაზინიდან სოლიდური თანხა მიეცა მეფის დასახვედრად.[24]

იძულებით ემიგრაციაში მყოფმა სოლომონ მეორემ აქტიური დიპლომატიური საქმიანობა გააჩაღა, ენერგიულად ეძებდა საიმედო მოკავშირეებს და დამხმარე ძალას ხელისუფლების დასაბრუნებლად. მას სისტემატური მიმოწერა ჰქონდა თავის მომხრეებთან იმერეთში, აგზავნიდა „მაცდუნებელ წერილებს“, რომელ-

---

[23] მ. ბერძნიშვილი, ტ. I, გვ. 171, Утверждение русского владычества на Кавказе, т. II, Тиф., 1902, с. 102.

[24] ა. ხახანაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 74-75.

შიაც მოსახლეობას მოუწოდებდა რუსული მმართველობის წინააღმდეგ აჯანყებისაკენ. ამაოდ დაძრწოდნენ ა. ტორმასოვისა და თ. სიმონოვიჩის ჯაშუშები ასეთი წერილების აღმოსაჩენად. მეფისადმი იმერლების განსაკუთრებული ერთგულების გამო, მათი ხელში ჩაგდება ძალიან ძნელიაო,[25]—აღიარებდა თ. სიმონოვიჩი. საყურადღებოა სოლომონის მიმართვა მთის მოსახლეობის — არაგველების, თუშების, ხევსურების, ფშაველებისადმი.[26] მას ღრმად სწამდა—რაკი ეროვნული, სამართლიანი საქმისათვის იბრძოდა, მთელი ქართველი ხალხის მხარდაჭერას მოიპოვებდა. ემიგრაციაში სოლომონ მეორის მოღვაწეობასთან დაკავშირებული მასალები ცხადყოფენ—იგი მარტო გარეშე ძალის დახმარების მოიმედე არასოდეს არ ყოფილა, მაგრამ, სავსებით სამართლიანად, ცდილობდა თავისი პოლიტიკური მიზნებისათვის გამოეყენებია XIX საუკუნის ათიანი წლების საერთაშორისო ურთიერთობანი მახლობელ აღმოსავლეთში. სოლომონ მეორის სახელმწიფოებრივი ნიჭისა და დიპლომატიური ალღოს უტყუარი საბუთია მისი ცდა, იმერეთის დამოუკიდებლობის აღდგენის საკითხი რუსეთ-თურქეთ-ირანს შორის არსებულ წინააღმდეგობებთან დაეკავშირებია, თურქეთთან და ირანთან დაახლოების შესაძლებლობით, აეძულებია ცარიზმი იმერეთის ავტონომიური უფლებები ეცნო. მაგრამ სოლომონ II მარტო მახლობელი აღმოსავლეთით არ შემოფარგლულა. ჩანს იგი საქმის კურსში იყო როგორ ვითარდებოდა რუსეთ-საფრანგეთის ურთიერთობა, რაც ათიანი წლების დასაწყისიდან მკვეთრად გაუარესდა. ამიტომ რეალურ საფუძველს მოკლებული არ იყო სოლომონის ვარაუდი—იმერეთის სამეფოს ბედით ნაპოლეონიც დაინტერესებულიყო.

სოლომონ მეორემ თავად ქაიხსრო წერეთლისა და დავით აგიაშვილის მეთაურობით, კონსტანტინოპოლში გაგზავნა დიპლომატიური მისია, რომელსაც თან მიჰქონდა წერილები ოსმალეთის სულთნის მაჰმუდ მეორისა და საფრანგეთის იმპერატორის ნაპოლეონის სახელზე.

---

[25] Акты..., т. IV, с. 351.

[26] Акты..., т. V, с. 170.

სოლომონ II ითხოვდა სულთნის მფარველობაში შესვლას და გამოთქვამდა მზადყოფნას ყოველგვარი შეთავაზებული დავალების შესასრულებლად.[27] საფრანგეთის რწმუნებული ოსმალეთში ფეი ლაბურ-მობურგი თავის მთავრობას ატყობინებდა, რომ იმერეთის მეფის დელეგაცია კონსტანტინოპოლში კარგად მიიღეს. სოლომონს დაპირდნენ დახმარებას 20-25 ათასიანი არმიით ტახტის დასაბრუნებლად.[28] სულთანმა ამ საკითხზე სოლომონ მეორისადმი სპეციალური ფირმანი გასცა.[29]

ნაპოლეონისადმი სოლომონ მეორის წერილი, რომელიც ქართველმა ელჩებმა ჩაიტანეს კონსტანტინოპოლში, ქართულად ყოფილა შედგენილი, ქართველ ხუცესს იქვე თურქულად უთარგმნია, ხოლო თურქულიდან ფრანგულად პერაში მცხოვრებ საფრანგეთის საელჩოს მრჩეველს რიუფენს. წერილის შედგენის თარიღია 1811 წლის 6 იანვარი, ხოლო ფრანგულად ითარგმნა იმავე წლის 28 ივნისს.[30]

ირკვევა, იმერეთის მეფემ და მისმა მრჩევლებმა კარგად იცოდნენ, რომ ნაპოლეონი ჯერ კიდევ XVIII საუკუნის მიწურულიდან (ეგვიპტეში ლაშქრობის დროიდან—1799 წ.) დაინტერესებული იყო საქართველოთი.[31] სოლომონი მიმართავდა ნაპო-

---

[27] ნ. შ ე ნ გ ე ლ ი ა, XV-XIX საუკუნეების საქართველოს ისტორიის ოსმალური წყაროები, თბ., 1974, გვ. 234-235; ნ. შენგელია, ს. ჯიქია, ოსმალეთთან სოლომონ მეორის ურთიერთობის ერთი ეპიზოდი, მაცნე, 1963, No. 13, გვ. 186-195.

[28] D a v i d M. L a n d The last years of the Georgian monarchy, 1658-1832, New York, 1957.

[29] ნ. შ ე ნ გ ე ლ ი ა, დასახ. ნაშრ., გვ. 235.

[30] სოლომონის ამ წერილის ინგლისური თარგმანი გამოაქვეყნა დეივიდ ლანგმა, D. M. Lang, The last years..., N. Y., 1957; ხოლო ფრანგული — გ. ჟორდანიამ და შ. ხანთაძემ, იხ. თ. ჟორდანია ქრონიკები..., ტ. III, თბ., 1967, გვ. 477-478. წერილის ქართული ტექსტი და მისი ფრანგული თარგმანი ხელახლა გამოსცა პროფ. ი. ტაბაღუამ, იხ. საქართველო-საფრანგეთის ურთიერთობის ისტორიიდან, თბ., 1974, გვ. 68-72.

[31] იხ. გ. კ ი ღ უ რ ა ძ ე, საფრანგეთ-საქართველოს ისტორიული და კულტურული ურთიერთობიდან, „მნათობი", 1971, No. 1; ილია ტაბაღუა, საქართველო-საფრანგეთის ურთიერთობის ისტორიიდან, თბ., 1974, გვ. 24-25; მისივე, ფრანგი ისტორიკოსი ნაპოლეონ I დროს საფრანგეთისა და იმერეთის ურთიერთობის შესახებ, „მაცნე", ისტორიის სერია, 1974, No.4, გვ. 188-193.

ლეონს, როგორც „იმპერატორობით უდიდებულესობას“, „ევროპის უდიდესსა და უძლიერეს მონარქს“ და ა. შ. წერილიდან, სხვათა შორის, ჩანს, რომ სოლომონს მანამდეც არაერთხელ მიუმართავს წერილებით ნაპოლეონისათვის. ჩიოდა რა „მოსკოვის იმპერატორზე“, რომელმაც „უსამართლოდ და უკანონოდ“ ჩამოართვა მას სამეფო. სოლომონი თხოვდა ნაპოლეონს, ვითარცა „უნივერსალურ არბიტრს“ ეამოსარჩლებასა და მფარველობას, რათა გაეიავისუფლებია ის და მისი სამეფოც—„მილიონი ქრისტიანი სული“, ან თავისი „მაღალი შუამდგომლობით ანდა თავისი ძლევამოსილი მარჯვენით“ მიეღო იგი თავის მფარველობაში.[32]

სოლომონ მეორის წარმომადგენელი, თავადი როსტომ ნიჟარაძე ტრაპიზონში შეხვდა საფრანგეთის საელჩოს თანამშრომელს უტრეს და გადასცა მას ნაპოლეონის სახელზე დაწერილი ბარათი. უტრესთან საუბარში თავად რ. ნიჟარაძეს ვანუცხადებია, თუ ფრანგების დიდ იმპერატორს ვითარება არ მისცემს საშუალებას ძალით დაუბრუნოს იმერეთის სამეფო თავის კანონიერ მეფეს, ამ უკანასკნელს იმედი ექნება მისმა უდიდებულესობამ დაიყოლიოს რუსეთის იმპერატორი ნებაყოფლობით დაუბრუნოს მას (სოლომონს) წინაპართა სამემკვიდრო.

სოლომონ II, რ. ნიჟარაძის თქმით, მზად იყო თვით წარმსდგარიყო ნაპოლეონის წინაშე, თურქებისაგან დაპატიმრების შიში რომ არ ჰქონოდა.

უტრესთან საუბარში რ. ნიჟარაძეს ისიც განუცხადებია, რომ კონსტანტინოპოლში მყოფ ქართველ ელჩებს—ქაიხოსრო წერეთელსა და დავით აგიაშვილს სურვილი აქვთ საფრანგეთში გაემგზავრონ მინისტრთან შესახვედრად. ბოლოს რ. ნიჟარაძე დაინტერესებულა იმით—მართლა აპირებდა თუ არა საფრანგეთი რუსეთთან ომის დაწყებას.[33]

ამასთან ერთად, სოლომონ II კავშირს არ წყვეტდა საქართველოსთან. მან წერილებით მიმართა ზურაბ წერეთელს, მის ვაჟს—გრიგოლს, თვით ა. ტორმასოვს.

აქტიურად მოქმედებდნენ ა. ტორმასოვი და თ. სიმონოვიჩიც. მთავარმმართველის აზრით, მეფის განდევნა საქმის დასასრულს

---

[32] ი. ტ ა ბ ა ღ უ ა, საქართველო-საფრანგეთის ურთიერთობა..., გვ. 73-74.
[33] ი ქ ვ ე, გვ. 35-36.

არ ნიშნავდა. პირიქით, განდევნილობაში მყოფი სოლომონ მეორე ყოველთვის იქნებოდა არეულობისა და ბუნტის მიზეზი. ამიტომ თ. სიმონოვიჩს უპირველეს მიზნად დაუსახეს მეფის განადგურება. მკვლელის დასაქირავებლად იმერეთის. მმართველს 4 ათასი ჩერვონეცი გამოეყო- და რჩევა მიეცა ამ საკითხზე ელიზბარ ერისთავს დაკავშირებოდა.[34]

1810 წლის ნოემბერში მოეწყო ახალციხეზე ლაშქრობა. სოლომონ მეორე იძულებული გახდა ახალციხიდან ერევანში წასულიყო, რათა იქედან ირანის შაჰს ფათ-ალი ხანს დაკავშირებოდა და მისთვის დახმარება ეთხოვა. მართალია, იმერეთის მეფე შაჰმა უარით გამოისტუმრა და ურჩია პორტას დაკავშირებოდა, მაგრამ გარკვეული ფინანსური შემწეობა მაინც აღმოუჩინა. მეფე კვლავ ახალციხეში დაბრუნდა.

სოლომონ მეორის ყოველ ნაბიჯს მკაცრად აკონტროლებდნენ. ა. ტორმასოვი თ. სიმონოვიჩს ავალებდა ახალციხეში მუდმივად ჰყოლოდა ერთი ან ორი კონფიდენტი (ვაჭარი ან სხვ.), რომლებისგანაც სისტემატურად მიიღებდა ცნობებს, თუ რა ხდებოდა იქ, ასევე ღარიბი აზნაურებიდან დაექირავებია 3-4 პიროვნება, იმერეთში მიმდინარე პროცესებზე ინფორმაციებისათვის.[35] მძევლები აიყვანეს ყველა ოჯახიდან, რომელთა წევრები მეფესთან იმყოფებოდნენ.

თ. სიმონოვიჩი ჯერ კიდევ 1810 წლის 22 დეკემბერს ა. ტორმასოვს წერდა: „სოლომონ მეფე ერევანში გვეგონა ალექსანდრე ბატონიშვილთან, მაგრამ ის არტაანში აღმოჩნდა. თვითონ მოვიარე ახალციხის ახლომახლო ყოველი კუთხე და შევიტყვე, რომ მეფე არტაანიდან ისევ დაბრუნდა ახალციხეში და გაგზავნა კონსტანტინოპოლში ელჩებად სვ. აგიაშვილი და ქაიხოსრო წერეთელი, ხოლო ნაპოლეონთან პატრი ნიკოლა, როსტომ ნიჟარაძე და კიდევ ერთი რწმუნებული,—მეფე ნაპოლეონს თხოვს მფარველობას და დაცვას. ახლა სოლომონ მეფეს უკვე ბევრი მომხრე ჰყავს და ალბათ გაისად დიდი ძალებით კვლავ შემოგვიტევსო".[36] (ხაზგასმა ჩვე-

---

[34] Акты..., т. IV, с. 316; მ. რუხვიაშვილი, იმერეთის სამეფო 1462-1810, თბ., 1989, გვ. 383.

[35] იქვე, გვ. 344-345, 348.

[36] იქვე, გვ. 398.

ნია, გ. ვ.). თ. სიმონოვიჩის აზრით, სანამ მეფე ცოცხალი იყო და რუსეთის მტრებთან—თურქებთან და ირანელებთან იმყოფებოდა, ყველაფერი უნდა გაკეთებულიყო იმერეთის მოსახლეობის გადასაბირებლად.

ა. ტორმასოვი ძალიან შეაშფოთა თ. სიმონოვიჩის 22 დეკემბრის რაპორტმა. მან თავის ხელქვეითს, იმერეთის მმართველს „განუზრახა დიდი ფულისა და ჯილდოს დაპირებით მოსყიდვა ვინმე ერთი თავზეხელაღებული იმერლისა", რომელიც მოკლავდა სოლომონ მეფეს—„იმერეთის მყუდროების დამარღვეველს და მის ბოროტ მტერს".[37]

ამის პასუხად მიწერილ მოხსენებაში თ. სიმონოვიჩმა აღნიშნა ისეთი ფაქტი, რაც, არსებითად, არამარტო მძიმე მორალური დაგმობა იყო ტორმასოვ-სიმონოვიჩის სულმდაბლობისა, ის ამავე დროს, არანაკლებ მძიმე ბანაჩენი იყო სამართლიანობით მოქადულ რუსეთის მთავრობის პოლიტიკისა საქართველოში,—წერდა ნ. ბერძენიშვილი. თ. სიმონოვიჩმა უპასუხა ა. ტორმასოვს: (სოლომონ მეფის მიმართ) „იმერლების ერთგულება, რომელსაც თან ერთვის თითქო სარწმუნოებრივი მოკრძალება მეფის პიროვნების წინაშე, არ იძლევა იმის იმედს, რომ ვინმე მათგანმა (იმერელმა) თავს იდოს მისი მოკვლა,—და მე ხომ ამაში არაერთგზის ცდით დავრწმუნდი". ამიტომ, ურჩევდა სიმონოვიჩი, ეს საქმე უფრო მარჯვედ შეიძლება შესრულდეს თათრის, თურქის ან ლეკის ხელითო. ესენი კი იმერეთში არ მოიპოვებიანო და თავის მხრით განუზრახავდა უფროსს—შესაძლებელია მანდ მოიპოვებოდეს ასეთი ყოჩაღი ვინმეო.

ა. ტორმასოვს და მის მოხელეს, რა თქმა უნდა, არ ჰქონდათ უნარი ჩაფიქრებოდნენ იმ გარემოებას თუ რა მიზეზი იყო, რომ სოლომონ მეფის ერთგულება იმერელთა შორის აგრე მტკიცე რჩებოდა. მაშინ, როცა ტორმასოვ-სიმონოვიჩისავე განცხადებით, მეფე „ბოროტი მტერი" იყო იმერეთისა, ხოლო რუსხელმწიფე და მისი მთავრობა კი ამ ქვეყნის გამაბედნიერებელნი".[38]

იყო მეფის მოწამვლის ცდაც. სოლომონ II იმპერატორის სახელზე შედგენილ წერილში (1811 წლის 20 ოქტომბერი) მიუ-

---

[37] იქვე, გვ. 353.

[38] ნ. ბერძენიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 424-425.

თითებდა, რომ მას მკვლელი მიუგზავნეს საწამლავით, რასაც არქიმანდრიტი ბენედიქტე და პოლკოვნიკი ა. ი. ბოლენცოვი დაადასტურებენო.[39] ამასთან დაკავშირებით, საინტერესოა ერთი ადგილი დავით წერეთლის მიერ ძმასთან—გრიგოლთან, 1811 წლის 17 ივნისს გაგზავნილი წერილიდან: „...ღენერალმა (ალბათ თ. სიმონოვიჩმა, გ. ვ.) ოცი ოქრო მისცა დათიკა მესხი რომ არის ყრუ და ის გაისტუმრა (ახალციხეში, გ. ვ.). ზოგი უნობენ თავის ძმას შეუჩინაო, რომ ეგების მოსწამლოვო... მ ე ს ხ ი ა მ ა ზ ე გ ა ი ს ტ უ მ რ ე ს: მ ე ფ ე მ ო ს წ ა მ ლ ე თ ო. ასე თქვეს."[40] (ხაზგასმა ჩვენია, გ. ვ.).

რადგან სოლომონ მეორის მოკვლა ვერ მოხერხდა, სხვა გამოსავალი არ იყო. რუსეთის ადგილობრივ ხელისუფლებას, პირველ რიგში, მთავარსარდალსა და იმერეთის მმართველს უნდა გაეგრძელებიათ მუშაობა მის გადასაბირებლად. ამ მიზნით, ისინი შეეცადნენ გამოეყენებიათ რუსეთში გადასასლებული სამეფო სახლის წევრები, პირველ რიგში, დედოფალი მარიამი. ა. ტორმასოვის შემცვლელი, საქართველოს ახალი მთავარმმართველი, მარკიზი ფ. პაულუჩი თბილისში მოდიოდა. გზად მან ვორონეჟში გაიარა, სადაც იმ დროს დედოფალი მარიამი იმყოფებოდა. ჩვენი აზრით, ეს შემთხვევით არ მომხდარა. ახლა ძნელი დასადგენია, დედოფალმა ინახულა მარკიზი თუ პირიქით—მარკიზმა დედოფალი. უფრო მოსალოდნელია მეორე. ფაქტი ერთია—დედოფალმა ფ. პაულუჩს გამოატანა სოლომონ მეორისათვის გადასაცემი წერილი. თვით ფ. პაულუჩი გრაფ რუმიანცევს 1811 წლის 17 ოქტომბერს წერდა: ვისწრაფი გაცნობოთ, რომ ვორონეჟში გავლით ყოფნის დროს, იმერეთის დედოფალმა მარიამმ, რომელიც იქ ცხოვრობს, მთხოვა მისგან წამეღო და შემდეგ მისი მეუღლისათვის გამეგზავნა წერილი, რომელშიაც იგი არწმუნებდა მას დაბრუნებულიყო მისი იმპერატორობით უდიდებულესობის სამფლობელოში. როგორც კი საქართველოში ჩავედი, ეს წერილი ყოფილ მეფეს სოლომონს გავუგზავნე ჩემ საგანგებო წერილთან ერთად, რომელშიაც ვთხოვდი სამშობლოში დაბრუნებულიყო. მან, მასთან მყოფი ორი თავადიშვილის ხელით,

---

[39] ს. კ ა კ ა ბ ა ძ ე, იმერეთის სამეფოს გაუქმება..., გვ. 507-508.

[40] შ. ბ ე რ ჯ ა ნ ა ძ ე, დასახ. პუბლიკაცია..., გვ. 134-135.

გამომიგზავნა საპასუხო ბარათი, რომელშიაც წერდა, რომ დაბრუნდებოდა იმ შემთხვევაში, თუ უსამართლოდ ჩამორთმეულ ტახტზე აღადგენდნენ. გარდა ამისა, მეფის წარმოგზავნილებმა თან ჩამომიტანეს იმპერატორისათვის გადასაცემი წერილი. მასში იგი ბრალს დებს განსაკუთრებით გენ. ციციანოვს, გრაფ გუდოვიჩს და გენ. ტორმასოვს. წერს, რომ ამ უკანასკნელის მისადმი დამოკიდებულება იყო მიზეზი მისი გაქცევისა. იმპერატორს თხოვს აღადგინოს ტახტზე. მაგრამ ამ წერილს იმპერატორს ვერ გავუგზავნი. მეფის დესპანებმა მთხოვეს ეს წერილი, თუ იგი იმპერატორს არ გადაეცემოდა, უკანვე დამებრუნებია. ჩემთან გამოგზავნილი წერილის პასუხად, მე კვლავ გავუმეორე თხოვნა, დაბრუნებულიყო საქართველოში.[41]

საინტერესოა ის ფაქტი, რომ სოლომონ მეორის გადაბირებისა თუ შემორიგების საქმეში ჩართული ჩანს დავით გიორგის ძის ქვრივი—ანა მათეს ასული. 1811 წლის 25 ოქტომბერს მარკიზი ფ. პაულუჩი გრაფ რუმიანცევს აცნობებდა იმერეთის დედოფალი ანა მათეს ასული, ქართველი თავადის ხეჩატურ ბებუთოვის ხელით, წერილს უგზავნის სოლომონ მეორეს. აღმოუჩინეთ მას ყოველგვარი დახმარება, რათა წერილი დროულად მივიდეს დანიშნულებისამებრ.[42]

სოლომონ მეორესა და ანა მათეს ასულს შორის ყოველთვის დაძაბული ურთიერთობა არსებობდა—ჯერ კიდევ მაშინ, როცა იგი ებრძოდა მის მეუღლეს—დავით გიორგის ძეს და შემდეგ, როცა ტყვეობაში ჰყავდა მისი შვილი—ბატონიშვილი კონსტანტინე. იმერეთის დედოფალს ცარიზმმა დიდი სამსახური გაუწია (ცხადია, საკუთარი პოლიტიკური ინტერესებიდან გამომდინარე) შვილის გათავისუფლების საქმეში. ახლა ანა მათეს ასული ასრულებდა რუსეთის მთავრობის დავალებას და სოლომონ მეორეს მოუწოდებდა დაეტოვებია თურქეთი და იმპერატორის ხელისუფლებას შერიგებოდა. ანა მათეს ასულის წერილი დათარიღებულია 1811 წლის 20 აგვისტოთი. იგი საკმაოდ ვრცელია და პოეტიკური ტონითაა დაწერილი. ყველაფერი ღვთის ნებაა,— წერდა იმერეთის დედოფალი. გაიხსენეთ საბერძნეთისა და რო-

---

41 Акты..., т. V с. 95.

42 ი ქ ვ ე, გვ. 93-94.

მის იმპერიები, მათი იმპერატორები. როგორ დაემხვნენ ისინი. თხოვს—ჩადი თბილისში, მიდი მარკიზ პაულუჩთან, რომელიც პატიოსანი და კეთილშობილი პიროვნებაა. ის გიშუამდგომლებთ იმპერატორთან. თუ საჭირო იქნება, მე თვითონ ჩამოვალ საქართველოში და მერე ერთად წავიდეთ პეტერბურგში, წარგადგენთ იმპერატორთან და ისე თქვენ მიგიღებთ, როგორც შვილს და ძმასო.[43]

კავკასიის რუსული ხელისუფლება სოლომონ მეორესთან ოფიციალურ მოლაპარაკებასაც აწარმოებდა. ა. ტორმასოვი და თ. სიმონოვიჩი ამ მიზნით იყენებდნენ პოდპოლკოვნიკ ათანასე იურის ძე ბოლენცოვს და არქიმანდრიტ ბენედიქტეს. ამის პარალელურად ვანახლდა დიპლომატიური მანევრი შერიფ-ფაშასა და სელიმ ფაშას გადმოსაბირებლად. მასში ჩართული იყვნენ სოლომონ II და სოლომონ ლიონიძე. იმერეთის მეფე მხარს უჭერდა, გარკვეული დათმობებით, ახალციხის საფაშოს შესვლას რუსეთის მფარველობაში. ეს ფაქტი კიდევ ერთხელ ადასტურებს სოლომონ მეორის ერთგულებას რუსული ორიენტაციისადმი. ივი ა. ტორმასოვს დაპირდა დახმარებას ამ საქმეში. სოლომონ II ფიქრობდა, რომ ამ დამსახურების გამო, მისთვის, როგორც ერთგული ქვეშევრდომისათვის, შეიძლება დაებრუნებინათ იმერეთის ტახტი და შეკვეცილი უფლებებით ისევ აღედგინათ ქართული სამეფო. მაგრამ ახალციხეში ჩასულმა ბოლენცოვმა მეფეს იმერეთის მაგივრად, თბილისისაკენ მოუწოდა—ამით მოიპოვებ პირად ბედნიერებას და საუკუნო სიკეთესო.[44]

ახალციხის ბლოკადის შემდეგ, თურქებმა გადაწყვიტეს უფრო აქტიური დახმარება გაეწიათ სოლომონისათვის და თურქეთის „მფარველობაში" აღედგინათ იმერეთის სამეფო. მაგრამ ამ ვანზრახვას, მიუხედავად დიდი სამხედრო მზადებისა დასავლეთ საქართველოში შემოსაჭრელად, რაიმე რეალური შედეგი არ მოჰყოლია. სოლომონ II ახალციხიდან არზრუმში გადავიდა. სულთანმა მაჰმუდ მეორემ არზრუმის ვალს აჰმედ ფაშას ფირმანი ეაუგზავნა, ტრაპიზონის ვალ—სულეიმან ფაშასთან ერთად დახ-

---

[43] იქვე, გვ. 93-94.

[44] შ. ლომსაძე. სამცხე-ჯავახეთი, თბ., 1975, გვ. 239-240.

მარება აღმოეჩინათ სოლომონ მეორისათვის ტახტის დაბრუნებაში.[45]

არზრუმის ფაშასთან უთანხმობის გამო, სოლომონ II გადავიდა ტრაპიზონში, სადაც იგი დიდი პატივით იქნა მიღებული.

სოლომონ მეორის გადმობირება ვერ შეძლეს. იგი კვლავ „იმერეთის კარებთან ტრიალებდა" (ნ. ბერძენიშვილი), თუმცა ვერც იმერეთში შემოჭრა მოახერხა. ამას ხელი შეუშალა 1811-1813 წლებში იმერეთისათვის უაღრესად არახელსაყრელმა საერთაშორისო ვითარების შექმნამ—1812 წელს დამთავრდა რუსეთ-თურქეთის ომი, დაიდო ბუქარესტის ზავი. ნაპოლეონმა მარცხი განიცადა რუსეთში. 1813 წელს შეწყდა რუსეთ-ირანის ომი, ხელმოწერილი იქნა გულისტანის ზავი. ყველაფერმა ამან ცარიზმის პოზიციები განამტკიცა, როგორც ევროპაში, ისე მახლობელ აღმოსავლეთში. ამას დაემატა კიდევ ერთი, უაღრესად მნიშვნელოვანი მიზეზი, რამაც აიძულა სოლომონ მეორე გადაეფიქრებინა იმერეთში დაბრუნება. ეს იყო სტიქიური უბედურება—შიმშილი და ეპიდემია, რაც თავს დაატყდა იმერეთს ამ წლებში.

1813 წელს სოლომონ II და მისი მომხრეები ფოთში ჩამოვიდნენ. აქ მეფე შეხვდა ქაიხოსრო, დავით და ვახტანგ გურიელებს. როგორც ჩანს, ისინი გეგმავდნენ იმერეთზე გალაშქრებას, რაშიაც გურიის სამთავროს თვალსაჩინო როლი უნდა შეესრულებინა. ამავე პერიოდს ეკუთვნის სოლომონ მეორის მოკავშირის, ახალციხის ფაშის სელიმ ხიმშიაშვილის წერილი გურიის მთავარ მამიასადმი. იგი ატყობინებდა ამ უკანასკნელს, რომ იმერეთის მეფე მის ძმასთან იმყოფებოდა და მასაც ურჩევდა მეფის მხარეზე გადასულიყო.[46]

1813 წელს სოლომონ მეორისა და მისი მომხრეების ჩამოსვლა ფოთში შეიძლება იმანაც განაპირობა, რომ ტრაპიზონის ფაშამ სეიდ სულეიმანმა, სულთნის დავალებით, იმერეთის მმართველის მოვალეობის შემსრულებელს, პოლკოვნიკ სტ. მერ-

---

[45] ც. ა ბ უ ლ ა ძ ე. ოთხი თურქული დოკუმენტი იმერეთის მეფის სოლომონ მეორის შესახებ, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, ტ. 121-ე. აღმოსავლეთმცოდნეობის სერია, VII. თბ., 1967, გვ. 165-185; მისივე. ტრაპიზონის ფაშის სეიდ სულეიმანის წერილები სოლომონ მეორესთან. მრავალთავი, ფილოლოგიურ-ისტორიული ძიებანი, ტ. I, თბ., 1971, გვ. 401-406.

[46] Акты..., т. V с. 509.

ლინს წერილი გამოუგზავნა და ბუქარესტის ზავის მე-6 პუნქტის თანახმად, იმერეთისა და მთელი დასავლეთ საქართველოს, რომელიც თითქოს თურქეთს ერგო, რუსეთის ჯარებისაგან დაცლა მოთხოვა.[47] მაგრამ საქმე მიმოწერის ფარგლებში დარჩა. სოლომონ მეორეს რეალური დახმარება გარეშე ძალისაგან არც ახლა მიუღია.

კარის მოძღვრის იესე ყანჩაველის ცნობით, სოლომონ მეორეს ფოთში გადასცეს დედოფალ მარიამის წერილი, რომელშიაც იგი თხოვდა მეუღლეს რუსეთის ხელმწიფეს შერიგებოდა და თურქეთი დაეტოვებია. მაგრამ მეფე ამ დროს სერიოზულად იყო აცვიდ და ტრაპიზონში დაბრუნდა, სადაც გარდაიცვალა კიდეც 1815 წლის 7 თებერვალს.

1815 წლის 21 მარტს ნ. რტიშჩევი იმპერატორს მოახსენებდა სოლომონ მეორის გარდაცვალების შესახებ და აცნობებდა, რომ მისი ამალიდან სამი თავადი წასულა კონსტანტინოპოლში, რათა სულთნისაგან გამოითხოვონ მეფის დაკრძალვის წესის ნებართვა და გამოარკვიონ მათი მომავალი ბედის საკითხი.

„თუ განდევნილობაში მყოფი თავადები ანდა თვით ტრაპიზონის სერასკირი მომმართავენ თხოვნით, მეფე დაკრძალულ იქნას სამშობლოში, მისი წინაპრების გვერდით,—წერდა მთავარმმართველი, ვიცი რა თქვენი კაცთმოყვარეობა და გულმოწყალება. განზრახული მაქვს უარი არ ვუთხრა მათ და ნება დავრთო მეფის ცხედარი ჩამოიტანონ ქუთაისში, მაგრამ ერთი პირობით: ცხედარს ემიგრაციაში მყოფი თავადებისაგან საზღვარზე მიიღებენ იმერეთის წარჩინებული თავადაზნაურობისა და სამღვდელოების წარმომადგენლები, გაძლიერებული სამხედრო დაცვის ქვეშ. მეფის ამალის არც ერთი წევრი არ გადმოვა საზღვარზე, თუ ისინი წინასწარ არ მოინანიებენ თავის დანაშაულს და არ მიიღებენ თქვენი ერთგულების ფიცს. ანდა სასარგებლო იქნება, მათზე გავავრცელოთ 1814 წლის 30 აგვისტოს გამოცემული მანიფესტი და ამის საფუძველზე დავაბრუნოთ თავიანთ სამშობლოში".[48]

ჩანს პეტერბურგმა კატეგორიულად უარყო ნ. რტიშჩევის წინადადება, რაც აისახა კიდეც ამ საკითხისადმი მთავარმმართველის შემდგომ დამოკიდებულებაში.

---

[47] შ. ბ ე რ ჯ ნ ა ძ ე, დასახ. პუბლიკაცია, გვ. 139-140.

[48] Акты..., т. V с. 481-482.

სოლომონ II დაასაფლავეს ტრაპიზონის მართლმადიდებელ პერძენთა წმ. გრიგოლის სახელობის კათედრალური ტაძრის გალავანში. ცოტა მოგვიანებით, 1815 წლის 16 მაისს საქართველოს მთავარმმართველმა გენ. რტიშჩევმა დედოფალ მარიამს აცნობა მეუღლის გარდაცვალების ამბავი და იმედი გამოთქვა, რომ შესაძლებელი იქნებოდა მისი დიდი ხნის თხოვნის—ვორონეჟიდან პეტერბურგში საცხოვრებლად გადაყვანის შესახებ, შესრულებულ. მაგრამ დედოფალმა ახალი თხოვნით მიმართა იმერეთის მმართველს, გენ.-მაიორ თ. სიმონოვიჩს, აღეძრა მისთვის შუამდგომლობა რუსეთის მთავრობის წინაშე, სამშობლოში დროებით დაბრუნების თაობაზე. დედოფალს სურდა თავისი ხარჯებით ტრაპიზონიდან გელათში გადმოესვენებია საყვარელი მეუღლის ცხედარი.[49] მაგრამ თხოვნა უპასუხოდ დარჩა. საქართველოს მთავარმმართველის, გენ. ნ. რტიშჩევის აზრით, მარიამის დაბრუნება იმერეთში, რომელიც ახლა რუსეთის ხელისუფლების ქვეშაა და სადაც ადრე იგი დედოფალი იყო და მონაწილეობდა მეფესთან ერთად ქვეყნის მართვა-გამგეობაში, არათუ შეუფერებელი, არამედ სახიფათოც იყო.

1817 წელს დედოფალი მარიამი ვორონეჟიდან მოსკოვში გადაიყვანეს, სოლო 1818 წელს პეტერბურგში, სადაც გარდაიცვალა კიდეც 1841 წლის 18 მარტს.

გ) დროებითი მმართველობა და იმერეთის ფეოდალური საზოგადოება. 1810 წლის აჯანყებაში მონაწილეთა შემორიგება

რუსულ მმართველობას იმერეთში, ისე როგორც მთელს საქართველოში, მტრულად და უნდობლად უყურებდა ფეოდალური საზოგადოების ძირითადი ნაწილი (ნ. ბერძენიშვილი). საქართველოში თითქმის არაა თავადის ოჯახი, წერდა ა. ერმოლოვი, რომელშიც არ იყოს სპარსეთსა ან ოსმალეთში გაქცეული რამდენიმე მოღალატე.[50] მართალია, ჯერ კიდევ პ. ციციანოვმა ჩაუყარა სა-

[49] მარიამს ამის ნება არ დართეს. 1990 წელს ქართველმა ხალხმა სოლომონის ნეშტი ტრაპიზონიდან გადმოასვენა და გელათში დაკრძალა.

[50] А. Ермолов, записки..., с. 298.

ფუძველი იმერეთის თავადაზნაურობისა და სამღვდელოების ფართომასშტაბიან მოქრთამვას, რაც განუხრელად გრძელდებოდ, მისი მემკვიდრეების დროსაც, ამ მიმართულებით ერთგვარი წარმატებებიც იქნა მიღწეული, მაგრამ ცარიზმმა მაინც ვერ შეძლო რუსული მმართველობისათვის საიმედო დასაყრდენი შეექმნა.

რუსული მმართველობისადმი დამოკიდებულებაში თავადაზნაურობა სამ ჯგუფად გაიყო—ერთი აშკარად გამოვიდა რუსული ხელისუფლების წინააღმდეგ და ბოლომდე მეფის, დამოუკიდებელი სამშობლოს ერთგული დარჩა, მეორე—ჩინ-მედლებს, მატერიალურ კეთილდღეობას დაეხარბა, ეროვნულ ინტერესებს ულალატა და დამპყრობელთა სამსახურში ჩადგა, მესამე—მერყეობდა და პოზიციას კონიუქტურის მიხედვით იცვლიდა.

ცარიზმი თავადაზნაურობასა და სამღვდელოების ზედაფენებზე ზემოქმედების მიზნით, ყოველგვარ საშუალებას იყენებდა. 1811 წლის 22 მარტს თ. სიმონოვიჩი მთავარმმართველს მოახსენებდა, რომ მან გელათში შეკრიბა თავადები, აზნაურები, სამღვდელოება და ხელმეორედ დააფიცა ისინი იმპერატორის ერთგულებაზე. შეკრებილთ გააცნო პროკლამაციის შინაარსი, მონარქის მიერ 1810 წლის აჯანყებაში მონაწილეთა დანაშაულის პატიების შესახებ. თუ ფიცის ერთგული იქნებით და ყოველგვარ კავშირს გაწყვეტთ გაქცეულ მეფესთან და მის მომხრეებთან,—ნათქვამი იყო პროკლამაციაში,—მაშინ კეთილდღეობა და სიუხვე დაისადგურებს თქვენს მიწაზე, მოეწყობა სხვადასხვა სახის დაწესებულებანი, ხაზინის ხარჯზე გაისსნება სასწავლებლები, სადაც განათლებას მიიღებს იმერეთის კეთილშობილი ახალგაზრდობა, მთავრობა იზრუნებს მეურნეობის, აღებ-მიცემობისა და ვაჭრობის განვითარებით სიმდიდრე დააგროვოთ, თქვენი ოჯახების ბედნიერება და კეთილდღეობა უზრუნველყოფილი იქნება... მაგრამ სასტიკი სასჯელი მოელის ზათ, ვინც კავშირს არ გაწყვეტს მეფესთან. უხვად დაჯილდოვდება ყველა, ვინც იმპერატორისადმი ერთგულებას შეინარჩუნებს...[51]

შეკრებილებმა თ. სიმონოვიჩს გადასცეს 1811 წლის 13 მარტს შედგენილი თხოვნა, რომლისგანაც ნათლად ჩანს—დროებითი

[51] Акты..., т. IV, с. 358.

მმართველობისა და თავადაზნაურობის ურთიერთობა უაღრესად დაძაბული იყო. იმერეთის წოდებათა წარმომადგენლები თ. სიმონოვიჩს მოახსენებდნენ: არ შეგვიძლია მდუმარედ დავრჩეთ და ჩვენი გაჭირვების შესახებ გწერთ. არავის მოსვენება არა აქვს, ყველას თქვენი ჯარის საჭიროებისათვის ამუშავებენ. „ჩვენი მცირის მეფის ხელში ეს მოვალეობა არ გვაწვა". „თქვენით გვეცხადება, რომ გაბედნიერდით" მისის უდიდებულესობის ქვეშევრდომობის მიღებითო და არა მხილველთა ბედნიერების, იმ მცირის მეფისაგან ნუგეშიც მოგვაკლდა". ასლა ისიც გამოგვიცხადეს,—ნათქვამია შემდეგ წერილში, 480 ცხენი გამოიყვანეთო. ვიცით, რომ ხელმწიფეს არ ნებავს ჩვენი შეწუხება და არიდეს ინებებს ქირის მოუცემლობას. სასურველია, ფული ჩვენს სანდო კაცს ჩაბარდეს და თუ ქირითაც ვერ შევძელით ცხენების გამოყვანა, დამნაშავედ ჩაგვთვალეთო. ამასთან ერთად, გთხოვთ, მოგვცეთ შეჩვევამდე ჩვენ ერთი თავადთაგანი, რომელ თქვენი ბრძანება შეძლებისამებრ მან გვითხრას და ჩვენი მწუხარება მით მოგხსენდეთ და თვინიერ ამისა ვერ ვხედავთ, რომ მწუხარებისაგან გამოვიდეთ."[52] (ხაზგასმა ჩვენია, გ. ვ.).

მართალია, სასტიკი რეპრესიების შედეგად, თავადაზნაურობა ამ დროს იმდენად დათრგუნული იყო, რომ სამეფო ხელისუფლების აღდგენაზე აშკარა პრეტენზიას ვერ აცხადებდა, მაგრამ შეზღუდული შინაგანი ავტონომიის მოთხოვნას მაინც ბედავდა. დასახელებულ თავადს ერთგვარი არბიტრის როლი უნდა შეესრულებია მოსახლეობასა და რუსულ მმართველობას შორის, ხალხის მოთხოვნა-საჭიროებანი მას უნდა მიეტანა იმერეთის მმართველის და მისი მეშვეობით, იმპერატორამდე.[53]

დროებითი მმართველობისადმი იმერეთის თავადაზნაურობის უნდობლობას ნათლად ადასტურებს შემდეგი ფაქტი: 1811 წლის 12 იანვარს იმერეთის მმართველმა თ. სიმონოვიჩმა წინადადე-

---

[52] იქვე.

[53] ალ. ბენდიანიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 63.

ბით მიმართა ადგილობრივ თავადაზნაურობას, ქუთაისში შეკრებილიყვნენ მდივანბეგების არჩევის მიზნით. არჩევნები 13 იანვარს უნდა ჩატარებულიყო.

ქუთაისში ჩამოსვლას ვერავინ ბედავდა. გავრცელდა ხმები — თავადაზნაურობას ქუთაისში შეკრებენ და ვინც მეფის მომხრე და აჯანყებაში მონაწილეობდა ყველას დაიჭერენო. 12 იანვარს ქუთაისში მხოლოდ 5-6 კაცი ჩამოვიდა. ამის გამო, 13 იანვარს არჩევნები ვერ ჩატარდა. შემდეგ, თანდათან, შიშითა და სიფრთხილით დაიწყეს შეკრება. ზოგი სულაც არ ჩამოსულა. 16 იანვარს თ. სიმონოვიჩი შეხვდა ქუთაისში შეკრებილ თავადაზნაურობას, აუხსნა არჩევნების წესი, აჩვენა საარჩევნო ყუთი და კენჭები.

თავადაზნაურობის წარმომადგენლებმა თ. სიმონოვიჩს თხოვეს არჩევნები მეორე დღისათვის გადაედო, რათა წერილობით ჩამოეყალიბებიათ თავიანთი მოსაზრება ამ საკითხზე. მეორე დღეს თ. სიმონოვიჩს მართლაც მიართვეს თხოვნა, რომელშიაც ნათქვამი იყო, რომ თავადაზნაურობა ძველი წესების ერთგულია.

მათთან ხანგრძლივი საუბრის შემდეგ, თ. სიმონოვიჩმა დაიყოლია ისინი აერჩიათ მდივანბეგები. თავადაზნაურობას საკმარისად მიაჩნდა ორი მდივანბეგი, როგორც ეს მეფის დროს იყო, მაგრამ თ. სიმონოვიჩმა აიძულა ისინი აერჩიათ ექვსი.

თ. სიმონოვიჩის ხელმძღვანელობით დაანგრიეს 1810 წლის აჯანყებაში მონაწილე ფეოდალთა ციხეები, ქუთაისში ჩამოიყვანეს მძევლები მეფის მომხრე დიდგვარიანთა ოჯახებიდან, მკაცრი მეთვალყურეობა დააწესეს არასაიმედო პირებზე, ა. ტორმასოვი მოითხოვდა, მაგრამ თ. სიმონოვიჩმა შეაჩერა აჯანყებაში აქტიურ მონაწილეთა ციმბირში გადასახლება. იმერეთის მმართველს მიაჩნდა, რომ მკაცრი ზომები კიდევ უფრო შეასუსტებდა მოსახლეობის ნდობას რუსული მმართველობისადმი. მათ ჩვენი შიში ექნებათ, სიყვარული კი არა. გარდა ამისა, აჯანყების მონაწილეთაგან ზოგი მოხუცია, მაგრამ ხუთი-ექვსი ვაჟი ჰყავს ოჯახებით, თუ მათ ვაპატიებთ, ისინი თავიანთ შვილებს ჩაუნერგავენ მადლიერების გრძნობას რუსეთის მთავრობისადმიო.

ამასთან ერთად, თ. სიმონოვიჩმა საჭიროდ ჩათვალა იმერეთში ორი სიმაგრის აგება, რაც მორჩილების სულისკვეთებასა და შიშს ჩაუნერგავდა თავადაზნაურობასა და საერთოდ, მოსახლეობას.

პირველ რიგში, იმერთის მმართველს აუცილებლად მიაჩნდა ქუთაისისა და შორაპნის გამაგრება. თ. სიმონოვიჩის განზრახვა მთავარმმართველმა მოიწონა, მაგრამ დამატებითი ხარჯების თავიდან აცილების მიზნით, გადაწყდა არსებული ციხეების შეკეთება.[54] 1819 წლის ივლისში, გიორგი ავალიშვილი ქუთაისის საკათედრო ტაძრის აღწერისას აღნიშნავდა, რომ აქვეა ძველი ციხე განახლებული „განსვენებულისა უფლისა ღენერალ-მაიორისა სიმონოვიჩისა, აქაურის მხარეჲსა მმართებლად ყოფილისა მიერ".[55]

იმერეთის თავადაზნაურობამ თავისი პოზიცია რუსული ხელისუფლების მიმართ, განსაკუთრებით მკვეთრად გამოხატა პეტერბურგში დეპუტაციის გაგზავნის საკითხში. ელაზნაურის ტრაქტატის დადების შემდეგ (1804 წლის 25 აპრილი) იმერეთის თავადაზნაურობის დეპუტაცია „ხელმწიფის წინაშე უნდა წამდგარიყო უქვეშევრდომილესი გრძნობებისა და მადლიერების მოსახსენებლად იმ ბედნიერებისათვის, რომელსაც იმერეთი რუსელმწიფის ქვეშევრდომობით ეღირსა" (ნ. ბერძენიშვილი). სოლომონ II, როგორც ვთქვით, წინააღმდეგი იყო ასეთი დეპუტაცია გაეგზავნა, ვიდრე რუსეთის მთავრობა მის მოთხოვნებს არ დააკმაყოფილებდა. მეფის ტახტიდან ჩამოგდების შემდეგ, რუსული მმართველობა შეეცადა იმერეთის თავადაზნაურობის დეპუტაცია პეტერბურგში გაეგზავნა. 1811 წლის 16 იანვარს აირჩიეს კიდეც მისი შემადგენლობა. მასში შევიდნენ: მიტროპოლიტი ექვთიმე გელათელი, ზურაბ წერეთელი, სეხნია წულუკიძე და დავით მიქელაძე.[56] ზურაბ წერეთელმა განაცხადა, რომ მის მაგივრად პეტერბურგში შვილს—გრიგოლს გაგზავნიდა. მაგრამ შემდეგ შეხედულება შეიცვალა და თვითონ მოისურვა წასვლა. მან თხოვნით მიმართა ა. ტორმასოვს, მისი ძის გრიგოლის ნაცვლად, რომელიც ასალგაზრდაა და კიდევ მოესწრება რუსეთში წასვლას, იმპერატორთან თაყვანისცემად იგი გაეგზავნათ.[57]

დეპუტაციის შემადგენლობისა და მისი პეტერბურგში გაგზავნის საკითხი გართულდა. ზურაბ წერეთელი ა. ტორმასოვს აცნობებდა.

---

[54] ვ. ჩ ე დ ი ნ ო ვ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 275-278.

[55] გ. ა ვ ა ლ ი შ ვ ი ლ ი, მგზავრობა თბილისიდან იერუსალიმამდე, თბ, 1967. გვ. 22.

[56] Акты..., т. IV. с. 350.

[57] ხელნაწერთა ინსტიტუტი, ზ. წერეთლის ფონდი, საბ. No. 80.

რომ რუსეთის მთავრობის ერთგული თავადების პეტერბურგში გაგზავნით, სოლომონის მომხრეთა დასი გაძლიერდებოდა. ა. ტორმასოვმა ეს რჩევა ყურადღრ და თ. სიმონოვიჩს წინადადება მისცა დეპუტაციის შემადგენლობაში შეეყვანა სოლომონ მეორის მომხრე თავადებიც, რომლებთაც სხვადასხვა საბაბით რუსეთში დატოვებდნენ.[58]

დეპუტაცია 1811 წლის გაზაფხულზე უნდა გამგზავრებულიყო. რამდენჯერმე დაზუსტდა მისი შემადგენლობა, მაგრამ იმერელმა ფეოდალებმა, თურქეთის ჯარებით სოლომონის მოსალოდნელი შემოჭრის მომიზეზებით, პეტერბურგში გამგზავრების შემოდგომამდე გადადება მოითხოვეს. შემდეგ ვითარება კიდევ უფრო გართულდა და დეპუტაციის საკითხი მოისსნა.

დროებითი მმართველობა ფართოდ იყენებდა მოსყიდვისა და გადაბირების პოლიტიკას, რასაც გარკვეული წარმატება ჰქონდა. თ. სიმონოვიჩი და მისი მემკვიდრეები გამუდმებით მოითხოვდნენ კავკასიისა და ცენტრალური ხელისუფლებისაგან ჯილდოებს, ფულს, წოდებებსა და ჩინებს ცარიზმის სამსახურში ერთგულად მყოფი პირებისათვის. ამ საკითხში თ. სიმონოვიჩი იმდენად გულუხვი იყო, რომ ა. ტორმასოვის სერიოზული შენიშვნა დაიმსახურა. 1811 წლის 7 მარტს იგი იმერეთის მმართველს წერდა: გაწეულ ხარჯებს მკაცრად აკონტროლებს ფინანსთა სამინისტრო და საერთოდ, უმაღლესი ხელისუფლება. თქვენს მიერ წარმოდგენილი ანგარიში გასულ წელს და ამ წლის დასაწყისში ექსტრაორდინალური ხარჯების შესახებ (ჩამოსული მთავრების გამასპინძლება, საჩუქრები, ჯაშუშების მოსყიდვა და სხვ.) ძალიან დიდია და ზოგჯერ აჭარბებს ჩემს მიერ გაწეულ ხარჯებს მთელს ამ მხარეში.[59]

ცარიზმის სამსახურში ჩამდგარ იმერელ ფეოდალთა წრე ნელ-ნელა ფართოვდებოდა. მათ შორის პირველები იყვნენ ზურაბ წერეთელი და მისი შვილები: გრიგოლი და დავითი (ცოტა მოგვიანებით იმერეთის მიტროპოლიტი). ზ. წერეთელი გამუდმებით მიმართავდა მთავრობას შეენარჩუნებიათ მისთვის ყველა ძველი

---

[58] Акты..., т. IV, с. 359.
[59] Акты..., т. IV, с. 356.

პრივილეგიები და მიეცათ ახლები,[60] ღირსეულად დაეფასებიათ მისი დამსახურება რუსების მიერ იმერეთის დაპყრობის საქმეში. იგი უკმაყოფილებას ვამოთქვამდა იმის გამო, რომ იმერეთის მმართველი მას რჩევას არ ეკითხებოდა. ურთიერთობა მასა და თ. სიმონოვიჩს შორის იმდენად ვამწვავდა, რომ ამ უკანასკნელმა ა. ტორმასოვს თხოვა რაიმე საბაბით თბილისში გაეწვია ივი და იქ სანგრძლივად დაეყოვნებია.[61]

ზურაბ წერეთელი ასევე ენერგიულად ზრუნავდა თავისი შვილების დაწინაურება-დაჯილდოებაზე. 1818 წლის 25 თებერვალს მან თხოვნით მიმართა საქართველოს მთავარმმართველს მისი ვაჟის — გრიგოლისათვის მიეცათ წინათ დაპირებული ვლადიმერის ჯვარი და პოდპოლკოვნიკის წოდება.

მამის კვალს მიჰყვებოდა გრიგოლ წერეთელი. იგი შემთხვევას არ უშვებდა რუსებისათვის თავისი ერთგულება დაემტკიცებია. საქართველოს მთავარმმართველ ევ. გოლოვინისადმი გაგზავნილ წერილში გრიგოლი აღნიშნავდა: „მ ე თ ა ვ ს ვ თ ვ ლ ი ა რ ა ი მ ე რ ლ ა დ, ა რ ა მ ე დ რ უ ს მ ო ქ ა ლ ა ქ ე დ და ყ ო ვ ე ლ მ ხ რ ი ვ ვ ც დ ი ლ ო ბ ე ვ რ ო პ უ ლ ი ც ხ ო ვ რ ე ბ ი ს წ ე ს ს მ ი ვ ბ ა ძ ო, რ უ ს უ ლ ს ა ზ ო ვ ა დ ო ე ბ ა ს შ ე ვ ა გ უ ო ს ა ხ ლ ი და შ ვ ი ლ ე ბ ი ჩ ე მ ი. ამ ი ტ ო მ ქ ა რ თ ვ ე ლ თ ა შ ო რ ი ს ე რ თ-ე რ თ მ ა პ ი რ ვ ე ლ მ ა გ ა ვ გ ზ ა ვ ნ ე ო რ ი ვ ა ჟ ი პ ე ტ ე რ ბ უ რ გ ს ი. მ ზ ა დ ვ ა რ რ უ ს ე თ ს ვ ე მ ს ა ხ უ რ ო ს ი ს ხ ლ ი ს უ კ ა ნ ა ს კ ნ ე ლ წ ვ ე თ ა მ დ ე“.[62] (ხაზგასმა ჩვენია, გ. ვ.).

ცარიზმის სამსახურში მყოფთა ერთ ნაწილს სხვადასხვა პერიოდულ ჯილდოებთან ერთად, წლიური პენსიებიც ეძლეოდათ. ასე მაგალითად, 1820 წლისათვის იმერეთის დროებითი მმართველობის პენსიონებად ირიცხებოდნენ: გენ.-მაიორი, თავადი ზ. წერეთელი—1800 მან; პოლკ. თავადი გიორგი წულუკიძე—400 მან; კაპიტანი, თავადი ნიკოლოზ აბაშიძე—200 მან; პორუჩიკი ნიკოლოზ მაჭავარიანი—100 მან; პოდპორუჩიკი სიმონ ყიფიანი—80 მან.[63]

---

[60] იხ. ამის შესახებ ხელნაწერთა ინსტიტუტის ზ. წერეთლის ფონდი, საბ. No. 54, 80, 90 და სხვ.

[61] Акты..., т. IV, с. 366-367.

[62] ხელნაწერთა ინსტიტუტი, გრიგოლ წერეთლის ფონდი, საბ. No. 144.

[63] ს ც ს ს ა, ფ. 2, აღწ. 1, საქ. 255, ფურ. 27-39.

სცადეს გამოჩენილი ქართველი სახელმწიფო მოღვაწის და დიპლომატის სოლომონ ლიონიძის მოსყიდვაც. ჯერ კიდევ, 1810 წლის 20 იანვარს ა. ტორმასოვი თ. სიმონოვიჩს წერდა: განსაკუთრებით ეცადეთ ყოველგვარი თქვენი შესაძლებლობებით, გადაიბიროთ თქვენკენ თავადი სოლომონ ლიონიძე... მას შეუძლია გამონახოს ხერხი ჩაგვიგდოს ხელში თვით მეფე, შთააგონოს მას ჩვენი მოთხოვნა, რათა მეფემ მშვიდობიანად იცხოვროს ქუთაისში, იმპერატორის მფარველობის ქვეშ.[64] (ხაზგასმა ჩვენია, გ. ვ.). სოლომონ ლიონიძის გადაბირება ვერ მოხერხდა, მაგრამ ადგილობრივი რუსული ხელისუფლება ამ მიმართულებით მუშაობას აგრძელებდა. 1811 წლის 22 ივლისს ახალციხეში გაქცეულ სოლომონ ლიონიძეს ა. ტორმასოვი წერდა: გეტყვი ჭეშმარიტებას, რომ თქვენი ამაგი იმერეთის ყოფილი მეფის სასარგებლოდ და თქვენი მდგომარეობა ახლანდელ ვითარებაშიდაც კი მე არასოდეს არ გამიკიცხავს. პირიქით, მიმაჩნია ის თქვენში მადლიერების კეთილშობილ გრძნობად იმ წყალობისათვის, რომელიც მან თქვენ აღმოგიჩინათ.

თუ გაუგონებთ თქვენი გონების ხმას და ნებაყოფლობით ჩემთან გამოცხადდებით, მიღებულ იქნებით კარგად, დარჩებით სრულ თავისუფლებაში და თქვენი სურვილის თანახმად, გაიგზავნებით პეტერბურგში უმაღლეს კარზე, სადაც უხვად დაგაჯილდოვებენ, დაგენიშნებათ სარჩო და პენსია.[65] მაგრამ ამ მაცდუნებელმა დაპირებებმაც ვერ შეარყიეს სოლომონ ლიონიძის რწმენა. იგი სამშობლოსა და მეფის ერთგული დარჩა ბოლომდე.

ა. ტორმასოვი შეეცადა სოლომონ მეორის სიძის (დის მეუღლის) მალხაზ ანდრონიკაშვილის გადაბირებას. მან, როგორც უკვე აღვნიშნეთ, თბილისში გაგზავნა თავისი ცოლშვილი, ხოლო თვითონ სოლომონ მეორესთან დარჩა ახალციხეში, შემდეგ კი თურქეთშიც გაჰყვა მას.

რუსეთის ხელისუფლება განსაკუთრებით გააქტიურდა სოლომონ მეორის გარდაცვალების შემდეგ. მეფის ერთგული მხლებელ-

---

[64] Акты..., т. IV, с. 220.

[65] იქვე, გვ. 381.

ნი მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდნენ. რუსეთის მთავრობა მათ პატიებასა და ყმა-მამულის დაბრუნებას პირდებოდა. თავის მხრივ, პორტასაც სურდა გამოეყენებია ისინი თავისი მიზნებისათვის. ნ. დადიანი წერდა: მეფის სიკვდილის შემდეგ, „თავად-აზნაურნი, მხლებელნი მისნი, არა განუტევეს ოსმალთა და ეტყოდნენ: ოდეს ჩვენდა დავიპყრობთ იმერეთსა, მაშინ განგიტევებთო. და იცოდნენ მათ ოსმალთა მოტყუების ამბავი. და იმეცადინეს და გამოიპარენ ერთიანად ამერელნი, მუნ მხლენი მეფისანი, და მოვიდნენ იმერეთად და შეიწყნარეს რუსთა და მისცეს თვის-თვის სახლისა შინა მშვიდობით ცხოვრებაი".[66]

სოლომონ მეორის სიკვდილის შემდეგ, რუსებს „შეურიგდნენ" და საქართველოში დაბრუნდნენ: მალხაზ ანდრონიკაშვილი, წერეთლები, აგიაშვილები, მიქელაძეები და სხვ. ზოგი მათგანი რუსეთის სამსახურში ჩადგა და ერთგულებისათვის ჩინ-მედლები დაიმსახურა. იმერეთის თავადაზნაურობის ძირითადი ნაწილი კი დამოუკიდებელი სამეფოს იდეის ერთგული დარჩა და აქტიურად ჩაება 1819-1820 წლების აჯანყებაში, რომლის ჩახშობის შემდეგ, მისი მონაწილეების დასჯა-შემორიგების პროცესი დაიწყო. მაგრამ 1832 წლის ამბებმა დაადასტურეს, რომ იმპერიის სამსახურში მყოფი ქართველი თავადაზნაურობა მტკიცედ ინახავდა სამშობლოს სიყვარულს და მზად იყო პირველ შემთხვევისთანავე, თავი დაედო მისი თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის.

ქართულ ისტორიოგრაფიაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ 1832 წლის შეთქმულებას არავითარი გამოხმაურება არ ჰქონია დასავლეთ საქართველოში, კონკრეტულად იმერეთში,[67] რაც, ჩვენი აზრით, ზუსტი არ არის. პროფ. გ. გოზალიშვილის მიერ გამოქვეყნებული მასალებიდან[68] ირკვევა, რომ შეთქმულების მეთაურებთან (ალ. ორბელიანი, ელ. ერისთავი, გ. დ. ერისთავი და სხვ.) მჭიდროდ იყო დაკავშირებული იმერელი აზნაური თეიმურაზ ლორთქიფანიძე. მას მიეცა წერილობითი ინსტრუქცია იმის შესახებ, თუ როგორ უნდა ჩაება იმერეთის თავადაზნაურობის წარმომადგენლები შეთქმულებაში. თ. ლორთქიფანიძეს ამ მი-

---

[66] ნ. დ ა დ ი ა ნ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 205.

[67] გ. ხ ა ჭ ა პ ა ტ რ ი ძ ე, დასახ. ნაშრ. გვ. 218 და სხვ.

[68] გ. გ ო ზ ა ლ ი შ ვ ი ლ ი, 1832 წლის შეთქმულება, ტ. I, ტფ., 1935; ტ. II, თბ., 1970; ტ. III, თბ., 1976.

მართულებით დაუწყია კიდეც მუშაობა. მან დაკითხვაზე აჩვენა, რომ თავადებმა ალექსანდრე ორბელიანმა და გიორგი ერისთავმა დავალება მისცეს შეცდილიყო, იმერელი თავადები და აზნაურები აჯანყებაში მონაწილეობაზე დაეყოლიებია. შეთქმულების არსებობის შესახებ ეცნობებია თავადების—ნიკო და გიორგი ჩიჯავაძეების, ბესო ლორთქიფანიძისა და სხვა წარჩინებულ პირთათვის, დაერწმუნებია ისინი ქართლ-კახეთის თავადაზნაურებისათვის მიებაძათ. იმერეთში ჩასვლისას—თქვა თ. ლორთქიფანიძემ, მე ამ დავალების შესახებ არავისთვის გამომიცხადებია, გარდა გიორგი ჩიჯავაძის და ბესო ლორთქიფანიძისა. ორივემ სიხარულით მიიღეს ეს ცნობა და თქვეს: „ღმერთმა ინებოს, რომ ეს მოხდეს, ჩვენ მათ არ ჩამოვრჩებით და საერთო ძალით ვიმოქმედებთო.“[69] სხვათა ჩვენებებიდანაც (იასე ფალავანდიშვილი, ელ. ერისთავი, იოსებ მამაცაშვილი და სხვ.) ჩანს, რომ თ. ლორთქიფანიძე შეთქმულების სასარგებლოდ მოქმედებდა დასავლეთ საქართველოში. სავსებით გასაგებია, რომ სასამართლო კომისიაზე დაკითხულები ყოველმხრივ ცდილობდნენ დაეფარათ საქმის ნამდვილი არსი. ასე უნდა განვიხილოთ იმერეთის მმართველის გენ.-მაიორ ვაკულსკის რაპორტი საქართველოს მთავარმმართველ, ბარონ გრ. როზენისადმი. მასში ნათქვამია: „მივიღე რა თქვენი მაღალაღმატებულების მიმდინარე მარტის 6-ით დათარიღებული (1833 წ., გ. ვ.)... საიდუმლო მოწერილობა საგამომძიებლო კომისიის მიერ იმერელ ლორთქიფანიძისათვის ჩამორთმეული ჩვენებითურთ, ქუთაისში მოვიწვიე თავადები: ნიკო და გიორგი ჩიჯავაძეები, ბესო ლორთქიფანიძე და... აზნაური ზალიკო ჩახუნაშვილი და პირადად დაწვრილებით დავკითხე მათთვის წაყენებული ბრალდების გამო და მთავარ პუნქტებზე ჩამოვართვი წერილობითი ჩვენებანი.

წარმოგიდგენთ რა ამასთანავე, მათ ჩვენებათა ორიგინალებს, მაქვს პატივი მოგახსენოთ, რომ მათ მიმართ რაიმე ეჭვი საქართველოში არსებულ შეთქმულებაში მონაწილეობის შესახებ არ გამართლდა, რის გამოც, თანახმად თქვენი მაღალკეთილშობილე-

---

[69] გ. გოზალიშვილი, ტ. II,... გვ. 369-371.

ბის სურვილისა, დავუწესე მათ პოლიციის საიდუმლო მეთვალყუ-
რეობა ქუთაისში (1832 წლის 21 მარტი).“[70]

არავითარი საფუძველი არ გვაქვს ვენდოთ გენ.-მაიორ ვა-
კულსკის, რომელიც დაინტერესებული იყო უმაღლესი სელისუფ-
ლების წინაშე საქმე ისე წარმოედგინა, თითქოს, ამ მხრივ, იმე-
რეთში ყველაფერი წესრიგში იყო და არ დავუჯეროთ თეიმურაზ
ლორთქიფანიძეს. მან ხომ განაცხადა, რომ გიორგი ჩიჯავაძე და
ბესო ლორთქიფანიძე აღტაცებით შეხვდნენ ცნობას შეთქმულების
შესახებ. ჩ ვ ე ნ ი ღ რ მ ა რ წ მ ე ნ ი თ, ი მ ე რ ე თ ი ს თ ა ვ ა დ-
ა ზ ნ ა ურ ო ბ ი ს გ ა ნ წ ყ ო ბ ი ლ ე ბ ა, ს წ ო რ ე დ, მ ა თ გ ა-
მ ო ხ ა ტ ე ს. თუ თ. ლორთქიფანიძეს იმერეთში არავითარი მუშა-
ობა არ ჩაუტარებია, რატომ დასაჯეს ასე მკაცრად—იგი ციმბირში
გადაასახლეს.

არ შეიძლება იმის მტკიცება, რომ ცარიზმის ენერგიულმა
ცდებმა, მისი მომხრეთა რიცხვი გაემრავლებია, სულ უნაყოფოდ
ჩაიარა. ზოგჯერ რუსეთის მთავრობა ახერხებდა აღვილობრივი
მოსახლეობიდან შეიარაღებულ მილიციელთა რაზმებიც კი შექ-
მნა თავისი კოლონიზატორული პოლიტიკის გატარებაში მონაწი-
ლეობის მისაღებად. მაგალითად, იმერეთის დროებითმა მმართვე-
ლობამ 1838 წელს შეადგინა ასეთი რაზმი აფხაზეთში მიმავალთა
წინააღმდეგ საბრძოლველად. იმპერატორმა იგი დროშით დაა-
ჯილდოვა და სპეციალური სიგელიც გამოუგზავნა.[71]

იმერეთის თავადაზნაურობამ პომპეზური შეხვედრა მოუწყო
1837 წელს საქართველოში ჩამოსულ ნიკოლოზ პირველს.[72] განსა-
კუთრებით აქტიურობდა გრიგოლ ზურაბის ძე წერეთელი, რომელ-

[70] ი ქ ე ე, გვ. 484.

[71] ქუთაისის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი, ხელნაწერთა
განყ. საბ. No.2340.

[72] იმპერატორის ამ მოგზაურობას კინაღამ ემსხვერპლა ბაგრატის ტაძრის
გრანდიოზული ნანგრევები. საქმე იმაშია, რომ საქართველო-იმერეთის სინო-
დალურმა კანტორამ დასავლეთ საქართველოში გამოგზავნა არქიტექტორი
რიპარდი, რომელსაც დაევალა შეემოწმებია ის ობიექტები, რომლებიც იმპე-
რატორს უნდა დაეთვალიერებია. არქიტექტორის აზრით, რადგან ბაგრატის
ტაძრის შეკეთება შეუძლებელი იყო, იგი უნდა დაენგრიათ მთლიანად. შედგა
საამისო ხარჯთაღრიცხვაც. მაგრამ იმპერატორის ჩამოსვლამდე ეს ვერ მო-
ესწრებოდა და ამის გამო, საქართველოს საეგზარქოსომ ეს ბრიყვული, უფრო
ზუსტად, მკრეხელური ჩანაფიქრი ვერ განახორციელა ამის შესახებ იხ. ქცსა,
ფ. 21, საქ. 1465, ფურ. 1-38.

მაც ამისათვის სპეციალური ვერცხლის მედალიც კი მიიღო.[73] რუსი მოხელე კ. ბოროზდინი მოგვითხრობდა: დროებით მმართველობაში თარჯიმნად მუშაობდა მოიჯარადრე და მრეწველი სტეფანე აკოფოვი, რომელმაც რუსული „საყველპუროდ" იცოდა. 1837 წელს, როდესაც ხელმწიფე ნიკოლოზ პავლეს ძე, — წერდა კ. ბოროზდინი, ქუთაისში მოსვლის დროს ქალაქის მოედანზე მოქალაქეთა შორის ჩადგა და სანამ მათთან ლაპარაკს დაიწყებდა, იკითხა: „რუსული ვინ იცის"-ო—აკოფოვი წინ წადგა და მოახსენა: „მე, თქვენო კეთილშობილებავ"-ო. ხელმწიფეს გაეღიმა და უთხრა: „ვხედავ, ჩემო კარგო, რომ შენის საშუალებით ბევრს ვერაფერს ვიტყვიო."[74]

ვავიდა ნიკოლოზ პირველის საქართველოში „ტრიუმფალური" მოგზაურობიდან სულ რაღაც ოთხი წელი და გურიაში იფეთქა (1841 წ.) ცარიზმის კოლონიზატორული პოლიტიკის წინააღმდეგ მიმართულმა მძლავრმა სახალხო მოძრაობამ, რომელმაც მხურვალე გამოხმაურება ჰპოვა იმერეთშიც. ცხადი გახდა — იმერეთში პოლიტიკური სტაბილიზაციის მისაღწევად, ცარიზმს ჯერ კიდევ ბევრი რამ ჰქონდა გასაკეთებელი.

2. დროებითი მმართველობის ღონისძიებანი 1811-1812 წლებში იმერეთში სტიქიური უბედურების შედეგების დასაძლევად

რუსული მმართველობის დამყარებასთან ერთად, ქვეყანას თავს დაატყდა დიდი უბედურება—შიმშილი, წყალდიდობა და შავი ჭირის ეპიდემია. ამ საზარელი სენის პირველი ნიშნები 1810 წლის მიწურულიდან გამოჩნდა. იგი იმერეთში შემოიტანეს ახალციხეზე მარცხიანი ლაშქრობის მონაწილეებმა.[75] ეპიდემიას, რომელიც დღითიდღე ძლიერდებოდა და 1811-1812 წლებში,

[73] საქართველოს ხელნაწერთა ინსტიტუტი, გრ. წერეთლის ფონდი, საბ. No. 12.

[74] კ. ბ ო რ ო ზ დ ი ნ ი, სამეგრელო და სვანეთი, 1854-1861, მოგონებანი, თბ., 1936, გვ. 56.

[75] 1810 წლის ნოემბერში ა. ტორმასოვმა მოაწყო ახალციხის საფაშოზე გალაშქრება. ამ ლაშქრობის მიზანშეწონილობა მრავალი მიზეზით იყო განპირობებული, მაგრამ ამჯერად ა. ტორმასოვისათვის მთავარი იყო ის, რომ იმერეთიდან ლტოლვილი მეფე ახალციხის საფაშოს აფარებდა თავს და ახალი აჯანყებისათვის ემზადებოდა.

დასავლეთ საქართველოს მნიშვნელოვანი ნაწილი მოიცვა (აფხაზეთისა და სვანეთის ჩათვლით) თან დაერთო შიმშილი. აჯანყების მსვლელობის დროს, გადაითელა ან აუღებელი დარჩა მოსავალი, განადგურდა და გაიჩეხა ხეხილის ბაღები, ღვინო დალიეს როგორც აჯანყებულებმა, ასევე ჩვენმა მეომრებმა,—გულახდილად წერდა პ. გნილოსაროვი.[76] 1811 წლის ივნის-ივლისში გადაუღებელ კოკისპირულ წვიმებს შედეგად მოჰყვა არნახული წყალდიდობა. წყალმა აავსო თითქმის ყველა ხეობა, დანგრია და წაიღო სახლები, სამეურნეო ნაგებობანი, ხიდები, დაახრჩო ადამიანები, პირუტყვი, ფრინველი. ეპიდემიამ და შიმშილმა საყოველთაო ხასიათი მიიღო. იმერეთის მმართველი, გენ.-მაიორი თ. სიმონოვიჩი 1811 წლის 21 ოქტომბერს საქართველოს მთავარმმართველს, მარკიზ ფ. პაულუჩს წერდა, რომ იმერეთის ოლქის სამ ოკრუგში ვადამდები ავადმყოფობა მძვინვარებდა, საკვების საშოვნად და შავი ჭირის თავის დაღწევის მიზნით, მოსახლეობა მასობრივად გაიფანტა მეზობელ პროვინციებში, ტყეებსა და მთებში. ქუთაისში სახლი არაა, სადაც ავადმყოფი არ იყოს.[77]

იმავე თ. სიმონოვიჩის ცნობით, მარტო 1811 წელს იმერეთში დაიღუპა 32.750, გაიბნა 7.450, გაიყიდა ორიათასი სული.[78] ორი წლის განმავლობაში, იმერეთის მოსახლეობა ითქვეს ცნახევრდა. გაუკაცრიელდა სოფლები. ბევრ მათგანში 100 კომლიდან ათიღა თუ დარჩა. შიმშილმა ისეთ მასშტაბს მიაღწია, რომ მოსახლეობა ბალახით იკვებებოდა, მშობლები გროშებად ყიდდნენ თავიანთ შვილებს, რათა მჭამელთა რაოდენობა შეემცირებინათ და გადაერჩინათ ისინი შიმშილით სიკვდილისაგან. ნ. დადიანი წერდა: „წელსა ამას 1811, გაჩნდა იმერეთსა შინა, ოდიშსა და გურიაში საშინელი მომსვრელი სენი (ესე იგი ჟამი) და ამასთან საშინელი და საკვირველი სიყმილი, რომელ უთვალავნი მოისრნენ და მრავალნი განიბნენ, კნინდა და შუა გაიყო ყოველნი ქვეყანა-

---

[76] Гнилосаров П., Очерки из жизни митрополита Давида, Кавказский календар на 1854 г., Тиф., 1853, с. 506.

[77] Акты..., т. V, с. 92-93.

[78] ი ქ ვ ე, გვ. 97; Н. Дубровин, Пять лет из историй войны и владычества русских на Кавказе (1812-1816), Военный сборник, 1880 г., No. 6.

ნი ესე ზემოხსენებულნი, და მრავალნი წარვიდენ აფხაზეთად, ვინათგან აფხაზეთსა შინა არ იყო წელსა მას სიყმილი და არცა იგი მომსვრელი სენი. და განგრძელდა ესევითარი რისხვა ღვთისა ორსა წელსა და შემდგომად გარვიდა, ვარნა ქვეყანანი მრავალნი და სოფელნი დაშთენ ოხრად."[79]

გენ.-მაიორი თ. სიმონოვიჩი საქართველოს მთავარმმართველისადმი 1812 წლის 7 ივნისს გაგზავნილ რაპორტში აღნიშნავდა: სტიქიური უბედურების პირველი მიზეზი იყო აჯანყება და ახალციხიდან თურქეთის ჯარებით სოლომონ მეორის შემოჭრა, რამაც იმერეთის მეტი ნაწილი ვაანადგურა... არ არის ძალა, რომელსაც შეუძლია დასავლეთ საქართველოს მოსახლეობას, განსაკუთრებით, იმერლებს ჩაუნერგოს ნდობა და ერთგულება ჩვენი მთავრობისადმი, რომელსაც ისინი ამ უბედურების მთავარ მიზეზად თვლიან."[80]

ხელისუფლება, ცხადია, ცდილობდა იმერეთში შექმნილი კატასტროფული მდგომარეობა მისგან დამოუკიდებელი მიზეზებით აეხსნა და ყველაფერი ადგილობრივი მოსახლეობისათვის გადაებრალებინა. იმერეთში, და საერთოდ, დასავლეთ საქართველოში შექმნილმა უმძიმესმა ვითარებამ რუსეთის მთავრობა დააფიქრა. საქართველოს მთავარმმართველმა, მარკიზმა ფ. პაულუჩიმ დამშეულთა დასახმარებლად 1811 წლის 24 ოქტომბერს პეტერბურგიდან 10 ათ. მანეთი ვერცხლით და 15 ათ. ჩეტვერტი ხორბალი გამოითხოვა. ეს აუცილებელია იმისთვისო,—წერდა მარკიზი ფ. პაულუჩი, რომ უკვე რუსეთის შემადგენლობაში შემოსულმა ხალხმა იგრძნოს მთავრობის ზრუნვა და მადლიერების გრძნობით განიმსჭვალოს მონარქისადმიო.[81] 28 ოქტომბერს იგი პოლიციის მინისტრს წერდა: „...იმერეთში შიმშილია, მე კი დახმარების არავითარი საშუალება არ მაქვს. გამოვითხოვე 10 ათ. მანეთი და 15 ათ. ჩეტვერტი ხორბალი. გთხოვთ დამეხმაროთ უმოკლეს ვადაში მივიღო ფული და ხორბალი".

1811 წლის 5 დეკემბერს მარკიზი ფ. პაულუჩი პეტერბურგში გზავნის კიდევ ერთ რაპორტს, რომელშიაც ნათქვამია: „...იმერეთში არსებული მძიმე მდგომარეობა ძალიან მაღელვებს, მაგრამ არავითარი საშუალება არ მაქვს მის გამოსასწორებლად. ახლახან

---

[79] ნ. დადიანი, დასახ. ნაშრ., გვ. 203.

[80] Акты..., т. V, с. 405.

[81] იქვე, გვ. 93.

მე კვლავ მივიღე მოწერილობა იმერეთის მმართველ, გენ.-მაიორ სიმონოვიჩისაგან იმის შესახებ, რომ იმერეთის მოსახლეობის ნაწილი დაიღუპა შიმშილისაგან, ნაწილი საკვების მოსაპოვებლად გაიფანტა ახლომახლო ადგილებში. იმერეთის სამღვდელოება: მიტროპოლიტები—ქუთათელი, გელათელი, აგრეთვე წარჩინებული თავადები—წერეთლები, მიქელაძეები, წულუკიძეები, ნხეიძეები და სხვები, არა აქვთ რა საშუალება, ახალი მოსავლის მიღებამდე გამოკვებონ თავიანთი ქვეშევრდომები, ითხოვენ დახმარებას."[82]

1812 წლის იანვარში, ბოლოს და ბოლოს, მიღებულ იქნა დაპირებული დახმარება, რომელიც დამშეულთ დაურიგდა. მაგრამ თვით იმერეთის მმართველის აზრით, ეს საკმარისი არ იყო და გარდა ამისა „ხელმწიფის წყალობა" მიღებულ იქნა მაშინ, როცა სტიქიურმა უბედურებამ თავისი საქმე გააკეთა. მართლაც, ფაქტობრივად, ეს დახმარება ერთჯერადი აღმოჩნდა და შემდეგში მაინცდამაინც თავი არავის შეუწუხებია რაიმე არსებითი გაეკეთებია სტიქიური უბედურების შედეგების დასაძლევად.

„ხელმწიფის წყალობაში" შედიოდა აგრეთვე, იმერეთის მოსახლეობის დროებით გათავისუფლება ყოველგვარი გადასახადებისაგან. ეს იძულებითი ღონისძიება იყო. შიმშილითა და გადამდები სენისაგან სიკვდილის პირას მისულ გლეხს ფიზიკურად არაფრის გადახდა არ შეეძლო.

1814-1815 წლებში შიმშილი და ეპიდემია შენელდა, მაგრამ მდგომარეობა მაინც ურთულესი რჩებოდა. 1815 წელს ვითარების ადგილზე გასაცნობად, იმერეთში ჩამოვიდა საქართველოს ახალი მთავარმმართველი, გენ.-ლეიტენანტი ნიკოლოზ თევდორეს ძე რტიშჩევი (1812-1816). მან ქუთაისში მოიწვია სამეგრელოსა და გურიის მთავრები და ეთათბირა მათ. ნ. დადიანი წერდა: ნ. თ. რტიშჩევი „მოვიდა იმერეთად, განიხილა ყოველი იმერეთი, მიუწოდა ქუთაისს მთავართა, დადიანსა და გურიელს, უალერსა მათ შესაბამად და მუნით მივიდა მარანზედ საჭილაოს, მიწვეული ლევან დადიანისა, და უქმნა შესაფერი მეჯლიში დადიანმა და შემდგომად წარვიდა კვალად საქართველოდ. ხოლო ჟამ-

[82] ი ქ ვ ე. გვ. 96.

სა ამას იყო იმერეთის მმართებლად პოლკოვნიკი სტანისლავ დამიანვიჩი მერლინი".[83]

ნ. თ. რტიშჩევმა იმერეთში თავისი მოგზაურობის შესახებ, 1816 წლის 3 სექტემბერს იმპერატორს გაუგზავნა დაწვრილებითი რაპორტი, რომელშიაც ვრცლადაა დახასიათებული დასავლეთ საქართველოში არსებული მდგომარეობა და ხელისუფლების მიერ გატარებული ღონისძიებანი. იგი ირწმუნებოდა, რომ დასავლეთ საქართველოში საქმე უკვე უკეთესობისაკენ მიდიოდა და ახლო მომავალში მისი მოსახლეობა, რომელიც ხასიათდებოდა ჩვეულებათა უბრალოებით, გულწრფელობით და სტუმართმოყვარეობით, ისეთივე ერთგული იქნება ხელმწიფე იმპერატორისა, როგორც ძირძველი რუსი მოქალაქეები.

ნ. რტიშჩევის ეს წინასწარმეტყველება არ გამართლდა. ძალიან მალე (1819-1820 წწ.) მოვლენების მსვლელობამ დაადასტურა, რომ იმერეთის მოსახლეობას მაინც საკუთარი მეფე ერჩია რუსეთის ხელმწიფეს.

3. დროებითი მმართველობის სოციალურ-ეკონომიკური ღონისძიებები

საქართველოში ცარიზმის პოლიტიკურად გაბატონებას სოციალურ-ეკონომიკური საყრდენი სჭირდებოდა, მაგრამ მის ღონისძიებებს ამ მიმართულებით იმთავითვე სერიოზული დაბრკოლებები ეღობებოდა წინ. საქმე იმაშია, რომ XIX საუკუნის დასაწყისში რუსეთი ბიუროკრატიულ-ცენტრალისტური, ფეოდალური სახელმწიფო იყო, საქართველო კი ჯერ ისევ ფეოდალურ-ვასალური ურთიერთობის სამეფო. (ნ. ბერძენიშვილი). ცალკეულ ფეოდალურ ერთეულებად დაშლილ-დაქუცმაცებული ქვეყნის გაერთიანება რუსეთის მთავრობას, მისი ბურჟუაზიის სისუსტის გამო, ეკონომიკური დაპყრობის გზით არ შეეძლო. ამიტომ იგი, უმთავრესად, სამხედრო-პოლიტიკურ მეთოდებს მიმართავდა. სოციალურ-ეკონომიკური განვითარების საერთო დონის მიუხედავად, საქართველოს სხვადასხვა რეგიონებს, კონკრეტულად, იმერეთს

[83] ნ. დ ა დ ი ა ნ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 205.

გარკვეული თავისებურებანი გააჩნდა, რომელთა გაუთვალისწინებლობა დამატებით სირთულეებს უქმნიდა რუსული მმართველობის ადგილობრივ ხელისუფლებას და მოსახლეობის ექსპლოატაციას კიდევ უფრო უხეშ ფორმას აძლევდა.

დროებითი მმართველობა, კავკასიაში ცარიზმის საერთო სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკიდან გამომდინარე, არ ცნობდა იმერეთის თავადების სამოხელეო-სამემკვიდრეო უფლებებს და საფუძველს აცლიდა ყოფილი სამეფოს ტერიტორიაზე არსებულ სენიორიებს, სათავადოთა სისტემას საერთოდ. სათავადო შეუვალ ან ნახევრად შეუვალ სამფლობელოდან, რუსეთის ხელმწიფის ქვეშევრდომის—„პომეშჩიკის" უბრალო მამულად გადაიქცა. რუსული მმართველობის არსებობის პირველსავე წლებში ადმინისტრაციულად, თანდათანობით, გაუქმდა იმერეთში არსებული: აბაშიძეთა, აგიაშვილთა, იაშვილთა, ლორთქიფანიძეთა, ნიქელაძეთა, მხეიძეთა, ნიჟარაძეთა, რაჭის ერისთავთა, ღოღობერიძეთა, ჩიჯავაძეთა, ჩხეიძეთა და წერეთელთა სათავადოები.[84] ამას მოჰყვა თავადთა საერთო, დიდი ოჯახების დაშლა, რასაც თან ახლდა სათავადოს წევრებს შორის გაყრასა და ქონების განაწილებასთან დაკავშირებული სერიოზული უთანხმოებანი. იმერელ თავადს, რომელმაც ფეოდალური მოხელის „სახელო" დაკარგა, რუსულ მმართველობაში არჩევნების გზით შეეძლო მიეღო თანამდებობა, მაგრამ აქ იგი შეურაცხყოფილად გრძნობდა თავს, რადგან რომელიმე ძირძველი თავადური გვარის წარმომადგენელი—აბაშიძე, აგიაშვილი ანდა წერეთელი, ვიღაც პეტროვის, ივანოვის ან სტეპანოვის ხელქვეითი და „მრჩეველი" უნდა გამხდარიყო.

ამიტომ, თავდაპირველად, თავადაზნაურობა უსალისოდ, უფრო ზუსტად უნდობლად, ეკიდებოდა დროებით მმართველობაში სამსახურს. იმერეთის რუსული ადმინისტრაციის პირველი თანამშრომლები იყვნენ სოლომონ მეორის მოწინააღმდეგენი, რომლებიც ჯერ კიდევ სამეფოს არსებობის უკანასკნელ პერიოდში, ცარიზმთან კავშირში იმყოფებოდნენ. მაგრამ ეკონომიკურმა პირობებმა, ძველი პრივილეგიების დაკარგვის შემდეგ, რაღაც სოციალური კომპენსაციის მიღების სურვილმა, იმერეთის თა-

---

[84] ო. სოსელია, დასახ. ნაშრ., ტ. I-II...

ვადაზნაურობა აიძულა სამსახური ეძია. ასე თანდათან მისმა წარმომადგენლებმა დაიკავეს მდივანბეგების, ოკრუგის უფროსის თანაშემწეების, თარჯიმნების, მმართველობის კანცელარიის თანამშრომელთა თანამდებობანი. სხვადასხვა დროს მ დ ი ვ ა ნ ბ ე გ ე ბ ი იყვნენ: თავადები—სეხნია წულუკიძე, დავით მიქელაძე, დავით ჩხეიძე, ნიკოლოზ წერეთელი, როსტომ ჩხეიძე, ბესო წერეთელი,[85] ვახუშტი ჩიჯავაძე, ბეჟან წულუკიძე, ოტია ლორთქიფანიძე, დავით აბაშიძე, როსტომ აბაშიძე[86] და სხვ.

ოკრუგის უფროსის თანაშემწეები: თავადები—ბეჟან აბაშიძე, ოტია ჩხეიძე, ნიკოლოზ ლორთქიფანიძე, როსტომ ერისთავი, გიორგი აბაშიძე, ივანე აბაშიძე, გიგო წულუკიძე და სხვ. აზნაურები: დავით კლდიაშვილი, გრიგოლ ლორთქიფანიძე, სიმონ მაჭავარიანი, ივანე ბაქრაძე[87] და სხვ.

კ ა ნ ც ე ლ ა რ ი ი ს თ ა ნ ა მ შ რ ო მ ლ ე ბ ი: დავით წულუკიძე, ივანე ისარლიშვილი, მიქელაძე—ფალავანდიშვილი, კალისტრატე წერეთელი, ლევან ლორთქიფანიძე, ბეჟან ჩხეიძე და სხვ.

რაც დრო გადიოდა, სამოქალაქო სამსახურის შოვნა სულ უფრო ძნელი ხდებოდა. 1835 წლის ივლისში დროებით მმართველობას თხოვნით მიმართა თავადმა ვახტანგ რევაზის ძე ლორთქიფანიძემ მიეღოთ იგი კანცელარიის თანამშრომლად და წარადგინა სათანადო საბუთები, მათ შორის სამაზრო სასწავლებლის დამთავრების მოწმობა. მმართველობამ უარი უთხრა ვ. ლორთქიფანიძეს, რადგან მისი თხოვნის ტექსტი დაწერილი ყოფილა სერიოზული შეცდომებით. სამოქალაქო სამსახურისათვის,—ნათქვამი იყო მმართველობის სხდომის გადაწყვეტილებაში, საჭიროა ბეჯითი შრომა განათლების მისაღებად.[88]

დროებითმა მმართველობამ 20-იანი წლების მეორე ნახევრიდან სპეციალური გამოცდები დააწესა იმ პირთათვის, რომელთაც სამოქალაქო სამსახურში შესვლა სურდათ. ასეთი გამოცდების ჩატარების უფლება მიენიჭა ქუთაისის სასულიერო სასწავლებელს.[89]

---

[85] ს ც ს ა, ფ. 1448, საქ. 7140, ფურ. 1-2; ფ. 2, აღწ. 1, საქ. 255, ფურ. 27-29.
[86] ი ქ ვ ე, ფ. 2, აღწ. 1, საქ. 255, ფურ. 136.
[87] ი ქ ვ ე.
[88] ქ ც ს ა, ფ. 175, საქ. 26. ფურ. 312.
[89] ი ქ ვ ე, ფ. 7, საქ. 2, ფურ. 165, 186.

იმერელი, ისევე როგორც ყოველი ქართველი თავადი თავის სამფლობელოში თითქმის მეფე იყო. მას ჰქონდა ციხე და ჰყავდა საკუთარი ლაშქარი, რომელსაც ხშირად იყენებდა მეფის წინააღმდეგ და თავისი მამულების გასაფართოებლად სუსტი მეზობლების ხარჯზე. რუსული მმართველობა კი ვერ ითმენდა თავისი ქვეშევრდომის დამოუკიდებლობას, ვინც არ უნდა ყოფილიყო იგი— მეფე თუ თავადი. მისთვის თავადი იყო მემამულე, პომეშჩიკი, რომელსაც არც ციხე ჰქონდა და არც ლაშქრის შეყრა შეეძლო. იმერელ თავადთა აბსოლიტურ უმრავლესობას თავიანთი ციხეები ჰქონდა. აჯანყების დროს და მის შემდეგ, ამ ციხეთა ერთი ნაწილი დაანგრიეს, ხოლო მეორე ნაწილში რუსული გარნიზონები განალაგეს.

ყველაფერმ ამან იმერელი თავადის ეკონომიკურ მდგომარეობაზეც მოახდინა გავლენა. თვით „ყოვლისშემძლე" ზურაბ წერეთელი საქართველოს მთავარმმართველ ნ. რტიშჩევთან ჩიოდა: „...რუსეთის სარდლობამ წამართვა ქუთაისელი ვაჭრები[90], ონის ქალაქი, სოფელი წირქვალი,[91] ჩამომერთვა სახლთუხუცესობის შემოსავალი, რომელიც წლიურად უდრიდა 20 ქესას, დამეკარგა მარიამ დედოფლის ოჯარის თორმეტი ქესის ათისთავი, წამერთვა „სახელო ჩხერი და ჩხერის შემოსავალი", იყო ვარციხე და კვახჭირი ჩემი სახელო და მიდგა იქ ჩემი საკუთარი ჯოგები და ვხნევდი და ვთესავდი და ღალა არ მეთხოვებოდა და არც ჯოგის დგომა დამეშლებოდა და ასლა ჩემი სახელო აღარ არის. და თუ დავთესე, მთხოვენ ღალას. იყო ჩემი სახელო მთლად რაჭა და მიდგა კაცი და მოვაკლდი იქაურ სახელოს. მქონდა უკანასკნელის მეფისაგან წერილით მოცემული სტამბა და სტამბის ადგილი ქუთაისს,

---

[90] ქუთაისელი ვაჭრები, რომლებზედაც პრეტენზიას აცხადებთ,—წერდა ა. ტორმასოვი 1811 წლის 5 აპრილს ზ. წერეთელს, თქვენ დაგრჩებათ იმ შემთხვევაში, თუ მათ ფლობდით 1811 წლამდე, ე. ი. რუსული მმართველობის დამყარებამდე. ხელნაწერთა ინსტიტუტი, ზ. წერეთლის ფონდი, საბ. No. 82.

[91] წირქვალი — საბატონიშვილო ჯრუჭელასა და ჭიათურას შუა აზნაურ-გლეხებითურთ, სოლომონ მეორემ მზითვად მისცა მზეხათუნ დავითის ასულ ბაგრატიონს, რომელიც სვიმონ ზურაბის ძე წერეთელზე დაქორწინდა, ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფონდი Hd, No.9666.

სახლი აიღეს და საპურედ დააგდეს. არც გენერალ-მაიორის ჯა-
მაგირი მეძლევა".[92]

ზურაბ წერეთელი ხომ ცარიზმის თავგამოდებული მომხრე იყო
და რუსულ ადმინისტრაციაში იმერეთის მმართველის მოადგი-
ლის თანამდებობა ეჭირა. ადვილი წარმოსადგენია, როგორი ი-
ნებოდა რუსული ხელისუფლების დამოკიდებულება სხვა, გა-
საკუთრებით, აჯანყების მონაწილე და მეფის მომხრე ფეოდალე-
ბისადმი.

რუსეთის მთავრობამ იმერეთის თავადებს სამოხელეო-სამემ-
კვიდრეო პრივილეგიები კი წაართვა, მაგრამ მტკიცედ იცავდა
მათ ბატონყმურ-მემამულურ უფლებებს და სამეურნეო დამოუკი-
დებლობას. ამასთანავე, მებატონეებისაგან გარკვეულ „ზომიერე-
ბას" მოითხოვდა ყმა-გლეხებთან დამოკიდებულებაში, რომ უშუ-
ალო მწარმოებელს არ დაეკარგა ბეგარა-ვალდებულებათა შესრუ-
ლების უნარი და არ აეძულებიათ ისინი წამოეწყოთ „შფოთნი" და
„ურიგობანი".

მებატონეთა და ყმა-გლეხთა ურთიერთობის საკითხში მთავრო-
ბის პოლიტიკა ნათლად არის ჩამოყალიბებული საქართველოს მთა-
ვარმმართველის, ბარონ გრიგოლ როზენის 1835 წლის 19 ივნი-
სის მიწერილობაში იმერელი თავადის—გრიგოლ ზურაბის ძე წე-
რეთლისადმი. მასში ნათქვამია: „...მმართველობა მოუწყვეტლად
ზრუნავს, რათა გლეხნი იყვნენ სრულიადსა მორჩილებასა შინა
თვისთა მფლობელთასა, გარნა თანაშე მისსა ხელმძღვანელობს რა
კეთილმოქმედითა კანონებითა თვისითა, იცავს რათა მებატონე-
ნიცა არა გადავიდნენ გარეშე მინიჭებულისა მათდამი უფლებისა
გლეხთა ზედა. ჩემთვის ფრიად უსიამოვნო არის დანახვა მოუკ-
ვეთელად წარმოებულთა ურიგოებათა მამულსა შინა იმა თავდ-
თასა, რომელნიცა იმერეთსა შინა არიან უპირველესნი გვარი-
თა და რომელთაცა ჯერ არს, რათა სხვათა უჩვენონ კეთილი მა-
გალითი. ამის გამო მე უკვე მივიღე ჯეროვანი ღონისძიებანი
მოსაკვეთელად ახლად აღძრულთა მუნ ურიგობათა, გარნა კვა-
ლად არა მომატებულად შევრაცხე ვთხოვო თქვენს ბრწყინვა-
ლებას, ვითარცა პატივის მექონესა თვისთა ერთგვართა თავადთა-
გან, რათა თქვენ შეაგონოთ ყოველთა იმა თავადთა წერეთელთ-,

---

[92] საქართველოს ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფ. Sd, No. 1578.

რომელთა მამულსა შინა ესოდენ ხშირად სწარმოებენ შფოთნი, ურიგოებანი და არადასათმობელნი შევიწროებანი, რათამცა იგინი შემდეგ დროში უკუდგნენ შეუწყალებელისა მოქცევისაგან ხელქვეითთა თვისთა ყმათათანა და ეგრეთვე უზომოთა მათ ზედა სარჯის დადებისაგან და მით არა იძულებულ ჰყონ იგინი უმორჩილებისადმი. ხოლო სხვაგვარ იგი თავადნი მიმცემელ იქმნებიან სისასტიკისა პასუხისგებისა წინაშე მართებულობისადმი, რომელიცა არა მისედავს ყოველსა თვისსა სიწყნარესა და მიმართავს კანონიერისა ფიცხელისა მოქმედებისადმი."[93]

მმართველობის ახალმა სისტემამ იმერეთის მოსახლეობის ყველა სოციალური ფენისაგან მოითხოვა მათი უფლებებისა და აგრეთვე, ქონების ფლობის დამადასტურებელი წერილობითი საბუთები. გამოირკვა, რომ იმერეთის თავადაზნაურობის მნიშვნელოვან ნაწილს თავისი წოდებრიობისა და ყმა-მამულების მფლობელობის დოკუმენტები არ ჰქონდა. საქმე იმაშია, რომ საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფოს არსებობის პირობებში, თავადაზნაურობის წოდებრივი მდგომარეობის გამსაზღვრელ წერილობით დოკუმენტს გადამწყვეტი მნიშვნელობა არ ენიჭებოდა, სოციალურ-წოდებრივი ურთიერთობა, ძირითადად, ზეპირ ტრადიციას ეყრდნობოდა. მეფემ და საზოგადოებამაც კარგად იცოდნენ, ვინ იყვნენ თავადები და აზნაურები, რა ყმა და მამული გააჩნდათ მათ. აღმოსავლეთ საქართველოში საქმე ოდნავ გაიოლდა იმით, რომ 1783 წელს გეორგიევსკში დადებულ ხელშეკრულებას თან ახლდა ქართლ-კახეთის თავადაზნაურობის სია. დასავლეთ საქართველოში ასეთი რაიმე დოკუმენტი არ არსებობდა, რის გამოც თავადაზნაურთა იმ ნაწილს, რომელსაც თავისი ღირსების დასამტკიცებლად წერილობითი საბუთები ვერ შემოენახა, სოციალურ პრივილეგიათა სრული დაკარგვის საფრთხე დაემუქრა. ამან გამოიწვია ყალბი საბუთების ფაბრიკაცია, რაც წოდებრივი განიარაღების წინაშე მდგარი ფეოდალების ბრძოლის ერთ-ერთ ფორმად იქცა.[94]

---

[93] ო. სოსელია, მასალები კლასობრივი ბრძოლის ისტორიისათვის ფეოდალური ხანის დასავლეთ საქართველოში (XVII ს. მიწურულიდან XIX ს. ის 40-იან წლებამდე). თბ., 1960, გვ. 122.

[94] მ. დუმბაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 321.

ამ გარემოებას ჯერ კიდევ XIX საუკუნის 20-იანი წლების დასაწყისში, ყურადღება მიაქცია იმერეთის მმართველმა, თავადმა პეტრე გორჩაკოვმა. 1822 წლის 12 მაისს გამოქვეყნდა მისი „გამოცხადება სრულიად იმერეთსა შინა", რომელშიაც აღნიშნული იყო, რომ უფლების დამადასტურებელი ყველა საბუთი დამოწმებული უნდა ყოფილიყო დროებითი მმართველობის მიერ. კონკრეტულად „გამოცხადება" მოითხოვდა: ყველა წერილობითი დოკუმენტის ასლის გადაღებასა და დამტკიცებას. ამ გამოცხადებიდან ერთი წლის შემდეგ, ყოველი დაუმოწმებელი დოკუმენტი დაკარგავდა „ძალასა თვისსა სჯულისა და არსად არ იქნებოდა მიღებული."[95]

დროებითი მმართველობის ამ კატეგორიულმა მოთხოვნამ, შეიძლება ასე ითქვას, ახალი ბიძგი მისცა ყალბი საბუთების (ძირითადში ყალბი სიგელების) დამზადების საქმეს.

ყალბი საბუთი შეიძლებოდა ორგვარი ყოფილიყო: ერთი—სინამდვილის ამსახველი, მაგრამ ყალბი (მაგალითად, თავადს თუ აზნაურს, რადგან თავისი წოდებრივი ღირსების დამადასტურებელი ნამდვილი საბუთი ვერ შემოენახა, ახლა ყალბი უნდა დაემზადებია) და მეორე—შინაარსითაც ყალბი, რომლითაც მისი წარმომდგენი ცდილობდა თავისი წოდებრივი თუ ქონებრივი მდგომარეობის შეცვლას. რადგან საბუთმა ასეთი ძალა შეიძინა, გაჩნდა იმისი ცდუნება, რომ ყალბი საბუთის საშუალებით, გლესი აზნაურთა, აზნაური თავადთა წოდებაში ჩარიცხულიყო, დაუფლებოდა იმ ქონებას, რომელიც მას არ ეკუთვნოდა. შეიქმნა აზნაურობისა და თავადობის მაძიებელთა მთელი ფენა. წარმოიშვა ყალბი საბუთების დამამზადებელი კერები (ძირითადად, ეკლესია-მონასტრები, სახელმწიფო დაწესებულებათა კანცელარიები და კუსტარ-მარტოხელათა მთელი მასა.[96] ყალბი დოკუმენტების მოზღვავება განსაკუთრებით დიდი იყო დასავლეთ საქართველოში. ძალზე გახმაურდა (XIX ს. 20-იანი წლები) არქიმანდრიტ ზაქარიასა და ოსე გაბაშვილის (ბესიკის ძმა) საქმე. მათ ბრალად დაედოთ სოლომონ მეორის ყალბი სიგელის დამზადება და რუსეთში გადაასახლეს.

---

[95] ქ ცს ა, ფ. 175, საქ. 4, ფურ. 1-2.

[96] ცოტა მოგეიანებით, ყალბი საბუთების დამზადებაში „თავი გამოიჩინა" უდაოდ ნიკიერმა ეინმე აშორდიამ. ლამის „აშორდიას აზნაურების" სოციალური ფენა გაჩნდა.

დროებით მმართველობას მასთან წარდგენილი საბუთის გარჩევა არ შეეძლო. იგი საბუთს ამოწმებდა მხოლოდ. დაგროვდა დროებითი მმართველობის მიერ დამოწმებული ნამდვილი და ყალბი საბუთები. მთავრობამ მიიღო სიგნალები (აღმოსავლეთ საქართველოში მიხეილ გაბაშვილისაგან, ხოლო დასავლეთ საქართველოში—შტაბს-კაპიტან სოკოლოვისა და მოქალაქე მურადოვისაგან), რომ მზადდებოდა ყალბი სიგელები.[97] სენატორებმა პ. კუტაისოვმა და ევგ. მეჩნიკოვმა, რომლებიც ამიერკავკასიის მმართველობის რევიზიას განახორციელებდნენ, 1830 წლის ნოემბერში დააყენეს საკითხი შექმნილიყო სპეციალური კომისია, რომელიც ნამდვილ და ყალბ სიგელებს გაარჩევდა.[98]

სენატორების წინადადების საფუძველზე, სენატის 1831 წლის 17 აგვისტოს ბრძანებულებით, შეიქმნა იმერეთში ყალბი დოკუმენტების გამოსაძიებლად სპეციალური კომისია, რომლის ადგილსამყოფელი ქუთაისში უნდა ყოფილიყო. კომისიის შემადგენლობაში შევიდნენ: ტიტულიარნი სოვეტნიკი ამიროვი (ქუთაისის ოკრუგის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი), გუბერნსკი სეკრეტარი მაჭავარიანი (კომისიის მდივანი და თარჯიმანი), კოლეჟსკი ასესორი, თავადი დავით აბაშიძე (დროებითი მმართველობის მდივანბეგი), მაიორი ივ. ბაინდუროვი.[99]

კომისიას არ გამოადგა დროებითი მმართველობის მიერ 1817 და 1821 წლებში ჩატარებული იმერეთის მოსახლეობის კამერალური აღწერის მასალები. მართალია, მათში აღნიშნული იყო „თავადი“ და „აზნაური“, მაგრამ ეს მონაცემები ეყრდნობოდა გამოკითხულის ზეპირ განცხადებას და რაიმე წერილობითი საბუთით დადასტურებული არ იყო.

ქუთაისის საგამომძიებლო კომისიამ წელიწადნახევარი იარსება—1831 წლის 17 აგვისტოდან 1833 წლის 8 იანვრამდე. ამის შემდეგ კი, მუშაობა დაიწყო ახალმა კომისიამ თბილისში.[100] მის პა-

---

[97] Акты..., т. VIII, с. 82-94.

[98] ს ცს ს ა, ფ. 2, აღწ. 1, საქ. 2593 ფურ. 4-6.

[99] ი ქ ვ ე, ფურ. 17-18.

[100] ს ცს ს ა, ფ. 234—Комиссия по разсмотрению Грузинских и Имеретинских царских документов.

რალელურად შეიქმნა მეორე—სასამართლო კომისია, რომელსაც ყალბი საბუთების მკეთებელთა საქმეები უნდა განეხილა.

ყალბი საბუთების ქუთაისის საგამომძიებლო კომისიამ შრომატევადი სამუშაო ჩაატარა. მან 103 ოქმი შეადგინა, რომელიც 2088 ფურცელზეა გაშლილი.[101]

დროებითმა მმართველობამ განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია იმერეთიდან გაქცეული ყმა-გლეხობის და სხვადასხვა მიზეზების გამო, განსაკუთრებით, 1811-1812 წლებში სტიქიური უბედურების დროს, გაფანტული მოსახლეობის უკან დაბრუნების საქმეს. ეს აუცილებელი იყო იმერეთის ეკონომიკური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. რუსული მმართველობის დამყარებასთან დაკავშირებული ხარჯები მოითხოვდნენ გადასახადების გადამხდელთა რაოდენობის გადიდებას. ამ მხრივ, საყურადღებოა ნიკო დადიანის ერთი ცნობა: „...მაშინ კაცნი მუნითგან განბნეულნი მრავალნი იპოებოდნენ დადიანის სამთავრო სამურძაყანო-აფხაზეთსა შინა და უფროსე იმერეთისა კაცნი. ამისთვის წარგზავნა ბოქაულნი მთავარმან ჩვენმან და შეკრიბა და წარგზავნა მრავალნი სულნი იმერეთად. გარნა კვალად დაშთა მრვალნი. განიზრახა მთავარმან, რათა მსახუროს ხელმწიფე იმპერატორსა და მიეხოს მადლსაცა და განბნეულნი იმერელნი შემოჰკრიბოს შესაძინელად ხელმწიფე იმპერატორისა და სასარგებლოდ სულისა."[102] აქ საინტერესოა ის, რომ სამეგრელოს მთავარი ზრუნავდა ლტოლვილთა დასაბრუნებლად იმერეთში, რათა ისინი „ხელმწიფის სამსახურში" ჩამდგარიყვნენ.

1832 წლის 4 ივლისს იმერეთის მმართველმა, გენ.-მაიორმა ვაკულსკიმ დროებითი მმართველობის სხდომაზე დააყენა საკითხი, 1811-1812 წლებში შავი ჭირისა და შიმშილის დროს, ქობუ-

---

[101] ყალბი სიგელების საკითხი ფრიად საინტერესოა და იგი სპეციალურ შესწავლას მოითხოვს. ყალბი საბუთების შესახებ იხ. А. Веденский, Подлог и фальсификация исторических документов в Грузии в первой половине XIX в. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, ტ. 15, თბ., 1940, გვ. 53-79; В. Линден, Высшие классы коренного населения Кавказского края и правительственныя мероприятия по определению их сословных прав, Тиф., 1967.

[102] ნ. დ ა დ ი ა ნ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 203.

ლეთის მხარეში, ე. ი. თურქეთის სამფლობელოში გაქცეული, უკვე გამაჰმადიანებული გლეხების უკან დაბრუნების შესახებ.[103]

გაქცეულ თუ გაფანტულ გლეხთა უკან დასაბრუნებლად ენერგიულად საქმიანობდნენ მებატონეებიც. ისინი ხშირად მიმართავდნენ დროებით მმართველობას. ასეთ შემთხვევაში, კავკასიის მთავარმმართველის ა. ერმოლოვის 1818 წლის 9 მარტის განკარგულებით, მემამულეს დროებითი მმართველობისაგან უნდა ჰქონოდა ცნობა გაქცეული გლეხის შესახებ, რომელშიაც ნაჩვენები იქნებოდა კონკრეტულად სად ცხოვრობდა გლეხი და როდის გაექცა ის მებატონეს. დროებითი მმართველობა და შემდეგ საქართველოს მფავრობა განიხილავდნენ მხოლოდ იმ გლეხთა უკან-დაბრუნების საკითხს, რომლებიც მებატონეებისაგან წავიდნენ აღმოსავლეთ საქართველოში 1804 წლის 25 აპრილის ელაზნაურის ტრაქტატის დადების შემდეგ. მანამდე გაქცეული გლეხები რჩებოდნენ თავიანთი ახალი ბატონების მფლობელობაში.[104] ასე მაგალითად, დროებითმა მმართველობამ უარი უთხრა თავად იაგორ ჩხეიძეს სარჩელზე, აღმოსავლეთ საქართველოში 1804 წლამდე გაქცეული გლეხების უკან დაბრუნების შესახებ.[105]

1832 წლის ივლისში ჯიხაიშში მცხოვრებმა სათავადო აზნაურმა ბიჭია ქაიხოსროს ძე გაბეხაძემ იმერეთის დროებით მმართველობაში აღძრა საკითხი 1813 წლის 14 მაისს მისგან წასული გლეხების—ცაგარეიშვილების უკან დაბრუნების შესახებ. წარმოდგენილი საბუთების მიხედვით, ცაგარეიშვილები ცხოვრობდნენ სიღნაღის მაზრის სოფელ ბაკურციხეში.[106]

დროებით მმართველობაში, გაქცეული გლეხების უკან დაბრუნების საკითხი დააყენა, აგრეთვე, ვაკის ოკრუგის სახაზინო აზნაურმა დავით ბუჭუას ძე ქაჯაიამ.[107] ასეთი საჩივრების განხილვა შეადგენდა დროებითი მმართველობის საქმიანობის მნიშვნელოვან უბანს.

იმერეთის დროებითი მმართველობა შეეცადა მოეწესრიგებინა ყმების ყიდვა-გაყიდვის საქმე. 1815 წლის 2 ოქტომბერს იმერე-

---

[103] ქ ც ს ა, ფ. 175, საქ. 20, ფურ. 4-6.
[104] ი ქ ვ ე, ფურ. 95-96.
[105] ი ქ ვ ე, ფურ. 61.
[106] ი ქ ვ ე, ფურ. 96.
[107] ი ქ ვ ე.

თის მმართველმა, გენ.-მაიორმა თ. სიმონოვიჩმა მიიღო საქართველოს მთავარმმართველის ნ. რტიშჩევის მოწერილობა, რომლითაც მებატონეებს აეკრძალათ იმერეთის გარეთ ყმების გაყიდვა-გასხვისება. იმერეთის ფარგლებში კი, ყმათა გაყიდვა შეიძლებოდა მხოლოდ მიწიანად და ოჯახის წევრთა მთლიანი შემადგენლობით.[108]

დროებითი მმართველობის ნებართვის გარეშე, მემამულეს უფლება არ ჰქონდა თავისი გლეხები რაიმე კანონიერი მიზეზის გარეშე, ერთი ადგილიდან მეორეზე გადაესახლებიათ. თავადი პ. გორჩაკოვი 1823 წლის 9 აგვისტოს ქუთაისის ოკრუგის უფროსისადმი გაგზავნილ მიმართვაში, მოითხოვდა ამ წესის დაცვისათვის მკაცრი თვალყურის დევნებას.[109]

ყმა-გლეხთა ყიდვა-გაყიდვის, გასხვისების (გაჩუქების და დაგირავების), გათავისუფლების და ა. შ. იურიდიული აქტები დროებითი მმართველობას უნდა დაედასტურებია.

განცხადებებს ყმების გაყიდვის შესახებ, დროებითი მმართველობის დავალებით, აქვეყნებდნენ ოკრუგის უფროსები და კომენდანტი. აი, ერთ-ერთი მათგანი: „გამოცხადება ქალაქსა ქუთაისსა შინა.

მოწერილობის ძალით იმერეთის დროებით სასამართლოისა... მით გამოეცხადების მცხოვრებთა ქალაქსა ქუთაისშიდ არავინ განაცხადებსა სურვილსა სყიდვისათვის ყმებთა საკუთუნელის თავადის, მაიორის გიორგი ერისთავისა, რომელიცა აღწერილ არს ვალისათვის მისისა კოლეჟსკის რეღისტრატორის ივანე კანდიონოვისადმი ოთხას სამოცდათოთხმეტ მანეთში მცხოვრებნი რაჭის მაზრასა შინა სოფელსა სევას კაცია და სიმონა გრძელიშვილები შემადგენელთა ხუთის მამრისა და ორი მდედრის სქესითა მათის ყოფა ცხოვრებითა და დაფასებულ არს ოთხას მანეთად და უკეთუ ვინმე მათგანი განაცხადებს სყიდვასა გამოცხადნენ სავაჭროთ იმერეთის დროებითს სასამართლოსა შინა იბ- (12)-სა მომავლისა სექტემბრისა“ (გამოქვეყნებულია 1838 წლის 5 აგვისტოს).[110]

---

[108] Акты..., т. V, с. 492-494.

[109] ქ ცს ა, ფ. 21, საქ. 72, ფურ. 121.

[110] ქ ცს ა, ფ. 175, საქ. 55, ფურ. 267.

ნ. რტიშჩევის მმართველობის დროს აიკრძალა იმერეთში ებრაელებისათვის ქრისტიანების მიყიდვა ან დაგირავება. 1816 წლის 3 სექტემბრის მოხსენებაში, გენ. ნ. რტიშჩევი წერდა: „...მე აღმოვაჩინე... ბოროტება, რომელიც უკანასკნელი მეფის (იგულისხმება სოლომონ II, გ. ვ.) დროს დაინერგა იმერეთის მებატონეებს შორის ქრისტიანული რწმენის საძრახისი ჩვევა, რაც მდგომარეობს იმაში, რომ მათ შესაძლებლად მიაჩნიათ თავიანთი ქრისტიანული აღმსარებლობის გლეხები ადგილობრივ ქუთაისელ ებრაელებს მისცენ გირაოდ და მიჰყიდონ კიდეც. ამიტომ ასეთი კანონსაწინააღმდეგო გაყიდვა ქრისტიანებისა ადამიანებზე, რომლებიც აღვსილნი არიან მტრობით ქრისტიანული რწმენისადმი, ჩემის მსრივ მთელი სიმკაცრით დაუყონებლივ აღკვეთა შემდეგი წესების დადგენით, რომელთა აღსრულება და თვალყურის დევნება ებრძანა იმერეთის დროებით მმართველობას და იმერეთის მმართველს...

1. ებრაელებისათვის გირაოდ მიცემული ან მიყიდული ქრისტიანთა ოჯახები დაუყოვნებლივ ჩამოერთვათ მთავრობის ზედამხედველობით, ხოლო მებატონეები, რომლებმაც ისინი დაგირავეს ან გაყიდეს, კანონმდებლობით აიძულონ მათი გამოსყიდვა და ებრაელებს აუნაზღაურონ ყველა ხარჯები, რაღგან მებატონეები ორმაგად დამნაშავენი არიან, მათ დაარღვიეს სამოქალაქო და თვით რწმენისა და სინდისის კანონები. თუ რომელიმე მებატონეს არ ექნება შესაძლებლობა გამოისყიდოს თავისი გლეხი, მაშინ მმართველობამ ნება მისცეს მებატონის ნათესავებს ან სხვა მებატონეს გამოისყიდონ გლეხი და შეძლებისდაგვარად დააკმაყოფილონ ებრაელი. თუ არც მებატონე, არც მისი ნათესავები და გამოსყიდვის არც სხვა მსურველები გამოჩნდებიან, მაშინ ასეთი ოჯახები გამოცხადდება სახაზინო გლეხებად, ხოლო ებრაელს მიეცემა უფლება სასამართლოს გზით ეძიოს მატერიალური ანაზღაურება.

2. ოლქის მეთაურმა იმერეთის ყველა მებატონეს, აგრეთვე ებრაელს ჩამოართვას ხელწერილი, რომ მათთვის ცნობილია მთავრობის მიერ აკრძალვა ამ კანონსაწინააღმდეგო ვაჭრობისა და პირველნი, ებრაელებისათვის ქრისტიანი ოჯახების მიყიდვისა და გირაოდ მიცემისათვის, უკანასკნელნი კი ყიდვისა და გირაოდ მიღებისათვის დაისჯებიან კანონის მთელი სიმკაცრით.

3. ქუთაისსა და ოლქის ყველა დასახლებულ პუნქტებში საჯაროდ გამოცხადდეს, რომ მემამული, რომელიც ქრისტიანული აღმსარებლობის გლეხს ან მთელ ოჯახს მიჰყიდის ან გირაოდ მისცემს ებრაელს ამ გამოცხადების შემდეგ, პირველად დაისჯება ხაზინის სასარგებლოდ ჯარიმის ორჯერ მეტი თანხის გადახდით იმასთან შედარებით, ვიდრე გაყიდვა ან დაგირავება თავისი გლეხები. და ციხეში ან ჰაუპტვახტში ოთხი თვის პატიმრობით. იმავე დანაშაულში მეორედ მხილების შემთხვევაში, მისი ყველა გლეხი და მიწა გადავა ხაზინის მეურვეობაში, თვითონ კი ჩამოერთმევა მათზე ყოველგვარი უფლება და შემოსავლიდან დაენიშნება წილი თავისი ოჯახის შესანახად. ებრაელებმა კი, რომლებმაც პირველად დაარღვიეს აღნიშნული აკრძალვა, მათ მიერ ნაყიდი ან გირაოდ მიღებული გლეხები გადაეცემა ხაზინის საკუთრებაში ყოველგვარი ანაზღაურების გარეშე და გაიროზგებიან საჯაროდ. მეორედ კი ამ სასჯელთან ერთად, სამუდამოდ გადასახლდებიან ციმბირში ოჯახებითურთ.[111]

რუსეთის ცარიზმის ეს ღონისძიება აშკარად შოვინისტური ხასიათისა იყო და მიზნად ისახავდა ეროვნულ-სარწმუნოებრივი შუღლი ჩამოეგდო ქართველებსა და ებრაელებს შორის. ამით ცარიზმს საქართველოს სოციალური ურთიერთობის სინამდვილეში გადმოჰქონდა ებრაელებისადმი დამოკიდებულება, რაც რუსეთში არსებობდა. თავისუფალ საქართველოში იყვნენ ყმების მფლობელი ებრაელები, ისევე როგორც ქრისტიანულ ეკლესიას შეწირული ებრაელი ყმები, რომლებიც სანთლითა და საკმეველით ემსახურებოდნენ მას.[112]

დროებითი მმართველობა, კავკასიაში ცარიზმის სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის საფუძველზე, ცდილობდა მოეწესრიგებინა მებატონეთა და ყმა-გლეხთა ურთიერთობა, დადგინა საბატონო ვალდებულებათა ნორმები. ა. ტორმასოვი ჯერ კიდევ 1811 წლის 25 იანვარს თ. სიმონოვიჩს წერდა: იმერეთმა, რომელიც იარაღით ორჯერ იქნა დამორჩილებული, ახლა უნდა შეადგინოს რუსეთის ერთ-ერთი პროვინცია. მაშასადამე, საჭიროა მთელს

---

111 Акты..., т. V, с. 492-494.

112 ელდარ მამისთვალიშვილი, ქართველ ებრაელთა ისტორია, თბ., 1995, გვ. 240-241; ჯემალ აჯიაშვილი, გამოიღვიძე ქნარო, თბ., 1992, გვ. 59.

მის ტერიტორიაზე დაწესდეს საერთო სახაზინო გამოსაღები, თუნდაც აღმოსავლეთ საქართველოს მსგავსად.

იმედი მაქვს, თქვენ, იმერეთის მდგომარეობის შესახებ ადგილობრივი მონაცემების გათვალისწინებით, მცხოვრებთა შესაძლებლობის და სარგებლიანობის მიხედვით, სავსებით უმტკივნეულოდ გაათანაბრებთ გადასახადებს.

გააკეთეთ ისე, რომ გადასახადები ძირითადად განაწილდეს სახაზინო გლეხებზე, რადგან ისინი მემამულეებს არაფერს უხდიან, ხოლო საბატონო გლეხებს უფრო ზომიერად გააწერეთ. რაც შეეხება საეკლესიო გლეხებს, მათ შესახებ გადაწყვეტილება შეიძლება მიღებულ იქნას ცოტა მოგვიანებით, რადგან ჩვენი მდგომარეობა ამ მხარეში არამყარია, ხოლო ეკლესიის გავლენა— დიდი, სამღვდელოება სხვადასხვა დაპირებებით უნდა მივიმხროთ. არ შეიძლება არ ვიფიქროთ, რომ მემამულეები, განსაკუთრებით ისინი, რომელთა გლეხები მეფის სიგელებით გადასახადებისაგან გათავისუფლებული იყვნენ, ამასთან დაკავშირებით უკმაყოფილონი არ დარჩებიან. შეეცადეთ ამაზე დაიანგარიშოთ თავადი ზ. წერეთელი და სხვა წერეთელთა გვარის წარმომადგენლები, რათა მათ სხვებს მაგალითი მისცენ. დაარწმუნეთ ისინი— გადასახადების გათანაბრება აუცილებელია, რომ არცერთი ხალხის, არც ერთი სახელმწიფოს კეთილდღეობა არ შეიძლება განსაზღვრული სახაზინო შემოსავლების გარეშე... მემამულეები დაჯილდოებული იქნებიან იმპერატორის განსაკუთრებული წყალობით.

ერთი სიტყვით, თუ თქვენ დარწმუნებული ხართ, რომ სახაზინო გადასახადის შემოღების გამოცხადება მდგომარეობას გაამწვავებს, მით უმეტეს ლტოლვილ მეფეს ეს შეუძლია გამოიყენოს, რათა კვლავ გააჩაღოს აჯანყების ალი, შეინახეთ ეს მოწერილობა ჯერჯერობით საიდუმლოდ.[113]

დროებითი მმართველობა ერიდებოდა რაიმე სიახლე შეეტანა გლეხთა ვალდებულებათა განსაზღვრაში. მაგალითად, რუსული მმართველობის დამყარებიდან 11 წლის განმავლობაში, უცვლელი რჩებოდა სამეფო გლეხთა გადასახადები. მთავრობა ჯერ კიდევ ვერ ბედავდა იმერეთში ერთიანი სახელმწიფო გადასახადები შემო-

---

[113] Акты..., т. IV, с. 332.

ელო. 1819-1820 წლების აჯანყების ჩახშობის შემდეგ, 1821 წელს დროებითმა მმართველობამ კამერალური აღწერა ჩატარა და „მოღალატე" ფეოდალებისაგან ჩამორთმეულ გლეხებს სულზე 1 მან. და 50 კაპ. გააწერა, ამავე დროს, გაუქმდა იმერეთის მეფის მიერ 363 კომლი გლეხისათვის მიცემული სითარხნის სიგელი (აღმოსავლეთ საქართველოში ეს ღონისძიება 1807 წელს გატარდა). მაგრამ საქმე იმაში, რომ ახალი მმართველობის დამყარებას თან მოჰყვა ახალი ბეგარა-ვალდებულებანი, რომლებიც მკაცრად არ იყო დადგენილი და შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე, საჭიროებით განისაზღვრებოდა. მათ შორის განსაკუთრებით მძიმე იყო ე. წ. „საურმე ბეგარა"—ჯარის სატრანსპორტო მომსახურება, სათიბების და საძოვრების გამოყენება, გზების შეკეთებასა და გაყვანაზე მუშაობა. იმერეთის მმართველი, თავადი პ. გორჩაკოვი 1823 წლის 11 დეკემბერს ქუთაისის ოკრუგის უფროსს წერდა: გავალებთ ქუთაისიდან თბილისში მიმავალი გზის შესაკეთებლად ყოველდღიურად გამოიყვანო ასი კაცი ნაჯახებით, მანამ, ვიდრე გზა წესრგში არ იქნებ მოყვანილი. ადგილებს, სადაც უნდა გაიგზავნოს თქვენს მიერ გამოყვანილი ხალხი, მიგითითებთ ინჟინერი ბარონი ფირკი, რომელიც სამუშაოებს უხელმძღვანელებს.[114]

მისგანვე მოითხოვეს 15 ურმის გამოყვანა, ყვირილიდან ქუთაისამდე ბარონი ფირკის ინსტრუმენტებისა და სამშენებლო მასალების გადმოსაზიდათ.

იმერეთის გზის შესაკეთებელი სამუშაოებისათვის გლეხებს სისტემატურად ავალდებულებდნენ ურმების გამოყვანას.[115] იმერეთის მოსახლეობის საგზაო და სატრანსპორტო ბეგარა სულ უფრო და უფრო აუტანელი ხდებოდა.

რუსეთის მთავრობის მიერ საქართველოში გატარებულ სოციალურ ღონისძიებებს შორის, განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა თავადაზნაურობის დეპუტატთა საკრებულოს შექმნას და 1833 წლის 11 ივლისის კანონის საფუძველზე, სათავადო აზნაურების მრავალრიცხოვანი ფენის გათავისუფლებას, მათ მიერ წოდებრივი დამოუკიდებლობის მოპოვებას. იმერეთის დრო-

---

114 ქ ცს ა, ფ. 21. საქ. 72, ფურ. 515.

115 ი ქ ვ ე, ფურ. 451 და სხვ.

ებითმა მმართველობამ ვერ მოასწრო ამ გარდაქმნათა განხორციელება. აქ სათავადო აზნაურების თავადთა დამოკიდებულებისაგან გათავისუფლება XIX საუკუნის ბატონყმურ ხანაში ვერ მოხერხდა.[116]

50-იანი წლების დასაწყისამდე არ შექმნილა, აგრეთვე, თავადაზნაურობის კორპორაციული გაერთიანება—დეპუტატთა საკრებულო.

იმერეთ-გურიის თავადაზნაურობამ დაგვიანებით, 1836 წლის 20 ოქტომბრის ბრძანებულების საფუძველზე, მიიღო უფლება თავიანთი ყმები ჩადენილი დანაშაულისათვის გადაესახლებიათ.[117]

დროებით მმართველობაში განსახილველად შემოსულ საქმეთა შორის უმრავლესობას შეადგენდა მიწებისა და გლეხთა ფლობასთან დაკავშირებული საჩივრები, გლეხების მიერ თავისუფლების ძიება, ბეგარა—ვალდებულებათა უკანონო გაწერა და ა. შ.[118] ხშირად დაობდნენ, აგრეთვე, ეკლესია და საერო ფეოდალები. ეს უკანასკნელნი არცთუ იშვიათად ქრისტიანულ მორალზე მაღლა კერძომესაკუთრულ ინტერესებს აყენებდნენ და წლების მანძილზე უჩიოდნენ ეკლესიას მამულებისა და ყმა-გლეხების ფლობასთან დაკავშირებულ საკითხებზე. ასე მაგალითად, დროებით მმართველობაში თითქმის ორი ათეული წლის განმავლობაში გრძელდებოდა ივანე, დავით, სიმონ, ბერი, გიორგი, ბეკო, ბუჭუა, ზურაბ, პაატა და ალექსანდრე წულუკიძეების საქმის განხილვა. ისინი ცდილობდნენ უკან დაებრუნებიათ ის ყმები და მამული, რომლებიც კარგა ხანია ნიკორწმინდის ეკლესიის მფლობელობაში იყო.[119]

იმერეთის ეკონომიკურ ცხოვრებაში, რუსული მმართველობის დამყარების პირველი სამი ათი წლის მანძილზე, რადიკალური და მნიშვნელოვანი ცვლილებები არ მომხდარა. ფაქტობრივად, ეს იყო 1811-1812 წლებში სტიქიურ უბედურებათა შედეგებისაგან თავის დაღწევისა და რუსული ხელისუფლების დამკვიდრება-გან-

---

[116] საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, თბ., 1973, გვ. 894.

[117] აღმოსავლეთ საქართველოში თავადაზნაურობამ ეს უფლება მიიღო 1832 წლის 24 აგვისტოს კანონის საფუძველზე, СХАО, т. I, Тб., 1938, с. 297-305.

[118] ქ ცს ა, ფ. 175, საქ. 7, 10, 11, 15, 16, 20, 26, 54 და ა. შ.

[119] ი ქ ვ ე, საქ. 10, 11.

მტკიცების პერიოდი. ახალი მმართველობა გულმოდგინედ სწავლობდა მხარის ეკონომიკურ შესაძლებლობებსა და მათი გამოყენების გზებს, დასავლეთ საქართველოში წარმოებულ საომარ ოპერაციებთან და მმართველობის ბიუროკრატიული აპარატის შენახვასთან დაკავშირებულ ხარჯების დაფარვის საშუალებებს.

დროებითმა მმართველობამ სამჯერ—1817, 1821 და 1838 წლებში ჩაატარა მოსახლეობის კამერალური აღწერა. ვამოირკვა, რომ 1817 წელს იმერეთში ცხოვრობდა 12.975 კომლი.[120] ეს გახშირებული კამერალური აღწერები მიზნად ისახავდა გადამხდელთა რაოდენობისა და მათი გადახდისუნარიანობის გამორკვევას. უაღრესად მწირი ბიუჯეტის გასადიდებლად, დროებითი მმართველობა ძველ, დამოუკიდებელი სამეფოსდროინდელ მეთოდს—შემოსავლების ამა თუ იმ წყაროს იჯარით გაცემის დამკვიდრებულ პრაქტიკას იყენებდა. წლების მანძილზე საიჯარო შემოსავლების ძირითადი წყარო იყო: 11 სამღებრო, დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე არყის გამოხდისა და ვაჭრობის ნებართვა, ბაზრის სასწორი, ვარციხის წისქვილი და თევზსაჭერი, ბალახვნის ადგილმამულები და სხვ. გარდა ამისა, დროებით მმართველობას თავის განკარგულებაში ჰქონდა მიწა, რომელიც 126 ნაკვეთად იყო დაყოფილი. მათგან შემოსავალს მხოლოდ 63 იძლეოდა. შემოსავლიანი მიწის ნაკვეთებიდან მოსავლის აღების ორგანიზაცია ოკრუგის უფროსის მოვალეობას შეადგენდა. მოსავლის ნაწილი ქალაქის მაღაზიებში იგზავნებოდა, ხოლო ნაწილი ადგილზეკე იყიდებოდა საჯარო ვაჭრობით.

დროებით მმართველობას შემოსავალი მის მფლობელობაში მყოფი ბაღებიდანაც ჰქონდა, ასეთი კი სულ 33 იყო. ერთ-ერთი „სანიმუშო ბაღი“ თვით მმართველს, თავად პ. გორჩაკოვს ეკუთვნოდა. მათ უმრავლესობაში ვენახი იყო გაშენებული. ყურძნის მოკრეფას, ღვინის დაყენებასა და შემდეგ მის რეალიზაციას ოკრუგის უფროსები ხელმძღვანელობდნენ.[121]

საიჯარო შემოსავლების დაკარგვის შიშით, დროებითი მმართველობა თავგამოდებით იცავდა მოიჯარადრეებს და ამით სერიოზულად აფერხებდა თავისუფალი კონკურენციის საფუძველზე,

---

[120] ს ც ს ს ა, ფ. 483, აღწ. 1, საქ. 132, ფურ. 5-6: Акты..., т. V, с. 531.
[121] ს ც ს ს ა, ფ. 2, აღწ. 1, საქ. 3354.

წარმოებისა და აღებ-მიცემობის განვითარებას. ეს განსაკუთრებით აშკარად ჩანდა არყის წარმოების მაგალითზე.

1827 წლის 21 დეკემბერს გორის მოქალაქემ, ქუთაისში მცხოვრებმა იაკობ ივანეს ძე ზუბალაშვილმა (ზუბალოვმა) იმერეთის დროებით მმართველობაში გააფორმა კონტრაქტი არყის წარმოებასა და გაყიდვაში პრივილეგიების შესახებ. კონტრაქტის მიხედვით, სხვა ვაჭრებს აეკრძალათ ქუთაისში, მარანში, ნაოღალევში, რედუთ-ყულესა და ანაკლიაში რუსეთიდან ან კონსტანტინოპოლიდან შემოტანილი ფრანგული არყით ვაჭრობა. დასახლებულ ადგილებში, აიკრძალა, აგრეთვე, გაყიდვის მიზნით, არყის გამოხდა.[122] მაგრამ კონტრაქტის ეს პუნქტი არ სრულდებოდა. მოიჯარადრე ი. ზუბალაშვილმა დროებით მმართველობას მთავარმმართველთან უჩივლა. დროებითი მმართველობა იძულებული ვახდა მიეღო მკაცრი ზომები. მაგალითად, შორაპნის ოკრუგში მოსახლეობას მასობრივად ჩამოართვეს არყის გამოსახდელი მოწყობილობა.[123]

შემოსავლის მნიშვნელოვან წყაროს საბაჟო მოსაკრებლები წარმოადგენდა. საზღვარგარეთიდან იმერეთში საქონელი ორი გზით შემოდიოდა—ზღვით და ხმელეთით. ამის მიხედვით, არსებობდა ორი: რედუთ-ყულესა და ბაღდათის საკარანტინო პუნქტი, რომელთაც დროებითი მმართველობა აკონტროლებდა. აქედან საქონელი კაზაკთა რაზმის თანხლებით, მიჰქონდათ მმართველობაში ბაჟის დასადებად.

ა. ერმოლოვმა, 1826 წლის 21 ივლისს, ფინანსთა მინისტრის წინაშე დააყენა საკითხი ქუთაისში სოლიდური საბაჟო დაწესებულების დაარსების შესახებ. ქუთაისის საბაჟო გააკონტროლებდა სამხრეთ საქართველოდან და შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროდან შემოსულ საქონელს.

რუსი მოხელეების გამოანგარიშებით, იმერეთის ხაზინის შემოსავალი 1817 წელს უდრიდა 16.745 მან.[124] იმერეთის ოლქის ბიუჯეტში საიჯარო შემოსავლებმა საბაჟო მოსაკრებლებთან

---

122 ქ ც ს ა, ფ. 175, საქ. 9, ფურ. 7-8.
123 ი ქ ვ ე, საქ. 23, ფურ. 29-42.
124 Акты..., т. V, с. 352.

ერთად 1820 წელს 12.222 მანეთი, ხოლო 1830 წელს (საბაჟო-გარდა)—12.624 მან. შეადგინა.[125]

ვაჭრობა-მრეწველობის განვითარების მიზნით, დროებითი მმართველობის მიერ გატარებულ ღონისძიებებს—შინაგანი ბაჟების გაუქმებასა და სასაზღვრო საბაჟოების დაარსებას ხელი უნდა შეეწყო დასავლეთ საქართველოში რუსული საქონლის ფართოდ გავრცელებისათვის. 20-იანი წლებიდან დასავლეთ საქართველოშიც მოქმედებდა 1807 წლის 30 სექტემბრის ბრძანებულება, რომლის მიხედვით, საქართველოში შემოტანილი საქონელი შინაგანი ბაჟებით არ იბეგრებოდა. 1821-1831 წლებში მოქმედებდა კანონი შეღავათიანი სატრანზიტო ვაჭრობის შესახებ. შემოღებული იქნა ანგარიშსწორების ერთიანი ფულადი ერთეული—რუსული მანეთი. ქუთაისში დაარსდა საბაჟო კანტორა.

ცარიზმი ყოველნაირად ცდილობდა ინტენსიური გაეხადა სამხრეთ რუსეთის, ძირითადად, ყირიმის სავაჭრო-სამრეწველო ცენტრების ეკონომიკური ურთიერთობა დასავლეთ საქართველოსთან. ამ ღონისძიებათა მიზანი იყო ოსმალეთის სრული ეკონომიკური განდევნა და რუსეთის კაპიტალის დამკვიდრება ახლადდაპყრობილ მხარეში. საქართველოს მთავარმმართველის ა. ტორმასოვის ინიციატივით, ფეოდოსიის და სამხრეთ რუსეთის სხვა ქალაქების ვაჭრები დათანხმდნენ დასავლეთ საქართველოში რამდენიმე ხომალდი თევზი, ხიზილალა და სხვა საქონელი შემოეტანათ. თავის მხრივ, იმერეთის მმართველს თ. სიმონოვიჩს ევალებოდა დაეთანხმებია ადგილობრივი ვაჭრები, ბითუმად შეეძინათ რუსული საქონელი. ა. ტორმასოვის ამ წამოწყებას განსაკუთრებით აქტიურად დაუჭირეს მხარი ფეოდოსიელმა ვაჭრებმა, ქალაქის თავის ბრონევსკის მეთაურობით. ეს უკანასკნელი დაბეჯითებით თხოვდა დასავლეთ საქართველოს ხელისუფალთ, ხელი შეეწყოთ „სამეგრელოს ანუ ფაზისის სავაჭრო კომპანიის“ შექმნისათვის. ასეთი კომპანიის მთავარი კანტორა იქნებოდა ქალაქ ფეოდოსიაში, ხოლო განყოფილებები ქუთაისსა და თბილისში. კომპანიის მუდმივი კაპიტალი 1 მლნ. 200000 მანეთს შეადგენდა.[126]

---

[125] ს ც ს ა, ფ. 2, აღწ. 1, საქ. 3354.

[126] Акты..., т. IV, с. 369-370, 403-404.

ცარიზმის კოლონიური ეკონომიკური პოლიტიკის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი იყო საქართველოში უცხოელი კოლონისტების დასახლება. დროებითმა მმართველობამ ამ მხრივ, მხოლოდ ის მოასწრო, რომ პეტერბურგისა და კავკასიის რუსული აღმინისტრაციის განკარგულებით, ფრანგ კომერსანტ ჟაკ გამბას იმერეთში (აჯამეთსა და კვახჭირში) 16 ათასი დესეტინამდე სახნავი მიწა და ტყეები მისცა. მას ხუთი წლის განმავლობაში, ხაზინისათვის 16 ათასი მანეთი (დესეტინა 1 მანეთად) უნდა გადაეხადა. ჟ. გამბამ ვალდებულება იკისრა სავაჭრო დაწესებულებები მოეწყო და ქართველი მებატონეებისათვის მაგალითი ეჩვენებია, საფრანგეთში მიწას როგორ ამუშავებდნენ. სავაჭრო დაწესებულებების შექმნაზე ჟ. გამბას არც უფიქრია. მან დაიწყო გამოყოფილი მიწების ექსპლოატაცია: ოჯარით გასცემდა მათ, ხე-ტყით და შეშით ამარაგებდა სამხედრო უწყებას. ჟ. გამბამ მიწის ღირებულება მთავრობას სელოვნურად შეამცირებია. ეს ასე მოხდა— ხელშეკრულებაში არ იყო აღნიშნული მიწის ღირებულება რა კურსით უნდა ყოფილიყო გადახდილი—ვერცხლით თუ ასიგნაციებით. ვერცხლის მანეთის ღირებულება ასიგნაციასთან შედარებით ოთხჯერ მეტი იყო. ჟ. გამბამ მოითხოვა მიწის ღირებულების ასიგნაციით გადახდა, რაზედაც მთავრობამ თანხმობა განაცხადა. ასე რომ, ფრანგმა კომერსანტმა გამოსასყიდი თანხის (რომელიც ისედაც ძალიან მცირე იყო) მხოლოდ მეოთხედი გადაიხადა.[127]

ღროებითი მმართველობის მიერ სოციალურ-ეკონომიკურ სფეროში გატარებულ ღონისძიებებს უნდა დაეჩქარებია ადგილობრივ თავისებურებათა ნიველირება და დასავლეთ საქართველოს შერწყმა საერთორუსულ ეკონომიკურ მოდელთან.

---

[127] პ. გ უ გ უ შ ე ი ლ ი, საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარება XIX-XX სს., ტ. I, თბ., 1949, გვ. 149-150; ნ. ნიკოლაძე, მოგონებანი, თბ., 1984, გვ. 19.

4. დროებითი მმართველობა და საეკლესიო რეფორმა დასავლეთ საქართველოში

> რომელმან ენამან გამოთქეას ანუ რომელმან ხელმან აღწეროს მაშინდელი ჭირი და ვაება მოწევნილი იმერთა ზედა.
>
> **ბაგრატ ბატონიშვილი**

„ქვეყნის პოლიტიკური დამონება უზრუნველყოფილი არ იქნებოდა, სანამ ცარიზმი ქართული ეკლესიის დამოუკიდებლობას არ გააუქმებდა და მას თავისი რუსიფიკატორულ-კოლონიზატორული პოლიტიკის ერთგულ აგენტად არ გადააქცევდა. ცარიზმის ამ მიზანს ემსახურებოდა „საეკლესიო რეფორმა", რომელიც ერთი უკანასკნელი და მეტად მნიშვნელოვანი ღონისძიება იყო საქართველოს დამონების გზაზე"[128]—წერდა ნ. ბერძენიშვილი.

იმერეთში, რუსული მმართველობის დამყარების წინ, ოთხი ეპარქია არსებობდა: ქუთაისის, რომელსაც მართავდა მიტროპოლიტი დოსითეოს ქუთათელი, ხონის—არქიეპისკოპოსი ანტონი, გელათის—მიტროპოლიტი ეფთვიმე და რაჭის—არქიეპისკოპოსი სოფრონიოსი.

ეკლესია და მისი მოღვაწეები, როგორც ვნახეთ, აქტიურად მონაწილეობდნენ ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში. ისინი, იმერეთის სამეფოს დამოუკიდებლობის შენარჩუნების პირობით, რუსეთთან კავშირის თავგამოდებული მომხრეები იყვნენ. მაგრამ, მალე ქართულმა ეკლესიამ საკუთარ თავზე იწვნია ცარიზმის კოლონიზატორული პოლიტიკის სუსხი. რუსეთის იმპერატორის 1811 წლის 30 ივნისის ბრძანებულებით, გაუქმდა საქართველოს ეკლესიის დამოუკიდებლობა და იგი სინოდს დაექვემდებარა. საქართველოს ეკლესიას სათავეში ჩაუდგა რუსეთის სინოდის განყოფილება--დიკასტერია. კათოლიკოსი ანტონ II რუსეთში გაიწვიეს. კ ა თ ო ლ ი კ ო ს ო ბ ი ს ნ ა ც ვ ლ ა დ დ ა ა წ ე ს ე ს ე ვ ზ ა რ ქ ო ს ი ს თ ა ნ ა მ დ ე ბ ო ბ ა. „საქართველოში რუსი ეგზარქოსის თანამდებობის შექმნა იყო ბიუროკრატიის ერთ-ერთი წა-

---

[128] ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, რეცენზია «Н. Б. Махаралзе, Восстание в Имеретии 1819-1820 гг.,» საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ., V, თბ., 1971, გვ. 248

მოწყებათაგანი, ამიტომაც, ბუნებრივია, ეგზარქოსობას არ შეიძ-ლებოდა რაიმე დადებითი გაეკეთებინა, რაც ქართული ეკლესი-ის სულიერ საწყისს უპასუხებდა. თავისუფალი ქართული ეკლე სია ნაჩვევი არ იყო თავის ბედის გამგებლად ჰყოლოდა ისეთი ინდიფერენტული პირები, როგორიც წმინდა ეკლესიისა და ქარ-თველი ხალხისადმი ყოველთვის მტრულად განწყობილი ეგზარქო-სები იყვნენ."[129]

საქართველოს პირველ ეგზარქოსად დაინიშნა ბაგრატიონთა ერთ-ერთი დაუძინებელი მტრის—ქსნის ერისთავთა სახლის წარ-მომადგენელი—ვარლაამი.[130] მან ეს თანამდებობა მიიღო ცარიზმი-სადმი მონური სამსახურის გამო (ივ. ჯავახიშვილი).

იმპერატორის 1814 წლის 30 აგვისტოს ბრძანებულების საფუ-ძველზე, 1815 წლის 8 მაისს თ ბ ი ლ ი ს შ ი გ ა ი ხ ს ნ ა სა-ქ ა რ თ ვ ე ლ ო-ი მ ე რ ე თ ი ს ს ი ნ ო დ ა ლ უ რ ი კ ა ნ ტ ო რ ა. ასალი დაწესებულების სახელწოდებიდანაც ჩანს, რომ მას აღმო-სავლეთ საქართველოს გარდა, უნდა დამორჩილებოდა იმერეთის, უფრო მეტი, ჯერ კიდევ ავტონომიური სამთავროების—გურიისა და სამეგრელოს ეკლესიებიც.[131] ი მ ა ვ ე ბ რ ძ ა ნ ე ბ უ ლ ე ბ ი თ, დ ი კ ა ს ტ ე რ ი ა ქ უ თ ა ი ს შ ი ც უ ნ დ ა დ ა ა რ ს ებ უ ლ ი-ყ ო. იმერეთის, და ასევე გურია-სამეგრელოს სამღვდელოება გა-მოვიდა არამარტო ქუთაისში დიკასტერიის გახსნის, არამედ სა-ქართველო-იმერეთის კანტორისადმი, დასავლეთ საქართველოს ეკლესიის დამორჩილების წინააღმდეგ. ამის შესახებ, ეკლესიის მესვეურებმა მიმართეს იმერეთის მმართველს, გენ-მაიორ თ. სი-მონოვიჩს, მისი საშუალებით საქართველოს მთავარმმართველ ნ. რტიშჩევს, ეგზარქოსს, თვით იმპერატორსაც კი.[132]

მძიმე ეკონომიკური პირობების, რთული პოლიტიკური და სა-ერთაშორისო ვითარების გამო (ჯერ კიდევ არ იყო მოხსნილი სოლომონ მეორის დაბრუნების საფრთხე), მთავრობამ ამჯერად

---

[129] დოქტორ ერისთავ-შერვაშიძის ეს სიტყვები მოაქვს თავის უაღრესად საყურადღებო ნაშრომში „ქართული ეკლესიის ბედი", რუს პროფესორს ნ. დურ-ნოვოს, ჟურნ. „განთიადი", 1990, No.10, გვ. 42.

[130] საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV,.... გვ. 891.

[131] П о т т о В., Утверждение русского владычества на Кавказе, т. II, ч. I, с. 497-498; საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV..., გვ. 891.

[132] ს ც ს ს ა, ფ. 488, აღწ. 1, საქ. 361, ფურ. 9; Акты..., т. V, с. 433-436.

უარი თქვა თავის განზრახვაზე—ქუთაისში დიკასტერია გაეხსნა. მის ნაცვლად, 1814 წლის 17 ოქტომბერს შეიქმნა იმერეთის ეპარქიალური კანცელარია, რომელიც იმპერატორმა 1821 წლის 19 ნოემბერს დაამტკიცა სინოდის მოხსენების საფუძველზე.[133]

ამ ორგანიზაციული ცვლილებებით დაიწყო რეფორმების გატარება ქართული ეკლესიის რუსულ წესზე მოწყობის მიზნით. ქართლ-კახეთში არსებული 13 ეპარქიიდან (საეპისკოპოსოდან) დატოვეს ორი—ქართლისა და კახეთის. საეკლესიო ქონება აღწერეს და იგი საქართველო-იმერეთის სინოდალურ კანტორას დაუქვემდებარეს.

აღმოსავლეთ საქართველოში ამ ცვლილებებმა შედარებით მშვიდად ჩაიარა. დასავლეთ საქართველოში კი სერიოზული გართულებები მოჰყვა. ეგზარქოსი ვარლაამი შეეცადა ჩაეტარებია იმერეთის, გურიისა და სამეგრელოს ეკლესიების ქონებათა აღწერა, მაგრამ უშედეგოდ—სამღვდელოებამ, და არამარტო სამღვდელოებამ, ამას სასტიკი წინააღმდეგობა გაუწია.

მართალია, იმერეთის ეკლესია 1815 წლიდან საქართველო-იმერეთის სინოდალურ კანტორას უნდა დამორჩილებოდა, მაგრამ იგი ჯერჯერობით დამოუკიდებლობას ინარჩუნებდა. იმერეთის საეკლესიო ცხოვრებას სათავეში ედგა მიტროპოლიტი დოსითეოს წერეთელი. იგი არამარტო ქუთათელი იყო, არამედ 1784 წლიდან 1815 წლამდე (პრაქტიკულად, 1820 წლამდე, ე. ი. ვიდრე მას შეიპყრობდნენ) დასავლეთ საქართველოს კათოლიკოსის მოვალეობასაც ასრულებდა. საქმე იმაშია, რომ კათოლიკოსი მაქსიმე ქუთათელი (აბაშიძე) 1784 წლიდან რუსეთში იმყოფებოდა, ჯერ იგი შედიოდა დავით გიორგის ძის მიერ 1784 წელს პეტერბურგში გაგზავნილ ელჩობაში, ზურაბ წერეთელთან და დავით კვინიხიძესთან ერთად, ხოლო 1787 წელს ჩაერთო დესპანთა იმ ჯგუფში, რომელსაც ბესარიონ გაბაშვილი მეთაურობდა. მაქსიმე ქუთათელი რუსეთში დაყოვნდა. იმერეთის სამღვდელოებას მისთვის შეუთვლია „თუ ჩამოდიხარ გვაცნობე, ჩამოუსვლელობის შემთხვევაში ჩვენ სხვა

[133] ქ ცსა, ფ. 21, საქ. 539; Акты..., т. VI, ч. I, с. 418-421.

კათოლიკოსი უნდა დავნიშნოთო.[134] 1792 წლის 27 ივლისით დათარიღებულ საპასუხო წერილში, რომელიც ასტრახანიდანაა გამოგზავნილი, იგი აცნობებდა იმერეთის სამღვდელოებას: ვინაიდან მე ჯერ ვერ მოვდივარ საქართველოში, თქვენ შეგიძლიათ ახალი კათალიკოსი დანიშნოთო. მაგრამ მაქსიმეს გარდაცვალებამდე (გარდაიცვალა 1795 წელს კიევში) იმერეთში სხვა კათალიკოსი არ დაუსვამთ.

1795 წლიდან კათოლიკოსის მოვალეობას ოფიციალურად ასრულებდა დოსითეოს ქუთათელი და მისი ტიტულატურაც ასეთი იყო: „ყდ სამღვდელო ქუთათელი მიტროპოლიტი დოსითეოსი, გამგებელი საკათალიკოსოსა".[135]

სოლომონ მეორემ დოსითეოს ქუთათელს კათოლიკოსობა უბოძა. ქართული ეკლესიის ისტორიის ცნობილმა მკვლევარმა ბ. ლომინაძემ[136] ყურადღება მიაქცია შემდეგ ორ საბუთს: 1797 წლის 26 აპრილს დარეჯან დედოფალი აღმოსავლეთ საქართველოდან წერილს უგზავნის დოსითეოსს და როგორც მის მამიდაშვილს, ულოცავს კათოლიკოსობის მიღებას: „დოსითეოსს მათს უწმინდესობას, სრულიად იმერთა და ოდიშ-აფხაზთა კათალიკოსს... მესმა ხმა ესე, რომელიცა ადრედგანვე საწადელ ჩემდა იყო, ყოვლად სამღვდელოებისა თქვენისა აღსვლა ხარისხსა ზედა უწმინდესობისასა... მიულოცავ, უწმინდესობასა თქვენსა."[137]

სოლომონ II 1798 წელს გაცემულ ერთ საბუთში ამბობს: „...ამისა შდ ქუთათელ მიტროპოლიტს დოსითეოს კათოლიკოსობა უბოძეთ."[138]

დოსითეოს ქუთათელს სოლომონ მეორემ კათოლიკოსობა კი უბოძა, მაგრამ კურთხევა მოხდა თუ არა, ამისი დამადასტურებელი საბუთები მოსაძებნია.

---

[134] ზ. ცქიტიშვილი, მაქსიმე კათალიკოსი, წიგნში „საქართველოს სახელმწიფო მოღვაწენი" XVIII ს. II ნახევარი — XIX ს. დამდეგი, თბ., 1980, გვ. 37.

[135] ს. კაკაბაძე, დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები, წიგნი II, ტფ., 1921, გვ. 145, 164-165.

[136] ბ. ლომინაძე, მასალები დასავლეთ საქართველოს XVII-XVIII სს. ისტორიის ქრონოლოგიისათვის, მსკი, ნაკ. 31, თბ., 1954, გვ. 138-143.

[137] საქართველოს სიძველენი, ტ. III, ტფ., 1910, გვ. 251.

[138] ს. კაკაბაძე, დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები,..., გვ. 114; თ. ჟორდანია, ქრონიკები..., ტ. III, გვ. 448.

გელათის ეპარქიას განაგებდა ეფთვიმე შერვაშიძე (1776-1820 წწ.). იგი ადრე ჯუმათის ეკლესიის წინამძღვარი იყო, აქტიურად იბრძოდა სამეფო ხელისუფლების გაძლიერებასა და ქვეყნის გაერთიანებისათვის. 1789 წელს იმერეთის საერო და საეკლესიო თავკაცებთან ერთად, ერეკლე მეორეს ურჩევდა ქართლ-კახეთისა და იმერეთის სამეფოების გაერთიანებას, ეწეოდა აღმშენებლობითი მუშაობას, იყო 1819-1820 წლების აჯანყების ერთ-ერთი მოთავე.[139]

საინტერესო პიროვნებას წარმოადგენდა ხონის ეპარქიის მმართველი ანტონ ლომკაცის ძე ჩიჯავაძე.[140] 1770 წლიდან მას ხონის მთავარეპისკოპოსის თანამდებობა ეჭირა. ცხოვრების უცნაური წესის გამო, ანტონს უთანხმოება მოუვიდა იმერეთის მეფე სოლომონ პირველთან. მეფის მოთხოვნაზე, „დააგდოს ან განმარტოს მისი განსაკვირველი ცხოვრება", მღვდელმთავარმა უპასუხა: „მეფეო, თქვენ არ ხელგეწიფების შეხვიდეთ მსჯელობასა შინა ჩემი ცხოვრებისასა."[141] მაშინ სოლომონ პირველმა მას ეპარქია ჩამოართვა და ანტონიც იძულებული გახდა თბილისში წასულიყო ერეკლე მეორესთან. სოლომონ მეორის ტახტზე ასვლის შემდეგ, ანტონი დასავლეთ საქართველოში დაბრუნდა და იგი აღდგენილი იქნა ხონის ეპარქიის მმართველის თანამდებობაზე. ანტონი თავის დროისათვის ფრიად ნაყოფიერ კულტურულ და სამწიგნობრო მოღვაწეობას ეწეოდა. მისი „ბრძანებითა და წარსაგებელით", აღიწერა საეკლესიო შინაარსის ბევრი წიგნი. ჰქონდა საკმაოდ მდი-

---

[139] ეფთვიმე გელათელი იყო გურიის ერისთვის ქრისტეფორე შარვაშიძის ძე, იხ. ქვ. ჩხატარაიშვილი, გურიის სამთავროს შეერთება რუსეთთან, თბ., 1985, გვ. 67; ბაგრატ ბატონიშვილი (ახალი მოთხრობა..., გვ. 142), ნ. დადიანი, (დასახ. ნაშრ., გვ. 206), თ. ყორდანია, (ქრონიკები..., ტ. III, გვ. 640, „აბაშიძის ქრონიკის" მიხედვით) — მას გურიის ერისთავის ძეს, გურიის ერისთავიშვილს უწოდებენ. მ. ბერძენიშვილი („მასალების... ტ. I, გვ. 241) — ნათქვამია, რომ ეფთვიმე რაჭის ერისთავის—როსტომის ძეა, რაც არასწორია.

[140] კირიონის შრომაში «Краткий очерк истории Грузинской церкви и Егзархата за XIX столетие», Тиф., 1901, დაშვებულია უზუსტობა. ანტონი იყო არა დადიანი, არამედ ჩიჯავაძე, იხ. ქართულ ხელნაწერთა ინსტიტუტი, ხელნაწერი — H.2784, ცხოვრება ქეთაისის ღუბერნიასა შინა მყოფის აწ გარდაცვალებულის ყდ სამღვდელო ხონელ მთავარეპისკოპოსისა ანტონისა; ო. სოსელია. დასახ. ნაშრ., ტ. II, გვ. 25-26.

[141] ანტონის ცხოვრება, დასახ. ხელნაწერი.

დარი ბიბლიოთეკა. აქტიურად მონაწილეობდა 1819-1820 წლების აჯანყებაში. გარდაიცვალა 1822 წლის 17 ივლისს.[142]

რაჭის ეპარქიას სათავეში ედგა სოფრონიოს ნიკოლოზწმინდელი წულუკიძე.[143]

ეგზარქოსმა ვარლაამმა დაიწყო დასავლეთ საქართველოში რეფორმების გატარება, მაგრამ ბოლომდე ვერ მიიყვანა. ამიტომ იგი პეტერბურგში გაიწვიეს, ხოლო მის ადგილზე, 1817 წლის 14 მაისს, დანიშნეს რიაზანის არქიეპისკოპოსი, უხეში და ტლანქი რუსიფიკატორი თეოფილაქტე რუსანოვი.

ამ დანიშვნამ კიდევ უფრო აღაშფოთა სამღვდელოება და თავადაზნაურობა. საუკუნეების განმავლობაში, საქართველოს ეკლესიას შეუცვლელად მართავდნენ ფეოდალური საზოგადოების რჩეული წარმომადგენლები. ახალ მწყემსმთავარს კი, ქართული ენისა და ადგილობრივი წეს-ჩვეულებების არაფერი გაეგებოდა.

ვარლაამ ერისთავის მიერ დაწყებული საქმის გაგრძელება სცადა ახალმა ეგზარქოსმა. 1819 წლის ივნისში იგი, საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორის პროკურორ ი. ჭილაშვილთან ერთად, იმერეთში ჩამოვიდა და მმართველის, გენ.-მაიორ ი. კურნატოვსკის დახმარებით, რეფორმების გატარებას შეუდგა, რამაც საყოველთაო აღშფოთება გამოიწვია. საქმე იმაშია, რომ რეფორმა იმერეთის საზოგადოების ყველა სოციალურ ფენას შეეხო. მის შედეგად უნდა მოჰყოლოდა სახელმწიფო შემოსავლის გაზრდა არამარტო საეკლესიო ქონება-შემოსავლის ხაზინაში გადარიცხვიან, არამედ ყმა-გლეხების საეკლესიო გადასახადების გადიდებით. ამიტომ რეფორმისადმი გლეხობა მტრულად განეწყო.

უკმაყოფილო იყო მაღალი სამღვდელოება, რომელიც კარგავდა მნიშვნელოვან შემოსავალს და საეკლესიო ქონების დამოუკიდებელი მართვა-მფლობელობის უფლებას.

უკმაყოფილო იყო დაბალი სამღვდელოებაც. მართალია, იგი ყმური დამოკიდებულებისაგან თავისუფლდებოდა, მაგრამ მისი ძირითადი ნაწილი, ეპარქიების, ეკლესიების და მათ მსახურთა შტატის შემცირებით, უადგილოდ რჩებოდა.

უკმაყოფილონი იყვნენ საეკლესიო აზნაურებიც, რომლებიც რეფორმის შედეგად, სახაზინო მიწებზე უნდა გადასახლებულიყ-

---

[142] ი ქ ვ ე; ო. სოსელია, ნარკვევები..., ტ. II, გვ. 26.

[143] Русский биографический словарь, СПб., 1909, с. 167.

ვნენ. ერთი სიტყვით, რეფორმით უკმაყოფილო იყო მოსახლეობის ყველა ფენა და ამიტომ მას დიდი სახალხო აჯანყება მოჰყვა (1819-1820 წწ.).[144] მაგრამ მისმა მსვლელობამ ცხადი გახადა, რომ საეკლესიო რეფორმა მხოლოდ საბაბი იყო. „ბრძოლა საეკლესიო რეფორმის წინააღმდეგ, ე. ი. ბრძოლა საეკლესიო დამოუკიდებლობის შენარჩუნებისათვის, იგივე პოლიტიკური დამოუკიდებლობისათვის ბრძოლა იყო, „„რუსობის" წინააღმდეგ ბრძოლა იყო. ამ ნიადაგზე იყო, როგორც ჩანს, რომ საეკლესიო რეფორმის წინააღმდეგ ბრძოლა სამშობლოს გათავისუფლებისათვის ბრძოლად იქცა."[145] (ხაზგასმა ჩვენია, გ. ვ.).

რეფორმა, თავისთავად, მეტად სასარგებლო იყო ხალხისათვის,—წერდა ვ. პოტტო, მაგრამ ახალ ეგზარქოსს თეოფილაქტე რუსანოვსა არ აღმოაჩნდა სათანადო მოთმინება, თავშეკავება, ტაქტი, და რაც მთავარია, ქვეყნის წარსული პოლიტიკური წყობილების და ხალხის ცხოვრების პირობების ცოდნა. ერმოლოვს ესმოდა —განაგრძობდა ავტორი, რომ საეკლესიო საკითხი შეიძლებოდა სამოქალაქო ნიადაგზე გადასულიყო, რომ აღმოჩენილიყვნენ არაკეთილგანწყობილი პირები, რომლებიც რელიგიის დაცვის საბაბით, თავიანთი ანგარებიანი მიზნების განხორციელებას ეცდებოდნენ და აამხედრებდნენ უმეცარ ხალხს, სულ ცოტა ხნის წინათ გამოსულს საუკუნოვანი შფოთის მდგომარეობიდან და ამიტომ მიდრეკილს ყოველგვარი ამბოხისა და უწესრიგობისაკენ. ერმოლოვი იმპერატორსაც კი აფრთხილებდა: რეფორმის გატარებასთან დაკავშირებით—მოსახლეობის სიღარიბის გამო, იმერეთში შეიძლება მძიმე ამბები დატრიალდესო. როგორც ცნობილია, თეოფილაქტე რუსანოვმა ყური არ ათხოვა არავითარ რჩევა-დარიგებას და დაიწყო რეფორმის უხეშად, ძალით გატარება.[146]

სახალხო აჯანყების მიზეზების ახსნას და მსვლელობის აღწერას დიდი ადგილი უჭირავს ა. ერმოლოვის მოგონებებში. აჯან-

---

[144] Н. Махарадзе, Восстание в Имеретии 1819-1820 гг., მსკი. 1942, ნაკ. III, თბ., 1942.

[145] ნ. ბერძენიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 248.

[146] В. Потто, Утверждение..., т. II. Тиф., 1902, с. 53-55,

ყების მიზეზი იყო ის, რომ—წერდა ა. ერმოლოვი, საქართველოს ეგზარქოსი საფუძვლიანად არ გაერკვა რა საქმის ვითარებაში, სინოდში წარადგინა წინადადებანი სასულიერო დარგში გარდაქმნების შესახებ, რასაც შედეგად უნდა მოჰყოლოდა ეკლესიებისა და მისი შემოსავლის მნიშვნელოვანი ნაწილის შემცირება. ამ ეკლესიების მომსახურე პერსონალი რჩებოდა ადგილებისა და სახსრების გარეშე. ამ გარდაქმნების ნაწილი დროული და საჭირო იყო, რადგან სამღვდელოება ერთობ ვრავალრიცხოვანი იყო, ეკლესიები კი ღარიბი, შემოსავალი არამყარი, მათ ხარჯვაზე არავითარი კონტროლი არ არსებობდა. სამღვდელოებას ეს გარდაქმნები არ მოსწონდა, რადგან მათი ძირითადი ნაწილი დიდგვარიან ფეოდალთა წრიდან იყო გამოსული. სამღვდელოება შეურაცხყოფილად გრძნობდა თავს მკაცრი დაქვემდებარებულობის გამო. და, რაც მთავარია, უფრო მეტად აწუხებდა ის, რომ აღარ შეეძლო საეკლესიო შემოსავლის თავიანთ სასარგებლოდ გამოყენება. საქართველოში (იგულისხმება აღმოსავლეთ საქართველო, გ. ვ.) ასეთ გარდაქმნებს არავითარი ცუდი შედეგი არ მოჰყოლია, რადგან ეგზარქოსმა დასმარებისათვის ადგილობრივ ხელისუფლებას მიმართა. იმერეთში კი, თავადაზნაურობასა და თვით სამღვდელოებაში, არაკეთილად განწყობილმა პირებმა საეკლესიო საქმის მმართველობის გარდაქმნას უარყოფითი შეფასება მისცეს და უბრალო ხალხმა თავისი უმეცრების შედეგად, დაუჯერა მათ და, საიდუმლო მითითების თანახმად, მრავალ ადგილას არ დაუშვა ეგზარქოსის მიერ გამოგზავნილი კომისიონერები საეკლესიო ქონების აღსაწერად. ეგზარქოსის ემისრების სიცოცხლეს საფრთხე შეექმნა. არაერთხელ ვავაფრთხილე მიტროპოლიტი—არ შეიძლება დავიწყოთ სხვადასხვა გარდაქმნები, როგორც საქართველოში, ისე ი მ ე რ ე თ ი ს ა, რ ა დ გ ა ნ უ კ ა ნ ა ს კ ნ ე ლ ს ა ში ა ხ ლ ო წ ა რ ს უ ლ ს ა ში მ ი ს ი დ ა მ ო უ კ ი დ ებ ლ ო ბ ი ს გ ა მ ო, ა ხ ა ლ ი ხ ე ლ ი ს უ ფ ლ ე ბ ა ჯ ე რ კ ი დ ე ვ ა რ ა ა ს რ უ ლ ი ა დ მ ო ქ მ ე დ ე ბ ა ში და რომ უბრალო ხალხი აქ უფრო მეტ უმეცრებაში იმყოფება, ვიდრე საქართველოში და ამიტომ ადვილია მისი აჯანყება, ხოლო შემდეგ სიმშვიდის აღსადგენად უკიდურესი ზომების მიღება იქნება საჭირო.

მიტროპოლიტი თითქოს ეთანხმებოდა ჩემს რჩევას, მაგრამ ფიქრობდა, რომ პირადი ყოფნით აიცილებდა უწესრიგობასა და

შეასრულებდა თავის განზრახვას—განეხორციელებია გარდაქმნები. იგი გაემგზავრა იმერეთში, იმყოფებოდა ქუთაისში და იქიდან ხელმძღვანელობდა თავისი კომისიონერების მუშაობას. მაგრამ, როდესაც ხალხმა დაიწყო შეკრება, ხოლო ოლქის ხელისუფლებამ ვერ შეძლო მისი დაშლა, ნაცვლად იმისა, რომ ჯარები გამოეთხოვა, აბობოქრებული ხალხის მოთხოვნით, ბრძანება გასცა დაებრუნებიათ საეკლესიო ქონების გაკეთებული აღწერილობანი და გამოამეღავნა რა სულმოკლეობა და სიმდაბლე, წამოვიდა უკან საქართველოში.[147]

კავკასიის ხელისუფლება და შემდეგ ოფიციალური რუსული ისტორიოგრაფიაც, დასავლეთ საქართველოში დიდი სახალხო მოძრაობის ძირითად მიზეზად თვლიდა საქართველოს ეგზარქოსის დაუფიქრებელ და აჩქარებით გატარებულ ღონისძიებებს.

რადგან მოძრაობა იმერეთში წარმოიშვა და იგი გურიასა და სამეგრელოშიც გავრცელდა, ცხადია, მის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში გადამწყვეტი როლი დროებით მმართველობას უნდა შეესრულებია. იმერეთის მმართველი იყო ივანე დანიელის ძე კურნატოვსკი (1818-1820 წწ.-ში). საქართველოს მთავარმმართველი გენ. ა. ერმოლოვი ამ დროს ჩრდილოეთ კავკასიაში იმყოფებოდა. მის მოვალეობას ასრულებდა გენერალ-ლეიტენანტი ივანე ალექსანდრეს ძე ველიამინოვი. მან ბრძანება გასცა იმერეთში გაეგზავნათ გენ. სისოევი კაზაკთა ორი პოლკით, გრენადერთა პოლკის ერთი ბატალიონითა და არტილერიით.[148]

აჯანყებულებმა ა. ერმოლოვის ორი მიმართვა მიიღეს — ერთი 1819 წლის 11 აგვისტოს—თერგის გაღმა ბანაკიდან, ხოლო მეორე—1820 წლის 16 თებერვალს ყიზლარიდან. მთავარმმართველი იმერეთის მოსახლეობას სიმშვიდისაკენ მიუწოდებდა.[149]

აჯანყებამ განსაკუთრებით ფართო ხასიათი მიიღო იმერეთსა და რაჭაში. „აჯანყება,—წერდა იმერეთის მმართველი ი. კურნატოვსკი, საყოველთაოა. ჩვენ მხარეს არავინ არაა. გურულები და მეგრელები მზად არიან იმერლებთან ერთად იმოქმედონ. აფხა-

---

[147] А. Ермолов, Записки..., с. 336-337.

[148] Акты..., т. VI, ч. I, с. 535.

[149] ცსსა, ფ. 488, აღწ. 1, საქ. 361, ფურ. 114; საქ. 357, ფურ. 43-44.

ზებიც ამ გზას დაადგებიან. მთავრების ერთგულება საეჭვოა, მათი ძალა საერთო-სახალხო აზრის წინააღმდეგ უმნიშვნელოა".[150]

აჯანყების მასშტაბით შეშინებულმა ი. კურნატოვსკიმ გადაწყვიტა მთავრებისაგან შვილების მძევლებად გამოგზავნა მოეთხოვა, რაზეც ი. ველიამინოვისაგან ნებართვა ვერ მიიღო.[151]

შეშფოთებულმა ი. ველიამინოვმა დამატებით ჯარებთან ერთად, ი. კურნატოვსკის პროკლამაციებიც გამოუგზავნა ხალხში გასავრცელებლად. ამასთან ერთად, მითითება მისცა შეეწყვიტათ საეკლესიო ქონების აღწერა და იმერეთიდან გაიწვია ეგზარქოსი თეოფილაქტე. ყოველივე ამას მოძრაობაზე არავითარი გავლენა არ მოუხდენია. აჯანყებას წამმართველი და ხელმძღვანელი ძალა გამოუჩნდა: განსაკუთრებით აქტიურობდნენ: სოლომონ პირველის შვილიშვილი, დარეჯან ბატონიშვილის ვაჟი—ივანე აბაშიძე, მღვდელმთავრები—დოსითეოს ქუთათელი და ეფთვიმე გელათელი, ბეჟან წერეთელი, სეხნია წულუკიძე, გიორგი წულუკიძე, მერაბ იაშვილი და სხვ. დაწყებული აჯანყების მიზანიც გაფართოვდა. თანდათან გავრცელდა ლოზუნგი: „სამშობლოს გათავისუფლება". აჯანყებულებმა სრული პოლიტიკური დამოუკიდებლობა და იმერეთის სამეფოს აღდგენა მოითხოვეს. წამოყენებული იქნა ივანე აბაშიძისა და ზურაბ წერეთლის ვაჟის—გრიგოლის კანდიდატურები. აჯანყებულთა უმრავლესობა უპირატესობას აძლევდა ბაგრატიონთა გვარის წარმომადგენელს, რუსეთის წინააღმდეგ დაუცხრომელ მებრძოლს, ერეკლე მეორის ვაჟს—ალექსანდრე ბატონიშვილს. მაგრამ ამ უკანასკნელმა, როგორც ჩანს, იმერეთში აჯანყების გამარჯვება საეჭვოდ მიიჩნია და შემოთავაზებულ წინადადებაზე უარი განაცხადა.

გამოითქვა მოსაზრება, რომ აჯანყებულებს კავშირი ჰქონდაო რუსეთში გასახლებულ ბაგრატიონებთანაც. 1819 წლის გაზაფხულზე, როდესაც აჯანყებისათვის მზადება გადამწყვეტ ფაზაში შევიდა, პეტერბურგიდან საქართველოში ჩამოვიდა დავით ბაგრატიონის პირადი მდივანი და უახლოესი მეგობარი, ახალგაზრდა მეცნიერი და ლიტერატორი ავთანდილ ბირთველის ძე თუმანიშვილი. დაუდ-

---

[150] Акты..., т. VI. ч. I, с. 536-537.

[151] იქვე, გვ. 571-572.

გენელია, რა მიზანს ემსახურებოდა ეს მგზავრობა. იყო ის ბატონიშვილების დავალება, თუ იმერეთის აჯანყების მოთავეებმა გამოიყენეს მისი ნამოსვლა საქართველოში მათთან კავშირის დასამყარებლად. ერთი გარკვეულია—პეტერბურგში დაბრუნებული ავთანდილ თუმანიშვილი (მას დავით ბატონიშვილი ცოცხალი აღარ დახვედრია. იგი გარდაიცვალა 1819 წლის 25 მაისს) დააპატიმრეს და როგორც „სახელმწიფო დამნაშავე" გაასამართლეს და ციმბირში გაგზავნეს, სადაც დაიღუპა კიდეც.[152]

იმერეთის თავადებმა მეფედ ივანე აბაშიძე გამოაცხადეს. მაი ისე, როგორც ქართლ-კახეთის სახალხო აჯანყებების დროს, (1804 წლის მთიანეთის და 1812-1813 წლების კახეთის) ტრადიციული პოზიცია დაიკავეს. თავადების ერთი ნაწილი აჯანყებას მიეშურო, ხოლო მეორე ნაწილი რუსეთის მხარეზე დადგა, უღალატა საერთო-სახალხო საქმეს და იარაღით ხელში იბრძოდა აჯანყებულთა წინააღმდეგ (ზურაბ წერეთელი, გიორგი ერისთავი, გრიგოლ წერეთელი და სხვ.).

1820 წლის დასაწყისში, რუსეთის მთავრობამ ჯარების საკმაო რაოდენობას მოუყარა თავი იმერეთში და აჯანყებულთა წინააღმდეგ გადამწყვეტ მოქმედებას შეუდგა. საქართველოს მთავარმმართველი ა. ერმოლოვი, აგრეთვე, სამოქალაქო მმართველობის უფროსი გენ. ი. ველიამინოვი, ეგზარქოსი თეოფილაქტე და სხვებიც თვლიდნენ, რომ იმერეთის მმართველი, უკვე ხანდაზმული ი. კურნატოვსკი ვერ იჩენდა სათანადო მოქნილობას, მას ადანაშაულებდნენ არამარტო უტაქტო მოქმედებაში, არამედ არეულობის წინააღმდეგ ეონებამახვილური ღონისძიებების მიუღებლობაში და საერთოდ, სიფხიზლის მოდუნებაში.

ა. ერმოლოვი 1820 წლის 29 იანვარს დერბენტიდან ი. ველიამინოვს წერდა: გენ.-მაიორ კურნატოვსკის სუსტი მმართველობა თათართა თავდასხმაზე უარესია. ამიტომ მისი თავიდან მოცილება სასარგებლოა. წარმატებებისაკენ დიდ ნაბიჯს გადადგამთ, როცა

---

[152] უფრო დაწვრილებით ამის შესახებ, იხ. პ. რატიანი, ცოცხლად დამარხული ტალანტი (ავთანდილ თუმანიშვილი), თბ., 1982; მიხ. ხელთუბნელი, სალიტერატურო-საზოგადოებრივი წარსულიდან (მიხეილ თუმანიშვილის ცხოვრება და მოღვაწეობა), თბ., 1938; Р. Ахвердян, Из истории русско-грузинских литературных взаимосвязей, Тб., 1985, с. 91-96 და სხვ;

მოძებნით საშუალებას შეცვალოთ იგი იმერეთის სხვა მმართველით. არჩევანი თქვენზე მომინდვია.[153]

მთავარმმართველის მითითებების თანახმად, გენ. ი. ველიამინოვიც ი. კურნატოვსკის გვერდის ავლით, პირდაპირ მიმართავდა 44-ე ეგერთა პოლკის მეთაურს, „ყოჩაღ და მამაც ოფიცერს" (ა. ერმოლოვის გამოთქმაა) პოლკ. ი. პუზირევსკის. მან ამ უკანასკნელს ძნელი და სახიფათო დავალება მისცა—აჯანყების მეთაურებ.ი დაეპატიმრებია და რუსეთში გაეგზავნა. „კურნატოვსკი მალე იქნება გადაყენებული,—წერდა იგი, და თქვენ, რომელსაც ერმოლოვმა ასეთი ნდობა გამოგიცხადათ, იმერეთის მმართველად დაინიშნებით. ი. ველიამინოვის ინსტრუქციას თან ასლდა დასაპატიმრებელი პირების სია: ბატონიშვილი დარეჯანი, მიტროპოლიტი ქუთაითელი, მიტროპოლიტი გელათელი, არქიმანდრიტი გრიგოლი, ბეჟან წერეთელი (ქუთაითელი მიტროპოლიტის ძმისწული), მღვდელი გუნცაძე, აბაშიძე ივანე, აბაშიძე ნიკოლოზ, წულუკიძე სეხნია, მიქელაძე დავითი და ჩხეიძე გრიგოლი.

გენ. ი. ველიამინოვი ზოგიერთ შესაპყრობ პირთა შესახებ წერდა: „ამბობენ, მიტროპოლიტ ქუთათელის და ივანე აბაშიძის შეპყრობა ძნელიაო... იცოდეთ, ესენი არ გაგიქცენ და თუ ცოცხლებ.ი ვერ იგდოთ ხელთ, დახოცეთ, მაგრამ მიტროპოლიტის ცხედარი მანდ არ დატოვოთ. იგი საქართველოს გარეთ უნდა დავმარხოთო".[154]

იმერეთის ახალ მმართველს ბაგრატ ბატონიშვილი ასე ახასიათებდა: „ეს პუზირევცკი იყო იმერეთსა შინა ღუბერნატორად და საყვარელი იყო ფრიად ერმოლოვისა და უსმენდის მას. გარნა იყო ესე ფრიად მოძულე ქართველთა და მაგინებელი თავადთა და აზნაურთა ღა ტირანი ფრიად ამას სძულობდნენ ქართუელნი და იმერნი."[155]

ი. პუზირევსკიმ დავალება მიიღო და მის შესასრულებლად ოპერატიული გეგმაც შეადგინა. იგი უაღრესად საინტერესო დოკუმენტია, რომელიც ნათლად მეტყველებს იმაზე, თუ რამდენად უძლური იყო რუსეთის იმპერიის უზარმაზარი სამხედრო მანქანა მაშინ,

---

[153] Акты..., т. V, с. 574.

[154] Акты..., т. VI ч. I.

[155] ბ ა გ რ ა ტ ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი, ახალი მოთხრობა, თბ., 1941, გვ. 152.

როცა საქმე ეხებოდა თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის თავდადებულ ერთი მუჭა ხალხის წინააღმდეგ ბრძოლას. აჯანყების მოთავეთა შესაპყრობად, ი. პუზირევსკიმ მოავრობას შესთავაზა ყოვლად უღირსი და ლაჩრული მეთოდები. „ყოსაღი და მაეაცი“ პოლკოვნიკის მზაკვრული გეგმა შემდეგში მდგომარეობდა: ი. პუზირევსკი წერდა—ბატონიშვილი დარეჯანი ცხოვრობს ქუთაისში და რაკი ის ქუთაისის გარნიზონის ალყაშია მოქცეული, მას უკანასკნელად შევიპყრობ და ეს მაიორ ანდრეევსკის აქვს მინდობილი. მიტროპოლიტი გელათელი ამჟამად გელათის მონასტერში იმყოფება; მის შესაპყრობად საგანგებო რაზმი (ჩვეულებრივ დარაჯთა გარდა) საჭირო არაა. გელათელის დაპატიმრებაც მაიორ ანდრეევსკის აქვს მინდობილი. უკანასკნელი გელათელთან ხშირად დადის ხოლმე სადარბაზოდ და ამის გამო მიტროპოლიტს არავითარი ეჭვი არ შეუვა და არ გააოცებს ანდრეევსკის დანიშნულ დროზე მისვლა. უფრო რთული იყო ქუთათელ მიტროპოლიტის დაპატიმრება და ეს საქმე პუზირევსკის მაიორ ოსტროუხოვისათვის დაუვალებია... ქუთათელი ამჟამად რვა ვერსის მოშორებით დგას სოფელ მაღლაკში, წერდა პუზირევსკი,—ტრიალ მინდორზე, რომლის ასლოს მცირე ტყეა. მაიორი ოსტროუხოვი უკვე გუშინ იყო მაღლაკში და ეწვია პირადად სტუმრად მიტროპოლიტს, ებაასა მას იმ სათიბების შესახებ (ჯარის ნაწილისათვის), რომელიც ჩემი დავალებით, ოსტროუხოვს მიტროპოლიტის კაცებისაგან აქვს აღებული... დაპატიმრებისას მაიორს თან ეხლება ასი ეგერი და 15 კაზაკი. დარეჯანის ვაჟი—ივანე აბაშიძე ცხოვრობს სოფელ შროშაში (შორაპნის მაზრაში). მისი შეპყრობა მივანდე მაიორ კაშჩენკოს, რომელიც ივანე აბაშიძის პირადი ნაცნობია... მისი რაზმი, ვითომდა ტფილისში უნდა გაემგზავროს, მაგრამ გზის გაფუჭებისა და თავის ტკივილის გამო, იგი ღამით შორაპანში გაჩერდება და იქაური პირობების კარგად შესწავლის შემდეგ, ყვირილას პოსტზე მდგომ ჯარს შეიერთებს და ისევ გასწევსო.

პოლკ. წულუკიძეს, რომელიც ხონიდან ოთხი ვერსის მანძილზე ცხოვრობს, სოფელ საწულუკიძეოში ტრიალ ადგილას, რასაც ირგვლივ ბაღები არტყია, მაიორი მინიხი შეიპყრობს. ვინაიდან, სეხნია წულუკიძეს მუდამ შეიარაღებული მცველები ახვევია, ამიტომ მინიხს თან 100 ეგერს და 10 კაზაკს გავაყოლებ... იგი სა-

წულუკაძეოში მისვლისას, მინდვრების დათვალიერებას დაიწყებს, რაიც ჩვენს მიერ ყოველ გაზაფხულზე ხდება.

მდივანბეგი დავით მიქელაძე, რომელიც თავის სოფელ კულაშში ცხოვრობს, შეპყრობილ იქნება თავის სასახლეში კაპიტან ვოინოვის მიერ, რომელიც, აგრეთვე, დ. მიქელაძის პირადი ნაცნობია. ამ მიზნით, თვალის ასასვევად, ვოინოვი გუშინ სტუმრად ეახლა მიქელაძეს და სადილადაც იქ დარჩა. მიქელაძის პირადი რაზმი საკმაოდ ძლიერია, ამიტომ ვოინოვს 150 ეგერი და 10 კაზაკი უნდა გავაყოლოო.

დანარჩენ შეიქმულთა დაპატიმრებისათვის ი. პუზირევსკი ვადას ითხოვდა, რადგან საჭირო იყო მათი ადგილსამყოფელთა მიკვლევა. ჯარისკაცებს უკანასკნელ წუთამდე არ ეცოდინებოდათ, თუ რა მიზნით მიჰყავდათ ისინი. დაპატიმრება მოხდებოდა ერთ და იმავე დღეს, საღამოს, მაკრამ არა კვირას ან პარასკევს, რადგან ამ დღეებში ხალხი შეყრილია სავაჭროდ და სასეირნოდ და პატიმართა დაცვა-დახსნას მოინდომებსო. დაპატიმრებულთ ი. პუზირევსკი ღამითვე ყვირილას პოსტზე, ხოლო იქიდან კი გაძლიერებული დაცვით ქართლისკენ გაგზავნას უპირებდა. თუ გზაში იმერლებმა თავდასხმა მოახდინეს და საქმე გაჭირდა, დაპატიმრებულები ტყეში უნდა დავხოცო და მდინარეში გადავყაროო... დაბოლოს... რათა ტყვეები,—წერდა იგი, გზაში წყნარად იყვნენ და გაქცევის აზრი არ მოუვიდეთ, რათა ერთმანეთი ვერ იცნონ და ვერც ადგილობრივმა ხალხმა იცნოს, თუ ვინ არიან ისინი, გადაწყვეტილი მაქვს ჩამოვაცვა ტილოს ტომრები, რომლებიც პირთან (ე. ი. სასუნთქ ადგილას) გაჭრილი იქნება, ხოლო კისერთან და წელთან თოკი ექნებათ ამ ტომრებზე შემოკრულიო.[156]

გენ. ი. ველიამინოვმა მოიწონა ი. პუზირევსკის ეს გეგმა და რჩევა მისცა—თუ პატიმრები დახოცთ, მდინარეში არ ჩაყაროთ, რადგან გვამებს წყალი სადმე ამოაცურებს, ადგილობრივი ხალხი მიცვალებულთ იცნობს და ამას ვინ იცის რა მოჰყვებაო. ამიტომ გვამები მოზდოკამდე ჩაიტანეთ და იქ დამარხეთო.

აჯანყების მეთაურთა დაპატიმრების დღედ 1820 წლის 4 მარტი დაინიშნა. ეს დღე შემთხვევით არ ყოფილა შერჩეული. ვენ. ი.

---

[156] ს ცს ს ა, ფ. 2, აღწ. 1, საქ. 906, ფურ. 611-616, Акты..., т. VI, ч. I, с. 578.

კურნატოვსკი იმერეთს ტოვებდა და მისი გაცილება იყო დანიშნული.

ი. პუზირევსკის გეგმა ძირითადად განხორციელდა, მაგრამ ზოგი წინააღმდეგობა მაინც ყოფილა: სეხნია წულუკიძეს მაიორ მისიხისათვის ტყვია დაუხლია, მდივანბეგ დავით მიქელაძეს მამაპაპური ხანჯალი დაუტრიალებია, ალყაშემორტყმული ბეჟან წერეთელი ფანჯრიდან ციცაბო კლდეზე გადამხტარა და სიბნელეში მიმალულა, ვაიქცა ივანე აბაშიძე, დოსითეოს ქუთაელს რუსეთისათვის შეუტევია, რის გამოც ის ხიშტებით დაუჩხვლეტიათ, თავზე პუზირევსკის მომზადებული ტომარა ჩამოუცვამთ და სისხლისაგან დაწრეტილი ცხენზე ძალით დაუკრავთ. მიტროპოლიტი დოსითეოსი სურამსა და გორს შუა გარდაიცვალა, მაგრამ მკვდარი ცოცხლებთან ერთად ანანურამდე ატარეს და იქ ლაასაფლავეს.[157] პატონიშვილი დარეჯანი და მისი შვილიშვილი ვირონეჟში გადაასახლეს, ხოლო იქიდან პენზაში გაგზავნეს. სეხნია წულუკიძე და დავით მიქელაძე—სიბირსკში, ხოლო ეფთვიმე ელაიელი — ნოვგოროდში.[158]

წარმატებებით თავბრუდახვეულმა ი. პუზირევსკიმ გადაწყვიტა დავალება სრულად და უნაკლოდ შეესრულებია—შეეპყრო აჯანყების ერთ-ერთი მეთაური ივანე აბაშიძე, რომელიც სხვების დაპატიმრების დროს გაიქცა გურიაში და ქაიხოსრო გურიელის სასახლეში ჰპოვა თავშესაფარი. ი. პუზირევსკი თავისი ჯარებით გურიაში შეიჭრა, მაგრამ იგი შემოქმედის ციხესთან მოკლეს.[159]

---

[157] В. Потто, Утверждение..., т. II Е, с. 509-513; Записки И. П. Дубецкого,—Русская старина, 1895, апр., с. 121.

[158] საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ამბროსი ხელაიამ სასამართლო პროცესზე წარმოთქმულ საბოლოო სიტყვაში განაცხადა: იმპერატორ ალექსანდრე I-ს მოუწადინებია ეფთვიმე გელათელის ნახვა და მასთან ჩაუვანილ ეპისკოპოსს დიდი ზეიმითა და პატივით შეხვედრია, მაგრამ, ოდესღაც, რუსული ორიენტაციით ცნობილ პიროვნებას, თავისი სამშობლოსა და ხალხის წამების გამო, იმპერატორისათვის „ახალი ნერონი“ უწოდებია. განრისხებულ ალექსანდრე I-ს იგი ოლონეცკის გუბერნიის სვირის მონასტერში გადაუსახლებია, სადაც გარდაიცვალა კიდეც 1822 წელს, იხ. ა. ხელაია, „მე შეესრულე ჩემი მოვალეობა“, ჟურნ. „მნათობი“, 1988, No.10, გვ. 152,

[159] სხვადასხვა ავტორები განსხვავებულად გადმოგვცემენ ი. პუზირევსკის მკვლელობის ამბავს.

ი. პუზირევსკის მკვლელობის შემდეგ, აჯანყებამ გურიაში საყოველთაო ხასიათი მიიღო. აჯანყებულები გააქტიურდნენ რაჭაშიც. მათ მეფედ გამოაცხადეს ვახტანგ ბაგრატიონი[160] და ქუთაისისაკენ დაიძრნენ. იმერეთი-რაჭა-გურია აჯანყების ციცხლში გაეხვია. ი. პუზირევსკის მკვლელობით გაბოროტებულმა ა. ერმოლოვმა შემდეგი მოწოდებით მიმართა ეგერთა 44-ე პოლკის ჯარისკაცებს: „...მამაცო მებრძოლებო! თქვენ დაკარგეთ მეთაური, რომელიც გამოირჩეოდა დიდებული ხელმწიფისათვის გულმოდგინე სამსახურით და სამაგალითოდ ზრუნავდა თქვენზე. თქვენთან ერთად ვწუხვარ, რომ დაიღუპა იგი უნამუსო მოღალატეების ხელით, თქვენთან ერთად ვფიქრობ, როგორ უნდა მიუზღათ მათ ღირსეული მეთაურის საზარელი მკვლელობისათვის. მე გაჩვენებთ თქვენ ადგილს, სადაც ცხოვრობდა ყაჩაღებს შორის გამორჩეული ქაიხოსრო გურიელი; ქვა-ქვაზე არ დატოვოთ ბოროტმოქმედთა თავშესაფარში, მისი ბილწი თანაზრახველებიდან ერთიც არ დატოვოთ ცოცხალი.“[161] ამ ბრძანების შესასრულებლად გენ. ალექსი ალექსანდრეს ძე ველიამინოვის 3.200 კაციანმა ლაშქარმა, მართლაც, ნაცარტუტად აქცია შემოქმედი და მისი მიდამოები. იმერეთის მმართველად დაინიშნა თავადი პ. გორჩაკოვი.

იმერეთის ახალმა მმართველმა განსაკუთრებით „გამოიჩინა თავი“ რაჭაში. დამსჯელი ექსპედიციის მონაწილე ოფიცრის ი. პ. დუბეცკის ცნობით, რუსებმა ვერაგული ხერხებით შეძლეს აჯანყებულთა ერთ-ერთი თავკაცის—ლომკაც ლეჟავას საშუალებით, ხელში ჩაეგდოთ მეტად მნიშვნელოვანი დოკუმენტი—იმერეთის დამოუკიდებლობის აქტი, რომელზედაც ხელი მოწერილი ჰქონდა

---

[160] ვახტანგ II ბატონიშვილი-ბაგრატიონი იყო იმერეთის მეფის დავით გიორგის ძის უკანონო შვილის — როსტომის ვაჟი. იგი აქტიურად მონაწილეობდა 1819-1820 წლების აჯანყებაში. მისი დამარცხების შემდეგ ახალციხის საფაშოში გაიქცა. ლტოლვილ ბატონიშვილს რუსეთის მთავრობამ ყმა-მამული ჩამოართვა და სახაზინოდ ჩარიცხა. ახალციხეში ვახტანგი შეხვდა ივანე აბაშიძეს. რაღაც მიზეზის გამო, მათ შორის მტრობა ჩამოვარდა. ვახტანგმა „შეუჩინა“ ივანეს კაცი და მოაკვლევინა იგი 1822 წელს, იხ. ო. სოსელია, ნარკვევები..., ტ. III. გვ. 52-53.

[161] Кавказские военачальники в их приказах.—Русская старина, 1886, т. 50, с. 375; ე. ორჯონიკიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 120-121.

აჯანყების ყველა სამხედრო და პოლიტიკურ ხელმძღვანელს. მათი უმრავლესობა რუსეთის სამხედრო სამსახურში იმყოფებოდა და მაღალი ჩინებიც ჰქონდა მიღებული. პ. გორჩაკოვმა გადაწყვიტა მათი დასჯა სამაგალითოდ, მაგრამ ვერაგულად. იმერეთის მმართველმა რაჭის წარჩინებული თავადიშვილები სადარბაზოდ მიიწვია, მოულოდნელად ალყა შემოარტყა და გამოუცხადა, რომ დაპატიმრებულები იყვნენ. ი. დუბეცკის ჩანაწერების მიხედვით, ერთხელ კიდევ დატრიალდნენ ეს მოხუცი რაინდები და შეჰკივლეს: „ან სიკვდილი, ან თავისუფლება“ და ძველებურად იშიშვლეს ხმლები. ისინი მიხვდნენ, რომ ვიღაცამ გასცა და მტრის ხაფანგში ასე ერთბაშად ჩაჰყარა. მათ გადაწყვიტეს ძვირად დაესვათ მტრისათვის ეს ვერაგული გამარჯვება. მკერდით და ხმლებით ეჯახნენ წრეს, რათა გაერღვიათ და ნაწილი ბრძოლით მაინც გასულიყო. მაგრამ ორწყებად ალყაშემორტყმულებს ტყვიები და ხიშტები მიაგებეს... მათი გრძელი წვერები და რუსული ორღესები ქართული სისხლით შეიღება... ბევრი დაიხოცა, თითო-ოროლამ თუ მოახერხა გასვლა, ბევრი კი მძიმედ დაჭრილი იქვე დაეცა, სისხლს და ქვიშა-მტვერს ბრაზით სავსე ცრემლები შეურია... ამ თავგანწირული გაბრძოლების დროს, მერაბ წულუკიძემ მოახერხა წრის გარღვევა, როგორც ვეფხვი ისე მივარდა გორჩაკოვს და ამ სისხლიანი „მოპატიჟების“ სამაგიეროდ, მისი შუაზე გაჩეხვა მოინდომა. მაგრამ მძლავრად მოქნეულ ხმალს აღარ დასცალდა, უკნიდან მივარდნენ და ორჯერ დაჰკრეს ხმალი... გიორგი წულუკიძეც ხიშტებით მძიმედ დასჭრეს. მისი ძმა ლევანი სხვებთან ერთად, იქვე მოჰკლეს... ვინც გადარჩა ციმბირში გადაასახლეს.[162]

თვით ა. ერმოლოვი წერდა: აჯანყებული სოფლები გადამწვარი და გადაბუგული იქნა, ბაღ-ვენახები გაჩეხეს, ქვეყანა კიდევ მრავალ წელიწადს ვერ აღიდგენდა თავის პირვანდელ მდგომარეობას, უკიდურესი სიღარიბე იქნებოდა მისი სასჯელი. მაგრამ რაღა ა. ერმოლოვი, ქართველი კაცი ნ. დადიანი წერდა: გენ. ველიამინოვმა „...წარგზავნა პოლკ. თავადი გორჩაკოვი მხედრობითა დასამშვიდებელად რაჭაი, და მივიდა და ყოველნი ურჩნი მოსწვა და მოაოხრა, შეიპყრა წუ-

[162] Записки Дубецкого, Русская старина, 1895, апр. с. 129.

ლუკიძე გიორგი და მერაბ სხვანიცა მრავალნი თავად-აზნაურიშვილნი. და ერთგულთა მისცეს წყალობანი. და ესრეთ დაამშვიდა რაჭა და შთამოვიდა კვალად ქუთაისს. მერმეთ შეუდგნენ დამშვიდებასა იმერეთისასა: მრავალნი მოჰკლეს, მრავალნი შეიპყრეს და ძელსა ზედა დამოჰკიდეს, დაესხნენ თავს და მოჰკლეს დავით ბაგრატიონი, დიდის მეფის სოლომონის ძმისწული, ბაგრატის შვილი, გარდაყარეს ვახტანგ ბაგრატოვანი, დავით მეფის არ-კანონიერის შვილიშვილი, და მასთან იოანე აბაშიძე და სხვანი. სოლო ერთგულნი აღავსეს წყალობითა. და ესრეთის მოქმედებით დაამშვიდეს იმერეთი."[163]

ცარიზმმა 1819-1820 წლების აჯანყება სისხლში ჩაახშო, რაშიც გადამწყვეტი როლი იმერეთის დროებითმა მმართველობამ შეასრულა. მასვე დაევალა აჯანყებაში მონაწილეთა დასჯა და დამნაშავეთა მიმართ იმპერატორის მიერ გამოცხადებული ამნისტიის პრაქტიკულად განსორციელება. პირველ რიგში, საჭირო იყო აქტიურ მეამბოხეთა სიების შედგენა, დანაშაულის ხარისხისა და სასჯელის განსაზღვრა, შემდეგ კი მათი შეპყრობა და განაჩენის სისრულეში მოყვანა. დროებითმა მმართველობამ ეს სამუშაო ოპერატიულად შეასრულა.[164] იმერეთიდან გაასახლეს თითქმის ყველა ბაგრატიონი და მათი ოჯახის წევრები—სოლომონ პირველის ქალიშვილი დარეჯანი,[165] აჯანყების დროს მოკლული ბატონიშვილის—დავითისა და ბატონიშვილ ვახტანგის ოჯახის წევრები. მეფედ გამოცხადებული ბატონიშვილი ვახტანგი თავის უმცროს ძმასთან ტარიელთან ერთად, ჯერ ახალციხის საფაშოში გაიქცა. 1835 წელს იგი კონსტანტინოპოლშია, იქედან კი, ძმასთან ერთად პარიზში წავიდა. მიწერ-მოწერა ჰქონდა აკად. მ. ბროსესთან, რომელიც, თითქოს, მათ პოლიტიკურ ზრახვებს იზიარებდა.[166]

---

163 ნ. დ ა დ ი ა ნ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 208.

164 ამაზე მეტყველებს უამრავი საარქივო მასალა სცსს არქივის No.2 და 488 ფონდებიდან, რომელთა ერთი ნაწილი დართული აქვს ნ. მახარაძის შრომას. იხ., გვ. 137-183.

165 ბატონიშვილი დარეჯანი პენზაში გადაასახლეს, სცსსა, ფ. 2, აღწ. 1, საქ. 1119, ფურ. 5.

166 ო. ს ო ს ე ლ ი ა, ნარკვევები..., ტ. III, გვ. 53. შ. ხანთაძე, მარი ბროსე, თბ., 1966, გვ. 25.

ბატონიშვილი ვახტანგის გაქცევით აღშფოთებული ა. ერმოლოვი 1820 წლის 6 მაისს იმერეთის მმართველობას წერდა: გამოეცხადებიათ იგი სახელმწიფო მოღალატედ და მისი მამულები ხაზინისათვის გადაეცათ. жену и детей сего беззаконно прижытого чудовища взять, если спасутся куда либо бегством, преследовать[167]—მოითხოვდა მთავარმმართველი. ჩვენ ამ ბრძანების ბოლო ნაწილი ა. ერმოლოვის მშობლიურ ენაზე განვეკ მოვიტანეთ, რათა მასში გამოხატული გაბოროტების სარისხი არ შეეკვერბილებია.

აჯანყებას საერთო-სახალხო ხასიათი ჰქონდა. ყველას შეპყრობა, გასახლება თუ გაციმბირება შეუძლებელი იყო. ამიტომ ცენტრალურმა მთავრობამ ამბოხებულთა ერთი ნაწილი „შეიწყალა". ამის საფუძველზე, თავადმა პ. გორჩაკოვმა 1821 წლის 12 მარტს გამოაქვეყნა „საერო განცხადება მცხოვრებთადმი იმერეთისათა". მასში ნათქვამია, რომ ხელმწიფემ გამოიჩინა „დიდსულოვნება" და აჯანყებაში მონაწილეებს აპატია დანაშაული. დაისჯებიან მხოლოდ „უპირველესნი ავაზაკნი", რომელნიც სამუდამოდ განიდევნებიან იმპერიიდან და ყველას სასტიკად ეკრძალება მათთან რაიმე ურთიერთობა. „ამ აკრძალვის დამრღვევნი, ვინც უნდა იყოს იგი, დაისჯება, როგორც მოღალატე და უკეთუ ვინცობა არს ვინმე სსენებულ ავაზაკთაგანმა გაპბედა წაპილწვად სამძღვართა იმპერიისათა მოსვლით თვისით... ვალად დაედების ყოველსა, რომელ ცოცხალი ან მკვდარი წარმოედგინოს მთავრობას, რომლისთვისაც მიიღებს შესაფერს საჯილდაოს".

განდევნილ „მუხანათთა" სიაში დასახელებულია 27 პიროვნება.[168]

აჯანყების ჩახშობის შემდეგ საეკლესიო რეფორმის ვატარება. შედარებით „ფრთხილი მეთოდებით" გაგრძელდა. ისე, როგორც აღმოსავლეთ საქართველოში, შეიკვეცა ეპარქიების რაოდენობა. იმერეთში შეიქმნა ერთი ეპარქია, რომელსაც 1821 წლის 19 ნოემბერს სათავეში ჩაუდგა სოფრონიოსი. თითო ეპარქია დარჩა გურიასა და სამეგრელოში.[169]

---

[167] Акты..., т. VI, ч. I, с. 592-593.

[168] ქართული წიგნი, ბიბლიოგრაფია, I, თბ., 1941, გვ. 93-94; სცსსა, ფ. 2, აღწ. 1, საქ. 1119, ფურ. 5.

[169] კ ი რ ი ო ნ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 56.

1821 წლის 4 ნოემბერს რუსეთის სინოდმა იმპერატორს წარუდგინა მოხსენებითი ბარათი დასავლეთ საქართველოს ეკლესიის მოწყობის შესახებ, რომლიდანაც ჩანდა: სოფრონიოსისა და ჯრუჭის მონასტრის წინამძღვრის, მიტროპოლიტ დავითის ხელმძღვანელობით (ისინი სამხედრო ძალას ეყრდნობოდნენ), ჩატარდა საეკლესიო ქონების აღწერა, რომლის მიხედვით 1821 წლის ბოლოსათვის იმერეთში იყო: 15 მონასტერი, 618 საერთო და სამრევლო ეკლესია (Соборные и приходские церквы), 11 არქიმანდრიტი და იღუმენი, 56 იერომონაზონი, იეროდიაკონი და მონაზონი, 12 მონაზონი ქალი, 693 მღვდელი, 12.908 საქალაქო და სასოფლო-სამრევლო კომლი, 1.808 საეკლესიო გლეხთა კომლი, 130 საეკლესიო აზნაურთა კომლი, 186 საეკლესიო აზნაურების გლეხთა კომლი.

გლეხთა ვალდებულებანი ფულზე გადაყვანილი წლიურად შეადგენდა 11.482 მანეთს ვერცხლით. სოფრონიოსი, რომელიც არქიეპისკოპოსის ხარისხში იქნა აყვანილი, ნიკორწმინდიდან ქუთაისში გადმოვიდა.

გარდა ამისა, იმერეთში დარჩა ორი არქიეპისკოპოსი—ანტონი (სონის) და დავითი (ჯრუჭის). პირველის ჯამაგირი განისაზღვრა 600 მანეთით, ხოლო მეორესი—ჯრუჭის მონასტრის კუთვნილი 130 კომლი გლეხისაგან მიღებული შემოსავლით.

შტატის მონასტრებად გამოცხადდა გელათი და ჯრუჭი, თითოეულის ბიუჯეტი წლიურად 1.700 მანეთი უნდა ყოფილიყო.

სამღვდელოების რაოდენობის შემცირების მიზნით, არქიეპისკოპოს სოფრონიოსს მიეთითა დროებით შეეჩერებინა ყოველგვარ სასულიერო თანამდებობაზე ხელდასმა. იმერეთშიაც უნდა განხორციელებულიყო იმპერატორის 1808 წლის 7 ივლისის ბრძანებულება, სამღვდელოების გათავისუფლების (თავადების, აზნაურების ყმობისაგან) შესახებ. მაგრამ ეს უნდა გაკეთებულიყო თანდათანობით და მოქნილად.

1821 წლის 19 ნოემბერს იმპერატორმა დაამტკიცა სინოდის მოხსენებითი ბარათი და ამის შემდეგ იგი სახელმძღვანელო დოკუმენტად იქცა დასავლეთ საქართველოს საეკლესიო მოწყობის საქმეში.[170]

---

[170] ქ ცს ა, ფ. 21, საქ. 539; Акты..., т. VI, ч. I, с. 418-421.

1822 წლის 8 თებერვალს საქართველოს ეგზარქოსმა იონამ იმერეთის ეპარქიის მმართველს, არქიეპისკოპოს სოფრონიოსს გამოუგზავნა მიმართვა, რომელშიაც ნათქვამი იყო, რომ საქართველო-იმერეთის სინოდალურმა კანტორამ მიიღო იმპერატორის მიერ 1821 წლის 19 ნოემბერს დამტკიცებული სინოდის მოხსენებითი პარათი, დასავლეთ საქართველოს ეკლესიის მოწყობის შესახებ. არქიეპისკოპოს სოფრონიოსს ევალებოდა: 1. იმერეთში საეკლესიო ქონების მართვა თანდათანობით მოეწყო იმგვარად, როგორც ეს აღმოსავლეთ საქართველოში იყო. შეემზადებინა ნიადაგი „გათავისუფლებისათვის სამღვდელოთასა, რომელნიცა მსახურებენ საკურთხეველს, მონებისაგან მებატონეთასა, მსგავსად სამღვდელოებისა საქართველოსათა". 2. შესაძლებლობის მიხედვით, „შემოსავალი ყმათაგან ნაცვლად ნაყოფთა თეთრით აეღო", ე. ი. ნატურალური ვალდებულება ფულადი გადასახდით უნდა შეცვლილიყო. თუ გლეხს ამის შესაძლებლობა არ ექნებოდა, ეპარქიას უნდა ეზრუნა ნატურით შესრულებული ვალდებულება ფულად ექცია. 3. ყოველი სასულიერო მოხელე საეკლესიო შემოსავლებიდან, მათ შორის ხონის არქიეპისკოპოსი ანტონიც, მიიღებდნენ გარკვეულ ჯამაგირს. მიტროპოლიტ დავითს რჩებოდა ჯრუჭის მონასტრის გამგებლობა შემოსავლითურთ. 4. სინოდალურ კანტორაში უნდა წარედგინა დაწვრილებითი ცნობები იმერეთის ეკლესია-მონასტრების ქონებისა და შემოსავლის შესახებ. 5. საქართველო-იმერეთის სინოდალურ კანტორაში მუდმივ სამუშაოდ უნდა გაეგზავნა ერთი წარმომადგენელი.[171]

არქიეპისკოპოსი სოფრონიოსი ენერგიულად შეუდგა მიღებული დავალების შესრულებას. დაიწყო კერძო პირების მფლობელობაში გადასული საეკლესიო მიწებისა და ქონების დაბრუნება. ამას თან ახლდა სერიოზული გართულებები. დროებით მმართველობაში საჩივრების განხილვის დროს, საჭირო ხდებოდა მიწის ან ქონების ფლობის უფლებათა დადასტურება, რაც ხშირად არცერთ (საერო) და მეორე (სასულიერო) მხარეს არ ჰქონდა. 20-30-იან წლებში სამღვდელოება დასავლეთ საქართველოშიც გათავისუფლდა ყმობისაგან. გლეხთა ვალდებულებანი შეიცვალა ფულადი გადასახადით, რამაც კიდევ უფრო გააუარესა მათი მდგომარეობა.

---

171 ქ ცს ა, ფ. 21, საქ. 29, ფურ. 1-4.

1825 წლის მარტში სოფრონიოსმა სინოდალური კანტორისა და იმერეთის მმართველობის წინაშე დააყენა საკითხი შეემოწმებიათ 1817 და 1821 წლებში ჩატარებული კამერალური აღწერის მონაცემები საეკლესიო გლეხების შესახებ. იმერეთში გამოიგზავნა სინოდალური კანტორის წევრი არქიმანდრიტი ნიკოლოზი. შემოწმების მიზანი იყო სხვადასხვა დროს, განსაკუთრებით 1811-1812 წლებში ეკლესიას ჩამოშორებული და მთელს საქართველოში გაფანტული საეკლესიო გლეხების კვლავ შემოკრება და დაბრუნება იმერეთში.[172] ეს საკმაოდ სერიოზული სამუშაო იყო და იმერეთის მმართველმა მოითხოვა სპეციალური კომისიის შექმნა.[173]

საეკლესიო გლეხების ახალ აღწერასთან ერთად, ეგზარქოსმა იონამ მ ო ი თ ხ ო ვ ა ს ა ე კ ლ ე ს ი ო მ ო ურ ა ვ ი ს თ ა ნ ა მ დ ე ბ ო ბ ი ს გ ა უ ქ მ ე ბ ა. ეგზარქატის აზრით, მოურავები გარკვეულ დაბრკოლებებს უქმნიდნენ მას საეკლესიო ქონების მართვის საქმეში. ამასთან დაკავშირებით, იმერეთის მმართველი პ. გორჩაკოვი საქართველოს მთავარმმართველს ა. ერმოლოვს წერდა, რომ მას ეს გადაწყვეტილება ნაჩქარევად მიაჩნია. თავის მხრივ, ა. ერმოლოვმა მოუწოდა ეგზარქოსს იონას, თავი შეეკავებია საეკლესიო მოურავების ინსტიტუტის გაუქმებისაგან, რადგან ამას შეიძლებოდა ახალი უკმაყოფილება გამოეწვია იმერეთში. საქართველო-იმერეთის სინოდალურმა კანტორამ გაითვალისწინა ა. ერმოლოვის მითითება და საეკლესიო მოურავობის გაუქმების საკითხი დროებით გადადო.[174]

დასავლეთ საქართველოს ეკლესიის რუსულ ყაიდაზე გარდაქმნის საქმეში, რაც ხანგრძლივი და მტკივნეული პროცესი იყო, დიდი დამსახურებისათვის არქიეპისკოპოსი სოფრონიოსი 1839 წელს წმინდა ანნას პირველი ხარისხის ორდენით დააჯილდოვეს.[175]

საეკლესიო რეფორმის გატარებაში აქტიურად მონაწილეობდა დროებითი მმართველობა, რომელიც ერთგულად იდგა მთელი დასავლეთ საქართველოს მასშტაბით, რუსეთის ბატონობის განმტკიცების სადარაჯოზე.

---

[172] ს ცს ს ა, ფ. 2, აღწ. II, საქ. 1455, ფურ. 28.

[173] ი ქ ვ ე, ფურ. 28-29.

[174] ი ქ ვ ე, ფურ. 5, 16.

[175] ქ ცს ა, ფ. 21, საქ. 1748.

5. დროებითი მმართველობა და დასავლეთ საქართველოს სამთავროები

იმერეთის დროებითი მმართველობის საქმიანობაში მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა დასავლეთ საქართველოს სამთავროებთან ურთიერთობას. რადგან ვერ განხორციელდა ის პროექტი, რომელიც სამთავროების მიერ დროებით მმართველობაში ორ-ორი, ხოლო თავის მხრივ, იმერეთის ოლქიდან თითოეულ სამთავროში თითო წარმომადგენლის გაგზავნას ითვალისწინებდა, მოიძებნა მათ შორის ურთიერთობის სხვა ფორმები. მთავრები ყოველნაირად ცდილობდნენ იმერეთის მმართველებთან თავიანთი „ავტონომიური" უფლებების დემონსტრაცია მოეხდინათ, მაგრამ ამას პრაქტიკულად არავითარი შედეგი არ მოჰქონდა. საქართველოს რუსული ადმინისტრაცია მთავრებს მხოლოდ იმერეთის მმართველის მეშვეობით მიმართავდა. ამით იგი დაბეჯითებით ნერგავდა აზრს იმის შესახებ, რომ სამთავროებისათვის ეს უკანასკნელი არის პირველი უმაღლესი ინსტანცია და სუბორდინაციის დაცვა აუცილებელია. გენ. ა. ტორმასოვი 1811 წლის 2 ივნისს თ. სიმონოვიჩს წერდა:... მანუჩარ შარვაშიძის სამფლობელოებში ტყვეებით ვაჭრობენ, მეგრელების მიერ ქურდობამ იმერეთში ფართო ხასიათი მიიღო. ზეგავლენა მოახდინე მთავრებზე, მკაცრი ღონისძიებანი გაატარონ ამის აღსაკვეთად.

მ ე მ ა თ პ ი რ დ ა პ ი რ ა რ მ ი ვ მ ა რ თ ა ვ იმიტომ, რომ იფიქრებენ ეს ცნობები თქვენგან მაქვს მიღებული (ხაზგასმა ჩვენია, გ. ვ.).

თქვენ უმაღლესად მინდობილი გაქვთ მაგ მხარის მართვა. ამიტომ მეგობრული რჩევებით და კეთილგონიერი ჩაგონებით უნდა აიძულოთ მთავრები იბრძოლონ ამ ბოროტების წინააღმდეგ. ამით მათი ნდობა თქვენდამი კიდევ უფრო გაიზრდება. მაგრამ თუ აქედან არაფერი გამოვა, შეიძლება ძალაც გამოვიყენოთ.[176]

ყოველთვის, როცა საქმე ეხებოდა დასავლეთ საქართველოს სამთავროებს, იმერეთის მმართველის აზრს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა და ასევე ყოველგვარი გადაწყვეტილება მათ მიმართ, მას მოჰყავდა სისრულეში. მთავრები, როგორც ითქვა, პირველ რიგში, იმერეთის მმართველს ემორჩილებოდნენ.

---

[176] Акты..., т. IV, с. 370.

XIX საუკუნის 20-იანი წლების დასაწყისში ნიკო დადიანი წერდა: „...სამეფოსა საქართველო-იმერეთისასა უსაშუალოდ ჰფლობს დიდი ხელმწიფე ჩვენი ალექსანდრე პავლეს ძე პირველი, მპყრობელი სრულიად რუსეთისა, სამთავროსა სამენგრელოსასა სრულიად ფლობს მთავარი ლეონ გრიგოლის-ძე დადიანი, გურიის სამთავროსა ფლობს მთავარი მამია სიმეონის ძე გურიელი, აფხაზეთისა სამთავროსა ჰფლობს მთავარი მიხაილ საფარ-ბეგის ძე შარვაშიძე. ხოლო ამათ მთავრებთა ჰფლობს რუსეთის იმპერატორი ალექსანდრე პავლეს-ძე პირველი და არს მშვიდობა გამოუთქმელი...“[177] როგორი მშვიდობა სუფევდა XIX საუკუნის პირველ ნახევარში დასავლეთ საქართველოში, ნაწილობრივ უკვე გავეცანით. ახლა ვნახოთ რამდენად შეეფერებოდა სინამდვილეს რუსული ადმინისტრაციისა და დასავლეთ საქართველოს სამთავროების ურთიერთობის ის იდილიური სურათი, რომელიც ნიკო დადიანმა დაგვისატა.[178]

ა) **ურთიერთობა გურიის სამთავროსთან** — გურია იმერეთის დროებით მმართველობაზე გაცილებით მეტად იყო დამოკიდებული, ვიდრე დასავლეთ საქართველოს სხვა რომელიმე სამთავრო. ეს ცარიზმის პოლიტიკამ განაპირობა. ჯერ კიდევ ელაზნაურში მოლაპარაკების დროს (1804 წ. აპრილი), პ. ციციანოვმა „ყურად იღო“ სოლომონ მეორის განცხადება, რომ „გურია დამოკიდებულ არს იმერეთსა ზედა“[179] და იმერეთის სამეფოსთან დადებული ხელშეკრულებით, გურიის სამთავრო, როგორც იმერეთის ნაწილი, რუსეთის ქვეშევრდომობაში შესულად იქნა მიჩნეული. გურიის მთავარს იმაზედაც უარი უთხრეს, რომ საჭილაოს ტრაქტატში, რომელიც 1804 წლის 4 ივლისს გაფორმდა სოლომონ მეორესა და

---

[177] ნ. დ ა დ ი ა ნ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 212.

[178] რუსეთის მთავრობა ითვალისწინებდა იმას, რომ იმერეთის მმართველობს დასავლეთ საქართველოს მთავრები უნდა დამორჩილებოდნენ და ცდილობდნენ ამ თანამდებობაზე მაღალი სოციალური წრიდან გამოსული ოფიცრები დაენიშნა.

[179] გ. პ ა ი ჭ ა ძ ე, იმერეთის სამეფოსა და რუსეთის იმპერიის 1804 წლის შეთანხმება, კრ. ქართული სამეფო-სამთავროების საგარეო პოლიტიკის ისტორიიდან, II, თბ., 1972, გვ. 204.

გრიგოლ დადიანს შორის, სამეგრელოს მთავრის თანაბრად მიეღო მონაწილეობა. იმერეთთან ერთად გურიის შესვლა რუსეთის ქვეშევრდომობაში პ. ციციანოვმა ოფიციალურად აცნობა ახალციხის ფაშას სელიმ ხიმშიაშვილს, როგორც თურქეთის ინტერესების წარმომადგენელ პირს ამიერკავკასიაში.[180]

გავიდა ცოტა ხანი და მოვლენათა განვითარებამ დასავლეთ საქართველოში, აიძულა რუსეთის მთავრობა უარი ეთქვა გურიის სამთავროს ინკორპორაციის ციციანოვისეულ გეგმაზე.[181] მან სოლომონ მეორის მომსრე ძალების დასასუსტებლად, გურიის სამთავრო იმერეთისაგან გამოჰყო, ცნო იგი როგორც ავტონომიური ერთეული და მის მთავართან—მამია გურიელთან 1810 წლის 19 ივლისს ქუთაისში დამოუკიდებელი ხელშეკრულება გააფორმა.

იმერეთში მეფის ხელისუფლების გაუქმებასთან დაკავშირებით, გურიელის ქვეშევრდომობაში მიღება გენ. ა. ტორმასოვმა იმპერატორის დაუკითხავად მოახდინა. მის მიერ ამ აქტის დასაბუთება აშკარად ახასიათებდა ცარიზმის კოლონიურ პოლიტიკას საქართველოში.[182]

ა. ტორმასოვის აზრით, გურიელის მიღება ქვეშევრდომობაში და მისი „დამოუკიდებლად" დატოვება შეამსუბუქებდა რუსეთის მდგომარეობას იმით, რომ გურიელი თვითონ იქნებოდა ვალდებული დაეცვა თავისი საზღვრები თურქთა შემოტევებისაგან და რუსეთს იქ მხოლოდ მცირე რაზმის ჩაყენება მოუხდებოდა, ისიც არა ყოველთვის. გარდა ამისა, რაც მთავარი იყო—ამ საკმაოდ ვრცელი ქვეყნის (დასავლეთ საქართველოს, გ. ვ.) გაყოფით ოთხ სამფლობელოდ (იმერეთი, გურია, სამეგრელო, აფხაზეთი), რომელთაგან სამს მართავდნენ განსაკუთრებული მფლობელები თავიანთი კანონებითა და ქვეყნის ჩვეულებებით, ადვილი იქნებოდა მისი შენარჩუნება საჭირო მორჩილებაში იმ რაზმების რიცხვით, რომლებიც მაშინ იქ იმყოფებოდნენ. მ ი თ უ ფ რ ო, რ ო მ ა უ ც ი ლ ე ბ ე ლ შ ე მ თ ხ ვ ე ვ ე ბ ში შ ე ს ა ძ ლ ე ბ ე ლ ი ი ქ ნ ი-

---

180 Акты..., т. II, с. 300.

181 ა. ფ ი რ ცხ ა ლ ა ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 43.

182 მ. დ უ მ ბ ა ძ ე, გურიის სამთავროს სოციალურ-ეკონომიკური ვითარება XIX ს. პირველი მესამედში, მსკი, ნაკ. 30, თბ., 1954, გვ. 10.

ბოდა ერთი მთავრის ძალა მეორესათვის დაეპირისპირებიათ.[183] (საზგასმა ჩვენია, გ. ვ.)

მამია გურიელმა იმპერატორის ეს „წყალობა" იმერეთის სამეფოს გაუქმებისათვის ბრძოლაში აქტიური მონაწილეობით დაიმსახურა. თუმცა რუსეთის იმპერიის ქვეშევრდომობაში გურიის სამთავროს შესვლის ხელშეკრულების მესამე მუხლში ჩაიწერა — „სამთავროს ტერიტორიაზე სამოქალაქო საქმეების განსჯა გურიელის კომპეტენციაში რჩება, სისხლის სამართლის საქმეებს კი იმერეთის დროებითი მმართველობა (ე. ი. რუსეთის ხელისუფლება) განიხილავს და წყვეტს".[184] (საზგასმა ჩვენია, გ. ვ.)

1811 წლის 8 აპრილს ალექსანდრე პირველმა გურიელისადმი ბოძებული, „უმაღლესი სიგელით" დაადასტურა გურიის სამთავროს რუსეთის ქვეშევრდომობაში შესვლა. გურია ამ ხელშეკრულების მიხედვით, ფორმალურად, ავტონომიურ სამთავროდ რჩებოდა, მაგრამ გურიელის ხელისუფლება ძალიან შეიზღუდა. ამიერიდან იგი დასავლეთ საქართველოში განლაგებული რუსეთის ჯარების სარდალს, რომელიც იმერეთის მმართველის ინანამდებობასაც ითავსებდა, უნდა დამორჩილებოდა და მისი მითითებები შეესრულებია. გურიის მთავარს რუსეთის მთავრობასთან ურთიერთობა, მხოლოდ იმერეთის მმართველის მეშვეობით შეეძლო დაემყარებია. ჩოხატაურში რუსეთის ჯარები დადგებოდა.

მამია გურიელი რუსეთის ქვეშევრდომობაში მიღებულ იქნა იმერეთის მმართველის თ. სიმონოვიჩის უშუალო და აქტიური მონაწილეობით. მან გაუგზავნა მთავარს მაიორ კუტნევის ხელით იმპერატორის სიგელი და ინვესტიტურის ნიშნები: ვერბიანი დროშა, ძვირფასად შემკული ხმალი, წმ. ანნას პირველი კლასის ორდენი და ბრძანებულება რუსეთის არმიის გენერალ-მაიორის წოდების მინიჭების შესახებ.[185] უკანდაბრუნებულმა მაიორმა კუტნევმა თ. სიმონოვიჩს ჩამოუტანა მამია გურიელის მიერ დადებული რუსეთის იმპერიისადმი ერთგულების ფიცის ტექსტი, სამადლობელი წერილები ა. ტორმასოვისა და იმპერატორის სახელზე.

---

[183] Акты..., т. IV, с. 437.

[184] იქვე, გვ. 438.

[185] ს. კაკაბაძე, იმერეთის სამეფოს გაუქმება..., გვ. 492.

მიუხედავად ამისა, ცარიზმს გურიელი ფხიზელი მეთვალყურეობის ქვეშ ჰყავდა. მიმდინარეობდა ომი თურქეთთან. გურია მის სამფლობელოებთან უშუალოდ მოსაზღვრე პოლიტიკურ ერთეულს წარმოადგენდა. არ იყო გამორიცხული შესაძლებლობა, რომ თუ ხელსაყრელი მდგომარეობა შეიქმნებოდა, მთავარს რუსეთისათვის „ელალატნა" და საკუთარი ინტერესები დაეცვა.[186] იმერეთის მმართველს ევალებოდა არამარტო აღეკვეთა ასეთი შესაძლებლობა, არამედ გამოეყენებია გურიელი შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე რუსეთის პოზიციების განმტკიცების საქმეში.

ამ დროს, რუსეთის სარდლობა სერიოზულად ემზადებოდა ე. წ. „ოსმალეთის გურიის" (ბათუმი-ჩაქვი-სინო-ქობულეთის თემები) დაპყრობისათვის[187]. ეს ოპერაცია თ. სიმონოვიჩის ხელმძღვანელობით უნდა განსორციელებულიყო და მასში გურიელის მონაწილეობაც იყო ნავარაუდევი. 1811 წლის 8 სექტემბერს იმერეთის მმართველმა ა. ტორმასოვს ციხისძირისა და ბათომის დაკავების ნებართვა თხოვა.[188] ა. ტორმასოვმა თანხმობა განაცხადა, მაგრამ მალე რუსეთსა და თურქეთს შორის საზავო მოლაპარაკება დაიწყო და ბათომზე ლაშქრობა გადაიდო.

თ. სიმონოვიჩი აქტიურად ჩაერია ბატონიშვილ ქაიხოსრო გურიელსა და თავად ნაკაშიძეებს შორის გაჩაღებულ ბრძოლაში. ქაიხოსრო გურიელმა რუსეთის მთავრობას გაუგზავნა სოლომონ მეორის მიერ ნაკაშიძეებისადმი მიწერილი ბარათი, რომელშიაც აშკარად ჩანდა ამ უკანასკნელთა ანტირუსული განწყობილება. თ. სიმონოვიჩმა ნაკაშიძეების დასასჯელად, გურიაში 100 ჯარისკაცი და ერთი ზარბაზანი გაგზავნა. მათ დაევალათ დაენგრიათ გურიამთის ციხე, რომელიც ნაკაშიძეებს ეკავათ. ახალმა მთავარმმართველმა მარკიზმა ფ. პაულუჩიმ სოლომონ მეორის წერილი ნაყალბევად მიიჩნია და თ. სიმონოვიჩის განკარგულება შეცვალა. ნაკაშიძეებისაგან მძევლები აიყვანეს და გურიამთის ციხე არ დაუნგრევიათ.[189]

---

[186] ვ. დუმბაძე, დასავლეთ საქართველო XIX ს. პირველ ნახევარში, თბ., 1957, გვ. 241.

[187] ქ. ჩხატარაიშვილი, გურიის სამთავროს შეერთება რუსეთთან, თბ., 1985, გვ. 42.

[188] Акты..., т, IV с. 448.

[189] იქვე, ტ. V, გვ. 103.

1813-1814 წლებში თ. სიმონოვიჩი ხელმძღვანელობდა თურქეთის საზღვართან, შეკვეთილში რუსული რედუტის აგებას. 1813 წლის 13 ნოემბერს იგი გენ. ნ. რტიშჩევს მოახსენებდა, რომ სიმაგრის მშენებლობისათვის საჭირო მოწყობილობით შეკვეთილში ორი ბატალიონი გაიგზავნა.[190] მამია გურიელმა თავის მხრივ, მთავარმმართველის მოთხოვნით, რუსები ხე-ტყით და ადგილობრივი მუშახელით მოამარაგა. 1815 წლის ზაფხულიდან შეკვეთილში, რომელსაც წმ. ნიკოლოზის სიმაგრე უწოდეს, სავაჭრო გემების მიმოსვლა დაიწყო. ამით ნაწილობრივ ანაზღაურებულ იქნა ის დანაკლისი, რაც რუსებმა თურქეთისათვის ფოთის გადაცემით განიცადეს.

მამია გურიელი რუსეთისადმი თავისი ერთგულების დასამტკიცებლად, იმერეთის მმართველს სისტემატურად ატყობინებდა მეზობელ საფაშოებში მომხდარ ამბებს, თურქული ორიენტაციისა და ანტირუსული სულისკვეთების მქონე ძალების საქმიანობის, საერთოდ, სამთავროში არსებული მდგომარეობის შესახებ. ამასთან ერთად, იგი უკმაყოფილებას გამოთქვამდა იმის გამო, რომ ბუქარესტის ზავს (დაიდო 1812 წლის 16 მაისს) გურიისათვის მშვიდობა არ მოუტანია, გრძელდებოდა მაჰმადიანთა თავდასხმები, ფეოდალთა ცალკეული დაჯგუფებების ურთიერთბრძოლა და მთავრისადმი დაუმორჩილებლობა, ყაჩაღობა და ტყვეთა სყიდვა. მთავარს, რუსეთთან დადებული ხელშეკრულების ძალით, დამნაშავეთა დასჯის უფლება არ ჰქონდა, რადგან სისხლის სამართლის საქმეები, როგორც უკვე აღინიშნა, იმერეთის დროებითი მმართველობის კომპეტენციაში შედიოდა. ამასთან დაკავშირებით, მამია გურიელი 1819 წლის 25 თებერვალს ზურაბ წერეთელს წერდა ა. ერმოლოვისათვის გადაეცა მისი თხოვნა: „...ანუ რუსეთის ძლიერებამ მოშალოს ესე (დანაშაულობანი, გ. ვ.) და ანუ მე არ მეშინოდეს ამა შემთხვევისა გამო კაცის კვლისა და ტყვის სყიდვისათვის გარდახდევინება...“

იგი განსაკუთრებით უკმაყოფილო იყო იმით, რომ მისი ქვეშევრდომნი საჩივრებით მიმართავდნენ იმერეთის მართველს და ზოგჯერ მთავარმმართველსაც, რაც მთავრის ავტორიტეტის შელახვად მიაჩნდა. ამიტომ აყენებდა საკითხს, რომ რუსეთის მთავრობას ასეთი საჩივრები არ მიეღო.

---

[190] ი ქ ვ ე, გვ. 509-510.

იმერეთის მმართველი სელმძღვანელობდა მამია გურიელისათვის, მისი თხოვნის საფუძველზე, საჯავახოს ნაწილის გადაცემას. გენ. ნ. რტიშჩევი 1815 წლის 6 ნოემბერს პოლკ. მერლინს ავალებდა: შეკრიბეთ მმართველობის ყველა წევრი, მოახსენეთ მათ მთავრისათვის სოფლის გადაცემის შესახებ, მიიღეთ კანონიერი გადაწყვეტილება, ჩაწერეთ ჟურნალში და დაუყოვნებლივ მაცნობეთ.[191]

დასავლეთ საქართველოში 1819-1820 წლების აჯანყების დროს, „ავტონომიური" გურია ცარიზმის დამსჯელი ექსპედიციების სათარეშო არენად იქცა. აქ დაიღუპა, როგორც ითქვა, იმერეთის მმართველი ი. პუზირევსკი. მისი მკვლელი მამია გურიელმა შეიპყრო და რუსეთის სარდლობას გადასცა.

ი. პუზირევსკის მიერ გურიაში დაწყებული „საქმე" „წარმატებით" გააგრძელა ა. ერმოლოვის მიერ აჯანყებულთა დასასჯელად დასავლეთ საქართველოში გამოგზავნილმა გენ.-ლეიტენანტმა ა. ველიამინოვმა და დაასრულა იმერეთის ახალმა მმართველმა გენ. პ. გორჩაკოვმა. მან 1821 წლის 1 აპრილს, მას შემდეგ, რაც გურია მიწასთან იქნა გასწორებული, მოსახლეობას საგანგებო პროკლამაციით მიმართა. მასში ნათქვამი იყო, რომ გურიის სამთავროზე ვრცელდებოდა აჯანყების მონაწილეთა მიმართ იმერეთში გამოცხადებული საერთო შეწყალება, გარდა მთავარი დამნაშავეებისა, რომლებიც გაქცეული იყვნენ საზღვარგარეთ და სამუდამოდ განიდევნებოდნენ იმპერიიდან. სასტიკად იკრძალებოდა მათთან ყოველგვარი ურთიერთობა და დახმარება. მოსახლეობას ევალებოდა დამნაშავეების ცოცხლად შეპყრობა და მთავრობისათვის გადაცემა, ან მოკვლა. აჯანყებაში მონაწილენი, რომლებიც შეწყალებას ექვემდებარებოდნენ, 11 აპრილამდე ჩოხატაურის პოსტზე მაიორ მიხინთან უნდა გამოცხადებულიყვნენ და პატიება ეთხოვათ.

პროკლამაციას თან ერთვოდა ორი სია—ერთი „...მუხანათთა, რომელნიცა სამარადისოდ განიდევნებიან საზღვართაგან იმპერიისათა" და მეორე იმ პირთა, რომლებიც ჩოხატაურში უნდა გამოცხადებულიყვნენ გასასამართლებლად.[192]

---

[191] ი ქ ვ ე, გვ. 514.

[192] ს ც ს ს ა, ფ. 488, საქ. 357, ფურ. 158.

აჯანყების ჩასშობის შემდეგ, იმერეთის დროებით მმართველობაზე გურიის სამთავროს დამოკიდებულება კიდევ უფრო გაიზარდა.

ა. ერმოლოვის განკარგულებით, აჯანყების მონაწილე თავადებისათვის ჩამორთმეული მამულები რუსეთის ხაზინას გადაეცა და მოურავები დაუნიშნეს. ამ უკანასკნელთათვის მიცემულ სამოქმედო განაწესში მითითებული იყო, რომ 1. მოურავები საგამგებლოდ ჩაბარებული მამულების საქმეთა გადაწყვეტისას ემორჩილებიან ი მ ე რ ე თ ი ს მ მ ა რ თ ვ ე ლ ს, რომელსაც შეუძლია შეცვალოს, ხოლო საჭირო შემთხვევაში, დასაჯოს მოურავები, ახალ მოურავს მთავარმმართველი ამტკიცებს... 3. მოურავები გადასასადების შესახებ ანგარიშს აბარებენ ი მ ე რ ე თ ი ს მ მ ა რ თ ვ ე ლ ს...[193]

ამ აქტით რუსეთის მთავრობამ სცადა გურიის ტერიტორიისა და მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი მიეთვისებია, რაც 1810 წლის ივლისში დადებული სელშეკრულების აშკარა დარღვევას წარმოადგენდა. მამია გურიელმა, პირველ რიგში, პროტესტით მიმართა ი მ ე რ ე თ ი ს მ მ ა რ თ ვ ე ლ ი ს მ ო ვ ა ლ ე ო ბ ი ს შ ე მ ს რ უ ლ ე ბ ე ლ ს გ ე ნ. ი ვ. ა ფ ხ ა ზ ს,[194] ხოლო შემდეგ ი. ველიამინოვს და თვით ა. ერმოლოვს.

მამია გურიელის დაჟინებითი მოთხოვნისა და იმდროინდელი საგარეო-პოლიტიკური ვითარების გათვალისწინებით, რუსეთის მთავრობა იძულებული გახდა უკან დაეხია და მიღებული გადაწყვეტილებანი გაეუქმებია.

იმერეთის დროებითი მმართველობისა და გურიის სამთავროს ურთიერთობაში დიდ როლს ასრულებდა ის ფაქტი, რომ 1816 წლიდან გენ. ნ. რტიშჩევის მოთხოვნით, სამეგრელოსთან ერთად გურიის ეკლესია იმერეთის ეკლესიის მეთაურს ემორჩილებოდა.[195] როდესაც იმერეთის არქიეპისკოპოსი მთავრის გარკვეულ წინააღმდეგობას წააწყდა, მან დახმარებისათვის პ. გორჩაკოვს მიმართა. 1821 წლის 16 თებერვალს იმერეთის მმართველი არქიეპისკოპოსს

---

[193] ი ქ ვ ე, ფ. 2, საქ. 1015, ფურ. 3-4; ქვ. ჩხატარაიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 73.

[194] ი ქ ვ ე, ფურ. 9.

[195] Акты..., т. V, с. 435.

სოფრონიოს წერდა: „მე ვაცნობე გურიის მფლობელს თავად მამია სვიმონის ძე გურიელს უსიტყვოდ მიიღოს თქვენს მიერ განწესებული არქიმანდრიტი გურიის შინა მყოფ ეკლესიათა სამმართავად..."[196] (ხაზგასმ., ჩვენია, გ. ვ.). მართალია, აჯანყებულთა ქონება ხაზინას გადაეცა, მაგრამ მონასტრები სასულიერო უწყებაში დარჩა.

1826 წლის 21 ნოემბერს მამია V გურიელი გარდაიცვალა. მემკვიდრე დავითი მცირეწლოვანი იყო. გურიის თავადაზნაურობის ერთმა ნაწილმა მთავრის ქვრივის —დედოფალი სოფიოს და ბატონიშვილი დავითის ერთგულებაზე დაიფიცა. დედოფალი სოფიო გურიის მართვას შეუდგა.[197] ბატონიშვილი დავითი იმპერატორმა მთავრად დაამტკიცა. მემკვიდრის მცირეწლოვანების გამო, სოფიოს წინადადება მისცეს მისი თავმჯდომარეობით, სამმართველო საბჭო შეექმნა. ვითარება გართულდა. მამია გურიელისათვის უმაღლესად ბოძებული „ავტონომია" „პერსონალური" აღმოჩნდა.[198] მისი გარდაცვალების შემდეგ, მოვლენების განვითარებამ დაადასტურა, რომ რუსეთის მთავრობას, ა. ერმოლოვის სახით, საქმე გურიის სამთავროს გაუქმებისაკენ მიჰყავდა.[199]

სამმართველო საბჭო სოფიოს ნაცვლად, ა. ერმოლოვმა შეადგინა (1827 წ. იანვარი) და მასში რუსეთის მომხრე თავადები შეიყვანა. დედოფალმა პროტესტი განაცხადა. მასზე ზეგავლენის მოხდენა და საერთოდ, პრაქტიკულად ადგილზე სამმართველო საბჭოს საქმიანობის საკითხის მოგვარება, იმერეთის მმართველს ვ. ბებუთოვს მიენდო. მან ეს დავალება ვერ შეასრულა.[200] მარცხით დამთავრდა ქაიხოსრო წერეთლისა და სეხნია წულუკიძის მისიაც.[201] იმერეთის ახალმა მმართველმა კ. გესსემ საქმეში ჩართო სოფიოს ნათესავი, არქიეპისკოპოსი სოფრონიოსი. 1828 წლის 12 მაისს იმერეთის მმართველი არქიეპისკოპოსს წერდა: გიგზავნით დაბეჭდილ წერილს გურიის მთავრის დედის მთავრინა სოფია გურიელისადმი და გთხოვთ, თქვენი სურვილის თანახმად, წაბრძან-

---

[196] ქ ც ს ა, ფ. 21, საქ. 28, ფურ. 1.
[197] Акты..., т. VI, ч. I, No.998.
[198] ა. ფ ი რ ცხ ა ლ ა ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 62.
[199] ვ. ი ვ ა ნ ე ნ კ ო, დასახ. ნაშრ., გვ. 258.
[200] Акты..., т. VI, ч. I, с. 682.
[201] ი ქ ვ ე, ტ. VII, გვ. 404.

დეთ გურიაში და ეს წერილი გადასცეთ მას, მისცეთ, აგრეთვე, თქვენი დარიგება. თანახმად კანონისა და მკაცრი სიმართლისა მოოხოვეთ პასუხი ამ წერილზე.[202] მაგრამ არც სოფრონიოსის ვოიაჟს მოჰყოლია წარმატება.[203]

სამმართველო საბჭოს დებულება, რომლის ავტორი ა. ერმოლოვი იყო, აშკარად მეტყველებდა იმაზე, რომ სამთავროს გაუქმებამდე ერთი ნაბიჯიღა დარჩა. აი, დებულების ის მუხლები, რომლებიც გურიისა და იმერეთის დროებითი მმართველობის ურთიერთდამოკიდებულებას განსაზღვრავდნენ: „...3. საბჭოს წევრები ინიშნებიან დედოფლისა და ი მ ე რ ე თ ი ს დ რ ო ე ბ ი თ ი მ მ ა რ თ ვ ე ლ ო ბ ი ს მიერ რუსეთის ერთგულ თავადთა და აზნაურთაგან... 5. საბჭოს ექვემდებარება სამოქალაქო სამართლის საქმეები, ს ი ს ხ ლ ი ს ს ა მ ა რ თ ლ ი ს ს ა ქ მ ე ე ბ ს გ ა ნ ი ხ ი ლ ა ვ ს ი მ ე რ ე თ ი ს დ რ ო ე ბ ი თ ი მ მ ა რ თ ვ ე ლ ო ბ ა... 9. თუ საბჭო მიიჩნევს გურიაში რაიმე ახალი დაწესებულების შექმნას, ს ა ბ ჭ ო მ ე ს ი მ ე რ ე თ ი ს მ მ ა რ თ ვ ე ლ ს უ ნ დ ა შ ე უ თ ა ნ ხ მ ო ს, მმართველი კი თავის მხრივ, საქართველოს მთავარმმართველს მიმართავს...“[204] (ხაზგასმა ჩვენია, გ. ვ.).

რუსეთის მთავრობის პოლიტიკით განაწყენებულმა დედოფალმა სოფიომ გადაწყვიტა თურქეთის მფარველობაში შესულიყო.

1828 წლის აპრილში დაიწყო რუსეთ-თურქეთის ომი. კავკასიაში საომარი ოპერაციები, ძირითადად, გურიის ტერიტორიაზე მიმდინარეობდა. გენ. პასკევიჩის მითითებით, 1828 წლის 30 სექტემბერს იმერეთის მმართველმა, გენ.-მაიორმა კ. გესსემ გურია დაიკავა. დედოფალი სოფიო თურქეთში გაიქცა და თან წაიყვანა მცირეწლოვანი მემკვიდრე დავითი. ამასთან დაკავშირებით, გენ. ი. პასკევიჩის განკარგულებით, შეიქმნა გურიის დროებითი მმართველობა, რომლის განაწესი კ. გესსემ შეადგინა.[205]

---

[202] ქ ც ს ა, ფ. 21, საქ. 464, ფურ. 1.

[203] სოფიო 1810 წლის აჯანყების მონაწილის გიორგი წულუკიძის ასული იყო.

[204] Акты..., т. VI, ч. I, с. 680.

[205] მ ს კ ი, 1942 წ. ნაკ. 1, თბ., 1942. ეს განაწესი, და საერთოდ, დროებითი მმართველობის საქმიანობა მკაცრად გააკრიტიკა სენატორმა პ. კუტაისოვმა, იქვე, გვ. 115-116.

გურიის დროებითი მართველობა, რომლის სათავეში პოდპოლკოვნიკი კულიაბკო იდგა და ადგილობრივ თავადთაგან არჩეული ორი წევრისაგან[206] შედგებოდა, დავით გურიელის სრულწლოვანებამდე, მისი სახელით მოქმედებდა.

დროებითი მმართველობის ადგილსამყოფელი გურიის მთავარობა რეზიდენცია სოფელი ნაგომარი იყო (შემდეგ მან ოზურგეთში გადაინაცვლა). შენარჩუნებულ იქნა ადგილობრივი მმართველობის ძველი სისტემა, კერძოდ მოურავებისა და ნაცვლების თანამდებობანი. ცვლილებანი მხოლოდ ცენტრალურ აპარატს შეეხო.

განაწესის მიხედვით, დროებითი მმართველობა უშუალოდ იმერეთის მმართველს ემორჩილებოდა. იგი ადგილობრივი კანონების საფუძველზე განიხილავდა და წყვეტდა სამოქალაქო საქმეებს, სისხლის სამართლის საქმეები კი, იმერეთის მმართველს ეგზავნებოდა.

1830 წლის იანვარში, როცა დავით გურიელმა უარი განაცხადა სამშობლოში დაბრუნებულიყო, გენ. ი. პასკევიჩის წარდგენით, იმპერატორმა ნიკოლოზ პირველმა მას მთავრის უფლებები ჩამოართვა და გურია საბოლოოდ შეუერთდა რუსეთს. დროებითი მმართველობა შენარჩუნებული იქნა, მაგრამ როგორც ი მ ე რ ე თ ი ს დ რ ო ე ბ ი თ ი მ მ ა რ თ ვ ე ლ ო ბ ი ს გ ა ნ ყ ო ფ ი ლ ებ ა. იმავე წელს ნაგომარში ჩავიდა სენატორი პ. კუტაისოვი. რუსი ჩინოვნიკი გაოცებული იყო იმით, რომ დროებით მმართველობას, რომელიც დაწესებულების სახელს ატარებდა, არ ჰქონდა კანცელარია, არ ჰყავდა მდივანი და გადამწერი, საქმეების გარჩევის დროს, ძირითადად, ზეპირ გადაწყვეტილებებს იღებდნენ.[207]

---

[206] მოსახლეობის თხოვნით, მმართველობაში კიდევ ორი წევრი შეიყვანეს და მისმა პირველმა შემადგენლობამ ასეთი სახე მიიღო: თავმჯდომარე— პოდპოლკოვნიკი კულიაბკო, წევრები—გურიის სამთავროს მდივანბეგები: გიორგი ერისთავი, გიორგი ნაკაშიძე, სვიმონ გუგუნავა და ვახტანგ ერისთავი, მსკი, 1942 წ..., გვ. 114.

სხვადასხვა დროს მმართველობას თავმჯდომარეობდნენ: მაიორი ჭილაშვილი, მაიორი სტაროვი (სცსსა, ფ. 2, საქ. 3337, ფურ. 10-11), მაიორი ნიკოლოზ ვასილის ძე ორლოვი (იქვე, საქ. 4205), მაიორი სნაკსარევი (იქვე, საქ. 4985, ფურ. 5), პოდპოლკოვნიკი ლოგვის ქრისტეფორეს ძე ბრევერნი (ქცსა. ფ. 53, საქ. 11, 19, 26 და სხვ.), 1839 წლის მაისში თავმჯდომარის თანაშემწედ დანიშნა შავი ზღვის სახაზო ბატალიონის პორუჩიკი, თავადი მიხეილ დავითის ძე მიქელაძე, ქცსა, ფ. 53, საქ. 11, ფურ. 21-22.

[207] ქ ც ს ა, ფ. 53, საქ. 11, ფურ. 115.

თანდათანობით, იმერეთის დროებითი მმართველობის ხელმძღვანელობით, გურიაში საფუძველი ჩაეყარა საქმისწარმოების რუსულ წესს.

გურიის დროებით მმართველობას მოსახლეობა „დროებით სასამართლოს" უწოდებდა. ასე იხსენება იგი ქართულ დოკუმენტებში.[208]

გურიის დროებითი მმართველობა მნიშვნელოვან საქმეებზე მიღებულ გადაწყვეტილებებს (მიწის და ყმა-გლეხების ყიდვა-გაყიდვის ან გათავისუფლების აქტები, საიჯარო კონტრაქტები, განჩინებანი სადავო ქონებაზე, გურიის ფარგლებს გარეთ წასასვლელად გაცემული ნებართვები—პასპორტები და ა. შ.) იმერეთის მმართველობაში აგზავნიდა დასამტკიცებლად.[209] მასვე წარედგინებოდა საქმეები რევიზიისა და აპელაციისათვის.

იმერეთის მმართველობა გურიაში თავის წარმომადგენელსაც გზავნიდა საქმეების ადგილზე გამოსაძიებლად და შესასრულებლად. ასეთი მისიით 1837 წლის მაის-ივლისში ოზურგეთში იმყოფებოდა იმერეთის დროებითი მმართველობის წევრი, მდივანბეგი, თავადი დავით ჩხეიძე. მას დავალებული ჰქონდა შეესწავლა რამდენიმე სოფლის მებატონეებსა და მათ ყმა-გლეხებს შორის არსებული დავის მიზეზები.[210]

1839 წლის მაისში ოზურგეთში ჩავიდა იმერეთის მმართველი გენ.-მაიორი აკ. ესპეხო. გურიის თავადაზნაურობის და გლეხობის წარმომადგენლებმა ესპეხოს მიართვეს მთავარმმართველზე გადასაცემი საჩივარი იმასთან დაკავშირებით, რომ მათ კუთვნილ მიწებზე ასახლებდნენ იქ განლაგებული შავი ზღვის სახაზინო ბატალიონის დაბალი ჩინის ცოლშვილიან ოფიცრებს. გაბრაზებულმა მმართველმა ბრძანა მთხოვნელები დაეპატიმრებიათ, იარაღი აეყარათ და სამი დღით ციხეში ჩაესვათ. მოსახლეობა მკაცრად გააფრთხილეს, რომ ასეთი „უსაქმური" თხოვნებით მთავრობა არ შეეწუხებიათ.[211]

---

208 ი ქ ვ ე, საქ. 4, 5, 26 და სხვ.
209 ი ქ ვ ე, საქ. 1-23.
209 ი ქ ვ ე, საქ. 1-23.
210 ი ქ ვ ე, საქ. 26, ფურ. 4, 5, 7, 10.
211 ი ქ ვ ე, საქ. 11, ფურ. 23.

1839 წლის 25 აგვისტოს გურიის დროებითმა მმართველობამ განიხილა იმერეთის მმართველის მოწერილობა, რომელშიაც ნათქვამი იყო, რომ დროებითი მმართველობის წევრები მინდობილი საქმეების გამოძიებისას, ხშირად არ იჩენდნენ სათანადო გულისხმიერებას, აჭიანურებდნენ, ხოლო ზოგჯერ სრულიად წყვეტდნენ მათ განხილვას.[212]

1839 წლის ივლისში გურიის დროებითი მმართველობის საქმისწარმოების რევიზიისათვის, ოზურგეთში გაიგზავნა იმერთის მმართველობის მრჩეველი, კოლეჟსკი ასესორი, თავადი თუმანოვის (თუმანიშვილი).[213]

იმერეთის დროებითი მმართველობა აქტიურად ჩაერია იმ კონფლიქტში, რომელიც 1835 წელს წარმოიშვა და 1837 წლამდე გაგრძელდა გურიის აზნაურებს ჭყონიებსა და მეგრელ მწყემსებს შორის მდინარე ფიჩორას გაღმით, ჭალადიდის ტყეში და მის მახლობლად მდებარე საძოვრების გამო. ამასთან დაკავშირებით, გენ.-მაიორი აკ. ესპეხო გურიის დროებით მმართველობას წერდა, რომ კონფლიქტის მიზეზია მმართველობის სისუსტე გურიაში, დაუყოვნებლივ აღკვეთეთ უწესრიგობა, გამოიძიეთ საქმე და დამნაშავეები წარმომიდგინეთ დასასჯელად. გენერალი უკმაყოფილებას გამოთქვამდა იმის გამო, რომ გურიის მმართველობამ სამეგრელოს მთავარს მიმართა იმერეთის მმართველის გვერდის ავლით, რაც მომავალში არ უნდა განმეორებულიყო. რაც შეეხება საზღვარს გურიასა და სამეგრელოს შორის, პირადად მე დავადგენო.[214]

იმერეთის მმართველობას პერიოდულად ეგზავნებოდა მოხსენებითი ბარათები გურიაში არსებული მდგომარეობის შესახებ, ფულადი გადასახადების აკრებისა და გერბიანი ქაღალდების გაყიდვის შედეგად შემოსული თანხების, ცნობები სურსათ-სანოვაგეზე, პირველ რიგში, პურზე არსებული ფასების შესახებ, ამინდზე დაკვირვების უწყისები.

გურიის დროებითი მმართველობა არსებობდა 1840 წლის 10 აპრილამდე. ადმინისტრაციული რეფორმის შემდეგ, გურიამ ოზურგეთის მაზრა შეადგინა.

---

[212] ი ქ ვ ე, ფურ. 47.
[213] ი ქ ვ ე, საქ. 24, ფურ. 40.
[214] ი ქ ვ ე, საქ. 2, ფურ. 18-25.

ბ) **ურთიერთობა სამეგრელოს სამთავროსთან** — დასავლეთ საქართველოს სამთავროებიდან, სამეგრელო ყველაზე მჭიდროდ იყო დაკავშირებული რუსეთის მთავრობასთან. სამეგრელოს მთავრები ერთგულად ემსახურებოდნენ ცარიზმს და თითქმის უსიტყვოდ ასრულებდნენ საქართველოს მთავარმმართველისა და იმერეთის მმართველის მითითებებს. XIX საუკუნის პირველ ნახევარში სამეგრელო პლაცდარმს წარმოადგენდა, საიდანაც ცარიზმი წარმატებით უტევდა აფხაზეთსა და ოსმალეთის განკარგულებაში დარჩენილ შავი ზღვის სანაპიროზე მდებარე პორტებსა და ციხეებს. სამეგრელოს მთავარი აქტიურად მონაწილეობდა რუსეთის ჯარებთან ერთად, ცარიზმის მიერ დასავლეთ საქართველოს მასშტაბით განხორციელებულ სამხედრო ოპერაციებში. მთავარი ლევან დადიანი (1804-1846 წწ.) ცარიზმის ერთგული დარაჯი იყო.[215] რუსეთის მთავრობა შესაბამისად აფასებდა სამეგრელოს მთავრის ამ თავდადებას. მას მისცეს ჯერ გენერალ-მაიორის, ხოლო შემდეგ 1819-1820 წლების აჯანყების ჩახშობაში განსაკუთრებული დამსახურებისათვის,. გენერალ-ლეიტენანტის ჩინი.[216] მიუხედავად ამისა, როცა საქმე სამეგრელოს სამთავროს ეხებოდა, რუსეთის მთავრობა, პირველ რიგში, იმერეთის მმართველს მიმართავდა. დედოფალმა ნინომ, რომელიც სამთავროს მართავდა ვაჟის მცირეწლოვნობის დროს, შინაგან საქმეთა მინისტრს წერილი გაუგზავნა ციხისიმაგრე ჭყვიშისა და სოფელ საჭილაოს დაბრუნების, აგრეთვე სამეგრელოს საშინაო ცხოვრების სხვა საკითხებზე. იგი განსახილველად და დასკვნისათვის გენ.-მაიორ თ. სიმონოვიჩს გადასცეს. ამასთან დაკავშირებით, მინისტრის სახელზე, 1814 წლის 14 აპრილს იმერეთის მმართველმა ვრცელი რაპორტი შეადგინა.[217] მასში ნათლადაა წარმოდგენილი სამეგრელოს სამთავროსა და იმერეთის მმართველობის ურთიერთდამოკიდებულების სურათი.

დავასახელოთ, სამეგრელოს სამთავროსთან დროებითი მმართველობის ურთიერთობის ამსახველი რამდენიმე ფაქტი:

დედოფალმა ნინომ თხოვნით მიმართა თ. სიმონოვიჩს. დაედას-

---

215 მ. დ უ მ ბ ა ძ ე, დასახ. ნაშრ., გვ. 265.

216 ნ. დ ა დ ი ა ნ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 209.

217 Акты..., т. V, с. 496-499.

ტურებია სიგელი, რომლის მიხედვით, ლეჩხუმის მოურავობა თავად გელოვანებს ეკუთვნოდათ.[218]

თ. სიმონოვიჩი ჩაერია დედოფალ ნინოს წინააღმდეგ მოწყობილ გამოსვლაში, რომელსაც გარდაცვლილი მთავრის ძმები—მ. სუსარ და ტარიელ დადიანები მეთაურობდნენ. იმერეთის მმართველის შეგონებით, ამბოხებულები დედოფალს დაემორჩილნენ.[219]

თავადი პ. გორჩაკოვი 1821-1822 წლებში აქტიურად მონაწილეობდა სამეგრელოს სამთავროში საეკლესიო რეფორმის გატარების საქმეში. ამ საკითხზე მას პირადი მოლაპარაკებები ჰქონდა ლევან დადიანთან, ცაგერელ მიტროპოლიტ იონასა და ცაიშელ მიტროპოლიტ გრიგოლთან.[220]

ლევან დადიანი პ. გორჩაკოვთან ერთად, 1824 წლის 7 აგვისტოს თავისი ლაშქრით გაემგზავრა აჯანყებული აფხაზების წინააღმდეგ საბრძოლველად.

1826 წლის ოქტომბერში იმერეთის მმართველს ვ. ბებუთოვს დაევალა შეეგროვებია ცნობები, როგორი იყო ლევან დადიანის განწყობილება რუსეთის მთავრობისადმი, ალექსანდრე პირველის გარდაცვალების შემდეგ, ჰქონდა თუ არა მას მიმოწერა იმერელ ბატონიშვილ ვახტანგისთან (რომელიც 1820 წელს აჯანყებულებმ. მეფედ გამოაცხადეს.[221])

1827 წელს ლევან დადიანმა თხოვნით მიმართა ვ. ბებუთოვს, ხოლო შემდეგ კ. გესსეს, დახმარებოდნენ სამურზაყანოს დამორჩილებაში. იმავე წელს ლევან დადიანმა დაიწყო დავა სოფიო გურიელთან პალიასტომის ტბის გამო. შეიქმნა სპეციალური კომისია იმერეთის მმართველ კ. გესსეს თავმჯდომარეობით. დავა გაჭიანურდა. მასში ჩაერივნენ სენატორები პ. კუტაისოვი და ევგ. მეჩნიკოვი. მათ მხარი ლევან დადიანს დაუჭირეს. იმერეთის მმართველმა 1831 წლის იანვარში მიიღო განკარგულება, ტბა სამეგრელის მთავრისათვის გადაეცათ.[222] მის კუთვნილებად გამოცხადდა, აგერთვე, ჭყვიში და საჭილაო.

სამეგრელოს მთავარს განსაკუთრებით ახლო ურთიერთობა

---

218 ი ქ ვ ი, ტ. IV, გვ. 395.

219 ი ქ ვ ი, ტ. VI, ნაწ. 1, გვ. 399-401.

220 ი ქ ვ ი, გვ. 633-643, 637.

221 ი ქ ვ ი, გვ. 639.

222 ი ქ ვ ი, ტ. VII, გვ. 398-399.

ჰქონდა იმერეთის მმართველ, თავად პ. გორჩაკოვთან. ჟაკ ვამბა წერდა: „ქუთაისში ყოფნის დროს, გავიცანი მთავარი დადიანი, რომელიც რამდენიმე დღით იყო ჩამოსული თავად გორჩაკოვთან. იგი თავაზიანი ჩანდა და მეტად დახვეწილი მანერები ჰქონდა. რამდენიმე თვის შემდეგ აქ ჩამოვიდა სამეგრელოს დედოფალიც..."[223]

ლევან დადიანი იმერეთის მმართველთან სათათბიროდ ხშირად იმყოფებოდა ქუთაისში. პრაქტიკულად დადგა საკითხი მას აქ საკუთარი ბინა ჰქონოდა. მართლაც, 20-იანი წლების შუა ხანებში, დროებითი მმართველობის მიერ გამოყოფილ მიწაზე ლევან დადიანმა სახლი ააგო (იმერეთის მეფეთა სასახლის „ოქროს ჩარდახის" ტერიტორიაზე). 1835 წელს, როცა იმერეთის დროებითი მმართველობის შენობის სივიწროვის გამო, აუცილებელი გახდა ახლის გამოძებნა, გადაწყდა თხოვნით მიემართათ სამეგრელოს მთავრისათვის, რომელიც ცნობილი იყო რუსეთისადმი თავისი ერთგულებით, მისაღებ სახაზინო ფასებში დაეთმო მისი კუთვნილი შენობა დროებითი მმართველობისათვის.[224] მაგრამ, ვიდრე ეს საკითხი გადაწყდებოდა, დროებითი მმართველობა გაუქმდა. ახლა მისი სამხედრო ნაწილი დარჩა უბინაოდ. გამოითქვა მოსაზრება შეეძინათ სამეგრელოს მთავრის სახლი.[225] მაგრამ არც ეს წინადადება განხორციელებულა.

XIX საუკუნის 40-იანი წლების ბოლოს, სამეგრელოს მთავრის კუთვნილი ტერიტორია ნაგებობითურთ, ქალაქმა შეიძინა. აქ აგებული იქნა ქუთაისის გიმნაზიის შენობა. სამეგრელოს ყოფილი სამთავრო ქუთაისის გუბერნიის შემადგენელი ნაწილი გახდა.

ბ) ურთიერთობა აფხაზეთის სამთავროსთან

По всем предметам до управления Абхазиею относящимся, относитесь непосредственно к управляющему Имеретней ген.-м. кн. П. Д. Горчакову.

ა. ერმოლოვის წერილიდან აფხაზეთის მთავრის მიხეილ შერვაშიძისადმი.

დასავლეთ ამიერკავკასიის მიმართ, ცარიზმის დაპყრობით გეგმებში აფხაზეთს მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა. ყირიმიდან შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროსაკენ მომავალ გზაზე, იგი პირველ-

[223] ჟ. გამბა, დასახ. ნაშრ., გვ. 114.
[224] ქცსა, 175, საქ. 26, ფურ. 465.
[225] იქვე, ფ. 8, საქ. 169, ფურ. 22.

ხარისხოვან სტრატეგიულ რეგიონს წარმოადგენდა. ამასთან ერთად, აქედან შედარებით ადვილი იყო კავკასიის მთიელებზე შეტევა და დამორჩილება. ამიტომ რუსეთის მთავრობა დასავლეთ საქართველოში განლაგებული ჯარების სარდალს — იმერეთის მმართველისაგან მოითხოვდა განსაკუთრებული ყურადღება მიექცია აფხაზეთისათვის.

რუსეთ-თურქეთის ომის დროს, სულთნის დავალებით, 1808 წლის 2 მაისს აფხაზეთის უკანასკნელი მაჰმადიანი მთავარი ქელეშ-ბეი შარვაშიძე, საკუთარმა შვილმა ასლან-ბეიმ მოკლა და სოხუმი დაიკავა.

ქელეშ-ბეის მემკვიდრედ თავი გამოაცხადა მისმა უკანონო შვილმა საფარ-ბეიმ (ქრისტიანობაში გიორგი შარვაშიძე. იგი გრიგოლ დადიანის დაზე იყო დაქორწინებული.). სამეგრელოს დედოფლის წინადადებით, მან იმპერატორის მფარველობაში შესვლის პირობით, რუსეთს თხოვა დახმარება. თ. სიმონოვიჩი 1810 წლის 10 თებერვალს ა. ტორმასოვს აცნობებდა: ამ დღეებში ჩემთან, ქუთაისში ჩამოვიდა აფხაზეთის მფლობელი სეფერ-ალი ბეი თავის მომხრეებთან ერთად. მას სურს სოხუმი დაიკავოს და მამისმკვლელი ძმა ასლან-ბეი დასაჯოს. სოხუმის აღებას იგი აპირებდა ყირიმიდან გამოგზავნილი ჯარის დახმარებით.[226]

სამეგრელოს დედოფლის ნინოს შუამდგომლობით, საფარ-ბეიმ, რომელმაც მაჰმადიანობა დატოვა, გიორგი შარვაშიძის სახელით, რუსეთის ქვეშევრდომობაში შესვლა ითხოვა. პეტერბურგმა თხოვნა სიამოვნებით დააკმაყოფილა და ახალ ქვეშევრდომს სათანადო სიგელი, საჩუქრებთან ერთად, გამოუგზავნა. თ. სიმონოვიჩი 1810 წლის 7 ივნისს ა. ტორმასოვს მოახსენებდა—მასთან მყოფ საფარ-ბეის გამოუცხადა, რომ მასზე გადასაცემად მიღებულია იმპერატორის სიგელი, ინვესტიტურა, წმ. ანნას პირველი ხარისხის ორდენი და თხოვა წასულიყო აფხაზეთში მათ მისაღებად, სათანადო ცერემონიის დაცვით. მაგრამ საფარ-ბეი თავს იკავებდა აფხაზეთში დაბრუნებაზე, ვიდრე სოხუმი მისი ძმის ხელში იყო.[227]

---

[226] Акты..., т. IV, с. 418.

[227] ი ქ ვ ე, გვ. 420.

ცარიზმს იმხანად სოხუმისათვის არ ეცალა და ამ საკითხის მიგვარებას სამეგრელოს სამთავროს ძალებით ფიქრობდა. მაგრამ ასე არ გამოვიდა და რუსეთი იძულებული გახდა ჯარები გაეგზავნა სოხუმის ასაღებად. 1810 წლის 10 ივლისს რუსები სოხუმში შევიდნენ. ასლან-ბეი გაიქცა.

აფხაზეთის ქრისტიანმა მთავარმა—გიორგი შარვაშიძემ (საფარ-ბეი) მიიღო ფიცი რუსეთის მეფის ერთგულებაზე. 1811 წლის მარტში მას ა. ტორმასოვი წერდა: „გთხოვთ შეასრულოთ განკარგულებები იმერეთის მმართველისა, რომელსაც იმპერატორისაგან დავალებული აქვს აფხაზეთში წესრიგის დამყარება და დაცვა."[228]

ბუქარესტის ზავის დადების შემდეგ (1812 წ.), მე-6 მუხლის ძალით, თურქეთი და რუსეთი პრეტენზიას აცხადებდნენ სოხუმზე. ამან ასლან-ბეისა და მისი მომხრეების გააქტიურება გამოიწვია. ამასთან დაკავშირებით, იმერეთის მმართველის მოვალეობის შემსრულებელმა პოლკ. სტ. მერლინმა აფხაზეთში ჯარები გაგზავნა, რომელსაც გზად სამეგრელოს ლაშქარიც შეუერთდა.[229]

1818 წელს იმერეთის მმართველმა ი. კურნატოვსკიმ აფხაზეთში გაგზავნა სამეგრელოს სახლთუხუცესი პოლკ. ნიკო დადიანი, რომელმაც მთავარს გიორგი შარვაშიძეს მოწინააღმდეგე თავადები დაუმორჩილა.[230]

1821 წელს გიორგი შარვაშიძე გარდაიცვალა და მთელი აფხაზეთი ასლან-ბეიმ დაიპყრო. იმპერატორმა მთავრის ტიტული დიმიტრი შარვაშიძეს უბოძა. იგი პეტერბურგში იზრდებოდა, გამოიყვანეს სასწავლებლიდან და საქართველოში ა. ერმოლოვთან გამოგზავნეს. ნიკო დადიანი წერდა—ა. ერმოლოვმა წარმოუგზავნა დიმიტრი შარვაშიძე „იმერეთის მმართებელს თავად გორჩაკოვს და უბრძანა, რათა თვით წარყვეს მხედრობითა და განდევნოს ასლან-ბეგ და დიმიტრი ჰქმნას მთავრად აფხაზთა."[231] ლაშქრობაში მონაწილეობდა ლევან დადიანიც. იმპერატორის დავალება შესრულებული იქნა.

მაგრამ 1822 წელს დიმიტრი შარვაშიძე მოწამლეს. მთავრად გამოაცხადეს 13 წლის მიხეილ შარვაშიძე. აფხაზეთში ამას ახალი

---

228 ი ქ ვ ე, გვ. 428.

229 ი ქ ვ ე, გვ. 506-507.

230 ი ქ ვ ე, ტ. VI, ნაწ. 1, გვ. 644; ვ. დუმბაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 238.

231 ნ. დ ა დ ი ა ნ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 209.

ვართულებები მოჰყვა. რუსეთის მთავრობას ხელმეორედ მოუსდ., მისი დაპყრობა, რაშიაც გადამწყვეტი როლი შეასრულეს იმერეთის მმართველებმა: დ. ახლესტიშევმა, ა. პაცოვსკიმ და აკ. ესპეხომ.

დ) ურთიერთობა სვანეთის სამთავროსთან—სვანეთის სამთავროსადმი ცარიზმის ინტერესი დიდი იყო. მეფის მთავრობის ზოგიერთი მოხელე, მაგალითად გენერალური შტაბის კაპიტანი შახოვსკი, მას მთელი დასავლეთ კავკასიის სტრატეგიული პლაცდარმის მნიშვნელობას ანიჭებდა. ამ ოფიცრის შეხედულებით, სვანეთის ხელში ჩაგდებით, რუსეთს შეეძლო იმერეთის, სამეგრელოს, აფხაზეთის და სხვათა თავის კონტროლის ქვეშ მოქცევა.[232] კიდევ უფრო დიდ როლს ანიჭებდნენ სვანეთს პოლკოვნიკი უსლარი[233] და სხვ. მაგრამ კავკასიის ხაზზე განლაგებული ჯარების სარდლობა დარწმუნებული იყო იმაში, რომ XIX საუკუნის პირველი მეოთხედისათვის,—წერს პროფ. გ. გასვიანი, დასავლეთ საქართველოში პირველხარისხოვანი მნიშვნელობა აფხაზეთის, სამეგრელოს და გურიის დაკავებას ჰქონდა.[234]

სვანეთისადმი რუსეთის ცარიზმის ყურადღება გამახვილდა რუსეთ-ირანსა და რუსეთ-ოსმალეთის ომების წარმატებით დასრულების შემდეგ. დაიწყო მზადება სვანეთის შემოსაერთებლად. ამ მიზნით, ცარიზმი მოსერხებულად იყენებდა ციოყ და თათარყან დადეშქელიანებს შორის არსებულ მტრობას და ორივეს თანაბარ უფლებებს ცნობდა. იმერეთის დროებითი მმართველობის როლი სვანეთის შემოერთების საქმეში იმით შემოიფარგლა, რომ 1830 წლის ივლისში მთავრობის დავალებით, იქ ეაიგზავნა იმერეთის მმართველი გენ.-მაიორი კ. გესსე. მას უნდა დაებვერა სვანეთიდან კავკასიონზე გადასასვლელი და ყუბანის იქითა ნაპირზე მყოფი ჩერქეზეთსა და ყაბარდოსაკენ მიმავალი გზები; შეეგროვებია ცნობები, რამდენად შესაძლებელი იყო სვანეთისა და მისი მეზობელი ტომების იარაღით დაპყრობა.

---

[232] Акты..., т. VIII, с. 466.

[233] ი ქ ვ ე, გვ. 223.

[234] გ. გ ა ს ვ ი ა ნ ი, დასავლეთ საქართველოს მთიანეთის ისტორიიდან, ტბ., 1973, გვ. 84.

კ. გესსეს აზრით, ეს „დიდ სიძნელეს წარმოადგენდა". ამიტომ მან შეიმუშავა სვანეთის მშვიდობიანი გზით დაპყრობის გეგმა, რაც გავლენიანი პირების მოსყიდვასა და საჩუქრების დარიგებაში მდგომარეობდა.[235]

ლევან დადიანის მეშვეობით, თათარყან დადეშქელიანმა თხოვნით მიმართა იმერეთის მმართველს გენ.-მაიორ პ. ვაკულსკის, რათა მისთვის, როგორც ბალსქვემო სვანეთის ერთადერთი მფლობელისათვის, რუსეთის ქვეშევრდომობაში შესვლაზე ეშუამდგომლა. მაგრამ მაშინ ეს საკითხი გადაიდო.

1832 წელს, როდესაც მცირეწლოვანი ციოყ დადეშქელიანის ბებიამ დიგორ-ხანუმმა იმპერატორის ერთგულებაზე დაიფიცა, თათარყანი კვლავ დაუკავშირდა გენ.-მაიორ პ. ვაკულსკის და წერილობით შეატყობინა, რომ მზადაა რუსეთის ქვეშევრდომობის მიღებაზე. იგი თავს ისევ დადეშქელიანთა მეთაურად თვლიდა და მთავრობისაგან მთელი ბალსქვემო სვანეთის მთავრად ცნობას მოითხოვდა.

რუსეთის მთავრობამ დადეშქელიანთა სამთავროს ორად დაყოფა ოფიციალურად ცნო, ხოლო თათარყანი და ციოყი ცალ-ცალკე მფლობელებად აღიარა.[236] მომზადდა საიმედო ნიადაგი სვანეთზე შემდგომი შეტევისათვის. ის, რაც ასე „მოკრძალებით" დაიწყეს სვანეთის მიმართ იმერეთის მმართველებმა, ქვემეხების გრიალით დაამთავრეს ქუთაისის გუბერნატორებმა.

6. დროებითი მმართველობის ღონისძიებანი განათლების დარგში

იმერეთის დროებითი მმართველობის არსებობის ხანაში, ქვეყნის კულტურული წინსვლა მნიშვნელოვნად შეფერხდა. პირველ ხანებში,როგორც დავინახეთ, ცარიზმს ახლად დაპყრობილ მხარეში კულტურული ღონისძიებების გასატარებლად არ ეცალა. მის უპირველეს მიზანს შეადგენდა სამხედრო ძალაზე დაყრდნობით, განემტკიცებია თავისი პოლიტიკური ბატონობა. 20-იან წლებში ეს მიზანი, ძირითადად, მიღწეულ იქნა. მოსახლეობა იძულებული გახდა

[235] Акты..., т. VII с. 403; გ. გასვიანი, დასახ. ნაშრ., გვ. 286; ფ. დუმბაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 255.

[236] გ. გ ა ს ვ ი ა ნ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 287-288.

გარეგნულად არსებულ ვითარებას დროებით შერიგებოდა. დამყარდა შედარებითი მშვიდობიანობა. ცარიზმის ადგილობრივ ადმინისტრაციას საშუალება მიეცა ეგზმაზომიერად დაეწყო რუსიფიკატორული პოლიტიკის გატარება განათლებისა და კულტურის დარგში.

ცარიზმი დაინტერესებული იყო, რაც შეიძლება მალე შემოეღო იმერეთში განათლების რუსული სისტემა. რუსულად განათლებული ადგილობრივი კადრები სჭირდებოდა როგორც დაპყრობილი ქვეყნის მართვა-გამგეობას, ასევე ეკლესიას, სადაც შავრაზმელი ეგზარქოსის—თეოფილაქტე რუსანოვის პროექტით, წირვა-ლოცვა რუსულ ენაზე უნდა შემოეღოთ. ამიტომ, ჯერ კიდევ 1814 წლის რუსეთის უწმინდესმა სინოდმა გადაწყვიტა ქუთაისში „სამღვდელო და საეკლესიო მსახურთა შვილებისათვის" სპეციალური სასწავლებელი გაეხსნა. სხვადასხვა მიზეზების გამო, ამ საქმის მოგვარება გაჭიანურდა.

1821 წლის 6 თებერვალს ქუთაისში გაიხსნა სასულიერო-სამრევლო სასწავლებელი ორგანყოფილებიანი ერთი კლასით, სადაც სწავლების ვადა ორი წელი უნდა ყოფილიყო.[237] სასულიერო სასწავლებელი იყო რუსული, ევროპული ტიპის პირველი სკოლა ქუთაისში. ორიოდე წლის შემდეგ, დადგა საკითხი მისი რეორგანიზაციის შესახებ. იმერეთის სამღვდელოებამ მოითხოვა სასულიერო-სამრევლო სასწავლებლის სასულიერო-სამაზროდ გადაკეთება. ამასთან დაკავშირებით, 1824 წლის 14 მარტს საქართველოს ეგზარქოსი იონა იმერეთის არქიეპისკოპოს სოფრონიოსს წერდა: 1823 წლის 29 თებერვლის მოწერილობის თანახმად, ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის ზედამხედველად ვალუგანსკის ნაცვლად, გეგზავნებათ თბილისის სემინარიის კურსდამთავრებული დანიელ ანდრიას ძე გოლუბევი. დაუშვით თანამდებობაზე და დაესმარეთ. მას დავალებული აქვს მოწაფეთა გამოცდის შემდეგ, თქვენთან შეთანხმებით, და ადგილობრივი პირობების გათვალისწინებით, დააყენოს სასულიერო-სამაზრო სასწავლებლის გახსნის საკითხი.[238] მას შერეული, სასულიერო-საერო ტიპის სასწავლებლის მოვალეობა უნდა შეესრულებია. მართლაც, 1825 წლის 26

---

[237] სასწავლებლის შესახებ, იხ. მერაბ კეზევაძის საინტერესო წერილი გაზ. „ქუთაისი", 1985, 23 ივნისი.

[238] ქ ცს ა, ფ. 21, აღწ. 1, საქ. 155, ფურ. 1-4.

იანვარს დავით აღმაშენებლის ხსოვნის დღეს, სასულიერო-სამრევლო სკოლის ბაზაზე გაიხსნა სასულიერო-სამაზრო სასწავლებელი, სწავლების ორწლიანი კურსით.

სასწავლებელი, თავდაპირველად, მოთავსებული იყო ბაგრატის ტაძრისდროინდელ ქვის შენობაში, რომელიც XVIII საუკუნეში თურქებმა დაანგრიეს, ხოლო შემდეგ მასში თავიანთი გარნიზონის სადგომი მოაწყვეს. XIX საუკუნის დასაწყისში, აღნიშნული შენობა არქიეპისკოპოსმა სოფრონიოსმა შეაკეთა და საარქიერო სახლად აქცია. 1821 წელს ეს სახლი სასულიერო სასწავლებელს დაეთმო.[239]

სკოლის სასწავლო გეგმაში შედიოდა შემდეგი საგნები: ქართული, რუსული, ბერძნული, თათრული და ოსური ენები, ისტორია, გეოგრაფია, არითმეტიკა, საეკლესიო წესდება, სანოტო სიმღერა და სუფთა წერა. „კონსპექტში საგამოცდო მოწაფეთათვის..." (1828 წ.) დამატებით დასახლებულია: საღმრთო სჯული, საღმრთო ისტორია და, რაც განსაკუთრებით საინტერესოა, საქართველოს ისტორია.[240]

სასწავლებელს 20-იან წლებში უფლება ჰქონდა გამოცდები ჩაეტარებია იმ პირთათვის, რომლებიც სამოქალაქო სამსახურში შედიოდნენ[241] სასწავლებელი არსებობდა იმერეთის ეპარქიის ბიუჯეტზე. XIX საუკუნის 30-იანი წლების ბოლოს, მასში 162 მოსწავლე ირიცხებოდა. მათ სწავლა-აღზრდის საქმეს ემსახურებოდა ზედამხედველი, ინსპექტორი და ოთხი მასწავლებელი.[242] მოსწავლეთა კონტიგენტი შედგებოდა არამარტო სამღვდელოების, არამედ საზოგადოების სხვადასხვა წრიდან გამოსული ახალგაზრდებისაგან. ადგილობრივი მოსახლეობის უკიდურესი სიღარიბის გამო, მათ მძიმე პირობებში უხდებოდათ განათლების მიღება. სასწავლებელსაც, უაღრესად შეზღუდული ბიუჯეტის გამო, არ შეეძლო ღარიბი მოსწავლეებისათვის დახმარება გაეწია.

1830 წლის დეკემბერში გაიხსნა სამაზრო სასწავლებელი.[213]

---

[239] ქ ცსა, ფ. 7, საქ. 2.

[240] ქ ცსა, ფ. 7, საქ. 2, ფურ. 192-193.

[241] ი ქ ვ ე, ფურ. 165, 186...

[242] ი ქ ვ ე, ფ. 176, აღწ. 1, საქ. 51, ფურ. 39-42.

[243] ი ქ ე ე, ფ. 85, აღწ. 1, საქ. 6, ფურ. 24, „კავკაზსკი კალენდარში" სასწავლებლის გახსნის თარიღად დასახელებულია 1 ნოემბერი, იხ. 1846 წ. განყ. II, გვ. 147, ხოლო ქუთაისის მაზრის უფროსის 1841 წლის ანგარიშში — 1 მარტი, ქცსა, ფ. 58, აღწ. 1, საქ. 51, ფურ. 49-56.

ეს იყო პირველი სახელმწიფო სკოლა იმერეთში. ჯერ კიდევ 1829 წლის 15 იანვარს, სასწავლებლის ზედამხედველად დაინიშნა ტაგანროგის სამაზრო სასწავლებლის მასწავლებელი—ათანასე დიმიტრის ძე ნაიტაკი. სასწავლებლის გახსნამდე იგი მუშაობდა იმერეთის დროებითი მმართველობის კანცელარიაში. 40-იანი წლების დასაწყისში, სკოლაში 180 მოსწავლე იყო. პედაგოგიური პერსონალი ერთი ზედამხედველისა და სამი მასწავლებლისაგან შედგებოდა. ისწავლებოდა: საღმრთო სჯული, რუსული გრამატიკა, გეოგრაფია, არითმეტიკა, გეომეტრია, სუფთა წერა, ხატვა, ხაზვა, ქართული და სომხური ენები (1850 წელს ეს სკოლა გიმნაზიად ვადაკეთდა.).

XIX საუკუნის 20-30-იან წლებში, კარგად ორგანიზებული სკოლები არსებობდა კათოლიკურ ეკლესიასთან და ქართველ ებრაელთა სინაგოგასთან. ამ სკოლებს ხანგრძლივი ტრადიციები ჰქონდათ და დიდი ავტორიტეტით სარგებლობდნენ იმერეთში.

ჟ. გამბას ცნობით, XIX საუკუნის 20-იან წლებში, იმერეთის მმართველმა, თავადმა პ. გორჩაკოვმა ქუთაისში საუცხოო ბაღი გააშენა, რომლითაც ადგილობრივი მოსახლეობა სარგებლობდა. კვირაობით და სადღესასწაულო დღეებში, აქ გარნიზონის მუსიკოსები ხალხურ და საცეკვაო მუსიკას უკრავდნენ.[244]

დროებითი მმართველობის არსებობის პერიოდში, იმერეთის კულტურული ცხოვრების საგულისხმო მოვლენა იყო ცნობილი შვეიცარიელი მეცნიერის და მოგზაურის ფრედერიკ მონპერე დიუბუას ჩამოსვლა (1833 წ.). დიუბუამ დაათვალიერა, აღწერა და შეისწავლა იმერეთის მატერიალური კულტურის ძეგლები—ქუთაისის ციხე დ, საკათედრო (ბაგრატის) ტაძარი, გელათის მონასტერი, გეგუთის ციხე-დარბაზი და სხვ.

---

244 ჟ. გ ა მ ბ ა, დასახ. ნაშრ., გვ. 134.

7. დროებითი მმართველობის რევიზია სენატის მიერ

1830-1831 წლებში იმპერატორის დავალებით,[245] ამიერკავკასიის ადმინისტრაციის საქმიანობა პეტერბურგიდან ჩამოსულმა სენატორებმა—გრაფმა პ. ი. კუტაისოვმა და ევგ. ი. მეჩნიკოვმა შეამოწმეს. აქ, იმ დროს, როგორც აღვნიშნეთ, რუსული მმართველობის ერთიანი სისტემა არ არსებობდა. მას სამხედრო ხასიათი ჰქონდა, შერეული და დროებითი იყო. ცარიზმის კოლონიზატორული პოლიტიკის ერთ-ერთ უპირველეს ამოცანას ამიერკავკასიაში საყოველთაო რუსული მმართველობისა და კანონმდებლობის შემოღება შეადგენდა. სენატორების რევიზიას ამისათვის ხელი უნდა შეეწყო და საბანადო ნიადაგი მოემზადებია.

სენატორები, ცხადია, ძირითადად, მუშაობდნენ თბილისში, სადაც მხარის ადმინისტრაციის დაწესებულებათა აბსოლუტური უმრავლესობა იყო თავმოყრილი. მაგრამ ისინი დედაქალაქით არ შემოფარგლულან, რეგიონებშიც გავიდნენ და ადგილებზე არსებული მდგომარეობა ცალ-ცალკე შეისწავლეს, რევიზიის შედეგებზე კი, იმპერატორთან და სენატშიც საერთო მოხსენება წარადგინეს.

1830 წლის გაზაფხულზე, ქუთაისში ჩამოვიდა გრაფი პავლე ივანეს ძე კუტაისოვი[246] და შემოდგომამდე დარჩა. სენატორი ამ ხნის მანძილზე გაეცნო არამარტო იმერეთის დროებითი მმართველობის მიერ გაწეულ მუშაობას მისი არსებობის პირველი დღეებიდან 20-იანი წლების ბოლომდე, არამედ იმოგზაურა სამეგრელოსა და გურიაშიც.[247]

დასავლეთ საქართველოში სენატორების რევიზია იმთავითვე იმერეთის მმართველთან მწვავე კონფლიქტით დაიწყო. მაშინ ამ თანამდებობაზე იმყოფებოდა გენ.-მაიორი კ. გესსე. იგი აქტიურად

---

[245] ნიკოლოზ პირველს ამიერკავკასიაში სენატორების რევიზიის გამოგზავნა თხოვა მთავარმმართველმა ი. პასკევიჩმა.

[246] პ. ი. კუტაისოვი წარმოშობით ქართველი, ქუთაისელი იყო. მის პაპას—ჰასან-აღას, გვარად კოკინს გამაჰმადიანებულ იმერელს, ქუთაისის ყადის თანამდებობა ეჭირა. 1770 წელს ქუთაისის ციხის აღების დროს, ჰასან-აღას შვილიშვილი ტყვედ ჩავარდა და გენ. ტოტლებენმა ეკატერინე მეორეს გაუგზავნა. ამ უკანასკნელმა ტყვე ყმაწვილი ტახტის მემკვიდრეს აჩუქა. პავლე I-მა იგი დაიახლოვა და გრაფის ტიტული უბოძა. სენატორი მისი ერთ-ერთი მემკვიდრე იყო.

[247] ს ც ს ს ა, ფ. 2, აღწ. 1, საქ. 3354.

მონაწილეობდა 1828-1829 წლებში თურქეთის წინააღმდეგ მიმართულ საომარ ოპერაციებში და იმერეთის მართვისათვის, ფაქტიურად, არც ეცალა. კ. გესსე ამით ხსნიდა სამოქალაქო საქმეებში იმ ნაკლოვანებებს, რომლებზედაც პ. კუტაისოვი მიუთითებდა.

დროებითი მმართველობა რევიზიის დროს, შტატით გათვალისწინებული ორი რუსი მრჩევლისა და თავადაზნაურობის მიერ არჩეული ორი მდივანბეგისაგან შედგებოდა. გარდა ამისა, მას ჰყავდა აგრეთვე: მდივანი, ორი თარჯიმანი, არქივარიუსი, კანცელარიის ცხრა ჩინოვნიკი—საქმეების შესადგენად და გადასაწერად. თანამშრომლებზე ხელფასის სახით, წლიურად გაიცემოდა 6.600 ვერცხლის მანეთი.[248]

მმართველობაში საქმეების განხილვა საგამომძიებლო წესით ხდებოდა, რაც ბევრ სიძნელეებთან იყო დაკავშირებული. ხშირად ერთხელ შესწავლილ საქმეებს ხელახლა უბრუნდებოდნენ, იოხოვდნენ დამატებით საბუთებს, რაც იწვევდა მათი განხილვის ვადების დარღვევასა და შეუწყნარებელ გაჭიანურებას. იყო შემთხვევები, როცა ერთი და იგივე საქმე ერთდროულად განიხილებოდა როგორც მმართველობაში, ასევე მმართველის მიერ, რაც, რასაკვირველია, ხელს უშლიდა მათ სწრაფ გადაწყვეტას. ამის გამო, მმართველობაში დაგროვილი იყო წლების წინ შემოსული და განუხილავი საქმეების დიდი რაოდენობა.

რევიზიის პროცესში გამოვლინდა უწესრიგობა სახაზინო და, საერთოდ, შემოსავალ-გასავლების აღრიცხვაში.

იმერეთის დროებით მმართველობაში გაბატონებული იყო რუსული ბიუროკრატიული სახელმწიფო აპარატისათვის დამახასიათებელი ზღვარდაუდებელი მექრთამეობა და ანგარება. მმართველობის რიგით ჩინოვნიკს (აღარაფერს ვამბობთ თანამდებობის პირზე), ვთქვათ, რომელიმე მდივანს, გადამწერს ან თარჯიმანს შეეძლო თავის ნებაზე ეწარმოებია და დაემთავრებია ნებისმიერი საქმე. სოლომონ მეორის ყალბი ბეჭდის დამზადებაში ბრალდებული და დაპატიმრებული არქიმანდრიტი ზაქარია 1823 წელს იმერეთის დედოფალ ანნას წერდა: „...იქ ქუთაისს ერთი სეკლეტარი

---

[248] XIX საუკუნის 20-იან წლებში დროებითი მმართველობა მოთავსებული იყო მდინარე რიონის მარცხენა ნაპირზე, ყოფილი გაგარინის (ახლა მაიაკოვსკის) ქუჩის ბოლოს მდებარე სახლში. 1871 წელს აქ მიიღეს იმპერატორი ალექსანდრე II, ამიტომ მას „სამეფო სახლი“ დაერქვა.

იყო სტეფან ივანიჩი. იმ სეკლეტარმა... 40 თუმანი თეთრი ფული ქრთამი მთხოვა. ჩემს ხელთ არისო ეს საქმე. თუ მომცემ დავშლიო... და თუ არა მთავარმართებელს უნდა ვაცნობოთო და თუ როგორ წერილს დავსწერთ ის მე ვიციო (ხაზგასმა ჩვენია, გ. ვ.). რად უნდა მიმეცა მე დანაშაული არა მქონდა რა. მერეთ ამათ როგორი შესმენის წიგნი მიწერეს მთავარმართებელს არ ვიცი."[249] ქრთამის მიუცემლობის შედეგი ის იყო, რომ ზაქარია არქიმანდრიტი დაიჭირეს, გადაასასლეს და პატიმრობაში გარდაიცვალა. ასეთი მაგალითების მოტანა დაუსრულებლად შეიძლება.

ქუთაისში ჩამოსვლისთანავე, წერდა სენატორი, ცნობილი გახდა, რომ მოთმინებადაკარგული მოსახლეობა დრტვინავდა დროებითი მმართველობის ჩინოვნიკთა მექრთამეობის გამო. არ დარჩენილა საზოგადოების არც ერთი ფენა, რომლის წარმომადგენლებს ამ საკითხზე არ მიემართოთ რევიზორისათვის. სხვათა შორის, იმერეთში რუსული მმართველობის არსებობის ორი ათეული წლის მანძილზე, ეს იყო პირველი შემთხვევა, როცა საიმპერიო ხელისუფლება დაინტერესდა თავისი ადგილობრივი ადმინისტრაციის საქმიანობით.

მერთქამეობასა და თანამდებობის ბოროტად გამოყენებაში მსილებულ იქნენ: დროებითი მმართველობის თავმჯდომარე ი. ვ. პერეკრესტოვი, მმართველობის მდივანი რადჩენკო, რაჭის ოკრუგის მოურავი ბაქრაძე, რაჭის ოკრუგის უფროსი სოკოლოვი და სხვ, რომლებიც სენატორის განკარგულებით, გადააყენეს თანამდებობიდან და სისხლის სამართლის პასუხისგებაში მისცეს.

რევიზიის დამთავრების წინ, გრაფ პ. კუტაისოვის განკარგულებით და პირადად მისი უშუალო მონაწილეობით, შეიქმნა მექრთამეობისა და გამოძალვის წინააღმდეგ საბრძოლველად სპეციალური კომისია. იგი შეუდგა მუშაობას, მაგრამ სენატორის ქუთაისიდან წასვლის შემდეგ, კომისიის წევრებსა და იმერეთის მმართველს შორის სერიოზულმა უთანხმოებამ იჩინა თავი. როგორც პ. კუტაისოვი წერდა, კ. გესსემ კომისიიდან გააძევა ზოგიერთი წევრი და ყოველმხრივ ხელს უშლიდა მის ნორმალურ მუშაობას.

---

[249] ს. კაკაბაძე, ზაქარია არქიმანდრიტისა..., გვ. 32.

ოკრუგების მართვის საქმისწარმოებისათვის დამახასიათებელი იყო უწესრიგობა და უპასუხისმგებლობა. კანცელარიებში ხშირად იკარგებოდა, არცთუ შემთხვევით, ცალკეული საქმეები, საბუთები.

სენატორის მკაცრი შენიშვნები დაიმსახურა მმართველობის მუშაობამ პოლიციისა და სამხედრო-სასამართლო კომისიის საქმიანობის დარგში. შემოწმდა რა პირობებში იმყოფებოდნენ პატიმრები. გამოირკვა, რომ ისინი იმერეთის მმართველს ერთხელაც არ მოუნახულებია (პირადად სენატორი მათ ორჯერ შეხვდა.). ეს აუცილებელი იყო თუნდაც იმიტომ, აღნიშნავდა პ. კუტაისოვი, რომ იმერეთში არ არსებობდა პროკურორისა და სტრიაპჩის (სასამართლოს მოხელე) თანამდებობანი, ე. ი. პატიმართა უფლებების დაცვაზე ოფიციალურად არავინ არ ზრუნაობდა. კ. გეისსე ვადაყენეს, მაგრამ მალე დააწინაურეს.

იმერეთის თავადაზნაურობამ[250] სენატორს მიართვა ვრცელი ოსოვნა, რომელშიც შემდეგი საკითხები იყო დაყენებული: მთავრობას ქუთაისში გაეხსნა კეთილშობილთა სასწავლებელი; თავადობისა და აზნაურობის ღირსებათა გასარჩევად, იმერეთში (და არა მის გარეთ) დაარსებულიყო თავადაზნაურობის დეპუტატთა საკრებულო; თავიანთ ძველ საცხოვრებელ ადგილებზე დაებრუნებიათ 1804 წლის შემდეგ იმერეთიდან სხვადასხვა ადგილებში გადასული გლეხები; არ შეეცვალათ იმჟამინდელი მმართველობა, რადგან სიღარიბის გამო, მოსახლეობას საშუალება არ ჰქონდა სასამართლო საქმეები თბილისში ეწარმოებია; ყველა რეგიონალური საკითხი განხილულიყო მხოლოდ ვახტანგ მეექვსის კანონების საფუძველზე; ოკრუგების უფროსებს აეკრძალათ თავადებისა და აზნაურებისადმი უხეში მოპყრობა, უმაღლესი ხელისუფლების ნებართვის გარეშე, მათი დაპატიმრება და დასჯა; გამოცემულიყო ბრძანება იმის შესახებ, რომ გლეხებს თავიანთი მებატონეებისათვის ძველებურად ემსახურათ, ადგილობრივ ხელისუფლებას აკრძალოდა გლეხებისაგან მებატონეებზე სიტყვიერი საჩივრების მიღება; აკრძალულიყო ჯარის საჭიროებისათვის, მფლობელთა ნებართვი-

---

[250] 1830 წლის 29 ივნისს, პეტრე-პავლობის დღეს, იმერეთის თავადაზნაურობამ ბრწყინვალე შეხვედრა მოუწყო „თვისსა მამულიშვილსა" პაველ კუტაისოვს, იხ. ხელნაწერთა ინსტიტუტი, გრ. წერეთლის ფონდი, საბ. No.299.

სა და სათანადო ანაზღაურების გარეშე, მიწის, საძოვრებისა და ტყეების გამოყენება; მთავრობას სახაზინო პროვიანტის გადაზიდვისათვის საფასური გადაეხადა; იმპერატორის წინაშე აღძრულიყო შუამდგომლობა—იმერეთში ჩამოსვლის ნება მიეცათ და მამულები დაებრუნებიათ, იმჟამად რუსეთში გადასახლებულთათვის; აღძრულიყო, აგერთვე, შუამდგომლობა იმ პირთა შეწყალების შესახებ, რომლებიც იმჟამად იმერეთში ცხოვრობდნენ და ჩამორთმეული ჰქონდათ მამულები. შეწყალებული პირებისათვის დაებრუნებიათ ქონება და მამულები.

სენატორმა იმერეთის თავადაზნაურობას აცნობა, რომ 1830 წლის 28 ოქტომბერს გამოქვეყნდა იმპერატორის რესკრიპტი ამიერკავკასიიდან არაკეთილსაიმედობისა და პოლიტიკური საქმის გამო, ციმბირში თუ სხვა ადგილებში გადასახლებულთა შეწყალების შესახებ. მათ ნება დაერთოთ ჩამოსულიყვნენ საქართველოში და უკანვე მიეღოთ ჩამორთმეული ქონება.

სენატორმა სერიოზული ბრალდებები წაუყენა იმერეთის მმართველს. მისი აზრით, კ. გესსე შეეცადა თავი აერიდებია რევიზიისათვის იმ მოტივით, რომ თითქოს შემოწმებას ექვემდებარებოდა იმერეთის სამოქალაქო მმართველობა და არა მმართველისა და ოკრუგის უფროსების საქმიანობა, თვითნებურად მოქმედებდა, სრულიად არ ზრუნავდა სახაზინო შემოსავლების გაზრდაზე, ჩაბარებულ მხარეში მიწათმოქმედებისა და ვაჭრობა-მრეწველობის განვითარებაზე, სუსტად ან სრულიად არ იბრძოდა საქმისწარმოების გაჭიანურების, თანამდებობის ბოროტად გამოყენების, მექრთამეობისა და გამოძალვის წინააღმდეგ. კიდევ უფრო მეტი—ცდილობდა მიეჩქმალა რევიზიის დროს გამოვლენილი მექრთამეობის ფაქტები და დაეცვა აშკარა მექრთამეები. მექრთამეობას ითმენდა საკუთარ კანცელარიაშიც კი, მიუხედავად იმისა, რომ უამრავი მამხილებელი საბუთი ჰქონდა, არ აკონტროლებდა ოკრუგის უფროსების საქმიანობას და ა. შ.

იმერეთის დროებითი მმართველობის, ისე, როგორც, საერთოდ ამიერკავკასიის რევიზიას რაიმე არსებითი შედეგი არ მოჰყოლია. მთელი მხარის მართვის სისტემაში რადიკალური გარდაქმნების გატარების დაპირებით, ყველაფერი თითქმის უცვლელად დარჩა. ძ. კუტაისოვმა რევიზიის პროცესში დააჩქარა რამდენიმე მიმდინარე საქმის დამთავრება, ამხილა მექრთამეობისა და ბოროტმოქმედე-

ბის ფაქტები, ისე, რომ მათი წარმოშობის მიზეზებს არ შეხებია, დააყენა საკითხი იმერეთის მართვის საქმეში გარკვეული ცვლილებების შეტანის შესახებ. მაგრამ სენატორის მოსაზრებანი ამ საკითხზე მთავარმმართველმა, ბარონმა გრ. როზენმა არ გაიზიარა და შემდეგ ეს საკითხი არც დასმულა. 1840 წლის 10 აპრილის დადგენილების საფუძველზე, გატარდა ამიერკავკასიის სამოქალაქო მმართველობის უდღეური რეფორმა. გაუქმდა იმერეთის დროებითი მმართველობა. შეიქმნა საქართველო-იმერეთის გუბერნია. იმერეთის მმართველს, გენ.-მაიორ აკ. ესპეხოს დაევალა, სპეციალური ინსტრუქციის საფუძველზე, სახელმწიფო ქონებისა და საქმეების გადასაბარებლად შეექმნა კომისია.[251]

აკ. ესპეხომ დიდი მუშაობა გასწია ამ დავალების შესასრულებლად.[252] საქართველო-იმერეთის გუბერნიამ რამდენიმე წელი იარსება. 1846 წლის დეკემბერში გატარდა ახალი ადმინისტრაციული რეფორმა, საქართველო ორ—თბილისისა და ქუთაისის გუბერნიად გაიყო. ქუთაისის გუბერნიის პირველი გუბერნატორი იმერეთის უკანასკნელი მმართველი, გენ.-მაიორი აკ. ესპეხო იყო.

---

251 ქ ცსა, ფ. 176, საქ. 1, ფურ. 1-2.

252 ს ცსსა, ფ. 2, აღწ. 1, საქ. 6225, ფურ. 36-52.

დ ა ს კ ვ ნ ე ბ ი

1. ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმების შემდეგ (1801-1802 წწ.) აშკარა გახდა, ცარიზმი დასავლეთ საქართველოში დამოუკიდებელი მეფის ხელისუფლების არსებობას არ შეურიგდებოდა, მით უფრო ისეთი მეფისა, რომელიც ქართული სახელმწიფოებრიობის დაცვა-აღდგენისათვის იბრძოდა. ამიტომ იგი 1802-1810 წლებში დაბეჯითებით ცდილობდა ტახტიდან ჩამოეგდო სოლომონ II და იმერეთშიც რუსული მმართველობა დაემყარებია. ამ მიზნის მისაღწევად, ხშირად გამოიყენებოდა ძლიერი სახელმწიფოს ღირსებისათვის შეუფერებელი საშუალებები: ორპირობა, დაშინება, მოქრთამვა-გადაბირება, ტერორი და ა. შ. რუსეთის მთავრობას იმერეთის დამოუკიდებლობის წინააღმდეგ ბრძოლაში დიდ დახმარებას უწევდნენ სამეგრელოსა და გურიის მთავრები, რომლებსაც თავიანთი პოლიტიკური სიბეცის გამო, ეგონათ, რომ მათი სამთავროების „ავტონომია" მუდმივად იქნებოდა შენარჩუნებული.

2. ოფიციალურ ისტორიოგრაფიაში რუსული მმართველობის „კეთილისმყოფელი" შედეგების საჩვენებლად, იმერეთის სამეფო XVIII-XIX საუკუნეების მიჯნაზე წარმოდგენილია, როგორც უკიდურესად ღარიბი და ჩამორჩენილი, სახელმწიფოებრივად სრულიად მოუწესრიგებელ-მოუწყობელი ქვეყანა, რომელიც სულს ღაფავდა და გამათავისუფლებელ მესიას ელოდა, რაც ისტორიული სინამდვილის დამახინჯებაა. პირიქით, იმერეთის სამეფო ამ პერიოდში, სხვა ქართულ სამეფო-სამთავროებთან შედარებით, უკეთეს მდგომარეობაში იმყოფებოდა. XVIII საუკუნის მეორე ნახევარში იგი მოშენდა და ერთ-ერთ ძლიერ ქართულ პოლიტიკურ ერთეულს წარმოადგენდა. ასე რომ, იმერეთი XIX საუკუნის დასაწყისში „საკუთარ ფეხზე იდგა და შემდგომი წარმატებების პერსპექტივაც ჰქონდა..." (ნ. ბერძენიშვილი).

3. 1810 წელს ცარიზმმა იმერეთი დაიპყრო, სოლომონ II ტახტიდან ჩამოაგდო, სამეფო გააუქმა და რუსული მმართველობის შემოღება გამოაცხადა. ამას შედეგად მოჰყვა საერთო-სახალხო აჯანყება სოლომონ მეორის ხელმძღვანელობით, რომელსაც ეროვნულ-გამათავი-

სუფლებელი ხასიათი ჰქონდა და დამოუკიდებლობის აღდგენას ისახავდა მიზნად. აჯანყება ჩაახშვეს და იმერეთი ხელმეორედ დაიპყრეს.

ხანგრძლივი და რთული აღმოჩნდა, აგრეთვე, რუსული მმართველობის სისტემაში იმერეთის ყოფილი სამეფოს ჩართვის პროცესიც. აქაც საჭირო გახდა იარაღის გამოყენება. იმერეთის მოსახლეობა, მთელ ქართველ ხალხთან ერთად, ძნელად თმობდა ეროვნული სახელმწიფოებრიობის საუკუნეებით განმტკიცებულ ტრადიციებს, ვერ ეგუებოდა ახალ მმართველობას და მის წინააღმდეგ იბრძოდა (1819-1820 წლების აჯანყება). იმის გამო, რომ აღმოსავლეთ საქართველოსაგან განსხვავებით, იმერეთში რუსეთის ბატონობის დასამყარებლად საჭირო გახდა სისხლიანი ბრძოლების წარმოება, რუსულმა მმართველობამ აქ უფრო მკაცრი და აშკარად გამოკვეთილი სამხედრო-საოკუპაციო ხასიათი მიიღო. იგი, ისე როგორც მთელს საქართველოსა და ამიერკავკასიაში, დროებითი—გარდამავალი და შერეული—სამოქალაქო-სამხედრო, ადგილობრივ-რუსული იყო. დროებითი—გარდამავალი იმიტომ, რომ ცარიზმს მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი ამიერკავკასიაში საყოველთაო „წმინდა რუსული" მმართველობისა და კანონმდებლობის შემოღება, ხოლო შერეული—იმ აზრით, რომ სამხედრო და სამოქალაქო, ადგილობრივი და რუსული მმართველობის ნიშნებს შეიცავდა.

4. იმერეთის მმართველად დანიშნულ გენ.-მაიორ თ. სიმონოვიჩს გამოეგზავნა, მინისტრთა კაბინეტთან შეთანხმებით,. მთავარმმართველის კანცელარიაში მომზადებული „დადგენილება იმერეთის ოლქის შინაგანი მმართველობის" შესახებ. არსებითად, ეს იყო 1801 წლის 12 სექტემბერს დამტკიცებული „საქართველოს შინაგანი მმართველობის დებულების" გამარტივებული ვარიანტი. თ. სიმონოვიჩმა შემოთავაზებული „დადგენილება" ადგილობრივი პირობებისათვის გამოუსადეგრად მიიჩნია და თავად შეუდგა მუშაობას იმერეთის მართვის საფუძვლების შესამუშავებლად. მან 1810-1814 წლებში, რუსული მმართველობის შემოღების სამი პროექტი შეადგინა. მათ შორის არსებითი სხვაობა არ ყოფილა. პროექტის ვარიანტები ასახავდნენ ქვეყანაში მომხდარ პოლიტიკურ ცვლილებებს და საბოლოო ანგარიშში, მიზნად ისახავდნენ დასავლეთ საქართველოში რუსეთის ბატონობის განმტკიცებას. პირველი პროექტი, რომელიც შედგენილ იქნა სოლომონ მეორის დატყვევების შემდეგ, ძირითადში, უცვლელად ტოვებდა მმართველობის არსებულ სისტემას, იღონდ თანამდებობობზე რუსი მოხელეე-

ბი იქნებოდნენ. მეფის გაქცევამ და საერთო-სახალხო აჯანყებამ მკვეთრად შეცვალა პოლიტიკური ვითარება. ამიტომ მეორე პროექტი (1811 წ.) ითვალისწინებდა აღმოსავლეთ საქართველოში უკვე აპრობირებული მართვა-გამგეობის გადმოტანას. პროექტი იმპერატორმა დაამტკიცა, მაგრამ სტიქიურმა უბედურებამ (1811-1812 წწ.) ხელი შეუშალა მის განხორციელებას. ცხოვრებაში არც მესამე პროექტი გატარებულა (1814 წ.). რთული პოლიტიკური ვითარებისა და აჯანყების შიშით, მთავრობა იძულებული გახდა დაეთმო და შემოეღო ქართლ-კახეთისაგან რამდენადმე განსხვავებული დროებითი მმართველობა, რომელიც ნაკლებად ჰგავდა. რუსულ საგუბერნიო მმართველობას და იმერეთის სახელმწიფოებრივი წყობილების ბევრ ელემენტს ინარჩუნებდა.

5. დროებითი მმართველობის სათავეში იდგა „მმართველი" —მხარის სამოქალაქო და სამხედრო ხელისუფალი, რომელიც დასავლეთ საქართველოში განლაგებული ჯარების სარდალიც იყო და ოფიციალურად იწოდებოდა „იმერეთის, სამეგრელოს, გურიისა და აფხაზეთის მმართველად", რადგან მისი იურისდიქცია ამ სამთავროებზეც ვრცელდებოდა (თუმცა მათი ავტონომია ჯერ კიდევ არ ყოფილა გაუქმებული.). იმერეთის რუსულ ადმინისტრაციაში მნიშვნელოვან როლს ასრულებდა მმართველის კანცელარია.

წყაროებისა და ლიტერატურის შესწავლის საფუძველზე, დადგენილია იმერეთის მმართველების სია და ბიოგრაფიები. იმერეთის პირველი მმართველი იყო გენ.-მაიორი თეოდორე ფილიპეს ძე სიმონოვიჩი (1810-1815), ვიცე-მმართველი—ზურაბ ქაიხოსროს ძე წერეთელი, ხოლო უკანასკნელი მმართველი—გენ.-მაიორი აკიმ მიხეილის ძე ესპეხო I.

სამოქალაქო საქმეებს უშუალოდ განაგებდა „მმართველობა" (დივანი), რომლის შემადგენლობა პერიოდულად იცვლებოდა. იგი შედგებოდა: თავმჯდომარის (რუსი მოხელე), ორი რუსი მრჩევლისა და ორი ქართველი მდივანბეგისაგან, რომლებსაც თავადაზნაურები ირჩევდნენ. გარდა ამისა, „მმართველობას" ჰყავდა კანცელარიის მუშაკები, მწერლები, გადამწერლები, თარჯიმნები და ა. შ. „მმართველობის" ექსპედიციებად დანაწილება არ შემოუღიათ.

იმერეთში, აღმოსავლეთ საქართველოსაგან განსხვავებით, მაზრები და სამაზრო დაწესებულებანი არ შექმნილა. იგი ოთხ ოკრუგად დაიყო, რომელთაც სათავეში, ძირითადად, რუსი ოფიცრები ედგნენ. ისინი, ოკრუგის მასშტაბით, ერთპიროვნული მმართველები იყვნენ. სოფლებს ძველებურად მოურავები განაგებდნენ. ქუთაისს მართავდა კომენდანტი.

6. იმერეთის სამეფოს დაპყრობის საქმეში, რუსეთის ჯარებისათვის გაწეული განსაკუთრებული დახმარების გამო, ზურაბ წერეთელი, იმპერატორის ბრძანებულებით, დაინიშნა თავადაზნაურობის მარშლად. სხვა შემთხვევაში, მარშალი უნდა აერჩია „კეთილშობილ წოდებას". მაგრამ დროებითმა მმართველობამ ვერ მოასწრო იმერეთის თავადაზნაურობის წარმომადგენლობითი ორგანოს—საკრებულოს შექმნა და, ცხადია, არც მარშლის არჩევნები ჩაუტარებია.

7. „მმართველობა" სამოქალაქო საქმეების განხილვის დროს, ვახტანგის „სამართლის წიგნს," იყენებდა. სისხლის სამართლის, სამხედრო ან პოლიტიკურ დანაშაულს, რუსული კანონმდებლობის საფუძველზე, იძიებდა ქუთაისში არსებული სამხედრო-სასამართლო კომისია.

8. დროებითი მმართველობა ხელმძღვანელობდა ბაგრატიონთა სახლის წევრების იმერეთიდან გაყვანას და რუსეთში გადასახლებას. მაგრამ მან სრული მარცხი განიცადა სოლომონ მეორის შერიგება-გადაბირების ან თავიდან მოცილების საქმეში. ვერ გამოიძებნა პიროვნება, რომელიც, თუნდაც დიდი საზღაურის ფასად, ხელს აღმართავდა მირონცხებული მეფის მოსაკლავად.

9. 1811-1812 წლებში, როდესაც იმერეთს თავს დაატყდა სტიქიური უბედურება (წყალდიდობა, შიმშილი, ეპიდემია), დროებითმა მმართველობამ ვერ შეძლო არსებითი ღონისძიებების გატარება მისი შედეგების დასაძლევად.

10. დროებითი მმართველობა, კავკასიაში ცარიზმის საერთო სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკიდან გამომდინარე, არ ცნობდა იმერეთის თავადების სამოხელეო-სამემკვიდრეო უფლებებს, საფუძველი გამოაცალა ყოფილი სამეფოს ტერიტორიაზე არსებულ სენიორიებს — სათავადოებს და ისინი რუსეთის ხელმწიფის ქვეშევრდომ „პომეშჩიკის" უბრალო მამულებად აქცია. ამასთან ერთად, მტკიცედ იცავდა მათ ბაბატონყმურ-მემამულურ უფლებებს. ამ მიმართულებით, დროებითმა მმართველობამ გაატარა რიგი ღონისძიებებისა, რომელთა მიზანი იყო მებატონეებსა და ყმებს შორის ურთიერთობის მოწესრიგება და სხვ.

ადგილობრივი პირობებიდან გამომდინარე, დასავლეთ საქართველოში დაგვიანდა ან განსხვავებული სახით გატარდა ზოგიერთი სოციალურ-ეკონომიკური ღონისძიება (სამღვდელოების ყმობისაგან, აზნაურების თავადების დამოკიდებულებისაგან გათავისუფლება და სხვ.).

11. დროებითმა მმართველობამ ვერ უზრუნველყო ქვეყნის საგარეო და შინაგანი მშვიდობა. მართალია, ტყვეთა სყიდვა და თურქთა თავ-

დასხმები შენელდა, მაგრამ აჯანყებები, ომები, რუს ჯარისკაცთა თავგასულობა და ძარცვა არანაკლებ ზიანს აყენებდნენ ადგილობრივ მოსახლეობას. მას დიდხანს შერჩა დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობის აღდგენის იმედი. ამის გამო, დაჟინებული მოთხოვნის მიუხედავად, იმერეთიდან პეტერბურგში არ წასულა თავადაზნაურობის დეპუტაცია, რომელიც ხელმწიფის წინაშე უნდა წარმსდგარიყო უქვეშევრდომილეს გრძნობათა და მადლობის მოსახსენებლად „იმ ბედნიერებისათვის", რომელსაც მათი ქვეყანა რუსხელმწიფის ქვეშევრდომობით ეღირსა.

12. დროებითი მმართველობა აქტიურად მონაწილეობდა დასავლეთ საქართველოს საეკლესიო ცხოვრების რუსულ წესზე გარდაქმნაში. ის იყო ძირითადი ძალა, რომელმაც სისხლში ჩაახშო 1819-1820 წლების დიდი სახალხო აჯანყება. იმერეთის მმართველი ი. პუზირევსკი, ხოლო მისი დაღუპვის შემდეგ. პ. გორჩაკოვი, სათავეში ედგნენ რა დამსჯელ ექსპედიციებს, მხეცურად, შემზარავი სისასტიკით გაუსწორდნენ აჯანყებულებს, რომელთა შორის იყვნენ ქრისტიანული ეკლესიის მაღალი რანგის მოღვაწეები (მიტროპოლიტები). საქართველოს მთავარმმართველის ა. ერმოლოვის მითითებით, ბევრი სოფელი და დასახლებული პუნქტი აღგავეს მიწისაგან პირისა, ჩამოახრჩვეს, დახვრიტეს და გადაასახლეს ასობით ადამიანი.

13. დროებითი მმართველობის საქმიანობის მნიშვნელოვან უბანს შეადგენდა ურთიერთობა დასავლეთ საქართველოს სამთავროებთან, რომლებიც მას ემორჩილებოდნენ. 1830 წლიდან გურიის დროებითი მმართველობა იმერეთის დროებითი მმართველობის ხელმძღვანელობით მოქმედებდა.

14. დროებითი მმართველობის რევიზიას სენატის მიერ, რაც 1830 წელს განხორციელდა, რაიმე არსებითი შედეგი არ მოჰყოლია. მთელი მხარის მართვის სისტემაში რადიკალური გარდაქმნების დაპირებით, ყველაფერი უცვლელი დარჩა.

15. იმერეთის დროებითი მმართველობა გაუქმდა 1840 წლის 10 აპრილის დებულების საფუძველზე, ამიერკავკასიაში გატარებული რეფორმის შედეგად. შეიქმნა საქართველო-იმერეთის გუბერნია, რომელშიც იმერეთმა მაზრა შეადგინა. დროებითი მმართველობა სამაზრო მმართველობამ შეცვალა.

Годердзи Вачридзе

ИМЕРЕТИНСКОЕ ВРЕМЕННОЕ ПРАВЛЕНИЕ (1810-1840 г.г.)

РЕЗЮМЕ

После упразднения Карталино-Кахетинского царства стало ясно, что царизм не примирится с существованием в Западной Грузии независимой царской власти. На самом деле с 1802 по 1808 год представители Российской империи неоднократно предпринимали шаги направленные на свержение с престола царя Соломона II и установление в Имерти русского правления. Содействие им в этом оказывали Мингрельский и Гурийский владетельные князья расчитывавших такими действиями заслужить право навечно сохранить автономию своих княжеств.

В официальной историографии с целью показа «благотворных» резултатов установления русского правления, Имеретинское царство на рубеже XVIII—XIX в.в. представлено крайне отсталой, в государственном отношении совершенно неустроенной страной, что не соотвествует истине. Имеретинское царство являлось одной из сильных грузинских политических единиц, с перспективой дальнейшего успешного развития.

В 1810 году царизм завоевал Имерети, упразднил царство и провозгласил установление русской власти в виде Временного Правления, что послужило причиной всенародного восстания национально-освободительного характера. Оно было подавлено, а Имерети вторично покорена.

Сложным и долгим оказался не только процесс завоевания Имерети, но и включение её в систему русского правления Закавказья. И для этого было применено оружие.

Имеретинское царство в отличие от Восточно—Грузинского было завоевано военной силой, поэтому временное русское правление здесь приняло более суровый и явно выраженный военно-оккупационный характер. Оно было смешанным и переходным, временным. Русское правление в Имерети было смешанным в том смысле, что: во-первых, оно включало одновременно элементы русского и местного правления и, во-вторых, носило характер военного и гражданского правления. Имеретинское Правление было временным переходным так-как царизм готовился к введению в Грузии чисто-русского правления существующего во внутренних губерниях Империи.

Во главе Временного Правления стоял правитель из русских воинских чинов осуществлявший гражданскую и военную власть в крае. Он одновременно командовал войсками расположенными в Западной Грузии. Официально он назывался «Правителем Имерети, Мингрелии, Гурии и Абхазии», так как его юрисдикция распостранялась и на эти княжества, владетели которых, пока внешне сохраняли мнимую автономию. На основе изучения первоисточников и специальой литературы установлен список правителей Имерети и их биографии.

Гражданскими и казенными делами заведовало «Правление» (Диван). Оно руководстовалось грузинскими законами (царя Вахтанга VI) и обычаями. Уголовные дела подлежали «Военно-судебной комиссии учрежденной в Кутаиси». В Имерети не было введено деления «Правления» на экпедиции.

В отличие от Восточной Грузии в Имерети не были введены, также, уезды и уездные учреждения. Край был разделен на 4 округа (Кутаисский, Вакинский, Шорапанский, Рачинский). Во главе округа стоял начальник из военных. Селениями, по прежнему управляли моуравы и подчинялись

окружному начальнику. Была упразднена должность Кутаисского моурава. Во главе управления Кутаиси был поставлен комендант.

Временное Правление выселило из Имерети почти всех членов царского дома Багратионов. Оно предприняло меры для физического уничтожения Соломона II, находившегося в изгнании. Новая власть очень мало помогла Имеретинскому населению пострадавшему от вторжения русских войск и страшного стихийного бедствия (наводнение, голод, эпидемья) 1811-1812 г.г.

Имеретинское Правление, исходя из общей социально-экономической политики царизма на Кавказе, подорвало основы существующим на территории бывшего царства сеньориям (сатаводо) и превратило их в простие помещичий имения.

Временное Правление принимало активное участие в проведении церковной реформы в Западной Грузии и подавлении вспихнувшего на основе этого всеобщего восстания 1819-1820 г.г.

В деятельности Временного Правления важное место занимали его отношения с княжествами Западной Грузии. После упразднения Гурийского княжества (1828-1830 г.г.) созданное там Временное Правление работало под руководством правителя Имерети.

Временное Правление не смогло обеспечить внутренний и внешний мир в крае. Безрезультатно прошла сенатская ревизия его деятельности в 1830 г.

За годы существования Временного Правления значительно укрепились позиции царизма в Западном Закавказье и были подготовлены условия для введения «чистого» русского правления.

На основе положения 10 апреля 1840 года в Закавказье была проведена административная реформа. Имеретинское Временное Правление было заменено Кутаисским уездным правлением.

Vachridze Goderdzi

PROVISIONAL GOVERNMENT OF IMERETI (1810-1840)

RESUME

After the abolition of Kartli-Kakhetian kingdom it was evident that the Tsarist regime couldn't stand the existence of independent royal power in Western Georgia. In 1802-1810 it tried hard to overthrow king Solomon II and to establish Russian administration in Imereti. The Tsarist regime was greatly supported by the principals of Samegrelo and Guria, who thought that the autonomy of their principalities would be preserved.

In official historiography, on the purpose of manifestation of Russia's kindest intentions towards Georgia, the Imereti kingdom in XVIII-XIX c. was presented as politically and economically undeveloped country, but that wasn't true. The Imereti kingdom was one of the most powerful Georgian states and had good prospects for the future.

In 1810 Russia conquered Imereti, abolished its kingdom and claimed the establishment of the Russian administration. It was followed by the national uprising that was cruelly suppressed and Imereti was invaded again.

It was quite difficult to get the former Imereti kingdom involved in Russian administration. People dissatisfied with the Tsarist policy rose against it. To gain control over the territory it was necessary to use armed forces. The new government established in Imereti was meant to be provisional, as Russia intended to establish „pure" Russian admi-

nistration there. The new government was both military and civilian, both Russian and local as well.

The provisional government was headed by the administrator—military and civilian ruler of the region, who was the head of armed forces as well in West Georgia. He was officially called "the administrator of Imereti, Samegrelo, Guria and Abkhazia", as his legitimacy spread on these principalities.

Civil affairs were governed by the government called "divani", which used "The Law Book" by king Vakhtang VI. Crimes were considered according to Russian legislation by the special military-tribunal Committee. The division of the administration into expeditions wasn't established.

Unlike Eastern Georgia, Uezds or uezd establishments didn't exist. The former kingdom was divided into four districts headed by the Russian officers responsible for maintaining law and order. Villages were ruled by the "Mouravi" as usual. The commandants was in power in Kutaisi.

The provisional government exiled all members of royal Bagration family from Imereti, intended to destroy physically the exiled Solomon II, but in vain. The provisional government couldn't take decisive measures and overcome the problems caused by the natural disasters (flood, epidemy, hunger) in 1811-1812.

According to Tsarist socio-economic policy the provisional government cut the ground from under nobilities ("Satavado") existed on the territory of the former kingdom and turned them into the simple estates of "Pomeshchiki". Some socio-economic measures were carried out later and in a different way because of the local conditions.

The provisional government tried to carry out church reforms in West Georgia. It resulted in the national uprising of 1819-1820 which was ruthlessly put down.

The provisional government paid considerable attention to its relationship with Western Georgian principalities. After the abolition of Guria principality (1828-1830) the new provisio-

nal government established there acted under Imereti's administrator.

The provisional government couldn't maintain peace in or outside the region. The control of its activities by the Senàte in 1830 had no results as well.

The provisional government considerably strengthened Russia's position in West Caucasus.

Under the statutes made on April 10, 1840 Imereti provisional government was replaced by the Imereti Uezd administration.

სახელთა საძიებელი

აბაშიძე ანასტასია — 178
აბაშიძე ბეჟან — 213
აბაშიძე გიორგი — 213
აბაშიძე დავით — 51, 149, 154, 177, 213, 218
აბაშიძე ივანე — 178, 213, 240, 241, 242, 243, 245, 246, 248
აბაშიძე ლევან — 150
აბაშიძე მაქსიმე (ქუთ.) — 55, 233, 234
აბაშიძე ნიკოლოზ — 202, 242
აბაშიძე როსტომ — 134, 153, 213
აბაშიძე სესია — 162
აბაშიძე სვიმონ — 178
აბაშიძე ქაიხოსრო — 51, 89, 134, 163, 178
აბაშიძე ხახული — 178
აბაშიძე ხახუტა — 51
აბაშიძეები — 48, 50, 146
აბას-მირზა — 129
აბესაძე რ. — 47, 51
აბულაძე გოგია — 162
აბულაძე ქაიხოსრო — 51, 162
აბულაძე ც. — 194
აბულაძეები — 48
აგიაშვილი დავით — 51, 178, 186, 188
აგიაშვილი იოანე — 51
აგიაშვილი სვიმონ — 51, 93, 177, 189
აგიაშვილი ქაიხოსრო — 177
აგიაშვილი — 53
აგიაშვილები — 53, 54, 204
ავალიანი გ. — 124
ავალიანი რ. — 168
ავალიანი-ღოღობერიძე რუსუდან — 149
ავალიშვილი ბეჟან — 51, 150, 163
ავალიშვილი გ. — 200
ავალიშვილები — 48
აკოფაშვილი გ. — 58
აკოფოვი — 149 207
ალენი უ. ი — 29, 89
ალექსანდრე I — 3, 12, 25, 60, 61, 62, 63, 64, 109, 119, 245, 254, 256, 267
ალექსანდრე II — 277
ალექსანდრე ნეველი — 66, 87
ამაღლობელი — 163
ამიროკი — 218
ამილახვარი ალექ. — 57
ამირეჯიბი სიმონ — 133, 153
ანდრონიკაშვილი მალხაზ — 82, 85, 179, 182, 203, 204
ანდრეევსკი მარტინ — 101, 159, 168, 243
ანნა დედოფალი — 57, 62, 98, 119, 178, 185, 192, 277
ანტონი, ხონელი მთ. ეპ. — 51, 55, 57, 88, 231, 235, 249
ბრაკჩეევი — 128
არქიმანდრიტი: ბენედიქტე — 184, 191, 193
გრიგოლი — 242
ნიკოლოზი — 164, 165, 251
სიმონი — 165
ასლან-ბეი — 79, 269
ასათიანი — 176
აფხაზი, ივ. — 14, 125, 126, 127, 132, 260
აფხაზი ნიკოლოზი — 126
აშორდია — 217
აჯიაშვილი. ჯ. — 223
ახვერდიანი — 241

ახვერდოვი — 184
ახლესტიშევი დ. — 128, 131, 132, 135, 271
აპმედ-ფაშა — 193

ბაგრატიონი-ბატონიშვილი

ალექსანდრე — 26, 60, 76, 189, 240
ალექსანდრე, სოლ. I ვაჟი — 56, 178
ალექსანდრე გიორგის-ძე — 178, 183, 184, 185
ანასტასია — 178, 183
ბაგრატი — 231, 242
ბაგრატ ალექსანდრეს-ძე — 182
ბარბარე, სოლ. II და — 179
ბერი (ბერიკა) დავითის-ძე — 178
გიორგი ალექსანდრეს-ძე — 57, 75, 178, 180, 183, 185
დავით ბაგრატის-ძე — 178, 182, 248
დავითაშვილები-დავიდოვები — 178
დარეჯანი, სოლ. I ქალიშვილი — 178, 182, 184, 185, 234, 240, 243, 245, 248
დიმიტრი გიორგის-ძე — 178, 184, 185
ვახტანგ როსტომის ძე — 179, 246, 249
თამარი — 178
თეიმურაზი (დავითაშვილი) — 178
თეიმურაზი — 78, 91, 169
იოანე გიორგის-ძე — 74
იოანე — 50
ირინე როსტომის-ას. — 179
იულონი — 56, 60, 71, 72, 118, 119, 123, 179
კატერინა (დავითაშვილი) — 178
კონსტანტინე დავითის-ძე — 12, 62, 63, 64, 65, 70, 71, 74, 76; 77, 82, 85, 175, 178, 179, 185, 190, 192
ლევან იულონის-ძე — 119
მარიამი, სოლ. I ქალიშვ. — 178
მარიამი, სოლ. II. და — 179, 180, 182, 184, 185
მარიამი (დავითაშვილი) — 178
მზეხათუნ (ელისაბედი) — 178, 182, 183
მზეხათუნ როსტომის ას. — 179
მზეხათუნ (დავითაშვილი) — 178, 214,
ნიკოლოზი (დავითაშვილი) — 178
პახუა როსტ. ას. — 179
როსტომ დავითის-ძე — 179
სიმონ როსტ. ძე — 179
ტარიელ როსტ. ძე — 179
ფარნაოზი — 60, 71, 72, 118, 119
ბაგრატიონი — 3, 179
ბაგრატიონი ნ. — 179, 180

ბაინდუროვი თომა — 148
ბაინდუროვი ივ. — 218
ბალაშოვი — 106
ბარათაშვილი ბესო — 133
ბარათაშვილი მ. — 56
ბარამიძე ალ. — 50
ბარკლაი დე-ტოლი — 119
ბაქრაძე ივ. — 213
ბაქრაძე სიმ. — 163
ბაქრაძე — 278
ბებუთოვი (ბებუთაშვილი) დავით — 124
ბებუთოვი იოს. — 123
ბებუთოვი ვას. — 123—126, 131, 132, 261, 267
ბებუთოვი ხეჩატურ — 192
ბერიძე ვუკ. — 55
ერაძეები — 115
ბერაძე თ. — 32, 33
ბედლი ჯ. — 29, 89
ბენდიანიშვილი, ალ. — 24, 27, 88, 125, 174, 198
ბერეე ა. ბ. — 59
ბერძენიშვილი ნ. — 5, 7, 13, 20, 25—27, 38, 40, 41, 53, 59, 60, 64, 66, 74, 81, 84, 87, 88, 106, 111, 180, 194, 196, 200, 211, 231, 237

ბერძნიშვილი მ. — 125, 126, 179, 185, 235
ბექთაბეგოვი — 184
ბეტანკური — 129
ბუბაშვილი ივ. — 168
ბუბაშვილი — 150
ბურჯანაძე შ. — 13, 14, 24, 26, 81, 86, 87, 115, 161, 191, 195
ბურნაშოვი სტ. — 32
ბუტკოვი პ. — 11
ბოლენკოვი ა. — 191, 193
ბოროზდინი კ. — 207
ბონაპარტე ნაპ. — 121, 127, 186—189, 194
ბრიზგალოვი — 155
ბრონევსკი — 63, 66, 229
ბრეევერნი ლ. — 263
ბროსე ჰ. — 248

გაბაშვილი (ბესიკი) — 55, 57, 153, 217, 233
გაბაშვილი ზ. — 56
გაბაშვილი იოანე — 56
გაბაშვილი იოსები — 56
გაბაშვილ მიხ. — 218
გაბაშვილი ნიკ. — 56
გაბაშვილი ოსე — 56, 98, 217
გაბრიელ ბერი — 30
გაბეხაძე ბიჭია — 220
გაგარინი — 277
გავრილენკო — 154
გამბა ქაკ — 34, 122, 143, 159, 171, 230, 267, 268,
გასვიანი გ. — 24, 271, 272
გიორგი XII — 3, 60, 109, 125
გიზეტტი — 89
გედრიმოვიჩი — 101, 160
გელოვანი გიორგი — 163
გელოვანები — 48, 54
გესსე კ. — 11, 17, 127, 128, 131 132, 155, 261, 267, 276—279
გვინეტაძე — 150
გიულდენშტედტი — 38, 41, 43
გლუშაკოვი მ. — 19, 20
გნილოსაროვი პ. — 19—21, 46, 48, 49, 50, 52, 53, 179, 208
გოგოლაძე დ. — 24, 163, 164
გოზალიშვილი გ. — 26, 129, 204, 205
გოლოვინი ა. — 19, 20
გოლოვინი ევ. — 17, 165, 202
გოლუბევი დანიელ — 273
გორჩაკოვი პ. — 10, 14, 117, 118, 121—123, 125, 131, 132, 141, 142, 143, 149, 154, 176, 217, 221, 225, 246, 247, 259, 260, 267, 268, 270, 275
გორჩაკოვი მ. დ. — 123
გორაჩკო — 132
გონიკიშვილი მ. — 24, 27, 172, 179
გრიგოლაშვილი მიტროფანე — 55,
გრიგოლი ცაიშელი მიტ. — 267
გრიგოლია კ. — 51,
გუდოვიჩი ივ. — 74, 75, 76, 77, 118, 192
გუგებაშვილი სიმონა — 150
გრძელიშვილი კაცია — 221
გრძელიშვილი სიმ. — 221
გუგუნავა სვიმონ — 263
გუმცაძე ფირან — 162
გუნცაძე — 242
გუგუშვილი პ. — 36
გურიელი გიორგი V,—54
გურიელი დავით — 194
გურიელი ვახტანგ — 194
გურიელი მამია — 79, 82, 152, 194, 255, 256, 257
გურიელი სიმ — 254, 258, 261
გურიელი ქაიხოსრო — 54, 194, 245, 246, 257
გურიელი სოფიო (წულუკიძე) — 261, 267
გურიელი — 3, 109, 110, 126, 210, 257

დადიანი გრიგოლ — 61, 65, 67, 68, 178
დადიანი კაცია — 179
დადიანი მაია — 180, 181, 183
დადიანი ლევან გრიგოლის ძე — 82, 85, 92, 181, 210, 254, 266, 267, 268, 272
დადიანი ნიკო — 13, 14, 85, 92, 93, 120, 125, 179, 185, 192, 204, 208, 209, 210, 219, 247, 254, 266, 270
დადიანი — 3, 109, 110, 153, 159, 210
დავით II გიორგის-ძე — 34, 57, 62, 119, 178
დავით გიორგი XII-ძე — 3, 11, 109, 110, 119, 240, 241, 246
დადეშქელიანი თათარყან — 271, 272
დადეშქელიანი ციოყ — 271, 272
დადეშქელიანი — 137
დედაბრიშვილი ბარბარე — 120
დეედარიანი ნიკოლოზ — 177
დვალიშვილები — 114
დიუბუა დე მონპერე — 275
დუბეცკი, ი. — 12, 246, 247
დუბროვინი, ნ. — 20, 21, 31, 61, 208
დუმბაძე, მ. — 6, 24, 25, 27, 42, 45, 69, 216, 245, 257, 270
დურნოვო ნ. — 22, 23, 232

ეკატერინე II — 159
ერეკლე II — 153
ერისთავი ანტონ — 133, 148, 153, 160
ერისთავი დარეჯან როსტომის ას.— 178, 180, 185
ერისთავი დარეჯან ვახტანგის ას.— 178
ერისთავი დიმიტრი — 134, 178
ერისთავი დავით — 51, 177
ერისთავი ზურაბ — 178
ერისთავი გიორგი — 204, 205, 221, 241, 263
ერისთავი გრიგოლ — 177
ერისთავი იოანე — 178
ერისთავი ივანე — 147
ერისთავი ელიზ. — 57, 90, 97, 133, 153, 178, 189
ერისთავი ვახტანგ — 263
ერისთავი ვარლაამი — 232, 234
ერისთავი როსტომი — 213, 235
ერისთავი სიმონი — 179
ერისთავი-შერვაშიძე — 232
ერისთავი — 54
ერმოლოვი, ა. — 4, 12, 116, 117, 121, 122, 124, 126, 141—143, 154, 170, 196, 219, 220, 228, 236—239, 241, 246, 247, 249, 252, 259, 260, 261, 268, 270
ენუქიძე თინა — 36
ენიკოლოპოვი ო. — 11, 109
ენგოლმი — 12, 33
ეეეცკი ო. — 34
ესპეხო აკიმ — 17, 129, 130, 131, 132, 137, 138, 141, 165, 166, 264, 265, 271, 281
ესაძე ს. — 20, 21, 105, 113
ერეკლე II — 123, 240
ეფთვიმე გელათელი — 51, 84, 85, 88, 92, 107, 148, 180, 200, 210, 235, 242, 243, 245, 246

ვაკულსკი ვ. — 26, 128, 131, 132, 205, 206, 219, 231
ვალუგანსკი — 23, 273
ვანიშვილი შ. — 11
ვაკრიძე გ. — 130
ვაკრიძე პ. — 56
ვახტანგ VI — 36, 52, 144
ველიამინოვი ალექსი — 241, 246
ველიამინოვი ივანე — 239, 240, 241, 242, 244
ვედენსკი ა. — 219

ვიაზემსკი პ. ა. — 125
ვინოგრადოვი — 137
ვივიენ ქეთრინ — 29
ვოინოვი — 244
ვორონცოვი მ. — 65

ზაქარია არქიმანდრიტი — 98, 217, 277, 278
ზენიაკოვსკი — 137
ზუბაშვილი-რაზმაძე რომანოზ — 56
ზუბაშვილი-რაზმაძე დავით — 56
ზუბალაშვილი (ზუბალოვი) იაკობ— 228

თამარ მეფე — 137
თარხნიშვილი დავით — 79
თაყაიშვილი ექ. — 123
თუმანიშვილი ავთანდილ — 240, 241
თუმანოვი (თუმანიშვილი) მიხ. — 149, 154, 241
თუმანოვი (თუმანიშვილი) — 266
თოფურია ვ. — 57

იაშვილი იასე — 162
იაშვილი ლევან — 162
იაშვილი ნიკოლოზ — 51
იაშვილი ქაიხოსრო — 166
იაშვილები — 48 54
იარცოვი — 137
ილარიონ ქართველი — 30
ივანენკო ვ. — 20, 21, 101, 113, 120, 264
ივანოვი იაკ. — 150
იოსელიანი ლევანი — 138
იოსელიანი-შეღვინეთუხუცესი—49
იოსელიანი პლ. — 125—127
იოსელიანები — 50
ილინი — 161
იონა-ეგზარქოსი — 251, 252, 273
იონა-ცაგერ. მიტ. — 267
იუდინი პ. — 179
ირემაძე მერაბ — 155
ისაკლიშვილი ივანე — 213

იშხნელი გოგისა — 162
იშხნელი ნიკოლოზ — 162

კაკაბაძე ს. — 10, 26, 27, 34—39, 43, 49, 51, 80, 83, 98, 179, 191, 234, 278
კანდიონოვი ივანე — 221
კაშჩენკო — 150, 155, 243
კაპეტივაძე სოფრომ — 166
კლდიაშვილი სერგო — 31
კლდიაშვილი დავით — 213
კლდიაშვილები — 48, 162
კეკელიძე კ. — 18, 50
კეზევაძე მ. — 273
კიკვიძე ა. — 24, 26, 113, 171
კიკნაძე ხოსია — 134
კირიონი — 235, 249
კვინიხიძე დავით — 233
კვინიხიძეები — 55
კიღურაძე, გ. — 187
კიკიანი პასან-აღა — 276
კნორინგი კ. — 62, 118
კოვალიოვი — 71, 161
კოვალენსკი, პ. — 118
კორძაია გრიგოლ — 162
კორძაია ზაალ — 162
კოპალიანი ჯ. — 48
კორძახიები — 48
კოჩუბეი — 67
კრაკოვსკი — 132
კრილოვი დ. — 122
კროპი — 50
კრუპიანსკი ი. — 148, 154
კურნატოვსკი ი. — 14, 117, 121, 131, 132, 141, 176, 236, 239, 240, 241, 242, 262
კუტი სვიმონ (ფირცხალავა) — 55
კუტაისოვი პ. — 11, 16, 17, 127, 137, 143, 158, 159, 165, 218, 262, 263, 267, 275—280
კულიაბკო — 263
კუტნეი — 256

ლაზარევი — 62
ლავრენტიევი — 22
ლანგი დ. მ. — 29, 89, 187
ლინევსკი — 160, 161
ლიონიძე სოლომონ — 59, 61. 64, 71, 73, 82, 85, 202
ლისანევიჩი — 85
ლიტვინოვი პ. — 12, 45, 68—73
ლეონიძეები — 48
ლოლაძეები — 48
ლოლაძე ვახუშტი — 162
ლოლაძე პაატა — 162
ლომაშვილი ფ. — 172
ლომინაძე ბ. — 234
ლომინაძეები — 148
ლომსაძე შ. — 193
ლოზინსკი — 155
ლორია გიორგი — 150
ლორია ივანე — 150
ლორია ლევან — 150
ლორია ოტია — 150
ლორთქიფანიძე ბერი — 51
ლორთქიფანიძე ბეჟან — 150
ლორთქიფანიძე ბესო — 205, 206
ლორთქიფანიძე გრ. — 27, 213
ლორთქიფანიძე ვახტანგ — 213
ლორთქიფანიძე თეიმურაზ—204, 205, 206
ლორთქიფანიძე ლევან — 155, 213
ლორთქიფანიძე როსტომ — 133, 153
ლორთქიფანიძე ნიკოლოზ — 51, 99, 162, 213
ლორთქიფანიძე ოტია — 51, 162, 213
ლორთქიფანიძეები—48
ლორთქიფანიძე ქაიხოსრო — 150
ლუნდიშევი — 161

მაისურაძე, ნ. — 156
მაკდონალდი — 128
მარიამი, სოლ. II მეუღლე—177, 179, 180. 181, 182, 183, 185 191, 195, 196, 214
მაშისთვალაშვილი ელდარი—223
მამაცაშვილი ი. — 205
მარჯანოვი (მარჯანიშვილი) — 155
მაქსიმე ქუთათელი — 43
მაჩაბელი ზურაბ — 133, 153
მაკავარიანი ლევანი — 150
მაკავარიანი სიმონ — 161, 219
მაკავარიანი ნიკოლოზ — 202
მაკავარიანები — 48, 218
მაჩაბელი ზურაბ — 51
მახარაძე ნ. — 24, 94, 231, 237, 248
მახარაძე ფ. — 24
მაპმუდ II — 185, 186, 193
მგალობლიშვილი მზია — 34
მდივანი ბუკუა — 162
მდივნები — 48, 50, 52
მდივნიშვილი — 52
მედვედევი — 161
მერლინი სტ. — 14, 118, 120, 131, 132, 135, 138, 140. 147 181, 194, 211, 270
მესხი ბიკია — 143
მესხი ამირანი — 143
მესხია შ. — 42
მესხი დათიკა — 191
მესხები — 48
მენაბდე ლ. — 57
მენშიკოვი ა. ს. — 122, 123
მეჩნიკოვი ევგრ. — 16, 17, 218, 267 276
მეფისტოფელი — 152
მილკოვი — 137
მიქელაძე დავით — 153, 200, 213, 242, 244, 245
მიქელაძე ვახტანგი — 51
მიქელაძე ზაალ — 177
მინიხი — 243, 259
მიქელაძეები — 204, 210
მიქაძე ფალანდიშვილი — 154, 213
მიქიაშვილი ლელა — 80
მოიზა — 75
მოკრიცკი — 161

მოგილევსკი პ. — 82, 84
მოენევსკი ს. — 149. 151, 154
მორდოვცევი დანილ — 31, 152
მურვანოვი ივანე — 134
მერადოვი — 218
მურავიოვი — 154
მხეიძე ფინა — 39
მხეიძე-ავალიშვილი მარიამ — 150

ნაკაშიძე გიორგი — 165, 166, 263
ნაკაშიძეები — 257
ნაიტაკი ათანასე — 275
ნახიმოვი პ. — 125
ნერონი — 245
ნიკოლაძე ევ. — 55
ნიკოლაძე მამუკა—168
ნიკოლოზ I — 123, 171, 206, 276
ნინო სამეგ. დედოფალი — 183, 266, 269
ნიჟარაძე კაცია — 133
ნიჟარაძე კონსტანტინე — 177
ნიჟარაძე პაატა — 177
ნიჟარაძე როსტომ — 51, 71, 74, 82, 85, 147, 177, 178
ნიჟარაძეები — 48, 50, 51, 162
ნოსკოვი — 168

ომარ-ხანი ავარიელი — 126
ორბელიანი ალექსანდრე — 204, 205
ორბელიანი გრიგოლი — 125
ორბელიანი დიმიტრი — 77—79, 90—93
ორბელიანი ლუარსაბ — 71
ორჯონიკიძე ე. — 23, 27, 79
ორლოვი — 149, 161, 263
ოსტროუხოვი — 161, 243
ოსტოლოპოვი — 160

პაიჭაძე გიორგი — 56, 66, 254
პანოვი — 137
პაპავ თ. — 30, 184
პაპავა ნ. — 20
პავლენკო იაკობ — 155
პანკრატიევი — 167
პატრი იოსები — 176
პატრი ნიკოლა — 189
პასკევიჩი ი. — 11, 124, 127, 155, 276
პაულუჩი ფ. — 106, 109, 110, 118, 124, 128, 143, 169, 170, 191, 192, 193, 208, 209, 257
პატარიძე ივანე — 150
პატარიძე გოგია — 150
პატარიძე კიკოლა — 150
პაცოვსკი ანდრეი — 132, 133, 271
პახომოვი ე. — 42
პერეკრესტოვი ივანე—148, 154, 176, 278
პეისონელი — 42, 43
პოპოვი — 137
პოლეტაევი ალ. — 149, 154
პოლიევკტოვი მ. — 9, 10, 17, 171
პოტტო ვ. — 20, 21, 98, 99, 118, 232, 236
პუზირევსკი ი. — 114, 117, 121, 126, 131, 132, 242—246, 259
პურადაშვილი ივანე — 131
პურადაშვილი ისააკ — 131
ჟორდანია გ. — 140, 187
ჟორდანია თ. — 10, 140, 187, 235
ჟიხარევი სტეფანე — 132, 150
ჟღენტი მარიამი — 178
რადჩენკო — 137, 278
რატიანი პ. — 241
რეხვიაშვილი მ. — 27, 189
რეინეგსი — 34
რიკჰოფი იონა — 71, 75—77, 152
რიპარდი — 206
რიუფენი — 187
როზენი, — 26, 91, 92, 117, 170, 215, 281
რუსანოვი თეოფილაქტე — 236, 238, 241, 273
რობაქიძე ა. — 38
რუმიანცევი — 104, 191, 192

რუხაძე ტრ. — 57, 153
რუხაძე ჯ. — 36
რტიშჩევი — 108, 118, 140, 143, 145, 148, 169, 170, 195, 196, 210, 211, 214, 221, 222, 232, 258, 259, 260

სალია კალისტ. — 29
საფარ-ბეი — 269
საღინაძე — 155
საყვარელიძე ხუცია — 162
საყვარელიძეები — 48, 50
სეიდ სულეიმანი — 194
სიმონოვიჩი, თ. — 14, 79—83, 85, 86, 89—93, 96, 97, 99, 101—103, 106, 107, 111, 116, 118—120, 131, 132, 135, 138, 154, 158, 160, 161, 167, 174, 175, 177, 178, 180, 181, 183, 184, 186, 188—191, 193, 196—203, 208—210, 221, 232, 256, 257
სისოევი — 176
სოკოლოვი ა. — 12, 34, 62
სოკოლოვი — 161, 218, 278
სოლომონ I — 35, 41, 43, 47, 53, 54, 57, 58, 59, 75, 84, 90, 153, 178, 184, 235, 240, 248
სოლომონ II — 3, 7, 12, 20—22, 26—28, 30, 34, 45—47, 49, 50—52, 54, 55, 60—85, 87—90, 92—94, 97—101, 105, 108, 111, 116, 118, 144, 150, 151—153, 160, 172, 174, 175, 177, 178, 180, 181, 185—196, 200, 201, 203, 204, 209, 212, 214, 222, 235, 257
სოსელია ოლია — 13, 44, 177, 179, 180, 212, 216, 235, 236, 246, 248
სოფრონიოს ნიკოლოზ. წმინდელი, მიტ. — 51, 88, 164, 231, 236, 251, 261, 262, 273
სელიმ-ფაშა (ხიმშიაშვილი)—193, 194, 255
სნეკსარევი — 269
სპესივცევი — 159
სტაროსვეტსკი — 154
სტაროვი — 263
სურგულაძე ი. — 23

ტაბაღუა ი. — 187, 188
ტარლე ევგ. — 122, 125
ტიმოფეევი — 137
ტირუტი — 137
ტორმასოვი ალ. — 77—86, 88, 89, 90—93, 97—99, 101—103, 107, 116, 118, 124, 135, 153, 160 167, 170, 175, 177, 180—186, 188—190, 192, 193, 199 — 203, 207, 214, 223, 229, 253, 256—258, 266, 269, 270
ტრემელეევი ოსიპ — 149, 154
ტყავაძე — 50

უგრეხელიძე ბერი — 162
უსლარი — 271
უტრე — 188
უშაკოვი — 85
უხოვი — 155

ფათალი ხანი — 189
ფალავანდიშვილი იასე — 205
ფეი ლაბურ-მობურგი — 187
ფედოროვი — 137
ფეიქრიშვილი სტეფანე — 168
ფირალოვი ანტონი — 146
ფირკი ბარონი — 225
ფირცხალაიშვილი, ა. — 10, 25, 93, 94, 141, 142, 171, 255, 261
ფირცხალავა სეიმონი კუტი — 55, 67

ქართველიშვილი იოანე — 58
ქაჯაია დავით — 220
ქორქიევი (ქორქაშვილი) — 160, 166
ქუთათელაძე ლ. — 57

ყანჩაველი იესე — 177, 195
ყიფიანი გარსევან — 162
ყიფიანი დიმიტრი — 129, 130, 137, 138
ყიფიანი მ. — 21
ყიფიანი მანუჩარ — 134
ყიფიანი სიმონი — 202
ყიფიანი ქუჩუ — 162

შამილი — 96
შარაშიძე ქრ. — 56
შარვაშიძე ასლან-ბეი — 270
შარვაშიძე მანუჩარ — 253
შარვაშიძე მიხეილ — 254, 268
შარვაშიძე გიორგი — 268, 270
შარვაშიძე დიმიტრი — 270
შარვაშიძე ქელეშ-ბეი — 268
შახოვსკი — 271
შენგელია, ნ. — 46, 187
შურიფ-ფაშა — 152, 193
შკლიარევსკი — 161
შტუბე გერმან — 31

ჩახუნაშვილი ზალიკო — 205
ჩერნიკოვი ალექსი — 132, 168
ჩიტაია გ. — 38
ჩიქოვანი გიორგი — 150
ჩიჯავაძე ვახუშტი — 51, 52, 133, 153, 162, 213
ჩიჯავაძე ნიკო — 205
ჩიჯავაძე გიორგი — 205, 206
ჩიჯავაძე ანტ. მთ. ეპ. — 146
ჩიჯავაძეები — 54
ჩუდინოვი ვ. — 12, 89, 120, 177, 200
ჩუვილდევი — 155
ჩხატარაიშვილი, ქე. — 126, 235, 257, 260
ჩხეიძე ბექან — 134, 155
ჩხეიძე გრიგოლ — 242
ჩხეიძე იაგორ — 220
ჩხეიძე დავით — 148, 149, 154, 213, 264
ჩხეიძე ოტია — 23, 213
ჩხეიძე სიმონ — 150
ჩხეიძე ქაიხოსრო — 107
ჩხეიძეები — 210
ჩხეტია შ. — 172, 173

ცაგარელი ა. — 43
ცაგარეიშვილი — 220
ცაცა — 161
ცინცაძე, ზ. — 114, 115
ციციანოვი (ციციშვილი) პავლე—63, 64, 65, 66, 67, 68, 69, 70, 71, 73, 74, 115, 118, 119 123, 164, 179, 192, 255
ცქიტიშვილი გ. — 32, 33
ცქიტიშვილი ზ. — 234

.
წერეთელი აკაკი — 3
წერეთელი ბერი — 177
წერეთელი გ. ზ. — 19, 115, 139, 152 160, 188, 191, 201, 202, 206 215, 240, 241, 279
წერეთელი გიორგი — 49, 51
წერეთელი ბექან — 240, 242, 245
წერეთელი დავითი, მიტ. — 20, 191, 201, 208, 249,
წერეთელი დოსითეოსი-ქუთათელი — 51, 87, 88, 210, 233, 234 240 242, 243, 245
წერეთელი დიმ გრ. — 19
წერეთელი ზურაბი — 19, 47, 51, 55 56, 57, 63, 70, 71, 74, 75, 76 77, 78, 79, 80, 81, 82, 84, 85, 89. 102 107, 109, 110, 115. 116, 119 133, 139, 142, 146 151, 152, 161-163, 181-183, 200-202 214, 215, 224, 233, 240, 241, 258
წერეთელი მართა, ზურ. ასული—181
წერეთელი ნესტ. დიმ. — 19
წერეთელი ვახუშტი — 133
წერეთელი ნიკოლოზ — 50, 213

წერეთელი სიმ. ზურაბის-ძე—19, 51, 177, 178, 182, 214
წერეთელი სიმონ მეღვინეთუხუცესი — 49, 51
წერეთელი სვიმონ გიორგის ძე — 177
წერეთელი სალომე — 126
წერეთელი კალისტ. — 155, 213
წერეთელი ქაიხოსრო—65, 82, 89, 126 177, 186, 188, 189 261
წერეთელი როსტომ — 161, 177
წერეთლები. — 18, 48, 51, 53, 54, 204 210, 215
წულუკიძე ალმასხან — 226
წულუკიძე ბერი — 47, 178, 226
წულუკიძე ბეკო — 226
წულუკიძე ბუპუა — 226
წულუკიძე ბეჟან — 51, 213
წულუკიძე გიორგი — 162, 226, 240, 248, 262
წულუკიძე გიგო — 213
წულუკიძე გულქან — 178
წულუკიძე დავით — 51, 72, 133, 148 153, 167, 179, 213 226
წულუკიძე ივანე — 226
წულუკიძე ზურაბ — 226
წულუკიძე კაცია — 51, 167
წულუკიძე მერაბ — 247, 248
წულუკიძე პაატა — 226
წულუკიძე ოტია — 51, 85, 92, 153
წულუკიძე ლევან — 133, 247
წულუკიძე სეხნია—51, 65, 71, 82 85 92, 99, 107 133, 153, 200 213, 240, 242, 243, 245, 261
წულუკიძე სვიმონ — 51, 167, 226
წულუკიძე ყარამანი — 149
წულუკიძეები—47, 51, 52, 53, 54, 210

ჭელიძე გიორგი — 150
ჭილაშვილი ი. — 236, 263
ჭოღოშვილი ანანია — 133, 134, 153
ჭყონია ილია — 31
ჭყონიები — 265

ხანთაძე შოთა — 140, 187
ხატუნცოვი, ი. — 14, 120, 131, 140, 145
ხაჭაპურიძე გ. — 24, 26, 204
ხახანაშვილი ალ. — 21, 27, 28, 87, 185
ხელთუბნელი მიხ. — 241
ხელაია ამბროსი — 245

ჯავახიშვილი ივანე—3, 6, 22, 37, 58 232
ჯანაშია სიმონი—81
ჯაოშვილი ე. — 34, 35
ჯაფარიძე დავით — 134
ჯაფარიძე ბეჟან — 163
ჯაფარიძე ოტია — 163
ჯაფარიძეები — 48
ჯიქია ს. — 55, 187
ჯორჯაძე არჩ. — 130

წყაროები და ლიტერატურა

I. წყაროები

A. გამოუქვეყნებელი.

1. საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი (ცცსსა)

ფონდი No.2 — ამიერკავკასიის მხარის მთავარმმართველის კანცელარია (1801-1846 წწ.), აღწერა 1.
საქმეები No.197, 255, 427, 617, 771, 906, 918, 1007, 1008, 1118, 1119, 1278, 1154, 1455, 1485, 1596, 1871, 2392, 2593, 2820, 2822, 3059, 3061, 3337, 3338, 3354, 3355, 3357, 3369, 3371, 3721, 3971, 3976, 4181, 4205, 4569, 4577, 4985, 5272, 5618, 5621, 5640, 6085, 6225, 6226, 6368, 6414, 6502, 6586, 6655.

ფონდი No.16 — საქართველოს სამოქალაქო გუბერნატორი, აღწ. 1.
საქმეები No.844, 846, 1056, 2533.

ფონდი No.234 — საქართველოსა და იმერეთის სამეფო დოკუმენტების განმხილავი კომისია (1830-1839 წწ.), აღწ. 1.
საქმეები No.1, 2, 3, 4, 5, 9, 11, 18, 19, 20, 21.
აღწერა 2—საქმეები No.1, 2, 5/20, 9, 14/1211, 16, 18/8113, 20/8113, 28, 32/9113, 55/22141, 68/93115.

ფონდი No.488 — საქართველოს ეგზარქოსის კანცელარია, აღწ. 1.
საქმეები No.132, 357, 361, 362, 480, 512, 575, 659, 867, 1058.

ფონდი No.489 — საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორა (1815-1840 წლების საბუთები), აღწ. 1.
საქმეები No.180, 190, 205, 285, 323, 953, 1916, 1960, 1983, 2011, 2017, 2018, 2025, 2072, 2082, 2085, 2177, 2192, 2367, 2385, 2392, 2415, 2491, 2602, 2662, 2939, 3078; 3301.

ფონდი No.1087 — კავკასიის სამხედრო ოლქის შტაბის სამხედრო-ისტორიული განყოფილება (1815-1920 წწ.), აღწ. 1.
საქმე No.194.
აღწერა 2 — საქმეები No.228, 234, 235, 311, 317,

ფონდი No. 1448—ძველ საბუთთა დედნების კოლექცია, აღწ. 1.
საქმეები No.504, 1302, 1305, 3651, 5807, 5873, 6171, 6408, 6524, 6548, 6709, 6723, 6724, 6725, 6775, 6794, 6804, 6827, 6837, 6858, 6900, 6910, 6911, 6914, 6940, 6969, 7100, 7101, 7110, 7117, 7125, 7126, 7140, 7167 7386, 7390, 7425, 7586, 7686, 7725, 7774, 7801, 7856, 7902, 7925, 7964, 7975, 8247, 8404, 8584, 8591, 8604, 8607, 8620, 8872, 8915, 8918, 8921, 8825, 8927, 8934, 8938, 8940, 8941, 8942, 8943, 8945, 9137, 9296, 9311, 9312-9317, 9321-9324, 9327, 9328, 9332, 9333, 9335, 9351, 9519, 9593, 9594, 9595, 9598, 9599, 9600, 9601, 9842, 10031, 10309.

2. საქართველოს კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი.

ფონდი Sd — No.1578, 1593, 1609, 1621, 1655, 1658, 5304, 5320, 5321.
Hd—No. 9666.
H—No. 2784.

წერეთლების ფონდი No. 36

ა) ზურაბ ქაიხოსროს ძე წერეთლის ფონდი — დოკუმენტები No. 23, 24, 31, 41, 46, 54, 55, 58, 61, 80, 82, 87, 90, 133, 134, 135, 136, 137, 138.

ბ) გრიგოლ ზურაზის ძე წერეთლის ფონდი — დოკუმენტები No. 4, 5, 6, 7, 8, 9, 10, 11, 12, 45, 47, 48, 61, 64, 65, 78, 88, 98, 103, 121, 128, 129, 130, 131, 144, 152, 168, 169, 185, 187, 191, 195, 196, 207, 234, 235, 249, 262, 263, 266, 294, 299, 301, 309.

გ) დიმიტრი გრიგოლის ძე წერეთლის ფონდი—დოკუმენტები No. 7, 8, 9, 50.
დ) ნესტორ დიმიტრის ძე წერეთლის ფონდი—დოკუმენტი No. 91.
ე) ალექსანდრე გრიგოლის ძე წერეთელი—დოკუმენტი No.1
ვ) სიმონ ზურაბის ძე წერეთელი—დოკუმენტები No. 1,6.

3. ქუთაისის ცენტრალური სახელმწიფო არქივი (ქცსა)

ფონდი No.175 — იმერეთის დროებითი მმართველობა (ფონდის ყველა საბუთი).

ფონდი No.176 — ქუთაისის სამაზრო მმართველობა (1840 წლის საბუთები)

ფონდი No.8 — ქუთაისის საგუბერნიო მმართველობა (1846-1850 წლების საბუთები).

ფონდი No.21 — იმერეთის ეპარქიალური კანცელარია (1819-1840 წლების საბუთები).

ფონდი No.26 — იმერეთის სინოდალური კანტორა (1826-1840 წლების საბუთები).

ფონდი No.7 — ქუთაისის სასულიერო სასწავლებელი (1821-1840 წლების საბუთები).

4. ქუთაისის ნ. ბერძენიშვილის სახელობის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი, ხელნაწერთა განყოფილება.

ისტორიულ საბუთთა ფონდი — No. 85, 109, 452, 833, 889, 840, 891, 944, 989, 990, 991, 994, 996, 1035, 1138, 1338, 2025, 2340.

B) გამოქვეყნებული.

1. ავალიშვილი გიორგი, მგზაურობა თბილისიდან იერუსალიმამდე. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო ელ. მეტრეველმა. თბ., 1967.

2. გამბა ჟან ფრანსუა, მოგზაურობა ამიერკავკასიაში..., ფრანგულიდან თარგმნა, კომენტარები დაურთო მზია მგალობლიშვილმა, ტ. I, თბ., 1987.

3. გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში. გერმანული ტექსტი თარგმნითურთ გამოსცა და გამოკვლევები დაურთო გ. გელაშვილმა, ტ. I. თბ., 1962.

4. გორჩაკოვი პ., საერო განცხადება მცხოვრებთადმი იმერეთისათა (რუსული ტექსტის სათაურია Прокламация к жителям Имеретии), ქუთ., 1821. ქართული წიგნ. ბიბლიოგრაფია, I, თბ., 1941.

5. გორჩაკოვი პ., გამოცხადება სრულიად იმერეთსა შინა. ქუთ., 1822 (ქართული წიგნი. ტ. I).

6. დადიანი ნიკო. ქართველთ ცხოვრება. ტექსტი გამოსცა, წინასიტყვაობა, გამოკვლევა, კომენტარები, საძიებლები და ლექსიკონი დაურთო შ. ბურჯანაძემ, თბ., 1962.

7. ვახტანგ VI, სამართლის წიგნი. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა თ. ენუქიძემ. თბ., 1955.

8. ზაქარია არქიმანდრიტისა და ოსე გაბაშვილის წერილები იმერეთის ყოფილ დედოფალ ანნას მიმართ (1814-1824 წწ.), ხელნაწერის უფლებით. პუბლიკატორი და რედაქტორი სარგის კაკაბაძე, თბ., 1959.

9. თავგადასავალი იმერთა მეფის სოლომონ დიდის შვილის-შვილის, ბატონიშვილი გიორგის, ჟურნ. „მოამბე", 1900, No.5.

10. იოანე ბატონიშვილი, კალმასობა, კ. კეკელიძისა და ა. ზარამიძის რედაქციით, თბ., 1936,

11. მასალები საქართველოს ეკონომიკური ისტორიისათვის, გამოსცა ნ. ბერძენიშვილმა, თბ., 1938.

12. ნიკოლაძე ევ., ქუთაისის მუზეუმის ხელნაწერთა აღწერილობა, ტ. I, თბ., 1953.

13. რუსეთის დამყარება საქართველოში, თბ., 1905.

14. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ისტორიული დოკუმენტები და არქივები, II, ისტორიული დოკუმენტები, წიგნი I, იმერეთის პოლიტიკური საბუთები (1784-1810), ტექსტი შენიშვნებითა და საძიებლებითურთ გამოსაცემად მოამზადა მ. ბურჯანაძემ, თბ., 1953.

15. საქართველოს სიძველენი, ტ. III, ტფ., 1910.

16. სოსელია ო., მასალები კლასობრივი ბრძოლის ისტორიისათვის ფეოდალური ხანის დასავლეთ საქართველოში (XVIII ს. მიწურულიდან XIX ს. 40-იან წლებამდე), თბ., 1960.

17. ჟორდანია თ., ქრონიკები და სხვა მასალები საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა, წიგნი მესამე (1700 წლიდან XIX ს. 60-იან წლებამდე), გამოსაცემად მოამზადეს გივი ჟორდანიამ და შოთა ხანთაძემ, თბ., 1967.

18. ყიფიანი დიმიტრი, მემუარები, თბ., 1990.

19. Акты, собранные Кавказской археографической комиссией, Издание Архива Главного управления Наместника Кавказа, под ред. А. П. Берже, т. I-XII, Тиф., 1866-1904.

20. Броневский С., Новейшие географические и исторические известия о Кавказе, ч. I, м., 1823.

21. Бутков П., Материалы для новой истории Кавказа с 1722 по 1803 гг. СПб., 1869.

22. Гнилосаров П., О царе Соломоне II и бывшем при нём управлении, Кавказский календарь на 1859, Тиф., 1858.

გნილოსაროვი პ., მეფე სოლომონ მეორეზე და მის დროს გამგებლობასა ზედა (რუსულითგან თარგმანი მ. ყიფიანისა), „ცისკარი", 1859, No.12; 1860, No.1; გაზ. „ქვალი", 1900, No.24, ჟურნ. „მწყემსი", 1900, No.12.

23. Гнилосаров П., Очерки из жизни Митрополита Давида, Кавказский календарь на 1853 г., Тиф., 1852.

24. Записки И. П. Дубецкого, Русская старина, 1895, апр. ქართული თარგმანი დაიბეჭდა, „მოამბე", 1896, No. 9.

25. Записки А. П. Ермолова, 1798-1826, м., 1991.

26. Записки Н. Н. Муравьева-Карского, Русский Архив, 1882, кн. 11, 1886, кн. 5.

27. Кавказские военачальники в их приказах, Русская старина, 1886, т. 50.

28. Литвинов П., Описание Имеретии и Мингрелии, Акты..., т. II, Тиф., 1868.

29. Лаврентьев. Статистическое описание Кутаисского генерал-губернаторства, СПб., 1858.

30. Подвиги русских войнов в странах Кавказских, с 1800 по 1834 г., Описанные Пл. Зубовым, т. I, ч. I, СПб., 1835; т. II, ч. 4, СПб., 1836,

31. Полиевктов М., Архивное «дело» о восстании в Имеретии, Гурии и Мингрелии в 1819—1820 гг., საისტორიო მოამბე, წიგნი II, ტფ., 1924.

32. Сборник сведении о Кутаисской губернии, вып. 6, т. I, (История присоединения Имеретии к Российской Империи по документам изданным Кавказской археографической комиссией), Кут. 1887.

33. Сельское хозяиство и аграрние отношении, под ред. П. Гугушвили, т. I, Тб., 1938.

34. Соколов А., Путешествие мое в Имеретию с линии Кавказской, мое там у царя прибывание, с ним сношение и обратное оттуда путешествие в Грузию, м. 1874.

35. Пурцеладзе, Грузинские дворянские грамоты, Тиф., 1881.

36. Чудинов В., Имеретинская неурядица в 1809-1810 гг. Кавказский сборник, тт. XV, XVI, Тиф., 1894, 1895.

37. Шаховский, князь И. Воспоминания о Кавказе, Военный сборник, 1867. г. No.9-10

38. Шесть писемь о Грузии и Кавказе, писанныя в 1833 г. Платоном Зубовым, м. 1834.

39. Энгольм, Краткое обозрение Имеретии, Гурии, Мингрелии и Абхазии, 1817.

II. ლიტერატურა

1. აბესაძე რ., სამეფო დომენის სამოხელეო აპარატი იმერეთში XVIII ს. მეორე ნახევარში, კრ. ქუთაისის ისტორიული მუზეუმის მასალები, თბ., 1971.

2. აბულაძე ც., ტრაპიზონის ფაშის სეიდ სულეიმანის წერილები სოლომონ მეორესთან, მრავალთავი, ფილოლოგიურ-ისტორიული ძიებანი, ტ. I, თბ., 1971.

3. აბულაძე ც., ოთხი თურქული დოკუმენტი იმერეთის მეფის სოლომონ II-ის შესახებ, თბილისის უნივერსიტეტის შრომები, ტ. 121, აღმოსავლეთმცოდნეობის სერია, VII, თბ., 1967.

4. ავალიანი გ., რუსი და ქართველი ხალხების საბრძოლო თანამეგობრობის ისტორიიდან, თბ., 1967.

5. აკოფაშვილი გ., საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიიდან საქართველოში XVIII ს. დასასრულს, საქ. მეცნ. აკად. ივ. ჯავახიშვილის ისტორიის ინსტიტუტის შრომები, ტ. I, თბ., 1955.

6. აჯიაშვილი ჯემალ, გამოიღვიძე ქნარო, თბ., 1992.

7. ბარათაშვილი მ., ოსე გაბაშვილის ცხოვრება, ჟურნ. „განთიადი", 1980, No. 4.

8. ბარათაშვილი ნიკოლოზ, თხზულებანი, თბ., 1968.

9. ბენდიანიშვილი ა., ეროვნული საკითხი საქართველოში 1801-1921, თბ., 1980.

10. ბერძენიშვილი ნ., საქართველოს XIX ს. პირველ მეოთხედში, საქართველოს ისტორიის საკითხები, წიგნი II, თბ., 1965.

11. ბერძენიშვილი ნ., Н. Б. Махарадзе—Восстание в Имеретии 1819-1820 гг., წიგნში საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. V, თბ., 1971.

12. ბერძენიშვილი ნ., სამღვბროთა შესახებ XVIII ს. საქართველოში, საქართველოს ისტორიის საკითხები, წიგნი, IV, თბ., 1967.

13. ბერძენიშვილი მაქსიმე, მასალები XIX ს. პირველი ნახევრის ქართული სახოგადოებრიობის ისტორიისათვის, I, თბ., 1980; II, თბ., 1983.

14. ბესიკი, თხზულებათა სრული კრებული, ალ. ბარამიძისა და ვ. თოფურიას რედაქციით, თბ., 1962.

15. ბერაძე თ., ცქიტიშვილი გ., იმერეთის სამეფოს პოლიტიკური საზღვრები, საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული, ტ. IV, თბ., 1971.

16. ბერიძე ვუკ., სვიმონ კუტი-ფირცხალავა (ქვემო იმერეთში წერა-კითხვის გავრცელების ისტორიისათვის), სწავლა-აღზრდის ისტორიისათვის საქართველოში, მასალების კრებული, წიგ. I, ტფ., 1937.

17. ბურჯანაძე შ., თავადი ზურაბ წერეთელი, აკად. ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, XX, თბ., 1959.

18. გავაშელიშვილი ივ., ერთი სოფლის ისტორია (სოფ. ღვანკითი), თბ., 1992.

19. გასვიანი გ., დასავლეთ საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური ვითარება და რუსეთთან შეერთება XVI—XIX სს., თბ., 1988.

20. გასვიანი გ., დასავლეთ საქართველოს მთიანეთის ისტორიიდან, თბ., 1973.

21. გოზალიშვილი გ., 1832 წლის შეთქმულება, ტ. I, ტფ., 1935; ტ. II. თბ., 1970; ტ. III, თბ., 1976.

22. გონიკიშვილი მ., ბაგრატიონთა დასახლება და მოღვაწეობა რუსეთში, თბ., 1986.

23. გონიკიშვილი მ., შენიშვნები იმერეთის სამეფოს გაუქმების შესახებ, მსკი, ნაკ. 34, თბ., 1962.

24. გონიკიშვილი მ., ნიკოლოზ იმერეტინსკის „Багратиды в России", კრ., საქართველოს ფეოდალური ხანის ისტორიის საკითხები, ტ. I, თბ., 1970.

25. გონიკიშვილი მ., იმერეთის სამეფო XVIII—XIX საუკუნეების მიჯნაზე, თბ., 1979.

26. გონიკიშვილი მ., იმერეთის უკანასკნელი მეფის სოლომონ II-ის ეკვდერი ტრაპიზონში, კრებული 36-ე, თბ., 1974.

27. გრიგოლია კ., იმერეთის სახელმწიფოებრივი წყობილება XVII ს., თეზისები, თბ., 1942.

28. გუგუშვილი პ., მარცვლეულის მეურნეობა საქართველოსა და ამიერკავკასიაში, თბ., 1954.

29. გუგუშვილი პ., მიწათმოქმედების გაუმჯობესებული იარაღები საბჭოთამდელ ამიერკავკასიაში, ეკონომიკის ინსტიტუტის შრომები, II, 1947.

30. გუგუშვილი პ., საქართველოს და ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარება XIX—XX სს., ტ. I, თბ., 1949.

31. დათუაშვილი ზ., ტრაქტატი მეფე-მთავართა. ორასწლოვანი სევდა, ქუთ., 1993.

32. დუმბაძე, მ., დასავლეთ საქართველოს XIX ს. პირველ ნახევარში, თბ., 1957.

33. დუმბაძე მ., გურიის სამთავროს სოციალურ-ეკონომიკური ვითარება XIX ს. პირველ მესამედში, მსკი, ნაკ. 30, თბ., 1954.

34. ვანიშვილი შ., ამიერკავკასია რუსეთის მმართველობის სისტემაში 1864-1917 წწ., თბ., 1989.

35. ვაკრიძე გ., ვაკრიძე პ., იმერეთის ოლქის პირველი ქართველი მმართველი. გაზ. „იმერეთის მოამბე", 1996, 30/I, No.9-10.

36. ვაკრიძე პ., როტაციონის ბრუნავს მანქანა, ქუთაისში წიგნის ბეჭდვის ისტორიიდან (1800-1821 წწ.), ქუთ. 1973.

37. ვეშაპელი გრიგოლ, საქართველო და რუსეთი, თბ., 1918.

38. იობაშვილი გ., დასავლეთ საქართველოს ქალაქები XIX საუკუნის რეფორმამდელ პერიოდში (სოციალურ-ეკონომიკური განვითარება), თბ., 1983.

39. იოსელიანი პლატონ, ცხოვრება გიორგი მეცამეტისა, თბ., 1978.

40. კაკაბაძე სარგის, დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები, წიგ. II, ტფ., 1921.

41. კაკაბაძე ს., მასალები იმერეთის სახელმწიფოებრივი მდგომარეობის შესახებ XVII ს., საისტორიო მოამბე, წიგ. I, ტფ., 1925.

42. კაკაბაძე ს., მასალები დასავლეთ საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური ისტორიისათვის, საისტორიო კრებული, I, 1924.

43. კაკაბაძე ს., საფრანგეთის სავაჭრო კაპიტალი საქართველოს მიმართ XVIII ს., ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, I, ქუთ. 1940.

44. კაკაბაძე ს., იმერეთის სამეფოს გაუქმება (დოკუმენტები), საისტორიო მოამბე, ტ. IX, თბ., 1956.

45. კაკაბაძე ს., ქუთაისის ციხის ოსმალების მეთაურთა ვინაობისათვის, საისტორიო კრებული, წიგნი III, ტფ., 1928.

46. კაკაბაძე ს., ქართველი ხალხის ისტორია 1783-1921, თბ., 1997.

47. კაკაბაძე ს., საქართველოს მოკლე ისტორია, ახალი საუკუნეების ეპოქა, ტფ., 1920.

48. კაპარავა ი., იმერეთის რუსეთთან შეერთების საკითხი ცარიზმის საგარეო პოლიტიკაში, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში დაცული საკანდიდატო დისერტაცია, 1941.

49. კიკვიძე ა., საქართველოს ისტორია (1801-1890 წწ.), თბ., 1977.

50. კიკვიძე, ა., საქართველოს ისტორია (XIX საუკუნე), თბ., 1954.

51. კიკნაძე ლია, ჭილაძე ვასილ და საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორა, კრ., საქართველოს ეკლესიის, ქართული სასულიერო მწერლობის და ქრისტიანული ხელოვნების ისტორიის საკითხები, თბ., 1998.

52. კიღურაძე გ., საფრანგეთ-საქართველოს ისტორიული და კულტურული ურთიერთობის ისტორიიდან, „მნათობი", 1971, No. 1.

53. კოპალიანი ჯუმბერ, მოურავის სახელო ფეოდალურ საქართველოში, თბ., 1982.

54. ლომაშვილი ფ., საქართველოს ისტორია (1801-1918), თბ., 1992.
55. ლომინაძე, ბ., მასალები დასავლეთ საქართველოს XVII—XVIII სს. ისტორიის ქრონოლოგიისათვის, მსკი, ნაკ. 31, თბ., 1954.
56. ლომსაძე შ., სამცხე-ჯავახეთი (XVIII საუკუნის შუაწლებიდან XIX საუკუნის შუაწლებამდე), თბ., 1975.
57. ლორთქიფანიძე გრ., ფიქრები საქართველოზე, თბ., 1995.
58. მაისურაძე ნ., მწიგნობარ გაბაშვილთა ოჯახი, ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, ტ. IXIV, ქუთ., 1955.
59. მამისთვალიშვილი ელდარ, ქართველ ებრაელთა ისტორია, თბ., 1995.
60. მასალები დასავლეთ საქართველოს სათავადოების მმართველობის ისტორიისათვის, მსკი, ნაკ. 31, თბ., 1954.
61. მენაბდე ლ., ძველი ქართული მწერლობის კერები, ტ. I, ნაკ. II, თბ., 1962.
62. მესხია შ., ფეოდალური საქართველოს ქალაქები და საქალაქო წყობილება XVII—XVIII სს., საისტორიო ძიებანი, ტ. II, თბ., 1983.
63. ორბელიანი გრიგოლ, თხზულებათა სრული კრებული, თბ., 1959.
64. ორჯონიკიძე ე., რუსული მმართველობის დამყარება საქართველოში (XIX ს. I ნახევარი), თბ.), 1992.
65. პაიჭაძე გ., იმერეთის სამეფოსა და რუსეთის იმპერიის 1804 წლის შეთანხმება, კრ., ქართული სამეფო-სამთავროების საგარეო პოლიტიკის ისტორიიდან, II, თბ., 1973.
66. პაპავა თამარ, დიდი სახეები პატარა ჩარჩოებში, თბ., 1990.
67. პაპავა ნ., XIX საუკუნის საქართველოს ისტორიის საკითხები ოფიციალურ რუსულ ისტორიოგრაფიაში (ვ. პოტტო), საქართველოს მთავარი საარქივო სამმართველოს სამეცნიერო-საინფორმაციო ბიულეტენი, No.53-54, თბ., 1988.
68. ჟორდანია ნ., კიდევ სადაო კითხვები (ისტორია), რჩეული ნაწერები, თბ., 1911.
69. ჟორდანია ნ., ქართველი ხალხი და ნაციონალიზმი, რჩეული ნაწერები, თბ., 1911.
70. რატიანი პ., ცოცხლად დამარხული ტალანტი (ავთანდილ თუმანიშვილი), თბ., 1982.
71. რეხვიაშვილი მიხეილ, იმერთა მეფენი—სოლომონ პირველი და სოლომონ მეორე, ქუთ., 1992.
72. რეხვიაშვილი მ., იმერეთის სამეფო 1462-1810, თბ., 1989.
73. რობაქიძე ა., მეფუტკრეობის ისტორიისათვის, თბ., 1960.
74. როგავა გივი, საქართველოს ეკლესიის ისტორია (ლექციების კურსი), თბ., 1996.
75. რუხაძე ტრ., ქართული ეპოსი „გარდამავალი ხანის" ლიტერატურაში, თბ., 1939.
76. რუხაძე ტრ., ძველი ქართული ლირიკის ისტორიიდან, თბ., 1954.
77. რუხაძე ჯ., ღომის კულტურა დასავლეთ საქართველოში, კრ., მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, II, თბ., 1960.

78. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, თბ., 1973.

79. სოსელია ო., ნარკვევები ფეოდალური ხანის დასავლეთ საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური ისტორიიდან (სათავადოები), I, თბ., 1973; II, თბ., 1981; III, თბ., 1990.

80. სურგულაძე ივ., ნარკვევები საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიიდან, თბ., 1965.

81. ფირცხალაიშვილი ალ., რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან, თბ., 1955.

82. ტაბაღუა ილია, საქართველო-საფრანგეთის ურთიერთობის ისტორიიდან (XVIII ს. მიწურული—XIX ს.-ის დასაწყისი), თბ., 1974.

83. ტაბაღუა ი., ფრანგი ისტორიკოსი ნაპოლეონ I-ის დროს საფრანგეთისა და იმერეთის ურთიერთობის შესახებ, მაცნე, ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიის და ხელოვნების ისტორიის სერია, 1974, No. 4.

84. ტაბიძე, გ., აკაკი წერეთელი, პოემა, თბ., 1941.

85. ტაბიძე ტ., ცისფერი ყანწებით, ჟურნ. „ცისფერი ყანწები", 1916, No. 2, ქუთ., 1990.

86. ქორთუა ნ., საქართველო 1806-1812 წლების რუსეთ-თურქეთის ომში (რუსი და ქართველი ხალხების საბრძოლო თანამეგობრობის ისტორიიდან), თბ., 1964.

87. ქუთათელაძე, ლ., ბესიკის ზოგიერთი „სადავო" ლექსის ავტორისათვის, „მნათობი", 1958, No. 3.

88. შენგელია ნ., სახლთუხუცესის თანამდებობა იმერეთის სამეფოში, ქუთაისის პედინსტიტუტის შრომები, I, ქუთ. 1940.

89. შენგელია ნ., ჯიქია ს., ოსმალეთთან სოლომონ II ურთიერთობის ერთი ეპიზოდი (წარმოადგინა აკად. გ. წერეთელმა), საქ. სსრ. მეცნ. აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების მოამბე, No. 3, 1963.

90. ჩარკვიანი ა., სვანეთი (XIX ს. მეორე ნახევარსა და XX ს. დასაწყისში), თბ., 1967.

91. ჩიტაია გ., რაჭული სახვნელი, ენიმკის მოამბე, I, თბ., 1957; ჩიტაია გ., მასალები საქართველოს სახვნელი იარაღების ისტორიისათვის, საქართველოს მუზეუმის მოამბე, V, თბ., 1930.

92. ცინცაძე ზურაბ, იმერეთის გვიანი შუა საუკუნეებისა და 10-იანი წლების ტერიტორიულ-ადმინისტრაციული დაყოფა, მაცნე, ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია, 1988, No. 3.

93. ცქიტიშვილი ზ., მაქსიმე კათალიკოსი, წიგნში „საქართველოს სახელმწიფო მოღვაწენი", XVIII ს. მეორე ნახევარი—XIX ს. დამდეგი, თბ., 1980.

94. წერეთელი აკაკი, კიკოლას ნაამბობი, რჩეული ნაწარმოებები ხუთ ტომად, ტ. II, თბ., 1989.

95. წერეთელი აკ., ჩემი თავგადასავალი, რჩეული, ტ. III, თბ., 1989.

96. წერეთელი აკ., სოფელ ალის აოხრება, რჩეული, ტ. III, თბ., 1989.

97. წერეთელი აკ. ბატონი იონა მეუნარგია და მისი დიპლომატია, ტ. V, თბ., 1990.

98. ჭავჭავაძე ალ. რჩეული, თბ.,

99. ჭავჭავაძე ილია, მგზავრის წერილები, რჩეული ნაწარმოებები, ხუთ ტომად, ტ. II', თბ., 1985.

100. ხახანაშვილი ალ., იმერეთის მეფე სოლომონ მეორე, ისტორიული წერილი, თბ., 1911.

101. ხაჯაპურიძე გ., დასავლეთ საქართველოს შეერთება რუსეთთან, შრომები, ტ. II, თბ., 1958.

102. ხელაია, ა., მე შევასრულე ჩემი მოვალეობა, ჟურნ. „მნათობი", 1988, No. 10.

103. ხელთუბნელი მიხ., სალიტერატურო-საზოგადოებრივი წარსულიდან (მიხეილ თუმანიშვილის ცხოვრება და მოღვაწეობა), თბ., 1938.

104. ხუსკივაძე თეოფ., იმერეთის მეფე სოლომონ მეორე, ისტორიული ამბავი, დ. ყვირილა, 1902.

105. ღამბაშიძე დ., მიტროპოლიტი დავითი (დავითის შთამომავლობა), „მწყემსი", 1892, No. 2.

106. ჩხატარაიშვილი ქვ., ქართული საეკლესიო ორგანიზაციის ისტორიიდან, კრ., საქართველოს ფეოდალური ხანის ისტორიის საკითხები, ტ. VI, თბ., 1990.

107. ჩხატარაიშვილი ქვ., გურიის სამთავროს შეერთება რუსეთთან, თბ., 1985.

108. ჩხეტია შ., რუსული მმართველობის სისტემა საქართველოში, ენიმკის მოამბე, VIII, თბ., 1940.

109. ჯავახიშვილი ივანე, საქართველოს ეკონომიკური ისტორია, წიგ. II, თბ., 1934.

110. ჯავახიშვილი ივ., Политическое и социальное движение в Грузии в XIX в., ქართველი ერის ისტორია, წიგ. V, თბ., 1953.

111. ჯანაშვილი მოსე, საქართველოს საეკლესიო ისტორია, თბ., 1990 (1886 წ.)

112. ჯაოშვილი ვ., საქართველოს მოსახლეობა XIX ს. რეფორმამდელ პერიოდში, მაცნე, ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიის და ხელოვნების ისტორიის სერია, თბ., 1975, No.4.

113. ჯიქია ს., XVIII საუკუნეში შედგენილი ქართულ-თურქული სასწავლო წიგნი, ენათმეცნიერების შრომები, ტ. I, თბ., 1954.

114. ჯორჯაძე არჩილ, დიმიტრი უიფიანი, წიგნში „წერილები", თბ., 1989.

115. ჯორჯაძე ა., კიდევ წარსული და მისი ანდერძი, კრ., სამშობლო და მამულიშვილობა, თბ., 1990.

116. Авалов З., Присоединение Грузии к России, СПб., 1906.

117. Ахвердян Р., Из истории русско-грузинских литературных взаимосвязей, Тб., 1985.

118. Берже А. П. Присоединение Грузии к России 1799-1832. Историческое исследование, «Русская старина», кн. V, VI, 1880.

119. Вестник Грузинского Экзархата, No.15, 1910; No.16, 1910; No. 17, 1911, No. 18, 1911; No. 19, 1911; No.20, 1911, No.21, 1911; No.22, 1911.

120. Глиновецкий Н., Служба ген. штаба при Кавказских войсках с 1832 по 1852 г. (Глава из готовящагося к изданию II тома «История русск. ген. штаба»). сборник «Военный сборник», издаваемый по высоч. повелению, No. 7, июль, СПб., 1888.

121. Головин Евг., Очерк положения военных дел на Кавказе с начала (19 марта) 1838 г. по конец (25 дек.) 1842 г., Рига, 1847 г. Акты., т. IX.

122. Дубровин Н., История войны и владычества русских на Кавказе, т. I, кн. 2-ое, СПб., 1871; т. I, кн. 3-ая; т: II, 1886; т: III, IV, V, 1887; т. VI, 1888.

123. Дубровин Н., Деятельность Тормасова на Кавказе, „Воен. сборник», 1877 г., No.9-12; 1878 г., No.2-3.

124. Дубровин Н., Пять лет из истории войны и владычества русских на Кавказе (1812-1816), „Воен. сборник», 1880. No.6-8.

125. Дубровин Н., Маркиз Паулучи в Закавказье, «Воен. сборник», 1879. No.4-5.

126. Дурново Н., Судьба Грузинской церкви, М., 1907. ამ შრომის ერთი ნაწილის ქართული თარგმანი გამოქვეყნდა ეურნ. „განთიადში", 1990, No. 10, გამოიცა ცალკე წიგნადაც, თბ., 1995.

127. Дурново Н., Исторический очерк автокефальных церквей: Иверской и Имеретинской, с списками, 20 епархий и католикосов мцхетских и Имеретинско—абхазских, М., 1910.

128. Документы по Истории Грузии, серия II, т. I, Грузия в период буржуазных реформ (1862—1872), часть первая, под. ред. Ш. Чхетия, Тб., 1954 (Отчет д. ст. сов. Е. Старицкого наместнику Кавказскому о ревизии гражданских учреждении Кутаисской губернии.).

129. Введенский А., Подлог и фальсификация исторических документов в Грузии в первой половине XIX в., თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, ტ. XV, თბ., 1940.

130. Восемьдесят лет боевой и мирной жизни 20-й Артилерийской бригады—1806-1886, Исторический очерк войны и владычества русских на Кавказе, составил той-же бригады капитан Янжул, под ред. артилерии ген.-майора Чернявского, т., I, Тиф., 1886.

131. Евецкий, Статистическое описание Закавказского края, СПб., 1835.

132. Ениколопов И., Две записки царевича Давида «О лучшем устройстве Грузии, მსკი, 1942, ნაკ. I, თბ., 1942.

133. Иваненко В., Гражданское управление Закавказьем в сборнике—Утверждение русского владычества на Кавказе, т., XII, Тиф., 1901.

134. Истарлов Л. С., Из воспаминании бывшаго грузинского губернатора кн. Н. О. Палавандова, сборн. «Кавказский вестник», ежемесячный научно-литературный журнал, No.4, апр., 1900 г., Тиф., 1900.

135. Кирион, Краткий очерк истории Грузинской церква и экзархата за XIX в., столетие, Тиф., 1901.

136. Линден В., Высшие классы коренного населения Кавказского края и правительственныя мероприятия по определению их сословных прав, Тиф., 1917.

137. Махарадзе Н., Восстание в Имеретии 1819-1820 гг., მსკი, 1942, ნაკ. I, თბ., 1942

138. Мордовцев Д., Царь без царства, из истории последных дней царства Имеретинского.

139. Махарадзе Ф., Грузия в XIX в., Тиф., 1933.

140. Острогорский, Завоевание Кавказа (1801-1864 гг.), СПб., 1880.

141. Пахомов В. А., Монетные клады, вып. IV.

142. Пирцхалайшвили А., Имеретия и Грузия в период 1804-1840 гг. (Со времени вступления в подданстве России до введения в них обшегражданского правления по закону 10 апреля 1840 г.), მსკი, 1942, ნაკ. I, თბ., 1942.

143. Полиевктов М., Ревизия Закавказского Края сенаторами Кутаисовым и Мечниковым и фонд дел этой ревизии в историческом архиве в Ленинграде, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, ტ. XV, თბ. 1940.

144. Потто, В., Кавказская война в отдельных очерках, эпизодах и биографиях, т. I, вып. 1-4, 1885; т. II, вып. 1-4; т. III, 1886-1887; т. IV, вып. 1-4, 1888, СПб., и Тиф.

145. Потто В., Прогр. Кавк. война и общий обзор военного и гражданского управления Кавказом с 1801 по 1901 г.

146. Сургуладзе И., История государства и права Грузии, Тб., 1968.

147. Утверждение русского владычества на Кавказе, под ред. Потто В., т. I, Тиф., 1901; т. II, Тиф., 1902; т. III, ч. I, ч: II, Тиф:, 1904, т:, IV, ч. I, Тиф., 1906, ч. II, 1908; т. V, Тиф., 1910.

148. Фадеев А. В. Собранные сочинения, т. I, ч. II, Кавказские дела, СПб., 1889.

149. Фадеев А., Шестдесят лет Кавказской войны, Тиф., 1860.

150. Фадеев А., Россия и Кавказ I трети XIX в., М., 1960.

151. Хроника Кавказских войск в двух частях. Составил А. Гизетти, под. ред. чернявского, Тиф., 1896.

152. Цагарели А., Статый и заметки по Грузинской церкви, СБб., 1912.

153. Шубинский П. П. Гробница имеретинского царя Соломона в Трапезунд, сборн. Исторический вестник. Историко-литеретурный журнал, СПб., 1913.

154. Эсадзе С., Историческая записка об управлении Кавказом, т. I, Тиф., 1907.

155. Юдин П., Судьба князей Багратионов-Имеретинских в России, сборн. «Русский Архив», 1896, март.

156. Юрова А., Три года на Кавказе. 1837-1839, сборн. «Кавказский сборник», т. VIII, Тиф., 1884.

157. Военная Энциклопедия, под ред. ген. л. К. Величко, полк. Новицкого и др., т. I, т. II, т. III, т. IV. т. V, СПб., 1911; т. VI, т. VIII, т: IX, X, 1912, т. XI, XII, 1913, т. XIV, XV, 1914, т. XVI, 1915.

158. Гизетти А., Библиографический указатель печатанным на русском языке сочинениям и статьям о военных действиях русских войск на Кавказе, СПб., 1901.

159. Кавказ. Справочная книга, соот. Старожилом, Тиф., 1888.

160. Кавказоведение, Тиф., 1931.

161. Описание картин и биографическия очерки к портретам военно-исторического музея, сост. полк. Потто В.

162. Покоренный Кавказ, СПб., 1904.

163. Сборник сведении о потерях Кавказских войск во время войн Кавказско-горской, персидских, турецких, и в Закаспийских краях 1801-1885 гг. Составлен по документ. хранявщимся в Кавк. военных архивах А. Гизетти, под ред. Потто, Тиф., 1901.

164. Словарь Кавказских деятелей, Тиф., 1890.

165. Allen W. E. D., A history of the Georgian people. From the begining down to the Russian conquest in the nineteenth century, London, 1932.

166 Allen W. E. D., Muratoff Paul, Caucasian battlefields. A history of the wars on the Turco-Caucasian border 1828-1921, Cambridge, University Press, 1953.

167. Baddely John F., The Russian conquest of the Caucasus. With maps, plans, London, 1908.

168. Cherkezov V. E., Georgian treaties with Russia. From the journal „Nineteenth century", May, 1895.

169. Lang David Marshall, A modern history of Georgia, L., 1962.

170. Lang David M., The last years of the Georgian monarchy 1658-1832, New-York, Columbia, 1957.

171. Monteith W., Kars and Erzeroum. With the campaignes of prince Paskiewitch in 1828 and 1829; and an account of the conquest of Russia beyond the Caucasus, L., 1856.

172. აბესაძე ა., იმერეთი რუსეთთან შეერთების დროს (მოკლე ისტორიული მიმოხილვა), გაზ. „საქართველო", 1917, No. 202, 203.

173. ედილი ზ. (ედილაშვილი ზაქარია), უკანასკნელი დღენი იმერეთის სამეფოსა, გაზ. „დროება", 1910, No. 66, 67, 96, 97.

174. იმერეთის მეფის სოლომონის უკანასკნელი დღენი (ჩვენეზა ათონელი ბერის ილარიონ ქართველისა, ჟურნ. „კრებული", 2872, No. 10-12.

175. იმერეთის უკანასკნელი მეფე სოლომონის ნაკვესი, გაზ. „ივერია", 1886, 19/III, No. 62.

176. ისტორიული დოკუმენტები იმერეთის შესახებ, ჟურნ. „მოამბე“, 1904, No. 10.

177. კეზევაძე მ., ქუთაისის სასულიერო სასწავლებელი, გაზ. „ქუთაისი“, 1985, 23/VI.

178. მეფის სოლომონის მეორის დრო (მოხუცების ნაამბობი), ჟურნ. „კრებული“, 1873, No 3.

179. ჭყონია ილია, იმერეთის უკანასკნელი მეფე სოლომონ II, გაზ. „ივერია“, 1886, 17/I, No. 12.

შ ი ნ ა ა რ ს ი

წ ი ნ ა ს ი ტ ყ ვ ა ო ბ ა 3

შ ე ს ა ვ ა ლ ი: წყაროები და ისტორიოგრაფია 9

თავი პირველი: იმერეთის სამეფო რუსული მმართველობის დამყარების წინ (ზოგადი მიმოხილვა) 32

1. საზღვრები, ტერიტორია და მოსახლეობა 32
2. სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა 35
3. სახელმწიფოებრივი წყობილება და კულტურა 45

თავი მეორე: იმერეთის დაპყრობა ცარიზმის მიერ და რუსული მმართველობის დამყარება 59

1. ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმება და დასავლეთ საქართველოში რუსული მმართველობისათვის დიპლომატიური გზით ნიადაგის მომზადება (1802-1808 წწ.) 59
2. რუსეთის ჯარების შემოჭრა იმერეთში. სოლომონ მეორის დატყვევება. იმერეთის სამეფოს გაუქმება 77
3. ბრძოლა იმერეთის სამეფოს აღდგენისათვის 87
4. დროებითი მმართველობის შემოღების პროექტები 93

თავი მესამე: იმერეთის მმართველობის სტრუქტურა და ხასიათი 1810-1840 წწ.-ში 111

1. იმერეთის ადმინისტრაციული დაყოფა 1810-1840 წწ.-ში 113
2. იმერეთის მმართველის თანამდებობა. იმერეთის მმართველები 115
3. იმერეთის მმართველის კანცელარია 132
4. „იმერეთის მმართველობა“ 139
5. ქუთაისში არსებული სამხედრო-სასამართლო კომისია 155
6. ოკრუგის მართვა 157
7. მოურაობის ინსტიტუტი და დროებითი მმართველობა 161
8. ქუთაისის კომენდანტი 167
9. იმერეთის დროებითი მმართველობის ხასიათი 169

თავი მეოთხე: დროებითი მმართველობის საქმიანობა 1810-1840 წლებში 174

1. ღონისძიებანი პოლიტიკური სტაბილიზაციისა და რუსული ხელისუფლების განმტკიცების მისაღწევად 174

ა) საერთო პოლიტიკური ვითარება XIX ს.-ის ათიანი წლების იმერეთში 174

ბ) დროებითი მმართველობა და იმერეთის სამეფო სახლი. ბრძოლა განდევნილობაში მყოფ სოლომონ მეორის წინააღმდეგ 177

ბ) დროებითი მმართველობა და იმერეთის ფეოდალური საზოგადოება. 1810 წლის აჯანყებაში მონაწილეთა შემორიგება . . 196
2. დროებითი მმართველობის ღონისძიებანი 1811-1812 წლებში იმერეთში სტიქიური უბედურების შედეგების დასაძლევად . . 207
3. დროებითი მმართველობის სოციალურ-ეკონომიკური ღონისძიებები 211
4. დროებითი მმართველობა და საეკლესიო რეფორმა დასავლეთ საქართველოში . 231
5. დროებითი მმართველობა და დასავლეთ საქართველოს სამთავროები 253
6. დროებითი მმართველობის ღონისძიებანი განათლების დარგში 272
7. დროებითი მმართველობის რევიზია სენატის მიერ 276
დასკვნები 282
რეზიუმე (რუსულ ენაზე) 287
რეზიუმე (ინგლისურ ენაზე) 290
სახელთა საძიებელი 293
წყაროები და ლიტერატურა 303

Vachridze Goderdzi

Provisionàl Government of Imereti (1810-1840)

in Georgian language

გამომცემლობის რედაქტორი ელგუჯა თავბერიძე
კორექტორი ლია შერგელაშვილი

გადაეცა წარმოებას 1.02.99, ხელმოწერილია დასაბეჭდად 16.04.99, პირობითი ნაბეჭდი თაბახი 20 ზომა 60×1/16, ტირაჟი 500, შეკვეთის № 457

ფასი—სახელშეკრულებო

ქუთაისის გ. ტაბიძის სახელობის
სააქციო საზოგადოება „სტამბა“
ქუთაისი, ილია ჭავჭავაძის გამზირი 33.